ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაგდა გიბიშვილი

სამსახურით კმაყოფილება, როგორც კონფლიქტების პრევენციის ერთ-ერთი გზა საჯარო სამსახურში

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

ნოდარ ბელქანია

სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

თბილისი

2017

ანოტაცია

კონფლიქტების განხილვისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ორგანიზაციული კონფლიქტები. ეს არის სფერო, რომელიც ადამიანთა უმეტესობის ყოველდღიურობას ფარავს და ეხება მათ. შესაბამისად, იმ ასპექტების შესწავლა, რომელიც ორგანიზაციის ჯანსაღი ფუნქციონირებისთვისაა საჭირო, არის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმე. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თავიდან აირიდოს დისფუნქციური კონფლიქტი, საჭიროა შეისწავლოს საკუთარი თანამშრომლების დამოკიდებულებები. ვინაიდან და რადგანაც სამსახურით კმაყოფილება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოტივატორი იმისა, რომ ორგანიზაციაში არ იყოს დესტრუქციული სახის კონფლიქტები, გამიჩნდა სურვილი უფრო ღრმად მეკვლია ეს საგანი და უფრო მეტად გამომეკვეთა ის გავლენები, რომელიც სამსახურით კმაყოფილების მაღალ დონეს შეუძლია იქონიოს ორგანიზაციაში კონფლიქტების პრევენციაზე.

საკვანძო სიტყვები : სამსახურით კმაყოფილება, საჯარო სამსახური, ორგანიზაციული კონფლიქტები, სამსახურით უკმაყოფილება

Annotation

The organizational conflicts are one of the key directions in conflict studies. This is a field which covers the daily life of people and concerns them. Accordingly the study of the aspects which are vital for the proper function of an organization is very important and responsible task. In order to avoid a dysfunctional conflict, every organization has to study the attitudes of its own workers. As far as the confidence with the job is a very important motivator for preventing the destructive type of conflicts, it became my sphere of interest to make a further research on this topic and to point out all those factors, which based on the high level of job confidence influences the prevention of conflicts in an organization.

Keywords : Job Sattisfaction, Public Service, Organizational Conflicts, Job Dissatisfaction.

სარჩევი

Contents

შესავალი 5

1. კონფლიქტი ორგანიზაციაში 6
2. სამსახურით უკმაყოფილება 9
3. სამსახურით კმაყოფილება 11

ფაქტორები 12

3.1 შინაგანი ფაქტორები : 12

3.2 გარეგანი ფაქტორები 17

4. კვლევა 23

4.1 ეთიკური საკითხები 23

4.2 ზოგადი მონაცემები 23

4.3 არსებული გარემო და პირობები 24

4.4 ორგანიზაციული კულტურა და კომუნიკაცია 25

4.5 გაუმჯობესების შესაძლებლობები 30

4.6 კონფლიქტები 33

4.7 მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები 35

4.8 ლიდერობის სტილები 37

5. დასკვნა 40
6. გამოყენებული ლიტერატურა 43
7. დანართი 44

შესავალი

ორგანიზაციული სივრცე, სამსახური და სამუშაო გარემო - ეს არის ადამიანთა ყოველდღიურობა, რომელშიც მათ უწევთ არსებობა. ეს არის აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება და არსებობისათვის საჭირო მინიმუმის შექმნა. გარემო, კი რომელშიც მათ უწევთ მუშაობა, საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს თანამშრომლებზე, მათ განწყობებსა და დამოკიდებულებებზე. სასურველია, სამუშაო გარემოში იყოს მშვიდი სიტუაცია და არ გვხვდებოდეს დესტრუქციული კონფლიქტები, იმისათვის რომ ორგანიზაციამ შეძლოს ჯანსაღი ფუნქციონირება. სწორედ ამიტომაც ჩემი თემა ეხება კონფლიქტების პრევენციის ერთ-ერთ გზას, რომელიც არის თანამშრომელთა შორის სამსახურით კმაყოფილების მაღალი დონე. თუ ორგანიზაციის ზედა მენეჯმენტი შეძლებს იმას, რომ ყურადღება მიაქციოს თანამშრომელთა განწყობებს, აუმაღლოს მათ სამსახურით კმაყოფილება და შეუქმნას მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობა - ისინი შეძლებენ დაიცვან ორგანიზაცია დისფუნქციური კონფლიქტებისაგან და გაზარდონ კიდეც თანამშრომლების პროდუქტიულობა.

სამსახურით კმაყოფილება ეს არის თანამშრომელთა სუბიექტური შეხედულება თავიანთი სამუშაო გარემოს მიმართ, შესაბამისად მისი განსაზღვრა არც ისე მარტივია, რადგანაც თითოეულისათვის სამსახურით კმაყოფილებას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ნაშრომში მოცემული თეორიის თანახმად ეს ფაქტორები დაიყო შიდა და გარე ფაქტორებად, თითოეული ფაქტორის გათვალისწინებით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა სამსახურით კმაყოფილების განსასაზღვრად და ასევე ლიდერობის სტილების გამოსაკვეთად, რომლებიც ჩემი აზრით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისათვის - იმუშავებს, თუ არა ორგანიზაცია გამართულად.

შედეგები და მათი ანალიზი მოცემულია ვრცლად ნაშრომში და საქართველოში ჩატარებული სხვა მსგავსი კვლევებისგან განსხვავდება იმით, რომ აქცენტები დაისვა უფრო მკაფიოდ, კვლევის მიმართულებაა არა მხოლოდ სამსახურით კმაყოფილების დონის განსაზღვრა, როგორც სხვა შემთხვევებში, არამედ იმის გამოკვეთა, თუ

რამდენად მოქმედებს სამსახურით კმაყოფილება კონფლიქტების პრევენციაზე და მათი დისფუნქციური ხასიათის აღმოფხვარზე, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ლიდერობის სტილები და ის მიდგომები, რომლებიც გააჩნია ზედა მენეჯმენტს თანამშრომლებისა და ზოგადად ორგანიზაციის ფუნქციონირების მიმართ. უკეთესად გამოჩნდა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ორგანიზაციის წარმომადგენლები და რა ფაქტორებს უნდა მიაქციონ ყურადღება იმისათვის, რომ შექმნან თანამშრომელთათვის სასიამოვნო გარემო და შეძლონ ორგანიზაციაში დესტრუქციული კონფლიქტებისაგან თავის არიდება.

სანამ უშუალოდ სამსახურით კმაყოფილებაზე საუბარს დავიწყებთ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის, თუ რატომ არის საჭირო ორგანიზაციაში თანამშრომლებს შორის გაიზარდოს სამსახურით კმაყოფილების დონე და მოხდეს კონფლიქტების პრევენცია, განვსაზღვროთ ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კონფლიქტებს ორგანიზაციაში, რა არის ზოგადად ორგანიზაციული კონფლიქტი და რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია მას.

1. კონფლიქტი ორგანიზაციაში

კონფლიქტებს ორგანიზაციაში, როგორც წესი დიდი სიფრთხილით ეკიდებიან და საკმაოდ დიდი ინტერესითაც. ნებისმიერ თანამშრომელს, რომ ჰკითხოთ რა დამოკიდებულება აქვს კონფლიქტებთან ორგანიზაციაში - უმეტესობა გეტყვით, რომ ნეგატიური, რადგანაც კონფლიქტის გაგება უფრო უარყოფით მნიშვნელობას ატარებს და ხშირად მისი არსებობის ეშინიათ როგორც მაღალი, ისე დაბალი რანგის მენეჯერებს.

კონფლიქტი - შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც პროცესი. ის იწყება, როდესაც ერთი მხარე აღიქვამს, რომ მეორე მხარე უარყოფით გავლენას ახდენს იმაზე, რასაც პირველი მხარე მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ეს განსაზღვრება მიზანმიმართულად ფართოა. ის ასევე მოიცავს ტერმინს „პროცესი“, რაც ნიშნავს, რომ კონფლიქტი არ არის იზოლირებული მოვლენა, მასში შედის მიზეზი, მოტივაცია და მოგვარება. ეს

განსაზღვრება ნებისმიერ ქმედებაში იმ წერტილს ასახავს, როცა მხარეებს შორის ურთიერთობა კონფლიქტში „გადაიზრდება“.

ორგანიზაციაში ადამიანებს შორის კონფლიქტის უამრავი მიზეზი არსებობს: მიზნების შეუთავსებლობა, განსხვავებები ფაქტების ინტერპრეტირებისას, უთანხმოება, რომელიც ქცევით მოლოდინებს ეყრდნობა და სხვა ამგვარი ქმედებები. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

საბოლოო ჯამში აღნიშნულმა კონფლიქტებმა დაქირავებულებს შორის შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ქმედებები, როგორიცაა :

დაბნეულობა, გაურკვევლობა, თანამშრომლობაზე უარი, ხარისხის პრობლემები, გადაცილებული დედლაინები, გაზრდილი სტრესი, კრეატიულობის სიმცირე, ჯგუფში კოლაბორაციის პრობლემა, მუშა პროცესის შეჩერება, მომხმარებელთა კმაყოფილების შემცირება, უნდობლობა, შიდა ჯგუფების ჩამოყალიბება, მომატებული ჭორები, დაპირისპირებები, პროდუქტიულობის შემცირება და სხვ.

კონფლიქტის შესახებ ადრინდელი შეხედულების მიხედვით, ყველა კონფლიქტი ცუდია. იგი უარყოფით მოვლენად მიიჩნეოდა და მას უარყოფით ქვეტექსტის გასაძლიერებლად ისეთი ტერმინების სინონიმად იყენებდნენ, როგორიცაა : „ძალადობა“, „განადგურება“ და „ირაციონალობა“. ამ განსაზღვრებით კონფლიქტი საზიანოა და თავიდან უნდა იქნეს აცილებული. იმ დამოკიდებულებას, რაც 1930 და 1940-იან წლებში ჯგუფის ქცევაში დომინირებდა, **ტრადიციულ შეხედულებას** უწოდებენ. კონფლიქტი მიიჩნეოდა ცუდი კომუნიკაციის, ადამიანებს შორის გულწრფელობისა და ნდობის ნაკლებობის, დაქირავებულების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მიმართ მენეჯერთა უყურადღებობის დისფუნქციურ შედეგად.

ადამიანური ურთიერთობების შეხედულება ამტკიცებდა, რომ კონფლიქტი ყველა ჯგუფსა და ორგანიზაციაში ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. რადგან კონფლიქტი გარდაუვალი იყო.

ადამიანური ურთიერთობების სკოლა მის მიღებას მხარს უჭერდა. მისი დამცველები

რაციონალურ ახსნას აძლევდნენ კონფლიქტის არსებობას : კონფლიქტი არ აღმოიფხვრება და ჯგუფის საქმიანობისათვის ხანდახან მას სარგებლობაც კი მოაქვს.

ინტერაქციონისტური შეხდულება არ ამტკიცებს, რომ ყველა კონფლიქტი კარგია, მაგრამ ზოგი კონფლიქტი სტიმულს აძლევს და აუმჯობესებს მის ქმედითობას. ესენია კონფლიქტის **ფუნქციური**, კონსტრუქციული ფორმები. ამის საპირისპიროდ, კონფლიქტები, რომლებიც ხელს უშლიან ჯგუფის ქმედითობას, კონფლიქტის **დისფუნქციური** ანუ დეკონსტრუქციული ფორმები არიან. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

სიმართლის მარცვალი ორივე შეხედულებაში დევს, თუ ორგანიზაციაში შექმნილი კონფლიქტი დესტრუქციულ ხასიათს მიიღებს, მან შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს ორგანიზაცია, რადგანაც მის მოგვარებას საკმაოდ დიდი დრო და ენერგია დასჭირდება, ან შეიძლება სულაც ვერ მოგვარდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი ღირებულებით კონფლიქტში გადაიზრდება, სადაც განსაკუთრებით რთული ხდება დაპირისპირებული მხარეების მორიგება და საერთო პოზიციებზე შეჯერება.

ხოლო თუ კონფლიქტი ორგანიზაციაში კონსტრუქციული იქნება შეიძლება ბევრად მეტი დადებითი შედეგი მოიტანოს მისმა არსებობამ, ვიდრე არ არსებობამ.

კონფლიქტმა ორგანიზაციაში შეიძლება ჯგუფს შემატოს ღირებულებები ან საერთოდ გაანადგუროს ის. „კარგი კონფლიქტი“ ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის და ჯანსაღი დებატების კულტურის ჩამოყალიბებას, თანაც შესაძლებელია კონფლიქტის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილება ბევრად სჯობდეს პირველად ვარიანტს. „ცუდი კონფლიქტი“ ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრებს არ შეუძლიათ ერთმანეთის განსხვავებულობას შეეგუონ, რითიც კლავენ პროდუქტიულობას და ახშობენ ინოვაციებს. განსხვავებული მოსაზრებები არ არის პრობლემის ძირი, ყველაზე დამანგრეველი კონფლიქტები სათავეს მეტი სიღრმიდან იღებენ : აღქმული შეუთავსებლობა წევრებს შორის შეიძლება მომდინარეობდეს უამრავი ფაქტორიდან, მათ შორის პიროვნული მახასიათებლების, სქესის, რასის, წარმომავლობის და სხვ.

კლასიკური მიდგომით ასეთი კონფლიქტის დროს შეიძლება მაშინვე გქონდეს

რეაგირება, უპასუხო წარმოქმნილ შეტაკებებს, ან დაელოდო მტკიცებულებებს იმისთვის, რომ სწორად გაერკვიო პრობლემის არსში.

მაგრამ ეს ორივე მიდგომა, როგორც წესი წარუმატებელია, რადგანაც ისინი დიდი ხნის განმავლობაში აშენებენ იმედგაცრუებას და შემდგომ ძალიან რთული ხდება ნეგატიური განწყობების გაქარწყლება და ნდობის აღდგენა. (Ginka Toegel, How to Preempt Team Conflict, 2016)

ორგანიზაციაში ზოგადად კონფლიქტების არსებობის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ მისი *დესტრუქციულ ხასიათში* გადაზრდისა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ორგანიზაციის ფუნქციონირებას. შესაბამისად კონფლიქტის გამოვლენა მალევე უნდა მოხდეს და ასევე უნდა მოხდეს პრევენციული ზომების მიღება.

კონსტრუქციული კონფლიქტის პოზიტიური მხარე – ის არის, რომ როგორც წესი ამ დროს ჯგუფი უფრო შეკრული ხდება, უფრო მტკიცდება შიდაჯგუფური ურთიერთობები, ჯგუფი მეტად შრომისუნარიანია, რაც საბოლოო ჯამში მის პროდუქტიულობას უწყობს ხელს.

ამოცანის კონფლიქტი სტიმულს აძლევს მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემებისა და ალტერნატივების კრიტიკულ შეფასებას და შეიძლება გუნდი უკეთეს გადაწყვეტილებამდეც მიიყვანოს. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

2. სამსახურით უკმაყოფილება

სამსახურით უკმაყოფილო პერსონალში ბევრად მაღალია ალბათობა იმისა, რომ კონფლიქტი წარმოიშვას და მან დესტრუქციული ხასიათი მიიღოს, თუ თავიდანვე არ მოხდა მისი პრევენცია.

სამუშაო პირობებით უკმაყოფილების მტკიცება ან იმის რწმენა, რომ დაწინაურების შესაძლებლობა ორგანიზაციაში მცირეა, სამსახურის გარეთ აზრის ძიების მცდელობას წარმოადგენს. თანამშრომლების დასკვნა, რომ სამუშაო კარგია ან ცუდია, მათი ინტერპრეტაციაა. მენეჯერებმა დრო უნდა დაუთმონ იმის გაგებას, როგორ

განმარტავს ადამიანი რეალობას და როცა არსებულსა და დანახულს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, მენეჯერებმა უნდა სცადონ მათი შემცირება. როდესაც ადამიანები სამსახურს უარყოფითად აღიქვამენ და არ შეუძლიათ ამ სხვაობის შემცირება, მას შედეგად სამსახურის გაცდენა, სამსახურის მიტოვება და სამსახურით დაბალი კმაყოფილება მოსდევს.

ისევე, როგორც როლსა და სამუშაოს შესრულებას შორის ურთიერთობის შემთხვევაში, დაქირავებულის მიერ სამუშაოს აღქმაშიც უფროსსა და დაქირავებულს შორის მაღალი შესაბამისობა დაქირავებულის მაღალ კმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. როლებს შორის კონფლიქტის შედეგი სამსახურთან დაკავშირებული დაძაბულობა და სამსახურით უკმაყოფილება ხდება.

ადამიანების უმეტესობას ურჩევნია ურთიერთობა ჰქონდეს თავისი და უფრო მაღალი სტატუსის ადამიანებთან, ვიდრე მათზე დაბალი სტატუსის მქონეებთან. შედეგად, ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ კმაყოფილება უფრო მაღალი იქნება დაქირავებულებს შორის, რომელთა სამუშაო მინიმუმამდე ამცირებს იმ ადამიანებთან ურთიერთობას რომლებიც სტატუსით უფრო დაბალ საფეხურზე დგანან.

ჯგუფის ზომასა და უკმაყოფილებას შორის ურთიერთობა ისეთია, როგორსაც ადამიანი ინტუიციურად ელის : დიდი ჯგუფები დაბალ კმაყოფილებასთან ასოცირდება. როცა ზომა იზრდება, მცირდება მონაწილეობისა და სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობები. ამავე დროს, ბევრი წევრის არსებობა ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობას, კონფლიქტებსა და ქვეჯგუფებს ქმნის, რაც ინდივიდუალური მონაწილეებისათვის ჯგუფს ასევე ნაკლებად მისაღებს ხდის. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

აგრეთვე სამსახურით უკმაყოფილებას ზრდის გაურკვევლობა, დამახინჯებული კომუნიკაცია, ლიდერობის გარკვეული ტიპები, რომლებიც იყენებენ იძულებით ძალაუფლებას, სამუშაოს სპეციალიზება, უსამართლობის განცდა, არასტაბილურობა და სხვა. ბევრი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს სამსახურით უკმაყოფილებას, სამსახურით უკმაყოფილებამ კი საბოლოო ჯამში შეიძლება ხელი შეუწყოს

თანამშრომლებში დევიანტურ ქცევას, შიდა გაერთიანებების შექმნას, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენებას, სამსახურში ქურდობას, გადამეტებულ ფამილარობას, დაგვიანებას, კონფლიქტების წარმოქმნას და სხვა. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

შესაბამისად ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებზე, რომელიც ამცირებს სამსახურით უკმაყოფილებას და ხელს უწყობს სამსახურით კმაყოფილების დონის ზრდას - უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის.

3. სამსახურით კმაყოფილება

სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რადგანაც ზოგადად „სამსახურით კმაყოფილება“ შეფასებითი ტერმინია, შესაბამისად ის დამოკიდებულია დასაქმებულთა აღქმაზე, მათ სუბიექტურ შეხედულებაზე და არა ობიექტურ ფაქტორებზე.

თუ ერთი ადამიანისათვის სამსახურით კმაყოფილების მაღალ დონეს განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, ხოლო მეორესთვის - ხელფასი, მათი მონაცემები აბსოლიტურად სხვადასხვა იქნება ერთსა და იმავე სამსახურში მუშაობის შემთხვევაშიც კი.

ზოგადი განმარტებით **სამსახურით კმაყოფილება** - ეს არის დასაქმებულის კმაყოფილების დონე, საკუთარი სამსახურის მიმართ, რომელიც განსაზღვრავს მის ქცევას.

სწორედ ამ ფაქტორის გამო გახდა ჩემთვის საინტერესო სამსახურით კმაყოფილების გამოკვლევა, რადგანაც მას საკმაო გავლენა აქვს ადამიანის ქცევაზე სამსახურში, უკმაყოფილო თანამშრომელი ბევრად მიდრეკილია დევიანტური ქცევისა და კონფლიქტებისაკენ, ამიტომაც მომსახურე პერსონალისათვის კომფორტული გარემოს შექმნა და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს კონფლიქტების პრევენციას ორგანიზაციაში.

ფაქტორები, რომლებიც სამსახურით კმაყოფილებას განსაზღვრავს შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს :

შინაგანი ფაქტორები, ძირითადი სუბიექტური შეხედულებები, რომლებიც მოიცავს დაქირავებულების უნარებს, დამოკიდებულებებს, ჩართულობას, ხასიათს, თვითშეფასებას და სხვ. და ასევე გარეგანი ფაქტორები, რომლებშიც შედის სამუშაოს სპეციფიკა, გარემო, დაწინაურების შესაძლებლობა, ხელფასი, ხელმძღვანელობა და სხვ.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე და ვნახოთ, თუ რა გავლენა აქვს მათ თანამშრომელთა სამსახურით კმაყოფილებაზე.

3.1 შინაგანი ფაქტორები :

უნარები - ეს არის ადამიანის შესაძლებლობა თავი გაართვას სამსახურში დაკისრებულ მოვალეობებს. სხვადასხვა სამსახური თანამშრომლებს განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებს და განსხვავებული ინტელექტუალური უნარების გამოყენებას სთხოვს. ერთ-ერთი მიზეზი, რომ გონიერი ადამიანები უკეთესად ასრულებენ სამუშაოს, არის ის, რომ ისინი უფრო სწრაფად ითვისებენ, ადვილად ეგუებიან ახალ გარემოს და კარგ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც მათ სამუშაოს შესრულების დონეს აუმჯობესებს. (J.A. LePine, 2000) (Harris, 2004)

მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულის უნარები და სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მოთხოვნები ერთმანეთს ემთხვეოდეს, თუკი განსვლაა მათ შორის და დასაქმებულს არ შესწევს უნარი დაკისრებული საქმე შეასრულოს, იკლებს მისი სამსახურით კმაყოფილება, ხოლო თუ მისი კომპეტენცია მეტია ვიდრე სამუშაოს მოთხოვნები - ამ შემთხვევაშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმედგაცრუებას, რაც ასევე შეამცირებს კმაყოფილების დონეს.

დამოკიდებულებები - ეს არის ის გრძნობები, რომელსაც განიცდის დასაქმებული საკუთარი საქმის, გარემოს, თანამშრომლების, ხელმძღვანელობის თუ სხვა საკითხების მიმართ. ვინაიდან დამოკიდებულებებიც განსაზღვრავს ადამიანის

ქცევას, შესაბამისად ესეც მნიშვნელოვანი ასპექტია სამსახურით კმაყოფილების შესწავლისას. სამსახურის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების მქონე დასაქმებული - ვერ იქნება სამსახურით კმაყოფილი.

რობინსისა და ჯაჯის ნაშრომში მოცემული გვაქვს, რომ ორგანიზაციული ქცევის კვლევათა უმეტესობა სამი დამოკიდებულებით ინტერესდება, ესენია : სამსახურით კმაყოფილება, სამსახურში ჩართულობა, ორგანიზაციისადმი ერთგულება.

სამსახურით კმაყოფილება - გულისხმობს, რომ სამსახურით კმაყოფილ პიროვნებას დადებითი გრძნობები აქვს ამ სამსახურის მიმართ, უკმაყოფილო პიროვნებას კი უარყოფითი.

სამსახურში ჩართულობა - თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სამუშაოში, სამსახურთან ძლიერად არიან დაკავშირებულები და ნამდვილად აინტერესებთ ის საქმე, რომელსაც ასრულებენ.

ორგანიზაციისადმი ერთგულება - წევრის ორგანიზაციასთან გაიგივებას და საკუთარი თავის მის წევრად აღქმას უკავშირდება. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

როდესაც ეს სამივე დამოკიდებულება ერთიანდება, ალბათობა იმისა, რომ თანამშომებლი სამსახურით კმაყოფილი იქნება, საკმაოდ მაღალია.

ჩართულობა - გულისხმობს იმას, თუ რამდენად გრძნობს დასაქმებული საკუთარი წვლილის მნიშვნელობას ორგანიზაციაში, რამდენად მნიშვნელოვანია მისი შესრულებული საქმე და რამდენად არის მისი შრომა გადამწყვეტი ფაქტორი კომპანიის ფუნქციონირებაში. როგორც აღმოჩნდა ჩართულობა მომხმარებელთა კმაყოფილებასაც განსაზღვრავს, 36 კომპანიაში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ იმ ბიზნეს-ფირმებმა, სადაც მომსახურე პერსონალი სამუშაოთი აქტიურად იყო დაკავებული, მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე აჩვენა. (J.K Harter, 2002)

ჩართულობის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია **გადაწყვეტილების მიღებაში** თანამშრომლების მონაწილეობა. ამას საფუძვლად ედება ლოგიკა, რომ გადაწყვეტილებებში მშრომელთა ჩართვით, მათი ავტონომიისა და მათ შრომით

ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდით, დაქირავებულები უფრო მოტივირებულები, ორგანიზაციისადმი უფრო ერთგულები, უფრო პროდუქტიულები და სამსახურით უფრო კმაყოფილები არიან. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

ასევე აქ იკვეთება თანამშრომელთათვის **საკუთარი მნიშვნელოვნების განცდა,** რომელიც მათ მოტივაციას კიდევ მეტად ზრდის და უბიძგებს საქმე უფრო პროდუქტიულად აკეთონ.

აღიარებაც - ერთ-ერთი მთავარი მოტივატორია, რომელიც დასაქმებულთა უმეტესობისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ის ზრდის სამსახურით კმაყოფილების დონეს. ზედა მენეჯმენტის მიერ აღიარებული დასაქმებულის საქმიანობა და ორგანიზაციისათვის გაწეული წვლილი, კიდევ მეტ მოტივაციას ჰმატებს დაქირავებულს, სწორ მიმართულებას აძლევს მას, თუ როგორ იმუშაოს და ასევე უწევს ინიცირებას საქმე უფრო პროდუქტიულად შესრულდეს.

პიროვნული თვისებები და ადამიანის **ხასიათიც** მნიშვნელოვან კორელაციაშია სამსახურით კმაყოფილებასთან. თავიანთი პიროვნული თვისებების შესაბამის სამსახურებში ადამიანები უფრო კმაყოფილები უნდა იყვნენ და უფრო ნაკლები სიხშირით უნდა ტოვებდნენ მას, ვიდრე შეუსაბამო სამსახურებში. *მაიერ-ბრიგსის* მოდელი, რომელიც პიროვნული თვისებების ხუთ ფაქტორიან მოდელს წარმოგვიდგენს, გვიჩვენებს კავშირს რომელიც გარკვეულ ბმაშია სამსახურით კმაყოფილებასთან. ისეთი თვისებები მაგალითად როგორიცაა - ემოციური სტაბილურობა, დიდ ხუთეულში ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ცხოვრებითა და სამსახურით კმაყოფილებასთან და მცირე სტრესთან. ასევე სამსახურით კმაყოფილებაზე დადებითად მოქმედებს გამოცდილებისადმი და სიახლეებისადმი ღიაობა. ადამიანი, რომელიც მაღალ ქულებს იღებს აღნიშნულ კომპონენტში - უფრო მარტივად ეგუება გარდაქმნებს სამსახურში, ნაკლები აქვს სტრესი და მეტია მისი სამსახურით კმაყოფილება. ასევე ინტროვერტებისგან განსხვავებით, ექსტრავერტები უფრო კმაყოფილები არიან საკუთარი სამსახურით და ზოგადად ცხოვრებით. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

თვითშეფასებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაქირავებულისთვის სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას. მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს სამსახური უფრო საინტერესოდ მიაჩნიათ, რასაც უფრო მეტი კმაყოფილება მოსდევს. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

ასევე უნდა აღინიშნოს ადამიანის **ფასეულობები**, რომლებიც მის შეფასებით და შეხედულებათა სისტემას იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ფასეულობები ქცევაზე უშუალოდ არ ზემოქმედებენ, ისინი ძლიერ გავლენას ახდენენ პიროვნების დამოკიდებულებებზე, ქცევებსა და აღქმაზე. იმ შემთხვევაში თუ დაქირავებულის ფასეულობები შესაბამისობაშია ორგანიზაციის კულტურასა და ღირებულებებთან - მეტია სამსახურით კმაყოფილება, ორგანიზაციისადმი ერთგულება და სამსახურის მიტოვების ნაკლები შანსი. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

სამართლიანობისა და **უსაფრთხოების შეგრძნება** დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია ორგანიზაციაში, რომელთა დაკმაყოფილება დაკავშირებულია სამსახურით კმაყოფილების გაზრდასთან. თუ თანამშრომლები ანაზღაურების, დაფასების, აღიარების თუ სხვა ფაქტორების კუთხით ვერ გრძნობენ სამართლიანობას სამუშაო გარემოში - ეს მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება, ისინი როგორც წესი შეფარდების საფუძველზე საკუთარ შრომას სხვებისას ადარებენ და ისე აყალიბებენ შეხედულებას გარემო სამართლიანია თუ არა.

ვინაიდან და რადგანაც სამართლიანობა სუბიექტური აღქმაა და ის, რაც ერთი ადამიანისთვის სამართლიანია მეორესთვის უსამართლოა, ამიტომაც, იმისათვის რომ დაქირავებულებმა პროცესი სამართლიანად აღიქვან, მათ სჭირდებათ, იგრძნონ რომ ისინი შედეგებს აკონტროლებენ, რასაც შემდგომ ადეკვატური ახსნა უნდა მისცენ. სამართლიანობის თეორია პროდუქტიულობის, კმაყოფილების, სამსახურის გაცდენისა და სამსახურის ცვლადებსაც შეეხება. (სტივენ პ.რობინსი, 2009) უსაფრთხოების და სტაბილურობის შეგრძნებაც მათ სტრესსა და დაძაბულობას ამცირებს, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მეტად იგრძნონ კმაყოფილება.

ჯანსაღი **კომუნიკაციის** არსებობაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამსახურით კმაყოფილებაზე. ორგანიზაციებში, სადაც სამივე არხი დაღმავალი, აღმავალი და

ჰორიზონტალური კომუნიკაცია გამართულად მუშაობს, ბევრად მაღალია თანამშრომლების კმაყოფილება. რადგან აქტურად მიედინება ინფორმაცია, ნაკლებია გაურკვევლობა და არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რომლის არსებობის შემთხვევაში, ხშირად მღელვარებას ქმნის ორგანიზაციაში.

აღმავალი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია მენეჯერებისათვის, რადგან იქ კარგად იკვეთება, თუ რა დამოკიდებულება და განწყობები აქვთ დაქირავებულებს სამსახურის, თანამშრომლების, მენეჯმენტის თუ ზოგადად ორგანიზაციის მიმართ.

ჰორიზონტალური კომუნიკაციის შემთხვევაში, თუ ის არასწორად იქნა გამოყენებული, ზოგიერთი თანამშრომლის ან მენეჯმენტის ზედა რგოლის გვერდის ავლით მოხდა გადაწყვეტილებების მიღება, ან მოხდა სისტემით მანიპულირება - ამან შეიძლება დისფუნქციური კონფლიქტი წარმოშვას და ხელი შეუშალოს სისტემის ფუნქციონირებას.

რობინსისა და ჯაჯის ნაშრომში კარგად იკვეთება კავშირი კმაყოფილებასა და კომუნიკაციას შორის, რაც ნაკლებია გაურკვევლობა, მით მეტია კმაყოფილება. კომუნიკაციაში დამახინჯებები, ბუნდოვანება და შეუსაბამობა ზრდის გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე, ისინი უარყოფით გავლენას ახდენენ კმაყოფილებაზე. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

გერტ ჰოფსტედის კულტურებს შორის სხვაობების კვლევის მიხედვით „გაურკვევლობის თავიდან აცილება“ - ეს არის ხარისხი, თუ რამდენად ანიჭებენ ადამიანები უპირატესობას სტრუქტურულ მდგომარეობას - არასტრუქტურულთან შედარებით. იმ კულტურებში, რომლებიც გაურკვევლობის თავიდან აცილებაში მაღალ ქულებს იღებენ, ადამიანები ძალიან ღელავენ გაურკვევლობისა და ბუნდოვანების გამო. ხოლო კულტურებს, რომელთაც დაბალი ქულები აქვთ, არ აშფოთებთ გაურკვევლობა თუ ბუნდოვანება და განსხვავებულ მოსაზრებებს უკეთესად ეგუებიან. ასეთი კულტურა, წესებზე ნაკლებად არის ორიენტირებული, უფრო რისკიანია და მზად არის ცვლილებების მისაღებად. (ჰოფსტედე, 2011)

მიუხედავად იმისა, რომ მსგავი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაურკვევლობა ჩვენს კულტურაშიც არ სარგებლობს პოპულარობით. შესაბამისად მისმა არსებობამ და დამახინჯებულმა კომუნიკაციამ შეიძლება ნამდვილად წარმოშვას გარკვეული სახის კონფლიქტები ორგანიზაციაში.

3.2 გარეგანი ფაქტორები

სამუშაოს სპეციფიკა - თანამშრომლებისათვის გარეგანი ფაქტორებიდან ძალიან მნიშვნელოვანია ის საქმე, რომელსაც ისინი აკეთებენ, სამუშაოს სპეციფიკა, შესასრულებელი დავალებები და სხვ. დამსაქმებლებისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორია სამსახურით კმაყოფილების შესწავლისას, რადგან მათ უნდა იზრუნონ, სამუშაოს ძირითადი ნაწილი იყოს საინტერესო, რათა გაიზარდოს პერსონალის სამსახურით კმაყოფილება.

სამსახურის ნიშან-თვისებების მოდელის მიხედვით, მასში ერთიანდება სამი განზომილება - უნარ-ჩვევების მრავალგვარობა, ამოცანის ინდივიდუალურობა და ამოცანის მნიშვნელობა. თუ ეს სამივე არსებობს, მაშინ დაქირავებული სამსახურს უყურებს, როგორც მნიშვნელოვანს, ღირებულსა და შედეგის მომცემს. რაც მეტად არის გამოხატული თითოეული განზომილება, მით მეტია დაქირავებულის მოტივაცია, სამსახურის შესრულების ხარისხი და კმაყოფილება, ხოლო სამსახურის მიტოვების ალბათობა და გაცდენა კი ნაკლები.

სამსახურებში, რომელსაც მრავალგვარობა, იდენტობა, მნიშვნელოვნება, ავტონომია და უკუკავშირი ახასიათებს, ქმედითობისა და კმაყოფილების დონე უფრო მაღალია, ვიდრე იმ სამსახურებში, რომლებსაც ეს მახასიათებლები არ გააჩნიათ. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

უკუკავშირი - მნიშვნელოვანი ფაქტორია, გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც ორგანიზაციაში არსებობს დაქირავებულისათვის უკუკავშირის მიცემის კულტურა, იქ იკლებს გაურკვევლობა და სტრესი, დაქირავებული საქმის კურსშია როგორ მუშაობს, სწორი მიმართულებით მიდის, თუ არა, რამდენად კარგად და ხარისხიანად

ასრულებს საკუთარ სამუშაოს და ა.შ. ეს ხელს უწყობს იმას, რომ მან თავი მშვიდად იგრძნოს და აუმაღლდეს კმაყოფილების გრძნობა.

მონოტონური სამუშაოს შესრულება ხშირად უარყოფითად მოქმედებს სამსახურით კმაყოფილებაზე. თანამშრომელი, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს, მართალია მისი პროდუქტიულობა იზრდება, მაგრამ იკლებს სამსახურით კმაყოფილება. გამოსავალი ამ სიტუაციიდან შეიძლება იყოს **სამსახურის მონაცვლეობა**, რომელსაც სიახლე შემოაქვს დაქირავებულის ყოველდღიურობაში, ზრდის მის მოტივაციას, ეხმარება უკეთ გაიაზროს საკუთარი როლი ორგანიზაციაში და აიმაღლოს სამსახურით კმაყოფილების დონე.

ანაზღაურება - განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მნიშვნელოვან, მაგრამ არა გადამწყვეტ როლს თამაშობს სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრაში. შრომის შესაბამისი ანაზღაურება, პრემიები, თუ სხვა ჯილდოები ზოგიერთი დაქირავებულისათვის კარგი მოტივატორია სამსახურით კმაყოფილების დონის გაზრდისათვის.

დაწინაურების შესაძლებლობა და **პროფესიული განვითარების** საშუალება - ის ფაქტორებია, რომელსაც დიდი ყურადღებას აქცევს ორგანიზაციის პერსონალი. როდესაც მათ აქვთ იმის აღქმა, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება კარიერულ კიბეებზე წინ წაიწიონ, ბევრად მეტი აქვთ მოტივაცია და საკუთარ სამუშაოს საინტერესოდ თვლიან. მაშინ როდესაც დაქირავებულს არ აქვს განვითარების პერსპექტივები, რთული ხდება სამსახურით კმაყოფილებაზე საუბარი.

ხელმძღვანელობა, იგივე ზედა მენეჯმენტი და ის, თუ როგორია მათთან ურთიერთობა, როგორია მათი მმართველობის სტილი და მიდგომები, თანაარსებობა ქვედა რგოლის მენეჯმენტთან და სხვ. - განსაზღვრავს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება უყალიბდება თანამშრომელს და ასევე იმას, თუ რამდენად უწყობს აღნიშნული ხელს იმას, რომ დაქირავებულმა იგრძნოს სამსახურით კმაყოფილება. კარგი ხელმღვანელობა და მმართველობის ტიპი, რომელიც სასვებით მისაღებია პერსონალისათვის და ორიენტირებულია ადამიანურ ურთიერთობებზე - ხელს უწყობს სამსახურით კმაყოფილების ზრდას.

თანამშრომლები - არიან ადამიანები რომელთანაც ყველაზე ხშირი შეხება აქვთ დაქირავებულებს, ის თუ როგორია მათი ურთიერთქმედება, კომუნიკაცია და ერთ ორგანიზაციაში მუშაობის სტილი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე იგრძნობს თუ არა თითოეული თანამშრომელი თავს კმაყოფილად. ამიტომაც სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას აუცილებელია ეს გარე ფაქტორიც იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული, თუ რამდენად დადებითი ურთიერთობები არსებობს სამსახურში თანამშრომელთა შორის.

სოციალური აქტივობები - როდესაც სამსახური თავის დაქირავებულ პერსონალს უქმნის იმის პირობებს, რომ მათ ერთად დახარჯონ ენერგია, განიტვირთონ ან ჩაერთონ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, დადებით ზეგავლენას ახდენს იმაზე, რომ თანამშრომლებმა უფრო კმაყოფილად იგრძნონ თავი და დადებითად განეწყონ ორგანიზაციისა და მმართველი მენეჯმენტის მიმართ.

თუ გავითვალისწინებთ როლის მოლოდინებს და იმას, რომ თითოეულ ადამიანს აქვს გარკვეული შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მეორე ადამიანი კონკრეტულ სიტუაციებში, გაგვიადვილდება იმის აღქმა, რომ სამსახურში დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის არსებობს **ფსიქოლოგიური კონტრაქტი,** დაუწერელი შეთანხმება, რომელიც აწესებს ორმხრივ მოლოდინებს იმის შესახებ, თუ რას ელოდება მენეჯმენტი დაქირავებულისგან და პირიქით. შედეგად, ეს შეთანხმება თითოეული როლის შესაბამის ქცევით მოლოდინებს განსაზღვრავს. მენეჯერებისაგან ელიან დაქირავებულებთან სამართლიან მოპყრობას, დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნას, დაქირავებულებისათვის სრულყოფილი დღიური ანაზღაურების შესახებ მკაფიო განმარტების მიცემას და შეფასებას, რამდენად კარგად ასრულებს დაქირავებული სამუშაოს. დაქირავებულებისაგან საპასუხოდ კარგ დამოკიდებულებას, მითითებების შესრულებას და ორგანიზაციის ერთგულებას ელიან.

თუ მენეჯმენტი თავის შეთანხმების ნაწილზე უარს იტყვის და ფსიქოლოგიური კონტრაქტით განსაზღვრულ მოსალოდნელ როლს არ შეასრულებს, ეს, სავარაუდოდ, დაქირავებულების პროდუქტიულობასა და კმაყოფილებაზე უარყოფით გავლენას

მოახდენს. (სტივენ პ.რობინსი, 2009) ამან შეიძლება გამოიწვიოს როლებიდან განსვლა.

როლებს შორის კონფლიქტის შედეგი კი სამსახურთან დაკავშირებული დაძაბულობა და სამსახურით უკმაყოფილება ხდება. (Armenakis, 1981)

სტატუსები - ერთი საკითხია ის, თუ რა სტატუსით გვევლინება თანამშრომელი სამსახურში, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მის აღქმასა და კმაყოფილებაზე, ბუნებრივია სტატუსისა და მისი მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად იმატებს სამსახურით კმაყოფილებაც. მეორე საკითხია ის, რომ ადამიანების უმეტესობას ურჩევნია კონტაქტი ჰქონდეს თავისი და უფრო მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდებთან, ვიდრე მათზე დაბალი სტატუსის მქონეებთან. შედეგად, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ კმაყოფილება უფრო მაღალი იქნება დაქირავებულებს შორის, რომელთა სამუშაო მინიმუმამდე ამცირებს იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც სტატუსით უფრო დაბალ საფეხურზე დგანან. (Shaw, 1971)

აქვეა სტატუსის უსამართლობა, რომელიც არსებობის შემთხვევაში გულგატეხილობას ქმნის და პროდუქტიულობასა და ორგანიზაციაში დარჩენაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ადამიანები, რომლებიც მგრძნობიარეები არიან უსამართლობისადმი, სტატუსში შეუსაბამობამ მათ სამსახურით კმაყოფილების დონეზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

ორგანიზაციის სტრუქტურა - გასათვალისწინებელი ფაქტორია სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას, რადგან საკუთარ თავში აერთიანებს ბევრ იმ ასპექტს, რომელზეც ზევით გვქონდა საუბარი.

ორგანიზაციის სტუქტურა ამცირებს ბუნდოვანებას ორგანიზაციაში, ურთიერთობებს ანიჭებს მკაფიოობას, ის დაქირავებულების ქცევებს აყალიბებს, ხელს უწყობს და მოტივაციას აძლევს მუშაობის დონის ამაღლებაში. ის ასევე ზღუდავს დაქირავებულებს, რადგან ის საზღვრებში აქცევს და აკონტროლებს მათ ქმედებას. მაგალითად, ორგანიზაცია დაქირავებულებს მცირე ავტონომიას აძლევს, როცა ის აგებულია ფორმალიზაციისა და სპეციალიზაციის მაღალი დონეების, ინსტანციების

ჯაჭვის, ძალაუფლების შეზღუდული დელეგირებისა და კონტროლის ვიწრო სფეროს გარშემო. ასეთ ორგანიზაციებში კონტროლი მკაცრია, ქცევა კი ოდნავ ცვლილებას განიცდის. პირიქით, ორგანიზაცია, რომელიც აგებულია შეზღუდული სპეციალიზაციის, დაბალი ფორმალიზაციის, კონტროლის ფართო არეალის გარშემო, დაქირავებულებს დიდ თავისუფლებას აძლევს და ამგვარად ეს ორგანიზაცია ქცევის ძლიერი მრავალფეროვნებით ხასიათდება და შესაბამისად ბევრად მაღალია შანსი სამსახურით მეტად კმაყოფილი პერსონალის არსებობისა. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

იმის გათვალისწინებით, რომ თანამშრომლებისათვის ღირებულია გადაწყვეტილებების პროცესში ჩართვა, საკუთარი თავის რეალიზება და გამოცდა, რთული სამუშაოსათვის თავის გართმევა, აზრის გამოხატვა და დაფიქსირება - ამ ყველაფრის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია ის, ორგანიზაცია ცენტრალიზებულია თუ დეცენტრალიზებული, როგორია ორგანიზაციული მოდელი, ინსტანციების ჯაჭვი, კონტროლის სფერო, ბიუროკრატიულია თუ არა და სხვა. არის თუ არა მოქნილი სამუშაო გრაფიკი, რომლის არსებობამაც შეიძლება მრავალი სარგებელი მოიტანოს : შემცირებული გაცდენები, გაზრდილი პროდუქტიულობა, ზედმეტი სამუშაო საათებით მიღებული დანახარჯის შემცირება, მენეჯმენტის მიმართ არასასიამოვნო დამოკიდებულების შემცირება, დაგვიანების აღმოფხვრა, დაქირავებულების ავტონომიისა და პასუხისმგებლობების ზრდა, რამაც თავის მხრივ, შეიძლება სამსახურით კმაყოფილება გაზარდოს. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

ორგანიზაციული კულტურა - წარმოადგენს იმის ზოგად აღქმას, თუ რას განიცდიან ორგანიზაციის წევრები. ძლიერი ორგანიზაციული კულტურა ამცირებს სამსახურის მიტოვების შესაძლებლობას, ის აყალიბებს წევრებს შორის ძლიერ თანხმობას, ქმნის მიზნის მიმართ ერთსულოვნებას, შეკრულობას, ერთგულებას და ორგანიზაციის მიმართ მოვალეობის გრძნობას, ეს არის ერთგვარი „სოციალური წებო“, რომელიც თანამშრომლების თანაარსებობას აადვილებს. (სტივენ პ.რობინსი, 2009), ამიტომაც იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციული კულტურა მისაღებია დასაქმებულთათვის და ისინი მას პოზიტიურად აღიქვამენ, ერგებიან და თავს კომფორტულად გრძნობენ

ასეთ ორგანიზაციაში მუშაობით, ბუნებრივია შანსი იმისა, რომ მათი სამსახურით კმაყოფილების დონე გაიზარდოს, მაღალია.

ლიდერობის სტილი და ზოგადად მენეჯმენტი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად შეიძლება იგრძნონ თანამშრომლებმა კმაყოფილება, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია. ერთია ის, თუ როგორ აღიქვამს ზედა მენეჯმენტის დამოკიდებულებას თავად პერსონალი და მეორე ის, თუ რა განზრახვები აქვს თავად მაღალი დონის მენეჯმენტს და რამდენად არის ადეკვატური დამთხვევა ამ ორ შეხედულებას შორის.

სხვადასხვა ქვეყანაში ლიდერობის ღირებულების შემადარებელმა კვლევებმა გამოავლინა, რომ განსხვავება, როგორც ლიდერების, ასევე დაქვემდებარებული წევრების აზროვნებაშია, მაგრამ ხშირად დაქვემდებარებული წევრებისგან მიღებული პასუხები უკეთ აჩვენებს ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებას, ვიდრე ლიდერების პასუხები. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენი უფროსების ქცევებს უკეთესად ვხედავთ, ვიდრე ჩვენს საკუთარს. უფროსის სასურველი და აღქმული ლიდერობის სტილის შესახებ კითხვების გარდა, IBM-ის კვლევისას მენეჯერებსაც სთხოვეს საკუთარი სტილის შეფასება. აღმოჩნდა, რომ მენეჯერების თვითშეფასება ძალიან ჰგავდა იმ სტილს, რომლის დანახვაც მათ თავიან უფროსში სურდათ, მაგრამ საერთოდ არ ასახავდა იმ სტილს, რომელიც მათ დაქვემდებარებულმა თანამშრომლებმა მიანიჭეს. სინამდვილეში, თანამშრომლები მენეჯერს ისე განიხილავდნენ, როგორც მენეჯერი საკუთარ უფროსს. (ჰოფსტედე, 2011)

შესაბამისად კვლევისას მნიშვნელოვანია თავად დაქირავებულების შეფასება, თუ როგორია მათი ზედა რგოლის მენეჯმენტის მმართველობის სტილი და როგორი დამოკიდებულებები ურჩევნიათ თავად დაქირავებულ თანამშრომლებს ორგანიზაციაში.

4. კვლევა

კვლევა ჩატარდა საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულ თანამშრომლებს შორის, ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 20-დან 40 წლის ზემოთ, გამოიკითხა დაახლოებით ოცამდე სტრუქტურაში, 50 რესპონდენტი.
კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ელექტრონული გამოკითხვის გზით. კვლევის ინსტრუმენტად შემუშავებულ იქნა სტრუქტურიზებული კითხვარი დახურული და ღია კითხვებით.

კვლევის მიზანი იყო გამოკვეთილიყო საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულთა სამსახურით კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორები, მათი სუბიექტური შეხედულებები, კმაყოფილების დონე, კონფლიქტების არსებობა და მათი გამომწვევი მიზეზები.

4.1 ეთიკური საკითხები

კვლევა ჩატარდა ყოველგვარი ეთიკური ნორმების დაცვით. რესპონდენტთა კვლევაში ჩართვა მოხდა ნებაყოფლობით, კითხვარში მითითებული იყო კვლევის ამოცანა და მიზნები. რესპონდენტები დაცულნი იყვნენ ფსიქოლოგიური თუ სხვა ფორმის ზიანის მიყენებისგან, რადგან კითხვარი არ იყო მიმართული მათი პირადი ცხოვრების, თუ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებზე, ამდენად რესპონდენტებს არ მოეთხოვებოდათ ღრმად პიროვნული ინფორმაციის გაცხადება/გამოაშკარავება. კითხვარში არ იყო კითხვები, რომლებიც გამოიწვევდა რესპონდენტთა ემოციურ ტრავმას. კითხვარის სპეციფიკა მდგომარეობდა სამსახურის ზოგადი მდგომარეობისა და მათი სუბიექტური შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გამორკვევაში. კვლევა სრულად იცავს რესპონდენტთა ანონიმურობას და კონფიდენციალობას.

4.2 ზოგადი მონაცემები

გამოკითხულთაგან 36% (18) შეადგინა მამრობითმა სქესმა ხოლო 64% (32) მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. ასაკობრივ განსხვავებას, რაც შეეხება უდიდესი წილი 46% - 20-25 წლის ახალგაზრდებზე მოვიდა (იხ.დიაგრამა 2), დაკავებული თანამდებობებიდან ძირითადი ნაწილი იმ თანამშრომლების პასუხებია, რომლებიც უმცროსი ან უფროსი სპეციალისტის სტატუსს ატარებენ (54%).





სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით, გამოკვლეულთა უმეტესობას 2 წლამდე პერიოდი აქვს კონკრეტულ სამსახურში გატარებული (იხ. დიაგრამა 3),



4.3 არსებული გარემო და პირობები

გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ორგანიზაციაში კომფორტული სამუშაო გარემოა და შექმნილია პირობების იმისთვის, რომ თანამშრომლებმა შეძლონ შესასრულებელი სამუშაოსათვის თავის გართმევა. გამოიკვეთა ის, რომ მათ უმეტესობას ან იშვიათად ან საერთოდ არ უწევს დამატებითი საათების გატარება ოფისში, რაც გარკვეულწილად დადებითად აისახა მათ კმაყოფილებაზე (იხილეთ ცხრილი 4).



4.4 ორგანიზაციული კულტურა და კომუნიკაცია

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 12% თვლის, რომ ორგანიზაციის შიდა კორპორატიული კუტურა არ მოსწონთ და არ იზიარებენ მას თანამშრომლები, რაც არც თუ ისე პატარა მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკმაოდ ბევრი სტრუექტურის მონაცემია. მათგან მხოლოდ 52% თვლის, რომ კულტურა მისაღებია თანამშრომლებისათვის. დანარჩენებისთვის სამსახურით კმაყოფილების კოეფიციენტი იკლებს, რადგანაც ორგანიზაციული კულტურა არის „სოციალური წებო“, რომელიც თანამშრომლებს ხელს უწყობს სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაში.

აქედან გამომდინარე იკვეთება ისიც, რომ დაბალი სიმტკიცის ორგანიზაციული კულტურა ხელს უშლის თანამშრომლებს შორის აქტიურ კომუნიკაციას, რაზეც გამოკითხულთა პასუხებიც მეტყველებს, მათგან მხოლოდ 44% ფიქრობს, რომ კომუნიკაცია თანამშრომლებს შორის გამართული და ეფექტურია, 52% კი ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

აქვე მხოლოდ 50% ეთანხმება სრულიად, რომ თანამშრომლებს შორის ურთიერთობა არის პროფესიონალური და ორიენტირებული თანამშრომლობაზე. 44% ნაწილობრივ, ხოლო 6% საერთოდ არ ეთანხმება.

იმას, რომ გარემო ორგანიზაციაში (სტატუსების, თანამდებობების, ხელფასების განაწილება, დამოკიდებულებები, ურთიერთობები და სხვ.) არის სამართლიანი - სრულიად ეთანხმება მხოლოდ 30%, 44% ნაწილობრივ, ხოლო 26%-ისთვის უსამართლოა ეს განაწილება (იხილეთ ცხრილი 5).

გამოკითხულთა 44% თვლის, რომ შეხვედრების სიხშირე ზუსტად შეესაბამება ორგანიზაციის საჭიროებებს. ხოლო მხოლოდ 52% თვლის, რომ თანამშრომლებს აქვთ სტაბილურობის განცდა, 32% ნაწილობრივ ეთანხმება ამას, 16% კი საერთოდ არ ეთანხმება. სტაბილურობის განცდაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სამსახურით კმაყოფილების შეფასებისას, უარყოფითი პასუხები კი ამ კმაყოფილების დონის კლებას იწვევს.



იმას, რომ ორგანიზაციაში არსებობს ეფექტური და ქმედითი სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს მის ეფექტურ მუშაობას, სრულიად ეთანხმება 50%, ნაწილობრივ 44%, ხოლო საერთოდ არ ეთანხმება 6%. ვინაიდან საჯარო სტრუქტურებისათვის სავალდებულოა სამუშაო აღწერილობებისა და დებულებების ქონა 68% ეთანხმება, რომ თანამშრომელთათვის არსებობს შესაბიმისი სამუშაო აღწერილობები, გამოკითხულთაგან 8% არ ეთანხმება ამას.

გამოკითხულთა 58% თვლის, რომ მმართველი ფუნქციები გადანაწილებულია რამდენიმე პირზე და არ არის დამოკიდებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, მხოლოდ ერთ ადამიანზე, 30% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 12% კი თვლის, რომ ეს ასე არ არის.

ჩემთვის საკმაოდ საინტერესო იყო ანაზღაურების ფაქტორი, რადგანაც, როგორც ზევით აღვნიშნე ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორიც არის საქართველო - ანაზღაურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი იქნებოდა სამსახურით კმაყოფილების დონის დადგენისას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ და მხოლოდ 18% თვლის, რომ ანაზღაურება არის დაკავებული პოზიციების შესაბამისი,

ამას ნაწილობრივ 56% ეთანხმება, ხოლო 26% პროცენტი თვლის, რომ განაწილება არასამართლიანია.

ბელგიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით შეგვიძლია ვნახოთ, რომ არასამართლიანი ანაზღაურება უარყოფით გავლენას ახდენს მოტივაციაზე. საკუთარი ანაზღაურებით უკმაყოფილო თანამშრომლები უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი სამსახურის შეცვლისკენ (37%), ვიდრე კმაყოფილი თანამშრომლები (18%). მაგრამ მიუხედავად ანზღაურების მნიშვნელოვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ დათმეს ანაზღაურების ფაქტორი სხვა სარგებლის სანაცვლოდ :

- მაღალი საპენსიო ანაზღაურება (40%)
- განსაკუთრებით საინტერესო სამუშაო (28%)
- სახლთან ახლოს არსებული სამსახური (26%)
- დამატებითი დასვენების დღეები (24%)
- უკეთესი სამსახურის მანქანა (23%)
- უფრო დაცული სამსახური (21%)
- ნაკლები კონტროლი სამსახურში (10%) (Vermandere, 2013)

რესპონდენტებისათვის დასმული შეკითხვა, შეესაბამებოდა თუ არა მათი სამუშაო დატვირთვა და მიღებული ანაზღაურება ერთმანეთს - მათგან მხოლოდ 20% დაეთანხმა, 54% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ შეესაბამებოდა, ხოლო 26% არ ეთანხმება ამას (იხ. ცხრილი 6).



რაც შეეხება ზედა რგოლის მენეჯმენტის ფუნქციონირებას, თანამშრომლების ინიციატივების გაზიარებას და სხვა - შედეგები ასეთი გვაქვს : 52% თვლის რომ ზედა მენეჯმენტი ღიაა ქვემოდან წამოსული ინიციატივებისთვის, 46% ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 2% საერთოდ არ ეთანხმება.

შედარებით რთული ვითარება გამოიკვეთა შესრულებული სამუშაოს დაფასებასა პროფესიული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. 24% თვლის, რომ ზედა რგოლის მენეჯმენტი სათანადოდ ვერ აფასებს მოტივირებულ და აქტიურ თანამშრომლებს, ხოლო პროფესიული ზრდის შესაძლებლობა მხოლოდ 44%-ის შემთხვევაში არსებობს (იხილეთ ცხრილი 7).

კარიერული განვითარებისათვის ობიექტური გარემოს არსებობას მხოლოდ 32% ეთანხმება, 18% კი თვლის, რომ ის არ არსებობს. ასევე სოციალური აქტივობებით დაკავების საშუალებას თანამშრომლებისთვის მხოლოდ 24%-ის შემთხვევაში იძლევიან ორგანიზაციები.



თანამშრომელთა თვითშეფასების შემოწმებისას აშკარად გამოიკვეთა, რომ მათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა ნამდვილად მაღალი აქვთ. 78% თვლის, რომ მას გააჩნია ყველა საჭირო უნარი დაკისრებული საქმის შესასრულებლად, 84% თვლის, რომ შეუძლია ნებისმიერ სირთულეს თავი გაართვას, 66% ადვილად ეგუება სიახლეებს და ცვლილებებს.

გნმეორებითი კითხვის დროს, აღნიშნავენ და აფასებენ თუ არა კარგად შესრულებულ საქმეს - უფრო მეტმა რესპონდენტმა დააფიქსირა, რომ აფასებენ.

ამ ორი კითხვის ფორმულირება განსხვავედებოდა პირადი და ზოგადი გამოცდილების გაზიარების კუთხით :





დიაგრამა 9

დიაგრამა 8

როგორც დიაგრამა 8 და 9-დან ჩანს, აშკარა განსხვავებაა ზოგად ფორმულირებასა და პირადი გამოცდილების განხილვის შემთხვევაში, გამოკითხულთა 60% თვლის, რომ მათი კარგად შესრულებული სამუშაო ფასდება და ხდება მისი აღნიშვნა. ეს განსხვავება შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მეორე შემთხვევაში რესპონდენტებმა პასუხისმგებლობა მხოლოდ ზედა მენეჯმენტს არ დააკისრეს და ჩათვალეს თანაბარი სტატუსის თანამშრომლებიც, ან უბრალოდ თვლიან, რომ კონკრეტულად მათი საქმე ფასდება ზოგადად სხვისი კი არა, რაც ზემოთ ხსენებულ არასამართლიან გარემოში შეგვიძლია მივათვალოთ.

სამუშაოს სპეციფიკის ცვლა, განსხვავებულ ამპლუაში თავის მოსინჯვის საშუალება კი 44% აქვს, 46% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო 10% თვლის, რომ ამის შესაძლებლობა არ ეძლევა ორგანიზაციაში.

4.5 გაუმჯობესების შესაძლებლობები

გამოკითხულთა პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ზედა რგოლის მენეჯმენტთან კომუნიკაცია არ უჭირთ თანამშრომლებს და უმეტეს შემთხვევაში იღებენ მათგან იმ დახმარებას, რომელიც სჭირდებათ.

46% თვლის, რომ საკუთარი სტატუსის შესაბამისად ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, 40% ნაწილობრივ, ხოლო 8% საერთოდ არ არის ჩართული.

კითხვაზე, თუ რა ფაქტორების გათვალისწინება არის საჭირო მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ ეს არის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რეიტინგის მიხედვით მომდევნოა ანაზღაურება, შესაძლო დაწინაურება, მადლობის გამოცხადება და სულ ბოლოს ადექვატური და საჭირო დავალებები (პროცენტული განაწილებისთვის იხილეთ ცხრილი 10).



გამოკითხულთა შეფასებით კარიერული ზრდის შესაძლებლობა არც თუ ისე ხელმისაწვდომია, მათგან მხოლოდ 24% თვლის, რომ ორგანიზაციაში ყველანაირი პირობა არსებობს კარიერული ზრდისათვის და ასევე 24% თვლის, რომ მსგავსი შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს, ხოლო 4% უფრო რადიკალური შეხედულება აქვს და მიიჩნევს, რომ ორგანიზაციაში კარიერული ზრდის შესაძლებლობა საერთოდ არ არსებობს (იხილეთ დიაგრამა 11).



გამოკითხულთა 52% თვლის, რომ ორგანიზაციის საქმიანობა არის ძალიან ეფექტური, ხოლო 2% თვლის, რომ არაეფექტურია. 46%-ისთვის საკუთარი როლი ორგანიზაციაში არის ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო მხოლოდ 2% თვლის, რომ უმნიშვნელოა.

ზედა მენეჯმენტის მართვა 42%-ისთვის არის ეფექტური, ძალიან ეფექტურია 38%-ისთვის, ხოლო 6% თვლის, რომ ის არაეფექტურია.

კითხვარში დაფიქსირებული პასუხების შესაბამისად - მნიშვნელოვნების მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ასე გამოიყურება :


ცხრილი 12
50
45
40
35
30
25
20
15
10
5
0
43
41
41
45
39
35
34
39
40
28
28
26
13
13
10
8
15
15
12
10
8
6
8
8
3
2
2
1
1
1
1
1
0
0
0
0
0
0
1
1
1
1
1

4.6 კონფლიქტები

კვლევის გარკვეული ნაწილი ეთმობოდა იმას, თუ რამდენად თვლიან რესპონდენტები, რომ მათ ორგანიზაციაში არსებობს კონფლიქტები და მათი აზრით რომელი ფაქტორებია უფრო მნიშვნელოვანი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დადგენისას.

გამოკითხულთა 50% თვლის, რომ ორგანიზაციაში არ არის **დესტრუქციული** სახის კონფლიქტები, 36% თვლის, რომ ნაწილობრივ არის, ხოლო 14% თვლის, რომ ორგანიზაციაში ნამდვილად არსებობს ამ სახის კონფლიქტი.

ხოლო კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში ის, რომ მათი მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით - 54% ეთანხმება (იხილეთ ცხრილი 13 და 14).





შესაბამისად ჩანს, რომ დესტრუქციული სახის კონქლიტები არ გვხვდება, მაგრამ ნებისმიერი სახის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მათი მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით.

კვლევისას ასევე ყურადღება გავამახვილე იმაზე, თუ რომელ ფაქტორებს მიიჩნევენ რესპონდენტები ყველაზე მნიშვნელოვნად კონფლიქტების წარმოქმნისას.

შედეგები ასეთია :



როგორც ცხრილიდან ჩანს გამოკითხულთა აზრით, არასამართლიანი გარემო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კონფლიქტების წარმოქმნისას. თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ხელფასების განაწილება, სამუშაო გარემო, ურთიერთდამოკიდებულებები იყოს ჯანსაღი და სამართლიანი.

რესპონდენტებმა არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ლიდერობის მართვის სტილი, რომელიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი განწყობა და დამოკიდებულებები ექნებათ დაქირავებულებს, როგორც ზედა რგოლის მენეჯმენტისა და თანამშრომლების, ისე ზოგადად საკუთარი ორგანიზაციის მიმართ. ამიტომაც ამ ფაქტორს საკმაოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მენეჯერების მხრიდან.

როგორც აღმოჩნდა ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვნად ჯილდოსათვის ბრძოლა და თანამშრომლების კომპეტენციის არ ქონა მიიჩნიეს.

კომუნიკაციაც რეიტინგულად მნიშვნელოვან ფაქტორებში მოხვდა, რადგანაც სამუშაო გარემოს, ურთოერთობებს, ინფორმაციის გაცვლას, ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას ნამდვილად უზრუნველყოფს გამართული კომუნიკაცია, მისი არარსებობის შემთხვევაში კი ძალიან ბევრი პრობლემა იყრის თავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმაციული ვაკუუმის დროს მეტია შანსი იმისა, რომ კონფლიქტები წარმოიშვას და ვერ მოხდეს ინფრომაციის სწორად და დროულად გადაცემა, რაც ნამდვილად საკმაოდ დიდი რისკების შემცველია.

ამიტომაც ლიდერობის სტილთან ერთად, გამართული კომუნიკაცია ნამდვილად არის ის ფაქტორები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზედა რგოლის მენეჯერების მიერ.

სამსახურით უკმაყოფილებაც სტაბილურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რესპონდენტებისათვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძირითადი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები საბოლოო ჯამში სამსახურით უკმაყოფილებას იწვევს - თითოეულ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს ბოლოს მაინც სამსახურით უკმაყოფილებასთან მივყავართ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ გამოკითხულთა მიერ სწორად იქნა დასმული აქცენტები და მათი მიმართულება ლოგიკურია, ამ ფაქტორების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციაში არ იქნება სამართლიანი გარემო, ეფექტური კომუნიკაცია, მისაღები მმართველობის ტიპი, თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო, შესაბამისი სამუშაო პირობები და ორგანიზაციული კულტურა - საკმაოდ დიდი შანსია იმისა, რომ ამან გამოიწვიოს სამსახურით უკმაყოფილება და საბოლოო ჯამში დესტრუქციულ კონფლიქტებამდე მიიყვანოს ორგანიზაცია.

4.7 მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები

კვლევისას რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ 3 ფაქტორი რომელიც აამაღლებდა მათ მოტივაციასა და გაზრდიდა შესასრულებელი სამუშაოს ეფექტურობას. მიღებულ რეკომენდაციებში ნამდვილად საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა.

ანაზღაურების გაზრდა კვლავ ლიდერობდა ჩამონათვალში, მაგრამ მიუხედავად ამისა მათთვის სხვა ფაქტორებიც არანაკლებ მამოტივირებელი აღმოჩნდა. კარიერული ზრდის კუთხით, როგორც ჩანს ჩვენ საჯარო სექტორში მომუშავე თანამშრომლებისათვის კარიერული ზრდის შესაძლებლობები საკმაოდ პრობლემური საკითხია. მათ ჩამონათვალში ასევე გაიჟღერა სურვილმა, რომ არსებობდეს კარიერული განვითარების სტრუქტურა, რომელიც შეუქმნიდა რეალურ წარმოდგენას დაქირავებულებს, თუ რა საფეხურების გავლა დასჭირდებათ იმისთვის, რომ დაწინაურება შეძლონ და წინ წაიწიონ თანამდებობრივად.

სასურველი იყო ასევე უკეთესი სამუშაო პირობები, მოქნილი სამუშაო განრიგი, საჭირო ახალი კადრების დამატება და ეფექტური მენეჯმენტი.

ჩამონათვალში საკმაოდ რეიტინგული აღმოჩნდა მადლობის გამოცხადებაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ფაქტორები მანამდე წინა პლანზე იყო წამოწეული,

მოტივაციის ასამაღლებლად სამსახურში მადლობის გამოცხადება მაინც საჭირო და სასურველია. ასევე სასურველია გარკვეული წახალისებები, მეტი ინოვაციები და მათი დანერგვა. თანამშრომლებს აშკარად აკლიათ საკუთარი შრომის დაფასების შემთხვევები და თვლიან, რომ მოტივაციის ამაღლებისათვის ესეც აუცილებელია.

რეკომენდაციებში ასევე იყო დაზღვევაც და სავარჯიშო დარბაზები, ანუ ის სოციალური აქტივობები, სადაც თანამშრომლებს საკუთარი ენერგიის დახარჯვის და არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება ექნებათ, რაც საბოლოო ჯამში მათ შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან რეკომენდაციებში თანამშრომლებთან ჯანსაღი ურთიერთობებიც ასევე მოტივაციის ასამაღლებელ ერთ-ერთ მიზეზად გამოიკვეთა.

გადამზადებაც საკმაოდ ხშირად იყო ნახსენები. როგორც ჩანს დღეს საჯარო სექტორში პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობებია, არადა რეალურად საკმაოდ მოთხოვნადი. დაქირავებულებს აქვთ სურვილი და მონდომება უფრო დაიხვეწონ საკუთარ პროფესიაში და შეძლონ უნარების გაღრმავება და განვითარება.

მოტივაციის შესაქმნელად თანამშრომლებისათვის ლიდეორბის სტილი და მენეჯმენტის მართვის თავისებურებები - ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. როგორც ზედა დახურულ კითხვებში გამოჩნდა, რომ ლიდერობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, ღია კითხვებში მათ თავადაც აღნიშნეს, რომ ის, თუ როგორ ექცევა მათ დამქირავებელი, უფროსი, თუ ლიდერი - საკმაოდ მოქმედებს დაქირავებულის მოტივაციასა და მის სამსახურით კმაყოფილებაზე.

შესაბამისად ახალი ინიციატივების მიღება და მათი იმპლემენტაცია მოტივაციას უმაღლებს დაქირავებულებს და ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობაც ერთი-ორად ზრდის მათ დადებით დამოკიდებულებას როგორც ზედა რგოლის მენეჯმენტის, ისე მთლიანად ორგანიზაციის მიმართ.

როგორც წესი საჯარო სამსახური საკუთარი ბიუროკრატიითა და გარკვეული მკაცრი წესებით ხასიათდება, სადაც ძირითადად განსაზღვრულია ნებისმიერი მოქმედება და თავისუფლად ლავირების საშუალება არ ეძლევათ დაქირავებულებს. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ კვლევისას რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ „მეტი დამოუკიდებლობა“. ფაქტია, რომ თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული თავისუფლების ქონა, დამოუკიდებლად საქმის კეთება, გადაწყვეტილებების მიღება, ნაკლები კონტროლი და სტრესისგან თავისუფალი გარემო. მათთვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი გამოწვევების ქონის

შესაძლებლობა, მეტი ჩართულობა, რაც საკუთარი მნიშვნელობის გააზრებას გულისხმობს.

ასევე ნახსენები იყო პირადი მოტივაციაც, რაც უფრო პროაქტიული ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც გარე მოტივატორებს არ ეძებენ და ცდილობენ თავად შეიქმნან განწყობა, რომელიც მათ საერთო მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საბოლოო ჯამში კვლევამ მოიცვა თითქმის ყველა ასპექტი, რომელიც სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას იქნებოდა საჭირო. კარგად გამოიკვეთა ის ღირებულებები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია დღეს საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისათვის, ასევე კარგად გამოიკვეთა ის, თუ რა პირობების დაკმაყოფილებაა საჭირო იმისთვის, რომ ამაღლდეს მათი სამსახურით კმაყოფილების დონე.

4.8 ლიდერობის სტილები

როგორც აღვნიშნეთ, ზედა რგოლის მენეჯმენტის მართვის სტილი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია სამსახურით კმაყოფილების განსაზღვრისას, ამიტომაც მინდა ეს მიმართულება უფრო მკაფიოდ გამოვყო და მეტი ვისაუბრო ლიდერობის სტილზე და პარალელურად იმ ასპექტზე, რომელიც კვლევისას გამოიკვეთა.

მმინდა განვიხილო ლიდერობის ორი სტილი : ქარიზმატული ლიდერობა და ტრანსფორმაციული ლიდერობა.

ქარიზმატული ლიდერობა - პირველი მკვლევარი, რომელმაც ქარიზმატული ლიდერობა განიხილა ორგანიზაციული ქცევის თვალსაზრისით, იყო რობერტ ჰაუსი. მისი „ქარიზმატული ლიდერობის თეორიის“ მიხედვით, დაქვემდებარებული პირები, როცა ლიდერის გარკვეულ ქცევას აკვირდებიან, მას ლიდერობის გმირულ ან არაორდინალურ თვისებებს მიაწერენ. რამდენიმე კვლევა ეცადა, ქარიზმატული ლიდერის თვისებები განესაზღვრა. ლიდერობაზე არსებული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მიმოხილვაში აღნიშნულია 4 ასეთი ნიშან-თვისება : ხედვა, პირადი რისკის გაწევა ამ ხედვის მისაღწევად, მომხრეთა საჭიროებებზე რეაგირება და უჩვეულო ქცევების გამოვლენა.

მისი უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ სამწუხაროდ ქარიზმატული ლიდწერები, რომლებიც ძალიან მიმზიდველები არიან, ყოველთვის არ მოქმედებენ ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად.

ერთ-ერთმა კვლევამ 29 კომპანიის შესახებ, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს, გვაჩვენა, რომ ამ კომოანიებში არ იყვნენ საკუთარი ეგოთი მართული ქარიზმატული ლიდერები. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის ლიდერი არ იყოს მხოლოდ საკუთარ საჭიროებებსა და ინტერესებზე მიმართული. მსგავსი ტიპის ლიდერობა ორგანიზაციისათვის საზიანოა და მისი საქმიანობა არაეფექტური.

ტრანსფორმაციული ლიდერობა - კვლევის მეორე მიმართულება ტრანსფორმაციულ ლიდერს ქარიზმატულისაგან განასხვავებს. ტრანსფორმაციული ლიდერები შთააგონებენ და მოტივაციას აძლევენ თავიანთ დაქირავებულებს. ისინი ქმნიან განწყობას, რომ თანამშრომლებმა ორგანიზაციის კეთილდღეობა ამჯობინონ თავიანთ ინტერესებს. მათ შეუძლიათ თავიანთ მომხრეებზე ძლიერი და განსაკუთრებული გავლენის მოხდენა.

ტრანსფორმაციული ლიდერები შემდეგი თვისებებით ხასიათდებიან :

- ისინი ყურადღებით ეკიდებიან თითოეული დაქვემდებარებული პირის ინტერესებსა და განვითარების საჭიროებებს.
- ისინი ცვლიან დაქვემდებარებული პირების ცოდნას გარკვეული საკითხების შესახებ, რადგან მათ ეხმარებიან, რომ ძველ პრობლემებს ახლებურად შეხედონ.
- მათ შეუძლიათ დაქვემდებარებული პირების აღელვება, აღფრთოვანება და შთაგონება, ჯგუფის მიზნების მიღწევაში მეტი შთაგონების ჩადება.

ამგავრი სტილის ლიდერების დაქვემდებარებულმა პირებმა შეიძლება უფრო მეტად მიაღწიონ ამბიციურ მიზნებს, გაეცნონ და დათანხმდნენ ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებს და დაიჯერონ, რომ ეს მიზნები მათთვის პიროვნულადაა მნიშვნელოვანი. ასევე მსგავსი ლიდერობა ქმნის დაქვემდებარებულ პირთა ერთგულებას და მათი ლიდერისადმი უფრო დიდ ნდობას უნერგავს.

გამოკვლევების მიმოხილვამ, რომლებიც ტრანსფორმაციულ ლიდერობას აფასებდნენ, დაადასტურა, რომ ის დაკავშირებული იყო მომხმარებელთა მოტივაციასა და კმაყოფილებასთან და ასევე, ლიდერების უფრო მაღალ ქმედითობასა და აღქმულ ეფექტურობასთან. (სტივენ პ.რობინსი, 2009)

ამ ორი მაგალითის განხილვისას შეგვიძლია აშკარად დავინახოთ, რომ ტრანსფორმაციული სტილის ლიდერობა მეტად არის ორიენტირებული თანამშრომლებსა და მათ საჭიროებებზე. შესაბამისად მისი არსებობა ორგანიზაციაში უზრუნველყოფს სამსახურით კმაყოფილების დონის ზრდას.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ჩვენს საჯარო სექტორში ლიდერობის სტილები სხვა ფაქტორებთან შედარებით უფრო დამაკმაყოფილებელია. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კულტურული თავისებურებები მოიცავს ადამიანთა შორის უშუალო და ხშირ კომუნიკაციას და ჩვენი საზოგადოება არ არის ცივი და უკონტაქტო - ეს ფაქტორი დადებითად აისახა ორგანიზაციაში ზედა და ქვედა მენეჯმენტის კომუნიკაციაზე.

როგორც კვლევის შედეგებიდან ვხედავთ ქვედა რგოლის მენეჯმენტს მეტ-ნაკლებად აქტიური კომუნიკაცია აქვს ზედა რგოლი მენეჯმენტთან და ხშირად იღებს მისგან საჭირო დახმარებას, რაც ერთის მხრივ ტრანსფორმაციული ლიდერობის შტრიხებს შეიცავს. უკუკავშირის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამსახურით კმაყოფილების მაღალი დონის არსებობისათვის, ამიტმაც საჯარო სამსახურში მსგავსი კულტურის არსებობა ნამდვილად უწყობს ხელს ამ დონის შენარჩუნებას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ის, რომ დაქირავებულების უმეტესობა მეტ დამოუკიდებლობას ითხოვს, სამსახურში ლავირების მეტ საშუალებას, ნაკლებ კონტროლსა და გადაწყვეტილებების მიღებაში მეტად ჩართულობას - უფრო ქარიზმატული, ერთპირონული ლიდერობისაკენ მივყავართ. ასევე იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხდება თანამშრომლების კარგად შესრულებული სამუშაოს დაფასება და აღნიშვნა - ასევე ამცირებს სამსახურით კმაყოფილების დონეს.

თანამშრომლები ლიდერებისაგან ასევე მოელიან, რომ ისინი უფრო ღია იქნებიან ახალი ინიციატივებისა და ინოვაციებისათვის. მთავარი მხოლოდ ის არ არის, რომ ინფორმაციულ დონეზე მიეწოდებოდეს ზედა მენეჯმენტს ახალი იდეები, არამედ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მათი განხორციელება. ეს მეტად გაზრდის დაქირავებულების მოტივაციას, მათ მნიშვნელობას ორგანიზაციის საქმიანობაში და ასევე შეუქმნის დადებით განწყობებს, როგორც ლიდერების, ასევე ორგანიზაციის მიმართ.

ამ ფაქტორების გათვალისწინება ნამდვილად პროდუქტიული იქნება ორგანიზაციების მმართველი მენეჯმენტის წამომადგენლებისათვის.

5. დასკვნა

ნაშრომში განხილულია, ორგანიზაციული კონფლიქტები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამომწვევი მიზეზები და მისი პრევენციის გზები.

ლიტერატურის მიმოხილვამ მოგვცა საშუალება კარგად ჩავწვდომოდით ცნებას, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს სამსახურით კმაყოფილება და მისი არ არსებობის შემთხვევაში რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს ორგანიზაცია.

ჩატარებული კვლევა კი იყო ერთგვარი დამადასტურებელი იმისა, თუ რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი საქართველოს საჯარო სექტორისათვის სამსახურით კმაყოფილების დონის განსაზღვრისას, რა ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას და ზოგადად როგორი ვითარებაა საჯარო სექტორში დასაქმებული თანამშრომლების სამსახურით კმაყოფილების კუთხით.

მინდა რამდენიმე ფაქტორზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც კვლევის შედეგებმა დამანახა და რომელსაც შეიძლება საკმაო გავლენა ჰქონდეს საჯარო სექტორის დამოკიდებულებების შეფასებისას.

პირველ რიგში შედეგებმა დამანახა, რომ უნარებისა და თვითშეფასების კვლევისას დაქირავებულებს საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ. მათი თვითშეფასება საკმაოდ მაღალია და საკუთარი უნარების შესახებ საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვთ. შესაბამისად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს სამსახური უფრო საინტერესოდ მიაჩნიათ და ამას უფრო მეტი კმაყოფილება მოსდევს.

აგრეთვე ორგანიზაციული ქცევის შეფასებისას იმ სამ დამოკიდებულებას თუ შევაჯამებთ - სამსახურით კმაყოფილებას, სამსახურში ჩართულობას და ორგანიზაციისადმი ერთგულებას, ქართულ საჯარო სივრცეში გარკვეულ უკმაყოფილებას მაინც შევხვდებით. მართალია ეს სამი ფაქტორი საინტერესო სამსახურის არსებობას უზრუნველყოფს, მაგრამ ამ კუთხით საჯარო სექტორი ვერ არის კონკურენტუნარიანი, ბაზარზე არსებულ სხვა სამსახურბთან შედარებით. ჩართულობის კუთხით პრობლემები გამოიკვეთა კვლევისას და ასევე სამსახურით კმაყოფილებისათვის საჭირო ყველა კომპონენტი ვერ არის დაკმაყოფილებული, რაც საბოლოო ჯამში ორგანიზაციისადმი ერთგულებასაც ამცირებს. აქედან გამომდინარე ეს სამი კომპონენტი ნამდვილად ვერ ქმნის იმ ჯაჭვს, რომელიც საინტერსო და სასიამოვნო სამუშაო გარემოს არსებობას უზრუნველყოფს.

სამსახურით კმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რომელზეც ყველაზე სენსიტიური რეაგირება მოახდინეს რესპონდენტებმა, იყო სამართლიანი სამუშაო გარემო. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ საჯარო სექტორი არსებული ვითარებით ნამდვილად ვერ იამაყებს. ძალიან ბევრმა დააფიქსირა, რომ ორგანიზაციებში არ არის თანაბარი გარემო პირობები და სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება. ასევე, კონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად სწორედ ეს ფაქტორი დასახელდა. შესაბამისად კონფლიქტების პრევენციისას აუცილებელია, რომ პირველ რიგში ამ ფაქტორზე მოხდეს რეაგირება. შეფასდეს რამდენად არის, თუ არ არის გარემო სამართლიანი, რა დამოკიდებულებები და პირადი შეხედულებები აქვთ დაქირავებულებს. თუ მათი შეფასებები უარყოფითია, ეს უკვე უნდა გახდეს ზედა რგოლის მენეჯმენტისთვის ნიშანი, რომ სწრაფად დაიწყონ ამ ვითარების შეცვლა და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. უსამართლობის გრძნობით გამოწვეული კონფლიქტი ნამდვილად არ იქნება კონსტრუქციული ხასიათის ორგანიზაციისათვის და შეიძლება საკმაოდ საშიშიც გახდეს.

ამ ფაქტორებთან ერთად კიდევ ერთხელ მინდა გამოვყო ლიდერობის სტილი, რომელიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს სამსახურით კმაყოფილებაზე. კვლევის შედეგებიდანაც დავინახეთ, რომ ზედა მენეჯმენტთან კარგი საქმიანი ურთიერთობის არსებობა არის ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლებისათვის. შესაბამისად სანამ სხვა გარე ფაქტორების მონიტორინგი მოხდება - აუცილებელია, რომ მოხდეს მმართველობის სტილის შეფასება, ორგანიზაციული სტრუქტურის ადაპტირება მოთხოვნების შესაბამისად, ნაკლები ბიუროკრატიული მექანიზმების არსებობა და უფრო მოქნილი სამუშაო გარემოსა და პირობების შეთავაზება, რომელთა მნიშვნელოვნებაც კვლევის შედეგებიდან ნათლად გამოიკვეთა. ჩემი რეკომენდაციაა, რომ საჯარო სექტორის ლიდერობის სტილი უფრო მეტად მიმართული გახდეს ტრანსფორმაციული ლიდერობის სტილისკენ, რომელიც უფრო მეტადაა ორიენტირებული თანამშრომლების საჭიროებებზე და უფრო მეტად უწყობს ხელს მათი კმაყოფილების ზრდას.

კიდევ ერთი პრობლემური ფაქტორი, რომელიც ყველაზე ხშირად დასახელდა იყო ანაზღაურება, რომელიც აშკარად არ არის დასაქმებულთა მოთხოვნების შესაბამისი. ამან შეიძება ძალიან შეამციროს სამსახურით კმაყოფილების დონე, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტებისა და სამსახურის დატოვების მიზეზიც გახდეს.

რომ არ მოხდეს აღნიშნული ასპექტების განხილვა ხელმეორედ, ნაშრომში განხილული თითოეული ფაქტორი არის დასაფიქრებელი და გასათვალისწინებელი, როდესაც ორგანიზაციაში კონფლიქტების არსებობის შეფასება ხდება, ან ხდება იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის თანამშრომლებს შორის სამსახურით კმაყოფილების მაღალი დონე.

ორგანიზაციის ქმედითობისა და პროდუქტიულობის გაზრდისთვის აუცილებელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებას მიექცეს შესაბამისი ყურადღება და დასაწყისშივე მოხდეს რისკებისა და საფრთხეების შეფასება. იმ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც კვლევის შედეგად რესპონდენტებმა გამოყვეს - ზედა რგოლის მენეჯმენტი შეძლებს დესტრუქციული სახის კონფლიეტქბის შეჩერებას, მის აღმოჩენას და პრევენციას საწყის ეტაპზევე, ხოლო კონსტრუქციული სახის კონფლიქტები საჭირო და აუცილებელიც კია ორგანიზაციის განვითარებისათვის.

6. გამოყენებული ლიტერატურა

Bibliography

Armenakis, A. B. (1981). A Path-Analitic Study of die Consequences of Role Conflict and Ambiguity. *Academy of Management Journal* , 417-24.

Ginka Toegel, J.-L. B. (2016). How to Preempt Team Conflict. *Harvard Business Review* , 78–83.

Ginka Toegel, J.-L. B. (2016). How to Preempt Team Conflict. *Harvad Business Review* , 78–83.

Harris, J. (2004). *Measured Intelligence, Achivement, Openness to Expirience and Creativity.*

J.A. LePine, J. C. (2000). *Personnel Psycology, Adaptability to Changing Task Contexts: Effects of General Cognitive Ability, Conscientiousness, and Openness to Expirience.*

J.K Harter, E. S. (2002). Business Unit Level Relationship Between Employee Engagement and Business Outcomes: A Meta-Analysis. *Journal of Applied Psycology* , 268-79.

Shaw, M. E. (1971). *Group Dinamics* .

Vermandere, C. (2013). Pay and income. *EurWORK* , https://www.eurofound.europa.eu/observatories/eurwork/articles/impact-of-salary-on-job-satisfaction.

სტივენ პ.რობინსი, ტ. ა. (2009). *ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჰოფსტედე, გ. ჰ. (2011). *კულტურები და ორგანიზაციები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

7. დანართი

დანართში მოცემულია ჩატარებული კვლევისას გამოყენებული კითხვარი

დანართი 1. **რაოდენობრივი კვლევის კითხვარი**

სამაგისტრო ნაშრომის თემა „სამსახურით კმაყოფილება, როგორც კონფლიქტების პრევენციის ერთ-ერთი გზა საჯარო სამსახურში“

კვლევის მიზანია სააგენტოს თანამშრომლებს შორის სამსახურით კმაყოფილების დონის განსაზღვრა

I. ზოგადი ინფორმაცია

1.1	სქესი	1. მდედრობითი 2. მამრობითი
1.2	ასაკი	1. 20-25 2. 26-29 3. 30-39 4. 40 წელს ზევით
1.3	პოზიცია ორგანიზაციაში	1. დეპარტამენტის უფროსი 2. სამსახურის/სამმართველოს უფროსი 3. უმცროსი / უფროსი სპეციალისტი
1.4	რამდენი წელი მუშაობთ ცენტრში?	1. 2 წლამდე 2. 2-დან 5 წლამდე 3. 5 წელზე მეტი

II. არსებული გარემო და პირობები

		სრულიად ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
	სამუშაო გარემო და პირობები			
1.	სააგენტოში არის კომფორტული სამუშაო გარემო, კარგად აღჭურვილი ოფისი და ყველა სათანადო პირობა (გათბობა, ავეჯი და ა.შ.)	1	2	3
2.	სამუშაო გრაფიკი არის სრულიად მისაღები და ადეკვატური.	1	2	3
3.	ხშირად მიწევს დამატებითი სააათების გატარება ოფისში.	1	2	3
	ორგანიზაციული კულტურა და კომუნიკაცია			
4.	ორგანიზაციის შიდა კორპორატიული კულტურა (ქცევის ნორმები, ტრადიციები და სხვა) ძირითადად მოსწონთ და იზიარებენ მას თანამშრომლები.	1	2	3
5.	თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა არის გამართული და ეფექტური	1	2	3
6.	თანამშრომლებს შორის ურთიერთობა არის პროფესიონალური და ორიენტიერებულია თანამშრომლობაზე	1	2	3
7.	ორგანიზაციაში არსებობს კონფლიქტები, რომლებიც ხელს უშლის სააგენტოს ეფექტურ მუშაობას	1	2	3
8.	კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში, მათი მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით	1	2	3

9.	ვთვლი, რომ გარემო ორგანიზაციაში (სტატუსების, თანამდებობების, ხელფასებია განაწილება, დამოკიდებულებები, ურთიერთობები და სხვ.) არის სამართლიანი.	1	2	3
10.	შეხვედრებისა და თათბირების სიხშირე ზუსტად შეესაბამება სააგენტოს საჭიროებებს	1	2	3
11.	სააგენტოში თანამშრომლებს აქვთ სტაბილურობის განცდა.	1	2	3
	ადმინისტრირება			
12.	სააგენტოში არსებობს ორგანიზაციის ეფექტური და ქმედითი სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს მის გამართულ მუშაობას	1	2	3
13.	ყველა პოზიციისათვის არსებობს სამუშაო აღწერილობები, რომელიც განსაზღვრავს პირის შესაბამის პასუხისმგებლობას	1	2	3
14.	ორგანიზაცია **არ არის** დამოკიდებული მხოლოდ ერთ ადამიანზე, მმართველი ფუნქციები განაწილებულია რამოდენიმე პირზე	1	2	3
15.	ანაზღაურება არის პოზიციების შესაბამისი	1	2	3
16.	გასული ერთი წლის განმავლობაში ჩემი სამუშაო დატვირთვა და პირობები შეესაბამებოდა მიღებულ ანაზღაურებას	1	2	3
	მოტივაცია			
17.	ზედა რგოლის მენეჯმენტი ღიაა დაქვემდებარებული თანამშრომლებისგან წამოსული ინიციატივებისათვის	1	2	3
18.	ზედა რგოლის მენეჯმენტი ხედავს და სათანადოდ აფასებს მოტივირებულ და აქტიურ თანამშრომლებს	1	2	3
19.	თანამშრომლებს აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა	1	2	3
20.	სააგენტოში არსებობს კარიერული განვითარების ობიექტური გარემო	1	2	3

21.	ორგანიზაცია თანამშრომლებს უქმნის პირობებს თანამშრომლები დაკავდნენ სოციალური აქტივობებით (სპორტით, ვარჯიშით, განტვირთვის სხვადასხვა საშუალებებით)	1	2	3
	უნარები			
22.	ჩემი შესაძლებლობები აბსოლიტურად შეესაბამება დაკისრებული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარებს	1	2	3
23.	ვთვლი, რომ ნებისმიერ დაკისრებულ საქმეს, ან სირთულეს შემიძლია თავი გავართვა	1	2	3
24.	ორგანიზაციაში ხედავენ და აღნიშნავენ ჩემ მიერ კარგად შესრულებულ საქმეს	1	2	3
25.	ადვილად ვეგუები სიახლეებს და ცვლილებებს ორგანიზაციაში	1	2	3
26.	არსებულ ორგანიზაციაში მე მეძლევა საშუალება დროთა განმავლობაში ვაკეთო ახალი საქმე, შევეჭიდო გამოწვევებს და ახალ ამპლუაში მოვსინჯო საკუთარი თავი	1	2	3

III. გაუმჯობესების შესაძლებლობები

რამდენად ჩართული ხართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თქვენი პოზიციისა და ფუნქციების შესაბამისად?

სრულიად ჩართული ვარ;
ნაწილობრივ ჩართული ვარ;
არ ვარ ჩართული
მიჭირს პასუხის გაცემა

როგორ შეაფასებდით კომუნიკაციას ხელმძღვანელობასთან?

1. ძალიან ეფექტური
2. მეტ-ნაკლებად ეფექტური
3. არაეფექტური
4. მიჭირს პასუხის გაცემა

3. საჭიროების შემთხვევაში მაქვს პირადი კომუნიკაცია ზედა რგოლის მენეჯერებთან

ყოველთვის
იშვიათად
თითქმის არ მაქვს
საერთოდ არ მაქვს

4. რა სიხშირით იღებთ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელების მხრიდან ?

ყოველთვის ვიღებ შესაბამის დახმარებას;
უმეტეს შემთხვევაში ვიღებ შესაბამის დახმარებას;
უმეტეს შემთხვევაში ვერ ვიღებ შესაბამის დახმარებას;
არასდროს

5. რა ფაქტორების გათვალისწინება არის საჭირო მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის . (მოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი)

ანაზღაურების გაზრდა;
კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;
შესაძლო დაწინაურების თვალსაჩინო სისტემა;
4. მადლობის გამოცხადება
სხვა, მიუთითეთ_____

6. როგორ შეაფასებდით კარიერული ზრდის შესაძლებლობებს?

1. სააგენტოში არსებობს ყველანაირი შესაძლებლობა კარიერული ზრდისათვის;
2. სააგენტოში ნაწილობრივ არის გარემო კარიერული ზრდისათვის;
3. თითქმის არ არის კარიერული ზრდის შესაძლებლობა;
4. სააგენტოში არ არის კარიერული ზრდის შესაძლებლობა;

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი	*4 ძალიან ეფექტურიდან - 1 არაეფექტური			
7. თქვენი აზრით სააგენტოს საქმიანობა არის:	4	3	2	1

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი	*4 ძალიან მნიშვნელოვნიდან - 1 უმნიშვნელო

8. ვფიქრობ, რომ ჩემი როლი ორგანიზაციაში არის:	4	3	2	1

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი	*4 ძალიან ეფექტურიდან - 1 არაეფექტური			
9. ჩემი აზრით ორგანიზაციის ადმინისტრაციული მართვა არის:	4	3	2	1

10. გთხოთ დაასახელოთ 3 ძირითადი ფაქტორი, რაც გაზრდიდა შესასრულებელი სამუშაოს ეფექტიანობას და აამღლებდა თქვენს მოტივაციას.

	1	
	2	
	3	

11. გთხოვთ მიუთითოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის თითოეული ფაქტორი. (შეაფასეთ 4 ბალიანი სკალით, სადაც 4 ნიშნავს მნიშვნელოვანია, ხოლო 1 უმნიშვნელო)

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი		*4 მნიშვნელოვანიდან - 1 უმნიშვნელო			
1.	სამუშაო გარემო	4	3	2	1
2.	ანაზღაურება	4	3	2	1
3.	სამუშაოს სპეციფიკა	4	3	2	1
4.	სამართლიანობის შეგრძნება	4	3	2	1
5.	სტაბილურობის განცდა	4	3	2	1
6.	აღიარება (ზედა მენეჯმენტის მიერ)	4	3	2	1
7.	ძალაუფლების ქონა / გავლენა	4	3	2	1

8.	დაწინაურება	4	3	2	1
9.	თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა	4	3	2	1
10.	ზედა მენეჯმენტთან კარგი საქმიანი დამოკიდებულება	4	3	2	1
11.	ფულადი ჯილდოს მიღება	4	3	2	1
12.	ჯილდოს მიღება მადლობის სახით	4	3	2	1

12. კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში, თქვენი აზრით რომელი გამომწვევი მიზეზია ყველაზე მნიშვნელოვანი? (შეაფასეთ 4 ბალიანი სკალით, სადაც 4 ნიშნავს მნიშვნელოვანია, ხოლო 1 უმნიშვნელო)

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი		*4 ძალიან მნიშვნელოვანიდან - 1 უმნიშვნელო			
	კარიერისათვის ბრძოლა (დაწინაურება)	4	3	2	1
2.	ჯილდოს მიღებისათვის ბრძოლა	4	3	2	1
3.	არასამართლიანი გარემო (სამუშაოს სპეციფიკა/ანაზღაურება/დამოკიდებულებები და სხვ.)	4	3	2	1
4.	თანამშრომლებისათვის მიუღებელი ორგანიზაციული კულტურა	4	3	2	1
5.	შიდა კომუნიკაციის დაბალი ხარისხი	4	3	2	1
6.	ზედა მენეჯმენტის / ლიდერობის მართვის სტილი	4	3	2	1
7.	თანამშრომლებს შორის საჭირო კომპეტენციის არ არსებობა	4	3	2	1
8.	სამსახურით **უკმაყოფილება**	4	3	2	1
9.	თანამშრომლების პირადი ხასიათი	4	3	2	1

ორგანიზაციების დეტალური ჩამონათვალი, რომელშიც ჩატარდა კვლევა :

1. შემოსავლების სამსახური
2. თავდაცვის სამინისტრო
3. სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
4. იუსტიციის სამინისტრო
5. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
6. სსიპ საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტო
7. სსიპ საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტო
8. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი
9. სსიპ იუსტიციის სახლი
10. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი
11. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
12. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
13. ქ.ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის მერია
14. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
15. თბილისის საქალაქო სასამართლო
16. აღსრულების ეროვნული ბიურო
17. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
18. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Magda Gibishvili

Job Satisfaction, as One Way of Conflict Prevention in Public Service

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Professor: Nodar Belkania

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანუკი აბრამიშვილი

მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზი და მართვა

ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2017

ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში უფრო და უფრო საინტერესო და აქტუალური ხდება დავების გადაწყვეტის ახალი, ალტერნატიული გზების მოძიება და მათი საშუალებით დავაში მონაწილე მხარეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. მას შემდეგ, რაც სხვადასხვა სახელმწიფოები გაეცნენ მედიაციის სისტემას და მიიღეს ინფორმაცია სასამართლოს გვერდის ავლით, ნაკლები ფინანსების და დროის დანახარჯით, კონფლიქტების მოგვარების შესახებ, მათი ინტერესი ამ საკითხისადმი გაორმაგდა. თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს პასუხობს საქართველოც. აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევის საგანია, განვითარების საწყის ეტაპებზე არსებული ქართული მედიაციის სისტემა. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანაც ცდილობს, წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, დანერგოს სრულყოფილი, თანამედროვე მედიაციის სისტემა და ზუსტად მოარგოს ის ქართულ რეალობას. ამ ვითარებაში, ჩემი ამოცანაა, რეფორმების გატარების პარალელურად, ვიმუშაო აღნიშნულ თემაზე, რათა გამოვკვეთო ის ხარვეზები და უპირატესობები, რომლებიც გამოჩნდება სისტემის დანერგვის პროცესში, ასევე ჩემი მიზანია, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში არსებული მედიაციის სისტემების შედარების მაგალითზე, ვისაუბრო ქართულ მედიაციის სისტემაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე.

Comparative analysis of mediation systems between the USA and Europe, perspective of mediation development in Georgia

Abramishvili Anuki

In a modern world, it is more and more interesting and actual to find new alternative ways to settle disputes for foreseeing litigant's interests at most. Afterwards, different states familiarize with mediation systems and got information about how to evasion of court, economizing plural finances, saving time. That's why, their interests about this matter have doubled. Also, Georgia replies to challenge of modern world. With all ensuing, my research study is about Georgian mediation system, which is on the starting stage. Naturally, our state tries to inculcate improved and modern mediation system with using leader state's experiences and fits them exactly to Georgian realty. In this case, my research study foresees to work parallelly about this issue and

to express gaps and advantages, which will appear during the inculcating of mediation system. As well, my intent is to write about Georgian mediation system and its perspective of development with the leading example of comparative analysis to the USA and German mediation systems.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, მედიაციის სისტემა, ამერიკული მედიაცია, გერმანული მედიაცია, ქართული მედიაცია, მედიატორი, კონფლიქტი, დავის გადაჭრა.

Key words: Mediation, mediation system, USA mediation, German Mediation, Georgian mediation, mediator, conflict, dispute resolution.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I 10

ევროპული მოდელი 10

1.1 გერმანული მოდელი 10

1.2 მედიაციის რეგულირების გერმანული მოდელი 11

1.3 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა 12

1.4 სავალდებულო მედიაცია 14

1.5 მედიაციის ცნება 18

1.6 კონფიდენციალობის პრინციპი 19

1.7 სამედიაციო შეთანხმება 20

1.8 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი და აკრედიტაციის საკითხი 22

1.9 მედიატორის ვალდებულებები 24

1.10 მედიაციის პროცესუალური საკითხები,პროცეისის ხარჯები და ვადები 25

1.11 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთახმების ფორმა და მისი აღსრულება 28

1.12 მედიაციის განვითარების ტენდენციები გერმანიის ფედერაციაში 30

თავი II 33

ამერიკის შეერთებული შტატების მედიაციის მოდელი 33

2.1 მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის კულტურის ფორმირება და მისი მახასიათებლები 33

2.2 მედიაციის სამართლებრივი და ფედერალური რეგულირება 39

2.3 უნიფიცირებული აქტი 40

2.4 მედიაციის რეგულირება კალიფორნიის შტატებში 44

2.5 მედიაციის რეგულირება ფლორიდის შტატში 48

2.6 ძირეული საკითხების რეგულირების სპეციფიკა და მედიაციის ცნება 52

2.7 პროცესის კონფიდენციალურობა 53

2.8 მედიატორის პრივილეგია 55

2.9 მედიატორთა პროფესიული ვალდებულებები 57

2.10 პროცესუალური საკითხების რეგულირების სპეციფიკა და მედიაციის წამოწყება 58

2.11 სამედიაციო მომსახურების საფასური და ვადები 61

2.12 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთახმების აღსრულება 63

2.13 მედიაციის განვითარების ტენდენციები აშშ-ში 64

თავი III 68

სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში 68
3.1 მორიგებით დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში და მორიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში 68
3.2 სასამართლო მედიაცია კანონმდებლობის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ 70
3.3 სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი 71
3.4 კონფიდენციალობის დაცვის საკითხი 74
3.5 თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის საპილოტე პროექტის პრაქტიკის ანალიზი 81
3.6 სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში 83
გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მედიაციის სისტემების ძირითადი კომპონენტების შედარება 86
დასკვნა 92
გამოყენებული ლიტერატურა 96

შესავალი

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების თანმდევი მოვლენაა. ნებისმიერ საზოგადოებაში, როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ ავიცილებთ (Buhring-uhle, Kirchhoff, Scherer, 2006) უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტს, როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია. (Moore, 2003) თუ რიგ შემთხვევებში კონფლიქტი დაპირისპირების, ძალადობისა და განადგურების საფუძველი ხდება, სხვა შემთხვევებში იგი ახალი იდეების, შესაძლებლობებისა და წინსვლის საწინდარი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ენერგიის პოზიტიურად გამოყენების შემთხვევაში იგი მშვიდობის, პროგრესისა და მრავალფეროვნების საფუძველი ხდება. საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადასაწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამდენივე ხანია არ წყდება ფიქრი დავის გადაწყვეტის ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდების მოსაძიებლად. (Goldsmith, Ingen-housz, Pointon, 2011) თუმცა ვინაიდან სასამართლო საქმის სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით დავას განიხილავს კანონის ნორმათა და ინდივიდთა უფლებებზე დაყრდნობით, მხარეთა რეალური ინტერესები, საჭიროებები და ემოციები რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილი რჩება, რაც ხშირად იწვევს პროცესით ორივე მხარის უკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო პროცესის შემდეგ, როგორც წესი, ერთ-ერთი მოდავე მხარეა გამარჯვებული, ხშირად სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის, სიძვირისა და მხარეთა მიერ ურთიერთდაპირისპირებაზე დახარჯული ადამიანური რესურსის გამო პროცესით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო გამარჯვება _ მოჩვენებითი. (Bevan, 1992) მართლმსაჯულების აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სასამართლო სისტემის წინაშე დაისვა საკითხი დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებების შექმნის შესახებ, რომელებიც

მოდავე მხარეებს მისცემდა ოპტიმალური გამოსავლის მოძიების, მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებისა და ორივე მხარისათვის მისაღები მორიგებით დავის დასრულების შესაძლებლობას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ის მართლმსაჯულების წინაშე წარმოშობილ გამოწვევასთან გამკლავების ერთ-ერთი საშუალება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში გავრცელებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი _ მედიაცია აღმოჩნდა. მედიაცია მოდავე მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმირებას ახდენს. სწორედ ამიტომ მისი დახმარებით დავის რეგულირება პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის მომგებიანია. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მედიაციის როლი და მნიშვნელობა (Hopt, Steffek, 2013) მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, სულ უფრო და უფრო მატულობს მედიაციის მიმართ ინტერესი ევროკავშირის ქვეყნებში. მზარდია ტენდენცია მედიაციის საშუალებით სხვადასხვა კატეგორიების დავათა გადაწყვეტის მიმართულებითაც. აღნიშნულს ადასტურებს 2008 (ცერცვაძე, 2010) და 2013 (ცერცვაძე, 2010) წლების ევროკავშირის დირექტივები, რომელთა მიღებას მოჰყვა მედიაციის, როგორც პრაქტიკული ღირებულების, აღიარება; ასევე იმატა მის მიმართ ინტერესმა ქართულ სამეცნიერო წრეებშიც. (ცერცვაძე, 2010) კერძოდ, თუ საწყის ეტაპზე მედიაცია ძირითადად კერძო სამართლის დავებზე გამოიყენებოდა, დღეისათვის აღარავის უკვირს მისი საჯარო სამართლის დავებზეც გამოყენება. უფრო მეტიც, დასავლური ცივილიზაციის ქვეყნებში დღეისათვის მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კონფლიქტის გადაწყვეტის იმდენად პოპულარული მეთოდია, რომ მას აკადემიურ წრეებში ხშირად ალტერნატიულის ნაცვლად ადეკვატურ საშუალებასაც კი უწოდებენ. (Rozdeiczer, 2006)

საქართველოში, მედიაცია როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, მხოლოდ და მხოლოდ საწყის ეტაპზეა. 2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც პირველად შეეხო სასამართლო მედიაციას. (matsne.gov.ge, 2015) აღნიშნული ცვლილება მედიაციის თანამედროვე მოდელის დანერგვის მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტერესი

მედიაციის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზეც 2012 წლიდან მოყოლებული თბილისის საქალაქო სასამართლოში მედიაციის პილოტური პროექტის დაწყება, მედიაციის თემატიკაზე ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებები, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და მედიატორთა ასოციაციების დაარსებაც მეტყველებს. (ცერცვაძე, 2010) ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის დანერგვა გამოწვევაა, რომელზეც წარმატებით თავის გართმევისათვის მხოლოდ უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული მოდელური კანონის, სტრატეგიის ან განხორციელების სამოქმედო გეგმის საქართველოში `გადმოტანა~ არ არის საკმარისი, მით უფრო, როცა არც რაიმე უნივერსალური ფორმულა არსებობს მედიაციის ინსტიტუტის წარმატებით დანერგვისათვის. ნებისმიერი უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტის ქართული სამართლებრივ სივრცეში დანერგვა საჭიროებს მეცნიერულ დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის ქართულ სამართლებრივ სივრცეში ორგანულ შერწყმას.

საქართველოში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და განვითარების პროცესის სწორად წარმართვისათვის, ჩემი ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ისტორიული გამოცდილების, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული თანამედროვე სასამართლო მედიაციის მოდელების განმსაზღვრელი კომპონენტებისა და მარეგულირებელი ნორმების ილუსტრირებისა და შედარებითი ანალიზის შედეგად. შესაბამისად, ნაშრომის მოკრძალებული ამოცანაა, საქართველოში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური დანერგვისათვის დაადგინოს, როგორი მოდელის დახმარებით მოხერხდება საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება და ოპტიმალური გამოყენება. ამასთან ერთად, ნაშრომის მიზანია, მედიაციის განვითარების კულტურული და ისტორიული საკითხების გაანალიზება, რაც ამ ინსტიტუტს დაეხმარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ორგანულ შერწყმაში. ნაშრომში შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილულია ანგლოამერიკული და გერმანიის სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, ნაშრომში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების _ მედიაციის განსხვავებული მოდელების შედარებითი ანალიზი სამ სიბრტყეში ვითარდება. პირველია მედიაციის მოდელის

განმსაზღვრელი ფაქტორების ზოგადი მიმოხილვა გერმანიის მაგალითზე, მისი განვითარება და ფუნქციონირება; მეორე, მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ფაქტორების ზოგადი მიმოხილვა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, მისი განვითარება და ფუნქციონირება; და ბოლოს, საქართველოში ისტორიულად დაგროვილი გამოცდილებისა და თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტების აღწერა და საერთაშორისო გამოცდილებასთან შეპირისპირება. შედარებითი სამართლებრივი კვლევისათვის არჩეულ იქნა ის ქვეყნები, სადაც თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტი, კულტურული და სამართლებრივი მიზეზების გამო, უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე საქართველოში. ამ საკითხის კვლევა უაღრესად ფასეული უნდა იყოს ქართული სამართლებრივი საზოგადოებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ქვემოთ განხილული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები მედიაციის ინსტიტუტის იმპლემენტირებისას საკმაოდ მსგავსია იმ გამოწვევებისა, რომლებიც დღეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე დგას. ამასთან, ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია, ასევე, ისტორიული კვლევის მეთოდიც. ისტორიული მეთოდის დახმარებით ახსნილ იქნა შესასწავლი სამართლებრივი საკითხების წარმოშობისა და განვითარების განმაპირობებელი ისტორიული ფაქტები. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს თავისთავად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ნაშრომი სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის განსხვავებული მოდელებისა და მარეგულირებელი ნორმების ახალი სამეცნიერო კვლევაა. ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც თანამედროვე ქართული სასამართლო მედიაციის მოდელის საყრდენ პრინციპებს ქართულ ისტორიულ და თანამედროვე დასავლური მედიაციის მოდელების შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდზე დაყრდნობით აყალიბებს. ნაშრომი მოიცავს სამ ძირითად თავს და ქვეთავებს: პირველ თავში მოცემულია მედიაციის გერმანული მოდელის ზოგადი დახასიათება, მეორე თავში აღწერილია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მედიაციის მოდელი, მესამე თავში კი აღწერილია მედიაციის ქართული მოდელის განვითარების ისტორია.

თავი I

ევროპული მოდელი

1.1 გერმანული მოდელი

ევროპაში პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც მედიატორის დახმარებით (მედიატორ პაცის) მიღებულ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაზეა საუბარი, თარიღდება 1648 წლის 24 ოქტომბრით. აღნიშნული მორიგების აქტი ვენეციელი დიპლომატების ხელშეწყობით დაიდო, (ცერცვაძე, 2010) რომლითაც დასრულდა 30-წლიანი ომი ესპანეთსა და გაერთიანებული ნიდერლანდეს რესპუბლიკას შორის. ამის შემდეგ ოფიციალურ ხელმისაწვდომ წყაროებში მედიაციის ტექნიკის გამოყენებით კონფლიქტის რეგულირების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მე-20 საუკუნემდე მედიაციის საშუალებით არც თუ ხშირად გვარდებოდა სადავო საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის ბოლომდე მედიაცია სამართლებრივ სივრცეში მივიწყებული იყო, თანამედროვე ევროპელებს არცთუ ისე დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ ხელახლა მიემართათ მედიაციის ინსტიტუტისათვის და გაეგოთ, რა უპირატესობების მატარებელია იგი. ამას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო 2002 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა `მწვანე ფურცელმა~ (ცერცვაძე, 2010) დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ, რომელსაც 2003 წელს მოჰყვა `მედიატორთა ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის~ გამოქვეყნება. `მწვანე ფურცლის~ შემუშავებისას ევროკომისიის მიზანი მედიაციის ინსტიტუტსა და სასამართლოს შორის ურთიერთკავშირის მარეგულირებელი ნორმების ისეთი მოწესრიგება იყო, რომ დელიკატურ საკითხებთან მიმართებით ბალანსი არ დარღვეულიყო. კერძოდ, სახელმწიფოებს უნდა ჰქონოდათ საკუთარი მოქალაქეებისათვის მოქნილი (მხარეთა ინტერესებზე მორგებული) და ამავდროულად ხარისხიანი მართლმსაჯულების როგორც შეთავაზების, ისე უზრუნველყოფის შესაძლებლობა. (Filler, 2011) `ქცევის

კოდექსის˜ შემუშავების დღიდან ერთი წლის თავზე, 2004 წელს, ევროპელმა კანონმდებლებმა შეიმუშავეს მედიაციის ევროპული დირექტივის პირველადი ვარიანტი, (Brown, Marriot, 2011) რომელიც 2008 წელს გამოიცა როგორც `სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ˜ ევროპული დირექტივა. (ცერცვაძე, 2010)

1.2 მედიაციის რეგულირების გერმანული მოდელი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მედიაციის თანამედროვე მოდელი გასული საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. კერძოდ, სასამართლო მედიაცია გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ევროპული დირექტივის და გერმანიის მედიაციის აქტის მიღებამდეც არსებობდა. (ცერცვაძე, 2010) სასამართლო მედიაცია და სასამართლოს გარეთ მოქმედი (შემდგომში: დამოუკიდებელი) მედიაციის ინსტიტუტები გერმანიის ფედერაციაში ერთმანეთისგან გამიჯნულია. მედიაციის აქტი სწორედ დამოუკიდებელად მოქმედ მედიაციის ინსტიტუტების საქმიანობას აწესრიგებს, რომელიც, რა თქმა უნდა, მედიაციის შესახებ 2008 წელს მიღებულ # 52/EჩI ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობაშია მოყვანილი. (ცერცვაძე, 2010) მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულ საკითხთა წრის მიმართ სასამართლო მედიაცია მანამდეც ვრცელდებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 2008 წლის ევროპულმა დირექტივამ მედიაციის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა, მათ შორის, სასამართლო სისტემაში. კერძოდ, გერმანელმა კანონმდებელმა სასამართლოს განტვირთვისა დ\ა ხარჯების შემცირების თვალსაზრისით სასამართლოსგან დამოუკიდებლად მოქმედი სამედიაციო ინსტიტუტები სცნო დავის გადაწყვეტის ეფექტიან საშუალებად. ამასთან, მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციების გაზრდის, დახვეწისა და მოდერნიზებით შეინარჩუნა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი. (Iglesias, Palao, 2013) მეტიც, გაიზარდა ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა საქმეთა მორიგებით წარმატებით დამთავრებისა და მართლმსაჯულების ხარჯების დაზოგვის კუთხით. იქიდან

გამომდინარე, რომ გერმანიაში მედიაციის გავრცელების მთავარი მოტივატორი სასამართლო ხარჯების შემცირება იყო, ლოგიკურია, რომ გერმანიაში მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა მართლმსაჯულების სფეროში გატარებულ სხვა ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად განხორციელდა. რის გამოც, მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა ბიუჯეტის დეფიციტი, გერმანიის ხელისუფლება მით უფრო აქტიურად შეუწყობდა ხელს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას. (ცერცვაძე, 2010) აღსანიშნავია, რომ ევროპულ სახელმწიფოებს შორის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მედიაციის ევროპული დირექტივა ერთ-ერთმა ყველაზე ბოლომ მიიღო, რის გამომწვევ მიზეზად გერმანელი იურისტების საკითხისადმი სერიოზულ და დინჯ მიგოდმას ასახელებენ. (Hopt,Steffek, 2013) მედიაციის აქტის გარდა, სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული საკითხები გერმანიის სამოქალაქო საპროცესი კოდექსითაც არის რეგულირებული. (ცერცვაძე, 2010)

1.3 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა

2002 წელს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო პირველ ნაწილში განხორციელებულდა ცვლილებები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 278-ე მუხლი: დავის მეგობრული გადაწყვეტა _ კონსილიაცია: სასამართლოს შეუძლია მოდავე მხარეთა გადამისამართება იმ მოსამართლესთან, რომელსაც დელეგირებული აქვს ან სასამართლოს მოთხოვნით აწარმოებს მედიაციის სხდომებს. სასამართლოში შესაძლოა მორიგების აქტის გაფორმება, თუ მოდავე მხარეები წერილობით თანხმობას გამოხატავენ მომრიგებელი მოსამართლის (მედიატორის) ან ერთ-ერთი მხარის მიერ შეთავაზებული მორიგების აქტის პროექტზე. 279-ე მუხლი: სასამართლო (ზეპირი) სხდომა: მედიაციის პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის ან მისი წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში სასამართლო სხდომა ინიშნება დაუყონებლივ. (ცერცვაძე, 2010) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეებს აძლევს საშუალებას მხარეთა ნების მიუხედავად გადაემისამართებინათ საქმე მომრიგებელი მოსამართლისათვის, რომელიც აღჭურვილია მედიატორის უნარებით. ამასთან, დამოუკიდებელი მედიაციისაგან განსხვავებით, მოსამართლე მედიატორებს გააჩნიათ მხარეებსათვის მორიგების

პირობის შეთავაზების უფლებაც. ვინაიდან გერმანიის სასამართლო პრაქტიკისათვის სასამართლო მორიგება წლების მანძილზე გამოცდილი და ქმედითი ინსტიტუტი იყო, სასამართლოს გარეთ მოქმედი დამოუკიდებელი მედიაციის ინსტიტუტების გარდა, გერმანელმა კანონმდებელმა კვლავ ძალაში დატოვა და განავითარა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელსაც სასამართლოში საქმის მსვლელობის მთელ პერიოდში შეუძლია მიმართონ მხარებმა. პრაქტიკაში აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანობა არამხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, არამედ, ასევე, სააპელაციო ინსტანციებშიც გამოვლინდა. რისი მიზეზიც პირველ ინსტანციაში საქმის დასრულებამდე საკუთარი პოზიციების მიმართ მხარეთა არარიალისტური დამოკიდებულებაა. მედიაციის პროცესის დადებითი მხარეების წარმოჩენის მიზნით, გერმანიის სასამართლოებში ჩამოყალიბდა ტრადიცია (საგულისხმოა, რომ წინასწარ არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული), რომლითაც გამართულ სასამართლო მედიაციის პროცესებს უძღვება ის მოსამართლე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არ არის. აღნიშნულ ინსტიტუტს, კერძოდ, მოსამართლე მედიატორებს კრიტიკოსებიც ბევრი ჰყავს, მედიატორისა და მოსამართლის პროფესიული როლების შეუთავსებლობის გამო. (Espilugus, Iglesias, Palao, 2013) დამოუკიდებელი (კერძო) მედიაციისიგან განსხვავებით მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი გერმანული სასამართლო სისტემის წარმატებულ პროექტად ითვლება, (De palo, 2012) რომელიც სათავეს 1990-იანი წლებიდან იღებს. დღეისათვის თექვსმეტივე ფედერალური მხარე სთავაზობს მომხმარებელს მომრიგებელი მოსამართლის სერვისს არა მარტო სამოქალაქო არამედ ადმინისტრაციულ დავებზეც. მედიაციის გერმანული მოდელის თავისებურებად სწორედ სასამართლოში მოსამართლეების მიერ გამართული მედიაციის პროცესები ითვლება, რის გამოც მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტს სწორედ `გერმანულ მოდელს~ უწოდებენ. მას შემდეგ, რაც მედიაციის აქტიური დანერგვა დაიწყო გერმანულ სასამართლო სისტემაში, ბოლო ათწლეულის მანძილზე ასობით მოსამართლემ გაირა მედიაციის ტრენინგი. (ცერცვაძე 2010) აღნიშნული პროცესიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლეებმა მედიაციის პროცესი თანდათანობით `შეფასებითი~ სტილის გახადეს. კერძოდ, წინასწარ ეცნობოდნენ საქმის მასალებს და მორიგების პროცესში ისინი უფრო

და უფრო ემსგავსებოდნენ მოსამართლეებს, ვიდრე მედიატორებს. აღნიშნულის გამო არაერთხელ იქნენ ისინი გაკრიტიკებული კერძო მედიატორების მიერ. საბოლოო ჯამში, მომრიგებელი მოსამართლეების პრაქტიკა პოზიტიურად ფასდება. რაც შეეხება დამოუკიდებელ კერძო სამედიაციო ცენტრებს, მათ მიმართ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ინტერესმა იკლო, რისი გამომწვევი მიზეზიც ნეიტრალური პირის დახმარებით კონფლიქტების მართვის სხვადასხვა გვარი მოდელის ერთდროული დამკვიდრება და არათანმიმდევრული პოლიტიკა იყო. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გერმანიის იურისტთა ასოციაციის გამართულ წლიურ შეხვედრაზე ადვოკატებმა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით, თხოვნით მიმართეს ფედერალურ ხელისუფლებას, (Hopt, Steffek, 2013) მიეღო ერთიანი ფედერალური რეგულაცია მედიაციის კანონმდებლობის და არ ყოფილიყო ის ფედერალური მხარის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საგანი. (ცერცვაძე, 2010) აღნიშნული თხოვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია ფედერალურ ხელისუფლებას, რის გამოც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკაში მედიაციის ინსტიტუტის მხარდამჭერები თვლიდნენ, რომ 2008 წლის ევროპული დირექტივა უნიკალური შანსი იყო, რომლის გამოყენებაც ხელიდან არ უნდა გაეშვათ. შესაბამისად, ეცადნენ, ახალი კანონით არა მხოლოდ საკითხთა ის წრე დაერეგულებიათ, რასაც ევრორეგულაცია მოითხოვდა, არამედ გასცდენოდნენ მის ფარგლებს და დაემკვიდრებინა ისეთი წესები რომლებიც წაახალისებდა გერმანიაში მედიაციის განვითარებას. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად 2012 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომელსაც დიდი იმედით უყურებს მედიაციის ინსტიტუტის ბედით დაინტრესებული გერმანული საზოგადოება. (ცერცვაძე, 2010)

1.4 სავალდებულო მედიაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაყოფილია ფედერალურ და ადგილობრივ დონეებად. 1999 წელს მიღებულ `სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესავლის~ მე-15 მუხლის განმარტებით

ბარათში, რომელიც მედიაციის რეგულირებას ეხებოდა, აღინიშნა, რომ ფედერალური ხელისუფლების ნებაა, მხარის ადგილობრივ ორგანოებს მედიაციის ინსტიტუტის გაცნობის შემდეგ თავად მიეღოთ გადაწყვეტილება, ყოფილიყო თუ არა სავალდებულო მედიაცია მათ ტერიტორიაზე. (Hopt, Steffek, 2013) აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, განსხვავებული პრაქტიკის განვითარება გამოიწვია სხვადასხვა ფედერალურ მხარეში, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანია იმ რამდენიმე ქვეყანას მიაკუთვნა, რომლებიც ითვალისწინებდნენ სასამართლო პროცესამდე სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის გავლით კონფლიქტის რეგულირების მცდელობას. კერძოდ, მუხლი 15(ა) მოსამართლეებს დავის სავალდებულო მედიაციაზე გადამისამართების უფლებას აძლევდა, თუმცა, ამის გაკეთებას ყველა შემთხვევაში არ ავალდებულებდა. (Espilugus, Iglesias, Palao, 2013) ვინაიდან კანონმდებელმა ფედერალური მხარის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებად დატოვა სავალდებულო მედიაციის თავიანთ ტერიტორიაზე შემოღების საკითხი, ამიტომ 2012 წლის იანვრის მდგომარეობით 16-დან 11-მა ფედერალურ მხარემ, მიიღო სავალდებულო მედიაცია საკუთარ ტერიტორიაზე. სავალდებულო (არანებაყოფლობითი) მედიაციის საკითხი იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას გერმანელ იურისტებს შორის. 2007 წელს საკითხი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომდეც მივიდა, რომელმაც ჩათვალა, რომ მე-15 მუხლის (ა) ქვეპუნქტი კონსტიტუციურია. (ცერცვაძე, 2010) კერძოდ, მან არ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტი არღვევდა სამართლიანი სასამართლოსა და სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას. პირიქით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მართლმსაჯულება არ არის შეზღუდული მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპით წარმართულ მოდელზე აგებული დავის გადაწყვეტის საშუალებების შეთავაზებით. მეტიც, მას შეუძლია წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებაშიც მიიღოს მონაწილეობა, რათა დავა მეგობრული მორიგებით, სწრაფად და იაფად დამთავრდეს, მით უფრო, თუ ეს ქმედებები, ასევე, სასამართლოს განტვირთვის საშუალებადაც გამოდგება. (ცერცვაძე, 2010)

ამასთან, გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მთავარია, რომ მორიგებით დავის დამთავრება არ იქცეს დავის გადაწყვეტის

ერთადერთ საშუალებად. (ცერცვაძე, 2010) შესაბამისად, თუ მხარეები მედიაციის დახმარებით ვერ მორიგდებიან, მათ უნდა ჰქონდეთ სასამართლოსადმი მიმართვის ყველა საშუალება. ვინაიდან აღნიშნული სტანდარტი დაცული იყო, საკონსტიტუციო სასამრთლომ უცვლელი დატოვა, 2012 წლამდე, საოჯახო და მშრომითი დავების გარდა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობა იძლეოდა სავალდებულო მედიაციის პროცესის დანიშვნის შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლის ყველა კატეგორიის დავების მიმართ. სავალდებულო მედიაციისათვის საქმის მიმართვა არ ხდებოდა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: შეგებებული სარჩელის შეტანისას; დავის განახლების შემთხვევაში; გამარტივებული სამართალწარმოებით განხილვად საქმეებზე; გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შეტანილ სარჩელებზე (განცხადებებზე). (Espilugus, Iglesias, Palao, 2013) 2012 წელს, მედიაციის ახალი აქტის შემუშავებისას, სავალდებულო მედიაციის საკითხმა დიდი დებატები გამოიწვია გერმანულ იურიდიულ საზოგადოებაში. იდეის მოწინააღმდეგეთა სიმრავლის გამო, საბოლოოდ კანონმდებელმა უარი თქვა მასზე და ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელი აირჩია. დღეისათვის გერმანული კანონმდებლობა აღარ იცნობს სავალდებულო მედიაციის ცნებას, (Hopt, Steffek, 2013) გარდა მომრიგებელი მოსამართლის) ინსტიტუტისა, რომელიც, მართალია, იყენებს მედიაციის ტექნიკას, მაგრამ, ვინაიდან მისი პროცესი ხასითდება მტკიცებულებების შეფასებით, იმართება ჩვეულებრივ სასამართლო დარბაზში და მოსამართლე არის წამყვანი პირი, ითველება რომ იგი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია, განსხვავებით სამედიაციო ცენტრებისა. კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლე მედიატორს მოდავე მხარეთა თანხმობის გარეშე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლით, შეუძლია დანიშნოს მომრიგებელ მოსამართლესთან შეხვდრა, ხოლო მომრიგებელ მოსამართლეს, თავის მხრივ, შეუძლია საქმის მასალების სამართლებრივი ასპექტების შეფასება; მოსთხოვოს მოდავე მხარეებს მედიაციის პროცესზე პირადად გამოცხადება და თუ მხარე არ შეასრულებს მომრიგებელი მოსამართლის მოთხოვნებს, მას შეუძლია დააჯარიმოს კიდეც იგი. (ცერცვაძე, 2010) დღეის მდგომარეობით გერმანიაში მოდავე მხარეები აღარ არიან ვალდებული, მიმართონ მედიაციის ინსტიტუტს სარჩელს სასამართლოში შეტანამდე, თუმცა მედიაციის ახალი აქტით სასარჩელო განცხადებაში უნდა იყოს

განმარტებული, ჰქონდათ თუ არა მხარეებს მედიაციის მცდელობა და თუ არა, რატომ, არ მიმართეს მხარეებმა ან რა უშლით ხელს მათ ამაში. (Hopt,Steffek, 2013) ამასთან, კანონმდებელმა გერმანიის ადვოკატთა პროფესიულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანით ადვოკატებს დააკისრა ვალდებულება, გაუწიონ საკუთარ კლიენტს კონსულტაცია მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების თაობაზე. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია, საკუთარ კლიენტს აუხსნას მედიაციის უპირატესობები და განიხილოს მისი გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები. (ცერცვაძე, 2010) დღეისათვის გერმანიის არც ერთი ფედერალური მხარე აღარ იცნობს სავალდებულო მედიაციას ყველა კატეგორიის სამოქალაქო სამართლის საქმეზე, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომელთა განხილვა მნიშვნელოვანია. კერძოდ, სპეციალიზირებულ შრომითი დავების გამხილველ სასამართლოებს შეუძლიათ საქმის სავალდებულო მედიაციის პროცესზე გადამისამართება, რომლის ჩატარების უფლება აქვთ კერძო სამედიაციო ცენტრებს. ასევე, `საოჯახო საქმეთა პროცედურების კოდექსის~ 135-ე მუხლით, განქორწინების საქმეზე მოსამართლეს შეუძლია მოდავე მხარეებს დაავალოს მედიაციის საკონსულტაციო შეხვედრაზე მონაწილეობის მიღება. მხარეებისათვის აღნიშნული კონსულტაციის პროცესი (მედიაცია) არის უფასო, მისი დასრულების შემდეგ კი მონაწილე პირებს გადაეცემათ ცნობა, რომელიც აუცილებელია მხარეებმა წარადგინონ სასამართლოში. სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მედიაციით საქმის მორიგების მცდელობა, ასევე, სავალდებულოა 750 ევროზე ნაკლები ღირებულების მქონდე დავებზე, სამეზობლო, ცილის წამებისა და ღირსების შელახვის გამო წარმოშობილ დავებზე. (Hopt, Steffek, 2013) ზემოაღნიშნულ სავალდებულო მედიაციის მარეგულირებელ ნორმებში არსებულ თანხობრივ შეზღუდვებთან დაკავშირებით გარკვეული უკმაყოფილებებიც გამოითქვა იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკაში დავის საგნის ოდენობაზე არ იყო დამოკიდებული მედიაციის მორიგებით დამთავრების სტატისტიკა. აქედან გამომდნარე, ფართოდ მხარდაჭერილი იყო თანხობრივი შეზღუდვის გაუქმება. მედიაციის აქტის მიღებამდე საოჯახო დავებზე მოსამართლეებს შეეძლოთ დამოუკიდებელი და არასავალდებულო მედიაციის ინსტიტუტების საინფორმაციო შეხვედრებზე მხარეთა დასწრების დავალება. ახალი ცვლილებებიც იმავე სულისკვეთებით მხარს უჭერს მოსამართლეების მიერ მოდავე მხარეებისათვის

მედიაციის შეთავაზებას, მაგრამ აღარ ითვალისწინებს მისი დავალების შესაძლებლობას. შესაბამისად, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში საოჯახო დავებზე გამართული მედიაციის პროცესი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მხარეთა ნებას, მათ შორის, საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობაც. ამასთან, მასში მონაწილეობის შემთხვევაშიც მხარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს თქვას უარი და საქმე დაუბრუნოს სასამართლოს განსახილველად. (ცერცვაძე, 2010)

1.5 მედიაციის ცნება

ტერმინ `მედიაციას~ ახლად ამოქმედებულ მედიაციის კანონი განმარტავს როგორც `კონფიდენციალურ და სტრუქტურირებულ პროცესს, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით და საკუთარი პასუხისმგებლობით ცდილობენ მიაღწიონ დავის მეგობრულ გადაწყვეტას, ერთი ან რამდენიმე მედიატორის დახმარებით~. (ცერცვაძე, 2010) მართალია, მედიაციის აქტი მედიაციის პროცესს განმარტავს როგორც კონფიდენციალურ და სტრუქტურირებულ პროცესს, თუმცა კონფიდენციალობის საკითხისაგან განსხვავებით არ აწესებს სტრუქტურის შესახებ დამატებით მოთხოვნებს. შესაბამისად, მედიატორებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ პროცესის სტრუქტურირება, რაც, როგორც წესი, მხარეთა საჭიროების გათვალისწინებით ხდება. კერძოდ, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, მედიატორები გახსნითი სიტყვის დროს მხარეებს განუმარტავენ პროცესში მედიატორის როლსა და პროცესის წესებს, აკეთებენ საკუთარი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შესახებ პრეზენტაციას, აცხადებენ ყველა საფუძველს, რაც შეიძლება გახდეს პირადად მისი აცილების საგანი და ბოლოს, სთავაზობენ მხარეებს კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერას (იმ შემთხვევაში, თუ უკვე არ აქვთ მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი). ასევე, პროცესის დასაწყისშივე მედიატორი კითხულობს, არიან თუ არა მხარეები ინდივიდუალური შეხვედების ჩატარების მომხრეები და შესაბამისად, გეგმავს მედიატორი პროცესის მსვლელობას. მიუხედავას უნსიტრალის მცდელობისა, ევროპულ პრაქტიკაში დაემკვდირებინა ტერმინი `კონსილიაცია~, გერმანულმა კანონმდებელმა მაინც ამერიკულ ტერმინს _ `მედიაციას~ მიანიჭა უპირატესობა.

(ცერცვაძე, 2010) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ `კონსილიაციას~ გერმანიაში იშვიათად იყენებენ და როცა იყენებენ, იგი იმავე შინაარსის მატარებელია, რისიც _ `მედიაცია~. გარდა ერთი გამონაკლისისა _ გერმანიის სამომხმარებლო სამართალში ტერმინი `კონსილიაცია~ კონკრეტული ბიზნეს სექტორებში არსებულ დავების განმხილველ ორგანოს ეწოდება. (Hopt, Steffek, 2013)

1.6 კონფიდენციალობის პრინციპი

მედიაციის პროცესის სანდო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, გერმანული კანონმდებლობა განსაკუთერბულ ყურადღებას უთმობს პროცესის კონფიდენციალობას. კერძოდ, მედიაციის პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირი (მათ შორის, სამედიაციო ცენტრის ის თანამშრომლები, რომელთაც შეხება აქვთ საქმის მასალებთან) ვალდებულია, მედიაციის პროცესში მისთვის გამჟღავნებული ინფორმაცია კონფიდენციალურად დაიცვას. თვით მხარეებზე მსგავსი შეზღუდვა არ ვრცელდება, რაც არაერთხელ გაკრიტიკებულა. (ცერცვაძე, 2010) მოწინააღმდე მხარეს შეუძლია სასამართლო პროცესზე გამოიყენოს მედიაციის პროცესში მისთვის განდობილი ინფორმაცია. აღნიშნულისაგან თავდასაცავად მხარეებს დამატებით ხელშეკრულების დადება ესაჭიროებათ. მომრიგებელ მოსამართლეს ასეთი ვალდებულება არ ეკისრება, თუმცა მორიგების პროცესის მსვლელობისას მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არ შედგეს სხდომის ოქმი (ჩანაწერი). შესაბამისად, იქ გამჟღავნებული ინფორმაცია არ იქნება მტკიცებულების სახით დაფიქსირებული. მედიაციის აქტის მე-4 მუხლი საკმაოდ მკაცრად ავალდებულებს მედიატორებს კონფიდენციალურობის დაცვას. (ცერცვაძე, 2010) მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ამ ვალდებულებისაგან მედიატორის გათავისუფლება და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მორიგების მისაღწევად ან, თუ საჯარო წესრიგი აიძულებს მას ამის გაკეთებას.კერძოდ, გერმანული კანონმდებლობა მიჰყვება ევროპულ რეგულაციის მე-7 მუხლს და ანალოგიურად უშვებს იმ ფაქტების მაჟღავნების შესაძლებლობას, რომლებიც: 1. მისი აღსრულებისათვის არის საჭირო; 2. საჯარო

წესრიგის დაცვა მოითხოვს ამას (მაგ. ბავშვის უფლებების დაცვა ან ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა; 3. ისედაც ყველასათვის ცხადია ან აღარ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი მათი კონფიდენციალური ინფორმაციის სახით შენახვისა. იმ პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია გასაჯაროებისაგან, შეუძლიათ უარი თქვან სასამართლოში ჩვენების მიცემისაგან, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა. (Hopt, Steffek, 2013)

1.7 სამედიაციო შეთანხმება

საუკეთესო შემთხვევაში მედიაციის პროცესის წამოსაწყებად მთავარი გზა მხარეთა შეთანხმებაზე (მედიაციის დათქმაზე) გადის. დღეისათვის გერმანულ პრაქტიკაში მედიაციის შესახებ დათქმები არც თუ შხირია, თუმცა მედიაციის პოპულარობის ზრდასთან ერთად მოსალოდნელია, რომ ეს ვითარება შეიცვალოს. აღსანიშნავია, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის განმარტებითაც, მედიაციის შესახებ დათქმის არსებობა ხელშეკრულებაში, ნათლად გამოხატავს ხელმომწერ მხარეთა ნებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში სასამრთლოსადმი მიმართვის შესახებ. (Espilugus, Iglesias, Palao, 2013) შესაბამისად, უნდა აღსრულდეს იგი, თუმცა პრაქტიკაში პირიქით ხდება _ მოდავე მხარები ჯერ სასამართლოს მიმართავენ ხოლმე, ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლო გასახილველად არ დაუშვებს სარჩელს მედიაციის ინსტიტუტის გამოტოვების გამო, მიმართავენ ხოლმე მას. გერმანული კანონმდებლობით, მხარეებისათვის მედიაციის შესახებ შეთანხმება იქნება თუ არა მბოჭავი, შეთანხმების შინაარსზეა დამოკიდებულია. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აიღებენ სასამართლომდე მედიაციის ინსტიტუტისათვის მიმართვის ვალდებულებას, მაშინ ისინი მოვალენი არინ, მედიატორის არჩევისა და მინიმუმ ერთი სესიაზე (შეხვედრაში) მაინც მონაწილეობისა. (ცერცვაძე, 2010) აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მედიაციის პროცესის გაგრძელებაზე, ამ შემთხვევაშიც ისინი ვალდებულნი არიან, წინასწარ

გადაიხადონ მედიაციის საფასური. სადავოა, არის თუ არა სავალდებულო მსგავს შემთხვევაში მოლაპარაკების პროცესში ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეს შეიძლება ჰქონდეს ნაკისრი მედიაციის პროცესში ჩართვის ვალდებულება, ეს არ ართმევს მას უფლებას, შეიტანოს სასამართლოში განცხადება სარჩელის ან მოთხოვნის უზრუნველყოფის წინასწარი ღონისძიების გამოყენებაზე. როცა მედიაციის შესახებ შეთანხმება სხვა ხელშეკრულების ნაწილია, მასზე ვრცელდება ხელშეკრულების ზოგადი პირობები. შესაბამისად, განსხვავებით საარბიტრაჟო შეთანხმებისაგან, მის არსებობასა თუ ვალიდურობაზე იგივე პირობები ვრცელდება, რაც ხელშეკრულების სხვა მუხლებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ, კონკრეტული საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მედიაციის შესახებ შეთანხმება ბათილად იქნება ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ მხარები ისეთ მედიაციის პროცესზე შეთანხმდებიან, რომელშიც ნეიტრალური პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება შესასრულებლად. მხარეთა უფლებები და მოვალეობები პროცესის მანძილზე შესაძლოა განისაზღვროს სამედიაციო შეთანხმებითაც. როგორც წესი, სამედიაციო შეთანხმებება ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: მხარეების ვალდებულებებას დაესწრონ მედიაციის მინიმუმ ერთი შეხვედრას, მედიატორის არჩევის წესსა და ინდივიდუალურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებას. (Hopt, Steffek, 2013) რაც შეეხება მედიატორსა და მხარეებს შორის დადებულ შეთანხმებას, ის მომსახურების ხელშეკრულებაა, რომლის დადება ასევე შესაძლებელია ზეპირადაც. როგორც წესი, მსგავსი ხელშეკრულებები მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: მედიატორის ანაზღაურების წესს; მედიატორის ვალდებულებებს (მედიატორის როლი, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში მის პასუხისმგებლობას და ა.შ.); მედიატორის უფლებას, შეაჩეროს პროცესის მსვლელობა. ეს უკანასკნელი მითითებულიც რომ არ იყოს ხელშეკრულებაში, მედიატორს მაინც აქვს პროცესის შეჩერების უფლება, მხარეები ასევე ვალდებულნი არიან, აუნაზღარონ მედიატორს გაწეული ხარჯები და მომსახურების საფასური, მიუხედავად იმისა, იქნება ეს აღნიშნული ხელშეკრულებაში, თუ არა. (ცერცვაძე, 2010) საჭიროებს თუ არა მედიაციის შესახებ შეთანხმება, რაიმე განსაკუთრებულ ფორმას? ეს საკითხი სადავო ნაკლებადაა გერმანელ იურისტებს შორის, ვინაიდან არ არის დადგენილი მედიაციის შესახებ შეთანხმების რაიმე უნივერსალური ფორმა და მასზე

სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი წესები ვრცელდება. უფრო ხშირად საკამათოა, საარბიტრაჟო შეთანხმების მსგავსად სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შემზღუდველია თუ არა მედიაციის შეთანხმება. ავტორთა მოსაზრებით, პასუხი უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა მედიაციის შესახებ შეთანხმებაზე ხელმომწერ ერთ მხარეს, დამოუკიდებლად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თუ კი ეს შესაძლებელია, მაშინ სამედიაციო შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით ისეთივე მოთხოვნების წაყენება როგორც ეს არბიტრაჟის შემთხვევაშია ზედმეტი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს არ აქვთ სავალდებულო მედიაციაზე უარის თქმის უფლებამოსილება, მედიაციის აქტის მე-2 (5) მუხლი მხარეებს, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დატოვების შესაძლებლობას აძლევს. (ცერცვაძე, 2010) შესაბამისად, მხარები ვალდებულნი არიან მედიაციის პროცესში მონაწილეობის და არა მორიგების. სახელშეკრულებო მედიაციის პროცესში თუ ერთი მხარე, სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარე, მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, მაინც უარს ამბობს მასში მონაწილებაზე, მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ასეთი საქმის განხილვისას მოსამართლემ სავარაუდოდ უნდა გაითვალისწინოს, რომ მხარეს შეეძლო ნებისმიერ ეტაპზე დაეტოვებინა პროცესი, შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება მხარის მიერ ` პრო ფორმა ~ ვალდებულების დარღვევას მოჰყვეს მნიშვნელოვანი ოდენობით ზიანის ანაზღაურება. (Hopt, Steffek, 2010) ასევე აღსანიშნავია, რომ მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმება არავითარ ვალდებულებას წარმოშობს მედიატორისა და სამედიაციო ინსტიტუტისათვის. შესაბამისად, სამედიაციო ინსტიტუტთან ან მედიატორთან დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადება არის საჭირო.

1.8 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი და აკრედიტაციის საკითხი

ვინ შეიძლება იყოს მედიატორი გერმანიაში? მედიაციის აქტი მოითხოვს, რომ მედიატორობის მსურველმა პირმა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: გაიაროს მედიაციის ტრეინინგი, სადაც შეისწავლის მედიაციის ძირეულ პრინციპებს, მოლაპარაკებების წარმართვისა და კომუნიკაციის ტექნიკას, კონფლიქტის მართვას და მედიაციის კანონს. ასევე, გაიაროს მედიაციის პროცესის პრაქტიკა ზედამხედველის დაკვირვებით, მათ შორის, როლური გათამაშებების გამოყენებით. მნიშნელოვანი შეზღუდვა, რასაც გერმანული კანონმდებლობა აწესებს, არის ის, რომ გერმანიის 7 ფედერალური მხარის იურისტებსა და ნოტარიუსებს აქვთ მხოლოდ სერტიფიცირებული მედიატორობის უფლება, დარჩენილ ცხრა მხარის კანონმდებლობა დამატებით, ასევე, აძლევს მედიატორობის უფლებამოსილებას საარბიტრაჟო ტრიბუნალების წევრ არაიურისტებსაც. (Hopt,Steffek, 2013) ამასთან, მედიაციის აქტი აკისრებს მედიატორს ვალდებულებას, ინტერესეთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სრული ინფორმაციის გამხელის. შესაბამისად, მედიატორებმა უნდა განაცხადონ ყველა იმ ფაქტისა და გარემოების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ პროცესის მიუკერძოებლად წარმართვაში. გერმანიაში დიდხანს მსჯელობდნენ, უნდა ყოფილიყო თუ არა მედიატორის განათლების, ცოდნის კრიტერიუმები საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებული. კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში აკრედიტაციისათვის აუცილებელ მოთხოვნად მედიაციის საკმარისი ცოდნასა და გამოცდილება იყო ზოგადად მითითებული,თუმცა, ვინაიდან გერმანიის ბაზარზე მედიატორის სერტიფიკატს სხვადასხვა ასოციაციები განსხვავებული პირობებით თავაზობდნენ, კერძოდ, აკრედიტირებული მედიატორის სტატუსის მოსაპოვებლად ზოგიერთი ერთკვირიან ტრენინგის გავლას ითხოვდა, ზოგი კი ერთწლიან აკადემიური პროგრამის, კანონმდებელმა დაინახა, რომ საჭირო იყო ზოგადი კრიტერიუმების შემუშავება. (ცერცვაძე, 2010) შესაბამისად, მედიაციის აქტის მე-5 მუხლი ამომწურავ ჩამონათვალს აკეთებს იმ მოთხოვნებისა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორის სასწავლო კურსი. ლობისტების მცდელობის მიუხედავად, რომ ასეთი ტრეინინგის ხანგრძლივობა 200-საათიანი ყოფილიყო, კანონმდებლმა ჩათვლა რომ 120საათიანი ტრეინინგი საკმარისად უზრუნველყოფდა მედიაციის პროცესის გაძღოლისათვის საჭირო უნარების შესწავლას. ამავე დროს,

მედიაციის კანონით არ არის გაწერილი მედიატორის სერტიფიკატის გაუქმების (ლიცენზიის ჩამორთმევის) კონკრეტული საფუძვლები. (ცერცვაძე, 2010)

1.9 მედიატორის ვალდებულებები

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო დონეზე არ არის შემუშავებული მედიატორთა ეთიკის კოდექსის ნორმები. აქედან გამომდინარე, მედიატორები მხოლოდ იმ რამდენიმე ვალდებულებით არიან შებოჭილნი, რაც კანონშია გაწერილი,თუმცა უმრავლესობა სამედიაციო ორგანიზაციებისა თავისი წევრი მედიატორებისგან მოითხოვს საკუთარი ან მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსის დაცვას. გერმანულ რეგულაციებში ასევე არ არის გაწერილი, თუ ვინ და როგორ უნდა აირჩიონ მხარეებმა მედიატორად. (Hopt, Steffek, 2013) შესაბამისად, მხარეებს აქვთ სრული თავისუფლება, აირჩიონ ის, ვინც მათ მიაჩნიათ საუკეთესო კანდიდატად. ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად ნებისმიერ მედიატორი ვალდებულია, გადაუგზავნოს საკუთარი გამოცდილების, გავლილი ტრენინგებისა და პროფესიონალიზმის შესახებ ინფორმაცია მხარეებს მათი მოთხოვნისთანავე. ასევე აღსანიშვანია, რომ იმ მედიტორებს, რომელთაც გერმანული კანონმდებლობით არ აქვთ სამართლაწარმოების უფლება, არ აქვთ იურიდიული რჩევების მიცემისა და მორიგების აქტის გაფორმების უფლება. არაიურისტი მედიატორის მიერ საქმის სამართლებრივი შეფასება ჩაითვლება არალიცენზირებულ იურიდიულ პრაქტიკად და მის განმახორციელებელს დაეკისრება ჯარიმა 5000 ევროს ოდენობით. მედიატორი ვალდებულია, სანამ შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდება, გაამხილოს ყველა გარემოება, რამაც შესაძლოა მისი ობიექტურობა და მიუკრეძოებლობა რისკის ქვეშ დააყენოს. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მედიატორს პროცესში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მხარეთა წინასწარი თანხმობით აქვს. ამასთან, მხარეთა თანხმობის შემთხვევაშიც კი პირს არ აქვს მედიატორობის უფლება, თუ მანამდე ის იმავე საქმეზე რომელიმე მხარის წარმომადგენელი, მრჩეველი ან კონსულტანტი იყო. მაშინაც კი, თუ დავაში მონაწილე რომელიმე მხარის

წარმომადგენელი იმავე ოფისში ან იურიდიულ კომპანიაში მუშაობს, სადაც მედიატორი. (ცერცვაძე, 2010) ვინაიდან მედიაციის აქტით მედიატორის როლი მედიაციის პროცესში ზუსტად განსაზღვრული არ არის, მას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი მედიაციის სტილი, რომელიც მისი შეხედულებით მხარეთა ინტერესბზე ყველაზე მეტად მორგებულია. ასევე, შეუძლია ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება, თუ მხარეები თანახმანი იქნებიან მასზე. ერთადერთი დათქმა, რაც პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით კანონს გააჩნია, არის შემდეგი: მედიატორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მხარეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საქმის გარემოებები და მორიგების აქტში მითითებული პირობები. ამ პირობიდან გამომდინარე, მედიატორის ვალდებულებაა, შეთავაზოს მხარეებს მათი ადვოკატების მიერ მორიგების პროექტის გადახედვა. თანამედიატორებს ძალიან იშვიათად იყენებენ გერმანიაში, რაც უმთავრესად გამოწვეულია ფინანსური ფაქტორით. ვინაიდან მეორე მედიატორის მონაწილეობა პროცესს საგრძნობლად აძვირებს, მასზე ხშირად მხარეები უარს ამბობენ. (ცერცვაძე, 2010)

1.10 მედიაციის პროცესუალური საკითხები,პროცეისის ხარჯები და ვადები

გერმანიის ფედერალური მოწყობის სისტემიდან გამომდინარე, მხარის ადგილობრივი ხელისუფლება წყვეტს ადგილობრივი სასამართლო სისტემის დაფინანსების საკითხს. აღნიშნული მიდგომის შედეგად სხვადასხვა მხარეში სასამართლო მედიაციის დაფინანსების განსხვავებული მოდელები დამკვიდრდა. (De Palo,2012) სასამართლოს გარეთ მედიაციის პროცესის ხარჯებს, თუნდ იგი რეკომენდირებული იყოს მოსამართლის მიერ, არ ანაზღაურებს სასამართლო, თუმცა, თუ მხარეები მიაღწევენ მორიგებას თუნდ სასამართლოს გარეთ მყოფ მედიაციის მეშვეობით, მაშინ მათ სასამართლოში გადახდილი ბაჟი უკან უბრუნდებათ. ეს საკითხი სწორედ მედიაციის ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გადაწყვიტა გერმანელმა კანონმდებელმა. (Espilugus, Iglesias, Palao, 2013) გერმანიის საპროცესო

კანონმდებლობით, მხარეებმა სასამართლოს რომელ სტადიაზეც არ უნდა მიაღწიონ მორიგებას, მათ უკან უბრუნდებათ გადახდილი ბაჟის 1/3-ი. შესაბამისი პირობები ვრცელდება მედიაციით მორიგების შემთხვევაშიც. ფედერალურმა ხელისუფლბამ ადგილობრივი მხარის ხელისუფალთ დამატებით მიანიჭა უფლებამოსილება ბაჟის საკითხთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღებისა. კერძოდ, მათი გადასაწყვეტი გახდა, მთლიანად თუ ნაწილობრივ გაათავისუფლებდნენ მოდავე მხარეებს საამართლო ბაჟისაგან მედიაცით დავის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში. (Hopt, Steffek, 2013) ამასთან, მედიაციის პროცესში იურისტების მონაწილეობის წასახალისებად, იურისტების მომსახურების ანაზღაურების სქემას დაემატა მორიგების პროცესში მონაწილეობის დროს გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის საფასური. შესაბამისად, იურისტებს აქვთ საშუალება, საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში, მოითხოვონ მედიაციის პროცესში დახარჯული დროის ანაზღაურებაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ ახლად მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსში შეიცვალა 150-ე (4) მუხლი, რომლის მიხედვით, მედიაციის პროცესის საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობაზე დაუსაბუთებელ უარს შესაძლოა მოჰყვეს ფინანსური სანქცია. (ცერცვაძე, 2010)

მედიატორის ანაზღაურების წესი არ არის მოწესრიგებული რომელიმე ზოგადი საკანონმდებლო აქტით, თუმცა, როცა მედიაციის პროცესში მედიატორები გერმანელი იურისტები არიან, ისინი იურისტების ანაზღაურების აქტით გათვალისწინებულ ჰონორარს იღებენ. ამასთან, არაიურისტი მედიატორები ცდილობენ, რომ მათი ანაზღაურების წესი გათვალისწინებული იყოს მორიგების აქტში და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ანაზღაურება უნდა მოხდეს იურისტის ჰონორარის ოდენობის მსგავსად. პრაქტიკაში მედიატორის ანაზღაურება დავის საგნის მიხედვით განისაზღვრება. კერძოდ, კომერციულ ბიზნეს - დავებზე საათობრივი ანაზღაურება მერყეობს 200-დან 600-ს ევრომდე, სხვა კატეგორიის დავებზე 100-დან 400-ს ევრომდე. (Hopt, Steffek, 2013) ამასთან, ანაზღაურების წესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მედიატორის კვალიფიკაციასა და დავის სირთულეზე (კოპლექსურობაზე). მედიატორის მომსახურების ანაზღაურების გარდა, შესაძლოა მხარეებს დაეკისროთ მედიატორის მგზავრობისა და კომუნიკაციის ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატის

მომსახურების ოდენობის განსაზღვრა, დავის სირთულის და დავის საგნის ღირებულების მიხედვით, ანალოგიურად ხდება ზემოთ აღნიშნული, იურისტის მომსახურების ანაზღაურების აქტის მიხედვით. იურისტს მხოლოდ სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის არ აქვს ცალკე მომსახურების საფასურის მოთხოვნის უფლება, რამდენადაც ეს ინსტიტუტი წარმოადგენს თვით სასამართლო სისტემის ნაწილს. მასში მონაწილეობისათვის წარმომადგენლის ჰონორარი სასამართლო პროცესზე მონაწილეობის ჰონორარის ოდენობის ტოლია. (ცერცვაძე, 2010) გერმანიის კანონმდებლობა მცირე ქონებრივ, ეკონომიკურ, ცილისწამების, საავტორო უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საქმეებზე მოსამართლეებს აძლევთ საშუალებას, არ შეუდგნენ საქმის განხილვას იქამდე, სანამ მხარეები არ წარმოადგენენ ცნობას, რომ მედიაციით სცადეს დავის მორგიებით დასრულება, მაგრამ მორიგება ვერ იქნა მიღწეული. ამასთან, თუ სამედიაციო ინსტიტუტისადმი მიმართვიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, კიდევ არ დაიწყება მედიაციის პროცესი, მაშინ მხარეს შეუძლია მისი გვერდის ავლით მიმართოს სასამართლოს. ამასთან, მედიაციის აქტის მე-2 მუხლის მიხედვით, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის უფლებამოსილება აქვთ როგორც მხარეებს, ასევე _ მედიატორს. თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე, მედიატორი ჩათვლის რომ მედიაციის პროცესი უშედეგო იქნება ან სხვადასხვა მიზეზის გამო მხარეს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (მაგ. ნარკოტიკებზე დამოკიდებულობის გამო). ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, სასამართლო მედიაციის პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში დავა ჩვეულებრივ გაგრძლედება სასამართლოში. ვინაიდან მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი სასამართლო პროცესის ნაწილია, მისი წარუმატებლად დამთავრება არ საჭიროებს დამატებით ქმედებებს, პროცესი ავტომატურად გრძელდება. კერძო მედიატორთან მორიგების პროცესის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში მხარეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საქმის წარმოების შეჩერების ვადებს, ვინაიდან საქმის განხილვა, როგორც წესი, შეჩერებულია მედიაციის მსვლელობის პერიოდში. ასევე, მომრიგებელი მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის დროს სასამრთლო პროცესის ვადის დინება არ ჩერდება, ვინაიდან ითვლება რომ ის იმავე სასამართლო პროცესის ნაწილია და ამ დროს სასამრთლო ყველა პროცესუალური ნორემების

დაცვით, ჩვეულებრივ მიმდინარეობს. (ცერცვაძე, 2010) აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესზე დახარჯული დროის საშუალო ოდენობა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში 10 საათს შეაგდენს, რაც, როგორც წესი, 5-საათიან ორ სესიაზე ნაწილდება. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრების ოქმს მედიატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ადგენს, თუ წინასწარ ამას მხარეები მოითხოვენ.

1.11 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთახმების ფორმა და მისი აღსრულება

გერმანიაში რაიმე სპეციალური ფორმა დაMმოთხოვნები მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად არ არსებობს. მასზე, ისევე როგორც გერმანიაში დადებულ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე (თუ მხარეებს სხვა რაიმე არ აქვთ მითითებზული), ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიის კანონმდებლობის ზოგადი მოთხოვნები ვრცელდება. (Hopt, Steffek, 2013) გამომდინარე აქედან, თუ მედიაციაზე მიღწეული შეთანხმება შეეხება მაგ., უძრავი ქონების გასხვისებას, მაშინ ეს შეთანხმება დამოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ. მედიაციაზე მიღებულ შეთანხმებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც ზოგადად ნებისმიერ ხელშეკრულებას. შესაბამისად, ის სასამართლოს მიერ ცნობილი და აღსრულებული უნდა იქნეს როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება. (ცერცვაძე, 2010) აქედან გამომდინარე, თუ მედიაციის პროცესში მიღწეული მორიგების ხელმომწერი რომელიმე მხარე მომავალში კვლავ მიმართავს სასამართლოს, მაშინ სასამართლო ვალდებულია, მედიაციის პროცესში მიღებული შეთანხმებიდან გამომდინარე იმსჯელოს მათ მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე. უფრო მეტიც, მხარეებს შეუძლიათ ამ მორიგების აქტში ჩადონ საარბიტრაჟო დათქმა, რა შემთხვავაშიც, საარბიტრაჟო დავის საგანი შესაძლოა გახდეს მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება. რასაკვრველია, ამ შემთხვევაში მხარეებმა უნდა დაიცვან საარბიტრაჟო დათქმასთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექის 1053 მუხლით დადგენილი წესები. (ცერცვაძე, 2010) გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მხარეებს რამდენიმე შესაძლებლობა აქვთ მედიაციის პროცესში მიღწეული მორიგების აქტის პირდაპირ იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად ქცევისა, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების გვერდის ავლითაც. მედიაციაზე მიღებული

მორიგების აღსრულება არ ხდება რაიმე სპეციალური წესით. შესაბამისად, მასზე ზოგადი ნორმები ვრცელდება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ესენია: 1. სასამართლო მედიაციაზე (მომრიგებელი მოსამართლის დახმარებით) მიღებული მორიგების აქტის აღსრულება იმავე ფორმით ხორციელდება, როგორც სასამართლო მორიგების აქტის (მუხლი 278-ე); 2. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესში ჩართონ ნოტარიუსი, რა შემთხვევაშიც მიღებულ მორიგების აქტის პირდაპირი აღსრულებაა შესაძლებელი; 3. თუ მედიაციის პროცესში მონაწილეობენ იურისტებიც, როგორც მოდავე მხარეთა წარმომადენლები, მათ შეუძლიათ მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს მოთხოვნით მორიგების აქტის იძულებით აღსრულებადად გამოცხადების შესახებ (მუხლი 794-ე). (ცერცვაძე, 2010) სასამართლო მედიაციაზე მიღწეული მორიგება დაუყონებლივ აღსრულებადი არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა მოსამართლის რჩევით სასამართლო პროცესი შეაჩერეს და მიმართეს კერძო, დამოუკიდებელ და არა სასამრთლო მედიაციას, თუმცა ამ შემთხვევაშიც, თუ მათ აკრედიტირებულ მედიატორს მიმართეს 794-ე მუხლის საფუძველზე აქვთ სააღსრულებო ფურცლის აღების შესაძლებლობა. მორიგების აქტის საფუძვლად სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის უფლება სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, თუ მორიგება ბათილია, დაკარგული აქვს მოქმედების ძალა ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. (ცერცვაძე, 2010) მხარებს მორიგების აქტისათვის იძულებით აღსრულებადი ძალის მინიჭების მიზნით, ასევე, შეუძლით მიმართონ ნოტარიუსს უკვე ხელმოწერილი მორიგების აქტით. ამ დროს ნოტარიუსი ამოწმებს მხარეთა ნებას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უპირობა აღსრულების შესახებ და ამოწმებს მორიგების აქტს. მსგავსი შესაძლებლობა აქვთ ნოტარიუსებს მაშინაც, როცა თვითონ მონაწილეობენ პროცესში მედიატორებად. გამომდინარე იქედან, რომ გერმანიაში საკმაოდ ბევრი მექანიზმი არსებობს მედიაციით მიღებული მორიგების დარღვევის შემთხევაში მისი იძულებით და დაუყონებლივ აღსრულებისა, გერმანელმა კანონმდებელმა აღარ ჩათვალა საჭიროდ საკუთარ კანონმდებლობაში ევროპული დირექტივის მე-6 მუხლის დამატებითი ინპლემენტაცია. კერძოდ, ევროპული დირექტივის მე-6 მუხლით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ, განესაზღვრათ, მხარეთა მოთხოვნის შემთხევვაში მედიაციის პროცესზე

მიღებული მორიგების აქტის სასამართლოს დახმარებით აღსრულების პროცედურები. (Hopt, Steffek, 2013) მედიაციის აქტის თავდაპირველი ვერსია, დირექტვის მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავდა მორიგების იძულებით აღსრულებადი ძალის შეძენის მიზნით განსახორციელებელ სპეციალურ პროცედურას, თუმცა კოდიფიცირებული ვერსიიდან მორიგების იძულებით აღსრულების შესახებ დათქმა ამოღებულ იქნა, ვინაიდან გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 796-ე მუხლი ამის საშუალებას ისედაც იძლეოდა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 796-ე მუხლი იურისტებს აძლევთ საშუალებას მათ შორის მიღწეული მორიგების იძულებით აღსრულებად ქცევისა, მაგრამ თუ მედიაციის პროცესში მხარეები იურისტების გარეშე მონაწილეობდნენ, ამ შემთხვევაში მხარეებს მოუწევთ დამატებით ხარჯის გაწევა მათი დაქირავების მიზნით, რაც გამოწვეულია მედიაციის აქტიდან მორიგების აქტით პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ დათქმის ამოღებით. (ცერცვაძე, 2010)

1.12 მედიაციის განვითარების ტენდენციები გერმანიის ფედერაციაში

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტმა მოლოდინი ვერ გაამართლა და მისი დახმარებით მართლმსაჯულების ხარჯების დაზოგვა ვერ მოხერხდა. (Hopt, Steffek, 2013) რაც შესაძლოა გარკვეულწილად გამოწვეული იყო იმ ფაქტითაც, რომ მხარეები მორიგებისაკენ უფრო იხრებიან, როცა დავა სასამართლოში განხილვის პროცესშია და არა პროცესის დასაწყის სტადიაზე. შესაბამისად, სასამარათლოში საქმის განხილვის დაწყებამდე სავალდებულო მედიაციამ მედიაციის ინსიტიტუტის დისკრედიტაცია გამოიწვია, ხოლო დაწესებულმა კრიტერიუმებმა ის აქცია `მეორე ხარისხოვან მართლმლსაჯულების~ ინსტიტუტად. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ გერმანელი კანონმდებელი სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით რაიმეს შეცვალიდა (როგორც ზემოთ აღინიშნა), მაგრამ მოხდა პირიქით საკმაოდ დავიწროვდა საკითხთა ის წრე, რომელიც სავალდებულო

მედიაციას შეიძლებოდა გადაცემოდა, რითიც სავალდებულო მედიაციის იდეის მომხრეთა მოლოდინი არ გამართლდა. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გერმანული კომპანიები ნებაყოფლობით მედიაციის ინსტიტუტს კომერციულ დავებზე არც თუ ხშირად მიმართავენ და მორიგებით დავის რეგულირებაზე მხოლოდ მაშინ დაფიქრდებიან ხოლმე, როცა მოსამართლე ურჩევთ მათ ამის გაკეთებას. ამასთან, კომერციულ დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზებს შორის მედიაცია ნაკლებად, პოპულარულია, ვიდრე _ არბიტრაჟი, თუმცა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა მომსახურეობის სფეროში წარმოშობილი დავების კერძო მედიაციით გადაწყვეტის სტატისტიკა. (ცერცვაძე, 2010) კერძოდ, მედიაციის განვითარების ტემპის თითქოს შენელების მიუხედავად, გერმანიაში სამშენებლო სექტორებში ნებაყოფლობითი მედიაციისადმი მიმართვიანობა მატულობს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გერმანიის ფედერაციაში მედიაციის დადებით თვისებებს უკვე ბევრი აღიარებს, ადგილობრივი ექპერტების მოსაზრებით, კომერციული მედიაციას საკუთარი პოტენციალის გამოვლენის სრული საშუალება სამშენებლო დავებთან ერთად, მიეცემა სადაზღვევო დავებზეც. სავარუდოდ, სწორედ მომსახურების სფეროში მედიაციის მზარდი ტენდენციის შედეგია მედიატორთა სალიცენზიო კურსის გავლის მსურველთა რაოდენობის ზრდაც. (ცერცვაძე, 2010)

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ კერძო სამედიაციო ცენტრებს ჯერ კიდევ არ დაუკავებია მნიშვნელოვანი ადგილი მართლმსაჯულების სფეროში, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. 2010 წელს სასამართლოში 1.6 მილიონი სამოქალაქო სამართლის დავაზე იქნა შეტანილი სარჩელი, საიდანაც კერძო მედიატორს მხოლოდ 2500 საქმე გადაეცა. (Hopt, Steffek, 2013) ამ მონაცემის არსებობა სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული, პირველ რიგში, იმით, რომ სასამართლო წარმოება გერმანიაში არც თუ ძვირი პროცედურაა და უფასო სამართლებრივი დახმარებით მოქალაქეთა ფართო წრეს შეუძლია ისარგებლოს. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოები ეფექტიანად მუშაოდენ და გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანიდან რამდენიმე თვეში აბარებენ მოქალაქეებს. მოსამართლეები სარგებლობენ მაღალი ნდობით, ობიექტური და მიუკერძოებელი ავტორიტეტით, მით უფრო, როცა ისინი თავად გამოდიან მომრიგებელი მოსამართლეების (სასამართლო მედიატორების)

როლში. შესაბამისად, გერმნიაში სასამართლოს გზით დავის მოგვარება საკმაოდ მიმზიდველი, იაფი და სწრაფი საშუალებაა. რაც, თავის მხრივ, არც თუ ისე დიდ სივრცეს უტოვებს დავის გადაწყვეტის კერძო ალტერნატიულ საშუალებებს. (ცერცვაძე, 2010) უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა მორიგების გზით კონფლიქტის რეგულირებისა საოჯახო დავებზეა. ჩატარებულმა კველამ, რომელიც განსხვავებული სეგმენტისა და ზომის კომპანიებს მოიცავდა, აჩვენა, რომ კომპანიების წარმომადგენლები, ერთი მხრივ, მედიაციის ინსტიტუტის უპირატესობებსა და მის იმედისმომცემ მომავალზე საუბრობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, იშვიათად მიმართავდნენ მას. ჯერ კიდევ ბევრი მოსამართლე და პრაქტიკოსი იურისტი, მედიაციის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო, ეჭვის თვალით უყურებს მის შესაძლებლობებს. პილოტური პროექტის გაშვების შემდეგ ბევრი მათგანის პოზიცია შეიცვალა. მეტიც, მოსამართლეთა ნაწილმა ჩათვალა, რომ მოსამართლის როლზე უფრო მეტად დადებითი შედეგის (უკუკავშირის) მომტანი მედიატორობა იყო, რის გამოც უარი თქვეს მოსამართლეობაზე და მედიატორებად გააგრძელეს საქმიანობა, თუმცა ეს ჯერ მედიაციის პრაქტიკაზე ციფრებში არ ასახულა. რისი მიზეზიც მედიაციის განსავითარებლად არასაკმარისი მასტიმულირებელი მექანიზმების არსებობა უნდა იყოს. (ცერცვაძე, 2010)

თავი II

ამერიკის შეერთებული შტატების მედიაციის მოდელი

2.1 მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის კულტურის ფორმირება და მისი მახასიათებლები

სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თანმხლები ნაკლოვანებების (დროისა და ადამიანური რესურსების ხარჯვის, მხარეთა რეალური ინტერესებისა და საჭიროებების უგულებელყოფის, `მოჩვენებითი~ გამარჯვების, სასამართლოს მომხმარებელთა უკმაყოფილების) აღმოსაფხვრელად გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სასამართლო სისტემის წინაშე დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებების საჭიროება შეიქმნა, რომლებიც მოდავე მხარეებს ოპტიმალური გამოსავლის მოძიების, მათ შორის ურთიერთობის შენარჩუნებისა და ორივე მხარისათვის მისაღები დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას მისცემდა. მედიაცია, როგორც მხარეთა მორიგების მიზნით მესამე ნეიტრალური პირის (მედიატორის) დახმარებით წარმართული პროცესი, აშშ-ში კოლონისტების დროიდან არსებობდა, (Ingen-Housz, 2011) თუმცა მედიაცია, როგორც სასამართლოს მიერ შეთავაზებული დავის გადაწყვეტის ალტერნატივა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა, სწორედ იმ დროს, როდესაც აშშ-ში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობამ და უკმაყოფილებამ იმატა. (Rogers, McEwen, 1989) კერძოდ, 1976 წლის აპრილში ჩატარებულმა ფაუნდის კონფერენციის სახელით ცნობილმა ნაციონალურმა კონფერენციამ. კონფერენციაზე მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზებსა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის საკითხს 200-ზე მეტი მოსამართლე, მეცნიერები და ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლები განიხილავდნენ, სათავე დაუდო მედიაციის განვითარებას. (Hebert, 2001) აღნიშნულ კონფერენციაზე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარემ ვორენ ბურგერმა მართლმსაჯულების სისტემის გადახედვა მოითხოვა, ვინაიდან არსებობდა საშიშროება, რომ მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც კი

სასამართლოები ვერ შეძლებდნენ ეფექტურ ოპერირებას და სასამართლო სისტემას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნებოდა. (Rogers, McEwen, 1989) იგი გამოვიდა ინიციატივით, სასამართლოებს მოდავე მხარეებისათვის დავის გადაწვეტის არსებულზე უფრო იაფი და ეფექტური საშუალება შეეთავაზებინათ. მისი აზრით: `სამართლებრივი პრობლემების მქონე ადამიანს, ისევე , როგორც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანს , სჭირდება შვება რაც შეიძლება მალე და ნაკლები და ნახარჯებით.'' (Rogers, McEwen, 1989) ამავე კონფერენციაზე ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრენკ სანდერმა საკუთარ მიმართვაში პირველად წამოჭრა `მრავალსარკმლიანი სასამართლოს~ იდეა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სწორედ სასამართლო სერვისებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა იყო. მრავალსარკმლიანი სასამართლოს იდეა, რომელიც პროფესორ ფრენკ სანდერმა შეიმუშავა, გულისხმობდა სასამართლოს დახმარებით მოქალაქეების მიერ დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალების არჩევას, რომლის გამოყენებითაც როგორც მოდავე მხარე, ისე მართლმსაჯულება მაქსიმალურ სარგებელს მიიღებდა. შედეგად, მედიაციის, როგორც კიდევ ერთი სასამართლო მომსახურების, მართლმსაჯულების არსენალში მოხვედრას წინ უსწრებდა დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმების, მათ შორის, ნეიტრალური პირის მიერ დავის ადრეული შეფასებისა და ექსპერტის დახმარებით დავის გადაწყვეტის დამკვიდრება. (Rogers, McEwen, 1989) ამრიგად, საწყის ეტაპზე, ამერიკული სასამართლოები მოდავე მხარეებს მედიაციის დახმარებით კონფლიქტის რეგულირების შეთავაზებამდე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს სთავაზობდნენ. მათ შორის მედიაციამ თანდათანობით წამყვანი ადგილი მოიპოვა, რასაც ბოლო ათწლეულების ფინანსურმა კრიზისებმაც შეუწყო ხელი. საბიუჯეტო სახსრებისა და მართლმსაჯულების ბიუჯეტის შემცირების გამო სასამართლოს დავების ეფექტური და ქმედითი გადაწყვეტის საშუალებები კიდევ უფრო მეტად მოთხოვნადი გახდა, ვიდრე მანამდე. ფრენკ სანდერის იდეა იურისტებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობდა, მაგრამ მედიაციის განვითარების პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპზე დაძაბულობა მაინც დიდი იყო. ეს გამოწვეული იყო მედიაციისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მქონე იმ იურისტების პოზიციით, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მედიაციის ინსტიტუტი გაართულებდა, გაზრდიდა

სამართლებრივი დავების რაოდენობას და მიღწეული მორიგებები პრაქტიკაში არ შესრულდებოდა. ასევე, იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც დავის გადაწყვეტის უპირველეს მიზნად პრეცედენტის შექმნას მიიჩნევდნენ და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დამკვიდრებას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ. კრიტიკოსებს შორის იყო იელის უნივერისტეტის პროფესორი ოვენ ფიზი , რომელმაც 1984 წელს იელის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია `მორიგების წინააღმდეგ~. (The Yale Law Journal, 1984) სტატიაში ავტორი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მხარდამჭერებს მიუთითებდა, რომ `მორიგება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას~. შესაბამისად, ერთი შეხედვით, საზოგადოებრივი მშვიდობა, რომელსაც დავის მორიგებით დამთავრება წარმოქმნის, სასამართლოს ართმევს სამართლის ნორმების, მათ შორის, კონსტიტუციის განმარტების საშუალებას, რის გამოც ვერ მოხერხდებოდა იმ ღირებულებების დამკვიდრება, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. განვლილმა წლებმა ცხადყო, რომ სკეპტიკოსთა მოსაზრებები არ გამართლდა. პირიქით, მედიაციამ მართლმსაჯულებას მრავალი სიკეთე მოუტანა. მათ შორის აღსანიშნავია სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება, ნდობის მატება და მხარეთა მიერ აღქმული `სიმართლით~ საქმეთა გადაწყვეტა. აშშ-ში მედიაცია წარმატებულ ინსტიტუტად იქცა. (Kimberlee, 2003) მედიაციის პროცესი სხვადასხვა შტატში სხვადასხვა ტრაექტორიით წარიმართა, რაც მედიატორთა, მოსამართლეთა, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების არსებობით იყო განპირობებული. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, აშშ პირველი სახელმწიფოა, სადაც სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია მოხდა. 1980-იანი წლებიდან, სასამართლოს განტვირთვის მიზნით, აშშ-ს სასამართლოებმა საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება დაიწყეს. (Chern, 2008) ამ დროიდან მოყოლებული მედიაცია სასამართლოს განუყოფელ ნაწილად იქცა. თავის მხრივ, 1990-იანი წლებიდან აშშ-ის სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს მედიაციის საშუალებით ნებისმიერი კატეგორიისა და სირთულის დავის გადაწყვეტას. დღეისათვის მედიაცია გამოიყენება როგორც სასამართლოსათვის მიმართვამდე, ასევე, პირველი ინსტანციის, აპელაციის და

შტატების უზენაეს სასამართლოებში საქმის მსვლელობისას. ამასთან, მის გამოყენებას მხარს უჭერს სხვადასხვა სტატუტები და სასამართლო აქტები, რომლებიც ეტაპობრივად და თანმიმდევრულად შეიქმნა. (Rogers, McEwen, 1989) დღეისათვის აშშ ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც თამამად შეუძლია თქვას, რომ მედიაციის დამკვიდრებული კულტურა აქვს, რაც გულისხმობს როგორც პრობლემის გადაწყვეტასა და ორმხრივად მომგებიანი გამოსავლის პოვნაზე ორიენტირებულ ადვოკატებს, ასევე, მედიაციის უპირატესობების მცოდნე მოსამართლეთა კორპუსსა და მომხმარებელს. აღნიშნულს ადასტურებს როგორც სამედიაციო ცენტრებისადმი მიმართულ დავათა ოდენობა, ასევე, მიმართვის დრო (როგორც კონფლიქტის ადრეულ, ისე სასამართლოში დავის განხილვისა და აღსრულების ეტაპზე) და მორიგებათა საერთო პროცენტულ მაჩვენებლები. (Chern, 2008) აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი საზოგადოების მცდელობას, დაემკვიდრებინა მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის კულტურა, ხელი შეუწყო როგორც ისტორიულმა ფონმა, მომავალზე ორიენტირებულმა მოსამართლეთა ხედვამ და თავდაუზოგავმა შრომამ, ასევე, ამერიკული სამართლის გარკვეულმა მახასიათებლებმა და იმპლემენტაციის პროცესში ადვოკატთა ასოციაციისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ჩართულობამ. ვინაიდან მედიაციის კულტურის ფორმირებაში თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მიზანშეწონილია მათი უფრო დეტალურად განხილვა: 1. მედიაციის წარმოშობის პარალელურად აშშ-ის სამეცნიერო წრეებში სულ უფრო მეტ მოწონებას იმსახურებდა `პლურალიზმზე დამყარებული პროცესის~ იდეა, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის უმჯობესი სამართლებრივი კონფლიქტის გადაჭრა დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდებით, პროცესითა და მიდგომით. (Rogers, McEwen, 1989) ამდენად, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების იდეას არც სამეცნიერო წრეებსა და არც მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა რიგებში არ გაუჭირდა მხარდამჭერთა მოპოვება. ამასთან, სასამართლო მედიაციის დანერგვისას ამერიკული მართლმსაჯულების მიზანი მხოლოდ საქმეთა ნაკადის მართვა და სასამართლოში განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება არ იყო, როგორც ეს ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში ხდებოდა. აშშ-ში თავიდანვე ნათლად განისაზღვრა, რომ მედიაციის მიზანი იყო მოქალაქეებს

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს გარდა სხვა ალტერნატიულ ფორუმებზე ჰქონოდათ წვდომა, რომელიც მათ მოთხოვნილებებზე უფრო მორგებული იქნებოდა. (Chern, 2008) 2. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ასევე ხელი შეუწყო დავის მორიგებით დასრულების პოპულარიზაციას, ამერიკული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თავისებურება იყო: პირველ რიგში აღსანიშნავია მოგებული მხარის მიერ გაწეული სამართლებრივი ხარჯების დამარცხებულ მხარეზე დაკისრების წესის არარსებობა.Aაშშ-ის თითქმის ყველა შტატში, შედეგის მიუხედავად, სასამართლო პროცესის წარმოებისას გაწეულ ხარჯებს მხარეები თავად ისტუმრებენ. აქედან გამომდინარე, დავისათვის გაწეული დანახარჯები მოგებულ მხარეს უკან არ უბრუნდება, განსხვავებით გერმანული სამართლის ქვეყნებისგან, სადაც მოგებული მხარის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარჯის გარკვეულ ოდენობას (თუ მთლიანს არა) წაგებული მხარე ანაზღაურებს. (Moore, 2003) ამას ემატებაAისიც, რომ აშშ-ში იურიდიული მომსახურება საკმაოდ ძვირია და მოდავე მხარები, ეკონომიკური თვალსაზრისით, დროულად და ნაკლები დანახარჯებით დავის საწყის ეტაპზე მორიგებას ამჯობინებენ, ვიდრე წლების შემდეგ სასამართლოში საქმის მათ სასარგებლოდ დასრულებას. (Moore, 2003) მეორე ის, რომ ამერიკული სამართლის კიდევ ერთი მახასიათებელია მტკიცებულების შეგროვების პროცესის სიძვირე. და ბოლოს, აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში, არამედ სამოქალქო სამართლის დავების განხილვაშიც, რაც მნიშვნელოვნად ართულებს (მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტადობის თვალსაზრისით) და აძვირებს სამართალწარმოებას. 3. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ და იურიდიულმა სკოლებმა იმთავითვე დაიწყეს მედიაციის პოპულარიზაცია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიწყეს `კარგი~ იურისტის, ადვოკატის, დამცველის ცნების მოდიფიცირება. (Blackshaw, 2009) კერძოდ, თუ ადრე კარგი ადვოკატი ასოცირდებოდა კარგ მებრძოლთან, მსროლელთან და გლადიატორთან, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესების მოსაგებად, მედიაციის (და თანამშრომლობის იდეაზე დამყარებული კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდების) განვითარების პარალელურად მათ წამოწიეს იურისტის უნარი, იყოს `პრობლემის

გადაჭრაზე ორიენტირებული~. შესაბამისად, არა `მებრძოლი~, `გლადიატორი~, არამედ _ `მკურნალი~ და `მშვიდობისმყოფელი~. ეს კი გამოიხატება მათ მიერ სასამართლოსადმი მიმართვამდე საკუთარი კლიენტისათვის მედიაციის (საქმის მორიგებით დასრულების) უპირატესობების განმარტებაში და, რაც მთავარია, სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტის მხოლოდ მას შემდეგ მოთხოვნაში, როცა დარწმუნდებიან, რომ საკუთარი კლიენტისათვის დავის ხელსაყრელი მორიგებით დამთავრების ყველა გზა მოსინჯულ იქნა და ყველა შესაძლებლობება _ გამოყენებული. (Hodge, Vogenauer, Tulibacka, 2010)

ამრიგად, აშშ-ში სხვადასხვა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ მხარეებს სასამართლოს გვერდის ავლით დავის მორიგებით დამთავრება აერჩიათ, რომელთა ერთობლიობამაც გამოიწვია სასამართლოს მომხმარებლებს შორის მედიაციით დაინტერესება, ხოლო შემდგომში _ მიღწეული შედეგით კმაყოფილება. ამერიკელი იურისტების გარკვეული ნაწილის მოლოდინი, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება სამართლებრივი კონფლიქტისადმი შეიცვლებოდა და მოდავე მხარეების მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების კულტურა თანდათანობით დამკვიდრდებოდა, გამართლდა. ეს კი მეტწილად მედიაციის ინსტიტუტის დანერგვის პროცესში ჩართულ პირებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით მოხერხდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ის, რომ დღეს აშშ-ში მედიაცია აღიქმება სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ ინსტუტუტად. მისი დანიშნულებაა მხარეთა მორიგება, სასამართლოს განტვირთვა, მხარეთა და სასამართლოს დროისა და ფულის დაზოგვა. ამასთან, მხარეთა მორიგების ფუნქციასთან ერთად, მას განიხილავენ კიდევ უფრო მეტის მიღწევის საშულებად, კერძოდ, როგორც მხარეთა მოსმენის, საქმესთან დაკავშირებული არასამართლებრივი, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ინტერესების განხილვის შედეგად ინფორმირებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღებით დავის ტრანსფორმირების საშუალებად. (Waine, 2000)

2.2 მედიაციის სამართლებრივი და ფედერალური რეგულირება

შეერთებული შტატებში სასამართლოებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დამკვიდრების ათვლის წერტილად 1990 და 1996 წლებს მიიჩნევენ, რადგან 1990 წელს საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა `სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტი~, (Abramson, 2011) ხოლო 1996 წელს _ პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის მიერ `სამოქალაქო სამართლის რეფორმის~ ბრძანებულება. პირველი მათგანით ყველა ფედერალურ ოლქს დაევალა სასამართლო პროცესის ხარჯებისა და საქმის განხილვის დროის შემცირებასათან ერთად სამართლიანი, ჩქარი და იაფი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შემუშავების სამოქმედო გეგმის მიღება, ხოლო მეორე მათგანით პრეზიდენტი ფედერალურ სამსახურებს ავალებდა, კერძო სამართლებრივი დავები გადაეწყვიტათ მშვიდობიანი და ნაკლებ ხარჯიანი ალტერნატიული საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული აქტი დავის გადაწყვეტის ალტრენატიულ საშუალებებს შორის უპირატესობას არ ანიჭებდა რომელიმე ფორმას, მედიაციამ თავად მოიპოვა დომინირებული ადგილი. (Rogers, McEwen, 1989) 1997 წლისათვის საოლქო სასამართლოების ნახევარზე მეტს მედიაციის პროგრამა შემუშავებული ჰქონდა. 1998 წლის `დავების გადაწყვეტის აქტით~ ყველა ფედერალურ სასამართლოს მედიაციის ცენტრის ცალკე განვითარება მოეთხოვა. ამასთან, `დავების გადაწყვეტის აქტით~ კონგრესმა ყველა სახელმწიფო უწყებას (არა მხოლოდ სასამართლოებს) დაავალა, რომ ხელი შეეწყოთ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისათვის და საკუთარ უწყებაში აერჩიათ ამ პროექტზე პასუხისმგებელი ერთი პირი _ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ოფიცერი. ამბობენ, რომ როგორც `სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტმა~ შეუწყო ხელი სასამართლო სისტემაში მედიაციის განვითარებას, ისე, `დავების გადაწყვეტის აქტმა~ განაპირობა მის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამკვიდრება. შედეგად, დღეისათვის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მედიაციის გზით რეგულირდება შრომის, ლიცენზირების, წიაღის მოპოვების, საგადასახადო, ეკოლოგიურ და ენერგორესურსების საკითხებთან დაკავშირებული დავები. (Abramson, 2011)

მედიაციის და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებების განვითარების საწყის ეტაპზე აშშ-ის ხელისუფლება ფედერალური აქტების შემუშავებით ცდილობდა, ჩართული ყოფილიყო რეგულირების პროცესში და გარკვეულწილად ეკონტროლებინა ის, თუმცა ტენდენცია თანდათან იცვლებოდა და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები სულ უფრო და უფრო მეტად დამოუკიდებელი (თვითრეგულირებადი) ხდებოდა. შედეგად, შტატების ინდივიდუალური სასამართლოების მიერ შემუშავებული პროცედურული წესებით მინიმალურად შემცირდა ფედერალური ორგანოების მხრიდან ბიუროკრატიული ჩარევა. (Abramson, 2011)

2.3 უნიფიცირებული აქტი

აშშ-ში მედიაციის ინსტიტუტის განვითარების პროცესის გარკვეულ ეტაპზე მედიაციის უნიფიცირების პრობლემა დადგა, რადგან უნიფიცირებული კანონმდებლობის არარსებობის გამო, მედიაციის პროცესის ისეთი ფუნდამენტური საკითხიც კი, როგორიცაა კონფიდენციალურობის დაცვა, განსხვავებულად იყო აღქმული პრაქტიკოსი მედიატორების მიერ. მე-20 საუკუნის მიწურულს 2500-ზე მეტი სამართლებრივი აქტი ეხებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე მედიაციის ინსტიტუტს, რომელთაგან 250-ზე მეტი აწესრიგებდა მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს. (Hopt, Steffek, 2013) აღნიშნული მიზეზით, სახელმწიფო კანონმდებლობის რწმუნებულთა ნაციონალურმა კონფერენციამ 2001 წლის აგვისტოში `მედიაციის უნიფიცირებული აქტი~ შეიმუშავა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სამართლებრივ აქტში მარეგულირებელი ნორმების დაქსაქსულობა ართულებდა მედიაციის პროცესს, უნიფიცირებული აქტის მიღების მიზანი მედიაციის პროცესის მონაწილეთა პრივილეგიისა და კონფიდენციალობის დაცვის ერთიანი, ნათელი და ამომწურავი კანონმდებლობის შექმნა იყო. აღსანიშნავია, რომ 2003 წელს უნიფიცირებულ აქტში ცვლილებები შევიდა, რომლის მთავარი მიზეზიც 2002 წელს

გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ `საერთაშორისო სავაჭრო მორიგების შესახებ~ მიღებულ მოდელურ კანონთან თანხვედრაში მოყვანა იყო. (Hopt, Steffek, 2013) ვინაიდან მედიაციის პროცესის ჯეროვნად ჩატარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა შეძლონ ღიად საუბარი, უნიფიცირებული აქტის მთავარი საზრუნავი სწორედ პროცესის მანძილზე წარმოებული კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა იყო. Amas თან, მხარეთა ავტონომიის უფლების დაცვის მიზნით, აქტი მედიაციაში მონაწილე მხარეებს როგორც პრივილეგიის, ისე კონფიდენციალურობის საკითხზე სხვაგვარად შეთანხმების საშუალებას აძლევს. უნიფიცირებული კანონმდებლობა ნაციონალურმა კომისიამ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დავის ალტერნატიულ გადაწყვეტის სექციასთან თანამშრომლობით შეიმუშავა. აღნიშნული აქტი მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობასთან ერთად, მასში მონაწილე პირებზე (ჩვენების მიცემისაგან თავისუფლების) პრივილეგიის გავრცელების წესებსაც ადგენს. (Hopt, Steffek, 2013) `მედიაციის უნიფიცირებული აქტი~ ადგენს კონფიდენციალურობის მიმართ მინიმალურ სტანდარტს, რომლის გამოც კალიფორნიის შტატის უზენაესმა სასამართლომ ის უარყო და კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი დაადგენა. კერძოდ, კონფიდენციალურობის ფართო განმარტების ნაცვლად, რომელიც მოიცავს მედიაციის პროცესში შექმნილი მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვასაც, `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ ავტორებმა არჩიეს მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვის უფლებამოსილების მხარეებისათვის და, გარკვეულ შემთხვევებში, მედიატორისათვის მინიჭება. (Martinez, Purcell, Shaked, Mehta, 2013) სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზიარებს აღნიშნულ მტკიცებულებას, თუ მხარეები შეთანხმდებიან და საკუთარი ნებით უარს იტყვიან მედიაციის პროცესში კომუნიკაციისას შექმნილი მტკიცებულებების კონფიდენციალურად შენახვისა და სხვა სამართლებრივ პროცესში მისი გამოყენების შეზღუდვის თაობაზე. უნიფიცირებული აქტის ავტორების აზრით, მტკიცებულების დაცვის პრივილეგია არ გამორიცხავს თავისთავად ხელშეკრულების გაანალიზების საშუალებას. პირიქით, ის ხელს უწყობს სასამართლოებს, განსაზღვრონ ბალანსი მედიაციის პროცესუალურ მოთხოვნებსა და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის. შესაბამისად, სტანდარტებისა და მედიაციის პროგრამის

ჩამოყალიბებისას, უნიფიცირებული მედიაციის აქტმა მედიაციის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება სასამართლოებს მიანდო. კერძოდ, შტატის სასამართლოები თავად წყვეტენ, დანერგავენ თუ არა ისინი შტატის მასშტაბით სავალდებულო მეიდაიციას, შეიმუშავებენ თუ არა მედიატორთა ქცევის სტანდარტს (და თუ შეიმუშავებენ _ როგორს) და რა მინიმალურ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რათა სასამართლო მედიაციის პროგრამებში მიიღოს მედიატორის აკრედიტაცია. (`მედიაციის უნიფიცირებული აქტი~ არ უარყოფს, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა ექცეოდეს, თუმცა ის ცდილობს, ხელი შეუწყოს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული წესებით დავების რეგულირებას, პროცესის მთლიანობის, საზოგადოების ინფორმირებულობისა და კანონმდებლობის ერთგვაროვნების დაცვას. (Martinez, Purcell, Shaked, Mehta, 2013) აღსანიშნავია, რომ მედიაციის უნიფიცირებულ აქტს შტატები მხოლოდ სასამართლო მედიაციასთან მიმართებით იყენებენ. ამასთან, მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით აქტი ითვალისწინებს არჩევით მექანიზმს. `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ მიხედვით, შტატმა, სხვა საკითხებთან ერთად, საკუთარი პრაქტიკით უნდა განსაზღვროს, თავის ტერიტორიაზე მედიაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე რამდენად ფართოდ გავრცელდება პრივილეგია. თუ მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეები და მედიატორი გამოხატავენ სურვილს, რომ მათ შორის მედიაციის პროცესში გამართული კომუნიკაცია დაცული იყოს პრივილეგიით, `მედიაციის უნიფიცირებული აქტი~ ყველა მათგანზე თანაბრად ვრცელდება. მოლაპარაკებების პროცესი ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს პრივილეგიით, თუმცა სხვა დოკუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც მედიაციის პროცესში გამოიყენეს მხარეებმა, არ არის აპრიორი დაცული პრივილეგიით. მედიაციის პრივილეგია შესაძლოა არ იყოს გამოყენებული, თუ აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენას ან დაფარვას. აქტის მე-6 მუხლში ასახულია, თუ როგორ მოახერხეს `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ ავტორებმა დავების გადაწყვეტის მექანიზმების გამჭვირვალობის თანმდევ საჯარო ინტერესსა და მედიატორებისათვის პრივილეგიის მინიჭების უკან მდარი მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის

მიზანს შორის ბალანსის დაცვა. (Hopt, Steffek, 2013) მედიაციის პროცესში პრივილეგიის ინსტიტუტი უძლურია, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ან ადგილობრივი სტატუტები მოითხოვს მედიაციის პროცესის მსვლელობის დროს შექმნილი და წარმოდგენილი მტკიცებულების გახსნას ან როცა თვით მედიაციის პროცესი საჯაროდ ტარდება. ამასთან, მედიაციის პროცესში გამართული კომუნიკაცია არ ექცევა პრივილეგიის საფარქვეშ იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება მედიატორის მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევას ან ბავშვის, მოზარდის დაცვას. აქტის მე-7 მუხლი მედიატორებს უზღუდავს დავის ირგვლივ ყოველგვარი ანგარიშის, მოხსენების, რეკომენდაციის ან შეფასების მიცემას ისეთი ორგანოებისათვის (ან პირებისათვის), რომლებმაც შესაძლოა დავის ბედი გადაწყვიტონ. (Hopt, Steffek, 2013) თუ რომელიმე სტატუტი გამონაკლისის სახით არ ავალდებულებს მედიატორს თავის პრივილეგიაზე უარის თქმას, ნებისმიერი სახის ინფორმაციის გაცვლის პროცესი მედიატორსა და დავის გადამწყვეტ ორგანოს შორის (იქნება ეს სასამართლო, არბიტრაჟი თუ სხვა) უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სადავო საკითხზე მოდავე პირებს შორის მედიაციის პროცესის ჩატარების, დასრულების, მასში მხარეთა მონაწილეობისა და მორიგების მიღწევის თაობაზე ინფორმაციის გაცემით. ასევე, `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ თანახმად, მედიაციის პროცესში მხარის არაკეთილსინდისიერად მონაწილეობისათვის შესაძლოა გამოიყენონ სანქცია მხოლოდ ერთ შემთხვევაში _ წინასწარი გაფრთხილების გარეშე მედიაციის სესიაზე გამოუცხადელობის დროს. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობისა და სხვა პრივილეგიების დაცვის მიზნით, `მედიაციის უნიფიცირებული აქტი~ კანონით დადგენილი წესებისა და კერძო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაზავს ეყრდნობა. (Hopt, Steffek, 2013) შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ ნორმატიული წესებით დადგენილი ზღვრის მიღმა კონფიდენციალურობის დაცვის დამატებითი მექანიზმების ხელშეკრულებით გათვალისწინება. თვით აქტის კომენტარებშივე არის ახსნილი, თუ რატომ ამჯობინეს ავტორებმა რეგულირების ასეთი დინამიკა. ამით მათ საკუთარი პატივისცემა გამოხატეს სასამართლოთა ადგილობრივი წესების მიმართ, რომლებიც მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის მთავარი საყრდენია. იმავდროულად, მათ დეტალურად მოაწესრიგეს აღნიშნული საკითხი, რათა სასამართლოებს ვეღარ დაეწესებინათ ახალი

შეზღუდვები კანონმდებლობის განმარტების საფუძველზე. შესაბამისად, უნიფიცირებული აქტის მე-8 მუხლი, ერთი მხრივ, სასამართლოებს კონფიდენციალურობის საკუთარი სტატუტებისა და მხარეთა შეთანხმების ფარგლებში განმარტების საშუალებას აძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, არ ემხრობა მისგან საგამონაკლისო შემთხვევების დაწესებას მაშინაც კი, როცა მისი მიზანი აშკარად უსამართლო სამედიაციო შეთანხმების გამოსწორებაა. აშშ-ში სასამართლო მედიაციის პროგრამები Yყველა შტატში უნიფიცირებული აქტით არ რეგულირედება. მედიაციის სტატუტებით, ფედერალური და შტატების კანონმდებლობით სასამართლოებს უფლებამოსილება აქვთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ შეიმუშაონ მედიაციის ინსტიტუტის დანერგვისა და განვითარების სქემა. მეტიც, უნიფიცირებული მედიაციის აქტი მხოლოდ 12-მა შტატმა მიიღო. (Hopt, Steffek, 2013) ნიუ-იორკის შტატში ის ჯერ კიდევ არ მიუღიათ, რის გამოც, ანგლო-ამერიკული სამართლისათვის ტრადიციული `ზიანის მიყენების გარეშე მოლაპარაკებების~ წესების შესაბამისად, თავად მოსამართლეები წყვეტენ მედიაციის დროს შექმნილი მტკიცებულებების სასამართლო პროცესზე დაშვების საკითხს. როგორც წესი, შტატის კანონმდებლობა უპირატესობით სარგებლობს, თუ მისი ნორმები კონფიდენციალურობის დაცვისა და მედიაციის პროცესში არაკეთილსინდისიერად მონაწილეობის შესახებ ფედერალურ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის, აღსანიშნავია, რომ შტატის სასამართლოები პროცესის კონფიდენციალურობის დაცვისას უმეტესწილად უნიფიცირებული მედიაციის აქტით ხელმძღვანელობენ.

2.4 მედიაციის რეგულირება კალიფორნიის შტატებში

ფრენკ სანდერის იდეის განხორციელება პირველად კალიფორნიის სასამართლოებმა დაიწყეს იმ მიზნით, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მოდავე მხარეებისათვის დავის მათთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტის მექანიზმი შეეთავაზებინათ, იქნებოდა ეს დავის სასამართლო წესით განხილვა, მედიაცია თუ დავის რეგულირების სხვა ფორმა. კალიფორნიის შტატის ქალაქ სან მატეოს შტატის პირველი ინსტაციის სასამართლოში მედიაციის პროგრამა ეტაპობრივად დაინერგა.

კერძოდ, პირველ ეტაპზე ადვოკატთა ასოციაციის ადგილობრივ (საოლქო) წარმომადგენლობასა და პენინსულას დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ცენტრთან თანამშრომლობით პილოტური პროგრამა შემუშავდა. პროგრამის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის დავებზე მოსამართლეს შეეძლო სამედიაციო ცენტრის წარმომადგენელსა და მხარეებს შორის საინფორმაციო შეხვედრა დაენიშნა. (Hopt, Steffek, 2013) აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ცენტრის თანამშრომლების მიერ მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდება დავის ალტერნატიული საშუალებების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამის შემდეგ ინფორმირებული მხარეები მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას თავად იღებდნენ. შესაბამისად, თუ ამას მოსამართლე საჭიროდ ჩათვლიდა, მხარეები ვალდებული იყვნენ, მიეღოთ საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა, მაგრამ თვით მედიაციის პროცესის გასამართად აუცილებელი იყო თანხმობა. მაშასადამე, თავდაპირველ ეტაპზე სან მატეოს შტატის სასამართლოში მედიაციის ნებაყოფლობითი მოდელი იქნა დანერგილი. იმ მხარეებს, რომლებიც მედიაციის პროგრამაში მონაწილეობას თანხმდებოდნენ, ეძლეოდათ შესაძლებლობა, თავად აერჩიათ მედიატორი ან პროგრამის ადმინისტრატორისთვის ეთხოვათ დახმარება მედიატორთა სიიდან ერთ-ერთის ასარჩევად. სან მატეოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნულ მედიაციის პროგრამაში მონაწილეობისას მხარეები თანაბრად ინაწილებენ მედიატორის ჰონორარსა და მედიაციის პროცესის სხვა ხარჯებს. თუ მხარეები დაასაბუთებდნენ ფინანსური დახმარების აუცილებლობას, მაშინ სასამართლოს შესაძლოა ისინი პრო-ბონო მედიატორთან გადაემისამართებინათ. სან მატაოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პილოტური პროგრამის წარმატების შემდეგ კალიფორნიის მთელ შტატში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებამ იმატა. (Hopt, Steffek, 2013) კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროგრამას ნეიტრალური პირის მიერ საქმის შეფასებისა და სასამართლო არბიტრაჟის ინსტიტუტები დაემატა, ხოლო მედიაციის პროგრამა გაფართოვდა არასრულწლოვნებისა და საოჯახო სამართლის საქმეების მიმართულებითაც.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კალიფორნიის შტატში სასამართლო მედიაციის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1775-ე და 1775.2 მუხლების მიღება, რომლებიც რაიონულ სასამართლოებს მართლმსაჯულების სისტემაში მედიაციის პილოტური პროგრამის დანერგვის უფლებამოსილებას ანიჭებდა. `კალიფორნიის სასამართლო წესების~ 3.891 წესით კი დაკონკრეტდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი შეიძლება სავალდებულო წესით სამედიაციოDცენტრს გადაეცეს იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 50 000 აშშ დოლარს, თუმცა მსგავს შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს უნდა ეფუძნებოდეს და საქმე უნდა მიესადაგებოდეს მედიაციას. თუ მხარეები სასამართლოში დავის განხილვის პროცესში დადებენ სამედიაციო შეთანხმებას დავის საგნის სიდიდის მიუხედავად, მოსამართლეს ევალება, ნებისმიერი საქმის გადაცემა სამედიაციო ცენტრისათვის. (Hopt, Steffek, 2013) პრაქტიკაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს უფრო ხშირად მთავარ სასამართლო სხდომამდე მოსამზადებელი (ინგლ. პრე-ტრიალ) პროცედურების დროს მიმართავენ, ვიდრე მთავარი პროცესის მსვლელობისას, როგორც ეს კალიფორნიის სასამართლო წესებშია გაწერილი. საკრამენტოს რაიონული სასამართლოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით, `მართლმსაჯულების განხორციელებაში სამოქალაქო სამართლის საქმეთა მორიგებით დასრულების კეთილსინდისიერ მცდელობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს და ამიტომაც ის უნდა განახორციელონ~. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სარჩელის შეტანიდან 120 დღის გასვლის შემდეგ საქმეთა ელექტრონული მართვის პროგრამა მხარეებს შეტყობინებას უგზავნის საქმის მართვის მიზნით დანიშნული შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე გამოცხადებისას მხარეებმა თან უნდა იქონიონ დავის ალტერნატიული საშუალებების დახმარებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი განცხადება. მასში მითითებული უნდა იყოს სადავო საკითხები და მოდავე მხარის შეხედულებით მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები. მედიაციის მოთხოვნის შემთხვევაში ინიშნება მედიაციის პროცესი, რომელში მონაწილეობითაც მხარეები თავიდან იცილებენ საკრამენტოს სასამართლო-მორიგების პროგრამაში მონაწილეობას, რაც მხარეთათვის სავალდებულოა მაშინაც კი, როცა მათ არ აქვთ მასში მონაწილეობის

სურვილი. ამ შემთხვევაში მოდავე მხარეებისათვის მედიაციის პროცესში უშუალო მონაწილეობა სავალდებულო ხდება. (Hopt, Steffek, 2013)

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მედიაციის გამოყენების წახალისების მიზნით შემდეგი წესი იქნა შემუშავებული: `საკრამენტოს ადგილობრივი წესების~ 12.23 წესით, სასამართლოს მიერ დანიშნული მედიაციის პროცესის დროს მედიატორს შეუძლია მოითხოვოს მედიაციის პროცესის ანაზღაურება პირველი სამი საათისათვის მაქსიმუმ 200 აშშ დოლარის ფარგლებში, რომელსაც აანაზღაურებს სასამართლო. (Hopt, Steffek, 2013) თუ მხარეები გადაწყვეტენ მედიაციის პროცესის გაგრძელებას სამ საათზე მეტი დროით, მაშინ დამატებითი საათებისათვის მათ პირადად უნდა გადაუხადონ მედიატორს ჰონორარი. მის ოდენობასაც მედიატორი თავად განსაზღვრავს. აღნიშნული წესი, ერთი მხრივ, აჩქარებს მედიაციის პროცესის მსვლელობას, ხოლო მეორე მხრივ, მხარეებს აძლევს მედიაციის მოსინჯვის შესაძლებლობას ყოველგვარი ფინანსური დანაკარგის გარეშე. გარდა ამისა, საკრამენტოს სასამართლო სთავაზობს მომხმარებელს დამაბალანსებელი ტესტის ჩატარებას, რომლის მიზანია დაეხმაროს მხარეებს სასამართლო მედიაციასა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროვაიდერ კერძო ინსტიტუტს შორის სწორ არჩევანში. ვინაიდან ორივე მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ერთი უფრო ეფექტიანი იყოს, ვიდრე მეორე. აქედან გამომდინარე, ეს ინიციატივა კიდევ ერთი მცდელობაა, მხარეებმა თავად აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ დავაზე და თავად განსაზღვრონ, რომელი ფორუმი ჯობია მათ წინაშე არსებული პრობლემის გადასაწყვეტად. `კალიფორნიის სასამართლოს წესების~ #3.894(ა) (1) ნორმის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ მედიაციის პროცესში, თუ არ არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი, თუმცა მხარეებს უფლება აქვთ, მედიაციის პროცესი ნებისმიერ დროს შეწყვიტონ. (ცერცვაძე, 2010) საქმეზე `კალიფორნიის ვუდსაიდი ჰოუმსი რივერსადის (პირველი ინსტანციის) უმაღლესი სასამართლოს წინააღმდეგ~, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამედიაციო შეთანხმება შესაძლოა გაუქმდეს თუ მედიაციის პროცესი მიუღებელია მხარისათვის. კერძოდ, როცა სავალდებულო მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიუღებელია საოჯახო დავის ერთ-ერთი მხარისათვის, მედიაციაზე უარის თქმის უფლება

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს. კალიფორნიის შტატის სასამართლო სისტემაში შემავალ სხვადასხვა სასამართლო რგოლებსა და ინსტანციების სასამართლოებს სასამართლო მედიაციის პროცესის შესახებ განსხვავებული მიდგომები და წესები ჰქონდათ, თუმცა განზოგადებულად ფაქტორები, რომლებმაც მედიაციის წარმატებულად დანერგვა და განვითარება განაპირობა, იყო: • პილოტური პროგრამით დაწყება და თანმიმდევრულად ყველაზე მეტად მოთხოვნად სფეროებში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის შეტანა; • საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების გაზრდა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე მხარეების ფინანსური წახალისება; • მაღალი პროფესიონალური უნარების მქონე კადრების აყვანა, რომელთაც მედიაციის სფეროთი დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის უნარი ჰქონდათ; • ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა მედიაციის პროგრამის შემუშავებაში; • მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშეების _ ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში ჩართვა და მათი შენიშვნების გათვალისწინება; • მედიატორთა ტრეინინგისა და სერტიფიცირების საკითხის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი; • პროცესში მონაწილე და ჩართული პირების ანგარიშების, შეფასებებისა და მოხსენებების საფუძველზე მიღწეული შედეგების ყოველწლიური და კვარტლური ანალიზი. (ცერცვაძე, 2010)

2.5 მედიაციის რეგულირება ფლორიდის შტატში

მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის ფლორიდის შტატის კანონმდებელმაც ისეთივე სამართლებრივი რეგულირების ტექნიკას მიმართა, როგორსაც კალიფორნიის შტატის კანონმდებელმა. კერძოდ, მედიაციის სტატუტი გავრცობილია შტატის უზენაესი სასამართლოსა და ადგილობრივი სასამართლოების მიერ გამოქვეყნებულ სამოქალაქო პროცესის წესებში. სხვა შტატებისაგან განსხვავებით, ფლორიდის შტატის

მედიაციის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სასამართლოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროგრამების ერთგვაროვნება. (Hopt, Steffek, 2013) აღნიშნული, ერთი მხრივ, ფლორიდის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელიც მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობას ყველა მოქალაქისათვის თანაბრად უზრუნველყოფას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური კრიზისის დროს სასამართლოს ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შემცირებამ. ფლორიდის შტატის თავისებურება ისაა, რომ მისი ინსტიტუციონალიზება მედიაციის არაფორმალური ხასიათის გათვალისწინების გარეშე მოხდა. კერძოდ, `ფლორიდის სტატუტის~ 44.201 მუხლით, სასამართლოს თავმჯდომარეებს უფლებამოსილება ენიჭებათ, შექმნან `მოქალაქეთა დავების მოსარიგებელი ცენტრები~. აღნიშნულ ცენტრებს ჰყავთ საბჭოები, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მათ შორის, მთავარი პროკურორი, პოლიციის უფროსი, მოსამართლე, ოლქის წარმომადგენელი. აღნიშნული კომისია ადგენს ცენტრის მუშაობის წესებს. ცენტრის ფუნქციონირებისათვის კომისია დაფინანსებას იღებს როგორც სახელმწიფო, ისე _ კერძო სექტორიდან. `მოქალაქეთა დავების მორიგების ცენტრის~ ბაზაზე გამართულ მედიაციის პროცესში მონაწილეობა უფასოა, ხოლო მედიაციის პროცესი _ არაფორმალური. მედიატორს არ შეუძლია მხარეების მიმართ რაიმე სანქციის ან ჯარიმის გამოყენება. აღნიშნულ ცენტრს ხშირად მოქალაქეები სასამართლოში სარჩელის შეტანამდეც მიმართავენ. მხარეები მედიაციის პროცესში მეტწილად ადვოკატების გარეშე მონაწილეობენ. მოქალაქეები მედიაციის პროცესის საფასურისაგან გათავისუფლებული არიან; მედიაციის პროცესის საშუალო ხანგრძლივობა ორ საათს არ აღემატება. კალიფორნიის შტატის წესებისაგან განსხვავებით, ფლორიდის სტატუტები მოსამართლეებს თავად აძლევს მითითებებს, თუ როდის გამოიყენონ დისკრეცია საქმის მედიაციის პროგრამისათვის გადაცემის შესახებ და როდის _ არა. თუ დავა შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ერთი მხარის შუამდგომლობის შემთხვევაშიც საქმე დაუყონებლივ უნდა გადაეცეს სამედიაცოდ. (Hopt, Steffek, 2013) აღნიშნული წესი არ ვრცელდება ქირავნობისა და სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ და არასწორი მკურნალობის შედეგად

წარმოშობილ დავებზე. ამასთან, მედიაციისათვის მიმართვის მომთხოვნ მხარეს უნდა სურდეს და შეეძლოს მედიაციის პროცესის საფასურის გადახდა ან მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს საფასურის თანაბრად გაყოფაზე. `ფლორიდის სამოქალაქო საპროცესო წესების~ 1.710 (ა) წესით, მედიაციის პროცესი პირველი სესიის ჩატარებიდან 45 დღეში უნდა დასრულდეს. (ცერცვაძე, 2010) გაგრძელება დასაშვებია სასამართლოს ნებართვით ან, თუ ორივე მხარე მედიატორს მსგავსი თხოვნით მიმართავს. მედიაციის პროცესი მთავრდება ნაწილობრივი ან საბოლოო შეთანხმების მიღწევით. შეთანხმება იდება წერილობით და სასამართლოს გადაეცემა. თუკი ამას ადგილობრივი სასამართლოს წესები ითვალისწინებს, მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიატორი ზეპირად ატყობინებს სასამართლოს მედიაციის პროცესის წარუმატებლად დამთავრების შესახებ საქმესთან დაკავშირებით ყოველგვარი შეფასების ან რეკომენდაციების გაწევის გარეშე. მხარე, თუ მას შეტყობინება ჯეროვნად აქვს ჩაბარებული, ვალდებულია, გამოცხადდეს მედიაციის პროცესზე. აღნიშნული მოთხოვნის არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ის შეიძლება დაჯარიმდეს სასამართლოს მიერ. მხარეს შეუძლია, უარი განაცხადოს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, თუ: • აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის უკვე გაიმართა მედიაციის ან საარბიტრაჟო პროცესი; • მხარეებს შორის სამართლებრივი განმარტების საკითხი სადავოა; • ამისათვის სხვა რაიმე ჯეროვანი მიზეზი არსებობს. (ცერცვაძე, 2010)

სავალდებულო მედიაციის დროს აღნიშნული გამონაკლისების გათვალისწინების მიზეზი მხარეთა ნების ავტონომიურობისა და გადაწყვეტილების თავად მიღების პრინციპების გარკვეულწილად შენარჩუნებაა. ასევე, ყურადღებას იმსახურებს #44.108 `ფლორიდის სტატუტით~ განსაზღვრული მედიაციის მიმართვის მიზნით შემუშავებული წამახალისებელი ზომები, რომლებიც მოდავე მხარის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და დავის საგნის მატერიალური ღირებულების გათვალისწინებით, მედიაციის პროცესის დაფინანსების სხვადასხვა მოდელს სთავაზობს. `ფლორიდის საოჯახო სამართლის საპროცესო წესების~ 12.740(ბ) წესის მიხედვით, ნებისმიერი საოჯახო დავა შეიძლება მიემართოს მედიაციას. შესაბამისად, საოჯახო მედიაციის პროგრამები ფლორიდის ყველა სასამართლოშია დანერგილი. ფლორიდაში

მედიატორის ანაზღაურების წესი მხარეთა წლიური შემოსავლით განისაზღვრება. (Hopt, Steffek, 2013) თუ ორივე მხარის წლიური შემოსავალი აჭარბებს 100 000 აშშ დოლარს, სასამართლო მოდავე მხარეების რეფერირებას ახდენს კერძო მედიატორებზე, რომელთა ხარჯებიც არ ანაზღაურდება საბიუჯეტო სახსრებიდან. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გამოსცემს სამედიაციო განკარგულებას, მხარეებს შეუძლიათ, 10 დღის ვადაში თავად აირჩიონ ნებისმიერი (კერძო) მედიატორი. თუ მხარეები 10 დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან, მაშინ მოსამართლე სერტიფიცირებული მოსამართლეების სიიდან თავად ამოირჩევს მას. ნებისმიერ შემთხვევაში მხარეებსა და მედიატორს შორის სავალდებულოა წერილობითი ხელშეკრულების დადება, რომელიც განსაზღვრავს მედიატორის ანაზღაურების წესსა და პირობებს. თუ მედიატორის ჰონორარის ოდენობის შესახებ მხარეებმა და მედიატორმა ვერ მოილაპარაკეს, მაშინ მოსამართლე განსაზღვრავს მედიატორის საათობრივი ანაზღაურების წესს. (Hopt, Steffek, 2013) ფლორიდის კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოში მედიაციის პროცესი შეიძლება საქმის სააპელაციო განხილვამდე, საქმის უმოძრაოდ ყოფნის _ მოლოდინის პერიოდში დაინიშნოს. ამასთან, თუ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის მედიაციისათვის მიმართვა გამართლებულია, მაშინ მხარეები ვალდებული არიან, დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებას. მეორე მხრივ, მედიაციის პროცესი არ აფერხებს სასამართლო პროცესის მსვლელობას. მოსამართლეთა მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების გამარტივებისათვის სააპელაციო სასამართლოებმა შეიმუშავეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მხარეები ავსებენ. მედიატორის არჩევისა და ანაზღაურების წესი ამ შემთხვევაშიც ისეთივეა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ყოველი სერტიფიცირებული მედიატორი ვალდებულია, წლის განმავლობაში ორი მედიაციის პროცესი _ პრო ბონო ჩაატაროს, რაც მოსამართლეებს შესაძლებლობას აძლევს, მოდავე მხარეთა მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინებით გაათავისუფლოს ისინი მედიატორის ანაზღაურებისაგან და საქმე მედიატორს გადასცეს, როგორც პრო ბონო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფედერალური, შტატებისა და უშუალოდ განმხილველი სასამართლოს წესები ერთიანობაში ქმნის განხილვის მომლოდინე

საქმეებისაგან სასამართლოს განსატვირთავ მნიშვნელოვან წამახალისებელ მექანიზმს. (ცერცვაძე, 2010)

2.6 ძირეული საკითხების რეგულირების სპეციფიკა და მედიაციის ცნება

`დავის ალტრენატიული გადაწყვეტის ფედერალური აქტი~ ფედერალურ სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააფუძნონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (მათ შორის _ მედიაცია), მაგრამ თვით აქტი მედიაციის პროცესს არ განსაზღვრავს. სანაცვლოდ, აშშ-ის ყველა შტატს შემუშავებული აქვს მედიაციის პროცესის საკუთარი წესები, სადაც, ბუნებრივია, მედიაციის ცნება განსხვავებულადაა განმარტებული. ამერიკის ადვოკატთა და ამერიკის არბიტრთა ასოციაციები მედიაციას განმარტავენ როგორც `პროცესს, რომლის მანძილზე მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკებების წარმართვას, რათა დაეხმაროს მათ სადავო საკითხზე ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევაში~. (Hopt, Steffek, 2013) მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტი აღწერს მას როგორც `პროცესს, რომლის დროსაც დამოუკიდებელი მესამე პირი ხელს უწყობს კომუნიკაციას, მოლაპარაკებას და მასში მონაწილე მხარეების მიერ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღებას~. ეს დეფინიციები ვერ ჩაითვლება აშშ-ში ტერმინ `მედიაციის~ ამომწურავ განმარტებებად, ვინაიდან პრაქტიკაში მედიაცია განსხვავებული ფორმებითაც გვხვდება. `კალიფორნიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი~ მედიაციას განმარტავს როგორც ` პროცესს , რომლის დროსაც ნეიტრალური პირი (ან პირები ) ხელს უწყობს მოდავე მხარეებს შორის კომუნიკაციას , რათა მათ მიაღწიონ ორივე მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას. ~ მედიაციას ამგვარადვე განმარტავს ტეხასისა და ფლორიდის საკანონმდებლო აქტები. (Hopt, Steffek, 2013) `ტეხასის სამოქალაქო პრაქტიკის კოდექსი~ დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მედიატორი არ ავრცელებს საკუთარ გადაწყვეტილებას მხარეებზე; ფლორიდის სტატუტი ხაზს უსვამს მედიატორის მიერ ახალ შესაძლო მორიგების ვარიანტებზე ფოკუსირებას. და ბოლოს, `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~

მიხედვით, `მედიაცია ეს არის პროცესი, რომელშიც მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკებების წარმართვას, რათა დაეხმაროს მათ დავასთან დაკავშირებით ნებაყოფლობით მორიგების მიღწევაში~. (ცერცვაძე, 2010) შტატების მიერ მედიაციის ცნების ერთგვაროვანი დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, თითქმის ყველა აქტში, რომელიც აშშ-ში ამ პროცესს განმარტავს, ხაზგასმულია მედიატორის როლი, პროცესის კონფიდენციალურობა, კომუნიკაციის, მოლაპარაკების გამართვასა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით მიღების მნიშვნელობა. სტრატეგიულ კომუნიკაციასა და მოლაპარაკებაზე ყურადღების გამახვილების მიზანი, მედიაციის წარმართვის მეთოდის სასამართლოსა და არბიტრაჟის პროცესების წარმართვის მეთოდისაგან (შეჯიბრებითობა, მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.) განსხვავების დემონსტრირებაა. ამასთან, `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ კომენტარებით ირკვევა, რომ მედიაციის ცნების დეფინიციაში ნახსენები `მორიგების ხელშეწყობა~ არ გულისხმობს მედიატორის `ხელშემწყობ~ სტილს, რადგან მისმა ავტორებმა კარგად იცოდნენ, რომ პრაქტიკაში მედიაციის სხვადასხვა სტილი იყო დამკვიდრებული. მართალია, ხელშემწყობი (მხარეთა ინტერესებზე მორგებული) მედიაციის სტილი ჯერ კიდევ დომინირებს, თუმცა არავინ იცის ზუსტად, როგორ შეიცვლება ის მომავალში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასამართლო მედიაცია საკმაოდ ინსტიტუციონალიზებულია, აშშ-ში ტერმინები `მედიაცია~ და `მედიატორი~ კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია. (ცერცვაძე, 2010)

2.7 პროცესის კონფიდენციალურობა

აშშ-ში მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვას იმთავითვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან კარგად იყო გააზრებული მედიატორსა და მხარეებს შორის ნდობის არსებობის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურობის დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, მედიაციის პროცესში შექმნილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები ფედერალური და შტატის სტატუტებით, როგორც წესი, დაცულია გასაჯაროვებისაგან, მათ შორის, სასამართლო პროცესზე მათი

გამოყენებისაგან. (ცერცვაძე, 2010) `მედიაციის უნიფიცირებული აქტის~ კომენტარებში ვკითხულობთ, რომ ინფორმაციის თავისუფლად გაცვლა და მონაცემთა ღიაობა იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ მხარეებს ეცოდინებათ, რომ მათ მიერ გამხელილი ინფორმაცია არ იქნება მათ საწინააღმდეგოდ გამოყენებული სასამართლო პროცესზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების შექმნა პირდაპირ კავშირშია მედიაციის პროცესის სრულფასოვნად ჩატარებასა და წარმატებით დასრულებასთან. (Hopt, Steffek, 2013) სწორედ ამიტომ, როგორც წესი, იგულისხმება რომ მედიაციის პროცესი, სადაც არ უნდა ტარდებოდეს ის, კონფიდენციალურია. უნიფიცირებული აქტის მე-8 მუხლი ადგენს, რომ თუ ამის შესახებ არ არსეტებაში ეხმარება. უისკონსინის კანონმდებლობა სასამართლოებს დახურული, კერძო (ინ ცამერა) სხდომების ჩატარების უფლებას იმ შემთხვევაში აძლევს, თუ მედიაციის პროცესზე გამხელილი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა აშკარა უკანონობაა. ლუიზიანას წესებით კი შესაძლებელია, მედიატორმა ჩვენება მისცეს საქმეზე, თუ ამით თავიდან იქნება აცილებული უსამართლობა და თაღლითობა, რომელიც მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგების აქტით მკვიდრდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ოჰაიოს და სხვა შტატების სასამართლოები მხარეებისგან მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას მოითხოვენ, მაგრამ სასამართლოებს მედიაციის პროცესის გამოკვლევის დროს არ აქვთ უფლებამოსილება, შეაფასონ, თუ რამდენად იქნა დაცული კეთილსინდისიერად მონაწილეობის საკითხი. (Hopt, steffek, 2013) შესაბამისად, სასამართლოები და კანონმდებლები კონფიდენციალურობის დაცვის საკითხის მოწესრიგებისას გარკვეულწილად მედიაციის პროცესის ორ მნიშვენელოვან პრინციპს: კონფიდენციალურობის დაცვის და პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას შორის ოქროს შუალედის დაცვას ცდილობენ, რაც არც თუ ისე იოლია. (ცერცვაძე, 2010)

2.8 მედიატორის პრივილეგია

მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აშშ-ში მედიატორი სარგებლობს ანგლო-საქსური სამართლისათვის დამახასიათებელი `პრივილეგიის~ ინსტიტუტით, რომელიც მას უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას მედიაციის პროცესზე მისთვის გამხელილი ინფორმაციის შესახებ ჩვენების მიცემაზე და ისარგებლოს კლიენტსა და მედიატორს შორის `პრივილეგიით~ მინიჭებული სხვა შეღავათებით. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს 41 შტატში, ხოლო დარჩენილ შტატებში კანონმდებლობა მედიატორებს სასამართლოში ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. უნიფიცირებული მედიაციის აქტი დეტალურად არეგულირებს მედიაციის პრივილეგიას. (ცერცვაძე, 2010) აქტის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები სწორედ მედიაციის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ასპექტს _ მედიაციის პრივილეგიას ეხება, განსაზღვრავს მის ფარგლებსა და გამონაკლის შემთხვევებს. მედიაციის პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე, თვით პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ შექმნილ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობით მტკიცებულებას აქვს პრივილეგია. შესაბამისად, არ შეიძლება მისი გამჟღავნება, სასამართლო მტკიცებულებად გამოყენება, თუ არ არსებობს საგამონაკლისო შემთხვევა. აქტის წინასიტყვაობაშივე არის აღნიშნული, რომ მედიატორის პრივილეგია არის ყველაზე სარწმუნო გზა პროცესის მიზნების მისაღწევად. კონფიდენციალურობისა და მტკიცებულებათა დაცვის პრივილეგიის (ევიდენტიარყ პრივილეგეს) წესები სასამართლო პრაქტიკამ საერთო სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის დაცვის პრივილეგიის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა. კალიფორნიაში მწვავე კამათი გაიმართა კონფიდენციალურობის დაცვის გავრცელების ფარგლებსა და, აქედან გამომდინარე, მტკიცებულებების დაცვის პრივილეგიის საკითხზე. მედიაციის პრივილეგიის მარეგულირებელი ნორმები განსაკუთრებით მკაცრია კალიფორნიის შტატში. (Hopt, Steffek, 2013) `კალიფორნიის მტკიცებულებათა კოდექსის~ მიხედვით, აკრძალულია ყოველგვარი ზეპირი ან წერილობითი კომუნიკაციის შესახებ მტკიცებულების, რომელიც მედიაციის პროცესში შეიქმნა, გამჟღავნება. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივ პროცესზე

(მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაზე). (Hopt, Steffek, 2013) გამონაკლისს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პროცესი წარმოადგენს. საქმეში `ოლამი კონგრესის გირაოს კომპანიის წინააღმდეგ~, ჩრდილოეთ კალიფორნიის საოლქო სასამართლომ მედიაციის მტკიცებულების დაცვის წესებიდან გამონაკლისი დაუშვა მას შემდეგ, რაც ერთერთმა მხარემ მედიაციის პროცესის დროს მასზე ზეწოლის შესახებ სასამართლოში საჩივარი შეიტანა. კონფიდენციალურობის დაცვის კანონმდებლობის გაანალიზების შემდეგ სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მედიატორს ჩვენება უნდა მიეცა დახურულ სასამართლო სხდომაზე. მსგავსი პრობლემები სხვა სასამართლოებშიც წარმოიქმნება ხოლმე, რის გამოც კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლო საქმეში `ფოქსგეით ჰოუმოუნერს ასოციაცია ბრამელა კალიფორნიის წინააღმდეგ~, არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ აღნიშნული პრეცედენტი, კანონმდებლის მიერ განზრახული ინფორმაციის გულწრფელი, ღია გაცვლა მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით, იმედგაცრუებას გამოიწვევდა. პირიქით, უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მტკიცებულებების დაცვის პრივილეგიის წესებიდან სამართლებრივად გამართული გამონაკლისის დაშვება გამართლებულია, თუ სტატუტების ზედმიწევნით დაცვა მართლმსაჯულებისათვის შეუსაბამო შედეგებამდე მიგვიყვანს. (Hopt, Steffek, 2013) ზოგადი პრაქტიკის შეჯამებით, ნათელია, რომ კალიფორნიის უზენაესი სასამართლო უშვებს მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვიდან გამონაკლისებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ჯეროვანი სასამართლო პროცესის უფლება ფუნდამენტურად ირღვევა. კონფიდენციალურობის დაცვა და მედიაციაში მონაწილე მხარეთა პრივილეგია ერთი და იმავე მოტივით არის განპირობებული და ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. ისინი, გარკვეულწილად, ერთმანეთიდან გამომდინარე უფლებებია. განსხვავება კონფიდენციალურობასა და პრივილეგიას შორის ისაა, რომ კონფიდენციალურობა მხარეებსა და მედიატორს ავალდებულებს, არ გაამჟღავნონ მედიაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია მედიაციის პროცესის გარეთ, არ გახადონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის. პრივილეგია კი მედიატორს და მხარეებს პროცესის მსვლელობის შემდეგ ეტაპებზე სასამართლოში (თუ სხვა ნებისმიერ ინსტიტუციაში) მედიაციის პროცესთან დაკავშირებით ჩვენების

მიცემის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. (Hopt, Steffek, 2013) აშშ-ში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მოქმედ წესებს, ისევე, როგორც მტკიცებულებათა დაცვის წესებს კრიტიკოსებიც ჰყავთ. კერძოდ, კანონიერი ინტერესის არსებობის შემთხვევაში ბუნდოვანია, რამდენად დაცულია მხარის უფლებები მედიაციის პროცესში გამჟღავნებული მტკიცებულებების გამოყენებისას. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის უფლება მოითხოვს ფრთხილ მიდგომას, რათა არ დაირღვეს, ერთი მხრივ, სამართლიანობა, მეორე მხრივ, კი მედიაციაში მონაწილე მხარეთა უფლებები. ამრიგად, აუცილებელია მართლმსაჯულების, მხარეებისა და მედიაციის ინსიტუტის საჭიროებებს შორის სწორი ბალანსის პოვნა. (ცერცვაძე, 2010)

2.9 მედიატორთა პროფესიული ვალდებულებები

კალიფორნიის შტატში მედიატორობის მსურველმა საჭიროა, გაიაროს 25-საათიანი თეორიული და პრაქტიკული ტრეინინგი და ხელი მოაწეროს მედიატორთა ეთიკის წესებს, რომლითაც ასევე გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი საქმის განხილვა წლის განმავლობაში. კონფლიქტების მშვიდობიანი რეგულირების ხელშეწყობის მიზნით, კალიფორნიის სასამართლოებმა, ადგილობრივმა ადვოკატთა ასოციაციამ და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორნიზაციებმა ერთობლივად შეიმუშავეს მედიატორების სია, საიდანაც მხარეებს სასამართლო მედიაციის დროს შეუძლიათ აირჩიონ მედიატორები. აღნიშნულ სიაში მოხვედრილი მედიატორების განგრძობად განათლებასა და კვალიფიკაციაზე სასამართლო იღებს პასუხისმგებლობას. ამასთან, სასამართლო პერიოდულად აწარმოებს მედიატორთა შეფასებას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით. ასევე, ყურადღება ექცევა მედიატორის მიერ გამართული მედიაციის პროცესების წარმატებით დასრულების მაჩვენებელსაც. მედიატორი ვალდებულია, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში საქმეში მონაწილეობაზე უარი თქვას, ხოლო, თუ მედიატორი თვითაცილებით არ ისარგებლებს, მხარის მოთხოვნით მედიატორის საქმიდან ჩამოშორების უფლება სასამართლოსაც

აქვს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქმეზე `ტეხასის პარკებისა და ველური ბუნების დეპარტამენტი დევისის წინააღმდეგ~ XუU სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის სასამართლოებს და მედიატორებს არ აქვთ უფლებამოსილება, მხარე აიძულონ, გამოიყენოს მედიაციის პროცესში რომელიმე კონკრეტული მოლაპარაკების სტრატეგია. შესაბამისად, მედიაციის პროცესი შეფასებითი, ხელმშემწყობი თუ გარდაქმნითი სტილის გამოყენებით ჩატარდება თუ არა, ეს თვით მხარეების არჩევანზეა დამოკიდებული და არა _ მედიატორის. (Hopt, Steffek, 2013)

2.10 პროცესუალური საკითხების რეგულირების სპეციფიკა და მედიაციის წამოწყება

სასამართლოს ნაცვლად სამართლებრივი კონფლიქტის ალტერნატიული საშუალებით რეგულირებას ხელს უწყობს როგორც კანონმდებლის მიერ შემუშავებული წამახალისებელი ან მავალდებულებელი ნორმები, ისე თავად მხარეთა მიერ დადებული შეთანხმება დავის მედიაციის დახმარებით გადაწყვეტის მცდელობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ცალ-ცალკე იყვნენ განხილული. ინგლისში სასამართლოს მიერ გამოცემული `სახელმძღვანელოები~ ავალდებულებს ადვოკატებს კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევას იმასთან დაკავშირებით, თუ დავის გადაწყვეტის რომელი ალტერნატიული საშუალება იქნება მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და რომელი მათგანისათვის მიმართვა სXობს კონკრეტულ შემთხვევაში. აშშ-ში ამ საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. (Hopt, Steffek, 2013) კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ კლიენტის ინფორმირების პროფესიული ვალდებულება ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მოდელური ქცევის წესებშია გაწერილი. ზოგიერთი შტატის კანონმდებელმა, ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩია ამის თაობაზე დამატებით მიეთითებინა საკუთარ კანონდებლობაში. მედიაციის პროცესში მხარეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა შტატმა რეგულირების სხვადასხვა გზა არჩია, თუმცა არც ერთი სტატუტი ან სხვა რომელიმე წესი შეთავაზებულ მორიგების პირობებზე სავალდებულო თანხმობას არ ითვალისწინებს. კალიფორნიაში

მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით თავად აირჩიონ მედიატორი. თუ 15 დღის ვადაში ისინი ვერ მოახერხებენ მედიატორის არჩევას, სასამართლო აირჩევს მას კალიფორნიის შტატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით. მაშინ, როდესაც მედიაცია სასამართლო პროცესის გამართვის წინაპირობაა, მისი პროცესუალური მნიშვნელობა კონფლიქტის რეგულირების ჯაჭვში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მსგავსი წინაპირობა აშშ-ს შტატების უმრავლესობაში შემოღებულ იქნა საოჯახო, სადაზღვევო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე. დამატებით, მსგავს წინაღობას ქმნის ფლორიდის კანონმდებლობა არასწორი სამედიცინო მკურნალობის შედეგად წარმოშობილი დავებთან მიმართებით. (Hopt, Steffek, 2013)

კალიფორნიის კანონმდებლობით, მედიაციისათვის მიმართვა სავალდებულოა საოჯახო და სადაზღვევო დავებზე. ამ შემთხვევაში მხარეებს არ გააჩნიათ არჩევანი. სარჩელის შეტანის შემდეგ მოსამართლე დავას სამედიაციო ცენტრს გადაუგზავნის. სავალდებულო მედიაციაში მონაწილეობისას სასამართლო პროცესის ხანდაზმულობის ვადის დინება მედიაციის დასრულებამდე ჩერდება.510 აღსანიშნავია, რომ კალიფორნიის შტატში ნებაყოფლობითი მედიაციის მსვლელობა ხანდაზმულობის ვადის დინებას არ აჩერებს. დავის მედიაციისათვის გადაცემის შესახებ სასამართლოს ორდერი მხარეებისათვის სავალდებულოა და მისი გასაჩივრების მექანიზმები მათ არ გააჩნიათ. საოჯახო დავებზე სავალდებულო მედიაციისას მხარეები გათავისუფლებული არიან ბაჟისაგან. სამართლებრივად სასამართლოს ორდერი მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმებას გარკვეულწილად უტოლდება, ვინაიდან ორივე მათგანი წარმოშობს სამედიციო ცენტრისადმი მიმართვის ვალდებულებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსამართლეები ცდილობენ, თავიდან აირიდონ მხარეთა ნების ავტონომიურობისა და სავალდებულო მედიაციას შორის კონფლიქტი, რის გამოც, როგორც წესი, სასამართლოს ადგილობრივი წესები პრიორიტეტს მხარეთა შეთანხმებას ანიჭებს. შესაბამისად, თუ მხარეებმა წინასწარ წერილობით უარი განაცხადეს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მაშინაც კი, როცა მედიაციაში მონაწილეობა სასამართლოს განხილვის დაწყების წინაპირობაა, სასამართლო ვალდებულია, დაემორჩილოს მხარეთა ნებას და თავად შეუდგეს საქმის განხილვას. იმ კატეგორიის

დავებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მედიაციის პროგრამებში არ ხვდება, მხარეები, როგორც წესი, კერძო სამედიაციო ცენტრებს მიმართავენ. პრაქტიკაში უმეტესწილად, სამედიაციო დათქმით განისაზღვრება მედიაციის სტილი, მედიატორის არჩევისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესები. მედიაციის პროცესში მონაწილეობის გამოცდილების მქონე იურისტები გაცილებით რთულ და ყოვლისმომცველ სამედიაციო შეთანხმებებს დებენ, რომლითაც მოწესრიგებულია როგორც განხილვის ხანგრძლივობა და ხარჯების განაწილების წესი, ასევე _ მორიგების აღსრულების საკითხები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ ეფექტურად ისეთი დათქმა ითვლება, რომელშიც მხარე (ან მისი წარმომადგენელი) წინასწარ განჭვრეტს იმ სადავო გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა ძირითადი ხელშეკრულებიდან წარმოიშვას. (Hopt, Steffek, 2013) აქედან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრავს დავის რეგულირებისათვის საუკეთესო ფორმასა და მეთოდს. ვინაიდან გაცილებით ადვილია კონსენსუალური საკითხების გადაწყვეტა მაშინ, როცა სამედიაციო დათქმაზე (ან ხელშეკრულებაზე) მიმდინარეობს მოლაპარაკება, ვიდრე მას მერე, რაც დავა წარმოიშვება, უმჯობესია წინასწარ იყოს გაწერილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: როგორ იქნეს არჩეული (დანიშნული) მედიატორი; ვინ გადაიხდის სამედიაციო მომსახურების ხარჯს; რა მოჰყვება მედიაციისათვის მიმართვისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევის ფაქტს. `ტეხასის უზენაესი სასამართლოს წესებით~, იურიდიულად ნამდვილი სამედიაციო შეთანხმება უნდა მოიცავდეს მედიატორის ანაზღაურების წესსა და მედიაციის პროცესის მაქსიმალურ ხანგრძლივობას. ამავე წესებით, სამედიაციო შეთანხმება ოპტიმალურია, როდესაც მასში განსაზღვრულია დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარის მიერ მედიატორისათვის მიმართვის ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია და მისი ოდენობა. სადავო საკითხია, რამდენად სავალდებულოა სამედიაციო შეთანხმება და ართმევს თუ არა მედიაციის შესახებ ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა მხარეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. (Hopt, Steffek, 2013) ერთი მხრივ, თუ მხარეებს აღარ ექნებათ მედიაციის პროცესში მონაწილეობის სურვილი, პროცესის სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსიდან (ნებაყოფლობით მორიგების მიღწევა, მხარეთა გადაწყვეტილების მიღების

უფლებით აღჭურვა) გამომდინარე, ალოგიკურია მისი იძულება, მიმართოს მედიატორს. მსგავს იძულებით მედიაციაში მონაწილეობისას ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანი კეთილსინდისიერად მონაწილეობდეს მასში. მეორე მხრივ, თუ შეთანხმების მიუხედავად, მხარეს ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს უარი თქვას მედიაციაზე, ამით სახელშეკრულებო ვალდებულება დაირღვევა, რასაც შესაბამისი პასუხისმგებლობა მოჰყვეBA. მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევებში, მხარეთა მიმართ სანქციის გამოუყენებლობამ შესაძლოა მედიაციის წახალისების ნაცვლად უკურეაქცია გამოიწვიოს. რამდენადაც კეთილსინდისიერება `განმარტების საკითხია~, სამედიაციო შეთანხმებები, რომლებიც მხარეების მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას მოითხოვდა, სასამართლოებმა სხვადასხვაგვარად განმარტეს. ამასთან, ნათელია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის დასადგენად საჭიროა მედიაციის სესიების დეტალური გაანალიზება, რაც, როგორც წესი, მოსამართლეებს უძნელდებათ. ამის გამო, სასამართლოები ფორმალური პროცესუალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. სასამართლო მედიაციის კალიფორნიის მოდელის შემუშავებისას ეცადნენ, ბალანსი დაცული ყოფილიყო მხარეთა ავტონომიურობასა და შტატის მიერ შემუშავებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების წახალისების პოლიტიკას შორის; ამიტომ მოსამართლეები მხოლოდ მას შემდეგ იღებენ საქმის სამედიაციო ცენტრში გადაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილებას, რაც მხარეებს საკუთარი შეხედულებების ბოლომდე გამოხატვისა და ახსნის შესაძლებლობა მიეცემათ. (Hopt, Steffek, 2013)

2.11 სამედიაციო მომსახურების საფასური და ვადები

როგორც წესი, მედიაციის მარეგულირებელი ნორმები განსაზღვრავს მედიაციის პროგრამის საფასურს. მსგავსი სტატუტის არარსებობის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის წესებით სასამართლოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, თავად განსაზღვრონ ის. დაბალი შემოსავლის მქონე

მხარეები, როგორც წესი, სასამართლო ბაჟისაგან თავისუფლდებიან. სამწუხაროდ ანალოგიური მიდგომა არ მოქმედებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით კონფლიქტის რეგულირების დროს. მაგ., `მინესოტას სასამართლოს წესებით~, თუ მხარეები გათავისუფლებული არიან სასამართლო ბაჟისგან, მედიატორის ჰონორარი საათში 25 აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს არ შეუძლია მოითხოვოს მედიაციის პროცესის ხარჯებისაგან განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული დავის წარმოშობისას კერძო სამედიაციო ინსტიტუტისადმი მიმართვა. `სასამართლო მედიაციის პროგრამის ნაციონალური სტანდარტი~ ერთმანეთისაგან განასხვავებს სასამართლო მედიაციისა და `კერძო მედიაციის~ პროცესს. თუ პირველ შემთხვევაში მედიაციის პროცესის ხარჯებს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სახელმწიფო აფინანსებს, მეორე შემთხვევაში პირიქით _ სახელმწიფო მედიაციის პროცესში მონაწილეებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ეხმარება (სასამართლო ცდილობს ამ შემთხვევაში მოქალაქეებმა მედიატორების პრო ბონო მომსახურებით ისარგებლონ). სავარაუდო იყო, რომ აშშ საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება დაუყონებლივ იმოქმედებდა სასამართლოების მიერ დანერგილ მედიაციის პროგრამებზე, რაც, შეიძლება ითქვას, გამართლდა. კერძოდ, კალიფორნიის შტატში რაიონულ სასამართლოებში მედიაციის პროგრამის დაფინანსების შეწყვეტამ შესაბამის სასამართლოებში სამედიაციო ცენტრების გაუქმება გამოიწვია, რამდენადაც ისინი ვერ აღმოჩნდნენ მდგრადი და საკუთარი სახსრებით დამოუკიდებლად არსებობის უნარის მქონენი. საინტერესო პრეცედენტი დაფიქსირდა საქმეში ` ტეხასის სატრანსპორტო დეპარტამენტი პირტლის წინააღმდეგ~ . სასამართლომ მედიაციის პროცესში არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის გამო, დავის გადაწყვეტისათვის გადახდილი ბაჟი სრულად ერთ მხარეს დააკისრა, ვინაიდან მას არ გაუსაჩივრებია მედიაციის პროცესში მონაწილეობის შესახებ სასამართლოს ორდერი. იგი გამოცხადდა მედიაციის სესიაზე, თუმცა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. ფლორიდის კანონმდებლობით, მედიატორის, მხარის წარმომადგენლისა და პროცესის სხვა ხარჯები შეიძლება დაეკისროს მხარეს, რომელიც სასამართლოს ორდერს არ დაემორჩილება და მედიაციის პროცესში პირად მონაწილეობაზე უარს იტყვის. კალიფორნიის კანონმდებლობით,

მხარეს, რომელიც უარს ამბობს საოჯახო მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, სასამართლო პროცესზე საკუთარი ახსნა-განმარტების წარმოდგენაზე შესაძლოა უარი ეთქვას. (ცერცვაძე, 2010) ამასთან, ადვოკატი, რომელიც განზრახ საბოტაჟს მოუწყობს სავალდებულო მედიაციის პროცესს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, შესაძლოა სანქციებს დაექვემდებაროს. კალიფორნიისა და ტეხასის სასამართლოებმა არაერთ საქმეში მედიაციის პროცესის ხარჯი მთლიანად დააკისრეს იმ მხარეს, რომელმაც მედიაციის პროცესში უარი თქვა შეთავაზებულ მორიგებაზე, ხოლო საბოლოოდ სასამართლოს მიერ განხილული დავა მათთვის კიდევ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი შედეგებით დამთავრდა.

2.12 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთახმების აღსრულება

სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი ვალდებულია, საქმის განმხილველ მოსამართლეს საქმის დასრულებისა და მისი შედეგების შესახებ მოახსენოს. როდესაც მხარეები დავაზე ვერ აღწევენ სრულ მორიგებას, საქმე ჩვეულებრივ გრძელდება. თუ მხარეები სრულად მორიგდნენ, მათ სასამართლო მორიგების აქტის (მემორანდუმის) გაფორმებას ურჩევს. აშშ-ის სასამართლოებში მორიგების ფორმალიზების სხვადასხვა ხარისხი არსებობს. ზოგიერთ შტატში მედიატორის მიერ დავის მორიგებით დასრულების შესახებ სასამართლოს ინფორმირების შემდეგ მოსამართლე თვითონ გამოსცემს მორიგების ორდერს. ასევე, მორიგების აქტის იძულებით აღსრულებად აქტად ქცევისათვის არ არსებობს ყველა შტატისათვის დადგენილი სავალდებულო ფორმა, თუმცა შტატის კანონმდებლობა სასამართლოებს უფლებამოსილებას ანიჭებს, მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგება იძულებით აღსრულებად სასამართლო ორდერად აქციონ. სხვა შემთხვევაში მხარეს, სახელშეკრულებო სამართლის ნორმების მიხედვით, შესაძლებლობა ეძლევა, მეორე მხარეს დადებული ხელშეკრულების (მორიგების) შესრულება მოსთხოვოს. თუ მხარეებმა მედიაციას სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ მიმართეს, მიღწეული მორიგების აღსრულება მხარეებს გამარტივებული საქმის წარმოების წესებითაც შეუძლიათ. ამერიკული პრაქტიკის გათვალისწინებით, მორიგების შესრულების

მთავარი ხელშემწყობი მოტივი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ნაკლებხარჯიანობის შენარჩუნებაა. ამასთან, კალიფორნიის შტატის სასამართლოს წესებით, სასამართლო ამოწმებს მხარეებს შორის მედიაციის პროცესში დადებულ როგორც კონფიდენციალურ, ისე საბოლოო მორიგების აქტს. ამ დროს იგი ითვალისწინებს, რომ მედიაციის პროცესში მონაწილე პირები შებოჭილი არიან კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებით, ხოლო მედიატორს მედიაციის პროცესთან დაკავშირებით არ აქვს ჩვენების მიცემის უფლება. ეფექტური აღსრულების მიზნით, სამედიაციო შეთანმხება ნათლად უნდა გამოხატავდეს მხარეთა ნებას და მორიგების პირობებს. ბუნდოვანი შეთანხმება, შეიძლება ითქვას, მედიაციის პირველი მტერია. ის მედიაციის დახმარებით თითქოს დროულად და ეფექტურად გადაწყვეტილი სამართლებრივი პრობლემის ხელახლა გაგრძელების, კვლავ სასამართლოში დაბრუნების და ძირითადი ხელშეკრულების პირობებთან ერთად ახალი მორიგების პირობების ინტერპრეტაციით კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავებისა და გართულების რისკის შემცველია. (ცერცვაძე, 2010)

2.13 მედიაციის განვითარების ტენდენციები აშშ-ში

მედიაცია არ იყო დავის გადაწყვეტის პირველი ალტერნატიული საშუალება, რომელიც შტატებში დაინერგა, თუმცა მან სხვადასხვა ალტერნატივას შორის თანდათანობით გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. რისი მიზეზიც სწორედ მედიაციისათვის დამახასიათებელი ნიშნების მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ოპტიმალური მორგება აღმოჩნდა. ამასთან, აშშ-ში მედიაციის დანერგვასა და განვითარებას სხვადასხვა ისტორიულმა თუ სამართლებრივმა მოვლენამ შეუწყო ხელი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა დავის გადაწყვეტის ახლებური მეთოდების შემუშავების პროცესში მოსამართლეთა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა წარმომადგენელთა ენთუზიაზმი და სიახლეებისადმი გახსნილობა. ამასთან, სასამართლო მედიაციის პროექტში მოსამართლეთა აქტიურმა ჩართულობამ,

განაპირობა ამ ინსტიტუტის მიმართ მხარეთა მხრიდან ასევე სერიოზული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. არა დაპირისპირებული და შეჯიბრებითი, არამედ მშვიდობიანი და თანამშრომლობითი მეთოდებით დავების რეგულირების კულტურის ფორმირების პროცესში აღსანიშნავია ადვოკატთა კორპუსის როლიც. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ეთიკის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და სამართლებრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული არაერთი პროექტების შედეგად აშშ-ში სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად სასამართლო პროცესის აღქმის პარადიგმა მალევე შეიცვალა. ის, რომ სამართლებრივი კონფლიქტების დიდი ნაწილი დღეს მედიაციის დახმარებით წყდება, იურისტების ერთობლივმა სულისკვეთებამ განაპირობა. მოცემული მდგომარეობიდან ორმხრივად სასარგებლო გამოსავლის თავად პოვნის შესაძლებლობა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება იმის თაობაზე, თუ კონფლიქტის როგორი შედეგით დასრულება იქნებოდა მათთვის საუკეთესო, მართლაც, მიმზიდველი აღმოჩნდა სასამართლოს მომხმარებლისათვის. ის ფაქტი, რომ აშშ-ში სამედიაციო ცენტრებისა და სასამართლოს კავშირი, ისევე, როგორც მედიაციის ცნებისა თუ სხვა პროცესისათვის მნიშვნელოვანი ტერმინების დეფინირება სხვადასხვა შტატსა და ოლქში სხვადასხვაგვარია, ერთი მხრივ,Aაშშ-ის სამართლებრივი სისტემით, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების თავისებურებით (ფედერალური და შტატის სასამართლოების არსებობა) არის გამოწვეული, ხოლო, მეორე მხრივ, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობით. ამის მაგალითიც კონგრესის მიერ 1990 წელს მიღებული `სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტია~, რომელიც ყველა ადგილობრივ სასამართლოებს ავალდებულებდა, ხელი შეეწყოთ მედიაციის დანერგვისათვის, თუმცა არ განსაზღვრავდა პირობებსა და ფორმებს. (ცერცვაძე, 2010) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის თითქმის ყველა შტატში მოქმედმა სამოქალაქო საპროცესო ნორმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მედიაციის განვითარებას. კერძოდ, შემდგომმა ორმა ფაქტორმა: ა) სამოქალაქო სამართლებრივ დავებზე მოგებული მხარის მიერ გაწეული დანახარჯების საკუთარი სახსრებით დაფარვის წესმა (სიძვირის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ადვოკატის ჰონორარი და მტკიცებულებათა შეგროვების პროცესთან დაკავშირებული ხარჯი); ბ)

სამოქალაქო სამართლაწარმოებაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობამ (პროცესის სირთულისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით). ზემოაღნიშნული წესები, ერთი მხრივ, სასამართლო დავის მოგებას ხშირად მართლაც ნომინალურს ხდის, ხოლო, მეორე მხრივ, იმთავითვე ორივე მხარეს აძლევს სტიმულს, სცადონ საქმის მორიგებით დამთავრება. `რბილი სამართლის~ გამოყენება პროცესის ერთგვაროვნად წარსამართად (უნიფიცირებელი აქტი) კიდევ ერთი ინსტრუმენტი იყო, რომელიც აშშ-ში მედიაციის დამკვიდრების მიზნით წარმატებით იქნა გამოყენებული, შტატების საკმაოდ დიდ ნაწილში. რისი მეშვეობით შეერთებული შტატების კანონმდებელმა მედიაციის ნებაყოფლობითი ელემენტისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუციური დამკვიდრებისათვის აუცილებელი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ორგანული შერწყმა მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მართლმსაჯულების სისტემაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის საშუალებით სასამართლო მედიაციამ თავი დაიმკვიდრა როგორც მართლმსაჯულების განუყოფელმა ნაწილმა და მისმა ერთ-ერთმა მთავარმა საყრდენმა, სახელმწიფოს მხრიდან ამ ინსტიტუტის მხარდაჭერის შეწყვეტას არ ჩაუვლია უკვალოდ. კერძოდ, ის საგრძნობლად აისახა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მორიგებით დამთავრებულ საქმეთა რაოდენობაზე. ამასთან, `სილიკონის მდელოს~ ქვეყანაში, რასაკვირველია, ყოველდღიურად უფრო და უფრო მატულობს ინტერესი დავის გადაწყვეტის ელექტრონული (ონლინე) საშუალებების მიმართ. აქედან გამომდინარე, სად, თუ არა, პირველ რიგში, აშშ-ში ყველაზე მეტს მუშაობენ დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების პლატფორმის შექმნაზე. პარალელურად, ამერიკელი მედიატორები და კერძო სამედიაციო ცენტრები ძალიან ბევრს შრომობენ გლობალური მასშტაბით მედიაციის კულტურის დამკვიდრებაზე, რაზეც მათ მიერ ორგანიზებული პროგრამები, სამუშაო შეხვედრები თუ სასწავლო კურსებიც მეტყველებს. შესაბამისად, აშშ-ში განვითარების დინამიკა ახალ ფაზაში შედის. თუ ადრე სასამართლოებს უწევდათ სავალდებულო მედიაციის გამოყენება ამ ინსტიტუტის პოპულარიზებისა და მედიაციის დახმარებით სამართლებრივი დავების გადაწყვეტის კულტურის ფორმირების მიზნით, დღეს კერძო სამედიაციო ცენტრები მდგრადი და დამოუკიდებლად სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტებია, რომლებიც პირიქით

ეხმარებიან მართლმსაჯულების მესვეურთ მედიაციის პოპულარიზებასა და გლობალური მასშტაბით დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის კულტურის ფორმირებაში. (ცერცვაძე, 2010)

თავი III

სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში

3.1 მორიგებით დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში და მორიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში

რამდენადაც ქართულ ჩვეულებით სამართალში თვითმმართველობები აერთიანებდნენ ჯერ კიდევ გაუმიჯნავ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს, (კეკელია, 1993) რთულია, ვისაუბროთ ქართულ ჩვეულებით სამართალში არსებულ მედიაციაზე, როგორც წმინდა სასამართლო ინსტიტუტზე, მით უფრო, მასზე, როგორც კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მექანიზმზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლით არ არსებობდა მესამე ნეიტრალური პირის _ მედიატორისა და მოსამართლის ერთმანეთისაგან ისე მკაცრად გამიჯნული ფუნქციები, როგორც ეს თანამედროვე მართლმსაჯულებაშია. ამის დამადასტურებელია, ერთი მხრივ, სამოსამართლო სამსახურში მყოფ იმ პირთა დასახელებათა სიუხვეცაა, რომელთა ფუნქციებში, სხვა საკითხებთან ერთად, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტაც შედიოდა: რჯულის კაცი, (დავითაშვილი, 2004) მსაჯული, მდივანბეგი, ბჯე-მედიატორი, მორევი, ხევისბერი და ა.შ. ` მიხეილ კეკელიას დაკვირვებით, სიტყვა მედიატორს XIX საუკუნის დამდეგამდე ქართული სინამდვილე არიცნობს და ამ სიტყვას მხოლოდ 1802 წლიდან ვხვდებით, ˜ _ აღნიშნავს სამართლის ისტორიის მკვლევარი გ. დავითაშვილი საკუთარ ნაშრომში. (დავითაშვილი, 2004) მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდათ, რა დროსაც ისინი მთლიანად ეყრდნობოდნენ `ძველ ანდერძებს˜, (კეკელია, 1993) ანუ პრეცედენტულ სამართლს, მიუთითებს მათ არა მხოლოდ მორიგების ხელშემწობთა, არამედ გადაწყვეტილების მიმღების პირის როლზეც. მიუხედავად უდავოდ დიდი განსხვავებისა თანამედროვე მედიატორებსა და ბჭე-მედიატორებს შორის, მათ შორის მსგავსებაც ბევრ ასპექტში არსებობს, მათ შორის, არჩევის წესი _ ის რომ მედიატორი ორივე მხარისათვის მისაღები პიროვნება უნდა

ყოფილიყო; მორიგების მსვლელობისას საერთო და ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება; მორიგების მისაღწევად არა ერთი, არამედ რამდენიმე შეხვედრის გამართვა; მორიგების პროცესში გამხელილი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა და ა.შ. (წულუკიანი, 1990) უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ავთანდილ წულუკიანის მოსაზრებით, ტერმინ `ბჭეს~ ( მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე არ განუცდია შინაარსობრივი ცვლილება და იგი, როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, `სადავო საქმის განსახილველად არჩეული მოსამართლე _ მედიატორის~ მნიშვნელობით გამოიყენებოდა. საინტერესოა, ასევე, სამართლის დოქტორ, სულხან ონიანის მოსაზრებაც, რომ ` ძველ ქართველთა ცნობიერებაში სამართალი , უპირველესყოვლისა , აღიქმებო და როგორც შუამავლობის, ურთიერთობის ხერხი და არა როგორც დღეს _ ნორმათა შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. ~ (ონიანი, 2015) საქართველოს ტერიტორიაზე ჩვეულებით სამართლაში არსებულ სამედიაციო ინსტიტუტების გარდა 1864 წელს რუსეთის იმპერიაში გატარებული სასამართლოს რეფორმის შედეგად შემოტანილი _ მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტიც ამოქმედდა. მომრიგებელი მოსამართლეთა იურისდიქცია სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ვრცელდებოდა, რომელთა დავის საგანი მანეთს არ აღემატებოდა და ძირითადად პირადი შეურაცხყოფის,+ წყენის, საკუთრების უფლების აღდგენის, მცირე დანაშაულის ჩადენის (ისეთზე, რომელზეც მოსამართლეს არ შეეძლო 300 მანეთზე მეტი ჯარიმის დაკისრება) გამო გამოწვეულ დავებს განიხილავდნენ. შესაძლოა, გაუგებარი იყოს, რა შუაშია მომრიგებელი მოსამართლეობა მედიაციისათან? ეს არცთუ ისე უსაფუძვლო კითხვაა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დიდ მსგავსებას მომრიგებელ მოსამართლესა და მედიაციის ინსტიტუტებს შორის (მიზნებს, უპირატესობებს, ამოცანებსა და მსვლელობის პროცესს), შეიძლება ითქვას, რომ მომრიგებელი მოსამართლეობა მედიაციის ერთ-ერთი ფორმაა. სწორედ ამ მიზეზით დღემდე აშშ-სა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ტერმინები _ მედიატორი და მომრიგებელ მოსამართლე როგორც სინონიმები ისე გამოიყენება, ხოლო მათ სერვისებს _ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებს საერთო პროგრამის ფარგლებში, სთავაზობენ მომხმარებელს სასამართლოები. ბუნებრივია, რუსული წესების შემოღებამ ბჭე-მედიაოტრების

ფუნქციები ეტაპობრივად შეკვეცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ მათი არსებობა კარგ წინაპირობას ქმნიდა 19-ე საუკუნის საქართველოში მომრიგებელი სასამართლოების დასამკვიდრებლად, ხოლო ორივე ერთად _ თანამედროვე საქართველოში. სამართლებრივი დავების მშვიდობიანი მორიგება ქართული სამართლისათვის კარგად ნაცნობი და საუკუნოვანი ისტორიული გამოცდილების მქონე ინსტიტუტია, უდავოა, რომ იგი აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და ორგანულად იყო შერწყული ჩვენს კულტურასათან. პროფესორ გიორგი დავითაშვილის შეფასებით ` მედიატორობა საქართველოში პრივილეგიასთან იყო გაიგივებული, რაც არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის წარსულ მნიშვნელობაზე მეტყველებს, არამედ თანამედროვე საქართველოში მედიაციის წარმატების ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს ~. შესაბამისად, თანამედროვე დავის გადაწყვეტის საშუალებების დიზაინზე, მოდელსა თუ ფორმაზე ფიქრისას აუცილებელია სათანადო ყურადღება არამხოლოდ უცხოურ გამოცდილებასა დაეთმოს, არამედ ჩვენს ადგილობრივ ჩვეულებით სამართლისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსაც. რაც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს და ზოგადად რუსული ანექსიის პერიოდში მოქმედ დავის გადაწყვეტის საშუალებებს, შესაძლოა, ის საერთოდ არ გამხდარიყო წინამდებარე სტატიის განხილვის საგანი, ვინაიდან არ იყო ორგანული ნაწილი ქართული ჩვეულებითი სამართლისა, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით მოქმედი, რუსეთის იმპერიის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილი გახლდათ, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი _ ერთ-ერთ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძე იქნა წარდგენილი. (გიორგაძე, გურგენიძე, 1987)

3.2 სასამართლო მედიაცია კანონმდებლობის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ

2011 წლის 21 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა `საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ~ საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მთავარი საკითხი სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის შემოტანა იყო. ინიცირებული ნორმის განმარტებითი ბარათის მიხედვით,

`კანონპროექტის მიღების მიზეზია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების _ მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის დავის აღმოფხვრას მათი შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოაგვარონ ურიერთშეთანხმებით არასასამართლო გზით~. კანონპროექტის მიზნად რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სწრაფი და ეფექტური მართლსაჯულების უზრუნველყოფა, მოდავე მხარეთა შორის დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების ხელშეწყობა დასახელდა. საინტერესოა, რამდენად არის კანონპროექტის ავტორთა მიერ დასახული მიზანი მიღწეული მისი ამოქმედებიდან ოთხი წლის შემდეგ და აქვს თუ არა ქართულ მართლმსაჯულებას გარკვეული მიღწევები სამართლებრივი დავების მორიგებით მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართულებით. აღნიშნული საკითხის გასარკვევად საჭიაროა როგორც სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმების, ისე პრაქტიკის ანალიზი. ზემოხსენებეული კანონპროექტი მალევე, 2011 წლის 20 დეკემბერს, იქნა მიღებული, ხოლო ამოქმედდა 2012 წლიდან 1 იანვარს. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს კანონის ამოქმედებიდან ოთხი წლის მანძილზე მიღწეული შედეგების გაუმჯობესების რესურსი (პოტენციალი) საკანონმდებლო ნორმებშია თუ ახალი ინსტიტუტის დამკვიდრების მიზნით გატარებული პოლიტიკის განხორციელებაში (ადმინისტრირებაში), საჭიროა ორივე მათგანის _ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ცალ-ცალკე განხილვა. (Parliament.ge, 2015)

3.3 სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი

სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმების მიღებით დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭირო იყო, შემუშავებულ სამართლებრივ ნორმებს მოეხდინათ მედიაციის გამოყენების სტიმულირება ისე, რომ არ შელახულიყო მედიაციის არსი; დაცული ყოფილიყვნენ პროცესში მონაწილე პირები და გამჟღავნებული ინფორმაცია, მაგრამ არ მომხდარიყო პროცესის ზედმეტი რეგულირება; მორიგების ეფექტური

აღსრულებისათვის შემუშავებულიყო ოსტატური და დაბალანსებული სამართლებრივი მექანიზმები. იმისთვის, რომ ჩამოთვილი საკითხების შესწავლა სრულყოფილად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოვიდეს, საჭიროა კრიტიკულად გაანალიზდეს შემდეგი საკითხები: მედიაციის დეფინირება, მედიაციის პროცესის წამოწყების მექანიზმები, კონფიდენციალობის დაცვის საკითხი, პროცესის მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობები და ბოლოს, მორიგების აღსრულების მარეგულირებელ ნორმები. ამისათვის კი თითოეული მათგანი განხილულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად: 1. მედიაციის ცნება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი 22 _ `სასამართლო მედიაცია~ არ მოიცავს მედიაციის განმარტებას, მითითებას ამ პროცესში მესამე ნეიტრალური პირის როლზე, მხარეთა მიერ პროცესის შედეგის კონტროლის საკითხსა და მედიატორის სტილზე. ჩამოთვლილი საკითხებს არც სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული რომელიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს. შესაბამისად, დღემდე მხოლოდ მოქმედ მედიატორთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც, როგორც წესი, მედიაციის ცნებით არის ხოლმე განსაზღვრული, მაგ.: როგორი სტილის მედიაციის პროცესს ჩაატარებს მედიატორი, შეთავაზებს თუ არა მორიგების პირობებს მხარეებს და ა.შ. 2. პროცესის წამოწყება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1873 მუხლის მიხედვით, სასამართლო მედიაციის წამოწყება შესაძლებელია ნებისმიერი დავაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ხოლო მოსამართლის განჩინებით: ა) საოჯახო დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა; ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე; გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე. შესაბამისად, კანონმდებელმა პროცესის წამოწყებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ აირჩია შუალედური მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ მან მხოლოდ სამი კატეგორიის საქმეზე დაუშვა სავალდებულო მედიაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ის მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმების საგნად დატოვა. ასევე, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ განსხვავებით არბიტრაჟის შესახებ საქართველო კანონის 1-ლი მუხლის566 მოთხოვნისა (არბიტრაჟი უფლებამოსილია, განიხილოს მხოლოდ პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავები,

რომელთა მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის), სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1873 მუხლის `დ~ ქვეპუნქტი აღნიშნულ დათქმას არ ითვალისწინებს და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერ დავაზე იძლევა სასამართლო მედიაციის ჩატარების საშუალებას. `ქონებრივი~ თუ სხვაგვარი დეფინიციით სასამართლო მედიაციის შეუზღუდველობა მას გაცილებით მეტ ასპარეზს აძლევს, ვიდრე დავის გადაწყვეტის კიდევ ერთ ალტერნატიულ საშუალებას _ არბიტრაჟს. ასევე, საინტერესო დეტალი ქართული სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობისა არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1873 მუხლის მე-2 პუნქტის დათქმა: მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის, მაშასადამე მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება დავა გადაეცეს მედიაციას ნებისმიერ სტადიაზე, რაც ნიშნავს, რომ სავალდებულო მედიაციის შესახებ განჩინების მიღება მოსამართლეს მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე შეუძლია და არა ნებისმიერზე. (matsne.gov.ge, 2015) აქვე აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 1871 მუხლის მიხედვით, მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა მედიაციის ინსტიტუტს, უფრო კონკრეტულად კი სავალდებულო მედიაციას აღიქვამს როგორც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის ნაწილს. ის ფაქტი, რომ გარკვეული კატეგორიის დავები სავალდებულო მედიაციას გადაეცემა ისე, რომ მხარეებს ამ განჩინების გასაჩივრების უფლებაც არ აქვთ, კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა კი არა, არამედ სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებაა. ამგვარ დამოკიდებულას არაერთი (cand.uncourts.gov.com,2015) ქვეყნის სასამართლო იცნობს, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა საერთო სასამართლოების მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოს _ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მისი მოწესრიგება. `საერთო სასამართლოების შესახებ~ საქართველოს ორაგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის `ე~ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიიციის საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის `ზ~ და

`უ~ ქვეპუნქტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს და იღებს გადაწყვეტილებებს საერთო სასამართლოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. (hcoj.gov.ge, 2015) შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო მედიაციის ორგანიზაციული მუშაობისა და საქმინობის წესის შესახებ დებულების დამტკიცებით უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის ინტეგრირებას საქართველოს სასამართლო სისტემაში. (matse.gov.ge, 2015)

3.4 კონფიდენციალობის დაცვის საკითხი

მედიაციის პროცესი მხარეებისათვის უსაფრთხოა, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიაცია მათთვის ზიანის მომტანი არ არის ინფორმაციის გამჟღავნების მხრივ. კონფიდენციალობა, როგორც ინსტიტუტი, სასარგებლო და საინტერესოა მხარიეებისთვის, რომელთაც არ სურთ ოჯახის წევრთან, თანამშორმელთან თუ პარტნიორთან არსებული კონფლიქტის საჯარო სივრცეში (სასამართლოში) გატანა. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მედიაციის შემადგენელი კომპონენტების: კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის შეგროვების პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. მეტიც, ვინაიდან სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით მედიაციის დროს მედიატორი ცდილობს მხარეთა განსხვავებული ან საერთო, მაგრამ არა ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური და მატერიალური ინტერესების ერთმანეთში `გადათამაშებით~ იპოვოს ორმხრივად სასარგებლო გამოსავალი, კონფიდენციალობის დაცვის საკითხი, ასევე, დიდ გავლენას ახდენს მედიაციის მესამე შემადგენელ კომპონენტზე _ შემოქმედებითი გამოსავლის პოვნაზე. აქედან გამოდინარე, მხარეთა რეალური საჭიროებების გაგების მიზნით, სასამართლო მედიაციის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ მედიატორის ჰქონდეს შესაძლებლობა ყოველგვარი ინფრომაციის შეგროვებისა მათ შორის, კონფიდენციალურის. საპირისპიროდ, თუ სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებისაგან სათანადო დაცვას, ის შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი გახდეს მხარეებისათვის.

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის სათანადო გარანტიების გარეშე, როგორც წესი, მედიაციის პროცესში მხარეები არ ამხელენ მათთვის სენსიტიურ ინფორმაციას მისი გავრცელების შიშით, (matsne.gov.ge, 2015) შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო საკითხთან დაკავშირებით მთლიანი სურათის აღქმა. სწრედ ამიტომ, კონფიდენციალობის დაცვა მედიაციის პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს და მისი დაცვის უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია მედიაციის ჯეროვანი პროცესის ჩატარება. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ იქნა ქართველი კანონმდებლების მიერაც, რაც კარგად ჩანს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე მუხლის 12 პუნქტით ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამჟღავნებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში. რაც შეეხება სსსკ-ის 1878 მუხლს, ის უკრძალავს როგორც მხარეებს, ისე მედიატორს მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო სსსკ-ის 141-ე მუხლით, მედიატორი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმედ ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას. (parliament.gov.ge, 2015) საინტერესოა ის ფაქტიც, რომ განსხვავებით გერმანიასა და ამერიკის ზოგიერთ შტატში არსებული რეგულაციებისგან ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან, რაც გარკვეულ წილად თანხვედრაშია, ასევე, `სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ~ ევროპულ დირექტივასთანაც. კერძოდ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დირექტივის პრეამბულასა და ტექსტში ხაზი აქვს გასმული კონფიდენციალობის მნიშვნელობას მედიაციის პროცესისათვის, აქტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მისგან გამონაკლის შემთხვევებსაც _ თუ კონფიდენციალური ინფორმაცია ქვეყნის საჯარო წესრიგს კონკრეტულად კი ბავშვის ინტერესებს ან

მორიგების აქტის აღსრულებას შეეხება. თუმცა იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ანიჭებს უფლებამოსილებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, მიიღონ კიდევ უფრო მკაცრი წესები კონფიდენციალობის დასაცავად, ვიდრე ეს თვით დირექტივაშია; ვინაიდან ევროკავშირის დირექტივით კონფიდენციალურობის შეთანხმებიდან გასვლის შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, მისი დაცვის კერძო ინტერესზე უფრო მაღლა მდგომი საჯარო ინტერესით არის განპირობებული. საქართველოშიც კონფიდენციალობის დაცვის წესიდან გამონაკლისის დაშვება, სავარაუდოდ, უკეთესიც იქნებოდა თვით მედიაციის ინსტიტუტისათვის, ვიდრე _ უარესი. მართალია, საქართველოს მსგავსად კონფიდენციალობის დაცვის ფაქტობრივად აბსოლუტურ ვალდებულებას განვითარებული ქვეყნების წამყვანი სამედიაციო სასამართლოების წესებიც ითვალისწინებს (მაგ., კალიფორნიის), თუმცა საქართველოში მედიატორთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მსგავსი მოწესრიგება გარკვეულ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. (matsne.gov.ge)

1. პროცესის მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე პირებს აკისრებს შემდეგ უფლება-ვალდებულებებს:

• 31-ე მუხლის `ე~ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია, აიცილოს საქმე, თუ ის იმავე საქმეში მონაწილეობდა როგორც მედიატორი;

• მედიატორის აცილების უფლებამოსილება მხარეებს ზუსტად იმავე საფუძვლებით (სსსკ 1874 მუხლი) აქვთ მინიჭებული, რაც მოსამართლის აცილების საფუძველია;

• სსსკ-ის 94-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოში წარმომადგენლად არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად, ხოლო სსსკ-ის 35-ე მუხლით იგივე შეზღუდვა ვრცელდება ექსპერტზე, თარჯიმანზე, სპეციალისტსა და სხდომის მდივანზე;

• სსსკ-ის 1878 მუხლი უკრძალავს მედიატორს და მხარეებს მედიაციის პროცესში გამხელილი კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებას;

• სსსკ-ის 141-ე მუხლი მედიატორს, ერთი მხრივ, ანიჭებს პრივილეგიას, არ მისცეს ჩვენება მედიაციის მსვლელობისას მისთვის გამხელილი ინფორმაციის შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, უკრძალავს სასამართლოს წინაშე მოწმის სახით წარდგომას ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას;

• 1874 მუხლის 1-ელი ნაწილით მხარეები ვალდებული არიან, გამოცხადნენ არანაკლებ ორ სამედიაციო შეხვედრაზე დანიშნულ დროსა და ადგილას, ხოლო არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან 150 ლარით.

• 1875 მუხლის მიხედვით მედიატორს მხარეთა მორიგებისათვის შეუძლია გამოიყენოს 45 დღე და ეს ვადა მხოლოდ მხარეთა თანხმობით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით.

მოცემული რეგულაციების შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კანონმდებლობით: 1) მესამე ნეიტრალურ პირს ერთმევა უფლება, იმავე დავის საგანზე მონაწილეობდეს სხვა სტატუსით მას შემდეგ, რაც იგი მონაწილეობას მიიღებს როგორც მედიატორი; 2) კონფიდენციალობის დაცვის თვალსაზრისით, მედიატორები მიეკუთვნებიან პრივილეგირებულ პროფესიათა რიცხვს, რომლებიც საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციას გაცემის ვალდებულებისაგან დაცული არიან; 3) უზრუნველყოფილია მედიაციის პროცესში მხარეთა უშუალო მონაწილეობა; 4) დაწესებულია გონივრულ ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მედიატორი ვალდებულია, საქმე განსახილველად დაუბრუნოს სასამართლოს. (matsne.gov.ge, 2015) საკანონმდებლო დონზე მედიაციის პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობების რეგულირების მიზანი მედიაციის პროცესის, მასში მონაწილე პირებისა და მართლმსაჯულებისა ინტერესების დაცვაა. აქედან გამომდინარე, თუ მედიატორთა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებები შედარდება განვითარებული ქვეყნების (გერმანიის, ან თუნდაც (მისი ლიბერალური მიდგომებიდან გამომდინარე) კალიფორნიის შტატის მედიატორთა ვალდებულებებს, ნათლად გამოჩნდება, რომ

ქართულ სასამართლო მედიაციის პროცესში მედიატორთა ვალდებულებები არც თუ ისე სრულყოფილადაა მოწესრიგებული.

2. საქმის მორიგებით დამთავრება

საქართველოში რაიმე სპეციალური ფორმა დაMმოთხოვნები სასამართლო მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად არ არსებობს. მასზე, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე, სამოქალაქო სამართლის მოთხოვნები ვრცელდება, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1877-ა მუხლი არეგულირებს სასამართლო მედიაციის დასრულების საკითს. (matsne.gov.ge, 2015) კერძოდ, „თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდება, სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. ეს განჩინება საბოლოოა არ გასაჩივრდება და დაუყოვნებლივ შედის ძალაში. ამასთან, `სააღსრულებო წარმოებათა შესახებ~ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, (matsne.gov.ge, 2015) აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული განჩინება. საქართველოს კანონდებლობა სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების არა მხოლოდ იოლი აღსრულების მექანიზმებს ითვალისწინებს, არამედ მედიაციის დახმარებით საქმის დამთავრების მიზნით სასამართლოს მომხმარებლებისათვის გარკვეულ მასტიმულირებელ მექანიზმებსაც ქმნის, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური მოტივია. კერძოდ, მედიაციით დავის გადაწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 1%-ს, მაგრამ _ არანაკლებ 50 ლარს. ფინანსური თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული წესი სასამართლო ბაჟის შემცირებისა, მართლაც, წარმოადგენდეს მოტივატორს მხარეებისათვის, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ერთი საკითხიც: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, სასამართლო მორიგების შემთხვევაში (და არა მედიაციით მორიგების შემთხვევაში) მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და დაამტკიცებს მორიგების პირობებს, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტისას `სახელმწიფო ბაჟის შესახებ~

საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი იძლევა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მთლიანი დაბრუნების შესაძლებლობას. (matsne.gov.ge, 2015)Aშესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი პრაქტიკაში იძლევა სასამართლოში მორიგებისათვის უფრო მეტ სტიმულს, ვიდრე მედიაციის პროცესიით მორიგებისთვის. შეიძლება აღნიშნული საკითხი არც თუ მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა მოსალოდნელია, რომ მხარეებმა მედიატორთან საქმის მორიგებით დამთავრებაზე სწორედ იმიტომ თქვან უარი, რომ მათთვის კიდევ უფრო ხელსაყრელი მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლო დარბაზში მორიგება იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კანონმდებლობაში სასამართლო მორიგების მარეგულირებელ ნორმებსაც აქვთ გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე, მხარეთა მორიგების მიზნით, უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. (ცერცვაძე, 2010) ასევე, მოსამართლეს, მხარეთა მორიგების მიზნით, შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. როცა მოსამართლე თავად გამოდის მომრიგებელის როლში თავის წარმოებაში არსებულ საქმეზე და არ გადასცემს მას კოლეგას, როგორც ეს მაგ., გერმანიის ფედერაციის სასამართლოებშია, მორიგის პროცესის დგება შემდეგი პრობლემების წინაშე: 1. მხარეებს და თავად მოსამართლეს უჭირთ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო პროცესიდან, თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებულ მორიგების პროცესზე მომენტალურად გადასვლა, შესაბამისად, პროცესისადმი დამოკიდებულების შეცვლა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე სასამართლო მორიგებების პროცესები, მაღალი ალბათობით, იმავე დაპირისპირებულ რეჟიმში გრძელდება ხოლმე, რა რეჟიმშიც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი; 2. მხარეებმა იციან რა, რომ მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში იგივე მოსამართლეს მოუწევს შინაგანი რწმენის კარნახით გადაწყვეტილების მიღება დავის საგანზე, ერიდებიან ისეთი კონფიდენციალური ინფრომაციის გამხელას, რამაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს გადაწყვეტილების მიმღებ პირზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლეს შეუძლია

სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს, ვერ იქნება საკმარისი გარანტი მხარეთათვის სენსიტიური ინფორმაციის გაცემისა. 3. მორიგების პროცესში მესამე ნეიტრალურ პირის მიერ მორიგების პირობების შეფასების ან შეთავაზების დროს არსებობს საშიშროება იმისა, რომ თუ ერთი ან მეორე მიუღებელია მხარისათვის, მისი გამჟღავნების მომენტიდან ნეიტრალური პირი _ მოსამართლე თუ მედიატორი მხარის აღქმაში კარგავს ნეიტრალურ პირის როლს და იგი ოპონენტი მხარის `ადვოკატი~ ხდება. აქედან გამომდინარე, საქმის უშუალოდ განმხილველი მოსამართლის მიერ, თუნდაც მხარეთა მორიგების მიზნით, მითითება ერთ-ერთი მხარისათვის (ან ორივესთვის) დავის გადაწყვტის მისთვის (ან მათთვის) მიუღებელ შედეგზე ან მორიგების პირობაზე, არყევს პროცესის გაგრძელების შემთხვევაში ამ მოსამართლის ნეიტრალურ და მიუკერძოებელ აღქმას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მართლმსაჯულებისათვის. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტისა და რისკების განეიტრალების მიზნით, გერმანიაში სასამართლო მორიგებისას დავა გადაეცამა სხვა მოსამართლეს, რომელიც განსხვავებულ გარემოში ხვდება მხარეებს, აცნობს საკუთარ როლს და მხარეებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების შექმნით ცდილობს სამართლებრივი უთანხმოების მორიგებით დამთავრებას. (ცერცვაძე, 2010) ამასთან, ის ვალდებულია, არ გაანდოს საქმის განმხილველ მოსამართლეს ის ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი მორიგების პროცესის მსვლელობიდან გახდა. შესაბამისად, დაიცვას კონფიდენციალობა, ხოლო მორიგების პროცესის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში საქმე განსახილველად დაუბრუნოს თავდაპირველ მოსამართლეს.

სავარაუდოდ, საქართველოს საერთო სასამართლოებში სასამართლო მორიგებით მიღწეული მორიგებათა არცთუ ისე სახარბიელო სტატისტიკური მაჩვენებელის განმაპირობებელი, მოსამართლეთა მორიგების ტექნიკის ცოდნის დონესთან ერთად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზიცაა. შესაბამისად, სასურველია წამყვანი ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველოში დაიხვეწოს სასამართლო მორიგების მომაწესრიგებელი კანონმდებლობა.

3.5 თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის საპილოტე პროექტის პრაქტიკის ანალიზი

საკანონდებლო ნორმების ამოქმედების შემდეგ (2012 წლის 1 იანვარი) 2012 წლის 7 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრს, `გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობისა საზოგადაოებასა~ და `მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს~ შორის გაფორმებული მემორანდუმი სასამართლო მედიაციის პრაქტიკული ამოქმედების მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტი და შეირჩნენ კანდიდატები ბრიტანული კომპანიის `დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ცენტრის~ დახმარებით წარმართული მედიაციის სასწავლო კურსის გასავლელად. თბილისის სასაქალაქო სასამართლოს მედიაციის პილოტურმა პროექტმა უშუალოდ სამედიაციო შეხვედრების განხორციელება 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყო. ორი წლის მანძილზე სამედიაციოდ სულ 44 საქმე იქნა გადაცემული (2013 წელს _ 3 საქმე, 2014 წელს _ 13, ხოლო 2015 წელს _ 28). სამედიაციოდ გადაცემული საქმეებიდან 16 დასრულდა შეთანხმებით, 25 _ შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხოლო 3 დავაზე მედიაცია კვლავ მიმდინარეობს. (matsne.gov.ge) პროცენტული თვალსაზრისით, მორიგებით დასრულდა დამთავრებული 41 საქმის 39%-ი, ხოლო წარუმატებლად _ 61%. აღსანიშნავია, რომ საანაგრიშო პერიოდის მანძილზე პილოტური პროექტში მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის საქმეები მოხვდნენ, საიდანაც უმრავლესობა _ 29 საქმე ვალდებულებით სამართლებრივი დავა იყო, 11 _ საოჯახო და 4 _ მემკვიდრეობითი. თუ გავითვალისწინებთ მედიაციის _ მორიგებით დავების გადაწყევტის კულტურის ნაკლებობას თანამედროვე ქართულ მართლმსაჯულებაში რაც დასტურდება უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკითაც (კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სტატისკის სამსახურის ინფორმაციით, თბილისი

საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო სამართლებრივ დავებზე სასამართლო მორიგებით დასრულდა: 2012 წელს სულ განხილულ საქმეთა 8.4%, 2013 წელს _ 7.2%, 2014 _ 9.6%, ხოლო 2015 წელს 9.1%. მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული მონაცემები კიდევ უფრო დაბალია. კერძოდ, სასამართლო მორიგებით დასრულდა სულ განხილულ სამოქალაქო სამართლებრივი დავების: 2012 წელს 8.3%, 2013 წელს _ 8.4%, 2014 _ 9.5%, ხოლო 2015 წელს 8.5%.), პილოტური პროექტის შედეგად მიღებული მონაცემები თითქმის 4-ჯერ აღემატება სასამართლო მორიგების პროცენტულ მაჩვენებელს. (matsne.gov.ge, 2015) შესაბამისად, საკმაოდ კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს მედიაციის საპილოტე პროექტისათვის ბოლო ორი წლის მანძილზე მიღწეული მორიგებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს პილოტური პროექტის ადმინისტრატორი, გარდა სამედიაციო ცენტრისადმი გადაცემული საქმეთა სტატისტიკური მონაცემებისა, ამუშავებს მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მედიაციის პროცესითა და მედიატორით კმაყოფილების ანონიმურ კითხვარს. წამყვან სამედიაციო ცენტრებს სწორედ მედიაციის მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები მიაჩნიათ პროექტის წარმატების მთავარ საზომ ერთეულად და არა მორიგებით დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი. რაც საკმაოდ ლოგიკურიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მედიაციის მიზანი არა მხოლოდ მორიგების მიღწევაა, არამედ სასამართლოში დავის გაგრძლება მას შემდეგ, რაც მხარეები დარწმუნდებიან, რომ დავის მოსამართლის მიერ გადაწყვატა მოცემული სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა. შესაბამისად, ადვოკატი და მისი კლიენტი მედიაციის პროცესს კმაყოფილი უნდა ტოვებდეს მაშინაც, როცა ის დავის მორიგებით დამთავრებას ვერ ახერხებს, ვინაიდან იცის, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა მორიგების, დავის მშვიდობიანი გადაწყევტის, ურთიერთობის ტრანსფორიმირების და მედიაციის სხვა უპირატესობების გამოყენების შანსი აღარ არსებობდა და არა ის, როცა მხარეები შესაძლებლობებს უბრალოდ გამოუყენებელს ტოვებენ, ან უფრო მეტიც _ უბარლოდ კარგავენ. (matsne.gov.ge, 2015) აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა კმაყოფილების კითხავარი ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია მედიატორთა და მედიაცის პროცესის ხარისხის კონტროლის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, რაც, სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თავად

საპილოტე პროექტის მმართველების მიერ განხორციელდება კიდეც. თბილისის საქალაქო სასამართლოს საპილოტე პროექტს, გადაცემული სამედიაციო საქმეთა რაოდენობის თვალსაზრისით, საამაყოდ, რა თქმა უნდა, არ აქვს საქმე, თუმცა პილოტური პროექტის მმართველების სწორ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს პირველ ეტაპზე მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის გამოყენება და მხოლოდ გარეული გამოცდილების დაგროვების შემგედ (სავარაუდოდ 2016 წლიდან) სავალდებულო მედიაციის ამოქმედება. როგორც აღვნიშნეთ, რიცხობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი მომხმარებელთა კმაყოფილებაა, მაგრამ, ვინაიდან, მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარი კონფიდენციალურია, რთულია ვისაუბროთ ამ ასპექტში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამედიაციო ცენტრის მიღწევებზე. ის ფაქტი კი, რომ აღნიშნული ინფორმაცია გროვდება, მუშავდება და ინახება თბილისის საქალაქო სასამრთლოს ბაზაზე, უდავოდ მისასალმებელია.

3.6 სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში

უდავოა, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მარეგულირებელი ნორმებთან ერთად ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. შედეგების ანალიზითაც კარგად ჩანს, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული კანონის მიღების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა, რასაც ხელი შეუწყო პროექტის ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილმა ხარვეზებმა. კერძოდ, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში მედიაციის თანმიმდევრულ და ეტაპობრივ განვითარებას ხელი შეუშალა როგორც სასამართლო ხელისუფლებაში მედიაციის განვითარების შესახებ საერთო ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობამ, ასევე, მედიაციის დანერგვის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (როგორც მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოს) ახალი შემადგენლობის არასათანადო ჩართულობამ. (hcoj.gov.ge, 2015) ზემოაღნიშნულ საკითხთა მოუწესრიგებლობით ქართულ სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრების პროცესი

დაუგეგმავად და საერთო კორდინირების გარეშე მიმდინარეობს, რაც სასამართლო ხელისუფლებას, როგორც საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოს, ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამასთან, ქმნის ფავორიტიზმისა და მიკერძოებულობის რისკებს სასამართლო სისტემაში (გაურკვეველია, ვის შეიძლია ან რა საფუძვლით გადაწყვიტოს ვინ შეიძლება იყოს მედიატორი, რა სტანდატრების დაცვა მოეთხოვებათ სასამართლო მედიატორებს და ვინ არიან სამედიაციო ცენტრების მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები), ართულებს სასამართლო მედიაციის დანერგვისათვის აუცილებელ ადმინისტრირების პროცესს, აღრმავებს იურისტებს შორის მედიაციისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და იწვევს მედიაციისადმი სასამართლო მომხმარებელთა ნდობის ნაკლებობას. აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად და სამივე ინსტანციის სასამართლოებში სამედიაციო ცენტრების ეფექტური მართვის, კონტროლისა და განვითარების მიზნით მიზანშეწონილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭომ, როგორც სასამართლო სისტემის რეფორმის მაკოორდინირებელმა ორგანომ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებითა შეიმუშავოს სასამართლო მედიაციის სტრატეგია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. სასამართლო მედიაციის სტრატეგიით, როგორც ექსპერტთაE მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მიუთითებენ, საჭიროა ამბიციური მიზნის დასახვა და მისი მიღწევის მიზნით კონკრეტული მოქმედებების განსაზღვრა, რომელიც მოახდენს სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის ეფექტურ ინტეგრირებას. (hcoj.gov.ge, 2015) ამასთან, მედიაციის ინსტიტუტისათვის მიმზიდველობის მოსამატებლად საჭიროა ამოქმედდეს დამატებითი სტიმულატორები, რომელიც დამატებით ბენეფიტებს შეთავაზებს სასამართლო მედიაციის მომხმარებლებსა და მოსამართლეებს. ეს შეიძლება იყოს: • მედიაციის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება სასამართლოში მისი განხილვისას. კერძოდ, იმისთვის, რომ დროის ფაქტორი არ წარმოადგენდეს მედიაციაში მონაწილეობის დასათანხმებლად მხარეებისათვის ბარიერს, საქმის უკან სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში გამართლებული იქნება `მედიაციანაცად~ საქმეებზე სხდომის პრიოროტეტულ რეჟიმში ჩანიშვნა და განხილვა. ამისათვის საჭიროა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაახლოს ისედაც

საკმაოდ მოძველებული, საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესი; • მოსამართლეთა მოტივირების მიზნით, მედიაციით დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა დადებითად აისახოს `მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესსა~ და მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმებში. პროცესის ეფექტურ ადმინისტრირებასთან ერთად, მედიაციის შემდეგი გამოწვევა საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა, სასამართლო მედიაციის სერვისთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს ხელს შეუწყობდა საქართველოს განათლების სამინისტოროსა და სამართლის სკოლების ერთობლივი ძალისხმევა მედიაციის საგნის სავალდებულო სასწავლო დისციპლინად ქცევის შესახებ. ამასთან, ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე სამართლის განხორციელების პროცესში მორიგების ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ წერდა, უდავოდ დიდი გამართლება და უპირატესობაა საქართველოში მედიაციის კვლავ დასამკვიდრებლად. ილია ჭავჭავაძის ნააზრევი საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მორიგებით სამართლებრივი დავების გადაწყვეტის კულტურის დამკვიდრებისთვის დატოვებული უდიდესი მემკვიდრეობაა, რომლის გამოყენებას როგორც სიმბოლური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სასამართლო მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგის მოსამზადებლად.

უფრო ნათლად რომ დავინახოთ ის განსხვავებები და მსგავსებები რაც ახასიათებთ ქართულ, გერმანულ და ამერიკულ მედიაციის სისტემებს, გამოვყოთ მათი დამახასიათებელი ძირითადი კომპონენტები, რომლებიც დაგვეხმარება შევქმნათ ქართულ რეალობაზე ზუსტად მორგებული მედიაციის სისტემა.

გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მედიაციის სისტემების ძირითადი კომპონენტების შედარება

1. მედიაციის ფორმა

გერმანია

1. სავალდებულო მედიაცია

აშშ

1. სავალდებულო მედიაცია

საქართველო

1. ნებაყოფლობითი მედიაცია

2. მედიაციის რეგულირების ფორმა

გერმანია

2. სასამართლო მედიაცია და დამოუკიდებელი მედიაციის ინსტიტუტები ერთმანეთისგან გამიჯნულია.

აშშ

2. სასამართლო მედიაცია და მედიაციის ინსტიტუტები დამოუკიდებელია აშშ-ის ხელისუფლებისგან.

საქართველო

2. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ფარგლებში ყალიბდება მედიაციის ინსტიტუტი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.

3. ძირეული საკითხების რეგულირება

გერმანია

3. მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაყოფილია ფედერალურ და ადგილობრივ დონეებად.

აშშ

3. I. 1998 წლის ‘’დავების გადაწყვეტის აქტით’’ ყველა ფედერალურ სასამართლოს მედიაციის ცენტრის ცალკე განვითარება მოეთხოვა, კონგრესმა კი ყველა სახელმწიფო უწყებას დაავალა ხელი შეეწყოთ მედიაციის განვითარებისთვის.

II. აშშ-ის ყველა შტატს შემუშავებული აქვს მედიაციის პროცესის საკუთარი წესები.

საქართველო

3. მარეგულირებელი კანონმდებლობით, მედიაციამ უნდა უზრუნველყოს მოდავე მხარეებს შორის დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულება.

4. მედიაციის ცნება

გერმანია

4. მედიაცია არის: ‘’კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესი, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით და საკუთარი პასუხისმგებლობით ცდილობენ მიაღწიონ დავის მეგობრულ გადაწყვეტას’’.

აშშ

4. მედიაცია არის: ‘’პროცესი, რომლის მანძილზე მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკების წარმართვას, რათა დაეხმაროს მათ სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევაში’’.

საქართველო

3. მედიაცია არის: ‘’დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება და ის მიზნად ისახავს მხართა შორის დავის აღმოფხვრას მათი შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმებით, არასასამართლო გზით.

5. კონფიდენციალობის პრინციპი

გერმანია

5. კანონმდებლობით, მედიაციის პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირი (მათ შორის, სამედიაციო ცენტრის ის თანამშრომლები, რომელთაც შეხება აქვთ საქმის მასალებთან) ვალდებულია მედიაციის პროცესში მისთვის გამჟღავნებული ინფორმაცია კონფიდენციალურად დაიცვას.

აშშ

5. მედიაციის პროცესში შექმნილი და წარმართული მტკიცებულებები ფედერალური და შტატის კანონმდებლობით დაცულია გასაჯაროვებისგან, მათ შორის, სასამართლო პროცესზე მათი გამყენებისგან.

საქართველო

5. კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო მედიაციის პროცესი მხარეებისთვის სრულიად უსაფრთხოა, მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში არ ხდება ინფორმაციის გამჟღავნება, იკრძალება მხარეებისთვის და მედიატორისთვის მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის გავრცელება და ასევე, მედიატორი არ შეიძლება დაიკითხოს სასამართლოზე.

6. მედიატორთა პროფესიული სტანდარტი და აკრედიტაციის საკითხი

გერმანია

6. საკანონმდებლო დონეზე, მედიაციის აქტის მე-5 მუხლის თანახმად, მედიატორი ვალდებულია გაიაროს 120 საათიანი ტრეინინგი და მიიღოს სერტიფიკატი.

აშშ

6. მედიატორობის მსურველი ვალდებულია გაიაროს 25 საათიანი თეორიული და პრაქტიკული ტრეინინგი და ხელი მოაწეროს მედიატორთა ეთიკის წესებს.

საქართველო

6. მედიატორად არჩეულნი იყვნენ მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე პირები.

7. მედიატორის არჩევის პრინციპი და ვალდებულებები

გერმანია

7. საკანონმდებლო დონეზე არ არის გაწერილი მედიატორთა ეთიკის ნორმები და მედიატორის არჩევაც დამოკიდებულია მხარეების სურვილზე.

აშშ

7. შემუშავებულია მედიატორთა სია, საიდანაც მხარეები სასამართლო მედიაციის დროს ირჩევენ მედიატორებს. სასამართლო, პერიოდულად, აწარმოებს მედიატორთა შეფასება-გადამზადებას.

საქართველო

7. მედიატორები არჩეულნი არიან სასამართლოს მიერ და დაცულნი არიან საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.

8. მედიაციის პროცესის ხარჯები და ვადები

გერმანია

8. I. ფედერალური მოწყობის სისტემის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება წყვეტს ადგილობრივი სასამართლო სისტემის დაფინანსების საკითხს. მედიაციის წარმართვის ვადები არ არის განსაზღვრული.

II. სასამართლოს გარეთ მედიაციის პროცესის ხარჯებს არ ანაზღაურებს სასამართლო.

აშშ

8. სასამართლო მედიაციას აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო ,''კერძო მედიაციის'' საფასურს იხდიან მხარეები. ვადები არ არის განსაზღვრული.

საქართველო

8. მედიაციის ხარჯებს ფარავს სასამართლო და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მინიჭებული კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ, მედიატორი ვალდებულია საქმე დაუბრუნოს სასამართლოს.

9. მედიატორთა ანაზღაურება

გერმანია

9. მედიატორის ანაზღაურება - კომერციულ ბიზნეს-დავებზე საათობრივად 200-დან 600-ს ევრომდე, სხვა კატეგორიის დავებზე 100დან 400 ევრომდე.

აშშ

9. მედიატორის ანაზღაურება საათში 25 დოლარს შეადგენს.

საქართველო

9. არ არის განსაზღვრული.

10. მიღწეული შეთანხმების ფორმა და აღსრულება

გერმანია

10. არ არსებობს სპეციალური ფორმა და მოთხოვნები მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად. მასზე ვრცელდება გერმანიის კანონმდებლობის ზოგადი ნორმები.

აშშ

10. შეთანხმების აღსრულება განსხვავდება შტატების მიხედვით. სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ, მედიატორი ვალდებულია საქმის განმხილველ მოსამარტლეს მოახსენოს საქმის დასრულების და შედეგების შესახებ. თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას, საქმე ჩვეულებრივ გრძელდება. თუ მხარეები მორიგდებიან, ფორმდება სასამართლო მორიგების აქტი(მემორანდუმი).

საქართველო

10. არ არსებობს სპეციალური ფორმა და მოთხოვნები სასამართლო მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად. მასზე ვრცელდება სამოქალაქო სასამართლოს მოთხოვნები.

11. შედეგები

გერმანია

11. სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტმა მოლოდინი ვერ გაამართლა და მისი დახმარებით მართლმსაჯულების ხარჯების დაზოგვა ვერ მოხერხდა თუმცა, განიტვირთა სასამართლო.

აშშ

11. მედიაცია გახდა გავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის ლიდერი და განტვირთა სასამართლო სისტემა. სამართლებრივი კონფლიქტების დიდი ნაწილი სწორედ მედიაციის საშუალებით წყდება აშშ-ში.

საქართველო

11. მედიაციის გერმანული მოდელი ზუსტად ვერ მოერგო ქართულ რეალობას და მოითხოვა ცვლილებების განხორციელება. მედიაციის საპილოტე პროექტი საჭიროებს დახვეწასა და განვითარებას, რაც შეუძლებელია მედიაციის ინსტიტუტების არსებობისა და ხელშეწყობის, მედიატორთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის გარეშე.

დასკვნა

საქართველოსთვის მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისი წარმატებით დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოში სასამართლო მედიაციის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი მოდელის შემუშავება და ამ ინსტიტუტის ისეთი ფორმით ამოქმედება, რომელიც წარმატებით უპასუხებს ქართული მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევებს, ამავდროულად იქნება მომხიბვლელი სასამართლოს მომხმარებელთათვის, ორგანულად შეერწყმება ქართულ სასამართლო სისტემასა და სამართლებრივ კულტურას. აღნიშნული მიზნის მიღწევა რთულია, თუმცა არა _ შეუძლებელი, რადგან საქართველოში არსებობს სასამართლო მედიაციის ასამოქმედებლად საჭირო ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, ისტორიული გამოცდილება, საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციები და ვრცელი ინფორმაცია პარტნიორ ქვეყნებში სასამართლო მედიაციის დამკვიდრების როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მცდელობების შესახებ. ის ფაქტი, რომ სასამართლო მედიაცია საქართველოში კვლავ საწყის ეტაპზეა დასანანია, თუმცა დაშვებული შეცდომების გაანალიზება, ექსპერტთა მოსაზრებების გაზიარება და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა სიტუაციას საგრძნობლად გამოასწორებს. მართალია, მსოფლიოში მედიაციის მოდელთან დაკავშირებით მრავალი ექსპერიმენტი უკვე ჩატარდა და უნიფიცირებული მოდელებიც არსებობს, მაგრამ საქართველოს სასამართლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საჭიროა შემუშავდეს მედიაციის ახალი _ უნიკალური მოდელი, რომელიც შეძლებს საერთო სასამართლოების სისტემაში ამ ინსტიტუტის უპირატესობების მაქსიმალურ რეალიზებას. მიზანი არის ქართულ გარემოსთან მისი უკეთესად ადაპტირება.

საინტერესოა თუ როგორი უნდა იყოს ქართულ რეალობაზე ადაპტირებული სასამართლო მედიაციის მოდელი. აღნიშნული პრობლემის დაძლევაში დახმარებას გაგვიწევს ევროპული, ამერიკული და ქართული სასამართლო მედიაციის მოდელების შედარებითი ანალიზი. საჭიროა სწორი დასკვნების გაკეთება, თუ როგორი სინთეზი იქნება საქართველოსათვის საუკეთესო, სასამართლო მედიაციის როგორი მოდელი უნდა აირჩიოს ქართულმა მართლმსაჯულებამ. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ

სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით ნათლად არ იყო გარკვეული ევროპული სასამართლოების დამოკიდებულება, დღეს შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. ამის თქმის საშუალებას, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება (ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ) იძლევა. (ცერცვაძე, 2010) ასევე, ნიშანდობლივია სავალდებულო მედიაციის გარეშე დავის გადაწყვეტის შედეგიან მექანიზმად მედიაციის ჩამოყალიბების პრაქტიკული გამოცდილება. როგორც ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთ პრაქტიკულად შეუძლებელია შედეგიანი ნებაყოფლობითი სასამართლო მედიაციის მოდელის მაგალითის პოვნა. (Hopt, Steffek, 2013) ასევე, აშშ-ში არაერთ ავტორსა თუ მკვლევარს გაუხდია სავალდებულო მედიაციის საკითხი სადავოდ და სასამართლომდეც მისულა დავა ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა აშშ-ის მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა დამოკიდებულება სავალდებულო მედიაციის მიმართ მეტწილად უცვლელი დარჩა. მეტიც, კალიფორნიის შტატის სასამართლოების მოდელი გარკვეული კატეგორიების დავებთან დაკავშირებით ითვალისწინებს მედიაციისადმი ავტომატურ, სავალდებულო მიმართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა პასუხი უნდა გაეცეს ქართული მართლმსაჯულებისათვის (პრაქტიკიდან გამომდინარე) კვლავაც აქტუალურ კითხვას: უნდა ამოქმედდეს თუ არა კანონმდებლობაში არსებული დანაწესი სავალდებულო მედიაციის შესახებ? ასევე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუ რატომ ვერ უზრუნველყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტური პროექტის ფარგლებში ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელმა უკეთესი შედეგები. ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, არ იქნება გამართლებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციის პილოტური პროექტის ნებაყოფლობითი მოდელით დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას შეცდომა ვუწოდოთ, ვინაიდან იმთავითვე (2012 წელს) სავალდებულო მედიაციის ფორმით პროექტის დაწყებას შესაძლოა მოჰყოლოდა ადვოკატთა მხრიდან ამ მომსახურების მიუღებლობა,

რაც საერთო ჯამში მეტ ზიანს მოიტანდა. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის წარმატებას საქართველოში მხოლოდ სავალდებულო მედიაციის ამოქმედება ვერ უზრუნველყოფს. მართალია, ის მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, თუმცა არა _ ერთადერთი. სასამართლო მედიაციის მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნორმატიული რეგულირების ფორმა. რამდენადაც მედიაციის მთავარი მახასიათებლები: მოქნილობა, არაფორმალურობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობაა, ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლისათვის გამოწვევაა, შეძლოს მედიაციის ინსტიტუტის რეგულირება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში მონაწილე პირების, სასამართლო სისტემისა და თავად ამ ინსტიტუტის ინტერესებს შორის დაბალანსება.

მედიაციის სასამართლო სისტემაში ეფექტური ინტეგრირებისათვის საჭიროა რეგულაციებთან ერთად შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს: სამედიაციო ცენტრსა და სასამართლოებს შორის კავშირის ოპტიმალური ფორმის მოძიებას. შესაბამისად, მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი სასამართლოსა და სამედიაციო ცენტრს შორის კავშირის ფორმაა. სასამართლო მედიაციის პროგრამის დიზაინის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულების პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა არჩევანი გააკეთონ სამედიაციო ცენტრის განთავსებისა (სასამართლოებში მისი ადგილის) და მედიატორებთან თანამშრომლობის ფორმაზე. ქართული კანონმდებლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სასამართლო მედიაციის პროგრამის დიზაინთან დაკავშირებით საკმაო თავისუფლებას ანიჭებს მართლმსაჯულების წარმომადგენლებს. კერძოდ, ქართული კანონმდებლობა იძლევა სასამართლო მედიაციის პროგრამის, როგორც სასამართლოების შიგნით, ისე მის გარეთ გატანის შესაძლებლობას. ვინაიდან მართლმსაჯულების ინტერესებში შედის სასამართლო მედიაციის პროგრამის მთელი საქართველოს მასშტაბით დროული ამოქმდება, ამიტომ ცენტრები უნდა ამოქმედდეს იმ ფორმით, რის საშუალებასაც კონკრეტულ სასამართლოებში არსებული რესურსი იძლევა.

სასამართლო მედიაციის სტრატეგიის შემუშავება ცდება ნაშრომის მიზნებს, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მის საყრდენ პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს: •

სასამართლოს შესაძლებლობის გაზრდა შემოსულ საქმეებთან გამკლავების თვალსაზრისით; • სასამართლოს მომხმარებელზე ორიენტირებული და მოქნილი მომსახურების შეთავაზება; • დავების ადრეული გადაწყვეტის წახალისება; • დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლება. პროცესის ეფექტური ადმინისტრირების შემდეგი გამოწვევა სასამართლო მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა. პრობლემის გადაწყვეტას, ხელს შეუწყობდა საქართველოს განათლების სამინისტოროსა და სამართლის სკოლების ერთობლივი ძალისხმევა მედიაციის საგნის სავალდებულო სასწავლო დისციპლინად გამოცხადების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლო მედიაციის დამკვიდრება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამ ინსტიტუტის ეფექტურად ამოქმედებისათვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, მით უფრო, საწყის ეტაპზე. ზემოაღნიშნული მოდელით მედიაციის ინსტიტუტის ამოქმედება, მაღალი ალბათობით, შეძლებს, ერთი მხრივ, საქართველოში უთანხმოებათა მორიგებით დამთავრების კულტურის ფორმირებასა და სასამართლოში განხილულ საქმეებსა და მედიაციით გადაწყვეტილ დავებს შორის დაბალანსებული თანაფარდობის მიღწევას. მეორე მხრივ, მართლმსაჯულების განტვირთვას, დავების სწრაფ, მშვიდობიან და არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებით გადაწყვეტას.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულ ენაზე:

გიორგაძე ი., გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, მეცნირება, თბილისი, 1987.

დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004.

კეკელია მ., რედ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 3, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1991.

ცერცვაძე გ., მედიაცია, მერიდიანი, თბილისი, 2010

წულუკიანი , ა., სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, ჟურნალი: სახელმწიფო და სამართალი, #9, 1990.

უცხო ენაზე:

Abramson I.H, Mediation Representation, Second Ed.,Oxford University Press, New York, 2011.

Bevan A., Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992.

Blackshaw I.S., TMC Asser Instituut, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009.

Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, Alphen aad den Rijn, 2006.

Espilugus C., Iglesias J.L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013.

Filler A.E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012.

Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolutin: Negotation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012.

Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., ADR in Business: Practise and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011.

Hodge C., Vogenauer S., Tulibacka M., The Costs and Funding of Civil Litigation, Hart Publishing, Oregon, Oxford and Portland, 2010.

Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.

Ingen-Housz A., ADR in Business: Practise and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011.

Kimberlee K. K., Mediation in a Nut Shell, 2nd Ed., West – A Thomson Reuters Business, St. Paul, 2003.

Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study Of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 14, 2013.

McEwen A. C., Maiman J. R., Mediation in Small Claims Court: Achieving Compliance Through Consent, Law & Society Reviw, Vol. 18 No. 1, 1984.

Moore W. C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, Third Edition, Jossey- Bass, San Francusco, 2003.

Roberts M. M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014.

Rozdeiczer L., de la Campa A. A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA, Washington DC, 2006.

ინტერნეტ წყაროები:

http://hcoj.gov.ge/ge/search?q=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90&submit.x=0&submit.y=0

http://www.parliament.ge/ge/search/index/?s=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90

https://matsne.gov.ge/ka/document/search?query=მედიაცია&geo=on&query_target=title&type=main&group=&issuer=&number=&signing_date_from%5Bdate%5D=&signin

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anuki Abramishvili

Comparative analysis of mediation systems between the USA and Europe, perspective of mediation development in Georgia

Master program in Conflict Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Mater's Degree in Conflict Analysis and Management

Head: Revaz Jorbenadze, Associate profesor of faculty of Social and Political Sciences

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ქარელი

მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოში მასობრივი განადგურების იარაღის, კონკრეტულად კი ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხეზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი. დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსსა და ბიოტერორიზმის საფრთხის აღქმის შემდგომ რეაგირებას შორის. კვლევისთვის არჩეულია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი წარმმართველი ინდიკატორები. აღნიშნული საკითხი საინტერესოა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, საქართველოს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი განხილულია, როგორც კონტრაბანდის გავრცელების საფრთხე. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის საგარეო ორიენტირს და მის სწრაფვას შექმნას თანამშრომლობითი კავშირები.

აქედან გამომდინარეობს ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა: რა ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას სახელმწიფოში ბიოტერორიზმის საფრთხის ეფექტურ რეაგირებაზე? თამაშობს თუ არა პოზიტიურ როლს რეგიონში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალისა და ფუნქციის ფაქტორი სხვადასხვა ფორმის კონტრაბანდის განვითარებაში. რა კავშირია პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას შორის? კითხვაზე პასუხად ნაშრომში განვითარებულია სამუშაო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ბიოტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე იქმნება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის შექმნით.

კვლევისთვის გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი და დედუქციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზის კვლევის და თეორიული ანალიზის შედეგად დადასტურებას.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე საკვლევი ცვლადების ანალიზისთვის გამოყენებულია თანამშრომლობითი კავშირების შექმნის მატრიცა, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ აღებულია რიჩარდ კოენის მოდელი.

Annotation

The following research aims to explore the effective mechanism of the response to the threat of mass destruction weapons in Georgia, specifically the threat of the biological weapons. Determine the causal links between the foreign policy course of Georgia and the reaction after the perception the threat of bioterrorism. For the research period, there is chosen the main directions of Georgia's foreign policy after getting independent. This issue is interesting because of the geopolitical location of Georgia. In the National Security Concept, the status of transit country of Georgia is considered as a threat to the spread of smuggling. Consequently, it is important to conduct country's foreign orientation and its desire for collaborative connections.

Thus, the research question can be formulated in the following way: What factor/factors influence effective mechanism of the threat reducing in the field of bioterrorism ? Do country's transit potential and function play a positive role in the development of various forms of smuggling.

Based on deductive approach the thesis tests whether the establishment of common values cooperation effect on the mechanism for combating bioterrorism on both state and international level.

To measure success of the given cases the matrix of creation cooperative unions is used. And, as for the theoretical framework, Richard Cohen Theory Model is selected to explain the connection between dependent and independent variables in the research.

Keywords: Bioterrorism, Smuggling, Foreign Policy, Collective Defense, Cooperation

სარჩევი

აბრევიატურები გვ.4

შესავალი გვ.5

ლიტერატურის მიმოხილვა გვ.11

ბიოტერორიზმი გვ.11

გლობალიზაცია გვ.15

გეოპოლიტიკური ასპექტები გვ.17

კონტრაბანდის საფრთხე.....გვ.18

კოლექტიური თავდაცვის პრინციპი გვ.21

რიჩარდ კოენის მოდელი.....გვ.21

ცვლადები გვ.27

საქართველოს საგარეო პოლიტიკა გვ.27

პანკისის კრიზისი და ბიოლოგიური იარაღის საფრთხე.....გვ.31

საქართველოს თანამშრომლობითი კავშირები.....გვ.34

რიჩარდ ლუგარის სახელობის ეროვნული ცენტრი გვ.38

კონვენციის დარღვევის ფაქტი, კენ ალიბეკოვის აღსარება.....გვ.38

დასკვნა გვ.40

ბიბლიოგრაფია გვ.42

აბრევიატურები

ABC + R W– Atomic , Biological, Chemical, Radiological ატომური, ბიოლოგიური, ქიმიური + რადიოლოგიური იარაღი

WMD - Weapon of mass destruction მასობრივი განადგურების იარაღი

DTRA - აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო

EXBS - ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამა

CODEXTER - ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი

CSDP - ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

BSEC - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

CBEP - ერთობლივი ბიოოლოგიური თანამშრომლობის პროგრამა

WMD PPP - მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების პროგრამა

ICP - საერთაშორისო გაუვრცელებლობის პროგრამა

CBRN CMAP - ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამა

ნატო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO –The North Atlantic Treaty Organization)

შესავალი

საკვლევი საგანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს საქართველოში ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხე და გამოავლინოს მისი განმაპირობებელი ფაქტორები. დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსსა და საფრთხის აღქმის შემდგომ რეაგირებას შორის. აჩვენოს დინამიკა სხვადასხვა დროის სივრცეში, სხვადასხვა პოლიტიკური კურსის შედაგად როგორი იყო მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და გამოავლინოს პოლიტიკური კურსის ეფექტურობა. კონკრეტულად კი, ნაშრომში განხილულია საქართველოს მისწრაფება შექმნას თანამშრომლობითი კავშირები, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან - დღემდე, დროის მონაკვეთში.

კვლევის ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის მისი ჰიპოთეზის განზოგადებადობა, ვინაიდან მსგავსი პოლიტიკური სიტუაციის მქონე ქვეყნებისთვის ეს იქნება პრობლემის აქტუალობის წარმოჩენა და ამ პრობლემასთან ბრძოლის მექანიზმების ჩვენება, ხოლო მეორე მხრივ ის გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ალტერნატივების ეფექტურობის შესახებ.

სწორედ ამიტომ ნაშრომი იკვლევს იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ დონეზე, მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო დონეზე საყოველტაო მშვიდობის დამყარებაში საქართველოს სრულფასოვან თანამონაწილეობაზე.

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის უწყვეტ პროცესში ტერორიზმის განვითარების ასპექტები. ასევე, ყურადღება ეთმობა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხის შეფასებას. ამ კუთხით, გამოყოფილია საქართველოს სახელმწიფოს მიერ

არაკონტროლირებადი ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორი კონტრაბანდის ე.წ. „სმაგლინგის“ განხორციელებაში.

საკითხი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ბიოტერორიზმის დროს, ერი ან ჯგუფის წევრები, რომლებიც ქმნიან მასობრივ საფრთხეს, აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ ის წესები/ნორმები, რომლითაც ისინი ურთიერთობენ სხვა ერის ან ჯგუფის წევრებთან. ბიოლოგიური იარაღი საშუალებას აძლევს მის მფლობელს შექმნას პოტენციურად განადგურების საშიშროება. ამასთანავე ბირთვული, ქიმიური ან ჩვეულებრივი იარაღისაგან განსხვავებით, ის არ საჭიროებს განსაკუთრებულ შენახვის პირობებსა თუ შენახვის ხარჯებს. საქართველოს სამხრეთში განლაგებული ქვეყნები ან მიისწრაფიან ამ იარაღის წარმოებისაკენ, ან მათ ტერიტორიებზე უკონტროლოდ ფუნქციონირებენ სხვადასხვა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ ტერორისტულ აქტებში ამ იარაღის გამოყენება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია პანკისის ხეობის კრიზისის განხილვაც, სადაც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ქვეყნდებოდა ინფორმაცია, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ბიოლოგიური იარაღის წარმოებასთან დაკავშირებით.

ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ადამიანი. ამიტომ, ტერორიზმის ეს ფორმა შეიძლება უპირატესი აღმოჩნდეს საერთაშორისო, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე სტრატეგიული მოთამაშეებისათვის და მათ ბრძოლის ველზე თავდასხმის იარაღად სწორედ ბიოლოგიური აგენტები გამოიყენონ.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

ნაშრომის საკვლევი კითხვა შესაძლოა ასე ჩამოვაყალიბოთ: რა ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას სახელმწიფოში ბიოტერორიზმის საფრთხის ეფექტურ რეაგირებაზე? თამაშობს თუ არა პოზიტიურ როლს რეგიონში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალისა და ფუნქციის ფაქტორი სხვადასხვა ფორმის

კონტრაბანდის განვითარებაში. რა კავშირია პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას შორის?

სამუშაო ჰიპოთეზა კი შემდეგნაირია - ბიოტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე იქმნება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის შექმნით. თანამშრომლობის წარმატებას კი განაპირობებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო სწორად ხდება ეროვნული ინტერესების გატარება საერთაშორისო დონეზე, მით უფრო ნაკლებია საფრთხე ტერორიზმისგან; ანუ მხოლოდ თანამშრომლობაზე დაფუძნებული კავშირები არის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი.

რაც შეეხება საკვლევ ცვლადებს, დამოკიდებული ცვლადია - საქართველოში ბიოლოგიური აგენტების წარმოებისა და უკანონო მიმოსვლის საფრთხე;

დამოუკიდებელი ცვლადებია - საგარეო პოლიტიკური კურსის ორიენტირი; ქვეყნის სწრაფვა შექმნას თანამშრომლობითი კავშირები;

მეთოდოლოგია

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი. დედუქციური ანალიზის მეშვეობით, რაც გულისხმობს თეორიის საფუძველზე წინასწარი ჰიპოთეზის შემუშავებას და ანალიზის და კვლევის შედეგად ჰიპოთეზის დადასტურებას ან უარყოფას. კვლევის ძირითადი მეთოდია შემთხვევის შესწავლა, თუმცა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაციისა და გაზომვის მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა: კონტენტ-ანალიზი, ისტორიული ანალიზი. ასევე, მოხდება დარგში მომუშავე ექსპერტებთან, სიღრმისეული ინტერვიუს ჩაწერა - კითხვები ეროვნული უსაფრთხოების ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

პირველ რიგში მოხდება შესაბამისი ლიტერატურის: წიგნების, სტატიების, პუბლიკაციების გაანალიზება, ყურადღება დაეთმობა ტერორიზმის საფრთხის სხვადასხვა ინდიკატორების ანალიზს. საბოლოოდ კი ქეისების შედარების საფუძველზე მოხდება დასკვნის გამოტანა და ჰიპოთეზის ტესტირება თეორიულ ჭრილში.

კვლევაში გამოყენებული იქნება რიჩარდ კოენის თეორია, რომელიც გვთავაზობს ერთგვარ მოდელს ეფექტური თანამშრომლობითი კავშირის შექმნის გზით, სტაბილურობის შენარჩუნებას.

ამ მოდელზე დაყრდნობით, განისაზღვრება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეფექტურობა და ნაჩვენები იქნება ბიოლოგიური საფრთხის შემცირების დინამიკა.

თეორია

საკვლევი ჰიპოთეზიდან გამომდინარე ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია რიჩარდ კოენის თეორიული მოსაზრება ინდივიდუალური უსაფრთხოებიდან საერთაშორისო სტაბილურობამდე შესახებ. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება. მისი თეორიის მიხედვით, გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას - კოლექტიური უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა - ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობის შენარჩუნებას. მსგავსი კავშირები კი საერთო საფრთხის აღქმით, იდენტური ფასეულობებითა და კავშირისთვის ინსტიტუციონალური ფორმის მიცემას ითვალისწინებს. თუ ეს პირობები შესრულებულია, მაშინ სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ შექმნან ძლიერი მექანიზმი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რიჩარდ კოენის თეორიასთან ერთად, ნაშრომში ასევე განხილულია სხვადასხვა ავტორების მოსაზრებები ბიოტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ შემუშავებულ

პროცესში - ჩართული აქტორების, მათი სტრატეგიების, მოტივების და პროცესზე გავლენის შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვა

ბიოტერორიზმი

ბიოტერორიზმი - ეს არის მიზანმიმართულად ისეთი ბიოლოგიური ტოქსინების ან ინფექციური აგენტების გამოყენება, როგორიცაა ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები, რომელებმაც უნდა გამოიწვიოს ადამიანთა, ცხოველთა თუ მცენარეთა განადგურება ან მათი ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

მასობრივი განადგურების იარაღი - განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისაგან როგორც შეუდარებლად მეტი გამანადგურებელი ძალით, ისე იმ ზიანის მასშტაბით, რაც მათი გამოყენების თანამდევ და შემდგომ მოვლენებს მოაქვს. მსოფლიოში დღეს არსებული მ.გ.ი-ის საერთო სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლის სრული მოსპობისათვის იქნებოდა საკმარისი. ამიტომ ცივი ომის პერიოდში დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მ.გ.ი-ის წარმოების შეზღუდვა და განიარაღება იყო. ამჟამად განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მ.გ.ი-ის შექმნა ე.წ. პარია (არამზადა) სახელმწიფოების (იხ. ურჩი სახელმწიფო) მიერ. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რომ ეს იარაღი ავტორიტარული და უპასუხისმგებლო რეჟიმების ხელში არ აღმოჩნდეს. (ზ.დავითაშვილი, 2003)

კონფლიქტის დროს ბიოლოგიური სახფრთის შემცველი აგენტების გამოყენება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ იარაღად ითვლება. ამ ტიპის იარაღი განსხვავდება ქიმიური, ბირთვული და რადიოლოგიური იარაღისგან, რომელიც ბიოლოგიურთან ერთად, მასობრივი განადგურების იარაღის „ქბრბ-ს“ სამხედრო აკრონიმს ქმნის. არცერთი მათგანი არ არის ჩვეულებრივი იარაღი, რაც

არსებითად გამოწვეულია მათი ასაფეთქებელი, კინეტიკური ან ცეცხლგამძლე პოტენციალით.

ბიოლოგიური იარაღის დანიშნულება განსხვავდება მისი ფორმითა და მიზნებით. როგორც წესი, დაპირისპირებული მხარის მიზანია, მოიპოვოს სტრატეგიული ან ტაქტიკური უპირატესობა, ამასთანავე დანერგოს საზოგადოებაში შიში და პანიკა მუქარის მექანიზმის გამოყენებით. ზოგიერთი ქიმიური იარაღის მსგავსად, ბიოლოგიური იარაღის გამოყენებამ, შეიძლება აიძულოს სამიზნე ჯგუფს ტერიტორიის დატოვებაც. არსებობს ბიოლოგიური აგენტების როგორც ლეტალური (მომაკვდინებელი), ისე არალეტალური ფორმა, რომელიც გამოიყენება ერთი კონკრეტული პირის, ხალხის ჯგუფის ან მთლიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. (J. Larsen, 1996, გვ. 204)

ბიოტერორიზმის ფორმები:

ბიოტერორიზმი, რომელიც მიმართულია ადამიანის წინააღმდეგ

ეს არის ბიოტერორიზმის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც სხვადასხვა ბიოლოგიური აგენტების გამოყენებით ხდება ადამიანების დასნებოვნება. ამგვარი იარაღის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას ახასიათებს მაღალი ინფექციურობა (პათოგენის უნარი, გამოიწვიოს ინფექცია, ამით ხდება განსაზღვრა, თუ რამდენად ხშირად ვრცელდება ის მასპინძელ ორგანიზმებს შორის), მაღალი ვირულენტობა (დაავადების გამოწვევის უნარი) და ამასთანავე, შესაძლებელია არ არსებობდეს დასნებოვნების შემაფერხებელი ვაქცინები. ბიოლოგიური იარაღების წარმოება არ წარმოადგენს იმდენად დიდ პრობლემას, რამდენადაც რთულია მათი შენახვისა და ეფექტურად გავრცელების საშუალებების გამონახვა. შესაძლებელია ბიოლოგიურმა აგენტმა დიდი ხნით შენახვის პირობებში ვერ შეინარჩუნოს ინფექციურობა და ვირულენტობა. ასევე, შესაძლებელია ვერ მოხდეს მისი გავრცელების კონტროლი.

მაგ. ჯილეხის, იგივე ციმბირის წყლულის გამომწვევი ბაქტერია რამდენიმე მიზეზის გამო ერთ - ერთ ეფექტურ აგენტად ითვლება. პირველი, ის წარმოქმნის სპორებს, რაც მნიშნელოვანია მისი აეროზოლებად გავრცელებისთვის და მეორე, მისი საინკუბაციო პერიოდი (ადამიანის დასნებოვნებიდან დაავადების პირველი კლინიკური ნიშნების გამოჩენამდე დროის მონაკვეთი) ხანმოკლეა და 90 %-ზე მეტ შემთხვევებში, ჯილეხის სპორების ინჰალაცია მთავრდება სიკვდილით, თუ მისი დროული მკურნალობა არ მოხდა; ამავე დროს, მის გამავრცელებს შეუძლია საკუთარი თავი დაიცვას შესაბამისი ანტიბიოტიკების გამოყენებით. (M.Hassani,2004, გვ.1-15)

ბიოტერორიზმი, რომელიც მიმართულია სოფლის-მეურნეობის (მოსავლის, მცენარეებისა და აკვა-კულტურის) წინააღმდეგ

ეს არის ბიოტერორიზმის ისეთი ფორმა, როდესაც მტრის სოფლის-მეურნეობის განადგურების მიზნით, გამოიყენება დაავადებები (მაგ., ბიოჰერბიციდები, ან მიკოჰერბიდები), რომლებიც იწვევს მცენარეთა დასნებოვნებას. მსგავსი ბიოლოგიური იარაღის სამიზნე შეიძლება აღმოჩნდეს აკვა-კულტურა და წყალქვეშა მცენარეებიც. მცენარეთა მავნე ორგანიზმების გაფრქვევა სამიზნე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რაიონებში ხდება გამფრქვევი ტანკებისა და კასეტური ბომბების საშუალებით, რაც შემდგომში იწვევს მცენარეთა ეპიდემიების ინიცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჰერბიციდი სარეველა მცენარის საწინააღმდეგო ქიმიკატია, ის ხშირად მოიაზრება, როგორც ბიოლოგიური და ქიმიური ომის იარაღი. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჰერბიციდს შესაძლებელია გააჩნდეს მსგავსი მოქმედების ეფექტი, როგორიც აქვს ბიოტოქსინებს.(ბიოტოქსინები არის ნივთიერებები, რომლებიც ტოქსიკურია და ამასთანავე, აქვს ბიოლოგიური წარმოშობა. ბიოტოქსინი სხვადასხვა ფორმით მიიღება. არსებობს მიკოტოქსინები (დამზადებული სოკოებისგან), ზოოტოქსინები (დამზადებული ცხოველებისგან) და ფიტოტოქსინები (დამზადებული

მცენარეებისგან). იმის გამო, რომ აღნიშნული ბიოტოქსინების მიღება მარტივ ფორმულას წარმოადგენს და არ სჭირდება განსაკუთრებული მექანიზმები, კიდევ უფრო მწვავე გამოწვევად რჩება ბიოდაცვის სფეროში.

ბიოტერორიზმი, რომლის დროსაც გამოიყენება მწერები

ეს არის ბიოტერორიზმის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც მტერზე თავდასხმის მიზნით გამოიყენება მწერები. ამ დროს ხდება მწერების, როგორც პირდაპირი შეტევის იარაღად გამოყენება (მაგალითად ფუტკარი, კალია და ა.შ.), ან სხვადასხვა პათოგენებით დასნებოვნებული მწერების გავრცელება სამიზნე ტერიტორიაზე, რომლის დროსაც მათ სხვადასხვა დაავადების გამავრცელებლის ფუნქცია ეკისრებათ.

როგორც ვხედავთ, ბიოლოგიური იარაღის საშიშროებას პირველ რიგში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სხვა დანარჩენი მასობრივი განადგურების იარაღისაგან განსხვავებით, ამ იარაღის მფლობელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. ის შეიძლება წარმოიქმნას, შემუშავდეს, ან მოხდეს მისი მარაგის შეძენა, როგორც სახელმწიფოების, ისე არასახელმწიფო აქტორების მიერ. შესაბამისად, ორივე დონეზე (სახელმწიფოების მხიდან ფარულად და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მიზანმიმართული ტერორი) ბიოლოგიური იარაღის გამოყენება ცალსახად კლასიფიცირდება ბიოტერორიზმად.

ბიოტერორიზმის დროს, ერი ან ჯგუფის წევრები, რომლებიც ქმნიან მასობრივ საფრთხეს, აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ ის წესები/ნორმები, რომლითაც ისინი ურთიერთობენ სხვა ერის ან ჯგუფის წევრებთან. ბიოლოგიური იარაღი საშუალებას აძლევს მის მფლობელს შექმნას პოტენციურად განადგურების საშიშროება. ამასთანავე ბირთვული, ქიმიური ან ჩვეულებრივი იარაღისაგან განსხვავებით, ის არ საჭიროებს განსაკუთრებულ შენახვის პირობებსა თუ შენახვის ხარჯებს. ამიტომ, ტერორიზმის ეს ფორმა შეიძლება უპირატესი აღმოჩნდეს საერთაშორისო,თუ სახელმწიფოებრივ

დონეზე სტრატეგიული მოთამაშეებისათვის და მათ ბრძოლის ველზე თავდასხმის იარაღად სწორედ ბიოლოგიური აგენტები გამოიყენონ.

ბიოლოგიური იარაღის გამოყენება აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შეიარაღებულ კონფლიქტში ბიოლოგიური აგენტების გამოყენება არის ომის დანაშაული.

ბიოლოგიური იარაღების წარმოებას, მარაგის შექმნას ან თავდასხმითი მიზნით გამოყენებას კრძალავს 1972 წელს მიღებული კონვენცია. 2016 წლის მონაცემებით, აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 178-მა ქვეყანამ, 6-მა კი - განაცხადა თანხმობა; ამ კონვენციის მიზანია მოხდეს ბიოლოგიური იარაღებით შეტევების პრევენცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი რაოდენობით ადამიანების სიკვდილი და ამასთან ერთად, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, მათ შორის ისინი, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიკაცია, კვლავ ატარებენ კვლევებს ბიოლოგიური ომისგან თავდაცვის კუთხით, რაც არაა აკრძალული კონვენციის მიხედვით.

მიუხედავად არაერთი სამართლებრივი ფორმისა, რომელიც კრძალავს ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას, დღესდღეისობით კვლავაც არსებობს საფრთხე, რომ აღნიშნული აგენტები ფარულად იწარმოება რიგ სახელმწიფოებში, ან მის მარაგებს ფლობენ კრიმინალური და ტერორისტული ორგანიზაციები. შესაბამისად, ბიოტერორიზმის საფრთხე კვლავაც რჩება , ის კვლავაც მნიშვნელოვან შეშფოთებას იწვევს პრაქტიკულად ყველა ერის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობაში.

გლობალიზაცია

ბიოტერორიზმის განხილვის დროს მკვლევარები ხშირად უსვამენ ხაზს გლობალიზაციის ფაქტორს. დღეს-დღეისობით ტერორიზმის საფრთხე საყოველთაო მშვიდობის დამყარებაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად არის აღიარებული მთლიანად მსოფლიოში. ასიმეტრიული საფრთხე, რომელიც გაჩნდა არა ქვეყნებს შორის

დაპირისპირებებით, არამედ ტერორისტული ორგანიზაციებისგან, მსოფლიოში საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით, სულ უფრო მეტად საყურადღებო გახდა. გლობალიზაციის ეპოქაში, საზღვრების მოხსნის პროცესების პარალელურად ტერორიზმმაც გლობალური მასშტაბი შეიძინა. 2001 წლის 11 სექტემბერს , ნიუ იურკსა და ვაშინგტონზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, აღნიშნულმა პრობლემამ კიდევ უფრო წინ წამოიწია. მას შემდეგ, რაც „ალ-ქაიდას“ ლიდერებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მათი ორგანიზაცია აქტიურად ატარებდა ცდებს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებასთან მიმართებაში, ტერორიზმის ამ ფორმამ უფრო მეტად დააფიქრა არა მხოლოდ ამერიკა, არამედ მთლიანად მსოფლიო. 2002 წლის მარტში, ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა სიტყვით გამოსვლაში აღნიშნა, რომ “ყველა ერმა სერიოზულად უნდა განიხილოს ტერორის მზარდი საფრთხე და მისი კატასტროფული მასშტაბები - ტერორი, რომელიც შეიარაღებულია ბიოლოგიური, ქიმიური ან ბირთვული იარაღით".

„გლობალიზაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც მსოფლიო მასშტაბის იმ სოციალურ ურთიერთობათა გაძლიერება, რომლებიც დაშორებულ ადგილებს იმგვარად აკავშირებს ერთმანეთთან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის პროცესები მრავალი მილის დაშორებით მიმდინარე მოვლენების გავლენას განიცდის და პირიქით“. ენტონი გიდენსი (Anthony Giddens, 1990).

გლობალურმა ტერორმა შეცვალა პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს ემთხვეოდა. ტერორისგან გამოწვეულმა საფრთხემ შეაღწია თითოეული ერი-სახელმწიფოს საზღვრებში. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციის ეპოქაში სირთულეს აღარ წარმოადგენს პროდუქციისა და ინვესტიციების თავისუფალი გადაადგილება, იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ მათ შორის, გამარტივდა კონტრაბანდის მონაცვლეობა საზღვრებს შორის.

საზღვრების გახსნასთან ერთად, გაიზარდა ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური დამოუკიდებლობა. ახალი მიმდევრების მოზიდვა არ არის კონცენტრირებული კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში, არამედ მოიცავს მთელს

მსოფლიოს. კონკრეტულად შეინიშნება ალ-ქაიდას მიმდევრების მსოფლიოს ყველა რეგიონში (ძირითადად, ჩრდილოეთ აფრიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) მზარდი გავრცელება. შესაბამისად, ტერორიზმის გლობალიზაციამ და ქსელურმა კავშირებმა ტერორისტული ორგანიზაციები უფრო მოქნილი გახადა. ორგანიზაციული სტურქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებამ შედარებით რთული გახადა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

რთულია განსაზღვრა იმისა, თუ რა დონეზე ახდენს გლობალიზაცია გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რადგან სხვადასხვა რეგიონზე განსხვავებულად ზემოქმედებს გლობალიზაციის თანმდევი პროცესები.

გეოპოლიტიკური ასპექტები

ტერორიზმის წინააღმდეგ სტრატეგიული მექანიზმის შექმნაში და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე გავლენის მოხდენის სფეროში, გლობალიზაციის ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს გეოპოლიტიკური არიალების განხილვაც.

საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და ის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის ფლობით, საქართველოს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული ტერიტორია ესაზღვრება კასპიის რეგიონს, ცენტრალურ აზიის ქვეყნებსა და ირანს. საქართველოს უშუალო მოსაზღვრე ქვეყნებია რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოები, რომლებიც მოცემულ არეალში გეოპოლიტიკის სტრატეგიის მთავარი მაფორმებელი სუბიექტები არიან. შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტების გამო 1990-1993 წლებში, მისი ორი სეპარატისტული რეგიონი - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (ან ცხინვალის რეგიონი) - საქართველოს მთავრობის იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფება. შესაბამისად, ამ

ტერიტორიაზე საზღვრები უკონტროლო და გამჭვირვალეა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები კი თავის მხრივ, რუსეთის მოსაზღვრეა.

გეოპოლიტიკურ კონტექსტში, მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზღვასთან სიახლოვე, რითაც ის უკავშირდება შავი ზღვის აუზის ქვეყნებს. კერძოდ კი - თურქეთს, უკრაინას, ბულგარეთსა და რუმინეთს.

ამ ორი უკანასკნელი ქვეყნის ევროკავშირში შესვლით საქართველო უშუალოდ დაუმეზობლდა ევროპას. გეოგრაფიულმა სიახლოვემ თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებთან ერთად ევროპაში იმის სურვილიც წარმოშვა, რომ საქართველო ინსტიტუციონალურად გაძლიერდეს და არ იქცეს აღმოსავლეთიდან ევროპისკენ მიმართული საფრთხეების სატრანზიტო დერეფნად. პირველ რიგში ეს ორგანიზებული დამნაშავეობის გავრცელებას, მასობრივი განადგურების იარაღის აგენტების ტრანზიტსა და არალეგალურ მიგრაციას ეხება. (არჩილ გეგეშიძე, 2007)

კონტრაბანდის საფრთხე

ბიოტერორიზმის საკითხის განხილვისას, ბიოლოგიური აგენტების უშუალო გამოყენებასთან ერთად, ყურადსაღებია თავად ბიოლოგიური აგენტების უკონტროლო მიმოსვლა სახელმწიფო ტერიტორიის საზღვრებში და მის გარეთ.

კონტრაბანდის გზები საქართველოში და საქართველოდან

კონტრაბანდული საქონლი ქვეყნის შიგნით და გარეთ მრავალი გზით შემოდინება/გაედინება. მათ შორის შედის ქვეყნაში არსებული უკონტროლო კონფლიქტის ზონები. გარდა ამისა, ცენტრალური საავტომობილო გზებიდან თავის არიდების მიზნით, სადაც ფუნქციონირებს საბაჟო და გამშვები კონტროლის პუნქტები, კონტრაბანდისტები ამ მარშრუტების გარშემო. ალტერნატიულ საშუალებებს იყენებენ. ძირითადი კონტრაბანდის ნაკადებია:

1. ერგნეთი (უკონტროლო ტერიტორია ცხინვალის რეგიონში, რომელიც რუსეთს ესაზღვრება);

2. წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი);

3. აფხაზეთი (სეპარატისტული რესპუბლიკა, რომელიც ესაზღვრება რუსეთს, ზღვის მხრიდან გასასვლელი);

4. აჭარა (ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ესაზღვრება თურქეთს, ზღვის მხრიდან გასასვლელი);

5. ფოთი (შავი ზღვის პორტი);

6. ახალციხე (თურქეთის საზღვარი);

7. ყაზბეგი (რუსეთთან საზღვარი);

8. ლაგოდეხი (აზერბაიჯანის საზღვარი);

9. ჯანდარა (აზერბაიჯანის საზღვარი);

10. ნინოწმინდა (სომხეთთან საზღვარი).

აშკარაა, რომ კონტრაბანდული მარშრუტები და მიმართულებები საკმაოდ მრავალფეროვანია. სხვადასხვა სახის საქონლი შემოედინება და გაედინება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებით: მცირე კონტეინერები და მოცულობითი ყუთები, რომლებიც განთავსებულია მსუბუქ ავტომობილებზე, ავტობუსებზე, სატვირთო მანქანებზე და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიებიდან ყველაზე მეტ საფრთხეს საქართველოს მიერ არაკონტროლირებადი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი წარმოადგენს. ვინაიდან, როგორც ბევრ სხვა კონფლიქტში, კრიმინალური სამყარო ყოველთვის ავსებს ვაკუუმს ოფიციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, მოქნილად და სწრაფად შექმნან ქსელები, შესაძლებლობა ექმნებათ გააკონტროლონ კონტრაბანდისტული ოპერაციები აღნიშნულ ტერიტორიებში.

სხვადასხვა მკვლევარების აზრით, კრიმინალური დაჯგუფებების ინტერესის სფერო ყველა სხვა კონტრაბანდისტული ნაირსახეობისგან (იარაღი, ნარკოტიკები, წარმოებული პროდუქტები, ტრეფიკინგი) ყველაზე მეტად მიმართულია მასობრივი

განადგურების იარაღის რეაქტივების მოპოვებისკენ, რაც გამოწვეული ასეთი იარაღის ფუნქციური და მატერიალური სარგებელისგან.

მასობრივი განადგურების იარაღის მასალები (პოტენციური საფრთხე)

ითვლებოდა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს , რომელიც ესაზღვრებოდა ნატო-ს წევრ ქვეყანას - თურქეთს , გააჩნდა მძიმე შეიარაღება. მათ შორის სტრატეგიული და ტაქტიკური ბირთვული იარაღის მარაგები, რომელიც განთავსებული იყო მის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რის შედეგადაც მოხდა ქვეყნიდან მსგავსი იარაღების გატანა, საქართველოს ტერიტორიაზე სულ მალე, კვლავ აღმოაჩინეს რუსული ჯარის მიერ მიტოვებული რადიოაქტიური მასალების, მათ შორის ძლიერი და სუსტი რადიაციული წყაროები. (Kolbin, G. 2002). (Stier, K. 2002).

ამის შედეგად, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის რეაქტივების მარაგები ხელში ჩაიგდონ პოტენციურმა ტერორისტებმა, რაც თავის მხრივ, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

როგორც, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიშშია აღნიშნული, „ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში აღკვეთილია რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის 2 ფაქტი. ქ. თბილისში ამოღებულია ქარხნული წესით დამზადებული სპეციალური კონტეინერი, რომელშიც მოთავსებული იყო „ურან 238“ (გაღარიბებული ურანი), დაკავებულია 6 პირი. ქ. ქობულეთში ამოღებულია 1665,5 გრ. რადიოაქტიური ნივთიერება (81 ცალი ცილინდრული ფორმის საგანი), რომელიც შეიცავდა „ურან 235“-ს და „ურან 238“-ს, დაკავებულია 6 პირი.“

აქედან ჩანს, რომ რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო მიმოსვლა კვლავაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ფოკუსირება მოვახდინეთ ბიოლოგიური იარაღის გავრცელების თავისებურებებზე, მოცემული კონკრეტული

მაგალითი გარკვეულწილად პასუხს სცემს აღნიშნული თემის საკვლევ კითხვას, ვინაიდან იძლევა განზოგადების საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ თავისი რთული ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა რადიოაქტიური ნივთიერების მიმოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბიოლოგიური იარაღის შემთხვევაში უფრო მარტივი იქნება ამ აგენტების უკანონო ტრანზაქცია.

კოლექტიური თავდაცვის პრინციპი

რიჩარდ კოენის მოდელი

კონტრაბანდისა და ზოგადად, ეროვნული საფრთხის საპასუხოდ შექმნილი მექანიზმი, გლობალიზაციის ეპოქამ, საერთაშორისო მასშტაბის გახადა. უსაფრთხოების საკითხის განხილვისას, მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ გლობალური მასშტაბის პრობლემების წინაშე ბრძოლის ეფექტურმა მექანიზმმა ინდივიდუალურიდან კოლექტიური ხასიათი შეიძინა. მხოლოდ საერთაშორისო აქტორების ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების სისტემის შენარჩუნება. საერთო საფრთხეებთან საბრძოლველად, იქმნება ერთიანი სტრატეგია, რომლის საფუძველზე ქვეყნები თანხმდებიან გაერთიანდნენ აგრესორისგან თავდაცვის მიზნით და გაზარდონ რისკების, საფრთხეების, გამოწვევებისა და საშიშროებებისგან თავდაცვისუნარიანობა.

საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე გაჩენილმა პრობლემებმა საფრთხის ახლებურად გააზრება მოითხოვა. რამაც შექმნა იმის საჭიროება, რომ ტერორიზმის საფრთხის მასშტაბების გასაზომად, მსოფლიოში ამ საკითხთან მიმართებით, უკეთესი კომუნიკაციის მექანიზმი უნდა შექმნილიყო. წარმატებული ანტიტერორისტული სტრატეგია მოითხოვს თანამშრომლობას სააგენტოებს (სახელმწიფოები, კომერციული მრეწველობები, სამეცნიერო საზოგადოება და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოება) შორის, რომლებიც აყალიბებენ პლატფორმას ინფორმაციების გასაზიარებლად. ამ სფეროში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ამჟამად, იმდენად დიდია, რომ ახალი ინფორმაციის გაზიარების პარადიგმა საჭიროა სხვადასხვა საზოგადოებაში სათანადოდ იყოს გააზრებული. ნებისმიერი სამეცნიერო, ტექნიკური თუ სოციალური პროცესის

ძირითადი დაბრკოლება არაეფექტური ან არარსრული ინფორმაციის ფლობაა. სტრატეგიული დამხმარეების ჩათვლით, როგორიცაა ტრანსსასაზღვრო ინფორმაციის გაზიარება, საერთაშორისო ურთიერთობისა და პარტნიორული საქმიანობა, საჯარო დიპლომატია და სტრატეგიული კომუნიკაცია, არის ძლიერი ნაბიჯი ახალი ერის ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის ნდობის ატმოსფეროში. (Trufanov, A., Rossodivita, A., Guidotti, M., 2010)

კოლექტიური თავდაცვა ინფორმაციებისა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, წარმოადგენს სპეციალურ ღონისძიებას, რომელსაც ენიჭება ფორმალიზირებული იერსახე ხელშეკრულების და ორგანიზაციის სახით. ამის საფუძველზე, მონაწილე ქვეყნები თავდაცვის დახმარებას აღუთქვამენ ერთმანეთს, თუკი რომელიმეზე განხორციელდება თავდასხმა სხვა ქვეყნის მხრიდან, რომელიც არ არის ამ ორგანიზაციის წევრი.

არსებობს კოლექტიური თავდაცვის განსხვავებული განმარტებები, თუმცა მათი მთავარი აზრი მაინც ერთია, და გულისხმობს, ძალების გაერთიანებას საერთაშორისო სტაბილურობის დასამყარებლად.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა ხედვის სისტემა, ახალი მსოფლიო წესრიგი - ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ხელახლა აღმოცენებას ითვალისწინებდა. ახალი მსოფლიო წესრიგი ტერორის საფრთხისაგან თავისუფალ სამყაროს, სამართლიანობისა და მშვიდობისაკენ სწრაფვას, აგრეთვე, აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ჰარმონიულ თანაარსებობას ნიშნავდა. ეს ბუნდოვანი ფრაზები სინამდვილეში დიდ სახელმწიფოთა მეტ თანამშრომლობას, გაეროს გაზრდილ როლსა და საერთაშორისო სამართლის მეტ მნიშვნელობას გულისხმობდა. ბუშის ეს ინიციატივა მოქმედების კონკრეტულ გეგმას არ ისახავდა და მხოლოდ რიტორიკის დონეზე დარჩა. საერთაშორისო ურთიერობების თეორიაში ბუშის მიერ დეკლარირებულმა ა. მ. წ.-მა

რეალისტ-ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე ახალი კამათი გამოიწვია. (გ.ხელაშვილი, 2004).

ტერმინმა „უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე“ პოპულარობა ცივი ომის დასრულების შემდეგ მოიპოვა. როგორც წესი, მსგავსი ტერმინი გამოყენება ისეთი იდეალური ურთიერთობების აღსაწერად, რომელიც ჰარმონიაზე და ღრმა საერთაშორისო თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. თუმცა, დღესდღეისობით ეს ტერმინი დაცლილია პრაგმატული და რეალისტური მოდელისაგან.

რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება. მისი თეორიის მიხედვით, გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას - კოლექტიური უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა - ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობის შენარჩუნებას.

მოცემული კომპონენტების დამატების აუცილებლობა განაპირობა მსოფლიო წესრიგში ახალი საფრთხეების გაჩენის პროცესმა. მაგალითად, ტერორიზმის გლობალიზაცია,კრიმინალი, ავადმყოფობა, კიბერტერორიზმი, მოსახლეობის ზრდა, ლტოლვილთა და ეკონომიკური მიგრაცია, ბუნებრივი გარემოს კატასტროფები და სხვა.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების კოენისეული კონცეფცია მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- საერთო საფრთხეების აღიარება;

როგორც რიჩარდ კოენი განმარტავს, ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშროლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. თუმცა, მისი აზრით, ყველაზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდენენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ.ამის მიზეზია ქვეყნის უუნარობა, საკუთრივ ძალებით გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ რისკებს.

ქვეყნის უსაფრთხოება არ არის იმდნად დამოკიდებული მხოლოდ სამხედრო ძლიერებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კავშირში გაწევრიანებით, ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო მეტ რესურსს ხარჯავს, ზოგიერთი უფო მეტად ღებულობს სარგებელს, საბოლოო ჯამში ისინი აცნობიერებენ, რომ ერთმანეთის გარეშე საერთო საფრთხეს ვერ გაუმკლავდებიან.

მაგალითად, აშშ-ში 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, მოხდა კოლექტიური თავდაცვის პრინციპის ამოქმედება. პირველად თავის ისტორიაში ნატო-მ გამოიყენა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც თავდასხმა რომელიმე ერთ მოკავშირეზე, ითვლება თავდასხმად ყველა მოკავშირეზე.

გლობალიზააცის მზარდმა პროცესმა უსაფრთხოების ერთიანი სისტემის აუცილებლობა შექმნა. საერთო საფრთხეების, რომლებიც ზემოთ უკვე აღვწერეთ, გააზრებამ, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და პოლიტიკის საფუძველად კავშირების შექმნა კიდევ უფრო გაამყარა.

- მზარდი ურთიერთგაგება საერთო ფასეულობებზე;

საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობითი უსაფრთხოების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია კავშირში მოაზრებული წევრების საერთო ფასეულებათა კონტექსტი. როგორც რიჩარდ კოენი აღნიშნავს, თუ კავშირი არ არის დაფუძნებული მზარდ ურთიერთგაგებაზე, მაშინ ეს კავშირი განწირულია წარუმატებლობისაკენ ან დაშლისაკენ. ალიანსის შექმნის შემდეგ, სხვადასხვა მოვლენების დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატო-ს ევროპელ მოკავშირეებს შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოებები, იყო განხეთქილების შემთხვევები მათ ურთიერთობებში. მარტივად რომ ვთქვათ, თუ არ არსებობს საერთო ფასეულობა, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ სტრატეგიის შექმნის პროცესში ქვეყნებმა რადიკალური პოზიციები დაიკავონ და ამით შეაფერხონ საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პირველ რიგში, კავშირი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ღირებულებებზე და

ფასეულობებზე. გუნდის წევრებს შორის უნდა იყოს მეტი იდეოლოგიური თანხვედრა, ვიდრე დაპირისპირება. „ყველაზე უკეთ ადამიანთა უფლებების დაცვა შეუძლია ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს“ (რ.კოენი, 16), ინდივიდუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი, თანამშრომლობითი უსაფრთხოების მთავარი ქვაკუთხედია. აქედან გამომდინარე, კოენი ხაზს უსვამს, რომ თუ კავშირის წევრები არა ლუბერალურ-დემოკრატიული ფასეულობის ქვეყნები არიან, მაშინ უსაფრთხოების დამყარებასთან ფუნდამენტური არათავსებადობა იქმნება.

• ინსტიტუციონალური ფორმატი

საერთო საფრთხის აღქმისა და საერთო ღირებულებების შეჯერების შემდეგ, კოენი მიიჩნევს, რომ ლოგიკური ჯაჭვის გასაგრძელებლად, უნდა მოხდეს თანამშრომლობისათვის ინსტიტუციონალური ფორმის მიცემა. ქვეყნებს შორის, ურთიერთობების ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, თანამშრომლობითი უსაფრთხოების დამყარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმია. ის აყალიბებს მტკიცე პლატფორმას საერთო პრობლემის გარშემო და თანამშრომლობის შემდგომ განვითარების და დახვეწას ითვალისწინებს.

მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღთქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა. (ნ.ჩიტაძე, 2008, გვ. 21)

მნიშვნელოვანია, რომ ინსტისტუციური ფორმა კავშირს აძლევს გრძეელვადიან პერსპექტივაში ერთობლივი მოქმედების სტრატეგიის შექმნის შესაძლებლობას, რაც მიუღწევადია მოკლევადიანი კავშირების შექმნაში. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის

შემდგომი პერიოდში კავშირების შექმნის იდეებმა და კოლექტიური უსაფრთხოების ცნებამ თავისი სამართლებრივი ასახვა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის სახით - „სახელმწიფოს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესახებ". სწორედ ამ მუხლზე დაყდნობით იქნა შექმნილი ნატო, რომლის მთავარ, მე-5 მუხლში აღნიშნულია: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს.." (ნ.ჩიტაძე, 2008, გვ. 23)

საბოლოო ჯამში, უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე, თავის მხრივ წარმოადგენს სტრატეგიულ სისტემას, რომელიც იქმნება ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების გარშემო, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებითა და ინსტიტუტებით, რომლებსაც გააჩნიათ საერთო ფასეულობები, ამასთანავე ახორციელებენ პრაქტიკულ და გამჭვირვალე თანამშრომლობას სამხედრო სფეროში. უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, თავის თავში მოიაზრებს ისეთ სისტემას, სადაც ცალკეული სახემწიფოების ეროვნული ინტერესების განხორციელება, დამოკიდებულია უსაფრთხოების ოთხ რგოლთან, რომლების თავსებადობა მთლიანობაში აძლიერებს სისტემას.

რგოლი 1: ადამიანის უფლებების დაცვა საკუთარ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (ინდივიდუალური უსაფრთხოება)

რგოლი 2: მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა საერთო სივრცეში (კოლექტიური უსაფრთხოება)

რგოლი 3: საერთო თავდაცვა გარე აგრესორისგან (კოლექტიური თავდაცვა)

რგოლი 4: აქტიური სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვა რეგიონებში, სადაც არსებული პრობლემები შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საერთო უსაფრთხოებას;

ურთიერთდახმარება მოკავშირეებს შორის - პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკონომიკური და აუცილებელი შემთხვევების დროს - სამხედრო რესურსების გამოყენებით. (სტაბილურობის შენარჩუნება) (რ.კოენი , 14)

აქედან გამომდინარე, მტკიცე კავშირისა და უსაფრთხოების მიღწევის მიზნით, აუცილებელია სისტემაში ჩართული იყოს ოთხივე რგოლი. რომელიმე ერთი რგოლის უგულვებელყოფა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. (იხ. დანართი N 1)

ამრიგად, ტერორიზმიდან მომდინარე საერთო საფრთხის გააზრების შემდეგ, მსოფლიოს ქვეყნები მიისწრაფვიან საერთაშორისო თანამეგობრობისკენ. საინტერესოა საქართველოს მაგალითის განხილვა ამ თეორიის კონცეფციის გააანალიზების მეშვეობით.

ცვლადები

საქართველოს საგარეო პოლიტიკა

მეცნიერების, მაიკლ კლარკისა და ბარაინ ვაითის მიხედვით, „საგარეო პოლიტიკა ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ერი-ქვეყნის მაღალი დონის ხელისუფლების მიერ, რათა მიღწეულ იქნას ეროვნული ინტერესები საერთაშორისო დონეზე“. (Michael Clarke and Brian White, 1995, გვ.6)

განვიხილოთ, რა მექანიზმებს ეყრდნობოდა საქართველო საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების დროს და როგორ პასუხობდა და პასუხობს ის ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. რა ეროვნული ინტერესები არსებობდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და როგორ მიიღწეოდა ის საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობის დროს ექსპერტები რამდენიმე ძირითადი ეტაპს გამოყოფენ. საქართველოს გარდამავალი პერიოდი 1990-1993 წლებს მოიცავს, როდესაც მოხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება და ხელისუფლების

სათავეში მყოფი ზვიად გამსახურდია ქმნიდა საგარეო პოლიტიკის პრინციპებს.შემდგომ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში გაჩნდა სასიცოცხლო გეოპოლიტიკური სივრცეები და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები, საქართველო და კავკასია-კასპური რეგიონული პოლიტიკა, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია და საქართველოს პოლიტიკა 1994-2002 წლებს შორის (ვ.მაისაია, 2013, გვ.6), თუმცა ამ პერიოდში შევარდნაძის მმართველობის დროს, შესაძლებელია ორ ქვე-პერიოდის გამოყოფაც. პირველი, 1992-1995 წლები, როდესაც ქვეყანამ წააგო ომი აფხაზეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ) შეურთდა. მეორე ქვე-პერიოდის დაწყება 1995 წელს კონსტიტუციის მიღებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება. ამის შემდეგ, ცალკე გამოსაყოფია საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები, რომელიც საგარეო პოლიტიკის მესამე ეტაპს და 2003 წლიდან დღემდე პერიოდს მოიცავს.

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების I პერიოდი:

ეროვნული ხელისუფლება არჩეულ იქნა ისეთ დროს და ისეთ პირობებში, როდესაც საქართველო ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური,ეკონომიკური და კულტურული კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა საბჭოთა იმპერიალიზმმა, მისმა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ. სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფერო ითხოვდა რადიკალურ რეორგანიზაციას, განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო გადაუდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ამ თვალსაზრისით, წინასწარვე, არჩევნებამდე განისაზღვრა ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკის უმთავრესი ორიენტირი (იხ. „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ - წინასაარჩევნო პროგრამა) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რეალურად შეფასდა გარდამავალი პერიოდის, როგორც კომუნისტური მემკვიდრეობის დაძლევის აუცილებლობა. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“|№99-100 (120), 1991)

საქართველოს დამოუკიდებლობას თან ახლდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო გამოყოფა 1990-93 წლებში. თითოეულმა მათგანმა პატარა სამოქალაქო ომი

გამოიწვია, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება დამარცხდა. ძალადობამ საფუძველი დაუდო ფართომასშტაბიან და გახანგრძლივებულ ინტერვენციას რუსეთის მხრიდან. (ნილ მაკფარლეინი, 2012, გვ.5)

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ქვეყანას საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში მაინც ჰქონდა მკვეთრად გამოკვეთილი წინაპირობა - გამიჯვნოდა რუსეთს და სხვა სახელმწიფოების მხარდაჭერა მოეპოვებინა. საქართველოს მაშინდელ მთავრობას მცდელობა ჰქონდა დაემყარებინა სტრატეგიული მოკავშირეობა დასავლეთთან, თუმცა მათგან საპასუხო დაინტერესება არ ჩანდა. ამის გათვალისწინებით, საქართველომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანების გადაწყვეტილება არ მიიღო. (ალ. რონდელი, 2001. გვ. 8-10)

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების II პერიოდი:

აღნიშნული პერიოდი ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდს ემთხვევა და საგარეო კურსშიც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე განაგრძობდა რუსეთთან გამიჯვნის პოლიტიკსა, ვითარებას სხვა მიმართულება მიეცა.

ედუარდ შევარდნაძე: „ყველა ხედავს, როგორ აგვარებდა საქართველო თავის ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნებთან, რით დავიწყეთ ეს ურთიერთობანი და რით მივდივართ რუსეთთან ურთიერთობამდე. მე მგონი, ეს სავსებით გასაგები კურსი და ხაზი იყო, რომლის შესახებაც ჩვენ არ ვხმაურობდით, მაგრამ ასე თანდათანობით მივედით იქამდე, რომ უკვე დღის წესრიგში დადგა რუსეთის საკითხი, მასთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი. ჩვენი ხალხიც თანდათან მომზადდა ამისათვის. ამასაც დრო სჭირდებოდა და ალბათ დრო სჭირდებოდა იმასაც, რომ რუსეთიც მომზადებულიყო. მე ვერ გეტყვით, როდის შედგება ახალი ხელმოწერები, თუმცა ჩვენი პირობა იყო ივნისში გაგვეკეთებინა ეს, მაგრამ აფხაზეთის საკითხის გამწვავებამ იგი ცოტა ხნით გადადო, თუმცა რუსეთის ხელმძღვანელობა კვლავ რჩება იმ პოზიციაზე, რომ უახლოეს დროში შეიქმნას სამართლებრივი ბაზა საქართველოსა და რუსეთს,

რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლობა და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობებისა და კავშირებისათვის. რაც შეეხება ნატოს ყურადღების სფეროში ჩვენს ყოფნას, ეს, მე მგონი, ისე უნდა გავიგოთ, როგორც დღეს შეუძლია ნატოს. ლაპარაკი სწორედ ყურადღების სფეროზეა, გარკვეულ დახმარებაზე, მაგრამ ამას ნურავინ ისე ნუ გაიგებს, თითქოს ნატო მზად არის, რომ ხვალვე გემები შემოიყვანოს და თავისი ბაზები დააარსოს საქართველოსა და კავკასიაში, ამისათვის ნატო მზად არ არის და ასეთი რამ არც უნდა მოვთხოვოთ. მაგრამ თავისთავად ის, რომ დღეს ამ ორგანიზაციის ტრანსფორმირება მიდის და იგი მშვიდობის დაცვის და სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტი ხდება ევროპაში, ეს ჩვენს ინტერესებშიც შედის. საქართველოს დელეგაციის სტუმრობას, საქმიან შეხვედრებს იქ დიდი ყურადღება დაუთმეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნატოს დაინტერესება საქართველოთი აღმავლობის გზით ივლის, მაგრამ ეს სულაც არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, პირიქით, იგი რუსეთის ინტერესებსაც გულისხმობს და იგი ისე არ უნდა განვიხილოთ, თითქოს რუსეთი და ნატო რაღაც დაპირისპირებული ძალებია. არა, ასე არ იქნება და თუ ამის რაიმე ელემენტები შემორჩა, ისინი თანდთან დაიძლევა და გადაილახება.“ (გაზ: საქართველოს რესპუბლიკა, 1993 , გვ. 1,2)

შიდა და საგარეო დაძაბულობის ფონზე, ასევე დასავლეთის კვალინდებური გვერდის ავლა საქართველოსთვის პარტნიორობის გასაწევად, 1993 წელს საქართველოს ხელისუფლება თანხმდება დსთ-ში გაწევრიანებას. ამრიგად, პროდასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია რუსულით ნაცვლდება.

როგორც მკვლევარი, ზეინო ბარანი განმარტავს, 1990-იანი წლების შუახანებამდე ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოკვეთილი და თანმიმდევრული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში არ ჰქონდათ შემუშავებული. (Zeyno Baran, 2002, გვ. 222).

აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიჩარდ კოენის თეორია, რომელიც თანამშრომლობის დამყარების წინაპირობად, საერთო საფრთხის აღქმას ასახელებს, მართლდება საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობებთან მიმართებაში.

დასავლეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა კარგად აღქმული ტერორიზმისგან მომავალი საფრთხე.

ედუარდ შევარდნაძის მიერ საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოების პროცესში, შეგვიძლია გამოვყოთ მისი მმართველობის მეორე ეტაპიც, როდესაც პრო-დასავლური კურსის აღება, ქვეყნისთვის კვლავ პრიორიტეტი ხდება. ქვეყნის პირველი პირი აქტიურად იყენებს დიპლომატიის მეთოდს დასავლეთთან, ატარებს ოფიციალურ შეხვედრებს ჩრდილო-ატლანტიკური ქვეყნის ლიდერებთან და ხდება რიგი შეთანხმებების გაფორმება, რითაც საქართველო სარგებელს იღებს მათთან თანამშრომლობით.

პანკისი ხეობა და ბიოლოგიური იარაღი

შეგვიძლია განვაზოგადოთ, რომ პანკისში შექმნილი ვითარება ნათელი დადასტურებაა საქართველოს და დასავლეთს შორის საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი მექანიზმის დაწყების შემუშავებაში.

პანკისის რეგიონში განვითარებული მოვლენები პირდაპირ მიბმულია ჩეჩნეთის სამოქალაქო ომებთან. მეორე სამოქალაქო ომის შემდეგ, ჩეჩენი ლტოლვილები პანკისის რეგიონში დასახლდნენ.

ოფიციალური მონაცემებით, 1999 წელს, ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში დაახლოებით ექვსი ათასი ლტოლვილი დარეგისტრირდა და მათი დიდი ნაწილი პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ნათესავები იყვნენ. სიტუაცია დაძაბული იყო, რამდენადაც რუსეთმა საქართველოს ჩეჩენი მეამბოხეების შეფარებაში დასდო ბრალი. ამ დაძაბულობის შედეგი იყო რუსეთის სამხედრო ავიაციის რამდენიმე იერიში პანკისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებზე. იმ პერიოდისთვის, პანკისი გადაიქცა სახიფათო ზონად, სადაც გატაცება, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ყაჩაღობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.(Democracy and freedom Watch, 2014)

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ამბობდა, რომ რაკი საქართველოს არ შესწევდა ძალა პანკისში წესრიგი დაემყარებინა, მაშინ ტერორიზმის ამ „ბუდის“ განადგურება რუსეთის სამხედრო ჩარევის გზით უნდა მომხდარიყო. (The Guardian,

2002) ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის დახმარება საერთო სპეცოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით არ მიიღო.

ამის პარალელურად, იმ პერიოდის მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პანკისის ხეობაში მართლაც იმყოფებოდნენ ტერორისტული დაჯგუფების წევრები და ისინი ამ ტერიტორიაზე მასობრივი განადგურების იარაღს ამზადებდნენ.

2003 წლის დასაწყისში, ათობით ჩრდილოეთ აფრიკელი (ძირითადად ალჟირელები) დააპატიმრეს გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთსა და ესპანეთში, მასობრივი განადგურების იარაღის მომზადების ბრალდებით. დაკავებულების კვალი უკავშირდებოდა ზარქავი-ჩეჩნეთი-პანკისის ქსელს, რომელიც ცნობილი იყო მასობრივი განადგურების იარაღის, კერძოდ კი რიცინის მზადების ეპიცენტრად.

საფრანგეთის და ბრიტანეთის უშიშროების მაღალჩინოსნები აცხადებდნენ, რომ "ევროპაში აღმოჩენილი რიცინი დამზადდა ერაყში, თავად ეს ნივთიერება კი ერაყში საქართველოს გავლით მოხვდა.“ (The Jamestown Foundation, 2005)

დასავლეთის პრესაში გაჩენილ ცნობებს იმის თაობაზე, რომ ბრიტანული პოლიციის მიერ ლონდონის ერთ-ერთ ბინაში აღმოჩენილი ნივთიერება რიცინი პანკისშია დამზადებული, ეხმაურება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელიც, ნიკა ლალიაშვილი : "არ გამოვრიცხავთ, რომ პანკისში შესაძლოა მეომრებს ასწავლიდნენ მომწამლავი ნივთიერება რიცინის დამზადებას". ლალიაშვილის თქმით, 2002 წლამდე პანკისის ხეობაში მეომრების სასწავლო ბაზები არსებობდა.

მომდევნო დღეს, საქართველოს დაზვრევის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ავთანდილ იოსელიანმა უარყო სავარაუდო კავშირი ლონდონში ნაპოვნ ნივთიერებასა და პანკისის ხეობას შორის. (სივილ ჯორჯია , 2003)

პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარების შემდეგ, იწყება ახალი პერიოდი საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსსა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროებში.

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების III პერიოდი:

„ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ახალი ხელისუფლების მიმართ, თავიდანვე ჩანს დასავლეთის სიმპატია. ახლად მოსული პერზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ ხელისუფლების საგარეო კურსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება წარმოადგენდა. 2004 წლიდან საქართველო შეუერთდა ნატოსთან ინდივიუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (IPAP). ამ პერიოდიდან მოყოლებული, მთავრობის ცვლილებების მიუხედავად, საქართველოს პრო-დასავლური კურსი არ იცვლება და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს.

საქართველოს მოკავშირეობა დასავლეთთან კიდევ უფრო ინტენსიური გახადა რუსეთ-საქართველოს შორის, 2008 წელს მომხდარმა ომმა. ამ მოვლენამ საქართველო დაარწმუნა, რომ ეროვნული ინტერესების და მათ შორის უსაფრთხოების მოპოვება მიმართულია მტკიცე თანამშრომლობის ფორმებთან.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების III პერიოდში, საქართველოსა და დასავლეთს შორის განვითარებული თანამშრომლობა, ჩვენ მიერ განხილული რიჩარდ კოენის მოდელს სრულად ესადაგება:

1.პანკისში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საერთო საფრთხემ, ტერორიზმის სახით ორივე მხარის ეროვნული ინტერესი მოიცვა.

2.2003 წლიდან განხორციელებულმა რეფორმებმა და საქართველოს მთავრობების მიერ საგარეო-პოლიტიკური ორიენტირის გამტკიცებამ, დასავლეთისა და საქართველოს ღირებულებები და ფასეულობები იდენტური გახადა.

3.ორივე მხარემ, სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოები შექმნა.

საქართველოს თანამშრომლობითი კავშირები

განვიხილოთ ის პროგრამები, რომლებითაც საქართველო და დასავლეთი უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობენ:

საქართველო-დასავლეთის ერთობლივი პროგრამები უსაფრთხოების სფეროში

საქართველო აშშ-სთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს. მათ შორის, გამოძიების ფედერალური ბიუროს, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL), აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA), ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) და სხვა პროგრამების ფარგლებში.

საქართველო არის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიური წევრი და ჩართულია მრავალმხრივ ანტიტერორისტულ ოპერაციებში. საქართველო გახდა ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტის (CODEXTER) წევრი.

საქართველო აქტიურადაა ჩართული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში, ასევე, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამებსა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატო-სთან, მათ შორის ნატო-ს სამეკავშირეო ოფისთან. ის ასევე წარმოდგენილია ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO PDP) მმართველ საბჭოში და მონაწილეობს ნატო-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის მენიუს ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

ამასთან ერთად, საქართველო ჩართულია ეუთო-სა და სუამ-ის ეგიდით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დაგეგმილ აქტივობებში, ასევე, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა (BSEC) და ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ჩართული ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ ორგანიზებულ არაერთ საერთაშორისო სემინარსა და ტრენინგში. (www.ssg.gov.ge, 2017)

რაც შეეხება, საქართველოს ჩართულობას მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ შექმნილ პროგრამებში - ესენია: ერთობლივი საფრთხის შემცირების (CTR) ერთობლივი ბიოოლოგიური თანამშრომლობის პროგრამა (CBEP), მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების პროგრამა (WMD PPP), საერთაშორისო გაუვრცელებლობის პროგრამა (ICP), და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამა (CBRN CMAP).

თავდაცვის საფრთხის შემცირების მთავარ პროგრამებს წარმოადგენს:

ერთობლივი ბიოლოგიური თანამშრომლობის პროგრამა (CBEP) – საქართველოში შეეხება საფრთხეებს ამერიკის შეერთებული შტატების და გლობალური ჯანდაცვის უსაფრთხოების საკითხებს, რომელიც გამოიხატება განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების აფეთქებების რისკით. იგი ხელს უწყობს საუკეთესო გამოცდილებების წახალისებას ბიოლოგიურ უსაფრთხოების სფეროში, აუმჯობესებს რა საქართველოს უნარიანობას სწრაფად მოახდინოს ინფექციური დაავადებების გამოვლენა და შეტყობინება, ასევე საერთაშორისო კვლევით სფეროში თანამშრომლობის დანერგვა და გაუმჯობესება. ერთობლივი ბიოლოგიური თანამშრომლობის პროგრამა – საქართველოში ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, უოლტერ რიდის სახელობის სამხედრო კვლევით ინსტიტუტის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, ასევე ხორციელდება ახლო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის

მეურნეობის დეპარტამენტთან, და ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. ამ თანამშრომლობის დამაგვირგვინებელ და უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი, თანამედროვე ბიოუსაფრთხოების მესამე დონის კვლევითი დაწესებულება, რომელიც აშენდა თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს მიერ და გადაეცა კუთვნილებაში და საექსპლოატაციოდ საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრს 2013 წელს.

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების პროგრამა (WMD PPP) მოიცავს მცურავი საშუალებების მოდერნიზაციას და პორტის ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამას, რომელიც ხორციელდება შავი ზღვის სანაპიროზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამასთან ახლო თანამშრომლობით (EXBS). მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების პროგრამის (WMD PPP) ფარგლებში, თავდაცვის საფრთხის შემცირების სამსახური და სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების ოფისი საქართველოში საქართველოს საზღვრის დაცვის და სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობს, რათა გააუმჯობესოს საქართველოს შესაძლებლობა აღმოაჩინოს და აღკვეთოს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული მასალების გავრცელება შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის სფეროში ხარვეზების აღმოფხვრას და მდგრადობის შესაძლებლობის განვითარებას ამ პორტებთან და აღჭურვილობის განახლებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო გაუვრცელებლობის პროგრამა (ICP) მოიცავს სწავლებებს და აღჭურვილობას სამართალდამცველთა ორგანოებისთვის, საგანგებო სიტუაციების სამსახურის, და საზღვრის დაცვის სამსახურისთვის საქართველოში. პროგრამის საქმიანობა შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფი დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მიზნებს

საქართველოში (EXBS). საერთაშორისო გაუვრცელებლობის პროგრამის (ICP) მთავარ მიზანს წარმოადგენს დაეხმაროს სამართალდამცველ, საგანგებო სიტუაციების და საზღვრის დაცვის სამსახურებს პროფესიონალური კადრების ჩამოყალიბებაში; გააუმჯობესოს ზემოთმოხსენიებული ორგანოების შესაძლებლობა, რათა გამოავლინოს, აღკვეთოს, განსაზღვროს, გამოიძიოს და რეაგირება მოახდინოს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებილი მასალების უკანონო ტრანზიტს და ასევე შექმნას ხანგრძლივი და ორმხრივად სასარგებლო საქმიანი თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს და სხვა რეგიონალურ სააგენტოებს შორის.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამის (CBRN CMAP) მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პერსონალის უზრუნველყოფა სწავლებებით და მთავარი ეროვნული დოქტრინის ჩამოყალიბება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საგანგებო სიტუაციების რეაგირებასთან დაკავშირებით. (https://ge.usembassy.gov/ka/, 2017)

რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი

პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიების შედმეგ, აუცილებელია რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ცალკე გამოყოფა. ბიოლოგიური აგენტებისა და ბიოტერორიზმის ასპექტების განხილვის დროს, ამ ლაბორატორიას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოში.

ის, რომ აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობით შესაძლებელია სტაბილურობის შენარჩუნება, არ ეთანხმება რამდენიმე ექსპერტი, რომელიც საქართველოში ქბრბ საფრთხეებს იკვლევს.

2011 წელს თბილისის საერთაშრისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია) შეიქმნა.

„ლაბორატორიის მშენებლობის დაწყების პროცესიდან მოყოლებული, იმდენი ფაქტი იყო გასაიდუმლოებული, რომ ეს ყველაფერი რა თქმა უნდა კითხვის ნიშნებს

აჩენს. ამ ლაბორატორიის მუშაობა არ იყო გამჭვირვალე, არ ხდებოდა დაშვება. ჩვენი ცნობების მიხედვით, 2013 წლამდე ამ ლაბორატორიაში ქართველი სპეციალისტები არ მუშაობდნენ.ეს გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ამ ტერიტორიაზე ხდებოდა ბიოლოგიური აგენტების მომზადება“

„შესაბამისი აპარატურითა და გადამზადების მექანიზმებით, შესაძლებელი ხდება, რომ ლაბორატორიაში მომუშავე სპეციალისტებმა შეისწავლონ განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებები და ამის შემდგომ ჩაატარონ ბიოცდები.ამასთანავე, შესაძლებელია მოხდეს ბიოლოგიური აგენტების ფარული გზებით გატანა საზღვრებს მიღმა. ეს პროგრამა საფრთხეს უფრო ქმნის, ვიდრე სტაბილურობის განცდას.“

იმაზე, რომ ამერიკელების დახმარებით, საქართველოში ბიოლოგიური იარაღი იწარმოება, საუბრობენ რუსული მაღალჩინოსნები. ეს ინფორმაცია ქვეყნდება სხვადასხვა მედია-საშუალებების მეშვეობითაც, სადაც ჟურნალისტები ხაზს უსვამენ, რომ საქართველო და ამერიკა ამ ფორმით არღვევს 1979 წელს ხელმოწერილი კონვენციას ბიოლოგიური იარაღის შესახებ.

ბიოლოგიური იარაღის კონვენციის დარღვევის ფაქტი

კენ ალიბეკოვის აღსარება

ვარაუდების მიღმა, აღნიშნული კონვენციის დარღვევის დადასტურებული ფაქტები აღწერილია, მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაშრომში - კ. ალიბეკოვისა და ს.ჰანდელმანის წიგნში: “ბიოსაფრთხე, ნამდვილი ისტორია მსოფლიოში უდიდესი ბიოლოგიური იარაღის პროგრამის შესახებ, მოთხრობილი იმ ადამიანისგან, რომელმაც ის შექმნა“ „Biohazard: The Chilling True Story of the Largest Covert Biological Weapons Program in the World - Told from Inside by the Man Who Ran it“. ამ წიგნში, მოთხრობილია საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი ბიოლოგიური პროგრამის შედეგად, როგორ მოხდა ქ. სვერდლოვსკში (ახლანდელ ეკატენინბურგში) 1979 წელს, ანტრაქსით (ციმბირული წყლულით) 100-მდე ადამიანის დაღუპვა, რაც ოფიციალური ინფორმაციით ხორცისგან მოწამვლის მიზეზად გაჟღერდა. როგორც ალიბეკოვი (ბიოლოგიური იარაღის შემუშავებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა საბჭოთა კავშირის დროს)

განმარტავს, ადამიანების გარდაცვალების რეალური მიზეზი იყო, სამხედრო-ბიოლოგიური ლაბორატორიიდან ანტრაქსის სპორების ჰაერში მოხვედრა. აღნიშნული ლაბორატორია შედიოდა „ბიოპრეპარატის“ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ბიოლოგიური იარაღის შემუშავებასა და წარმოებას. აქედან ჩანს, რომ კონვენციაზე ხელისმოწერა, არ წარმოადგენს შემაფერხებელ ბერკეტს აღარ აწარმოო ბიოლოგიური იარაღი ქვეყნის უსაფრთხოების ინეტერესებიდან გამომდინარე. (Ken Alibek and S. Handelman, 1999)

ალიბეკოვის მსგავსად, ბიოლოგიური იარაღის წარმოებას ადასტურებს სვერდლოვსკის რეგიონალური კომიტეტის იმდროინდელი პირველი მდივანიც, ბორის ელცინი საკუთარ მემუარებში.(Ельцин Б. Н, 1990)

მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიაში მომუშავე სპეციალისტები უარყოფდნენ ამ ფაქტს, ბორის ელცინი სხვადასხვა ინტერვიუებში ალიბეკოვის ვერსიას აჟღერებდა. მან სპეციალური კანონიც კი მიიღო, სვერდლოვსკის ინციდენტის დროს დაღუპილთა ოჯახის წევრებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის შესახებ.

საბჭოთა კავშირთან ერთად, ბიოლოგიური იარაღის კონვენციის დარღვევის პოტენციურ საფრთხეზე საუბარია რუსეთის ხელისუფლებასთან მიმართებაშიც. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია შესულია აშშ-ს კონგრესის მოხსენებაში, სადაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი სვამს საკითხს, ნამდვილად მოსპო თუ არა რუსეთმა მის ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური იარაღის ნარჩენები. (The USA Russian congressional record, 2010)

მაგალითების განხილვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოებაში საკუთარი გავლენის სფეროს მოსაპოვებლად გამოიყენება პროპაგანდის სხვადასხვა მექანიზმები. ექსპერტების აზრით, ღირებულებათა არათავსებადობა საქართველოს რუსეთთან მიმართებაში უფრო აქვს, ვიდრე ჩრდილო-ატლანტიკურ ქვეყნებთან. რუსეთის მიერ, ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა დაპირისპირებაში მოდის პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დასავლეთის ორიენტირთან.თავად საქართველო კი, საკუთარი პრიორიტეტებითა და

ფასეულობებით უკავშირდება დასავლეთის ღირებულებებს. შესაბამისად, ექსპერტები ფიქრობენ, რომ საქართველოს პრო-დასავლური კურსისთვის საფრთხის შემცველ გარემოებაზე აპელირება, დიდწილად, სწორად რუსეთის ხელისუფლების ინტერესებშია. ისინი საუბრობენ, რუსეთის მიერ „რბილი ძალის“ გამოყენების შესაძლებლობაზეც, რომლის მეშვეობით, რუსეთი ცდილობს დააკნინოს დასავლეთის იმიჯი და ამ მეთოდით მოახდინოს საზოგადოებაზე პოლიტიკური ზეგავლენა.

დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლია საქართველოში ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხე და გამოავლინა მისი განმაპირობებელი ფაქტორები. კვლევის პროცესის დროს დაადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსსა და საფრთხის აღქმის შემდგომ რეაგირებას შორის.მოხდა დინამიკის ჩვენება სხვადასხვა დროის სივრცეში, სხვადასხვა პოლიტიკური კურსის შედაგად როგორი იყო მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და პოლიტიკური კურსის ეფექტურობა. კონკრეტულად კი, ნაშრომში განხილული იყო საქართველოს მისწრაფება შეექმნა თანამშრომლობითი კავშირები, რომელიც მოიცვა დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე პერიოდი და განიხილა საქართველოს პრო-რუსული და პრო-დასვალური ორიენტირები.

ნაშრომში მოხდა იმ ფაქტორების გამოკვლევა, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ დონეზე, მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო დონეზე - საყოველთაო მშვიდობის დამყარებაში - საქართველოს სრულფასოვან თანამონაწილეობაზე.

ნაშრომში განვიხილეთ გლობალიზაციის უწყვეტი პროცესი და მისი მიმართება ტერორიზმის განვითარებასთან. ასევე, ყურადღება დავუთმეთ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხის შეფასებას. ამ კუთხით, გამოვყავით საქართველოს სახელმწიფოს მიერ

არაკონტროლირებადი ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორი - კონტრაბანდის ე.წ. „სმაგლინგის“ გავრცელებაში.

კვლევაში წარმოვაჩინეთ ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალობაც. განვსაზღვრეთ, რომ ბიოლოგიური იარაღი საშუალებას აძლევს მის მფლობელს შექმნას პოტენციურად განადგურების საშიშროება. ამასთანავე ბირთვული, ქიმიური ან ჩვეულებრივი იარაღისაგან განსხვავებით, ის არ საჭიროებს განსაკუთრებულ შენახვის პირობებსა თუ შენახვის ხარჯებს. საქართველოს სამხრეთში განლაგებული ქვეყნები ან მიისწრაფიან ამ იარაღის წარმოებისაკენ, ან მათ ტერიტორიებზე უკონტროლოდ ფუნქციონირებენ სხვადასხვა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ ტერორისტულ აქტებში ამ იარაღის გამოყენება.

ამ თვალსაზრისით, გამოვყავით პანკისის ხეობის კრიზისი და განვიხილეთ მისი თავისებურებები. საკითხის გამოყოფა ცალკე პუნქტად განაპირობა ამ ტერიტორიაზე მომხდარმა ინციდენტმა. ვისაუბრეთ, დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე, ბიოლოგიური იარაღის წარმოებასთან დაკავშირებით გავრცელდა.

კვლევის მიმდინარეობისას დავსვით შეკითხვა, თუ რა ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას სახელმწიფოში ბიოტერორიზმის საფრთხის ეფექტურ რეაგირებაზე? თამაშობს თუ არა პოზიტიურ როლს რეგიონში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალისა და ფუნქციის ფაქტორი სხვადასხვა ფორმის კონტრაბანდის განვითარებაში. რა კავშირია პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას შორის? და შევიმუშავეთ ჰიპოთეზა , რომ ბიოტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე იქმნება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის შექმნით. თანამშრომლობის წარმატებას კი განაპირობებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.აქედან გამომდინარე, რაც უფრო სწორად ხდება ეროვნული ინტერესების გატარება საერთაშორისო დონეზე, მით უფრო ნაკლებია საფრთხე ტერორიზმისგან; ანუ მხოლოდ

თანამშრომლობაზე დაფუძნებული კავშირები არის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი.

განვიხილეთ დამოკიდებული ცვლადის - საქართველოში ბიოლოგიური აგენტების წარმოებისა და უკანონო მიმოსვლის საფრთხისა და დამოუკიდებელი ცვლადის - საგარეო პოლიტიკური კურსის ორიენტირი; ქვეყნის სწრაფვა შექმნას თანამშრომლობითი კავშირების ურთიერთმიმართება; მოხდა დარგში მომუშავე ექსპერტებთან, სიღრმისეული ინტერვიუს ჩაწერა - კითხვები ეროვნული უსაფრთხოების ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

შემდეგ კი თვისებრივი მეთოდის საშუალებით და რიჩარდ კოენის თეორიით დავამტკიცეთ ჩვენი წინასწარი ჰიპოთეზა.

ამ მოდელზე დაყრდნობით, განვსაზღვრეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეფექტურობა და ვანახეთ ბიოლოგიური საფრთხის შემცირების დინამიკა.

ამგვარად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ყველაზე ეფექტური მექანიზმი იმისა, რომ ებრძოლოს ბიოტერორიზმს, ეს არის საერთო ფასეულობებზე შექნილი სწორი სამეკავშირეო თანამშრომლობა.

კვლევის ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის მისი ჰიპოთეზის განზოგადებადობა, ვინაიდან მსგავსი პოლიტიკური სიტუაციის მქონე ქვეყნებისთვის ეს იქნება პრობლემის აქტუალობის წარმოჩენა და ამ პრობლემასთან ბრძოლის მექანიზმების ჩვენება, ხოლო მეორე მხრივ ის გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ალტერნატივების ეფექტურობის შესახებ.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული ნაშრომი საინტერესოა სამშვიდობო პროცესებით და კონფლიქტის მოგვარების გზებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, ვინაიდან მოიცავს და აანალიზებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს საყოველთაო სტაბილურობის დამყარებას.

ბიბლიოგრაფია

1. Jeffry Larsen & Gregory Rattray , 1996, Arms Control 201-228
2. რონდელი, ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები. (თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი. 1996)
3. რონდელი, ალექსანდრე. დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი (ახალი აზრი, ნომერი 3, ნოემბერ-დეკემბერი 2001)
4. Bettina Bruns Judith Miggelbrink (Eds.) Subverting Borders , Doing Research on Smuggling and Small-Scale Trade , 2012 Andrea Weiss Crossing conflicting state boundaries: The Georgian-Abkhazian Ceasefire Line 213-233
5. BRZEZINSKI, ZBIGNIEW (2007): Second Chance: Three Presidents and the Crisis of American Superpower, Basic Books, New York. DURANDIN, CATHERINE (2007): L a CIA – Cinq années de col re, Armand Colin, Paris. FRIEDMAN, L. THOMAS (1999): The Lexus and Olive Tree – Understanding Globalization, Anchor Books, New York. HARVEY, DAVID (2003): The New Imperialism, Oxford University Press Inc, New
6. http://www.unafei.or.jp/english/pdf/PDF_rms/no71/10_p32-p39.pdf; June 10, 2009.
7. Nuclear, Biological, and Chemical Weapons and Missiles: Status and Trends 2008 Paul K. Kerr
8. Weapons of Mass Destruction Eric A. Croddy, James J. Wirtz, Jeffrey A. Larsen 2004
9. (ნ.ჩიტაძე, 2008 21) ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი
10. ალ. რონდელი, დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი (ა ხ ა ლ ი ა ზ რ ი , ნომერი 3, ნოემბერდეკემბერი, 2001. გვ. 8)
11. (საქართველოს რესპუბლიკა. - 1993. - 29 ივნისი. - N138(684). - 1,2 გვ.[ჩაიწერა] ონიანი ნატო
12. (Zeyno Baran, The Caucasus: Ten Years after Independence (The Washington Quartely, 25:1, Winter 2002. p. 222)

13. Democracy and freedom Watch, 2014 http://dfwatch.net/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A-31763 ნანახი 2017 ივლისი
14. Ian Traynor. Russia Angry at U.S. War Plan for Georgia. (The Guardian, February 22. 2002) http://www.guardian.co.uk/international/story0,3604,654020,00.html.
15. https://jamestown.org/program/ricin-fever-abu-musab-al-zarqawi-in-the-pankisi-gorge/ ნანახი 2017 მაისი
16. Andrew McGregor Publication: Terrorism Monitor Volume: 2 Issue: 24 Ricin Fever: Abu Musab al-Zarqawi in the Pankisi Gorge
17. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი : http://ssg.gov.ge/page/info/international-cooperation ნანახი 2017 ივლისი
18. https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/assistance-ka/defense-threat-reduction-agency-ka/
19. Новые вызовы безопасности на постсоветском пространстве: биологическое оружие 2014 https://riss.ru/analitycs/5521/ ნანახი 2017 მაისი
20. Закон РФ от 4 апреля 1992 г. N 2667-I "Об улучшении пенсионного обеспечения семей граждан, умерших вследствие заболевания сибирской язвой в городе Свердловске в 1979 году"
21. Система ГАРАНТ: http://base.garant.ru/178833/#ixzz4morzAruG
22. Ельцин Б. Н. Исповедь на заданную тему. М., 1990.
23. (Kolbin, G. (2002, May 27-29). Environmental Aspects of Former Soviet Military Sites in Georgia. NATO CCMS Workshop on Reuse and Cleaning of Former Military Sites.

Bishkek, Uzbekistan.) . Stier, K. (2002, June 28). Missing Radioactive Generators in Georgia Raise “Dirty Bomb” Concerns, from http://www.eurasianet.org

24. The Biological Weapons Convention website (http://www.unog.ch/80256EE600585943/(httpPages)/77CF2516DDC5DCF5C1257E520032EF67?OpenDocument)
25. Nye, Joseph. 2004. Soft power: The Means of Successes in World politics. New York: Public Affairs
26. Speedie, David. 2015. “Soft Power”: The values that Shape Russian Foreign Policy. Carnegie Council for Ethics in International Affairs. July 30

27. The USA Russian congressional record 2010, December 23089-23095,

28. Wheelis, Mark; Rózsa, Lajos; Dando, Malcolm (2006). Deadly Cultures: Biological Weapons Since 1945. Harvard University Press. 284–293
29. Gray, Colin. (2007). Another Bloody Century: Future Warfare. 265- 266.
30. Rule 73. The use of biological weapons is prohibited., Customary IHL Database, International Committee of the Red Cross (ICRC)/Cambridge University Press.
31. Customary Internal Humanitarian Law, Vol. II: Practice, Part 1, (eds. Jean-Marie Henckaerts & Louise Doswald-Beck: Cambridge University Press, 2005)
32. Alexander Schwarz, "War Crimes" in The Law of Armed Conflict and the Use of Force: The Max Planck Encyclopedia of Public International Law (eds. Frauke Lachenmann & Rüdiger Wolfrum: Oxford University Press, 2017), 1317.
33. Mayor, Adrienne (2003). Greek Fire, Poison Arrows & Scorpion Bombs: Biological and Chemical Warfare in the Ancient World. Woodstock, N.Y.: Overlook Duckworth.
34. Wheelis, Mark (2002). "Biological warfare at the 1346 siege of Caffa". Emerg Infect Dis. Center for Disease Control.

35. Barras, Vincent; Greub, Gilbert (2014). "History of biological warfare and bioterrorism". Clinical Microbiology and Infection. 20 (6): 497–502
36. Andrew G. Robertson, and Laura J. Robertson. "From asps to allegations: biological warfare in history," Military medicine (1995) 160#8 pp: 369-373.
37. Rakibul Hasan, "Biological Weapons: covert threats to Global Health Security." Asian Journal of Multidisciplinary Studies (2014) 2#9 38.
38. Calloway, Collin G. (2007). The Scratch of a Pen: 1763 and the Transformation of North America (Pivotal Moments in American History). Oxford University Press. . 73.
39. Jones, David S. (2004). Rationalizing Epidemics. Harvard University Press. . 97.
40. Christopher, Warren (2013). "Smallpox at Sydney Cove - Who, When, Why". Journal of Australian Studies. doi:10.1080/14443058.2013.849750#preview. See also History of biological warfare#ew South Wales, First Fleet#First Fleet smallpox, and History wars#Controversy over smallpox in Australia.
41. Koenig, Robert (2006), The Fourth Horseman: One Man's Secret Campaign to Fight the Great War in America, PublicAffairs.
42. Prasad, S.K. (2009). Biological Agents, Volume 2. Discovery Publishing House. p. 36.
43. Garrett, Laurie. Betrayal of Trust: The Collapse of Global Public Health, (Google Books), Oxford University Press, 2003, p. 340-41, (ISBN 0198526830).
44. Covert, Norman M. (2000), "A History of Fort Detrick, Maryland", 4th Edition: 2000.
45. Jump up
46. Guillemi n, J. (2006). "Scientists and the history of biological weapons: A brief historical overview of the development of biological weapons in the twentieth century". EMBO Reports. 7 (Spec No): S45–S49. PMC 1490304 . PMID 16819450.
47. Hal Gold, Unit 731 testimony, 1996, p.64-66
48. Barenblatt, Daniel (2004). "A Plague upon Humanity". HarperCollins: 220–221.
49. ^ Hudson, Christopher (2 March 2007). "Doctors of Depravity". Daily Mail.
50. ^ Chevrier & Chomiczewski & Garrigue 2004, p. 19.

51. ^ Croddy & Wirtz 2005, p. 171.
52. ^ Naomi Baumslag, Murderous Medicine: Nazi Doctors, Human Experimentation, and Typhus, 2005, p.207
53. ^ "Weapons of Mass Destruction: Plague as Biological Weapons Agent". GlobalSecurity.org. ნანახი, ივნისი, 2017
54. ^ Amy Stewart (25 April 2011). "Where To Find The World's Most 'Wicked Bugs': Fleas". National Public Radio.
55. ^ Russell Working (5 June 2001). "The trial of Unit 731". The Japan Times.
56. ^ Ken Alibek and K Handelman (1999), Biohazard: The Chilling True Story of the Largest Covert Biological Weapons Program in the World Trade From the Inside by the Man Who Ran It, New York, NY: Random House.
57. a b "26 Countries' WMD Programs; A Global History of WMD Use - US - Iraq War - ProCon.org". Usiraq.procon.org. 2009-05-29. ნანახი მაისი, 2017
58. ^ "Loner Likely Sent Anthrax, FBI Says". Los Angeles Times. Archived from the original on 7 April 2008. ნანახი , 2017
59. ^ "Anthrax Facts | UPMC Center for Health Security". Upmc-biosecurity.org. Archived from the original on 2 March 2013. ნანახი 2017
60. a b Kenneth Alibek and S. Handelman. Biohazard: The Chilling True Story of the Largest Covert Biological Weapons Program in the World – Told from Inside by the Man Who Ran it. 1999. Delta (2000) ISBN 0-385-33496-6.
61. ^ "Potential bioweapons". Clinical Immunology. 111: 1–15. doi:10.1016/j.clim.2003.09.010. ნანახი 2017
62. ^ "Vietnam's war against Agent Orange". BBC News. 14 June 2004. ნანახი 2017
63. ^ Verdourt, Bernard; Trump, E.C.; Church, M.E. (1969). "Common poisonous plants of East Africa". London: Collins: 254
64. ^ "An Introduction to Biological Weapons, Their Prohibition, and the Relationship to Biosafety", The Sunshine Project, April 2002. ნანახი 2017

65. ^ Lockwood, Jeffrey A. Six-legged Soldiers: Using Insects as Weapons of War, Oxford University Press, USA, 2008, pp. 9–26, (ISBN 0195333055).
66. ^ http://www.opbw.org/new_process/msp2010/BWC_MSP_2010_WP8_E.pdf
67. ^ Ouagrham-Gormley S. Dissuading Biological Weapons Proliferation. Contemporary Security Policy [serial online]. December 2013;34(3):473-500. Available from: Humanities International Complete, Ipswich, MA. Accessed 28 January 2015.
68. ^ Guillemin, J. (2013). The Soviet Biological Weapons Program: A History. Politics & The Life Sciences, 32(1), 102-105. doi:10.2990/32_1_102
69. a b Wilkening D. Modeling the incubation period of inhalational anthrax. Medical Decision Making [serial online]. 1 July 2008;28(4):593-605. Available from: Scopus®, Ipswich, MA. Accessed 28 January 2015.
70. ^ Toth D, Gundlapalli A, Adler F, et al. Quantitative Models of the Dose-Response and Time Course of Inhalational Anthrax in Humans. Plos Pathogens [serial online]. August 2013;9(8):1-18. Available from: Academic Search Complete, Ipswich, MA. Accessed 28 January 2015.
71. ^ Treadwell, Tracee (March–April 2003). "Epidemiological Clues to Bioterrorism" (PDF). Public Health Reports. 118: 93–94. PMC 1497515 . PMID 12690063. doi:10.1093/phr/118.2.92.
72. ^ Genuth, Iddo ; Fresco-Cohen, Lucille (13 November 2006). "BioPen Senses BioThreats", The Future of Things Archived 30 April 2007 at the Wayback Machine.
73. ^ Kelle A (2009) Security issues related to synthetic biology. Chapter 7. In: Schmidt M, Kelle A, Ganguli-Mitra A, de Vriend H (eds) Synthetic biology. The technoscience and its societal conse- quences. Springer, Berlin
74. ^ Garfinkel, M., Endy, D., Epstein, G., and Friedman, R. (2007). In Synthetic Genomics: Options for Governance. Available at: http://www.jcvi.org/cms/research/projects/syngen-options/overview/.

75. Croddy, Eric A.; Wirtz, James J., eds. (2005). Weapons of Mass Destruction. Jeffrey A. Larsen, Managing Editor.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ცოტაძე

თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა მოლაპარაკების პროცესზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

თბილისი, 2017 წელი

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა მოლაპარაკების პროცესზე. კვლევის მიზანია, პასუხი გასცეს კითხვას, თუ რა როლს ასრულებს თვითქმნადი წინასწარმეტყველება (ზოგიერთი მომავალი ქცევის ან მოვლენის შესახებ ვარაუდი, რომელიც მიმდინარე ურთიერთობებს მოლოდინის შესაბამისად ცვლის) პირისპირ ინტერაქციის პროცესში, კერძოდ, მოლაპარაკების დროს. შესაბამისად, კვლევა შეეხება ქცევის, აღმქმელის რწმენისა და სტერეოტიპების ერთიანი სისტემის გავლენას მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობაზე.

ნაშრომში საუბარია სხვადასხვა თეორიულ მიდგომაზე, როგორც მოლაპარაკების, ისე თვითქმნადი წინასწარმეტყველების შესახებ და გამოკვეთილია ფაქტორები (სქესი, ეროვნული კუთვნილება, სოციალური სტერეოტიპები), რომელიც არსებით გავლენას ახდენს როგორც ერთ, ისე მეორე ფენომენზე.

მეორე ნაწილში მოცემულია ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი, სადაც განხილულია აღმქმელისა და სამიზნის რწმენის, ქცევისა და სტერეოტიპების, როგორც თვითქმნადი წინასწარმეტყველების შემადგენელი ნაწილების გავლენა მოლაპარაკების პროცესზე. ასევე გაანალიზებულია კვლევაში მონაწილე პირების აღქმაზე მანიპულირების პროცესი ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მეშვეობით.

დასასრულს, შეჯამებულია კვლევის შედეგები, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკების პროცესში ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სქესი, ეთნიკურობა და საზოგადოებაში გავრცელებული უარყოფითი შეხედულებები (სტერეოტიპები), მართლაც ახდენს გავლენას ინდივიდის აღქმაზე, რაც შემდეგ აისახება სხვებთან ინტერაქციაზე. ვიმედოვნებ, აღნიშნული საკითხით დაინტერსება და მისი უფრო სიღრმისეულად შესწავლა დადებით შედეგებს მოუტანს საზოგადოებას, რამდენადაც

დაეხმარება სადავო საკითხების განხილვისას სუბიექტური, მიკერძოებული აღქმის გაანალიზებასა და მის დაძლევაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *თვითქმნადი წინასწარმეტყველება, მოლაპარაკება, სტერეოტიპი, ქცევა, აღმქმელი, სამიზნე, რწმენა, ინტერაქცია.*

Abstract

The Impact of Self-Fulfilling prophecy on Negotiation Process

Mariam Tsotadze

Prior thesis has demonstrated the impact of Self-fulfilling prophecy on negotiation process. The main purpose of this study is to answer the question, what role does self-fulfilling prophecy _ surmise on some future behavior or event that causes the change in current relationships as it was expected _ plays in the process of face to face interaction, in particular, in the process of negotiation. Accordingly, the author of above cited research examines the impact of behavior, the perceiver's belief and social stereotypes, as the influence of whole system on the process of negotiation.

This paper discusses the different theoretical approaches on negotiation and self-fulfilling prophecy and it outlines some factors like a gender, nationality and social stereotypes, which have substantial effects on self-fulfilling prophecy as well as on negotiation.

The second part of the thesis provides an analysis of empirical research, which discusses the influence of the component parts of self-fulfilling prophecy: belief, behavior and stereotypes on the perceiver and the target in negotiation process. It also analyzes the process of manipulation on the perception of participants through the above-mantioned factors.

In conclusion, the results of the survey are summarized, indicating that in the process of negotiation characteristics like gender, ethnicity and negative views of society (stereotypes) have real affects on individuals' perception. This affects afterwards are reflected on the interaction with other people. The author hopes that interest and more in-depth study of this issue will bring positive results for society as far as it will help to discuss on disputed issues and overcome subjective and biased perceptions during the discussion.

Key words: *Self-fulfilling prophecy, negotiation, stereotype, act, perceiver, target, belief, interaction*

სარჩევი

1. შესავალი 5
1.1. პრობლემის აქტუალობა 5
1.2. მიზნები და ამოცანები 8
1.3. სამიზნე ჯგუფი და კვლევის მეთოდები 9
1.4. კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება 10
1.5. კვლევის შეზღუდვები 12
1.6. ეთიკური მხარე 12
2. ძირითადი ნაწილი 14
2.1. თვითქმნადი წინასწარმეტყველება 14
2.1.1. თვითქმნადი წინასწარმეტყველება და სოციალური სტერეოტიპები 17
2.1.2. სოციალური რწმენები და სოციალური რეალობა 20
2.1.3. თვითქმნადი წინასწარმეტყველების კონცეფცია 22
2.2. მოლაპარაკება 25
2.2.1. მოლაპარაკება როგორც კონფილქტის რეგულაციის გზა 29
2.2.2. სტრერეოტიპები მოლაპარაკებაში 32
2.3. თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა მოლაპარაკებაზე 35
2.4. ემპირიული კვლევის შედეგები 39
2.4.1. ზოგადი მიმოხილვა 39
2.4.2. გედნერული სტერეოტიპები მოლაპარაკებაში 42
2.4.3. ეთნიკური სტერეოტიპები მოლაპარაკებაში 47
2.4.4. აღმქმელის/სამიზნის რწმენისა და ქცევის ცვლილება 51
2.4.5. კვლევის შედეგების შეჯამება 59
3. დასკვნა 62
4. გამოყენებული ლიტერატურა 64
5. დანართი 67

1. შესავალი

1.1. პრობლემის აქტუალობა

ყოველდღიური ცხოვრება ინტერაქციის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ამ ურთიერთქმედებებს მნიშვნელოვნად განაპირობებს თვითქმნადი წინასწარმეტყველება (იგივე თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება). ტერმინი „თვითქმნადი წინასწარმეტყველება“, პირველად რობერტ მერტონმა გამოიყენა, რათა აღეწერა „ახალი ქცევის წარმომშობი, სიტუაციის მცდარი დეფინიცია, რომელიც თავდაპირველ მცდარ კონცეფციას სინამდვილედ აქცევს“ (Merton, 1968). მან აღნიშნული კონცეფციის ილუსტრირება მოახდინა ბანკის მაგალითზე, რომლის მიხედვით, მომხმარებლების მოლოდინის გამო, რომ ბანკი გაკოტრდებოდა, მათ დაბანდებული კაპიტალის გატანა დაიწყეს, რამაც მართლაც გამოიწვია ბანკის გაკოტრება და დახურვა.

დროთა განმავლობაში, ადამიანის, როგორც ინდივიდუალური აქტორის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯისა და ამ ნაბიჯის მომტანი შედეგის მნიშვნელობის გაზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა ინტერესი თვითქმნადი წინასწარმეტყველებისა და ურთიერთქმედების პროცესში მისი გავლენის შესახებ. სოციალური მეცნიერებების არაერთი წარმომადგენელი, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და განიხილავენ როგორც სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური, ასევე კონფლიქტოლოგიური კუთხითაც. აღნიშნული ფენომენი მნიშვნელოვანია მოლაპარაკების პროცესშიც, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოლაპარაკებას ძირითადად კონფლიქტი, დავა უდევს საფუძვლად. მოლაპარაკებებში წარუმატებლობა, ხშირად გაუგებრობის ან არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. მოლაპარაკება, ესაა იგივე გარიგება, შეთანხმების მიღწევის მცდელობა, რაიმე საკითხზე; თავის მხრივ, ყველა გარიგებაში, მონაწილეს ებადება მარტივი კითხვა - „რამდენად მომგებიანია ეს გარიგება?“ - პასუხი ხშირად

აღქმაზე და კონტექსტზეა დამოკიდებული. როდესაც საქმე მოლაპარაკების კონკრეტულ გარემოებებს ეხება, მისი შეფასების პროცესი საკმაოდ კომპლექსური ხდება, რადგან აქცენტი კეთდება მოლაპარაკების სტრატეგიულ ხასიათზე და გრძელვადიანი შედეგებისა და საბოლოო წარმატების მიღწევაზე. ნათელია, რომ არსებობს ძირითადი ელემენტები, რომელიც მოლაპარაკების მიმდინარეობას, მის მნიშვნელობასა და შედეგზე უშუალო გავლენას ახდენს. უმეტესად, ეს უკავშირდება მოლაპარაკებაში ჩართული მხარეების მიერ ფაქტის საკუთარი გადასახედიდან „სწორად“ და „არასწორად“ განსაზღვრას, რასაც დიდწილად განაპირობებს თვითქმნადი წინასწარმეტყველება.

“თუ ადამიანები განსაზღვრავენ სიტუაციას, როგორც რეალურს, ისინი თავისი შედეგებით, მართლაც რეალური ხდება.“ (Thomas, 1928) ამ ფრაზით, ტომასი წინასწარ შექმნილი მოლოდინების გამართლებაზე და წინასწარი განწყობის რეალურად გადაქცევაზე მიუთითებს. მოლაპარაკება, თავისი არსით, გარიგების პროცესია, სადაც ორი სხვადასხვა მხარე ცდილობს არსებულ გამოწვევასა თუ პრობლემას ერთი საერთო მიზნის ან ობიექტის პოვნით გაუმკლავდნენ, რომელიც ორივესთვის მისაღები იქნება. ბუნებრივია, ამ დინამიურ პროცესში წინასწარი განწყობები დიდ როლს ასრულებს. აქტორის მიერ წინასწარ შექმნილი ვარაუდი აიძულებს მეორე მხარეს, ისეთი მოქმედებით უპასუხოს მას, რომ საკუთარი წინასწარი განწყობის სისწორეში დაარწმუნოს.

იმ ფონზე, რომ მოლაპარაკებები ჩვენი როგორც პროფესიული, ისე პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მნიშვნელოვანია, მოლაპარაკების წარმართვის უნარის გამომუშავება, რათა შევძვლოთ საკუთარი ინტერესების დაცვა, შეთანხმებების მიღწევა, რაც შეამცირებს კონფლიქტებს და შექმნის მყარ საფუძველს ხანგრძლივი პარტნიორობისათვის. როგორც ნელსონ მანდელა აცხადებდა, „მოლაპარაკება და დისკუსია დიდებული იარაღია, რომელიც გვაქვს მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის“, თუმცა მოლაპარაკება არამხოლოდ ისეთ

გლობალურ კონტექსტშია დიდი მნიშვნელობის მატარებელი, როგორც ხსენებულ ციტატაშია ნაგულისხმევი; იგი მნიშვნელოვანია როგორც ინტერპერსონალურ, ისე შიდაჯგუფურ და ჯგუფთაშორის არსებულ ურთიერობებშიც. სწორედ ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან შედგება საზოგადოებები, მცირე ერთობებისაგან - მაკრო ჯგუფები. ამიტომაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საზოგადოების შემადგენელი სტრუქტურის ყველა რგოლი ფლობდეს მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის უნარს, ისევე როგორც მათი მიმდინარეობისას მიკერძოებულობისა და წინასწარი, სუბიექტური აღქმების გამიჯვნის, პერსონისა და განსახილველი საკითხის ერთმანეთისაგან გამოყოფის უნარებს.

ფილოსოფოსმა, კარლ პოპერმა, თვითქმნად წინასწარმეტყველებას ოიდიპოსის ეფექტი უწოდა: „ერთ-ერთი იდეა, რომელსაც „ისტორიულობის სიღარიბეში“ განვიხილავდი, იყო წინასწარმეტყველების გავლენა ნაწინასწარმეტყველევ მოვლენაზე. ამას მე ვუწოდე „იოდიპოსის ეფექტი“ რადგან წინასწარმა პროგნოზმა ითამაშა დიდი როლი მოვლენათა იმ თანმიმდევრობაში, რომელმაც წინასწარმეტყველების შესრულება გამოიწვია... გარკვეული დროის მანძილზე, ვფიქრობდი რომ ოიდიპოსის ეფექტი სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ერთმანეთისაგან გამოყოფდა. მაგრამ ბიოლოგიაში _ მოლეკულურ ბიოლოგიაშიც კი _ მოლოდინები ხშირად არსულებენ როლს იმის რეალურად ქცევაში, რაც მოსალოდნელი იყო.“ (Popper, 1976)

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებითა და მოლაპარაკებასა და თვითქმნად წინასწარმეტყველებას შორის არსებული მჭიდრო კავშირის გამო, გასაკვირი აღარ არის, თუ რატომ ანიჭებს ამ ფენომენს მსოფლიოში ცნობილი სპიკერი და გაყიდვების კონსულტანტი, ბრაიან ტრეისი, დიდ მნიშვნელობას. მისი თქმით, რასაც მტკიცე რწმენით მოველით, სწორედ იგი ხდება ჩვენი საკუთარი თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება.

ვიმედოვნებ, აღნიშნული კვლევა, მცირე მასშტაბის მიუხედავად, ხელს შეუწყობს ამ თემით შემდგომ დაინტერესებასა და მის სიღრმისეულად კვლევას სოციუმის სხვადასხვა ფენებსა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენის შესწავლა მოლაპარაკების პროცესზე, ვფიქრობ, პოზიტიურ შედეგს მოუტანს საზოგადოების დიდ ნაწილს, რადგან ნათლად დაანახებს იმ შეცდომებსა თუ სუბიექტურ მიდგომებს, რასაც თითოეული ჩვენგანი იყენებს ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში.

მოლაპარაკების პროცესზე თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენის შესწვალა, და მისი როლის გაცნობიერება გაამარტივებს როგორც თავად მოლაპარაკების, ისე შეთანხმების მიღწევის პროცესს.

1.2. მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია, მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობისას, უშუალოდ ინდივიდებზე დაკვირვებით, იკვლიოს ქცევის, აღმქმელის რწმენისა და სტერეოტიპების ერთიანი სისტემის გავლენა მოლაპარაკების პროცესზე. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ თვითქმნადი წინასწარმეტყველების, როგორც სისტემური ერთობლიობის, ძირითად შემადგენელ კომპონენტებს. ხოლო, თითოეული მათგანის გავლენის შესწავლა მოლაპარაკების პროცესზე, მთლიანი სურათის დანახვის საშუალებას იძლევა.

მიზნის შესაბამისად, დასახულია შემდეგი ამოცანები:

- რა ფაქტორები აყალიბებს აღმქმელის რწმენას სამიზნის შესახებ;
- ქცევის ცვლილება მოლაპარაკების პროცესში თვითქმნადი წიანსწარმეტყველების გავლენით;
- თვითქმნადი წინასწარმეტყველების ბუნება სოციალურ სტერეოტიპებთან მიმართებით;
- როგორ აღწევს აღმქმელი საკუთარი რწმენის დადასტურებას.

1.3. სამიზნე ჯგუფი და კვლევის მეთოდები

სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ თბილისში მცხოვრები 20-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე ან არიან ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. საკვლევი თემა მოითხოვს ორიენტირებას გარკვეული სოციალური პროცესების სიღრმისეულ ანალიზზე და არა საზოგადოებაში არსებული სურათის აღწერაზე. სწორედ ამიტომ, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა საინტერესო შემთხვევების ფუნდამენტურად კვლევაზე, მათ გაანალიზებაზე და არა შესასწავლი შემთხვევების რაოდენობაზე.

შერჩევა

სამიზნე ჯგუფები კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე არ შერჩეულა. ძნელია ჩამოვაყალიბოთ ზუსტი წესები, რომელთა თანახმადაც ხდება მონაწილეების შერჩევა, რადგან თვისებრივი მეთდებით მუშაობისას, არასდროს გვაქვს საქმე რეპრეზენტატულ შერჩევასთან.(ზურაბიშვილი, 2006).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილეთა შერჩევა საკმაოდ მარტივი პრინციპით განხორციელდა: დავუკავშირდით კვლევისთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებებს (ამ შემთხვევაში თბილისში მცხოვრები 20-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდას) და წინასწარ შევუთანხმდით კვლევაში მონაწილეობასა და ჩატარების ადგილზე.

მონაცემების მოპოვების მეთოდები

მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულია სიმულაციური თამაში, რომელიც სპეციალურად თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენის საკვლევად შემუშავდა და გულისხმობს ოთხმხრივი მოლაპარაკების წარმოების ფონზე მონაწილეებში აღნიშნული ფენომენის როლის დანახვას და მის გაანალიზებას.

თვითქმანდი წინასწარმეტყველების გავლენის განსაზღვრა მოლაპარაკების პროცესზე, დიდი გამოწვევაა, სწორედ ამიტომ, სიმულაციის ჩატარებას გარკვეული უპირატესობები აქვს. პირველ რიგში, სიმულაციური გარემო უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს აქტორებს შორის. დამკვირვებელს შეუძლია დაინახოს, თუ როგორ აღიქვამს თითოეული მონაწილე არსებულ სიტუაციას, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზისთვის. უწყვეტი ინტერაქციის მეშვეობით, მონაწილეებს ეძლევათ დაშვებული შეცდომის გამოსწორებისა და ტაქტიკის შეცვლის საშუალება. დაშვებულ შეცდომებზე ისინი უკუკავშირს მყისიერად იღებენ, რაც დამკვირვებლის ინფორმაციას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის. რაც მთავარია, ამ მეთოდით, შესაძლებელია სიმულაციაში ჩართული აქტორების რწმენაზე მანიპულირება, რათა დავინახოთ, საკვლევ ფენომენსა და რწმენის ცვლილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული ექსპერიმენტული მეთოდი გვიჩვენებს თითოეული ინდივიდის სავარაუდო ღირებულებებს და გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ, რამდენად ადვილად მანიპულირებადია ისინი.

გარდა ამისა, ვფიქრობ, სიმულაცია, ერთგვარი ექსპერიმენტული დაკვირვებაა, ამ დროს კი გვეძლევა საშუალება, მიზეზ-შედეგობრივი მოვლენების დანახვით, შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ: რამდენი ფაქტორი იწვევს ცვლილებას, როგორია შედეგი და ა.შ.

1.4. კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება

თვითქმნადი წინასწარმეტყველების ფენომენი, ქართულ რეალობაში, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, მაშინ, როცა საზღვარგარეთ მისი მოქმედება გაანალიზებული და შესწავლილია არა მხოლოდ სოციალურ სფეროებში, ლიტერატურასა და მედიაში, არამედ ისეთ სფეროშიც კი, როგორიც სპორტია. რაც შეეხება მოლაპარაკებას, ბუნებრივია, იგი თვითქმნად წინასწარმეტყველებაზე მეტადაა ცნობილია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, თუმცა, მისი ტიპების, მეთოდებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ ინფრომაცია ბევრს არ აქვს. ორივე

ზემოთ ხსენებული ფენომენი, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, რადგან მოლაპარაკების წარმართვა და მისი შედეგი დიდწილადაა დამოკიდებული მომლაპარაკებლების განწყობებზე, მათ პოზიციებსა და ინტერესებზე, რომელიც არც თუ ისე იშვიათად, მცდარ წარმოდგენებს ემყარება.

ჩვენს საზოგადოებაში არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარე, მოლაპარაკება, როგორც დავების გადაჭრის ყველაზე სასურველი და ოპტიმალური ვარიანტი, აქტუალობას არ კარგავს. მოლაპარაკების სწორად წარმართვა, არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე, არამედ საზოგადოების შემადგენელი რგოლების - ჯგუფებს შორის, შიდაჯგუფურ და ინდივიდუალურ დონეზეც მნიშვნელოვანია. როდესაც ინდივიდები აღჭურვილნი არიან განსახილველი საკითხის შესახებ არსებული საერთო შეხედულების აღმოჩენისა და მოლაპარაკებაში ჩართული მხარეების ინტერესების ოპტიმალური დაკმაყოფილების უნარით, ასეთი ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებაში კონფლიქტების გამწვავებისა და მათი ნეგატიური გავლენის რისკი გაცილებით მცირეა, რის საპირისპიროდაც, შეთანხმების მიღწევისა და მისი სიმყარის შესაძლებლობები უფრო იზრდება.

აღნიშნული კვლევა შეისწავლის ორი საინტერესო ფენომენის ურთიერთკავშირსა და იმ ძირითად მახასიათებლებს, რასაც მოლაპარაკებაში ჩართული მხარეები როგორც გენდერული, ასევე ეროვნული მიკუთვნებულობის მხრივ ავლენენ. სიმულაციური თამაშებისგან მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ, შესაძლებლობა მოგვეცემა, გავეცნოთ ქართველი ახალგაზრდების მოლაპარაკების უნარებს, შესაძლებლობებსა და თვითქმნადი წინასწარმეტყველების მოქმედებას მონაწილეების აღქმასა და ქცევაზე, რაც პირდაპირ აისახება მოლაპარაკების შედეგებზე. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რამდენად ადვილად მანიპულირებადია მონაწილეების შემეცნება და რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს შეთანხმების მიღწევას. ასევე, კვლევა ხელს შეუწყობს თვითქმნადი წინასწარმეტყველების სწორად გააზრებას - იგი გულისხმობს წინასწარმეტყველებას,

რომელიც ცნობილია, რომ დანამდვილებით მოხდება, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ იწვევს მომავალში განვითარებული მოვლენები წარსულში ნაწინასწარმეყველებ შედეგებს. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება მოვლენათა მარტივი დამთხვევა და არა თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება.

1.5. კვლევის შეზღუდვები

როდესაც მკვლევარი საკითხის შესასწავლად მიმართავს სიმულაციურ თამაშებს, იგი გარკვეული რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. თუ სიმულაცია საკმარისად რეალისტური არ არის, მაშინ მისი ვალიდურობაც ეჭვის ქვეშ დგება: თამაში არ არის რეალური ცხოვრების მსგავსი, რადგან გარკვეულ დონეზე, ადამიანებმა იციან, რომ როლური თამაში მალე დასრულდება, იმის მიუხედავად, თუ რამდენად გათავისებული აქვთ საკუთარი როლი. მეორე მხრივ, სიმულაციაში მონაწილე პირი იმდენად იდენტიფიცირდეს საკუთარ როლთან, რომ მოგვიანებით მართლაც რეალობაში გადმოიტანოს როლით გათვალისწინებული ქმედებები.

გარდა ამისა, სიმულაციური თამაშის განზოგადება დიდ პოპულაციაზე ნაკლებად სანდოა, თუმცა, როგორც აღინიშნა, შესასწავლი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, მთავარია მიმდინარე მოვლენების ძირეული შესწავლა და ანალიზი. სიმულაცია კი იძლევა კონტროლის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანი უპირატესობაა ისეთი საკითხის შესწავლისას, რომელსაც მკვლევარის მიერ წინასწარი შთაბეჭდილების შექმნა სჭირდება. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობს მკვლევარის ფაქტორი და მიკერძოების საშიშროება, თუმცა, მსგავსი რისკები თან ახლავს ყველა სახის კვლევას.

1.6. ეთიკური მხარე

თვისებრივი მეთოდები ნაკლებად ფორმალიზებული და მეტად „მოქნილია“, რაც მკვლევარს თავისუფლებასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. მიუხედავად ამისა, კვლევა ჩატარდა ეთიკური პრინციპების დაცვით.

თითოეული რესპონდენტის მონაწილეობა ექსპერიმენტში იყო ნებაყოფლობითი. ისინი წინასწარ გაეცნენ საკვლევი საკითხის ძირითად მიზანს და ამოცანებს, სიმულაციის პირობებსა და საკუთარ როლებს. მონაწილეებს ინფორმაცია ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ანონიმურობა სრულად შენარჩუნდებოდა როგორც კვლევის მიმდინარეობისას, ისე მონაცემების დამუშავებისა და ანგარიშის წარდგენის ეტაპებზე. ისინი ინფორმირებულნი იყვნენ იმის შესახებ, რომ უნდა მომხდარიყო პროცესის აუდიო ჩაწერა მისი შემდგომი გაანალიზების მიზნით, რაზეც მათ თანხმობა განაცხადეს. სიმულაციური თამაშის მონაწილეებს განემარტათ, რომ აუდიოჩანაწერი ხელს არ შეუშლიდა მათი კონფიდენციალობის დაცვას.

2. ძირითადი ნაწილი

2.1. თვითქმნადი წინასწარმეტყველება

სოციალურ ურთიერთქმედებებში ადამიანები საკუთარი ქცევის დაგეგმვისას ხშირად იყენებენ სუბიექტურ წმენებსა თუ მოლოდინებს სხვების შესახებ, რაც თავის მხრივ, შეიძლება ზემოქმედებდეს სხვებთან ურთიერთობაზე და ისინი იმგავრად მოიქცნენ, რომ საწყისი რწმენა გაამართლონ. თუ დავესესხებით ერთ-ერთ მიკროსოციოლოგიურ თეორიას, სიმბოლურ ინტერაქციონიზმს, რომელიც კონცენტრირდება ერთეულ აქტებსა და მათ შორის ინტერაქციაზე, ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვს. ამრიგად, სოციალური სამყარო შედგება იმ მნიშვნელობებისაგან, რომლებსაც ადამიანები მიაწერენ მოვლენებს. საგანთა მნიშვნელობები მიიღება სოციალური ინტერაქციებიდან, რომელთაც ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ; ეს მნიშვნელობები განიმარტება და მოდიფიცირდება ინტერპრეტაციული პროცესების წყალობით: აქტორი არჩევს, ამოწმებს, ეჭვი შეაქვს, გადააჯგუფებს და სახეს უცვლის მნიშნელობებს იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც ის იმყოფება. სიმბოლური ინტერაქციის დროს ინდივიდები ავტომატურად კი არ რეაგირებენ სხვათა ჟესტებზე, არამედ ახდენენ მათ ინტერპრეტაციას, ანუ ანიჭებენ მათ მნიშვნელობებს. (კოდუა ე., 2004)

ტერმინი თვითქმნადი წინასწარმეტყველება 1948 წელს რობერტ მერტონმა გამოიყენა, რათა აღეწერა „იმ სიტუაციის ცრუ დეფინიცია, რომელიც ინდივიდს უბიძგებს იმ ქმედებისკენ, რომელიც თავდაპირველად არსებულ არასწორ კონცეფციას სინამდვილედ აქცევს“ (Merton 1968). აქტორები ნაკლებად რეაგირებენ კონკრეტული სიტუაციის ობიექტურ რეალობაზე, ისინი ყურადღებას მეტად ამახვილებენ ინდივიდუალურ და აღიარებულ მნიშვნელობებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუბიექტური ამოსავალი წერტილი უფრო გავლენიანია ინტერაქციისას, ვიდრე ურთიერთქმედების პარტნიორის ობიექტური ცვლადები და თავად სიტუაცია.

თვითქმნადი წინასწარმეტყველება ზოგიერთ შესაძლო ქცევასთან და მოვლენასთან დაკავშირებით გაკეთებული წინასწასწარმეტყველებებია, რომლებიც იმგვარად ცვლიან ქცევით ურთიერთობებს, რომ ისინი ისეთ სახეს იღებენ, როგორსაც ადამიანები ერთმანეთისაგან ელოდნენ. (კოდუა ე., 2004)

თვითქმნადი წინასწარმეტყველება არის კონკრეტული ტიპის დინამიური პროცესი. იმისთვის, რომ პროცესი თვითქმნად წინასწარმეტყველებად ჩაითვალოს, უნდა შეგვეძლოს ისეთი თავისებურებების გამოყოფა, როგორიცაა შედეგები, რომელიც სინამდვილეს თავდაპირველ რწმენას შეუსაბამებს და განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმი.

თვითქმნადი წინასწარმეტყველების მოჩვენებითი სინამდვილე შეცდომის მუდმივად არსებობას უზრუნველყოფს: წინასწარმეტყველებას მოჰყვება მოვლენების რეალური კურსი, როგორც იმის მტკიცებულება, რომ იგი თავიდანვე სწორი იყო. თვითქმნადი წინასწარმეტყველება განსაკუთრებული ფენომენია, როდესაც ნავარაუდევი მოვლენა წარმოშობს საკუთარ თავს, ანუ თვითრეალიზდება. ამ შემთხვევაში ის, თუ რას ფიქრობენ ადამიანები კონკრეტული ინდივიდის სამომავლო ქცევის შესახებ, სწორედ ამგვარ ქცევას წარმოქმნის. (ბალიაშვილი მ., 2013)

სოციალური თეორიების გარდა, თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებას დიდი ყურადღება ეთმობა კონფლიქტოლოგიაში, კერძოდ, იგი ესკალაციის პროცესში, თვითგანმტკიცების მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. ამ შემთხვევაში, ერთი მხარის ნეგატიური წარმოდგენები უბიძგებს მეორე მხარეს მოიქცეს ისე, რომ გამოიწვიოს პირველი მხარის განაწყენება და აღშფოთება, რაც განამტკიცებს არსებულ წარმოდგენებს. ანალოგიურ ციკლურ პროცესს შეუძლია განამტკიცოს მეორე მხარის წარმოდგენები პირველის შესახებ. ერთი მხარის თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება უმეტესად ძლიერდება იმით, თუ რას აკეთებს მეორე მხარე და აჯერებს პირველს მისი ყველაზე უარესი ეჭვების სისწორეში. მაგრამ ზოგჯერ წინასწარმეტყველებას განამტკიცებს ისიც, რომ მეორე მხარე არაფერს აკეთებს

პირველის ეჭვების გასაბათილებლად. ასეთ შემთხვევაში ერთი მხარის მცდარი წარმოდგენები მტკიცდება მეორე მხარის უმოქმედობით. (Rubin, Pruit, Kim, 1994).

როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკაში, თვითქმნადი წინასწარმეტყველება სამი ეტაპისაგან შედგება: პირველ რიგში, ჩნდება ადამიანის რწმენა, რომ გარკვეული მოვლენა მომავალში მოხდება. ამგვარად, პროცესის მოდულის პირველი ეტაპი მოიცავს პროგნოზის, პერსპექტივისა და წინასწარმეტყველების ელემენტებს. თვითქმნადი წინასწარმეტყველების მეორე ეტაპს აღწერს ამ მოლოდინის შესაბამისად, ადამიანის ახალი ქცევის ჩამოყალიბება. მესამე ეტაპზე, მოსალოდნელი მოვლენა ხდება - წინასწარმეტყველება სრულდება. წინასწარმეტყველება შესრულებულია, თუ ნაწინასწარმეტყველევი წარმოადგენს მოვლენების ჯაჭვში მიზეზობრივ ელემენტებს, რომელთაც შედეგი გამოიღეს.

თვითქმნადი წინასწარმეტყველების ერთ-ერთი ცნობილი ნიმუშია როზენტალისა და იაკობსონის გამოკვლევა. მათი ვარაუდით, ღარიბი, ფერადკანიანი მოსწავლეები სკოლაში კარგად ვერ სწავლობდნენ იმიტომ, რომ მასწავლებლები მათგან წარმატებას არ მოელიან და შესაბამისად, ეპყრობიან როგორც უნიჭოებსა და გაუზრდელებს. მოსწავლეების მხრიდან, ეს ბადებს ისეთ ქცევას, რისი მოლოდინიც ჰქონდათ მასწავლებლებს.

რადგანაც მოსწავლეთა შესახებ უარყოფითი წარმოდგენის ექსპერიმენტული ფაბრიკაცია დაუშვებელია, როზენტალმა სხვა გზას მიმართა და გადაწყვიტა, ხელოვნურად შეექმნა მოსწავლეებისათვის დადებითი იმიჯი. მან მასწავლებლებს განუცხადა, რომ ეს ბავშვები „მომავალი ვარსკვლავები არიან“ და მომავალ წელს საოცარი ინტელექტუალური წინსვლა ექნებთ. წლის ბოლოს, ეს წინასწარმეტყველება გამართლდა: ე.წ. „ეტიკეტირებული“ ბავშვების აკადემიური მოსწრება და ინტელექტუალური ზრდის მაჩვენებელი საგრძნობლად ამაღლდა დანარჩენ მოსწავლეებთან შედარებით. თუ ეს ბავშვები რეალურიად არ განსხვავდებოდნენ თანაკლასელებისაგან, საიდან გაჩნდა აღნიშნული პოზიტიური შედეგი? როზენტალი

მიიჩნევს, რომ მასწავლებელთა მხრიდან, ადგილი ჰქონდა ამ ბავშვების წახალისებას: მათ ეთმობოდათ მეტი ყურადღება და მთლიანობაში, დადებითად ეკიდებოდნენ, რამაც რეალურად გაზარდა ამ მოსწავლეების სასკოლო წარმატება. ამ კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით, როზენტალი ფიქრობს, რომ მასწავლებელთა ნეგატიური მოლოდინები ხშირად თვითქმნად წინასწარმეტყველებად იქცევა და შესაბამის ქცევას იწვევს (Rosenthal, R., &. Jacobson, L., 1963)

როგორც ტოუსონი და ზანა აღნიშნავენ, სხვადასხვა კვლევამ დაადასტურა თვითქმნადი წინასწარმეტყველების პოტენციალი იმ მოლოდინებთან მიმართებით, რომელიც ინდივიდის შესაძლებლობების შესახებ არსებულ ცოდნას ეფუძნება. (Towson, Zanna, Macdonald, 1985). კვლევების თანახმად, ქცევის მოლოდინები, რომელიც დამყარებულია კონკრეტულ ჯგუფში ინდივიდის წევრობაზე, შესაძლოა გარდაიქმნას თვითქმნად წინასწარმეტყველებად. თვითქმნადი წინასწარმეტყველება „სოციალური სარკის“ ფუნქციას ასრულებს, რაც იმას გულისხმობს, ადამიანი მის მიმართ მიწერილ გარკვეულ თვისებას ეთანხმება და ბიძგს აძლევს შემდგომი შესაბამისი ქცევისთვის.

2.1.1. თვითქმნადი წინასწარმეტყველება და სოციალური სტერეოტიპები

სოციალურ მეცნიერებაში სტერეოტიპების გაგებისა და ახსნის სამი ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა არსებობს: ფსიქოდინამიკური, სოციოკულტურული და კოგნიტური მიდგომა. **ფსიქოდინამიკური მიდგომის** მიხედვით, რომელიც ფროიდის ნაშრომებში იღებს სათავეს, სტერეოტიპები მიუღებელი ადამიანური იმპულსების მანიფესტაციას წარმოადგენს. ადამიანთა დაჯგუფების შესახებ რწმენებს ინდივიდი (აღმქმელი/დამკვირვებელი) შინაგან კონფლიქტებთან გასამკლავებლად ან მოტივაციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებს, მაგალითად, საკუთარ თავზე უარყოფითი წარმოდგენების დაკნინებულ ჯგუფზე პროეცირებით. **სოციოკულტურული მიდგომა** სტერეოტიპებს ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ფართო სოციოლოგიური ძალების მოქმედების შედეგად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში,

სტერეოტიპები, უპირატესად, შეთანხმების საფუძველზე საზიარო რწმენებია, რომლებიც ჯგუფთაშორის ურთიერთობებში არსებული წესრიგის რაციონალიზაციას ახდენენ. ეს რწმენები კულტურის განუყოფელი ნაწილია და სოციალიზაციის გავლენიანი ძალებით შენარჩუნდება. **კოგნიტური მოდელი** ადამიანის ფუნქციონირებაში ბაზისურ კოგნიტურ პროცესებზე ფოკუსირდება, რომელიც საფუძვლად უდევს სტერეოტიპების შექმნას. ის ხაზგასმით გამოკვეთს იმას, თუ რამდენად არის სტერეოტიპი სოციალური კატეგორიზაციის პროცესების შედეგი, რომელიც, თავის მხრივ, ინდივიდის მიერ დიდი რაოდენობით აღქმულ ინფორმაციასთან ეფექტურად გამკლავების მცდელობიდან გამომდინარეობს (გერიგი, რ. ზიმბარდო, ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ.).

კოგნიტური სოციალური ფსიქოლოგია ყურადღებას ამახვილებს პროცესზე, რომლითაც თითოეული ინდივიდი იღებს ცოდნას, ქცევისა თუ მოვლენის შესახებ, რომელსაც ისინი ელიან სოციალური ინტერაქციის შედეგად და ასევე იმაზე, თუ როგორ იყენებენ ისინი ამ ცოდნას, რათა თავიანთ ქმედებებს მისცენ მსვლელობა ამ პერსპექტივიდან, ადამიანები არიან „კონსტრუქციული მოაზროვნეები", რომლებიც ეძებენ ქცევის გამომწვევ მიზეზებს, გამოაქვთ დასკვნები ინდივიდებსა და გარემოებებზე და მოქმედებენ ამ ცოდნის შესაბამისად. (Snyder M. Berscheid E. Decker Tanke E.,1977).

სოციალური სტერეოტიპები ინტერპერსონალური პერცეფციის განსაკუთრებული შემთხვევებია. ჩვეულებრივ, სტერეოტიპები მარტივი, გენერალიზებული და ფართოდ აღიარებულია (Karlins, Coffman & Walters, 1969). მაგრამ ისინი ხშირად მცდარია, მაგალითად, უბრალოდ არასწორია, რომ ყველა გერმანელი ინდუსტრიალისტია ან ყველა ქალი სხვაზე დამოკიდებული და კონფორმულია. მიუხედავად ამისა, ბევრი სოციალური სტერეოტიპი შეიცავს მეტად თვალსაჩინო და ისეთ თვითმყოფად მახასიათებლებს, როგორიცაა სქესი და რასა. როგორც წესი, ინფორმაციის ეს ნაწილია პირველ რიგში თვალსაჩინო სოციალური ინტერაქციის

დროს და სწორედ ისინი ასრულებენ დიდ როლს ინფორმაციის შემდგომი გადაცემის, გაცვლისა და ზოგადად, ურთიერთობის პროცესში. ამდენად, სოციალური სტერეოტიპები წარმოადგენს ტესტირების იდეალურ ნიადაგს, პიროვნების შემეცნებითი და ქცევითი აღქმის შედეგების გათვალისწინებით. ბევრ ფაქტორს შეუძლია დახმარება, ჩვენი სტერეოტიპების შესუსტებაში და სხვებისთვის სპეციფიკური ნიშნის მინიჭებისაგან თავის არიდებაში. პირველ რიგში, სოციალურმა სტერეოტიპებმა გავლენა უნდა მოახდინოს ინფორმაციის გადაცემის გზებზე, რომელმაც შესაძლოა გააფართოვოს და გაამყაროს სტერეოტიპები.

სტერეოტიპების კოგნიტური „გამძლეობა“: როგორც ინფორმაციის მატარებლები, ადამიანები იმთავითვე ხდებიან ფრენცის ბეკონის მიერ აღწერილი კოგნიტური პროცესის მსხვერპლნი: “ადამიანის გაგება, როდესაც რაიმე სახის წინადადება ერთხელ უკვე ფორმულირებულია, ყველანაირი ძალით ცდილობს ახალი მხარდაჭერისა და დადასტურების დამატებას ამ წინადადებისთვის... ეს არის მუდმივი შეცდომა ადამიანის გაგებისა, რომ უფრო მეტად იყოს აღფრთოვანებული რაიმეს დამტკიცებით, ვიდრე მისი უარყოფით“ როდესაც მოხდება სტერეოტიპის ერთხელ შეთვისება, მრავალფეროვან მტკიცებულებათა მთელი რიგი შესაძლოა ინტერპრეტიტდეს, როგორც ამ კონკრეტული სტერეოტიპის განმამტკიცებელი და გამაძლიერებელი, იმ გარემოებების ჩათვლით, რომელიც შესაძლოა საპირისპირო ინტერპრეტაციის განმტკიცებისთვისაც წარმატებით გამოვიყენოთ. შერჩევითი სიგნალები და ინფორმაციის რეინტერპრეტირება ინდივიდის წარსულიდან, შესაძლოა გახდეს მიმდინარე, სტერეოტიპზე დაფუძნებული დასკვნის მიზეზი. როდესაც პიროვნება გადაწყვეტს სხვას მიაწეროს რაიმე კონკრეტული თვისება, მისვის უფრო ადვილი ხდება გაიხსენოს ქცევები, რომელიც ამ მიწერილ თვისებას შეესაბამება და ამყარებს.

სოციალური სტერეოტიპების ქცევითი დადასტურება: შესაძლებელია, ზემოთ განხილული კოგნიტური გამძლეობა, აღმქმელისთვის წარმოადგენდეს

მტკიცებულების ბაზას, რომელიც მკაფიო შემეცნებითი რეალობის ელფერს სძენს ნებისმიერ თვისებას, რომელიც ინდივიდმა, შესაძლოა, შეცდომით მიაკუთვნა თავდაპირველად თავის სამიზნეს. ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად შემეცნებითი მოვლენაა: იგი მაყურებლის თვალსა და გონებაშია. თუმცა, სტერეოტიპზე დაფუძნებულმა ატრიბუციებმა, შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს სამიზნის მომავალი ქცევის შესახებ პროგნოზებს, რომელიც მის მიმართ აღმქმელის ურთიერთობაზე გავლენას იქონიებს. ამ პროცესმა თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს შეცდომით გაკეთებული პროგნოზის დადასტურება და განამტკიცოს აღმქმელის ატრიბუციები. როგორც ალბერტ ბანდურა აღნიშნავს, როგორ გვეპყრობიან სხვები, დიდწილად წარმოადგენს იმის ანარეკლს, თუ როგორ ვეპყრობით ჩვენ სხვებს.

2.1.2. სოციალური რწმენები და სოციალური რეალობა

ამერიკელი სოციოლოგის, რობერტ მერტონის მიხედვით, მაღალი შემოსავლის მქონე ამერიკელები, საკუთარ წარუმატებლობას არა თვითქმნად წინასწარმეტყველებას, არამედ არსებულ ეთნიკურ და რასობრივ ცრურწმენებს უკავშირებენ. ისინი აღნიშნულ რწმენებს უყურებენ არა როგორც ცრურწმენებს, არამედ როგორც საკუთარი დაკვირვების უტყუარ პროდუქტს. „საქმეში არსებული ფაქტები“ მათ არ უტოვებენ სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

„ეს ჩვენი სამართლიანი, თეთრკანიანი მოქალაქეები მტკიცედ უჭერენ შრომის ბაზარზე შავკანიანებისგან განცალკევების პოლიტიკას მხარს. მათი შეხედულებები, რა თქმა უნდა, არა ცრურწმენებს, არამედ უტყუარ ფაქტებს ეფუძნება. ხოლო ფაქტები საკმაოდ ნათლადაა წარმოჩენილი. შავკანიანები, „არაინდუსტრიული სამხრეთიდან, არიან არადისციპლინირებულნი და მათთვის ახალია სავაჭრო გაერთიანების ტრადიციები და კოლექტიური გაერთიანების თავისებურებანი.“ ცხოვრების დაბალი სტანდარტების მქონე შავკანიანები, იჭრებიან ბაზარზე ნაკლებად პრივილეგირებული ფენებისთვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების დასაკავებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, შავკანიანები, „მშრომელთა კლასის

მწვალებლები არიან“ და ისინი უნდა განცალკევდნენ ორგანიზაციათა გაერთიანებებისაგან“ (Merton, 1968). ავტორის დამოკიდებულება საშუალო, თეთრკანიანი ამერიკელის რწმენებისა და ცრურწმენების შესახებ სრულიად გასაგებია იმის ფონზე, რომ ზემოთ ხსენებული ამერიკელებისთვის შეუმჩნეველია ის, რომ ისინი და მათი მსგავსი ადამიანები ქმნიან იმ მტკიცე „ფაქტებს“ რომლებსაც შემდგომში თავადვე აკვირდებიან და რომელზე დაყრდნობითაც გამოაქვთ დასკვნები. სიტუაციის შეფასება იმგვარად, რომ შავკანიანები არიან უცნაურები და გაერთიანებათა პრინციპებისთვის სრულიად შეუფერებლები, დამთხვევათა მთელი სერიაა, რომელმაც ბევრი შავკანიანისთვის ძალზე რთული, თუ არა შეუძლებელი გახადა, მოღალატის როლის თავიდან არიდება.

ისტორია საკუთარ ტესტს ქმნის თვითქმნადი წინასწარმეტყველების თეორიის შესამოწმებლად. შავკანიანები იყვნენ წესების დამრღვევები იმიტომ, რომ ისინი განაცალკევეს სავაჭრო გაერთიანებებისაგან (და სამუშაო ადგილების დიდი ნაწილისგანაც) თუ ისინი განაცალკევეს იმიტომ, რომ წესებს არღვევდნენ? ამ კითხვაზე პასუხი იმ ამერიკელი თეთრკანიანი მოქალაქისთვის, რომელსაც მერტონი აღწერს, ცალსახად მეორე ვარიანტი იქნება.

ტომასის თეორემა გვთავაზობს თვითქმნადი წინასწარმეტყველების ტრაგიკული, ხშირად მანკიერი წრის დარღვევის შესაძლებლობებსაც. სიტუაციის საწყისი დეფინიცია, რომელმაც შეკრა აღნიშნული წრე, უნდა შეწყდეს. (Merton, 1968) როდესაც პირველად ვარაუდში ეჭვი შეაქვთ და სიტუაციის ახალი დეფინიცია გაცნობიერდება, მოვლენების თანმიმდევრული ნაკადი მიუთითებს ვარაუდის მცდარობაზე. ამ მომენტიდან, რწმენა აღარ არის უტყუარი. ამის მიუხედავად, სიტუაციის ამ ღრმად ფესვგადგმული განმარტებების შესახებ საკითხი არ არის მხოლოდ ნების მარტივი აქტი. ნება, ამ შემთხვევაში კი კეთილი ნება, არ შეიძლება ჩავრთოთ ან გამოვრთოთ ონკანის პრინციპით. სოციალური ინტელექტი და კეთილი ნება, თავად არიან ცალკეული სოციალური ძალების პროდუქტი. ისინი არ არის

შემოტანილი მასობრივი პროპაგანდისა და მასობრივი განათლების გზით, ამ ტერმინების ჩვეულებრივი გაგებით, რომელიც ასე ძვირფასია სოციოლოგიური პანაცეებისათვის. სოციალურ სამყაროში, მცდარი იდეები თანდათან უჩინარდება, როცა სიმართლეს უპირისპირდება. ფსიქიკური დაავადებები რომ უბრალოდ ჭეშმარიტების გავრცელებით იკურნებოდეს, ფსიქიატრები უმუშევრობისგან დაიტანჯებოდნენ და არა ზედმეტი მუშაობისგან. არც უწყვეტ „საგანმანათლებლო კამპანიას“ შეუძლია, მაგალითად, რასობრივი ცრურწმენისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

თვითქმნად წინასწარმეტყველებაზე საუბრისას, მერტონი ყურადღებას ამახვილებს შიდა და გარე ჯგუფებზეც. ეს სოციალური კატეგორიზაციის პროცესია, რომლის დროსაც ინდივიდი განსაზღვრავს, ვინ არის მისი მსგავსი და ვინ - არა. შესაბამისად, ადამიანები სოციალურ სამყაროს ორად ყოფენ: შიდა ჯგუფები - რომლებთანაც ინდივიდები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ და გარე ჯგუფები, რომელთანაც ისინი იდენტიფიცირებას არ ახდენენ. შიდაჯგუფური მიკერძოების შედეგად, მინიმალურად შესამჩნევი მინიშნებებიც კი საკმარისია, ტენდენციურობისა და ცრურწმენის ჩამოყალიბებისთვის მათ მიმართ, რომლებიც გარე ჯგუფებს მიეკუთვნება.

2.1.3. თვითქმნადი წინასწარმეტყველების კონცეფცია

თვითქმნადი წინასწარმეტყველების კონცეფცია განმარტავს არსებულ ელემენტებს და განასხვავებს მათ სხვა დინამიური პროცესებისაგან (Biggs, 2009). არსებობს ორი კრიტერიუმი, რომელთაგან პირველ კრიტერიუმს წარმოადგენს კაუზალური (მიზეზობრივი) თანმიმდევრობა:

(1) „X”-ს სჯერა, რომ “Y” არის “p”;

(2) „X“ ამის გამო აკეთებს b-ს;

(3) (2) პირობის გამო, “Y” მართლაც ხდება “p”.

ილუსტრაციისთვის, X მასწავლებელია, Y- სტუდენტი, ხოლო p შეესაბამება მაღალ აკადემიურ უნარებს. b არის ქცევა - შესაძლოა უკეთესი სწავლება ან უფრო მეტი დადებითი ემოცია სტუდენტის მიმართ, რაც შედეგად Y-ის დიდ მიღწევებთან დაკავშირებულ მოლოდინებს რეალობად აქცევს. მნიშვნელოვანია, რომ მე-3 ნაბიჯი ითხოვს, Y ნამდვილად გახდეს p და არა X-მა აღიქვას არასწორად, რომ Y გახდა p. თვითქმნადი წინასწარმეტყველება არ არის მხოლოდ შეფასების სისტემატური შეცდომის დადასტურება.

მეორე კრიტერიუმი არის მიზეზობრივი თანმიმდევრობის ცდომილება. “X” და „Y“ (ან თუნდაც ერთი მათგანი), არასწორად ვარაუდობენ, რომ კაუზალური თანმიმდევრობა ასეთია:

(0) “Y” არის p;

(1) “X” მიიჩნევს, რომ „Y არის p“ (0)-ის გამო;

(2) ამის გამო, “X” აკეთებს b-s;

(3) (0)-ის გამო, “Y” ამჟღავნებს, რომ არის p.

ორ გამომწვევ მიზეზს შორის განსხვავება შესაძლოა გამწვავებული იყოს კონტრაფაქტურობის მითითებით. თვითქმნადი წინასწარმეტყველება მოითხოვს, რომ X-ის რწმენის შეცვლა აისახოს შედეგზე და ისიც შეიცვალოს.

(1) X სჯერა, რომ „Y არის q“

(2) X ამის გამო აკეთებს c-ს;

(3) Y ხდება q (2)-ის გამო.

თუ მასწავლებელი ფიქრობს, რომ სტუდენტი უღიმღამოა, მას ძალზე განსხვავებულად მოექცევა, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს იმას, რომ სტუდენტი მართლაც ცუდად წარმოაჩენს საკუთარი ეფექტიანობის უნარს.

თვითქმნადი წინასწარმეტყველება შედგება კაუზალური თანმიმდევრობისგან, რომლის მიხედვითაც აქტორის რწმენა ხელს უწყობს მის რეალობად ქცევას, ამავე დროს კი აქტორ(ებ)ი არასწორად იგებენ მიმეზ-შედეგობრივ თანმიმდევრობას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთ-ერთის რწმენა ასახავს რეალობას. საბოლოო ნიმუში იმისა, რომ თვითქმნად წინასწარმეტყველებად მივიჩნიოთ მოვლენა, თავად ამ ფენომენთან დაკავშირებული თეორიაა. ის, რაც განაცალკევებს სოციალურ მეცნიერებებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან, ესაა რეალობის პოტენციალი, შეიცვალოს თეორიის მიერ. მაიკლ ბიგსი მსგავს თეორიებს თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველების შემცველ თეორიებად მიიჩნევს.

ადამიანები ხშირად ცვლიან საკუთარ დამოკიდებულებას იმის მიხედვით, რასაც ისინი საჯაროდ აღიარებენ. შეერთებულ შტატებში, მსგავსი კონცეფცია ფართოდ და თანმიმდევრულად გამოიყენება საჯარო განათლების რეფორმის სფეროში, კერძოდ „სიღარიბესთან ომისთვის“. ფილოსოფოსი თეოდორ ბრამელდი აღნიშნავდა, რომ უმარტივეს პირობებშიც კი, განათლება უკვე ავითარებს და ხელს უწყობს პირადი და კულტურული ცხოვრების ისეთ ჩვევებს, რომლებიც მისაღები და დომინანტურია (Brameld, 1972).

თვითქმნადი წინასწარმეტყველების კონცეფციის მიხედვით, მისი ძირითადი მახასიათებლები განხილულია ემპირიული მტკიცებულებების საფუძველზე, თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავრცელების შესაძლებლობთან მიმართებით. როგორც უკვე აღინიშნა, თვითქმნადი წინასწარმეტყველება დინამიური პროცესია, რომლის დროსაც, პირველ რიგში, იქმნება მიზეზობრივი თანმიმდევრობა; შემდეგ მკვიდრდება ცდომილება, სულ მცირე რომელიმე მონაწილის მიერ. ბოლო ეტაპზე კი იწყება მტკიცებულებების შეგროვება თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავრცელების მასშტაბებისა და მისი უკუკავშირის შესახებ.

2.2. მოლაპარაკება

მოლაპარაკება სოციალური ურთიერთქმედების გავრცელებული და მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი მიმდინარეობს ბიზნესისა თუ აკადემიურ სფეროში, არაფორმალური სოციალური ურთიერთქმედების გარემოში, როგორიცაა მეგობრების ან ოჯახის წევრების გარემოცვა. ცხადია, რომ მოლაპარაკება აუცილებელია ყველასთვის, ვისაც სურს ადამიანებთან ინტერაქცია, რათა თავის მიზნებს მიაღწიოს. ეტიმოლოგიურად, სიტყვა „მოლაპარაკება“ (negotiation), მე-15 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, ძველი ფრანგული და ლათინური გამონათქვამებიდან „negociacion” და “negociacionem“. ეს ტერმინები ნიშნავს „ბიზნესს, ვაჭრობას, ტრანსპორტირებას“. (Online Etymology Dictionary, 2014.)

მოლაპარაკება წარმოადგენს დისკუსიას, რომლის მიზანიც შეთანხმების მიღწევაა. კონფლიქტის, გენდერისა და მშვიდობის მშენებლობის სახელმძღვანელოს მიხედვით, მოლაპარაკების წარმართვა ყოველთვის ხდება პირისპირ, რაც გულისხმობს ორი მხარის არსებობას, რომელთა სადავო სკითხის გადაჭრაში მესამე მხარე არ ერევა. ი. ზარტმანი მოლაპარაკებას განმარტავს, როგორც პროცესს, სადაც მოქიშპე მხარეები გარკვეული მეთოდებით მიდიან შეთანხმებამდე. დ პრუიტი და პ.კარნევალე, მოლაპარაკებაში გულისხმობენ არაშესატყვისი მიზნებისა და განსახვავებული ინტერესების დასაძლევად მიმართულ დისკუსიას, რომელიც ორ ან მეტ მხარეს შორის მიმდინარეობს. ჰ.როისის აზრით, მოლაპარაკება განისაზღვრება, როგორც განსხვავებული და გადამკვეთი ინტერესები. ამ პროცესში ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მხარეები ცდილობენ მივიდნენ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტამდე.

მართალია, მოლაპარაკება სხვადასხვა სახისაა და სხვადასხვა გარემოებების ფონზე მიმდინარეობს, როგორიცაა თანამშრომლობა ან კონფლიქტი, მაგრამ მათ აქვთ საერთო ნიშნები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვასხვავოთ მოლაპარაკების პროცესის ორი მოდელი: 1. საერთო მოგებაზე, სარგებელზე მიმართული მოლაპარაკება (კმაყოფილდება ორივე მხარის ინტერესები) 2. დათმობა-მიახლოებაზე

მიმართული მოლაპარაკება (ამ შემთხვევაში, მხარეთა შორის იმართება ვაჭრობა, სანამ არ მივლენ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე). (ჯორბენაძე რ., 2001), შესაბამისად, გამოიყოფა მოლაპარაკების ორი ძირითადი მეთოდი: დისტრიბუციული და ინტეგრაციული მოლაპარაკება. **დისტრიბუციულ მოლაპარაკებებს,** როგორც წესი, რთულ, პოზიციურ მოლაპარაკებებს უწოდებენ, საიდანაც მხარეები ცდილობენ ფიქსირებული სარგებელი მიიღონ. მსგავსი მეთოდი გულისხმობს ნულოვანი ჯამით თამაშს, სადაც მხარეები ბენეფიტებს სხვათა ხარჯზე აღწევენ და პირიქით. ამ მიზეზის გამო, დისტრიბუციულ მოლაპარაკებებს წაგება-მოგების სტარტეგიას ადარებენ, რადგან ერთი მხარის მოგება, ამ შემთხვევაში, სწორედ მეორე მხარის დანაკარგის შედეგია.

დისტრიბუციული მოლაპარაკებების დროს, მიუხედავად იმისა, რომ იციან მეორე მხარე არ დათანხმდება, მხარეები ხშირად უკიდურეს პოზიციაზე დგანან _ შემდგომ კი გამოიყენება მწყობრიდან გამოსვლის და და ბლეფირების კომბინაცია, რაც გულისხმობს მაქსიმალურად მცირედის დათმობას შეთანხმების მიღწევამდე. საინტერესო ფაქტია, რომ დისტრიბუციულ მოლაპარაკებებს ხშირად მიმართავენ ადამიანები, რომელთაც მანამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონიათ და არც უახლოეს მომავალში ექნებათ. (Saner, 2008). დისტრიბუციული მიდგომის თანახმად, მოლაპარაკებაში ჩართული თითოეული მხარე იბრძვის ყველაზე მსხვილი მოგებისთვის, ასე რომ, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს მათი არა პარტნიორებად, არამედ მოწინააღმდეგეებად მოხსენიება.

ინტეგრაციულ მოლაპარაკებებს უწოდებენ ინტერესზე, ღირებულებებზე დაფუძნებულ ან პრინციპულ მოლაპარაკებებს. ეს არის მოლაპარაკების ტექნიკათა კომპლექტი, რომელიც ცდილობს, გააუმჯობესოს შეთანხმების ხარისხი და ალბათობა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განსხვავებული მხარეები შედეგებსაც განსხვავებულად აფასებენ. მაშინ, როცა დისტრიბუციულ მოლაპარაკებებში ფიქსირებულია ღირებულებათა როდენობა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს გაყოფა

მხარეებს შორის, ინტეგრაციული მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, პირიქით, ცდილობენ მოლაპარაკების პროცესში შექმნან ღირებულებები, რაც გულისხმობს შეთანხმების შესაძლებლობის გაფართოებას. ამგვარი მოლაპარაკებები ხშირად გულისხმობს ნდობისა და ურთიერთობის ჩამოყალიბებას. მას ასევე შეუძლია პრობლემის კრეატიულად გადაჭრა, რაც მიზნად ისახავს ორმხრივი მოგების მიღწევას. ინტეგრაციულ მოლაპარაკებებს ხშირად მოგება-მოგებაზე დაფუძნებულ მოლაპარაკებებსაც უწოდებენ, რადგან პროცესში ჩართული მხარეები ცდილობენ ორივე მხარის საუკეთესო ინტერესის შესაფერისი შეთანხმების მიღწევას. გასათვალისწინებელია, რომ კარგი შეთანხმება არა მაქსიმალური მოგების მიღებას გულისხმობს, არამედ, ოპტიმალური მოგებას _ ინტეგრაციული მოლაპარაკების სცენარში მოგება მიიღწევა არა სხვის ხარჯზე, არამედ მასთან ერთად. ამ დროს ყურადღება მახვილდება მხარეთა ინტერესებზე და არა მათ საწყის პრინციპულ პოზიციებზე; შესაბამისად, განსახილველი თემა აღქმულია როგორც საერთო პრობლემა, რომელზე შეთანხმების საფუძველს ობიექტური, მყარი კრიტერიუმები წარმოადგენს და არა როგორც პირადი, პერსონალური დაპირისპირების საგანი, როგორც არც თუ ისე იშვიათად ხდება. (Brazeal, 2009). ფიშერი თავის კოლეგებთან ერთად, წიგნში „Getting to Yes", ასახავს რამდენიმე ტექნიკას, რომელთა მიხედვით ეფექტურად უმჯობესდება მიღების პერსპექტივა და პრობლემის პერსონიფიცირებაც არ ხდება, ანუ ადამიანი და პრობლემა ერთმანეთისგან გამოყოფილია. ეს ტექნიკებია:

წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას - ხალხი ცდილობს მოიძიოს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ რწმენას და ხშირად იგნორირებას უკეთებენ ისეთ ინფორმაციას, რაც მათ წინასწარ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. ეფექტური მოლაპარაკებისთვის, მხარეები მზად უნდა იყვნენ, ერთმანეთის პერსპექტივიდან შეხედონ მოვლენებს.

განიხილეთ ერთმანეთის აღქმა - კიდევ უფრო პირდაპირი გზა, გავუგოთ მეორე მხარეს, არის ცხადად საუბარი ერთმანეთის აღქმებზე. თითოეულმა მონაწილემ ღიად და პატიოსნად უნდა გაანდოს მეორე მხარეს საკუთარი შეხედულებები ბრალის წარდგენის ან განსჯის გარეშე.

იპოვეთ შესაძლებლობები, იმოქმედოთ მათი შეხედულებებისგან განსხვავებულად - შესაძლოა, მეორე მხარეს წინასწარ გააჩნდეს გარკვეული შეხედულება და მოლოდინი სხვა მხარესთან მიმართებით. სხვა მხარეს შეუძლია იმოქმედოს იმგვარად, რაც პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში მოდის წინასწარ შექმნილ ნეგატიურ აზრებთან და ამით მკაფიო გზავნილი გაუგზავნოს მეორე მხარეს იმის შესახებ, რომ ინტეგრაციული მოლაპარაკების მზაობა არსებობს.

სახის შენარჩუნება (სახის გადარჩენა) – ეს მიდგომა ეხება ადრე გამოხატული პოზიციისა და ღირებულებების საფუძველზე მოლაპარაკებებში პოზიციის დასაბუთებას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნაკლებად თვითნებურია და აქედან გამომდინარე, უფრო გასაგებია მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია. (Fisher, Roger, Ury, Wiliam, & Paten, Bruce, 1991).

ჯ. როჯოტი გამოყოფს მოლაპარაკების სამ ფაზას, ესენია: 1. დაგეგმვა (მოქმედების დაწყება, ინფორმაციის შეგროვება და მათი შეფასება, გეგმის შემუშავება და შეხვედრის მომზადება); 2. მოლაპარაკების უშუალო პროცესი, რომელიც შედგება საწყისი, საშუალო და საბოლოო სტადიებისაგან; 3.მოლაპარაკების შემდგომი პერიოდი.

მოლაპარაკება, როგორც ფენომენი, საკმაოდ სიღრმისეულადაა შესწავლილი. მოლაპარაკებაში გამოიყოფა როგორც ფუნქციები (როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების, ინფორმაციული, კომუნიკაციური, პროპაგანდისტული თუ სხვა სახის ფუნქცია), ასევე მოლაპარაკების სახეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური, ინტერნალური, არასანქცირებული და ა.შ.). თუმცა, შესასწავლი საკითხიდან

გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ მოლაპარაკების სტილზე, რომელიც თავად კონფლიქტის ბუნებიდან გამომდინარეობს. რ. ფიშერი და ვ. იური მოლაპარაკების სამ სტილს გამოყოფენ: უხეში (მკაცრი), რბილი და პრინციპული. ხოლო, ა.ვ.გ. გოტშალკი, კონფლიქტის სტრატეგიებზე დაყრდნობით, აყალიბებს მოლაპარაკების ოთხ სტილს: 1. უხეში სტილი (შეესატყვისება შეჯიბრს, კონკურენციას) 2. თბილი სტილი (შეესაბამება თანამშრომლობას) 3. მიკუთვნებითი სტილი (შეესატვისება შეგუებას) 4. გამანაწილებელი სტილი (შეესატყვისება კომპრომისს). ბუნებრივია, ოთხივე სტილს გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარე. (ზურიკაშვილი, მაღრაძე და სხვ. 2003)

2.2.1. მოლაპარაკება როგორც კონფილქტის რეგულაციის გზა

მოლაპარაკების ძირითადი ფუნქციაა პრობლემის ერთობლივი გადაჭრა, სადაც ფუნქციის რეალიზაცია დამოკიდებულია მონაწილეთა დაინტერესებაზე. ჯ. დინი მხარეთა დაინტერესების სამ სახეს გამოყოფს: პირველი - ესაა მოლაპარაკება, სადაც ერთი ან ორივე ნაკლებად დაინტერესებულია საკითხის დადებითად გადაწყვეტაში ან ინდიფერენტულები არიან; მეორე - ეს არის მოლაპარაკება, რომელშიც მხარეები გამოხატავენ ინტერესს, გარკვეული შედეგების მისაღწევად (აქ გვხვდება შეზღუდვები საერთო პერსპექტივით), და მესამე - მოლაპარაკება, რომელშიც მხარეები არიან დაინტერესებული, პრობლემის ერთობლივ გადაჭრაში. მოლაპარაკებაში, ჯ. ნირენბერგი (1986) მონაწილეთა ურთიერთობებს მათი მოთხოვნილებების მიხედვით განიხილავს. მხარეები სხვადასხვა მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ, რომელიც შეიძლება მოლაპარაკების ფუნქციების მიხედვით გამოვლინდეს. აქ შედის ექვის ტრანსაქცია:

1. მოლაპარაკების მონაწილე მოქმედებს ისე, რომ დააკმაყოფილოს ოპონენტის მოთხოვნილება;

2. მოლაპარაკების მონაწილე საშუალებას აძლევს ოპონენტს, იმოქმედოს ისე, რომ მან საკუთარი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს;

3. მოლაპარაკების მონაწილე მოქმედებს ისე, რომ საკუთარი და ოპონენტის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს;

4. მოლაპარაკების მონაწილე მოქმედებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წინააღმდეგ;

5. მოლაპარაკების მონაწილე მოქმედებს ოპონენტის მოთხოვნილებების დაკმაყიფილების წინააღმდეგ;

6. მოლაპარაკების მონაწილე მოქმედებს საკუთარი და ოპონენტის მოთხოვნილებების დაკმაყიფილების წინააღმდეგ.

ეს კატეგორიები განხილულია რისკის გამოვლენის თანმიმდევრობით, რაც მოლაპარაკების სხვადასხვა ფუნქციებში იჩენს თავს. თავის მხრივ, მოლაპარაკების ძირითადი ფუნქციებია: გადაწყვეტილების მიღება, ინფორმაციის გაცვლა, კომუნიკაცია, რეგულირება, კონტროლირება, კოორდინაცია, პროპაგანდა, დესტრუქცია. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკება შესაძლოა, ორი ან მეტი ფუნქციის შემცველი იყოს. (ჯორბენაძე რ., 2001)

თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის სალექციო კურსში, სტრატეგიული ლიდერობისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ყურადღება გამახვილებულია საერთო შეცდომაზე, რომელიც თავს იჩენს აზრთა ან მიზანთა განსხვავებულობის დროს. (National Defense University) ეს შეცდომა მოწინააღმდეგე ადამიანზე თავდასხმაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აღნიშნული შეტევა დამამცირებელი ხასიათისაა. გამოცდილი ლიდერები და მომლაპარაკებლები განაცალკევებენ ადამიანებს პრობლემისაგან. ფიშერი და იური ამ ამოცანის განსახორციელებლად რამდენიმე გზას გვთავაზობენ:

- **ურთიერთობები.** შეთანხმების მიღწევის პროცესი, მით უმეტეს, თუ ის პრინციპულ ხასიათს ატარებს, შესაძლოა შეიცავდეს მწვავე კომენტარებსაც. თუმცა ადამიანები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ამას პირად თავდასხმად

აღიქვამენ და შესაბამისად, კომუნიკაციას ბლოკავენ. კარგი უერთიერთობა წარმოადგენს ერთგვარ ვაქცინას კომუნიკაციის ბლოკირების წინააღმდეგ, მაგრამ ურთიერთობა უნდა აიგოს თავად პროცესამდე - სწორედ ისე, როგორც ვაქცინა მოქმედებს კარგად დაავადებამდე მიღებისას.

- **აღქმა.** ეფექტურმა მომლაპარაკებელმა უნდა ჩაიხედოს მოწინააღმდეგის თავში, რათა დაინახონ საკითხები ისე, როგორც მეორე მხარე ხედავს. მოლაპარაკების დროს ადვილია, აღიქვა მოწინააღმდეგე, როგორც პერსონალური მტერი. პირველი მიზანი, პრინციპული მოლაპარაკების დროს, არის რაციონალური შედეგის მიღწევა, რომელიც მხარეებისთვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარეობს. აღქმა მრავალი გზით ყალიბდება. მნიშვნელობა ენიჭება სხეულის ენას, საუბრის ტონს, როგორც კომუნიკაციის არხებს, რომლებიც აწვდიან მეორე მხარეს ინფორმაციას. ასევე, „კარის დაჭერა“ საკუთარი მტრისთვის, სრულიად მოულოდნელი და შეუსაბამოა მოპირდაპირე მხარის აღქმისთვის: მაგალითად, სადათმა „იმედები გაუცრუა“ ისრაელსაც და არაბულ მხარესაც, რომლებიც სულაც არ ელოდნენ მის ვიზიტს 1977 წლის ნოემბერში იერუსალიმში - ამან ხელი შეუწყო სამშვიდობო პროცესს.
- **ემოცია.** მთელი გულით ჭიდილი ყოველთვის იგრძნობა. გამოცდილმა მომლაპარაკებლებმა უკვე დიდი ხანია იციან, თუ როგორ უნდა მართონ ემოციები. ამ უნარის ფლობის ერთ-ერთი ნაწილი ისაა, რომ ინდივიდმა გააცნობიეროს: მოლაპარაკებას ყოველთვის ახლავს ემოციები. ეფექტური უნარებით აღჭურვილმა სტრატეგიულმა ლიდერმა ან მომლაპარაკებელმა შეიძლება გამოავლინოს ან შეიკავოს ბრაზი სიტუაციის მიხედვით, ეფექტის გასაზრდელად. ამ გზით, ისინი თავიდან იცილებენ შეტევებს ან კონტრშეტევებს, რომელმაც შეიძლება სიტუაცია კონტროლიდან გამოიყვანოს. ეს ყოველთვის ადვილი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეორე მხარე დესტაბილიზაციას პირადი თავდასხმის ხარჯზე ცდილობს.

- **კომუნიკაცია.** კომუნიკაციის ძირითადი არსი არის აზრის, მნიშვნელობის გადაცემა. ფიშერისა და იურის მოსაზრებით, პოზიციური მოლაპარაკების მიმდინარეობისას ვერ ხერხდება კომუნიკაციის დიდი დოზით დამყარება, რადგან ამ დროს მნიშვნელობა გამოკვეთილი არ არის. როდესაც ვაჭრობა პოზიციურია, კოლოსის აზრით, შეიძლება ერთმა მახარემ უფრო გონივრულად იმოქმედოს კომუნიკაციის მიმართულებით. ამ დროს მოსახერხებელია აქტიური მოსმენის გამოყენება, მეორე მხარისთვის საშუალების მიცემა, ისაუბროს მეტი - გაამჟღავნოს მეტი. იმის ინტერესით მოსმენა, რასაც მეორე მომლაპარაკებელი ამბობს, დივიდენდების მომტანია, კერძოდ, ვიღებთ ღირებულ ინფორმაციას მისი პოზიციისა თუ განზრახვების შესახებ, ხოლო საკუთარს არ გამოვავლენთ.

მომლაპარაკებლის ძალისხმევა გულისხმობს სრული რესურსების გამოყენებას დადებითი შედეგის მისაღწევად და კოლეგასთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას.

2.2.2. სტერეოტიპები მოლაპარაკებაში

როგორ უნდა წარვმართოთ მოლაპარაკება დადებითი შედეგის მისაღწევად? - პასუხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის - ადამიანის ისეთ მახასიათებელზე, როგორიცაა სქესი, კანის ფერი, კულტურული თუ ეთნიკური კუთვნილება და ა.შ. თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეფექტური მოლაპარაკება გულისხმობს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვის ადვოკატირებას. მაგრამ როგორ უმკლავდებიან ადამიანები ამ დაძაბულობას, როდესაც გენდერულ სტერეოტიპებთან უწევთ შეხვედრა? ქალები მიჩნეულნი არიან თბილ, რელატიურ ინდივიდებად, რომლებსაც შესაძლოა წინააღმდეგობა შეხვდეთ თავიანთი თავის ადვოკატირებისას, მაშინ როცა მამაკაცები მიიჩნევიან კონკურენტუნარიანებად, რაც შესაძლოა სხვისი ადვოკატირებისას წარმოადგენდეს ბარიერს.

კურნამა და ოვერბეკმა ჩაატარეს კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა მოახდინონ ქალებმა და მამაკაცებმა დადებითი შთაბეჭდილება მოლაპარაკებისას.

უფრო კონკრეტულად, მათ შექმნეს ექსპერიმენტი, რათა შეემოწმებინათ, როგორ იწვევს სტერეოტიპულ რეაგირებას ის შთაბეჭდილება, მოტივაცია ან ხარისხი, რომლითაც ადამიანები მოტივირებულები არიან აკონტროლონ, თუ როგორ ხედავენ მათ სხვები. (Curhan J. R. Overbeck J. R., 2011)

გენდერის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ორგანიზაციებში მომუშავე ქალები აწყდებიან დაძაბულობას, თვითდაჯერებულობასა და ურთიერთობას შორის. იმის მიუხედავად, რომ თავდაჯერებულობა შესაძლოა მიზნის მისაღწევად ან ორგანიზაციული აღქმის დაგეგმვისათვის საჭიროა, ქალებმა, რომლებიც თვითსტიმულირებულნი არიან, დაარღვიონ საერთო სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ეს სქესი უფრო მეტად კოლექტიურია (სხვებზე ფოკუსირებულია), რის შედეგადაც, ისინი გავლენას ახდენენ სხვების მიერ მათ აღქმაზე (რუდმანი, 1988). მამაკაცების შემთხვევაში კი პირიქით, შესაძლოა მათ რისკის ქვეშ დააყენონ თავიანთი ავტორიტეტი და/ან რეპუტაცია, თუ ისინი კოლექტიურ ბუნებას დასაშვებზე მეტად გამოავლენენ (რაც სტერეოტიპულად ქალის თვისებაა).

კრეისა და მისი კოლეგების მიხედვით, (Kray, Galinsky, & Thompson, 2002; Kray & Thompson, 2005) ქალები ხშირად განიხილებიან როგორც რბილი, ირაციონალური და ემოციური თვისებების მატარებლები. მოლაპარაკებაში კი, რომელიც აგრესიულ ქცევას წარმოაჩენს სასურველად, მსგავსი თვისებების მიწერა მომგებიანი არ არის. კურანმა და ოვერბეკმა შეისწავლეს გზები, რომლებიც შთაბეჭდილებას ახდენს მომლაპარაკებლის უნარზე, წამოაყენოს გარკვეული მოთხოვნა და დადებითად განაწყოს თავისი კოლეგები. მკვლევარების ძირითადი ჰიპოთეზა ითვალისწინებდა ორმხრივ ინტერაქციას გენდერსა და მაღალ სტატუსს შორის შთაბეჭდილების შექმნისას, როგორიცაა მაღალი სტატუსის მქონე მამაკაცები, რომლებიც თავის დაბალი სტატუსის მქონე კოლეგებთან უფრო დამთმობი იქნებოდნენ, ხოლო მაღალი სტატუსის ქალები მაინც შთაბეჭდილების მოხდენის მაღალ მოტივაციას გამოავლენდნენ. ეს ვარაუდი ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა.

გენდერული სტერეოტიპების გარდა, კვლევაზე დაფუძნებული ექსპერიმენტი ჩატარდა ეროვნული კუთვნილების შესახებაც. კერძოდ, ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში დაიგეგმა ექსპერიმენტი, რომლის ამერიკელი მონაწილეები რეკრუტირდნენ Amazon Mechanical Turk-ის მეშვეობით, ხოლო ჩინელი მონაწილეები დაკომპლექტდენენ ერთ-ერთი შანხაის ბაზრის კვლევის ფირმის მეშვეობით ისე, რომ მათი ასაკობრივი და გენდერული განაწილება შეესაბამებოდა ამერიკულ ნიმუშს. კვლევის ავტორებს სჭირდებოდათ ისეთი მონაწილეები, რომლებიც დაანახებდნენ იმის ალბათობას, თუ რამდენად გამოიყენებდნენ ბიზნეს-მოლაპარაკებების დროს სხვადასხვა ტაქტიკებს, როდესაც მათი კოლეგა იყო „ჯასტინ ადამსი“ ილინოისის ერთ-ერთი კომპანიიდან და მაშინ, როდესაც მათი კოლეგა მოლაპარაკების მაგიდასთან იყო „ჯია ლიუ“, ჰუნანში დაფუძნებული კომპანიიდან. პასუხების ინდიკატორი იყო შვიდბალიანი სკალა, სადაც 1 ყველაზე ეთიკურს, ხოლო 7 - ყველაზე არაეთიკურს შეესაბამებოდა.

აღმოჩნდა, რომ ამერიკელმა მონაწილეებმა უფრო მეტად გამოიყენეს ეთიკურად საეჭვო ტაქტიკა, კერძოდ, ყალბი დაპირებები და შეუსაბამო ინფორმაცია, თუ ისინი ფიქრობდნენ, რომ მოლაპარაკებას ჩინურ მხარესთან აწარმოებდნენ. ამის საპირისპიროდ, ჩინელი მონაწილეები ნაკლებად იყენებდნენ არაეთიკურ ტაქტიკას , თუ თვლიდნენ რომ მოლაპარაკება ამერიკელ კოლეგასთან უნდა ეწარმოებინათ. ორივე, როგორც ამერიკელი, ისე ჩინელი მონაწილეები მეტად იყენებდნენ არაეთიკურ ტაქტიკას, თუ მათი კოლეგა ჩინეთიდან იყო და ნაკლებად მიმართავდნენ ამგვარ ტაქტიკას ამერიკელი პარტნიორის შემთხვევაში.

ამ ექსპერიმენტის საფუძველზე, ავტორებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში (სულ მცირე, ამერიკელებსა და ჩინელებს შორის) არსებობს სხვადასხვა მოლოდინი: კერძოდ, ჩინელებმა ჩათვალეს, რომ ამერიკელები უფრო მაღალი ეთიკური სტანდარტის მატარებლები არიან, ხოლო ამერიკელებმა პირიქით, ჩათვალეს, რომ ჩინელი მომლაპარაკებლები ნაკლებ ეთიკურ ნორმებს ფლობდნენ. რატომ ხდება ასე? - მკვლევართა დასკვნით, სავარაუდოა, რომ ადამიანები ეროვნულ

სტერეოტიპებზე არიან დამოკიდებულნი და ამის მიხედვით ირჩევენ მოლაპარაკების ტაქტიკას. სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან მოლაპარაკება თითქმის ყოველთვის ორაზროვნებას უკავშირდება, ვიდრე თანამოქალაქეებთან. აქედან გამომდინარე, ადამიანი შესაძლოა მოტივირებული იყოს ამ გაურკვევლობის შესამცირებლად, რისთვისაც სხვა ქვეყნის იმიჯს მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს (Yang, Cremer, 2016).

2.3. თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა მოლაპარაკებაზე

ბიზნეს-ლექსიკონში თვითქმნადი წინასწარმეტყველება განსაზღვრულია როგორც „მოლოდინები გარემოებების, ადამიანებისა და მოვლენების შესახებ, ან ადამიანები, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა პიროვნების ქცევაზე იმგავრად, რომ შემდეგ ამ პიროვნების საქციელი ამართლებს არსებულ მოლოდინებს.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგნოზი კონკრეტული სიტუაციის შესახებ (და ამ სიტუაციაში მოქცევასთან დაკავშირებით), გამოიწვევს ამ პროგნოზის გამართლებას. მაგრამ რა კავშირი აქვს ერთმანეთთან თვითქმნად წინასწარმეტყველებას და მოლაპარაკებას? ჰარვარდის სამართლის სკოლის მოლაპარაკებათა მიმოხილვის მიხედვით, ზემოთ ხსენებულ ორივე ცნებას უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოდგენა. ტიპურ მოლაპარაკებებში, როდესაც თითოეულ მხარეს, მინიმუმ ორი პარტნიორი წარმოადგენს, თქვენი რწმენა მათ შესახებ, ის თუ რას ელით მათგან, გავლენას იქონიებს თქვენს ქმედებებზე, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს მათ რეაქციაზეც. როდესაც თქვენს კოლეგებს, მაგიდის მეორე მხარეს, უთანხმოება აქვთ ერთმანეთთან, ისინი ელიან თქვენგან, რომ დაადასტუროთ ან უარყოთ მათი ჰიპოთეზები თქვენ შესახებ. აქედან გამომდინარე, თქვენი ქმედებები პირდაპირ განამტკიცებს ერთი მხარისთვის სწორ, ხოლო მეორესთვის არასწორ დასკვნას, რითაც ძლიერდება აზრთა სხვადასხვაობები ერთმანეთზე. წარმოშობილი განხეთქილება გავლენას ახდენს ქცევაზე და სრულდება თვითაღსრულებადი წიანსწარმეტყველების ციკლი. (Frenkel, 2009).

ჰარვარდის სამართლის სკოლის სტატიაში, „თვითქმნადი წინასწარმეტყველება: თქვენს კოლეგებთან თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობა“, მოყვანილია მარტივი მაგალითი ნდობის შესახებ. მოლაპარაკების მაგიდასთან, მოპირდაპირე მხარეს მსხდომ კოლეგებს უთანხმოება აქვთ იმის შესახებ, უნდა გენდონ თუ არა თქვენ. ამავდროულად, მათი დისკუსიისგან დამოუკიდებლად, თქვენს გუნდს ამავე საკითხზე აქვს დებატები გამართული. თქვენ ორი არჩევანი გაქვთ: მიჰყვეთ თქვენს ვალდებულებებს ან არა.

ამავე სტატიის მიხედვით, მოლაპარაკებათა დაახლოებით 80% „დაველოდოთ და ვნახავთ“ პრინციპით მიმდინარეობს - ისინი ამჯობინებენ დაელოდონ და დაინახონ მეორე მხარის ქმედებები მანამ, სანამ მომლაპარაკებლები გადაწყვეტენ რა ტაქტიკა ან მიდგომა გამოიყენონ. კეთილგანწყობილ გარემოში მოლაპარაკების მიმდინარეობისას (მაშინაც კი, თუ არსებობს იმის რისკი, რომ მიღწეული შედეგი მოკლევადიანი იქნება), მხარეებმა საკითხი გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა განიხილონ. ნდობაზე დამყარებული მოქმედებებით, ერთი მხარე გააძლიერებს მეორე მხარის ინტერნალურ აზრებს, რომელიც ასევე თანამშრომლობისა და ნდობის მოპოვებისაკენ იქნება მიმართული.

მომლაპარაკებელი, მედიატორი და საერთაშორისო მოლაპარაკებისა და კონფლიქტების მართვის სისტემების ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი, სტეფან კუჰენი, თავად ფასილიტატორების, მედიატორებისა და მომლაპარაკებლების თვითქმნად წინასწარმეტყეველბაზე ამახვილებს ყურადღებას. ბევრი გამოცდილი მომლაპარაკებელი რეტროსპექტივაში ხედავს და გრძნობს, თუ როგორ უნდა წარიმართოს მოლაპარაკების პროცესი და ეს პერსპექტივაში ხშირად დასტურდება ხოლმე.

კუჰენი გამოყოფს თვითქმნადი წინასწარმეტყველების სამ ძირითად ტიპს, რომელიც მომლაპარაკებლებში გვხვდება: (Kühn, 2016)

1.**გააზრებაზე დაფუძნებული იმპლემენტაცია:** შეინარჩუნეთ სიმშვიდე და შეხედეთ ვითარებას ფხიზელი თვალით; მხედველობაში იქონიეთ საპირისპირო აზრიც, რათა ობიექტურად შეაფასოთ სიტუაცია;

2. **რისკების გათვალისწინება:** მოემზადეთ ყველაზე რთული, უსამართლო შეკითხვებისთვის და შეეცადეთ წინასწარ გათვალოთ, როგორ რეაგირებთ მსგავს შეკითხვებზე.

3. **მოქნილობის შენარჩუნება:** მიუდექით სიტუაციას დინამიურად. ის ვინც უხეშად მოიქცევა, გავლენას იქონიებს მოლაპარაკების მიმდინარეობაზე და სიტუაცია ჩიხში შევა; ნუ დაუშვებთ პროვოცირებას.

როდესაც ერთი მხარე ელეოდება თავისი კოლეგისგან მოლაპარაკების რთულ პროცესს, კონკურენციაზე დაფუძნებულ მოლაპარაკებას, იგი უნებლიეთ გავლენას ახდენს მეორე მხარის ქცევაზე. უკვე ხსენებული რობერტ როზენტალისა და ლენორ იაკობსონის 1960 წელს ჩატარებული კვლევის გარდა, რომელიც მოლოდინების მნიშვნელობის დემონსტრირებას ახდენს, სტატიაში „ძალაუფლება მოლაპარაკებებში: თვითქმნადი წინასწარმეტყველება“, საუბარია კიდევ ერთ ექსპერიმენტზე, რომელიც კრისტინა დიკმანმა (იუტას უნივერსიტეტი), ენ თენბრნელმა (ნოტრ დამის უნივერსიტეტი) და ადამ გალინსკიმ (კოლუმბიის ბიზნეს სკოლა) ჩაატარეს. მოლაპარაკების პროცესის კვლევამ აჩვენა, რომ მოლაპარაკებაში ჩართულმა მხარემ, რომელიც მეორე მხარისგან ელოდა კონკურენციას (ყოველგვარი რაციონალური საფუძვლის გარეშე), შეამცირა საკუთარი მოთხოვნები, რამაც გამოიწვია უარესი შედეგების მიღწევა იმათთან შედარებით, ვინც მოლაპარაკების მაგიდასთან მყოფ მეორე მხარეს ნაკლებად აგრესიულად მიიჩნევს, რადგან ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს არ რთავს ნებას, მოითხოვოს მეტი და კიდევ უფრო მეტად კონკურენტული გახდეს. მოსალოდნელი კონკურენციისა და დაძაბულობის გამო, მომლაპარაკებლების მიერ მოთხოვნათა შემცირებამ შექმნა არამხოლოდ თვითღსრულებადი წინასწარმეტყველება, არამედ „თვითდამარცხებადი რეალობა“.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ოპონენტებმა თვითშეფასებები შეცვალეს და ჩათვალეს, რომ ისინი უფრო მეტად კონკურენტუნარიანები გახდნენ, ვიდრე მომლაპარაკებლები, რომლებიც მოსალოდნელი იყო, რომ თავიდანვე კონკურენტუნარიანები იქნებოდნენ.

რა როლს ასრულებს თვითქმნადი წინასწარმეტყველება პირისპირ მოლაპარაკების პროცესში? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადა საერთაშორისო ჟურნალი გადაწყვეტილებათა მხარდამჭერი ტექნოლოგიის შესახებ, სტატიით „თვითქმნადი წინასწარმეტყველება მოლაპარაკებებში: მითი თუ რეალობა?“. სტატიაში მოყვანილი კვლევის შედეგების მიხედვით, 116 სუბიექტთან ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ, ავტორებმა აღმოაჩინეს რომ რწმენები, როგორც კონფლიქტის ხასიათის (კონფლიქტის ინტენსივობა და სოციალური ურთიერთობები), ისე ინდივიდუალური მოლაპარაკებების სტილის შესახებ, მოლაპარაკებების შედეგების შესახებ მათ კონკრეტულ გავლენებთან ერთად, რეალობად იქცა - კონტროლირებადი კონტექსტის ცვლადებისა თუ მოლაპარაკების პროცესში პარტნიორისაგან დამოუკიდებლად. კვლევის ავტორთა შედეგების მიხედვით, მომლაპარაკებლები სასიამოვნო გარემოს ქმნიან დადებითი მოლოდინების შესაქმნელად და ცდილობენ, გამოიცნონ პარტნიორის მოლაპარაკების სტილი, რათა სათანადო რეაგირება მოახდინონ.

თვითქმნადი წინასწარმეტყველების ფენომენი შეიძლება გამოვლინდეს ყოველდღიური ცხოვრების სხავდასხვა სივრცეში. მაგალითად, ინფორმაცია მოსწავლეების წარსული აკადემიური მოსწრების შესახებ, როგორც წესი, მოქმედებს მათ მოლოდინებზე (როგორიცაა „წარმატებულ“ მოსწავლეებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა). გრძელვადიან პერსპექტივაში, „წარმატებულად“ მიჩნეული მოსწავლეები, უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, იმის მიუხედავად, რომ მათი სწავლის შესახებ ინფორმაცია იყო მანიპულირება და არა სინამდვილე, როგორც ეს ედენისა და შანის მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა (1982). ანალოგიურად, პლაცებო ეფექტი შეიძლება ჩავთვალოთ ამავე ფენომენად, რადგან ინერტული მედიკამენტები

შესაძლოა დაეხმაროს პაციენტს, რომელიც თერაპიულ შედეგს ელის ამ მედიკამენტების მიღებით. რაც შეეხება ინტერპერსონალურ მოლაპარაკებებს, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რწმენა და მოლოდინი მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია წარმატებისა და ბენეფიტების მიღებაში.

2.4. ემპირიული კვლევის შედეგები

2.4.1. ზოგადი მიმოხილვა

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენის კვლევა მოლაპარაკების პროცესზე, რისი საუკეთესო გზაც პიროვნებათა შორის ინტერაქციაზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ემპირიული შესწავლისათვის შეიქმნა ოთხმხრივი მოლაპარაკების სიმულაციური მოდელი (იხ. დანართი), სადაც თითოეულ მონაწილეს საკუთარი როლი და მოლაპარაკებაში ჩართულ დანარჩენ მხარეებზე ინფორმაცია უკვე გააჩნდა. გარდა ამისა, თითოეული მხარე ფლობდა ისეთ დეტალებს, რაც დანარჩენებისთვის უცნობი იყო. სიმულაციური თამაშისთვის განკუთვნილ სივრცეში იმყოფებოდა მოლაპარაკების 4 მხარე, რომლებიც საკუთარ როლებს წინასწარ, 1 დღით ადრე გაეცნენ (N1 ჯგუფის გარდა, რომელთაც საკუთარი როლების გაცნობის საშუალება სიმულაციური თამაშის დაწყებამდე 40 წუთით ადრე მიეცათ) და 1 დამკვირვებელი, რომელიც მოლაპარაკებაში არ ერეოდა და პროცესის მიმდინარეობას აანალიზებდა. აღსანიშნავია, რომ პირველი ჯგუფში ჩატარებული სიმულაციური თამაში პილოტაჟის ფუნქციას ასრულებდა: სწორედ ამ ჯგუფზე დაკვირვებითა და თავად მონაწილეების უკუკავშირის შედეგად გადაწყდა, რომ დანარჩენი სამი ჯგუფის მონაწილეები საკუთარ როლებს ერთი დღით ადრე გასცნობოდნენ. გარდა ამისა, თავად სიმულაციის სიუჟეტში დაიხვეწა ის ადგილები, რომლებიც მონაწილეთა შეფასებით, ნაკლებად ნათელი იყო: მაგალითად,

როგორიცაა წარსული დავა A-სა და B-ს შორის, სადაც, მხარეების განცხადებით, უკეთესი იქნებოდა მეტი კონკრეტიკის შეტანა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არცერთი ჯგუფის წარმომადგენელს როლში შესვლა არ გასჭირვებია, მათ მოლაპარაკების დაწყებამდე მოირგეს საკუთარი როლები, რამაც სიმულაცია რეალურ ისტორიასთან მიაახლოვა.

სულ ჩატარდა 4 სიმულაციური თამაში, თითოეული ჯგუფი დაკომპლექტებული იყო 4 ადამიანით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 16-მა ადამიანმა, რომელთაგან 9 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ხოლო 7 _ მამრობითი სქესის. აღსანიშნავია, რომ 4 ჯგუფიდან ორი ჰეტეროგენური იყო, თითო კი ჰომოგენური, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე ჯგუფი მთლიანად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო მეოთხე ჯგუფი - მამრობითი სქესის წარმომადგენლებით. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ჯგუფების მიხედვით სქესის განაწილებას *(ცხრილი 1.)*:

ჯგუფები	*სქესის განაწილება*
1	3 მდედრ. 1 მამრ.
2	2 მდედრ. 2 მამრ.
3	4 მდედრ.
4	4 მამრ.
სულ - 16 მონაწილე მდედრობითი - 9 მამრობითი - 7	

ცხრილი 1. ჯგუფების მიხედვით სქესის დანაწილება

სიმულაციური თამაშის იდეა მდგომარეობდა მოლაპარაკებაში ჩართული თითოეული მხარისთვის საკუთარი როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში და დანარჩენი მხარეების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნაში. თამაშის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთ ტურისტულ ქალაქში გრანდიოზული სავაჭრო ცენტრის მშენებლობას ეყრება საფუძველი, ხოლო

მოლაპარაკებაში ჩართულია სამშენებლო, ინტერიერის დიზაინისა და სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი კომპანიები და ქალაქის მერიის წარმომადგენელი; თითოეული მათგანი ცდილობს, მოლაპარაკება მისთვის საუკეთესო შედეგით დასრულდეს. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობს ერთი კომპანია, საქართველოს მეზობელი ქვეყნიდან. სიმულაციაში არც ერთი გეოგრაფიული რეგიონი დაკონკრეტებული არ ყოფილა, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, თავადვე მიეღოთ გადაწყვეტილება, თუ რომელ ქალაქს მოიაზრებდნენ ტურისტულად მიმზიდველად, სადაც სიცოცხლისუნარიანობისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით გრანდიოზული სავაჭრო ცენტრი უნდა აშენდეს. ასევე მნიშვნელოვანი იყო, იმის დადგენა, კონკრეტულად რომელ მეზობელ ქვეყანას მიაკუთვნებდნენ მონაწილეები მოლაპარაკებაში ჩართულ საზღვარგარეთულ კომპანიას და რა იქნებოდა ამ მიკუთვნების განმაპირობებელი მიზეზები.

გარდა ეთნიკური ნიუანსებისა, ყურადღება გავამახვილე სქესთა შორის დამოკიდებულებაზე და სტერეოტიპების წარმოშობაზე მოლაპარაკების დროს. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინფორმაციით, მონაწილეებს წინასწარ შეექმნათ შთაბეჭდილება ერთმანეთის შესახებ - თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ყველა მონაწილის აღქმის პროვოცირება სხვადასხვა დოზით მოხდა: ზოგიერთი მათგანი კატეგორიულ პოზიციაზე დადგა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იმის მიუხედავად, რომ კონკრეტული შემთხვევიდან გამოსავლი და შეთანხმების მიღწევა მათ არ უნდა გასჭირვებოდათ. მონაწილეების ნაწილი კი შედარებით ნაკლებ კატეგორიულობას იჩენდა მოლაპარაკების პროცესში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყველა ჯგუფში, მონაწილეები სვამდნენ ბევრ დასაზუსტებელ კითხვას რათა საკუთარი ეჭვები ბოლომდე გაეფანტათ და ამის შემდეგ განეცხადებინათ რამდენად მისაღები იყო მათთვის შეთანხმების პირობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთ ჯგუფში არ დაფიქსირებულა მოლაპარაკებაში გამოკვეთილად პასიურად ჩართული მხარე: მონაწილეები აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას და საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობდნენ.

ზოგადად, მოცემულ სიმულაციური თამაშში განხილული შემთხვევა მოიაზრებდა „კამათს არაფრის გამო“. პირობის მიხედვით, რომელიც ყველა მონაწილეს დაურიგდა, თითოეულ კომპანიას გადანაწილებული აქვს შესასრულებელი ვალდებულება და შეთანხმების პუნქტებიც ნათელია, თუმცა, თითოეული მხარისთვის დარიგებული დამატებითი პირობის მიხედვით, რომელიც უცნობია დანარჩენი მხარეებისათვის, მათ გარკვეული ეჭვები აქვთ შექმნილი. დასაშვებად იყო მიჩნეული მოვლენების იმგვარად განვითარებაც, რომ მხარეებს მალევე გაეანალიზებინათ, რომ საკამათო არაფერია და სწრაფადვე დაესრულებინათ მოლაპარაკება. თუმცა ჩატარებული 4 სიმულაციური თამაშიდან, არც ერთ ჯგუფში მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა: წინასწარ მოსალაპარაკებლად და საკითხის გასარკვევად განწყობილი მხარეები ორიენტირებულნი იყვნენ თითოეული დეტალის განხილვაზე და საკუთარი ინტერესების დაცვაზე, რამაც თვითქმნადი წინასწარმეტყველების უშუალო გავლენა დაადასტურა ჯერ კიდევ მოლაპარაკების დაწყებამდე.

2.4.2. გედნერული სტერეოტიპები მოლაპარაკებაში

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მოლაპარაკების პროცესში პიროვნების სქესი ერთ-ერთ მნიშვენლოვან როლს ასრულებს, საინტერესო იყო აღნიშნული სიმულაციის გაანალიზება სწორედ სქესობრივ ჭრილში, მით უმეტეს, ჯგუფების შემადგენლობა იძლეოდა როგორც შერეულ (ჰეტეროგენურ) ისე ერთგვაროვან (ჰომოგენურ) ჯგუფებზე დაკვირვების საშუალებას.

ტოუსონი, ზანა და მაკდონალდი აღნიშნავენ, რომ სქესობრივ როლზე დამყარებული სტერეოტიპები აყალიბებენ გენდერზე მორგებულ ქცევას, რომელიც ფუნქციონირებს როგორც თვითქმნადი წინასწარმეტყველება. ჩატარებული სიმულაციური თამაშების შედეგად გამოვლინდა, რომ სქესი მართლაც დიდი მნიშვნელობის მატარებელია მოლაპარაკების წარმოებაში. შერეულ ჯგუფებში, სადაც მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები ერთ მაგიდასთან ისხდენენ, კაცების მიერ

თანამომლაპარაკებლების „ფემინური“ თვითპრეზენტაცია ბევრად უფრო პოზიტიურად იყო აღქმული, ვიდრე საკუთარი სქესის ან ნაკლებად ფემინური მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც, ქალები პასიურები არიან, ჩატარებული სიმულაციური თამაშების ფონზე გამოიკვეთა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა საკმაო სიხისტით და პოზიციის სიმყარით გამოირჩეოდა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი მეტად ემოციურები იყვნენ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

ერთგვაროვან ჯგუფში, რომელიც მამრობითი სქესის მონაწილეებით იყო დაკომპექტებული, გამოვლინდა საინტერესო ფენომენი, ე.წ. *„სიტყვაზე ნდობა“,* რომელიც უნდა ვივარაუდოთ, რომ მონაწილეების ქართული მასკულინური კულტურის თავისებურობის გამოხატულებაა.

მოლაპარაკების საწყის ეტაპზე, მონაწილეები კონცენტრირებული იყვნენ შეთანხმების მიღწევაზე, მაგრამ სტერეოტიპმა, რომლის მიხედვითაც რაციონალურად მოაზროვნე მამაკაცები ყოველთვის იღებენ ინიციატივას - თითოეულ მონაწილეზე დიდი როლი ითამაშა. შედეგად, აღნიშნული ჯგუფში, ყველამ გადაწყვიტა მოლაპარაკების სადავეები ხელში აეღო. თამაშის პირობის მიხედვით, მოლაპარაკების ორ მხარეს, უცხოურ კომპანიასა და ერთ-ერთ ქართულ კომპანიას შორის, წარსულში წარუმატებელი პარტნიორობა და შესაბამისად, გარკვეული დაძაბულობა არსებობდა. ამ ფაქტორის გამო, მხარეები არსებული გამოწვევების განხილვის ნაცვლად, წარსულში არსებული გაუგებრობის გარკვევას შეუდგნენ, რამაც დანარჩენ ორ მხარეს (მეორე ქართული კომპანია და მერიის წარმომადგენელი), დამატებითი კითხვები გაუჩინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ პრობლემაზე ორიენტირება და მისი განხილვისთვის დიდი დროის დათმობა აღნიშნულ ჯგუფთან ერთად გამოვლინდა დანარჩენ სამ ჯგუფშიც. თუმცა, მამრობითი სქესით დაკომპლექტებულ ჯგუფს გამოარჩევდა ერთი ფაქტორი,

კერძოდ, როდესაც მომლაპარაკებლები მივიდნენ გარკვეულ ფაზამდე და საბოლოო ნაბიჯები აშორებდათ საქმიანი მოლაპარაკების სასურველი შედეგით დასრულებამდე, ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ის მზად იყო „კაცურ სიტყვაზე ნდობა გამოეცხადებინა“ თანამომლაპარაკებლებისთვის, რამაც საერთო მოწონება დაიმსახურა და მონაწილეებმა დეტალების დაზუსტებაც აღარ ისურვეს. *(ცხრილი 2.)*

რაც შეეხება მეორე ჰომოგენურ ჯგუფს (მდედრობითი სქესით დაკომპლექტებული), მათ პირველი ჯგუფის მსგავსი არაფორმალური ურთიერთობა არ გამოუვლენიათ მოლაპარაკებისას, თუმცა მთლიან პროცესში გამოიკვეთა ე.წ. „ქალური სოლიდარობის“ ნიუანსები. მონაწილეები ახსენებდნენ ერთმანეთს, რომ ბიზნესის ისეთ სფეროში, სადაც დომინანტური პოზიცია მამაკაცებს ეკუთვნით, მათ არ აქვთ უფლება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების დეტალებთან დაკავშირებით, ერთმანეთს ბევრი კითხვა დაუსვეს. ამ მხრივ გამოირჩეოდა მერიის წარმომადგენელი, რომელიც, როლის მიხედვით, ანგარიშვალდებულია არამხოლოდ მოლაპარაკების მხარეების შეთანხმების პირობების სიცხადეზე და შესრულებაზე, არამედ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის წინაშე. ეს უკანასკნელი მის აქტივობას სწორედ დასახელებული მიზეზით ხსნიდა. ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ გამართლდა ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, მოლაპარაკებაში ჩართული ქალი აუცილებლად სხვაზე მზრუნველი და თავშეკავებული უნდა იყოს. როგორც ჰომოგენურ, ისე ჰეტეროგენურ ჯგუფში იყვნენ ასერტიული ქალები, რომლებიც მთელი მოლაპარაკების პროცესის მანძილზე აქტიურად და აგრესიულადაც კი იცავდნენ საკუთარ ინტერესებს. მათ მკაფიოდ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი მიზნები და ცდილობდნენ დასახული ამოცანის განხორციელებას.

თუმცა, მთლიან სურათზე დაკვირვებით, ქალები უფრო მეტად ცდილობდნენ საკუთარი იმიჯის დადებითად წარმოჩენას და სხვის თვალში უკეთესად გამოჩენას,

ვიდრე კაცები: მათი უმრავლესობა ერიდებოდა გარიგების აშკარად შეთავაზებას თანამომლაპარაკებლისთვის, რაც მამაკაცების შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენდა. *(ცხრილი 2.)*

მამრობითი სქესის თავისებურებები	მდედრობითი სქესის თავისებურებები
ე.წ. „სიტყვაზე ნდობის“ გამოცხადება	გენდერზე დაფუძნებული სოლიდარული ფონის შექმნა
ინიციატივიანობა	მოლაპარაკების ოფიციალური სტილი
ნაკლები დეტალიზაცია ნიუანსების მიმართ	დადებითი შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობა
მოლაპარაკების არაფორმალური სტილი	დეტალებზე ორიენტირება

ცხრილი 2. სქესის მიხედვით გამოვლენილი ძირითადი განსხვავებები

შერეულ ჯგუფებში, ასევე, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა მოლოდინი ქალების „ფემინური“ თვისებების გამოვლენის შესახებ: მამრობით სქესთან ერთად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიც იყვნენ ორიენტირებულები, მოლაპარაკების შედეგების საუკეთესო ალტერნატივების მიღწევაზე (BATNA). თუმცა ორივე ჰომოგენურ ჯგუფში იყვნენ ქალი მომლაპარაკებლები, რომლებიც სრულიად შეესაბამებოდნენ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მდედრობითი სქესის წარმომადგენელი თავშეკავებულად უნდა იქცეოდეს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მონაწილეები საკუთარი პოზიციის მკაფიოდ ფორმულირებას ერიდებოდნენ, ისინი უფრო მეტად კითხვებს სვამდნენ, ვიდრე პოზიციებს აფიქსირებდნენ. გარდა ამისა, ჯგუფებში იყვნენ მამრობითი სქესის მონაწილეები, რომლებიც სიხისტით არ გამოირჩეოდნენ. აქედან გამომდინარე, ცალსახად იმის თქმა, რომ ქალები სხვისი სურვილების დაკმაყოფილებაზე არიან ორიენტირებულნი,

ხოლო მამაკაცები, კონცენრტირებულნი არიან საკუთარი მიზნის მიღწევაზე, ჩატარებული სიმულაციური თამაშების შედეგად, არ შეგვიძლია.

როგორც შერეული, ისე ერთგვაროვანი ჯგუფის შემთხვევაში, უმეტესწილად არჩეული იყო მოლაპარაკების ინტეგრაციული მეთოდი, რაც მხარეთა ინტერესების გათვალისწიებაზეა დაფუძნებული. გამონაკლისი იყო ჰომოგენური ჯგუფის ერთ-ერთი მომლაპარაკებელი ქალი, რომელმაც სიმულაციური თამაშის დაწყების პირველივე წუთიდან დისტრიბუციული მოლაპარაკების მეთოდი აირჩია: იგი საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ, რადიკალური პოზიციაზე იდგა და უარს აცხადებდა უცხოურ კომპანიასთან თანამშრომლობაზე. აღნიშნული მეთოდი დაფუძნებულია პოზიციურ ვაჭრობაზე და „ან შენია, ან ჩემი“ პრინციპით წარიმართება. აღნიშნულმა მომლაპარაკებელმა თავისი პოზიცია გაამართლა წარსულში არსებული უთანხმოებით, რაც პირობის თანახმად, ამ კომპანიასთან აკავშირებდა.

მამრობითი სქესით დაკომპლექტებულ ჯგუფში, ძირითადად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული მოლაპარაკება წარიმართა - მონაწილეები კამათობდნენ ისეთ საკითხებზე, რასაც მათ მომავალ თანამშრომლობას არ უკავშირდებოდა, მაგალითად, განიხილეს ცემენტის ხარისხი, ერთმანეთს გააცნეს საკუთარი კომპანიის სტრუქტურა და ისაუბრეს პოლიტიკურ ვითარებაზე არა განსახორციელებელი პროექტის ჭრილში, არამედ მსოფლიოში არსებულ გლობალურ პრობლემებზე. ჩამოთვლილი საკითხები ტრივიალური იყო და მოლაპარაკების ამ ეტაპზე არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, როგორ გადაწყდებოდა იგი. თვალსაჩინოებისთის გთავაზობთ ოთხივე ჯგუფში გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს: განსხავავებებს და იმ საერთო მახასიათებლებს, რაც ყველა ჯგუფში გამოვლინდა. *(ცხრილი 3.)*



ცხრილი 3. ჯგუფებში გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები

2.4.3. ეთნიკური სტერეოტიპები მოლაპარაკებაში

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიმულაციურ თამაშში, გეოგრაფიული ადგილები დაკონკრეტებული არ ყოფილა. ამან მომლაპარაკებლებს საშუალება მისცა, თავად შეერჩიათ ერთადერთი უცხოური კომპანიისათვის ქვეყანა, რომელიც პირობის თანახმად, საქართველოს ერთ-ერთი მეზობელი უნდა ყოფილიყო. ნავარაუდევი იყო ისიც, რომ შესაძლოა, მონაწილეებს საერთოდ არ მიენიჭებინათ მნიშვნელობა იმისთვის, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იქნებოდა მოლაპარაკებაში ჩართული მეოთხე მხარე. თუმცა, ოთხივე ჯგუფში თავიდანვე დაისვა ქვეყნის დასახელების საკითხი. მსგავს საკითხზე მსჯელობის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, მკვლევარს შეუძლია გაანალიზოს ეთნიკურობის მნიშვნელობა მოლაპარაკების პროცესში; ასევე შესაძლებელია იმ წინასწარი განწყობების დანახვა და მოლაპარაკების შედეგთან კორელაციის დადგენა, რაც მონაწილეებს თითოეული ქვეყნის მიმართ აქვთ (ამ შემთხვევაში საუბარი შეეხებოდა რუსეთს, სომხეთს, თურქეთს და აზერბაიჯანს).

3 ჯგუფის წარმომადგენლები ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ კომპანია **აზერბაიჯანული** იყო. მეოთხე ჯგუფის წარმომადგენლები თავიდან შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული კომპანია **თურქულია,** თუმცა რამდენიმე წუთში თავად უცხოური კომპანიის წარმომადგენლის შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდნენ და მათაც აზერბაიჯანი აირჩიეს პარტნიორად. თითოეული ჯგუფის მსჯელობას ფონად სდევდა საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები საქართველოს მეზობელი ქვეყნების შესახებ.

როგორც ცნობილია, სტერეოტიპები წარმოადგენენ ადამიანების გარკვეულ ჯგუფებთან დაკავშირებულ განზოგადებებს, რომლებიც კონკრეტულ მახასიათებლებს მიაწერენ მთელ ჯგუფს. (ზიმბარდო ფ. „ცრურწმენები და სტერეოტიპები“).

ვინაიდან სტერეოტიპები ასე ძლიერად ერთვებიან მოლოდინების შექმნაში, ისინი ხშირად უწყობენ ხელს ისეთი სიტუაციის წარმოქმნას, სადაც ადამიანები თავად აგებენ საკუთარ სოციალურ რეალობას. სწორედ ამგვარი ფაქტები დაფიქსირდა ზემოთ აღწერილ შემთხვევებში: მონაწილეები მონაცემების ნაკლებობის აღმოფხვრას საკუთარი ინფორმაციით შევსების ხარჯზე ცდილობდნენ. აღნიშნული ინფორმაცია უმრავლეს შემთხვევაში ეყრდნობოდა არა პირად გამოცდილებას, არამედ გავრცელებულ შეხედულებებს. საინტერესოა, იმ ძირითადი მიზეზების გამოყოფა, რის გამოც მოხდა პარტნიორად სწორედ აზერბაიჯანის არჩევა და დანარჩენი ქვეყნების (რუსეთი, სომხეთი და თურქეთი) უარყოფა:

რუსეთი:

- არასანდო პარტნიორი;
- ოკუპანტი;
- მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული;
- ბიზნეს-სექტორის იდეოლოგია არ განსხვავდება რუსული პოლიტიკის იდეოლოგიისაგან;

- საქართველო მათთვის მხოლოდ „გემრიელ ლუკმას“ წარმოადგენს.

სომხეთი:

- არასერიოზული პარტნიორი;
- მომდევნო რამდენიმე საუკუნე მათი „ვალი“ ექნება საქართველოს ამ პროექტში მონაწილეობის გამო;
- სხვისი კუთვნილის მისაკუთრების მოყვარული;
- არასასურველი პარტნიორი;
- არაპროგნოზირებადი პარტნიორი.

თურქეთი:

- არასანდო პარტნიორები;
- მაქსიმალური მოგების ნაცვლად გასცემენ მინიმალურს;
- თურქული კომპანიები საკმარისადაა უკვე წარმოდგენილი ქართულ ბიზნეს-გარემოში;
- საშიშროება, რომ ისინი სრული დომინანტები იქნებიან მალე ქართულ ბიზნესში;

აზერბაიჯანის არჩევა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- საქართველოს მეზობლებს შორის ყველაზე კეთილგანწყობილი;
- სანდო პარტნიორი;
- თანამშრომლობისთვის გახსნილი.

რაც შეეხება თავად საქართველოს ტურისტულ ქალაქს, მისი დასახელება ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და შესაბამისად, ამ ფაქტორზე დიდი ყურადღება მონაწილეებს არ გაუმახვილებიათ. მხოლოდ ერთ ჯგუფში გაიჟღერა ბათუმის სახელმა, რომელსაც მონაწილეები არც დათანმხებიან და არც შეწინააღმდეგებიან. მნიშვნელოვანია, რომ სიმულაციაში ჩართული პირების აბსოლუტურ უმრავლესობას, არ ჰქონდა იმ რომელიმე ერის წარმომადგენელთან

თანამშრომლობის პირადი გამოცდილება, რომლის მეოთხე მხარედ დასახელებას დაეთანხმნენ ან შეეწინააღმდეგნენ. მხოლოდ ერთი ჯგუფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანულ მხარესთან საქმიანი ურთიერთობა აკავშრიებს, რის გამოც მისთვის სასურველი იქნებოდა პარტნიორად ამ ქვეყნის დასახელება. ხოლო, მეორე ჯგუფში ერთ-ერთ მონაწილეს თურქულ მხარესთან თანამშრომლობის უსიამოვნო გამოცდილება ჰქონდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ შთაბეჭდილების შესაქმნელად სტერეოტიპი სულაც არ საჭიროებს ადამიანის უშუალო ინტერაქციას სამიზნესთან. ამ შემთხვევაში, მონაწილეები საზოგადოდ გავრცელებული შეხედულებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ სტერეოტიპულ ინფორმაციას ისინი ქცევითი დადასტურებისთვის იყენებენ, იმის მიუხედავად, იციან თუ არა მისი ნამდვილობა. მაგალითად, როდესაც მონაწილეები აცხადებენ, რომ „სომხები არასანდო პარტნიორები არიან“ ან „რუსული ბიზნესიც რუსული პოლიტიკის იდეოლოგიით საზრდოობს“, ისინი სავარაუდოა, რომ საწინააღმდეგოს დადასტურების შესაძლებლობას არ მისცემენ არც ერთი და არც მეორე ქვეყნის წარმომადგენლებს. უცხოელი პარტნიორის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შექმნა სავარაუდოა, რომ გამოწვეულია ორი ფაქტორით: 1. როგორც ნავარაუდევი იყო, თანამემამულეები ერთმანეთის მიმართ მეტი სიმპათიით განეწყვენენ; 2. უცხოელ პარტნიორს, წარსულმა არასასიამოვნო გამოცდილებამ ქართულ ბიზნეს-სექტორთან, მას ნაკლებად სანდო იმიჯი შეუქმნა.

ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ არც ერთ „ნეიტრალურ მახრეს“, როგორიცაა მეორე ქართული კომპანია და მერიის წარმომადგენელი, რომელთაც უცხოურ კომპანიასთან წარსულში არანაირი შეხება არ ჰქონიათ, არ დაუსვამს კითხვა უცხოური კომპანიის წარმომადგენლისთვის, თუ რამდენად რეალური იყო ქართველი პარტნიორისეული ვერსია მათი წარუმატებელი თანამშრომლობის შესახებ. მას შემდეგ, რაც თავად უცხოური კომპანიის წარმომადგენელი თავის

გასამართლებელ არგუმენტებს (ზოგიერთ შემთხვევაში კონტრარგუმენტებსაც) მოიყვანდა, კითხვები ქართული კომპანიის მიმართაც ჩნდებოდა, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე უცხოური კომპანიის მისამართით. ამ შემთხვევაშიც, აღსანიშნავია, რომ აქცენტი გაკეთდა ძირითადად წარსულის განხილვაზე და არა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება, მნიშვნელობა არ მიანიჭონ ინფორმაციას, რომელიც მათ სტერეოტიპებს ეწინააღმდეგება, შეიძლება ითქვას, რომ სტერეოტიპები ადვილად იქმნება, მათი დაძლევა კი ძნელია.

სიმულაციური თამაშების მიმდინარეობისას გამოიკვეთა ძირითადი სტერეოტიპული მოსაზრებები:

- უცხოელები ნაკლებად სანდო პარტნიორები არიან;
- ქართველსა და უცხოელს შორის დავაში ეს უკანასკნელია დამნაშავე (ხოლო თუ მაინც ქართველი აღმოჩნდება დამნაშავე, მას ამისთვის სერიოზული საბაბი ჰქონდა);
- მამაკაცები ასერტიულები არიან, ქალები კი ემპათიურები, ხოლო ის ვინც არ ჯდება ამ საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების ჩარჩოში, ნეგატიურად აღიქმება;
- ქალები მამაკაცებს ასახელებენ დომინანტ მხარედ, მაშინაც კი, როცა ისინი მოლაპარაკების მაგიდასთან მეტი სიმწვავით გამოირჩევიან და არც ერთ კომპონენტში თანამომლაპარაკებელი ვერ/არ „ჩაგრავს“ საპირისპირო სქესის წარმოამდგენელს.

2.4.4. აღმქმელის/სამიზნის რწმენისა და ქცევის ცვლილება

აღქმა არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანები გარემოს უკავშირდებიან. ისინი ინტერპრეტირებას მიმართავენ და მიღებულ ინფორმაციასზე სათანადოდ რეაგირებენ. თვითქმნადი წინასწარმეტყველების ფენომენზე დასაკვირვებლად,

სიმულაციურ თამაშში, თითოეული როლისთვის ჩადებული იყო სხვებზე შთაბეჭდილების შემქმნელი დეტალები.

წარმოდგენილი A, B და C სამშენებლო-სარემონტო კომპანიები და D _ მერიის წარმომადგენელი, სხვებზე გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ, რაც ეხმარებოდა მათ წინასწარი განწყობების შექმნაში. მაგალითად, A-ს, რომელიც ამავდროულად ერთადერთი უცხოური კომპანია იყო, წარსულში წარუმატებელი თანამშრომლობა აკავშირებდა B-სთან, რომელიც ქართულ ბაზარზე უმსხვილესი სამშენებლო კომპანიაა და ამასთან ერთად, მისი დამფუძნებლისთვის საზოგადოებრივი აზრი და კარგი რეპუტაცია უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ A ასევე მსხვილი, სოლიდური სამშენებლო კომპანიაა. C თავის მხრივ, ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენის ახლადდაარსებული კომპანიაა, რომელიც თავის ნიშას (ინტერიერის დიზაინი და სარემონტო სამუშაოების წარმოება) იკავებს და კონკურენცია დიდად არ აწუხებს. მათ დანაწილებული აქვთ შესასრულებელი ვალდებულებები, რომელიც დათქმულ დროში უნდა მოასწრონ. მერიის წარმომადგენელს (D) უფრო მეტად, მათი მოლაპარაკების გაკონტროლება და სიცხადის შეტანა ევალება, ისევე როგორც იმის უზრუნველყოფა, არ მოხდეს შეთანხმება ადგილობრივების ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

აღმქმელის მოლოდინები შესაძლოა დაადასტუროს მისმა მცდარმა ვარაუდებმა სამიზნის შესახებ, ისევე როგორც შემეცნებითმა/აღქმითმა მიკერძოებამ. ამ შემთხვევაში, თითოეული აღმქმელი, სხვა მხარისთვის წარმოადგენს სამიზნეს. ამიტომაც, მიზანშეწონილად მიმაჩნია, თითეული აქტორი როგორც აღმქმელის, ისე სამიზნის ჭრილში, ერთდროულად განვიხილო. კიდევ ერთი მიზეზი საკითხის ამგვარად განხილვისთვის არის ის, რომ თვითქმნადი წინასწარმეტყველება, ზემოქმედებათა უწყვეტი ჯაჭვია, რომელზეც აღმქმელსა და სამიზნეს შორის ინტერაქციის ცვლილება მაშინვე აისახება.

მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული მხარის მოლოდინები სამიზნის შესახებ არსებულ ვარაუდებს ეყრდნობოდა. თავის მხრივ, აღმქმელის ქცევის ცვლილება გავლენას ახდენდა სამიზნის ქცევაზეც. განვიხილოთ A კომპანიასთან დამოკიდებულება: B კომპანიის გარდა, არც ერთმა მხარემ დაზუსტებით არ იცის, რა მოხდა რეალურად წარსულში. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია A კომპანიასთან საუბარი მხარეებს პირდაპირ წარსულზე მითითებით და დადანაშაულებით დაეწყოთ, იმის მიუხედავად, დარწმუნებულნი იყვნენ თუ არა მის ბრალეულობაში. ზემოთ ხსენებულ არც ერთ მხარეს არ გასჩენია სურვილი, დაეზუსტებინათ, რამდენად სწორია გაჟღერებული ინფორმაცია. ერთ-ერთ ჰეტეროგენურ ჯგუფში, მერიის წარმომადგენელმა (D), რომელიც როგორც წესი, იწყებს მოლაპარაკების მაგიდასთან საუბარს, როგორც ყველაზე ობიექტური და განსახორციელებელ პროექტზე ორიენტირებული მხარე, A კომპანიის წარმომადგენელი თავიდანვე დაადანაშაულა და პირდაპირ წარსული უთანხმოების განხილვაზე გადაიტანა აქცენტი. ამ შემთხვევაში, მოლაპარაკების დაწყება ბრალეულობის განხილვით დაიწყო და იგი მთელ პროცესს ფონად გასდევდა, სწორედ ამიტომ, ოთხი ჯგუფიდან, სიმულაციური თამაში ყველაზე დიდი სიმწვავით აღნიშნულ ჯგუფში წარიმართა.

აღმქმელის წრმენაზე ასევე მოქმედებდა ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა „ახალბედა ბიზნესმენი“, „ახლადდაარსებული კომპანია“ - ამ დროს უფრო გამოცდილი და მსხვილი კომპანიის წარმომადგენლები (შესაბამისად A და B), C კომპანიის წარმომადგენელთან მიმართებით, გამოხატავდნენ გარიგების სურვილს. ასევე აღსანიშნავია, რომ B კომპანიისთვის მოცემული პირობა, რომლის მიხედვითაც, მისი დამფუძნებელი ერიდება ე.წ. „ჩრდილოვან გარიგეგებს“, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია რეპუტაცია და ხალხის აზრი, სამ ჯგუფში არ იქნა გათვალისწინებული B-ს წარმომადგენლის მიერ. თავის მხრივ, C კომპანია, „წარსულში წარუმატებელი თანამშრომლობის გამო“, ყოველ ჯერზე თავს იკავებდა პირდაპირ თუ ირიბად შეთავაზებულ გარიგებაზე თანხმობისაგან.

აღმქმელის რწმენის ცვლილება, ბუნებრივია აისახება მის ქცევაზეც. სწორედ ამის დადასტურებაა B კომპანიის წარმომადგენლების მიერ მათი პირობის უგულებელყოფა „იმიჯისა და საზოგადოებრივი აზრისთვის“ დიდი მნიშვნელობის მინიჭების შესახებ, მით უფრო, რომ მოლაპარაკებაზე არა გენერალური დირექტორი, არამედ კომპანიის წარმომადგენელი იმყოფებოდა. მკვლევრის ვარაუდით, კომპანიის წარმომადგენელი დირექტორის პოზიციას საზოგადოების თვალში კარგად წარმოჩენის თაობაზე, გვერდს ადვილად ვერ აუვლიდა, თუმცა ასე არ მოხდა: მონაწილეები დაეყრდნენ შექმნილ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკების მაგდასთან მყოფი მეორე მხარე წარსულის გამო არასანდო პარტნიორად შეიძლება ჩაითვალოს. ამას დაემატა ისიც, რომ ხსენებული კომპანიის წარმომადგენლები მინიშნებას აკეთებდნენ ფინანსურ სარგებელზეც, რაც გარიგების შემთხვევაში ბევრად მეტი იქნებოდა. რაც შეეხება ჯგუფს, რომელშიც B კომპანიის წარმომადგენელს გარიგება არ შეუთავაზებია C კომპანიის წარმომადგენლისთვის, იგი მდედრობით სქესის მონაწილეებით იყო დაკომპლექტებული. მონაცემების თვალსაჩინოდ დაჯგუფებისთვის, გთავაზობთ თითოეულ ჯგუფში აღმქმელის რწმენისა და ქცევის ცვლილების აღწერას:

ჯგუფი 1:

რწმენის ცვლილება: ჯგუფში, სადაც მოლაპარაკების უმეტესი ნაწილი დისტრიბუციულ ფორმატში წარიმართა, გავლენა მოახდინა წინასწარ შექმნილმა თთქმის ყველა ფაქტორმა.

A კომპანიის წარმომადგენელზე შეიქმნა უარყოფით შთაბეჭდილება არამხოლოდ მასთან წარსულში დაპირისპირებული მხარის, არამედ C და D მხარეების მიერაც. იგი აღიქვეს როგორც ნაკლებად სანდო პარტნიორი. მიუხედავად ამისა, C კომპანიის წარმომადგენელი იყო ერთადერთი, რომელმაც A მხარის მოსმენის შემდეგ, კითხვები B-საც დაუსვა და უკვე არსებული პირობები მისაღებად მიიჩნია, მაშინ, როცა B კომპანიის წარმომადგენელმა პირდაპირ წამოაყენა ულტიმატუმი და

მხარეებს მოსთხოვა მასა და A-ს შორის არჩევანის გაკეთება. ზოგადად, როგორც ცნობილია, მოლაპარაკების პიროვნულ სტილს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ინდივიდის მახასიათებლები საგრძნობლად განსაზღვრავს მომლაპარაკებლის ქცევას, მის აზრებს, ემოციურ გამოხატულებებს. (ჯორბენაძე რ. 2001) ამ შემთხვევაში ქართული კომპანიის, B-ს, წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ რაც უფრო მეტად გაამწვავებდა ურთიერთობას, მით უფრო უპირატესი გამოჩნდებოდა და მოლაპარაკების მთლიანი მსვლელობაც მისი სურვილისამებრ წარიმართებოდა. მერიის წარმომადგენელი სრულიად მოექცა მის გავლენაში, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით მესამე მხარეზე, როგორც ავღნიშნეთ, C კომპანიამ უარი განაცხადა გარიგებაზე, რომელიც B-მ მას შესთავაზა იმ მიზეზით, რომ არსებობდა მყარი გარანტიები და ნათელი პირობები განსახორციელებელი პროექტის თაობაზე.

ქცევის ცვლილება: თითოეულმა აღმქმელმა (რომელიც ამავე დროს სამიზნეს წარმოადგენს სხვა მხარისთვის), საკუთარი რწმენის ცვლილების შესაბამისად, შეცვალა ქცევაც, კერძოდ: *A კომპანიამ,* რომელმაც იცის, რომ ნაკლები ნდობით სარგებლობს, აირჩია თანამონაწილეობის ტაქტიკა, რომლის მიხედვით, ერთი მხარე ცდილობს, მეორე მხარის მხარდაჭერის მოპოვებას საკუთარი ინტერესების მისაღწევად. აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელი, მოლაპარაკების მთელი პროცესის მიმდინარეობაში თავს იმართლებდა წარსული უსიამოვნო გამოცდილების გამო და მხარეებს მოუწოდებდა ნდობის გამოცხადებისკენ. *B კომპანიამ,* როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდანვე ემოციურად დაიწყო მოლაპარაკება, რაც ეროვნული (ნაციონალური) სტილის შესაბამისია; მისი ტაქტიკა და საუბარი, ძირითადად მიმართული იყო A-ს წინააღმდეგ და ხაზს უსვამდა მის არაქართულ წარმომავლობას.

იმის მიუხედავად, რომ D-ს ფუნქცია უფრო მაკონტროლებელი/მარეგულირებელი ხასიათის იყო, იგი მეტად მიემხრო B-ს პოზიციას და მოლაპარაკების უხეში სტილი აირჩია, რაც აგრესიულობასა და ბრალდებებზეა დაფუძნებული. C კომპანიის

წარმომადგენელი კი უფრო მიკუთვნებულობით სტილს იყენებდა, რომელიც ანალიტიკურობასა და შედეგზე ორიენტირებას გულისხმობს.

საბოლოო ჯამში, სიმულაციური თამაში გაურკვევლად დასრულდა - კონკრეტული შეთანხმებისთვის მხარეებს არ მიუღწევიათ. ამასთან როგორც A-მ აღნიშნა, B თავისი სქესისთვის ნაკლებად შესაფერისად იქცეოდა (ამ კომპანიის წარმომადგენელი მდედრობითი სქესის იყო, ხოლო A-ს წარმომადგენელი - მამრობითი სქესის.)

ჯგუფი 2:

რწმენის ცვლილება: მეორე ჰეტეროგენურ ჯგუფში, მოლაპარაკება ძირითადად ინტეგრაციული ხასიათის იყო. მხარეები აცნობიერებდნენ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომი ყველა მონაწილისთვის, არსებული პროექტი მნიშვნელოვანია, რაც მათ მომართავდა საერთო ინტერესების აღმოჩენისაკენ. პირველი ჯგუფის მსგავსად, დაფიქსირდა A-ს მიმართ ნეგატიური განწყობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ D მხარემ გააცნობიერა თავისი როლი და ცდილობდა, ყველასთვის დაესვა კითხვები, რომელიც სიცხადეს შეიტანდა და მოსალოდნელ გაუგებრობებს თავიდან აიცილებდა მომავალში. მოლაპარაკების მიმდინარეობა თავდაპირველად, ამ ჯგუფში ძალაუფლება-სტატუს კვოს პრინციპით წარიმართა; B მხარე ძალაუფლებაზე იყო ორიენტირებული და A მხარის შესახებ აგრესიის გამოხატვასთან ერთად, წარსულ გამოცდილებას იშველიებდა, იგი ნაკლებად ტოლერანტული და შედეგზე ორიენტირებული იყო; ამან გამოიწვია მოულოდნელი შედეგი, და ახალბედა კომპანიის, C-ს წარმომადგენელმა თავად შესთავაზა B კომპანიას გარიგება, თუმცა შემდეგ ჩათვალა, რომ ეს უფრო დიდი რისკი იყო და მოვლენების განვითრებას დაელოდა. მოგვიანებით, A კომპანიამ, მხარეებისთვის მოულოდნელად, თავდაცვის ნაცვლად, B -ს კონტრარგუმენტებით უპასუხა, რის შედეგადაც, გარდამტეხი მომენტი - ტაქტიკების შეცვლა დაფიქსირდა ყველა მონაწილის მიერ.

ქცევის ცვლილება: A-ს მიერ თავდაცვის ნაცვლად დასაბუთებული არგუმენტების მოსმენამ, იმოქმედა მოლაპარაკებაში მონაწილე აქტორებზე _ მოლაპარაკება თანამშრომლობა - სტატუს კვოს ეტაპზე გადავიდა: დაისვა ბევრი კითხვა, საკითხში გასარკვევად. ამ ეტაპის დასაწყისში, თავდაპირველად, სტატუს კვოზე ორიენტირებული მხარეები (B და C), გაურბონდენ თანამშრომლობას შედეგთან დაკავშირებით, თუმცა თანამომლაპარაკებლის მიერ ზემოქმედებამ, რაც ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეხსენებას გულისხმობს, როგრიცაა პროექტში მსხვილი ორგანიზაციების, მაგალითად მსოფლიო ბანკის ჩართულობა _ შედეგი გამოიღო და მონაწილეები შეთანხმდნენ თავდაპირველად არსებული პირობების შესრულების შესახებ.

ჯგუფი 3:

რწმენის ცლილება: მოცემული ჯგუფი მთლიანად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული; მათ შორის მოლაპარაკება ინტეგრაციული მეთოდით წარიმართა, ძირითადად, თანამშრომლობა-თანამშრომლობაზე დაფუძნებული ტაქტიკით. ამ ჯგუფს სხვებისგან გამოარჩევდა ის, რომ B კომპანიის წარმომადგენელს არ შეუთავაზებია C-სთვის გარიგება, რაც A-ს თამაშგარე პოზიციაში დატოვებდა. ოთხივე მონაწილე შედეგზე იყო ორიენტირებული და კოლაბორაციულად მოქმედებდა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჯგუფი იყო ერთადერთი, რომლებმაც მოლაპარაკების საწყის ეტაპზევე გააცნობიერეს, რომ საკუთარი ინტერესების განხილვასთან ერთად თანამომლაპარაკებლის ინტერესების განხილვაც მნიშვნელოვანია, რაც საერთო საქმეს და მომავალ თანამშრომლობას უფრო წაადგება და რისკებს შეამცირებს. მიუხედავად ამისა, სხვა ჯგუფების მსგავსად, მე-3 ჯგუფის წარმომადგენლებაც დიდი დრო დაუთმეს A-სა და B-ს შორის წარსული უთანხმოების განხილვას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ აწმყოში არ გადმოუტანიათ აღნიშნული კონფლიქტი. მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, მეორე ჯგუფის მსგავსად, უმაღლესი ავტორიტეტის

შემქნის ტაქტიკის მოშველიება, თუმცა არა ერთი, ყველა მხარის მიერ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი საკუთარი თავის დარწმუნებასაც ცდილობდნენ როდესაც იხსენიებდნენ განსახორციელებელ პროექტში ჩართულ ავტორიტეტებს, რომელთა აზრს დიდი ყურადღება ექცევა (მაგალითად, დასახელდა მსოფლიო ბანკი და ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, რომელთა უშუალო კოლაბორაციით უნდა წარიმართოს აღნიშნული პროექტი).

ქცევის ცვლილება: სიმულაციური თამაშის პირობაში ჩადებულმა ელემენტებმა, როგორიცაა B კომპანიის მფლობელის გარიგებაზე წასვლისა და "არასანქცირებული მოლაპარაკებების" მიუღებლობა და ამავე კომპანიის წარმომადგენლის მიერ მისი გათვალისწინება, საერთო ჯამში, დადებითი შედეგი მოუტანა მთლიანად მოლაპარაკების მსვლელობას. მხარეები ორიენტირდნენ საერთო ინტერესზე და თავიდანვე შეთანხმების მიღწევისთვის განეწყვნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამაში დიდი როლი ითამაშა სქესმაც _ მონაწილეებს სურდათ მამაკაცებით დომინირებად სფეროში სწორედ ქალების ხელმძღვანელობით განხორციელებულიყო მასშტაბური პროექტი.

ჯგუფი 4:

რწმენის ცვლილება: ბოლო ჯგუფი, რომელშიც სიმულაციური თამაში ჩატარდა, როგორც ცნობილია, მამრობითი სქესის მონაწილეებით იყო დაკომპლექტებული. სხვა ჯგუფებისგან გამორჩეული გახლდათ ის ფაქტი, რომ მოლაპარაკების საწყის ეტაპზე დაფიქსირებული კონკურენციის ტაქტიკიდან ბოლოს აქტორები მეგობრობაზე გადავიდნენ. უფრო კონკრეტულად, საკითხის განხილვის დასაწყისში, თითოეული მხარე ცდილობდა მოლაპარაკების მართვის სადავეები თავად აეღო ხელში, ისინი საუბრობდნენ საკუთარი კომპანიის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა მსხვილ პროექტზე, ასევე მერიის წარმომადგენელი D მხარე, ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ თითოეულ მხარეს არგუმენტირებულად უნდა დაესაბუთებინა მისთვის, რამდენად შეძლებდა დაკისრებული მოვალეობის

შესრულებას. წინა ჯგუფების მსგავსად, არც აღნიშნულ ჯგუფში აუვლიათ გვერდი A კომპანიის სანდოობის, A-სა და B-ს შორის არსებული წარსული დავის განხილვაზე, თუმცა, C კომპანიის წარმომადგენელმა, ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ იგი ენდობოდა მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომ მამაკაცებს, სწორედ იმ მიზეზით, რომ არსებულ საკითხზე ოთხი „სერიოზული და სოლიდური მამაკაცი მსჯელობდა“. შესაბამისად, გენდერულმა ფაქტორმა ამ ჯგუფშიც დიდი როლი ითამაშა მოლაპარაკების მიმდინარეობაზე.

ქცევის ცვლილება: C-ს მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ მოლაპარაკების ფორმატი შეიცვალა და იგი მეგობრობა-მეგობრობის ტაქტიკით გაგრძელდა. ამ დროს, როგორც ცნობილია, მხარეები მეგობრულ ურთიერთობას ამყარებენ და შედეგზე აღარ ფიქრობენ (ჯორბენაძე რ., 2001). თუ მანამდე მოლაპარაკებაში ჩართული კომპანიების წარმომადგენლები ერთმანეთს ინიციატივის გამოჩენასა და მოლაპარაკების მიმდინარეობის გაკონტროლებაში ეჯიბრებოდნენ, ზემოთ ხსენებული განაცხადის შედმეგ, მხარეებმა უცვლელად დატოვეს თავდაპირველი შეთანხმება და მოლაპარაკება დაასრულეს. ამ შემთხვევაში, შედეგის მიღწევა ისევ მეგობრულ გარიგებას ეფუძნება და მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს როგორც საკუთარ აზრებზე, ისე განცდებსა და გრძნობებზე.

2.4.5. კვლევის შედეგების შეჯამება

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად, რომელსაც სიმულაციური თამაშის სახე ჰქონდა, გამოვლინდა, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სქესი და ეროვნული კუთვნილება, ქართველ ახალგაზრდებშიც დიდ გავლენას ახდენს პირისპირ ინტერაქციის ისეთ ფორმაზე, როგორიცაა მოლაპარაკება. თვითქმნადი წინასწარმეტყველების შექმნასა და მოქმედებაში უმნიშვნელოვანესია თავად ინდივიდის როლი _ რამდენად იმოქმედებს მის აღქმაზე შექმნილი გარემო, რამდენადაა შესაძლებელი მისი რწმენების პროვოცირება და მათი შეცვლა.

აღმოჩნდა, რომ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში არიან როგორც ხისტი, ისე რბილი მომლაპარაკებლები, თუმცა დადასტურდა ის ფაქტი, რომ შერეულ ჯგუფებში მამაკაცები უფრო მიმღებლები არიან „ფემინური“ ქალების მიმართ, რომლებიც ორიენტირებულნი არიან არა საკუთარი ინტერესების მკაფიოდ ფორმულირებაზე, არამედ სხვისი ინტერესების გათვალისწინებაზეც. თუმცა მეორე მხრივ, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ნაწილი სულაც არ მიიჩნევს, რომ ამ ჩარჩოში მათი მოთავსება სამართლიანია და საკუთარ მიზანზე ორიენტირებითა და ხისტი პოზიციით ადასტურებენ, რომ არამხოლოდ კაცები, არამედ ქალებიც რაციონალურად მოაზროვნე და ინიციატივიანი მომლაპარაკებლები არიან.

საინტერესოა სიმულაციური თამაშების მიმდინარეობისას აღმოჩენილი კროსკულტურული ფაქტორის გავლენაც: ერთი კულტურისა და ეროვნების წარმომადგენლებმა, ყველა ჯგუფში, ერთმანეთთან უფრო ადვილად გამონახეს საერთო ენა, ვიდრე სხვა კულტურის წარმომადგენელთან. საგულისხმოა, რომ მონაწილეთა უმრაველსობა, ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული ძირითადი მოსაზრებების გავლენით მოქმედებდა „უცხოელ“ მონაწილესთან და არა პირადი გამოცდილების საფუძველზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკებაში თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა განისაზღვრება როგორც ინდივიდუალურ, ისე ზოგადკულტურულ დონეზე. შესაძლოა მოლაპარაკებისას ადამიანი იყენებდეს საზოგადოდ აღიარებულ სტანდარტებს, თუმცა, გარკვეულ ეტაპზე გამოჩნდება იმ საზოგადოების ეროვნული მახასიათებლები, რომელსაც აღნიული პირი წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკლებლივ ყველა ჯგუფმა დიდი დრო დაუთმო წარსულში არსებული კონფლიქტის განხილვას, რამაც გამოიწვია განსახილველი საკითხიდან გადახვევა. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა

უმრავლესობამ, საბოლოოდ, აქცენტი საერთო ინტერესებისა და შეთანხმების მიღწევის აუცილებლობაზე დასვა, რაც საყურადღებო ნიუანსია.

ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამაც, რომ არცერთ ჯგუფს დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია საქართველოს იმ რეგიონისა თუ ქალაქის დასახელებისთვის, სადაც აღნიშნული პროექტი უნდა განხორციელებულიყო, მაშინ, როცა მოლაპარაკებაში ჩართული მეოთხე მხარის ეროვნულ კუთვნილებაზე მსჯელობას საკმაო დრო დაუთმეს. ვფიქრობ, ამ დეტალის ყურადღების მიღმა დატოვება გამოიწვია იმან, რომ მონაწილეებისთვის ობიექტის გეოგრაფიულ მდებარეობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ჩათვალეს, რომ მოლაპარაკების პროცესზე გავლენას ეს ფაქტი არ იქონიებდა.

საბოლოო ჯამში, ჩატარებული სიმულაციური თამაშების გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ თვითქმნადი წინასწარმეტყველების შექმნა და აღმქმელის მანიპულირება შესაძლებელია ისეთ დეტალებით, როგორიცაა სტერეოტიპები, სქესი, ეროვნება და ასპირაციათა დონე _ კონკრეტული შედეგის გარდა, რამდენად ექცევა ყურადღება ინტერესებისა და საჭირობებების სპექტრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითქმნადი წინასწარმეტყველება პირდაპირ ზემოქმედებს პიროვნებებს შორის ურთიერთობაზე, ამ შემთხვევაში კი მოლაპარაკებაზე.

როგორც ცნობილია, ოთხი მხარის არსებობისას, მოლაპარაკება უფრო კონსტრუქციულად მიმდინარეობს, რადგან ასეთ შემთხვევაში, გაზრდილია კოალიციებში მონაწილეთა რაოდენობა. აქ ხდება ძალთა ბალანსის გათვალისწინება და მახრეები ცდილობენ, შეთანხმების მიღწევას. (ჯორბენაძე რ., 2001)

ჯგუფებში, მათი ჰომოგენურობის ან ჰეტეროგენურობის მიუხედავად, მოლაპარაკების პროცესზე მოქმედებდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადამიანების მიერ თანამომლაპარაკებლების შემეცნება, დაფუძნებული ადრეულ გამოცდილებაზე ან საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე, მოგება-წაგების, შეთანხმების მიღწევის შედეგად არსებული რისკების გამოვლენა და სხვ.

3. დასკვნა

ნაშრომის მთავარი მიზანი იყო, დაედგინა თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა მოლაპარაკების პროცესზე: კერძოდ, გამოვლენილიყო ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც აღმქმელის რწმენას აყალიბებს სამიზნის შესახებ. ასევე განსაზღვრულიყო, რა გავლენას ახდენს რწმენის ცვლილება ქცევაზე და რა როლს ასრულებენ სტერეოტიპები მოლაპარაკების პროცესში.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, საჭირო გახდა, ფართო მნიშვნელობის მქონე ფენომენის, თვითქმნადი წინასწარმეტყველების, გავლენის სფეროების დავიწროება და მისი მორგება მოლაპარაკების პროცესის მსვლელობაზე. ამ შემთხვევაში, თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენა შესწავლილი იქნა ორი ძირითადი განხრით, სქესსა და ეროვნულ კუთვნილებასთან მიმართებით მოლაპარაკების დროს.

ისეთი თემის ემპირიულად შესწავლა, რომელიც შემეცნებას, აღქმასა და ინტერაქციას უკავშირდება, საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მკვლევარის გავლენის ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანის, მონაწილეთა ურთიერთკავშირის უწყვეტობისა და აზრთა თავისუფლად გაცვლის საჭიროების გამო, კვლევისთვის შეირჩა სიმულაციური თამაში, რომელიც ოთხმხრივი მოლაპარაკების ფორმატში, წინასწარ შერჩეული როლების მიხედვით წარიმართა.

იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ზემოთ ხსენებული ფენომენის ურთერთქმედებაზე დაკვირვება მიმდინარეობდა ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში, რომელთა რაოდენობა 4-ს (ოთხს) შეადგენდა, მიღებული მონაცემების განზოგადება და იმის თქმა, რომ ყველა ახალგაზრდა ან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი ისევე მოიქცევა, როგორც აღნიშნული სიმულაციური თამაშის მონაწილეები, არ შეგვიძლია. თუმცა, ოთხივე ჯგუფში ნათლად გამოიკვეთა, რომ ღირებულებების, რწმენებისა და ვერბალური კომუნიკაციის კონსტრუქტი ერთობლივად ახდენს გავლენას თვითქმნადი წინასწარმეტყველების როლის სიძლიერეზე. რადგანაც აღმქმელის მიერ მიღებული

ინფორმაცია გონების, როლისა და გააზრების არსებულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ყოველთვის შეიძლება იყოს შეცდომები ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და შემდგომი კომუნიკაციის დროს.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ თვითქმნადი წინასწარმეტყველების ზემოქმედება მოლაპარაკების პროცესის დადებითად დასრულებას, ხშირ შემთხვევაში, სუბიექტური, მცდარი განწყობის გამო აფერხებს. ამ ფენომენის შემდგომი შესწავლა უფრო ფართოდ და სიღრმისეულად, ხელს შეუწყობს, ქართული საზოგადოების მახასიათებლების დადგენას მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობისას და აღქმის პროვოცირებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას. გარდა ამისა, აღნიშნულ თემაზე ინფორმირების დონის გაზრდა, პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს ადამიანების ინტერაქციაზე როგორც ინტერპერსონალურ, ისე შიდაჯგუფურ და ჯგუფთაშორის დონეზე. როგორც ცნობილია, „ყველაფერზე შეიძლება მოლაპარაკება. რამდენად ადვილად წარიმართება იგი, ეს სხვა საკითხია“ - მისი ადვილად წარმართვა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არასწორი წარმოდგენებისა და შემეცნებითი მიკერძოების დაძლევაზე.

4. გამოყენებული ლიტერატურა

Biggs, M. (2009). Self-Fulfilling Prophecies. In P. B. Peter Hedstrom, *The Oxford Handbook of Analytical Sociology* (pp. 294-303). Oxford: Oxford University Press.

Brameld, T. (1972). *"Education as Self-Fulfilling Prophecy".* Phi Beta Kappa.

Brazeal, G. (2009). *"Against Gridlock: The Viability of INterest-Based Legislative Negotiation.* Retrieved 05 26, 2017, from Harward Law & Policy Review: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1730725

Fisher, Roger, Ury, Wiliam & Paten, Bruce. (1991). *Getting to yes: Negotiating agreement without giving in.* New York: Penguin.

Frenkel, S. (2009, 02 27). *THE SELF-FULFILLING PROPHECY: THE VALUE OF EMPOWERING YOUR COUNTERPARTS TO COLLABORATE*. Retrieved 05 2017, from Havard Negotiation Law Review: http://www.hnlr.org/2009/02/the-self-fulfilling-prophecy-the-value-of-empowering-your-counterparts-to-collaborate/

Jared R. Curhan, Jennifer R. Overbeck. (2011). *Making a Positive Impression in a Negotiation: Gender differences in Response to Impression Motivation.* Massachusetts: Massachusetts Institute of Technology.

Jeffrey Z. Rubin; Dean G. Pruit; Sung Hee Kim. (1994). *Social Conflict: Escalation, Stalemate and Settlment.* New York: McGraw-Hill.

Kühn, S. (2016, 07 08). *International Negotiation and Conflict Resolution Systems*. Retrieved 06 2017, from http://www.incs.international/en/: http://www.incs.international/en/insight-magazin/item/67-the-self-fulfilling-prophecy.html

Mark Snyder, Ellen Berscheid, Elizabeth Decker Tanke. (1977). Social Perception and Interpersonal Behavior: On the Self-Fulfilling Nature of Social Stereotypes. *Journal of Personality and Socail Psychology*, 656-662.

Merton, R. (1968). *Social Theory and Social Structure.* New York: The Free Press.

National Defense University. (n.d.). *Strategic Negotiation.* Retrieved 05 2017, from af.mil.au: http://www.au.af.mil/au/awc/awcgate/ndu/strat-ldr-dm/pt3ch13.html

Online Etymology Dictionary. (2014, 05 11). Retrieved 06 10, 2017, from etymonline.com: http://www.etymonline.com/index.php?term=negotiation

Popper, K. (1976). *Unended Quest: An Intellectual Autobiography.* LaSalle, Illinois: Open Court.

R. Rosenthal; L. Jacobson. (1963). Teacher's expectancies: Determinants of pupils' IQ gains. *Psychological Reports*, pp. 115-119.

Sener, R. (2008). *The Expert Negotiator .* Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers.

Shelagh M.J. Towson, Mark P. Zanna, Glenda Maconald. (1985). Self-fulfilling prophecy: Sex role stereotypes as expectations for behavior. In *Imagination, Cognition and Personality* (pp. 149-160). Baywood Publishing Co., Inc.

Thomas, W. I. (n.d.). Thomas Theorem. USA.

Yu Yang, David De Cremer. (2016, January 08). Cultural Stereotypes May Make You a Less Ethical Negotiator. Harvard; Shanghai, Illinois , China; USA.

ბალიაშვილი, მ. (2013). *სოციალური ფსიქოლოგიის დაწყებითი კურსი.* თბილისი: "მწიგნობარი".

ზურაბიშვილი, თ. (2006). *"თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში".* თბილისი.

კოდუა, ე. (2004). *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.* Retrieved 04 26, 2017, from nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6711

ზურიკაშვილი ფ., მაღრაძე გ., ჭანიშვილი ნ., ხუციშვილი გ., ჯორბენაძე რ. (2003). *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა.* თბილისი: "პოლიგრაფი".

ჯორბენაძე, რ. (2001). *პოლიტიკური კონფლიქტების მართვა.* თბილისი: "მეცნიერება".

5. დანართი

დანართი 1: სიმულაციური თამაში

მიზანი: თვითქმნადი წინასწარმეტყველების გავლენის კვლევა მოლაპარაკების პროცესში

მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება კვლევის ანალიზის პროცესში, განზოგადებული სახით;

კვლევის ყველა ეტაპზე დაცულია თითოეული მონაწილის ანონიმურობა;

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!

ზოგადი მიმოხილვა: საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ, ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქში, საფუძველი ეყრება გრანდიოზული სავაჭრო-გასართობი და რეკრეაციული ცენტრის მშენებლობას. ქალაქისთვის ასეთი სახის დაწესებულება ახალია, შესაბამისად, მოსახლეობის დაინტერესება და მოლოდინიც დიდია. ქალაქის მერიამ, რომელმაც მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით წამოიწყო აღნიშნული პროექტი, მთლიანი პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების პირობა დადო. მოსახლეობა ქალქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხისა და გამწვანებული მონაკვეთის დათმობის ნაცვლად, ელის ამ სავაჭრო ცენტრში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ქალაქისთვის სიცოცხლისუნარიანობის მომატებას. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლება თანაქალაქელებს დაჰპირდა რომ ამ სავაჭრო ცენტრში არამხოლოდ ცნობილი ბრენდები, არამედ ადგილობრივი წარმოების პროდუქციაც იქნება წარმოდგენილი (როგორც სურსათი, ისე ხელნაკეთი ნივთები, სუვენირები და ა.შ.)

ცენტრის აშენებასა და მის კეთილმოწყობაზე პრეტენდენტია სამი კომპანია, რომელმაც ეს მასშტაბური პროექტი დასრულებული სახით უნდა ჩააბაროს დათქმულ ვადებში (1 წელი). ცენტრის მასშტაბურობიდან და შემჭიდროვებული

ვადებიდან გამომდინარე, დამქირავებელმა ივარაუდა, რომ სამივე კომპანია თუ სამ სხვადასხვა მიმართულებას უხელმძღვანელებს, უკეთესი იქნება, *თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.*
A, B და C კომპანიებმა უნდა იმოქმედონ შეთანხმებულად, რათა 2019 წელს ქალაქი ახალი სავაჭრო-გასართობი ცენტრით შეხვდეს. მათ უნდა დააზუსტონ და შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე მშენებლობის დაწყებამდე.

პირველადი მონაცემებით ვალდებულებები შემდეგნაირადაა გადანაწილებული:
კომპანია 'A' - ცნობილი სამშენებლო და სარემონტო კომპანია მეზობელი ქვეყნიდან, რომელიც *განახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს;*

კომპანია 'B' - მსხვილი ქართული სარემონტო და სამშენებლო მასალების კომპანია, *განახორციელებს სარემონტო სამუშაოებს;*

კომპანია 'C' - ბაზარზე ახლადშემოსული ინტერიერის დიზაინისა და ქართული სამშენებლო კომპანია, რომელიც *უზრუნველყოფს სავაჭრო ცენტრსა და მის შემოგარენში ინტერიერის მოწყობას.*
სამივე კომპანია აცნობიერებს, რომ კოორდინირებული მუშაობა მათთვის მომგებიანია და მათ ინტერესებში არ შედის მსხვილი დამკვეთის დაკარგვა. ასევე, რადგანაც თითოეულ კომპანიას შეუძლია ორი ფუნქციის თავისუფლად შესრულება, არც ერთი მათგანი არ არის დაზღვეული იმისგან, რომ დანარჩენი ორი მის წინააღმდეგ არ გაერთიანდება. პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ორი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ერთი კომპანიის აღამსრულებელი დირექტორის თანაშემწე და ქალაქის მერიის წარმომადგენელი - D.

“A”

თქვენ ხართ საქართველოს მეზობელი ქვეყნის მსხვილი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. საქართველოში რამდენიმე წლის წინ მოგივიდათ გაუგებრობა ადგილობრივი ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, ახლა კი გაქვთ შესაძლებლობა, დაიბრუნოთ პოზიციები თქვენთვის მიმზიდველი მეზობელი ქვეყნის ბაზარზე.

მასშტაბური სავაჭრო ცენტრის მშენებლობაში, თქვენთან ერთად, ჩართულია ორი კომპანია: **კომპანია ‘B’** - მსხვილი ქართული სარემონტო და სამშენებლო მასალების კომპანია, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ უთანხმოება მოგივიდათ სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს;

კომპანია ‘C’ - ბაზარზე ახლადშემოსული, ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენის, ინტერიერის დიზაინისა და სამშენებლო კომპანია, რომელიც განახორციელებს სავაჭრო ცენტრსა და მის შემოგარენში ინტერიერის მოწყობას.

- თქვენ შეგიძლიათ არამხოლოდ სამშენებლო, არამედ სარემონტო სამუშაოების წარმოებაც; თქვენი კომპანია გამოირჩევა სწრაფი და ხარისხიანი სამუშაოთი. თუმცა სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი, ცნობილი ქართული კომპანია B კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ამასთანავე, თქვენი ვალდებულების ანუ სამშენებლო სამუშაოების წარმოება შეუძლია კომპანია C-ს, რომელიც ბაზარზე შედარებით ახალი შემოსულია.
- ორი ქართული კომპანიის შეთანხმების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. მსგავსი საშიშროების დანახვის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, საპასუხოდ ახალბედა მიზნესმენ ქალბატონს შესთავაზოთ თანამშრომლობა;
- მეორე მხრივ, თქვენი რამდენიმე წლის წინ გაფუჭებული რეპუტაცია, ამ „ჩრდილოვანი“ მოლაპარაკების მცდელობით, შესაძლოა კიდევ უფრო

გაუარესდეს. გადაწყვეტილი გაქვთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევები თავიდან აირიდოთ;

- შეხვედრაზე დამსწრე მერიის წარმომადგენელს თქვენ უნდა დაუმტკიცოთ, რომ სწორედ თქვენი კომპანიაა ის, რომელიც შეძლებს, პირნათლად და მაღალ დონეზე შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება და ააშენოს მასშტაბური სავაჭრო ცენტრი.

შენიშვნა: იმოქმედეთ საკუთარი როლის გათვალისწინებით!

"B"

თქვენ ხართ მსხვილი ქართული კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. თქვენი კომპანია გავლენით და კარგი რეპუტაციით სარგებლობთ ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა ბოლო წლებში კონკურენტების მომრავლების გამო, თქვენი გავლენა ნელ-ნელა შემცირდა. ამ მასშტაბურ პროექტში, მხოლოდ სარემონტო სამუშაოების შესრულება დაგევალათ და არა მთლიანად მშენებლობა და რემონტი, თქვენს კომპანიას კი თავისუფლად შეუძლია როგორც ერთი, ისე მეორე ვალდებულება იკისროს. მშენებლობას ახროციელებს თქვენი ძველი კონკურენტი, მეზობელი ქვეყნის **კომპანია A,** რომელთანაც რამდენიმე წლის წინ, უთანხმოება ჰქონდა თქვენს კომპანიას. ინტერიერის მოწყობით დაკავდება ბაზარზე ახლად შემოსული, ქართული **კომპანია C,** რომელთანაც მანამდე თქვენ არანაირი შეხება არ გქონიათ. პარტნიორებისგან გსმენიათ მხოლოდ ის, რომ მისი დამფუძნებელი ახალგაზრდა ბიზნესმენია.

- მართალია თქვენ შეგიძლიათ ორი ვალდებულების, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება, მაგრამ, ამასთანავე, კომპანია A-საც შეუძლია დაკავდეს სარემონტო სამუშაოებით და კომპანია C-სთან თავისუფლად გადაინაწილოს შესასრულებელი ვალდებულებები;

- თქვენ გამოირჩევით კარგი რეპუტაციითა და ყოველთვის დათქმულ ვადებში ასრულებთ დაკისრებულ სამუშაოს, თუმცა თქვენი კონკურენტი A უფრო დიდი კომპანიაა და მუშახელიც მეტი ჰყავს, ხოლო C-სთან საერთოდ არ გქონიათ შეხება და არ იცით მისგან რას უნდა მოელოდეთ;
- შესაძლებელია, C-სთან თანამშრომლობის შეთავაზება - იგი ბაზარზე ახალი შემოსულია და ადგილობრივი დომინანტი კომპანიის მოკავშირეობა მისთვის მისაღები უნდა იყოს. ამ თანამშრომლობით, შესაძლოა A-ს ჩამოშორება მაგრამ, როგორ გავლენას იქონიებს ეს ნაბიჯი თქვენს რეპუტაციაზე, რომელიც თქვენი კომპანიის CEO-მ თავდაუზოგავი შრომით და პატიოსნებით მოიპოვა - რამდენად გენდობიან შემდგომში მომავალი პარტნიორები ან საზოგადოება? თქვენ იცით, რომ აღმასრულებელი დირექტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც იმიჯს, ისე საზოგადოებრივ აზრს;
- თქვენი მიზანია, ერთის მხრივ, შეხვედრაზე დამსწრე მერიის წარმომადგენელს დაუმტკიცოთ, რომ შეგიძლიათ სარემონტო სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულება ხოლო მეორე მხრივ, უნდა გათვალოთ რისკები და არ აღმოჩნდეთ თამაშგარე მდგომარეობაში. თქვენთვის ამ პროექტში ჩართვა მნიშვნელოვანია, რათა არ დაკარგოთ პოზიციები ქართულ ბიზნეს-სექტორში და კიდევ ერთხელ დაუმტკიცოთ ყველას, რომ გავლენიანი კომპანია გაქვთ.

შენიშვნა: იმოქმედეთ საკუთარი როლის გათვალისწინებით!

“C”

თქვენ ხართ ბაზარზე ახლად შემოსული ინტერიერის დიზაინისა და სამშენებლო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა ხართ, კომპანიას წარმატებით უძღვებით და ცდილობთ დაიკავოთ მნიშვნელოვანი ადგილი ჯერ ადგილობრივ, შემდეგში კი საერთაშორისო ბაზარზეც. თავდაპირველი თანამშრომლობის მცდელობა ერთ-ერთ კომპანიასთან წარუმატებლად დასრულდა. შემოთავაზება, რომელიც ქალაქის მერიისგან მიიღეთ თქვენთვის გამოწვევაა და შანსია, დაუმტკიცოთ და აჩვენოთ ყველას თქვენი კომპანიის შესაძლებლობები და მოიპოვოთ ცნობადობა.

- მოლაპარაკების მაგიდასთან თქვენთან ერთად დასხდებიან მეზობელი ქვეყნის ცნობილი სამშენებლო და სარემონტო კომპანია ‘A’, რომელიც განახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და ადგილობრივ ბაზარზე ერთ-ერთი გავლენიანი ქართული სარემონტო და სამშენებლო მასალების კომპანია B, რომელიც განახორციელებს სარემონტო სამუშაოებს;
- თქვენ იცით, რომ გამოკვეთილი პროფილი ინტერიერის დიზაინის მიმართულებით თქვენს კომპანიას აქვს, თუმცა A და B ფართომასშტაბიანი კომპანიებია და მათთვის არ წარმოადგენს სირთულეს რამდენიმე კომპონენტზე, მათ შორის ინტერიერის მოწყობაზე ზრუნვა. ამის გათვალისწინებით, თქვენ ფრთხილად უნდა იმოქმედოთ, შესაძლოა ორმა მსხვილმა მოთამაშემ მიაღწიოს შეთანხმებას და თამაშგარე მდგომარეობაში დაგტოვონ;
- თქვენ ასევე შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ რომელიმე კომპანიამ შემოგთავაზოთ მესამე კომპანიის წინააღმდეგ გაერთიანება;
- შეხვედრაზე დამსწრე მერიის წარმომადგენელს თქვენ უნდა დაუმტკიცოთ, რომ მიუხედავად არც ისე დიდი გამოცდილებისა, თქვენი კომპანია პროფესიონალებითაა დაკომპექტებული და თავს გაართმევთ დაკისრებულ

მოვალეობას; ასევე უნდა დატოვოთ სოლიდური, ანგარიშგასაწევი კომპანიის შთაბეჭდილება.

შენიშვნა: იმოქმედეთ საკუთარი როლის გათვალისწინებით!

„D“

თქვენ ხართ ქალაქის მერიის წარმომადგენელი, რომელიც ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე - ისინი ახალ სამუშაო ადგილებს და ქალაქიდან ახალგაზრდების გადინების შემცირებას ელიან. მერიის დაპირების შესაბამისად, თქვენ უნდა ჩაეტიოთ დათქმულ ვადებში და გრანდიოზული სავაჭრო ცენტრი 2018 წლის ბოლოს უკვე უნდა გაიხსნას.

თქვენ უნდა დააზუსტოთ რამდენიმე დეტალი:

- იმ ადგილზე, სადაც სავაჭრო ცენტრი შენდება, ადრე გამწვანებული, აუთვისებელი ადგილი იყო, თქვენი დაპირების მიხედვით ამ ადგილზე არამხოლოდ შენობები, არამედ დასასვენებელ-რეკრეაციული ზონა მოეწყობა - როგორც შიდა, ისე გარე ინტერიერისა და დიზაინის მოწყობას უზრუნველყოფს ახალბედა კომპანია C.
- თქვენთვის ცნობილია, რომ კომპანია A, საქართველოს მეზობელი ქვეყნიდან, არ გამოირჩევა კარგი ავტორიტეტით და რამდნეიმე წლის წინ ადგილობრივ ბიზნესწარმომადგენლებთან გაუგებრობის გამო ერთ-ერთი პროექტი მათი წარმომადგენლობით ჩაიშალა.
- რაც შეეხება B კომპანიას, იგი მონაწილეობდა რამდენიმე წლის წინანდელ კონფლიქტში A-სთან; გარდა ამისა, ბოლო დროს B-ს გამოუჩნდა კონკურენტები, თქვენ უნდა დააზუსტოთ, რას გთავაზობთ აღნიშნული კომპანია ისეთს, რისი

შემოთავაზებაც ადგილობრივ ბაზარზე არსებულ სხვა სარემონტო სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს.

- დიდი ინტერესის გამო, თქვენი შეხვედრის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი გაკეთდება და საზოგადოებაში გავრცელდება; სახლემწიფოსა თუ დონორების წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება თქვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან ამ პროექტის სისწორეში მათ დიდი ხნის მანძილზე არწმუნებდა ადგილობრივი ქალაქის მერია.

შენიშვნა: იმოქმედეთ საკუთარი როლის გათვალისწინებით!

დანართი 2: სატიტულო ფურცელი (ინგლისური თარგმანი)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Tsotadze

The Impact of self-fulfilling prophecy on Negotiation process

Master Program in Conflict Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

Submitted in fulfillment of the requirements for the Degree of Master of Conflict Analysis and Management

Head: Revaz Jorbenadze, Professor of faculty of Social and Political Sciences

Tbilisi, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბექა დადეშქელიანი

კონფორმიზმი და კონფლიქტების მართვა

კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

პროფესორი: რევაზ ჯორბენაძე

თბილისი

2017

ანოტაცია

კონფლიქტი სოციალური მოვლენაა და ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ცხოვრება კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. კონფლიქტი და მისი მართვა უმნიშნელოვანესი გამოწვევაა თანამედროვე ადამიანის წინაშე. კონფლიქტის მართვის არსი მისი თავიდან არიდების შესაძლებლობაშია, რასაც პრევენციას ვუწოდებთ. თავიდან არიდების შესაძლებლობა კი ბევრ ცოდნას მოითხოვს, როგორც კონფლიქტის არსის, ბუნების, გარეგანი და შინაგანი ფაქტორების, ასევე მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. პიროვნება მთავარ აქტორს წარმოადგენს კონფლიქტში. ნებისმიერი კონფლიქტი დაკავშირებულია ადმაიანთან თუ ადმაიანების ჯგუფთან.

ჩვენი ინტერესის სფეროს კი სწორედ კონფლიქტში მისი მთავარი აქტორის, პიროვნების ოპერირების დანახვა და ფსიქოლოგიური ასპექტების წარმოჩენა წარმოადგენს. რამდენად მოქმედებს და ახდენს გავლენას კონფლიქტში ინდივიდზე შინაგანი თუ გარეგანი, გარემო ფაქტორები.

კონფორმულობა სწორედ იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. კონფორმიზმი და კონფლიქტების მართვა, ამ მხრივ კვლევა თუ მეცნიერული პროდუქტი მწირია, რამაც ინტერესი ცალკეული ცნებების და მიმართებების სინთეზურ კავშირზე გააღვივა. შედეგად, ჩვენი ამოცანაა გავაანალიზოთ სოციალური ცხოველის, ადმაიანის ქცევა, რამდენად კონფორმულია და რა პროცესებს აქვს ადგილი ამ თვალსაზრისით, როდესაც დღის წესრიგში დგას დაპირისპირება, კონფლიქტი.

საკვანძო სიტყვები: სოციალური გავლენა, კონფორმიზმი, კონფლიქტი, ნონკონფორმიზმი, მოლაპარაკება, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური.

Annotation

The conflict is social event and integral part of human existence. Live without conflicts is unimaginable. Conflict and conflict management is important challenge for modern human being. The sense of conflict management is possibility to avoid it that is called prevention. The possibility to avoid conflicts needs quote a deep knowledge as in sense, nature, internal and external factors of conflict also its causes. A personality is main component of conflict. Any conflict is related with some person or group of persons. Our interest area is exactly in conflict is to see the activity of its major actor, person and expression of their psychological aspects. How the internal or external factors affect on the individual.

The conflict is exactly one of the psychological aspects, which drew our attention. Conformism and conflict management the study in this regard or scientific products is scarce, which has broken an interest in synthetic connections of separate concepts and references. As a result of the mentioned our task is to analyze behavior of social animal, human being, how comfortable it is and what processes take place in this regard, when the confrontation, conflict stands in agenda.

Keywords: Social influence, conformism, conflict, non-conformism, negotiation, intrapersonal, interpersonal.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

სარჩევი 4

შ ე ს ა ვ ა ლ ი 7

თავი 1. სოციალური ზეგავლენა 9

1.1 განსაზღვრება 9

1.2 უმცირესობის გავლენა (ინოვაცია) 12

1.3 უმცირესობის ქცევის სტილი - ძალა ერთობაშია 14

თავი 2. კონფორმიზმი 18

2.1 რა არის კონფორმულობა 20

2.2 კონფორმიზმის საფუძვლები 25

2.3 პიროვნება და კონფორმიზმი 26

2.4 კულტურა და კონფორმიზმი 28

2.5 კონფორმიზმის ექსპერიმენტული კვლევები 30

თავი 3. კონფლიქტების მართვა 36

3.1 კონფლიქტები 36

3.1.1 კონფლიქტის ტიპები - ოთხი კლასიფიკაცია 40

3.2 კონფლიქტების მართვა მოლაპარაკების გზით..... 42

3.3 კონფლიქტი და კულტურა..... 46

3.4 პიროვნებათშორისი კონფლიქტი 47

თავი 4. კონფორმიზმი და კონფლიქტები; სიმულაცია 50

4.1 კონფორმიზმი, ნონკონფორმიზმი, ანტიკონფორმიზმი - ინტრაპერსონალური კონფლიქტი; ინტერპერსონალური კონფლიქტი..... 51

4.2 სიმულაცია; ზოგადი მომოხილვა..... 53

4.2.1 ზოგადი მიმოხილვა 55

4.2.2 პროცესი 59

4.2.3 შედეგები, შეჯამება..... 63

დასკვნა..... 65

ბიბლიოგრაფია..... 67

ადამიანი ბუნებით სოციალური ცხოველია; ინდივიდი, რომელიც ბუნებრივად და არა შემთხვევითაა არასოციალური, ან შეუმჩნეველია ჩვენთვის, ან ადამიანზე მეტია. საზოგადოება ბუნებაში არსებობს და წინ უსწრებს ინდივიდს. ყველა, ვისაც არ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრება, ან იმდენად თვითკმარია, რომ ეს არ სჭირდება და ამიტომ არ მონაწილეობს საზოგადოებაში, ან მხეცია, ან ღმერთი.

არისტოტელე

„პოლიტიკა“, დაახლ. 328 წელი ჩვ. წ. აღ-მდე

ბარბაროსი იმიტომ არის ბარბაროსი, რომ თავისი ტომის წესებს ბუნების კანონებთან აიგივებს.

ბერნარდ შოუ

თემს რაც სწადიან მას იზამ თავის თემობის წესითა

ვაჟა-ფშაველა

სადაც მიხვალ იაქური ქუდი დაიხურე

ანდაზა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

არისტოტელემ თქვა, რომ საზოგადოება ბუნებაში არსებობს და წინ უსწრებს ინდივიდს. იმისათვის, რომ ინდივიდმა შეძლოს წინმსწრებ საზოგადოებაში მონაწილეობა, ელემანტარულად, ცხოვრების სახით მაინც, იგი არ უნდა იყოს ან თვითკმარი ან მხეცი ან ღმერთი. თუ ადმიანი "მხეცია" საგულისხმოა, რომ იგი თავისი ბუნებიდან გამომდინარე ქმედით დისონანსში, მეტიც კონფლიქტში მოვა საზოგადოებასთან.

მეცნიერებისთვის საინტერესოა, როგორც მოვლენის შედეგი, ასევე ამოსავალი წერტილი და პროცესი, რამაც შედეგამდე მიაღწია. ამდენად, თუ "მხეცს" აღვიქვამთ, როგორც ადამიანის ბუნების ფორმირების შედეგს საზოგადოებაში ოპერირების პროცესში, ბევრად უფრო რაციონალურია, ჯერ გავაანალიზოთ ის ფონი და სიტუაცის ბუნება, რამაც ადამიანი საზოგადოებაში არ მონაწილე "მხეცამდე" მიიყვანა, ანუ ქცევის წარმოქმნას ედო საფუძვლად.

კონფორმულობა და კონფლიქტი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ორივე ცნება სოციალურ მოვლენას წარმოადგენს. მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშნელოვანი ადგილი უკავიათ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ; ადამიანი, რომელიც კონფლიქტშია და ადამიანი, რომელიც კონფორმულობას განიცდის.

კონფლიქტი, სიტყვასიტყვით შეჯახებას, ბრძოლას, დავას ნიშნავს. იგი ადმაიანთა შორის ურთერთობის ფორმაა, სადაც ადგილი აქვს ერთმანეთთან შეუთავსებელ მიზნებს, დამოკიდებულებებს, მოთხოვნილებებეს და წინააღმდეგობებს.

კონფორმულობა, სოციალური ქცევის ტიპია, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენათა, ნორმატიული დანაწესებისა და შესაბამისი წესრიგის,

მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა.[1]

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ კონფორმიზმსა და კონფლიქტზე, არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელ ცნებებზე, არამედ ვეცდებით ხაზი გავუსვათ იმ მიმართებებს, რაც კონფორმიზმს შეიძლება ჰქონდეს კონფლიქტში. თუმცა, მანამდე მნიშნელოვანია გავაანალიზოთ ის პროცესები, რომლებიც სოციალურ არსებებზე, ადამიანებზე ახდენენ გავლენას. როდესაც „ადამიანებს“ ვახსენებ, რა თქმა უნდა, ადამიანების ძალიან დიდ რაოდენობას ვგულისხმობ.

სამეცნიერო მეთოდი საუკეთესოო გზაა დავიკმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა. სამეცნიერო მეთოდს ვიყენებთ სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებს შორის კანონზომიერებების აღმოსაჩენად. ამდენად, ჩვენთვის მნიშნელოვანია დაკვრივების გზით გავაანალიზოთ როგორც კონფორმულობის ფენომენი ასევე კონფლიქტის ცნება.

[1] კონფორმულობა - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

თავი 1. სოციალური ზეგავლენა

1.1 განსაზღვრება

ელიოტ არონსონი, თავის წიგნში სოციალური ცხოველი (Elliot Aronson with Joshua Aronson , 2011) ცნების განსაზღვრებისთვის გვთავაზობს საკმაოდ საინტერესო მეთოდს. მართლაც, სოციალური ფსიქოლოგიის მრავალი განსაზღვრება არსებობს. შესაძლოა, უფრო ინფორმატიული იყოს, რომ თავად საგანს მიეცეს დარგის განსაზღვრის საშუალება. იმისათვის, რომ გავიაზროთ რას ნიშნავს „სოციალური ცხოველი“ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ვიეტნამის ომის დროს, კენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასეულობით სტუდენტი დემონსტრაციებს აწყობდა ომის წინააღმდეგ, რაც იმ დროისთვის უნივერსიტეტის კამპუსებში საკმაოდ ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა. ოჰაიოს ეროვნულმა დაცვამ, რომელსაც კამპუსში მშვიდობის დამყარება ევალებოდა გაუგებარი მიზეზების გამო, ცეცხლი გახსნა, რასაც ოთხი სტუდენტის სიცოცხლე შეეწირა. ტრაგედიის შემდეგ, ადგლობრივი სკოლის მასწავლებელი ამტკიცებდა, რომ დაღუპული სტუდენტები სიკვდილს იმსახურებდნენ. მან ეს განცხადება იმის მიუხედავად გააკეთა, რომ კარგად იცოდა: მსხვერპლებს შორის სულ მცირე ორი სტუდენტი დემონსტრაციაში არ მონაწილეობდა, არამედ სროლის დროს კამპუსის ტერიტორიაზე სეირნობდა. სამწუხაროდ, ქალბატონი ამით არ შემოიფარგლა და ასეთი რამეც თქვა: „ყველა, ვინც კენტისნაირი ქალაქის ქუჩებში გრძელი თმით, ჭუჭყიანი ტანსაცმლით ან ფეხშიშველი გაივლის, დახვრეტის ღირსია.“ (Michener, 1971)

1999 წელს, 20 აპრილს, კოლორადოს შტატის ქალაქ ლითლტონში მდებარე კოლუმბინის სკოლის კორიდორებსა და საკლასო ოთახებში თოფის სროლის ხმა გაისმა. ცეცხლსასროლი იარაღებითა და ასაფეთქებელი საშუალებებით შეიარაღებულმა ორმა გაშმაგებულმა მოსწავლემ მასწავლებელი და რამდენიმე თანასკოლელი მოკლა. შემდეგ კი თოფები საკუთარი თავებისკენ მიიშვირეს. როცა სროლისგან დამდგარი კვამლი გადაიწმინდა, აღოჩნდა, რომ 15 ადამიანი იყო დაღუპული (მათ შორის თავად მსროლელები), 23 - ჰოსპიტალიზებული და მრავალი - მძიმედ დაჭრილი.

როცა რელიგიურმა წინამძღოლმა, ჯიმ ჯოუნსმა განგაშის ზარი ჩამოკრა, გაიანის სახალხო ტაძრის 900 წევრი მის წინაშე მოგროვდა. მან იცოდა, რომ კონგრესის საგამოძიებო მისიის ზოგიერთი წევრი მოკლული იყო და ჯოუნსტაუნის სიწმინდე მალე შეიბღალებოდა. ჯოუნსმა განაცხადა, რომ მათი სიკვდილის დრო დადგა. კასრებში საწამლავი დაამზადეს და პროტესტის, ყვირილისა თუ წინააღმდეგობის გამწევი ქცევების მხოლოდ მეჩხერად, აქა-იქ წარმოქმნილ კერებს შორის, დედებმა და მამებმა ჩვილებსა და ბავშვებს ფატალური მიქსტურა დაალევინეს, თავადაც დალიეს, ძირს დაწვნენ და ერთმანეთის მკლავში მკლავგაყრილები სიკვდილის ლოდინს შეუდგნენ. (Elliot Aronson with Joshua Aronson , 2011)

ზემოთ აღნიშნული შემთხვევები სოციალური ფსიქოლოგიის კარგი ილუსტრაციაა, სადაც კარგად ჩანს ადამიანის ქცევა, რაოდენ შოკის მომგვრელიც არ უნდა იყოს ის. თითოეულ მათგანს აქვს საერთო ფაქტორი, რომელიც სოციალური ზეგავლენის სახელითაა ცნობილი.

სოციალური ზეგავლენა არის პროცესი, რის შედეგადაც ადამიანი ან ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი ცვლის სხვა ადამიანის ან ადმიანთა ჯგუფის მოსაზრებებს, რწმენას ან უბიძგებს მათ რაღაც კონკრეტულისკენ.

ცივილიზირებულ სამყაროში ადამიანებს აქვთ ილუზია იმისა, რომ საკუთარ თავს თვითონ განაგებენ, თავისუფლები არიან, მათ ხელეწიფებათ მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცნენ კონკრეტულ ვითარებებში. სოციალური ფსიქოლოგია უარყოფით პასუხს სცემს კითხვას ადამიანის არჩევანის თავისუფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებები გარკვეულ კონტროლს ახორციელებენ საკუთარ ცხოვრებაზე, უამრავი განსხვავებული გზებისა და მოცემულობებისა ისინი საკუთარ არჩევანში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ერიხ ფრომის აზრით, ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ისეთ ფსიქიკურ პროცესებს, როგორებიცაა ქცევა, აზრი, სურვილი, თვითონ აკონტროლებენ, მაგრამ ხშირია საწინააღმდეგო შემთხვევები, რაც ამ მოსაზრებას ადასტურებს. მეტიც, ფრომი აღნიშნავს, რომ თავისუფლებისგან გაქცევის გზა უმეტესობისთვის სრული დაქვემდებარება და მორჩლებაა რომელიმე ავტორიტეტისადმი, იქნება ეს ლიდერი,

უფროსი, თუ ბელადი. პიროვნება მუდმივად განიცდის სოციალური სამყაროს გავლენას, როგორც ამ საყაროს ნაწილი.

ინდივიდი მუდმივ კონფლიქტშია საკუთარ თავთან. იგი გამოწვევის წინაშე დგას შეინარჩუნოს ინდივიდუალობა და საკუთარი ღირებულებები, თუ დაემორჩილოს სოციუმს. აუცილებელია ინდივიდმა დააბალანსოს არსებული ვითარება, სადაც ერთი მხრივ დაიცვას საკუთარი ინდივიდუალობა და ღრებულებები, ხოლო მეორე მხრივ მოერგოს სოციალურ წესრიგს და დაემორჩილოს საზოგადოებრივ ნორმებს.

სოციალური ზეგავლენა მონაწილეობს ადამიანის სოციალური აქტივობის თითქმის ყველა საფეხურზე უშუალო, თუ გაშუალებული სახით. სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები, როლური და ნორმატიული სისტემები, რომლებიც ადამიანის მნიშვნელოვან ინტეგრაციას განაპირობებენ სოციალურ გარემოში, სწორედ მათ მიმართ განიცდის პიროვნება გაშუალებულ ანუ არაპირდაპირ სოციალურ გავლენას. მაშინ, როდესაც ადამიანი გავლენის კონკრეტულ წყაროსთან იმყოფება, იქნება ეს ჯგუფი თუ სხვა, მეორე ინდივიდი და მასთან ამყარებს უშუალო ურთიერთობას, მაშინ იჩენს თავს პირდაპირი, ანუ უშუალო გავლენა. (მაღრაძე, 2007)

- **გავლენის ფენომენის გაგებისა და ახსნის ორი მოდელი**

	ფუნქციონალისტური მოდელი	*ინტერაქციონალისტური მოდელი*
გავლენის წყარო და სამიზნის მიმართულება	ასიმეტრიული	სიმეტრიული
ინტერაქციის მიზნები	სოციალური კონტროლი	სოციალური შეცვლა
ინტერაქციის ფაქტორი	განუსაზღვრელობა და მისი რედუქცია	კონფლიქტი და მისი ნეგოციაცია[1]
დამოუკიდებელი ცვლადი	დამოკიდებულება	ქცევითი სტილი

[1] ასე ერქვა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს საერთაშორისო პრაქტიკაში XVII-XVIII საუკუნეებში.

ინტერაქციის განმსაზღვრელი ნორმები	ობიექტური	ობიექტური, უპირატესობის, ორიგინალობის ნორმები
გავლენის მოდალობები	კონფორმულობა	კონფორმულობა, ნორმალიზაცია, ინოვაცია

სოციალური გავლენის ფენომენის გარშემო ჩატარებული კვლევები ბოლო დრომდე ემყარებოდნენ გავლენის ტრადიციულ, ფუნქციონალისტურ მოდელს. თუმცა, სერჟ მოსკოვიჩიმ (Serge, 1976), რომელიც გახლდათ ფრანგი ფსიქოლოგი, სხვა მეცნიერებთან ერთად შეიმუშავა სოციალური გავლენის სრულიად ახლებური - ინტერაქციონალისტური მოდელი. მოსკოვიჩის განსაზღვრებით მოდელის ფუნქციას წარმოადგენს რეალობის ხედვის საშუალება, სადაც წარმოდგენილია ჰიპოთეზების და კონცეფციების სისტემა. ზემოთ წარმოდგენილი სქემა სწორედ მოსკოვიჩს ეკუთვნის. სქემაში განხილულია სოციალური გავლენის ძირითადი ცნებები ფუნქციონალისტური და ინტერაქციონალისტური მოდელის საფუძველზე.

ჩვენ ინტერესს წარმოადგენს არა იმდენად რომელიმე მოდელის განსაზღვრა და განმარტება, არამედ იმის წარმოჩენა, რომ სოციალური გავლენის ფუნქციონალისტური მოდელი ემყარება კონფორმიზმის ფსიქოლოგიას, სადაც გავლენა განიხილება ავორიტეტის, სოციალური ძალის, უმრავლესობის და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით.

1.2 უმცირესობის გავლენა (ინოვაცია)

ადამიანს თავისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე ლოგიკურად განსაზღვრული აქვს, რომ სოციუმის გავლენას უნდა დაემორჩილოს. როგორც ზევით აღვნიშნე, ეს გულისხმობს იმას, რომ ადმიანი მუდმივ კონფლიქტშია ისეთ ღრებულებებთან, როგორებიცაა ინდივიდუალურობა და სოციუმის მიმართ მორჩილება.

დროთა განმავლობაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში აქტიურად იკვლევდნენ გავლენის სხვადასხვა ასპექტებს, იმ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც გავლენის მოხდენა ხდება სხვებზე. უფრო მეტად აქცენტი კეთდებოდა კონფორმულობაზე, როგორც უმრავლესობის უმცირესობაზე გავლენა, რაც ჩვენ მთავარ თემას წარმოადგენს. როცა უმრავლესობა ახორციელებს გავლენას, უმცირესობა პასიურია, რის შედეგადაც განიცდის ზეგავლენას, რაც საკმაოდ ხშირად ვლინდება საზოგადოებაში. თუმცა, გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როცა პირიქით, უმიცრესობა ახდენდა გავლენას უმრავლესობაზე. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენენ სხვადასხვა დროს მოღვაწე მეცნიერები. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად აქტიურად უარყოფდნენ მათ იდეებს, საბოლოოდ ჰპოვეს აღიარება და გავლენა მოახდინეს საზოგადოებებზე, მეცნიერებაზე და ჩამოაყალიბეს ახალი ხედვები, რომლის გამზიარებელიც გახდა უმრავლესობა. აგრეთვე, დროთა განმავლობაში საზოგადოებებში ჩამოყალიბდნენ სტრატეგიული უმცირესობები, რეფორმატორთა მცირე ჯგუფები. იმისათვის, რომ უმცირესობა გახდეს ეფექტური, ის თავის ქცევებში აუცილებლად კონსისტენტური, ანუ თანმიმდევრული, მტკიცე, გამძლე და ძალის მქონე უნდა იყოს.

უმცირესობის უმრავლესობაზე გავლენის კვლევებს საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფსიქოლოგმა სერჟ მოსკოვიჩმა. მოსკოვიჩმა და კოლეგებმა (S. Moskovici, E. Lage and M. Naffrechoux, 1969) გამოიყენეს აშის მსგავსი კონფორმულობის პარადიგმა. განსხვავება იყო ის, რომ ამ შემთხვევაში უმრავლესობა წარმოადგენდა გულუბრყვილო სუბიექტს, ხოლო უმცირესობა ცრუ სუბიექტს. ფერების აღქმის დავალებაში მონაწილე სუბიექტებს აჩვენებდნენ ცხად, არაორაზროვან ფიზიკურ სტიმულს, ფერების გამოსახულებას. კვლევაში მონაწილეობდა 6 წევრისგან დაკომპლექტებული ჯგუფი და ორი წევრისგან შემდგარი ექსპერიმენტული ჯგუფი. კვლევაში 6 წევრისგან შემდგარ ჯგუფს სთხოვდნენ, რომ შეეფასებინათ გამოსახულებაზე ნაჩვენები ფერი. ყველა წარმოდგენილი გამოსახულება იყო ცისფერი, ცვალებადი იყო მხოლოდ განათების ხარისხი. ჯგუფის წევრების შეფასება იყო უშეცდომო, ისინი ასახელებდნენ ცისფერს. რაც შეეხება ორი წევრისგან შემდგარ ექსპერიმენტულ ჯგუფს, ისინი წარმოდგენილ ფერს მუდმივად აფასებდნენ როგორც მწვანეს. მონაწილე სუბიექტებს წინასწარ

უთხრეს, რომ ჯგუფის წევრებს ნორმალური მხედველობა ჰქონდათ, რაც გულისხმობდა იმას, რომ უმცირესობის პასუხი - მწვანე - არ გამომდინარეობდა ფერთა სიბრმავედან. სუბიექტების დაახლოებით მესამედი მიუთითებდა, ერთხელ მაინც, უმცირესობის გავლენით, რომ ფერი იყო მწვანე. საერთო შეფასების პროცენტული მაჩვენებლებიდან შეფასების 8% იყო „მწვანე“. აქედან გამომდინარე, უმცირესობის აზრმა გარკვეული(8%) გავლენა იქონია უმრავლესობაზე.

სერჟ მოსკოვიჩის აზრით არსებობს სოციალური გავლენის სამი სახე, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები სოციალურ კონფლიქტებზე მაშინ, როდესაც ჯგუფებს შორის ადგილი აქვს კონფლიქტს:

- კონფორმულობა - უმრავლესობის გავლენა, როდესაც უმრავლესობა ცდილობს უმცირესობამ მიიღოს მისი თვალსაზრისი;
- ნორმალიზაცია - კომპრომისი, რომელსაც მივყავართ ურიერთდაახლოებამდე და
- ინოვაცია - უმცირესობა ახდენს კონფლიქტის აქცენტუაციას, რათა დაარწმუნოს უმრავლესობა მიიღოს უმცირესობის თვალსაზრისი.

მოსკოვიჩის კვლევებმა ხელი შეუწყო ახალ გამოკვლევებს გავლენების თვალსაზრისით. შედეგად, დაიწყეს უმცირესობის გავლენის ეფექტურობის კვლევა. რაც შეეხება სერჟ მოსკოვიჩს მან ასევე იკვლია უმცირესობის ქცევის სტილის მნიშვნელობა. (ქვარცხავა)

1.3 უმცირესობის ქცევის სტილი - ძალა ერთობაშია

სულხან- საბას იგავ-არაკის „ძალა ერთობაშია“-ს თანახმად, ძველად ცხოვრობდა მეფე, რომელსაც ოცდაათი ვაჟი ჰყავდა. როცა დაბერდა და სიკვდილის დრო მოუახლოვდა, დაუძახა თავის ვაჟებს, მოატანინა ოცდაათი შვილდის ისარი, შეკრა ერთად, მოსწია დასამტვრევად, მაგრამ ვერ გატეხა. მერე კონა გახსნა, თითო-თითოდ მოსწია ისრები და ადვილად დაამტვრია. მიუბრუნდა შვილებს და უთხრა: თუ ერთად იქნებით, მტერი ისევე ვერ გძლევთ, როგორც მე ვერ დავძლიე ისრების ერთად შეკრული კონა, მაგრამ

თუ გაიყრებით და დაცალკევდებით, მაშინ მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე ცალ-ცალკე ისრები დავამსხვრიეო (ორბელიანი, XVII).

ნებისმიერი ჯგუფი, იქნება ის მცირე თუ დიდი, რომ იყოს ეფექტური, ამ შემთხვევაში აქცენტი გვაქვს უმცირესობაზე, უნდა იყოს ძალის მქონე და კონსისტენტური. შედეგად, უმრავლესობის მხრიდან ქცევის ასეთი სტილი(სიძლიერის გამოხატვა და კონსისტენტობა უმცირესობაში) აღიქმება, როგორც თავის პოზიციაში დარწმუნებულობის და გარკვეულობის მაჩვენებელი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად უმცირესობის კონსისტენტურობისა, შესაძლებელია ისინი ნაკლებად მიმზიდველები ჩანდნენ უმრავლესობის წევრებთან შედარებით, თუმცა, ჩნდება ტენდენცია უმცირესობის წევრები აღქმულნი იყვნენ, როგორც კომპეტენტურები და პატიოსნები. ხშირად, თუ უმცირესობა დაჟინებულია და კარგად იცავს საკუთარ პოზიციებს, ჩნდება უმრავლესობაში ბზარი იმ თვალსაზრისით, რომ ისინი დაეჭვებას იწყებენ საკუთარი პოზიციების შესახებ. ამან შეიძლება გამოიწვიოს უმრავლესობის წევრის პოზიციის ცვლილება უმცირესობის სასარგებლოდ. თუ პრეცენდენტი გახდება ტენდენციური და სხვამაც შეიცვალა პოზიცია, ეს გამოიწვევს უმცირესობის ტრანსფორმაციას და ახალ უმრავლესობად გადაქცევას.

ამ მხრივ საინტერესოა კვლევები, რომლებიც ახალი ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენენ, სადაც განსაზღვრულია უმცირესობის გავლენის ეფექტურობა. სახელდობრ, პირველი, უმცირესობის გავლენიანობის კოეფიციენტის ზრდას განაპირობებს ის თუ რამდენად შეძლებს უმცირესობა უმრავლესობის თვალსაზრისის უარყოფას. მეორე, უმცირესობა მეტად ეფექტურია თუ მათი ქცევა ლოგიკურად კონსისტენტურია, მაგრამ არა რიგიდული. მესამე, სოციალური კონტექსტის მნიშნელობა. მაგ. რამდენად სწორად მოხდება ანტურაჟის შეფასება უმცირესობის მხრიდან. სახელდობრ, სექსუალური კონსერვატიზმის ეპოქაში სექსუალური თავისუფლების მტკიცება ნაკლებ ეფექტური იქნება ვიდრე სექსუალური შეზღუდულობის მტკიცება. ბოლოს კი, უმცირესობა ეფექტური იქნება მაშინაც კი, როდესაც ისინი უმრავლესობის ჯგუფს ემსგავსებიან ბევრ საკითხში, გარდა კონკრეტული საკითხისადმი ქცევების და ატიტუდებისა. აქედან გამომდინარე,

უმცირესობა უფრო გავლენიანია, როცა მისი პოზიცია მიღებულია, როგორც სერიოზული. მათი მხრიდან ცალსახაა კომპეტენტურობა და გარკვეულობა. ნაკლებად ეფექტურია მაშინ, როცა უმრავლესობის მხრიდან უმცირესობა დანახულია, როგორც დემაგოგიური და თავდაცვითი. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელსაყრელ პირობებში კონსისტენტურ უმცირესობას შეუძლია გავლენის მოხდენა და საკმაოდ დიდი უმრავლესობის თვალსაზრისის და პოზიციის შეცვლა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში აზრთა სხვადასხვაობაა კონფორმულობასა და ინოვაციასთან დაკავშირებით, ანუ უმრავლესობის გავლენასა და უმცირესობის გავლენის პროცესების შესახებ. სახელდობრ, აქვთ თუ არა მათ საერთო ან სხვადასხვა საფუძველი გავლენების პროცესთან მიმართებით.

ერთნი მიიჩნევენ, რომ უმრავლესობის და უმცირესობის გავლენებს პროცესუალურად ერთი და იგივე საფუძველი გააჩნიათ. სხვაობა კი უფრო მეტად რაოდენობრივია ვიდრე თვისებრივი. მსგავსი პოზიცია კი მყარდება არსებული კვლევებით.

მეორენი, მოსკოვიჩი და სხვანი საპირისპიროს ამბობენ. მათი მოსაზრებით უმცირესობასა და უმრავესობის გავლენებს შორის თვისებრივი სხვაობაა. სახელდობრ, მოსკოვიჩს მიაჩნია, რომ უმრავლესობის გავლენას პიროვნება მიჰყავს ღია ქცევის შეცვლამდე, თუმცა ატიტუდის ცვლილება აუცილებლად არ ხდება. უმცირესობის გავლენის შემთხვევაში კი ადგილი აქვს როგორც ატიტუდის, ასევე აზრის ცვლილებას.

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, საკითხის მიმართ წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ, უფრო მეტად მეორე ბანაკისკენ ვიხრები, სადაც უმცირესობასა და უმრავლესობის გავლენებს შორის თვისებრივი განსხვავებაა, რადგან უმცირესობის გავლენას პიროვნების ტრანსფორმაციული ხასიათი აქვს, როგორც ატიტუდის და მსოფლმხედველობის მხრივ, აგრეთვე ქცევის და გადაწყვეტილებების თვალსაზრისით. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“, სადაც თემიდან განდევნილი პროტაგონისტი ალუდა “ხიდია“ სინათლის ნაპირზე მომავალი თაობებისთვის, რომელიც თემში თვისებრივი ცვლილების პოტენციურ ხატად წარმოგვიდგება.

უმცირესობის გავლენა(ინოვაცია) მეტად თვისებრივია ვიდრე რაოდენობრივი, რადგან იგი ცვლილებების შემომტანია საზოგადოებაში, როგორც ახალი რელსების დამგები იდეოლოგიური მატარებლებისთვის.

თავი 2. კონფორმიზმი

ადმაიანის მუდმივი დაძაბულობის და კონფლიქტის ზღვარი გადის ისეთ ღირებულებებთან, როგორებიცაა: ინდივიდუალობა და კონფორმულობა. პიროვნება თავისი ცხოვრების მანძილზე, მასთან დაკავშირებულ სოციალური პროცესების ყველა საფეხურზე დგება ისეთი გამოწვევების წინაშე, სადაც მუდმივ ჭიდილშია, შეინარჩუნოს ინდივიდუალობა თუ გახდეს კონფორმული. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სწორედ აქ იჩენს კონფლიქტის ტიპებიდან ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი და საკმაოდ რთული სახის კონფლიქტი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ინტრაპერსონალური კონფლიქტის სახით. ამას მოგვიანებით აუცილებლად განვავრცობთ, თუმცა, მანამდე დავუბრუნდეთ კონფორმიზმის განსაზღვრებას და თავდაპირველად, თავად საგანს მივცეთ მისი განსაზღვრის საშუალება.

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იუმორისტი მწერალი ჯეიმს ტერბერი (Thurber, 1933) თავის ცნობილ ესეში, რომელიც გაზეთ ნიუ იორკერში გამოქვეყნდა სათაურით „The day the dam broke" საკმაოდ საინტერესო ამბავს ჰყვება:

„უცებ ვიღაცამ სირბილი დაიწყო. შესაძლებელია, მოულოდნელად გაახსენდა, რომ ცოლს უნდა შეხვედროდა და ძალიან აგვიანდებოდა. რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ის ბროუდ სტრიტის აღმოსავლეთით გარბოდა (იქნებ, მარაბორის რესტორანში მიიჩქაროდა, სადაც ცოლს ხვდებოდა ხოლმე). ვიღაც სხვამაც დაიწყო სირბილი, შეიძლება, ეს გაზეთების დამტარებელი ბიჭი იყო. სხვამაც, საქმიანმა ხანშიშესულმა მამაკაცმა, აუჩქარა ფეხს. დაახლოებით ათ წუთში ჰაი სტრიტზე, რკინიგზის სადგურიდან სასამართლოს შენობამდე, ყველანი გარბოდნენ. გაურკვეველი ბგერებიდან თანდათანობით გამოიკვეთა საშინელი სიტყვა „წყალდიდობა". „კაშხალი დაინგრა!" ამ საშინელ სიტყვებს იმეორებდნენ ყველანი - ელექტრომობილის მგზავრი ქალბატონი, პოლიციელი, პატარა ბიჭები - და არავინ იცოდა, ვინ თქვა პირველად ან რა ხდებოდა სინამდვილეში. ორი ათასი ადამიანი მთელი სისწრაფით გარბოდა. „აღმოსავლეთისკენ გაიქეცით!" გაისმა ძახილი, მდინარიდან აღმოსავლეთისაკენ, სადაც საფრთხე აღარ იქნებოდა. „აღმოსავლეთისკენ! აღმოსავლეთისკენ!" გვერდით ჩამირბინა მაღალმა ქალმა მკაცრი მზერითა და გამოკვეთილი ნიკაპით. მე ჯერ კიდევ ვერ გამეგო,

რა ხდებოდა, მთელი ამ ყვირილის ფონზე. ძლივს დავეწიე ამ ქალს, რადგან მიუხედავად მისი ხანდაზმული ასაკისა, მშვენიერ სპორტულ ფორმაში იყო და კარგად დარბოდა. „რა ხდება?“ ძლივს ამოვისუნთქე. მან ერთი კი შემომხედა და ისევ აუჩქარა ფეხს. „არ ვიცი, ღმერთმა იცის!“ იყო მისი პასუხი.“[1]

ტერბერის მიერ აღწერილ ამ სცენარში, რაოდენ კომიკურიც არ უნდა იყოს იგი, კარგად ჩანს ადამიანების კონფორმულობა. კონფორმულობის ჯაჭვის საწყის რგოლს წარმოადგენდა სულ მცირე ორი ადამიანი, რომლებსაც კარგად ჩანს, რომ თავიანთი, ლოგიკური მიზეზები გააჩნდათ. თუმცა, რეალობა შემდეგნაირად წარმოიშვა და მსგავსი სახე მიიღო: ვიღაც გარბოდა სხვის შემხედვარე, ხოლო ყველა გარბოდა, რადგან სხვები გარბოდნენ. ტერბერი ამბობს, რომ ამ ადამიანებმა თავი სულელად იგრძნეს მაშინ, როდესაც გაიგეს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა და კაშხალი მთელი იყო.

წარმოდგენილ შემთხვევასთან დაკავშირებით ელიოტ არონსონი მნიშნელოვან, შეკითხვას სვამს, რომელსაც თვითონვე აბსურდულს უწოდებს, რაც აუცილებლად საყურადღებოა. „და მაინც, რამდენად უფრო სულელურად იგრძნობდნენ თავს, კონფორმულად რომ არ მოქცეულიყვნენ და ამ დროს კაშხალი მართლა დანგრეულიყო? ცუდია კონფორმულობა თუ კარგი?

ავერსულად კარგია, ხოლო რევერსულად ცუდი, ან ცუდიც და კარგიც, მაგრამ სად გადის მტკიცე ზღვარი ამ ორს შორის და რამდენად სწორად შეგვიძლია კონფორმულობის შეფასება? არის ის ნეგატიური ან პოზიტიური, თუ ოქროს შუალედი უჭირავს? ამ გადმოსახედიდან საკმაოდ რთული საკითხია, თუმცა, სემანტიკური დაზუსტების წყალობით უფრო კარგად გვეცოდინება ამ კითხვებზე პასუხი, სხვა შემთხვევაში კი მცხარე კამათს ვერ ავცდებით.

საილუსტრაციოდ, მოვიყვან აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საჯარო სკოლებში ლოცვის და ღმერთის ხსენების შესახებ. მოასამართლე ენტონი კენედიმ, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რაც გულისხმობდა, რომ საჯარო სკოლებში არ უნდა იყოს ლოცვა ან ღმერთის ხსენება, ამ გადაწყვეტილებასთან

[1] მთარგმნელი ქეთევან თოდაძე

დაკავშირებით განმარტება გააკეთა - სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ „დაპატიმრებულ“ აუდიტორიას, რომლებიც თანატოლთა გავლენის მიმართ საკმაოდ მგრძნობიარენი არიან. შესაბამისად, მან განმარტა, რომ სკოლაში შესრულებული ლოცვა „რელიგიური რწმენებისადმი კონფორმულობის განსაზღვრულ რისკს ქმნის“: „ის, რაც მორწმუნისთვის შეიძლება იყოს სხვა არაფერი, თუ არა მისი რელიგიისადმი პატივისცემის სამართლიანი მოთხოვნა, არამორწმუნემ ან სხვა სარწმუნოების წარმომადგენელმა ეს სიტუაცია შეიძლება რელიგიურ ზეწოლად აღიქვას“. (ციტირება Savage, 1992). მოსამართლე კენედი მიიჩნევდა, რომ სასამართლო იყო მთავარი დაცვა ბავშვებისათვის სკოლის ზეწოლისაგან. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა გაუჩნდა მოწინააღმდეგეთა რიგები, რომელთაც გააკრიტიკეს ეს გადაწყვეტილება, რადგან მათ ჩათვალეს, რომ ეს ცენზურის დაწესებაა სკოლის მოსწავლეებში, ისინი თავისუფლად ვერ გამოხატავენ საკუთარ კონფესიას. (Shelley E. Taylor, Letitia Anne Peplou, David O. Sears, 1994)

2.1 რა არის კონფორმულობა

კონფორმულობა - ნებაყოფლობით სხვების მსგავსად მოქცევა.

უამრავი მაგალითი არსებობს იმისთვის, რომ უკეთ ავხსნათ კონფორმულობა, საიდანაც ზოგი საკმაოდ მძიმეა, ზოგი კი მსუბუქი. ვეცდები მსუბუქი მაგალითის მოყვანას ელიოტ არონსონის სოციალური ცხოველიდან, სადაც აღწერილია ასეთი შემთხვევა:

„კოლეჯის სტუდენტი, სახელად სემი, თავის ოთხ ამხანაგთან ერთად, ტელევიზორში პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსვლას უსმენს. სემი მოხიბლული ჩანს. ეს კანდიდატი ოპოზიციურ კანდიდატებზე მეტად მისი გულწრფელობის გამო მოსწონს. წინასაარჩევნო სიტყვის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი სტუდენტი დაჟინებით ამბობს, რომ კანდიდატმა იმედი გაუცრუა, რომ მისი აზრით, ის სრული

გაიძვერაა და რომ უპირატესობას ოპოზიციურ კანდიდატს ანიჭებს. ამ სტუდენტს დანარჩენებიც მყისვე ეთახმებიან. სემი დაბნეული ჩანს და ცოტა არ იყოს, შეწუხებულიც. ბოლოს, ამხანაგებს ლუღლუღით ეუბნება: „როგორც ჩანს, მთლად ისეთი გულწრფელიც არ არის, როგორსაც მოველოდი“.[1]

მეგობრების ერთსულოვნებამ, მათმა კონსისტენტობამ სემის შეხედულება შეცვალა და იქცა მათი შეხედულების რელევანტურად.

კონფორმიზმის, როგორც თემის აქტუალობა მეოცე საუკუნეში იჩენს თავს და დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყო გაცნობიერებული ადამიანების ტენდენცია კონფორმულობისკენ, სოციალური ფსიქოლოგიის და სხვა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლების მიერ 1950-იან წლებამდე კონფორმულობის ფენომენი არ გამხდარა აქტიური შესწავლის ობიექტი. კონფორმიზმი გულისხმობს პასიურ ქცევას, რაც შემთანხმებლობით, არსებულ რეჟმთან ადაპტაციით, საკუთარი აზრის არ არსებობით და უსიტყვო მორჩლებით გამოიხატება. მას კიდევ ერთი მნიშნელოვანი მახასიათებელი გააჩნია. ეს არის ჯგუფური კონტროლის და ჯგუფის მიერ შემოღებული ნორმებისადმი მორჩილება.

კონფორმიზმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა, ითარგმნება, როგორც უძრაობა, ერთგვარობა. კონფორმულია ადამიანი, რომელიც სხვის შეხედულებებს, აზრებს და ქცევებს იზიარებს. ამავდროულად, ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ. მართალია შინაგანად შეიძლება არ ეთანხმებოდეს კონკრეტულ მოსაზრებას, მაგრამ სხვების დასანახად ეთანხმება გარშემომყოფებს. მას არ გააჩნია პრინციპები, იგი წინააღმდეგობას არ უწევს ზეწოლას. არ გააჩნია და არც ცდილობს საკუთარი, ინდივიდუალური პოზიციის წარმოჩენას. ამ აღწერის მიხედვით, კონფორმულობა მეტად სალანძღავი ზედსართავია ადამიანის, პიროვნების დასახასიათებლად. სწორედ ამიტომ, ხშირად კონფორმულობა, კონფლიქტის მსგავსად, ნეგატიურად აღიქმება.

კონფორმულობა წარმოადგენს პიროვნების მხრიდან საკუთარი რწმენების, კონკრეტული საკითხის მიმართ მსოფლმხედველობის და ქცევის შეცვლის ნიშნებს

[1] მთარგმნელი ანა მაყაშვილი, წიგნიდან სოციალური ცხოველი - ელიოტ არონსონი. 14 გვ.

სხვების ქცევათა რელევანტურად. (Robert B. Cialdini and Noah J. Goldstein, 2004) ადამიანები ხშირად, თავად ირჩევენ იმოქმედონ საკუთარი რწმენების თუ გემოვნების წინააღმდეგ. „ყველა ასე იქცევა“ ფენომენალურ მიმართებას წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როცა საზოგადოება ტრენდულია, ატარებს ერთნაირ თანამედროვე ტექნიკას, არჩევს სმარტფონს ისეთს, როგორიც უმრავლესობას აქვს. აცვია ისე, როგორც მიღებულია სოციუმში. აქედან გამომდინარე, ეს ადამიანები სწორედ ტენდენციების მიმართ არიან კონფორმულები, მათ აქვთ ერთნაირი ქცევები, ღრებულებები და ატიტუდები.

აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად ზევით წარმოდგენილი მცირე მაგალითებისა, კონფორმულობა ერთნაირად არ ვლინდება სხვადასხვა სიტუაციებში, ასევე ინდივიდებსა თუ ჯგუფებში. საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ძება, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდში კონფორმულობის, ასე ვთქვათ კოეფიციენტს, თუ რა დონეზე ექვემდებარე იგი კონფორმულობას. იმისათვის, რომ უკეთესად შეგვექმნას წარმოდგენა თუ რა ფაქტორების ახდენენ გავლენას კონფორმულობაზე, გამოვყოთ შემდეგი საკითხები: ჯგუფის შეჭიდულობა, ჯგუფის სიდიდე, სოციალური მხარდაჭერის არსებობა-არარსებობა და სქესი (ქვარცხავა).

ჯგუფის შეჭიდულობაში მოიაზრებენ ე.წ. კოლექტიურ, ჩვენ გრძნობას. აქ საუბარია ჯგუფის წევრებს შორის კავშირის ხარისხზე, რაშიც იგულისხმება ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებების, სიმპატიების ხარისხი. ასევე, რამდენად თვლის ინდივიდი საკუთარი გადმოსახედიდან ჯგუფს ღირებულად. რაც უფრო ღირებულია ინდივიდისთვის ჯგუფი, სიმპატიებს განიცდის სხვა წევრებისადმი, მით უფრო კონფორმულია იგი ჯგუფის, როგორც მიზნების, ასევე ნორმების მიმართ. ამდენად, ჯგუფური შეჭიდულობის ძალა ერთ-ერთი გზაა მოახდინოს ჯგუფმა გავლენა თავის წევრებზე.

ჯგუფის სიდიდე. კვლევებმა აჩვენეს, რომ დამორჩილების ტენდენცია, კონფორმულობის გამოვლინება იზრდება 5 კაციან ჯგუფებამდე. შემდგომ ამისა ჯგუფის ზომის ზრდა მხოლოდ მცირე, უმნიშნელო დამატებითი ხარისხის განსხვავებას იძლევა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ იმას, რომ 5 წევრის ზემოთ ჯგუფის

სიდიდის ზრდამ შეიძლება გააჩინოს ეჭვი, რომ ჯგუფში არსებობს საიდუმლო გარიგება. ანუ, ჯგუფის წევრმა, რომელზეც ახდენენ გავლენას, შეიძლება იფიქროს, რომ ჯგუფის წევრები არა ინდივიდუალურები არამედ კოლექტიურები არიან და შესაბამისად გამოხატავენ თვალსაზრისს.

ბიბ ლატანე (Bibb Latane, 1981) ეხმაურება ჯგუფის სიდიდის ფენომენს და ფიქრობს, რომ სოციალური გავლენის ზრდა დამოკიდებულია სწორედ ჯგუფის სიმჭიდროვესა და ზომაზე. იგი მიიჩნევს, რომ რაც უფრო იზრდება ჯგუფის სიდიდე, მით უფრო მცირდება წევრებზე გავლენა. ერთ-ერთი კვლევა, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებს უნდა გაერჩიათ სასამართლო საქმე, განაჩენის გამოტანამდე მათ უჩვენეს ოთხი ცრუ სუბიექტის მიერ გაკეთებული გარჩევა. მაშინ, როდესაც ცრუ სუბიექტები წარმოდგენილი იყვნენ, როგორც ორი დამოუკიდებელი ჯგუფი, ნამდვილ სუბიექტში მათი მოქმედებები იწვევდა კონფორმულობას, ვიდრე ოთხოვეს ერთად წარმოდგენა ერთ ჯგუფად. აგრეთვე, ორი ჯგუფი, სადაც სამ-სამი ინდივიდი იყო, იწვევდა მეტ კონფორმულობას, ვიდრე ექვსკაციანი ჯგუფი. რაც შეეხება სამ ორ-ორ კაციანი ფორმაციის ჯგუფი ყველაზე მეტად იწვევდა კონფორმიზმს. აქედან გამომდინარე ჯგუფის რაოდენობის მატება არ ზრდის კონფორმიზმს, არამედ პირიქით, რაც უფრო ნაკლებია წევრები, მით უფრო მეტია კონფორმულობა.

ამ მხრივ საინტერესო ვითარებაა ტანფორდსა და პენროდთან (Tanford S, Penrod S 1984) სადაც ახალი წევრის დამატება იძლევა დიდ წანაზარდს კონფორმულობისაკენ მიდრეკილებაზე, თუმცა, საბოლოოდ წანაზარდი ქრება, ბალანსი დგება და წინმსწრებ ახალ წევრთან შედარებით საკმაოდ მცირე გავლენას ამატებს ახალი წევრი, ანუ ჯგუფში ყოველი ახალი წევრის გავლენა ნაკლებია ვიდრე წინასი საერთო კონფორმულობასთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, ავტორებმა შეიმუშავეს სოციალური გავლენის მოდელი (Social Influence Model – SiM), რომელიც გვთავაზობს, რომ როდესაც ჯგუფი რაოდენობაში იზრდება მისი გავლენა რამოდენიმე წევრზე იქნება ნაკლები, ვიდრე კონკრეტულ, ერთ წევრზე. მათი აზრით ეს მოდელი საუკეთესო აღწერაა თუ როგორ ვარირებს სოციალური გავლენა ჯგუფის სიდიდის ზრდასა და გავლენის სამიზნე ინდივიდების რაოდენობასთან ერთად.

ჯგუფის ერთსულოვნების ეფექტი. კონფორმულობა მკვეთრად მცირდება მაშინ, როდესაც ზეწოლის სუბიექტი აღმოაჩენს თუნდაც ერთ მოკავშირეს. კვლევითი მონაცემები ადასტურებს, რომ ამ დროს კონფორმულობის მაჩვენებელი საგრძნობლად მცირდება. როდესაც ზეწოლა ხდება ერთსულოვანი ჯგუფის მხრიდან, ამ დროს ძალიან რთულია წინააღმდეგობის გაწევა სოციალური ზეგავლენის თვალსაზრისით. სოციალური მხარდაჭერის ნებისმიერი გამოვლინება სასარგებლოა ზეგავლენასთან წინააღმდეგობის გასაწევად. იმ შემთხვევაში თუ სოციალური მხარდაჭერა დაფიქსირდა კონფორმულობის ზრდამდე, მეტია წარმატების შანსი წინააღმდეგობის გაწევის მხრივ, ვიდრე სოციალური ზეგავლენის გაძლიერების შემდგომ.

საინტერესოა მამაკაცების და ქალების მიმართება კონფორმულობისკენ, **სქესობრივი განსხვავებულობა.** ახალი კვლევები არ ადასტურებენ სქესს შორის განსხვავებულობას კონფორმულობასთან მიმართებით. 1970 იანი წლებიდან დაიწყო სქესობრივი განსხვავების კვლევა კონფორმულობის ტენდენციებთან დაკავშირებით. ადრინდელი გამოკვლევები უფრო მეტად აჩვენებდა სხვაობას, სადაც ქალები გამოირჩეოდნენ კონფორმულობით, ვიდრე მამაკაცები. შემდგომში ეს განსხვავება აიხსნა იმით, რომ ადრეულ კვლევებში მონაწილეებისთვის განკუთვნილი მასალები, უფრო მეტად მამაკაცებისთვის იყო ნაცნობი. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ადამიანები გამოირჩევიან მიყვნენ გავლენას მაშინ, როდესაც სიტუაციაში გაურკვეველები არიან, რაც ქალების კონფორმულობის ტენდენციას ააშკარავებდა. თუმცა, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც ქალებისთვის ნაკლებად ცნობილი მასალა გამოიყენებოდა კვლევებში, ისინი კონფორმიზმს მეტად ავლენდნენ ჯგუფის ზეწოლის მიმართ. მამაკაცების შემთხვევაში კი, როცა მასალას ნაკლებად ცნობდნენ, აქ, მამაკაცები მეტ კონფორმულობას ავლენდნენ. ამ საკითხს შევეხები ჩემ მიერ სიმულაციური თამაშის განხილვისას, სადაც შერჩეული სამი ჯგუფიდან ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ ქალები.

ჯგუფის სიდიდე, შეჭიდულობა და ერთსულოვნება, ეს ის ცვლადები და ფაქტორებია, რომლებიც საკმაოდ მნიშნელოვან გავლენას ახდენენ კონფორმულობის

ყალიბის შექმნაზე, ამდენად, უკეთესად შეგვიძლია დავინახოთ ის მიმდინარე შინაგანი მახასიათებლები, რაც ხელს უწყობს კონფორმიზმის განვითარებას.

2.2 კონფორმიზმის საფუძვლები

ადამიანთა უმრავლესობა გამოირჩევა ნორმების მიმართ კონფორმულობით. დღეს კონფორმულობა უქვე აღიქმება, როგორც ჩვეულებრივ ქცევად, იმდენად ფართოა მისი ყალიბი. კონფორმულობას სხვადასხვა, მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. სოციალური ფსიქოლოგები გამოყოფენ კონფორმულობის ორ ტიპს:

ინტერიორიზაციას, როდესაც ინდივიდი იღებს ჯგუფის აზრს და ხდება ამ აზრის გაშინაგანება და

დამორჩილებას, როდესაც გარეგნულად ეთანხმება, მაგრამ შინაგანად არა. როგორც ჩანს, კონფორმულობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს თუმცა, ზოგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ადამიანის ორ ბაზისურ მოთხოვნილებაზე: პიროვნების სურვილი მოსწონდეს სხვას და სურვილი იყოს სწორი.

ინფორმაციული გავლენა, ჯუფის ეფექტი, რომლის წარმოშობა ხდება ინდივიდის სურვილიდან გამომდინარე, რათა იყოს კორექტული და იცოდეს, როგორ უნდა მოიქცეს მოცემულ სიტუაციაში.

ნორმატიული გავლენა, ჯგუფის ეფექტი, ასევე აღმოცენდება ინდივიდის სურვილით იყოს ჯგუფის მხრიდან მოწონებული, მიღებული და აღიარება მოიპოვოს.

ინფორმაციული ზეგავლენის - სურვილი იყო სწორი, დროს ადამიანები მაღალი კონფორმულობით გამოირჩევიან. ხშირად პიროვნება მისთვის უჩვეულო სიტუაციებში ხვდება, სადაც არ იცის როგორ მოიქცეს, რადგან არ ფლობს პროტოკოლით დადგენილ წესებს. პირველადად იგი აკვირდება კონკრეტული ამოცანის გადაჭრის მიმართ გადადგმულ სხვის ქცევას, რომელსაც იმეორებს, რათა მოხდეს სწორი ქცევის განხორციელება და ნორმებთან მოვიდეს შესაბამისობაში. იგი ექცევა ინფორმაციული ზეგავლენის ქვეშ, შედეგად რთული ამოცანების გადაწყვეტის დროს ინფორმაციული ზეგავლენის გზით მაღალია კონფორმულობის გამოხატვის შესაძლებლობა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები ცდილობენ სოციალურ ყალიბს მოერგონ; მოერგონ სხვების მოლოდინებს, მათ ნორმებს და წესებს. განსაკუთრებით

საჯარო ვითარებაში თუნდაც დისკუსიის დროს, ინდივიდის მხრიდან გამოხატული კონფორმულობა ნორმატიული გავლენის მაუწყებელია, რაც გულისხმობს სურვილს მოსწონდე სხვას.

საკმაოდ მნიშნელოვანია ეს ორი ფაქტორი, რაც ყოფით რეალობაში ძალიან ხშირად იჩენს თავს და ხშირად მცირე დაკვირვებითაც აშკარაა გავლენა ინფორმაციულია თუ ნორმატიული, რაც ასე თვალსაჩინოს ხდის და უბიძგებს ინდივიდს იყოს კონფორმული და არა დამოუკიდებელი.

ინტერიორიზაციის და დამორჩლების მსგავსად კესლერი ასხვავებს კონფორმულობის ორ სახეს. ესენია: თანხმობა და მიღება. როდესაც პიროვნება გარეგნულად იქცევა ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად, მიუხედავად მისი თანხმობისა ჯგუფისადმი აქ იჩენს თავს „თანხმობა“. რაც შეეხება „მიღებას“, აქ, ადგილი აქვს ჯგუფის გავლენით პიროვნებაში ქცევის, ატიტუდების და რწმენების ცვლილებას.

2.3 პიროვნება და კონფორმიზმი

ცალსახაა, რომ კონფორმიზმის ჩამოყალიბებაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს პიროვნული თვისებები. საზოგადოება მრავალფეროვანია, ინდივიდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პიროვნული ნიშნებით. ბუნებრივია, რომ ადამიანები სოციალურ გარემოში სხვაგდასხვაგვარად ოპერირებენ. ხშირად კი მათი ქცევა ერთმანეთს ემსგავსება. შეუძლებელია რაიმე მოვლენამ მათზე ასახვა აბსოლუტურად იდენტური ხარისხით ჰპოვოს ან პირიქით ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი. საინტერესოა, რამდენად არიან ადამიანები კონფორმიზმის ხარისხით ერთმანეთისაგან განსხვავებულები და რა პიროვნული მახასიათებლები განსაზღვრავს მათ შორის სხვაობას.

როტერმა (Rotter, 1966) შექმნა თოერია ლოკუს კონტროლის შესახებ. კონტროლის ლოკუსის თეორია გულისხმობს პიროვნების ცხოვრების ხედვის წარმოჩენას. სახელდობრ, სად ხედავს ადამიანი მიმდინარე მოვლენების მიზეზს, თვითონ განკარგავს საკუთარ ცხოვრებას თუ გარეგანი მოვლენებია მთავარი აქტორი, მაგალითად ბედ-იღბალი.

კონტროლის ლოკუსი წარმოადგენს ბიმოდალურ კონტინუუმს. ერთ მხარეს

ინტერნალური კონტროლის ლოკუსია, ხოლო მეორე მხარეს ექსტერნალური.
გარეგანი კონტროლის ლოკუსი: პიროვნებას სწამს, რომ მის ცხოვრებას წარმართავს ბედ-იღბალი ან სხვა გარეგანი მოვლენები.
შინაგანი ლოკუსის კონტროლი: პირველისგან განსხვავებით ინდივიდს სწამს, რომ თავად განკარგავს საკუთარ ცხოვრებას.

ლოკუსის თეორია იმიტომ გამოვყავი, რომ არსებობდა მოსაზრებები, ექსტერნალური ლოკუსის კონტროლის მქონე ინდივიდები უფრო კონფორმულები იქნებოდნენ, ვიდრე ინტერნალური. საკმაოდ ლოგიკურად და ერთი შეხედვით დამაჯერებლადაც ჟღერს, თუმცა ასე არ არის. აგრეთვე არსებობდა დაშვება, რომ ინდივიდები, რომლებსაც აქვთ თვითშეფასების დაბალი, ხოლო სოციალური მოწონების მაღალი მაჩვენებელი უფრო მეტად იქნებოდნენ კონფორმულები, ვიდრე მაღალი თვითშეფასების და დაბალი სოციალური მოწონების ინდივიდები. თუმცა, კვლევებმა ეს მოსაზრებებიც უარყვეს. 1960-1970 იან წლებში ჩატარებული ექსტენსიური კვლევები ამტკიცებენ, რომ პიროვნების რეაქცია გამოვლენილი კონფორმულობით თუ არაკონფორმულობით, გაპირობებულია სიტუაციის თავისებურებებით და არა პიროვნული მახასიათებლებით. პიროვნულ მახასიათებლებსა და კონფორმიზმს შორის სუსტი კავშირი აღმოჩნდა. ამდენად, 1980-იან წლებში დაიწყო ინტენსიური კვლევა. შედეგად, რთულია იწინასწარმეტყველო ინდივიდის ქცევა კონკრეტულ სიტუაციაში. კონფორმიზმის საშუალო დონის განსაზღვრა უფრო მეტად შესაძლებელია სხვადასხვა, მრავალ სიტუაციაში, ვიდრე მოცემულ, ერთეულ, კონკრეტულ შემთხვევაში. აგრეთვე, გამოვლინდა, რომ ქცევის პიროვნული წინასწარმეტყველება უმჯობესდება თუ სოციალური გავლენა უმნიშვნელოა, ხოლო პიროვნების მიერ შინაგანი მახასიათებლების გამოვლენა სპეციფიკურია სიტუაციაში. (ქვარცხავა)

ნებისმიერ პიროვნებას აქვს სურვილი იყოს გამორჩეული, იქცეოდეს სხვებისგან განსხვავებულად, ჰქონდეს საკუთარი უნიკალური სწრაფვები, შექმნას ტენდენციები, ჰყავდეს მიმდევრები და ა.შ. ისინი ავლენენ მზაობას იყვნენ ინდივიდუალურები. ზოგი კი პირიქით, თავს კომფორტულად გრძნობს მაშინ, როდესაც ბაძავს სხვებს, იქცევა სხვა

ადმაიანების, ჯგუფის მსგავსად. მისწრაფებას, იყვნენ ინდივიდები გამორჩეულები მასლაშა და კოლეგებმა (Kristina Whitney, Lynda M. Sagrestano CHristina Maslach, 1994) ამ ფენომენს ინდივიდუალიზაციის სურვილი იწოდეს.

ინდივიდუალიზაციის სურვილი- ადამიანის სურვილი, მოიქცეს ისე, რომ სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდეს და იყოს განსხვავებული.

მასლაშმა და კოლეგებმა შექმნეს ტესტი. ინდივიდი ტესტში მაღალ ქულას იღებს, როდესაც მისი ქცევა სხვების ყურადღების მისაპყრობად არის გამიზნული. ვინც დაბალ ტესტურ ქულას იღებს, ის ნაკლებადაა მიდრეკილი ისეთი ქცევისაკენ, რომლითაც სხვების ყურადღებას მიიქცევს. ლაბორატორიული კვლევებში, მაღალი ინდივიდუალიზაციის მაჩვენებლების მქონე მონაწილეები უმრავლესობის მოსაზრებებს ნაკლებად ექვემდებარებოდნენ, ისინი მიმართავდნენ „შემოქმედებით განსხვავებულობას“, მკვლევარებმა ასე უწოდეს მათ ქცევას. მაღალი ინდივიდუალიზაციის მქონე ინდივიდები ფასდებოდნენ, როგორც მებრძოლნი, ნაკლებად დამთმობნი, მეტად კრიტიკულები და ნაკლებად თავაზიანები. (Shelley E. Taylor, Letitia Anne Peplou, David O. Sears, 1994)

2.4 კულტურა და კონფორმიზმი

ადამიანი იბადება კონკრეტული კულტურული ტრადიციების მქონე კონკრეტულ სოციუმში. იგი ითვისებს იმ სამეტყველო ენას, რომელზეც გარშემომყოფები საუბრობენ. სწავლობს ქცევებს, დამოკიდებულებებს და ღრებულებებს, რომლებიც მოწონებულია მის მშობლიურ საზოგადოებაში. ამდენად, ადამიანი პროდუქტია იმ სოციალური გარემოსი და კულტურის, სადაც იგი დაიბადა და ცხოვრობს. ასე ფიქრობენ ბიჰევიორისტები და სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები. (ხეჩუაშვილი, 2013)

კულტურა გავლენას ახდენს კონფორმულობაზე. აღმოსავლეთის კულტურა ერთობაზე ორიენტირებული, კოლექტივისტური იყო. იგი არსებითად უგულებელყოფდა პიროვნულ, ინდივიდუალურ ასპექტს. კულტურის ცნობილი მკვლევარი ჟ.გებზერი აზიას ახასიათებს: ჩვენ მეს გარეშე, ხოლო დასავლეთს

ახასიათებდა ადმაიანურის, პიროვნულის წინა პლანზე წამომწევს, უფრო მეტად ინდივიდუალისტურს მე ჩვენ გარეშე. (ბელქანია, 2015)

ინდივიდუალისტურ კულტურაში კონფორმულობა უარყოფითად აღიქმება. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ და დასავლეთ ევროპა უტრირებულია პიროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ადმაიანს აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს დამოუკიდებლობა და იყოს შემოქმედებითი. ბავშვებში მეტად წახალისებულია თვითდარწმუნებულობა და ასერტიულობა. დასავლეთის კულტურაში მიჩნეულია, რომ ჯგუფური ზეწოლა და კონფორმულობა საფრთხეს უქმნის უნიკალურობას და ინდივიდუალურობას. აღმოსავლურ კულტურებში, სადაც კოლექტივიზმი იჩენს თავს, მშობლები, რომლებიც ჯგუფურ ნორმებს სცემენ პატივს, აქცენტს აკეთებენ შვილების მორჩილებაზე და შესაფერის ქცევაზე, რომელიც მათ „ეკადრებათ“. (John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshall H. Segall, Pierre R. Dasen, 2011) აქ, აქცენტი კონფორმულობის პოზიტიურ ასპექტებზე კეთდება, განსხვავებით დასავლეთისგან. სახელდობრ, კონფორმულობას ისინი განიხილავენ არა როგორც სოციალური ზეწოლის, არამედ სხვებთან დაკავშირების საშუალებას და მორალური პასუხისმგებლობის გამოვლენის შესაძლებლობას.

აღმოსავლურ კინემატოგრაფიაში თუ ისტორიებში კარგად არის ნაჩვენები ინტერპერსონალური ურთიერთობები, ბევრი მკვლევარი წერს ამ საკითხთან დაკავშირებით, სადაც ხაზი აქვს გასმული მათი მხრიდან მორჩილებას ჯგუფური ნორმებისადმი. თვალსაჩინოა ბავშვების და მშობლების ურთიერთობაც, როგორი მკაცრი და დირექტიულები არიან მშობლები მათ მიმართ, რათა შვილები იყვნენ მორჩილები და ყოველთვის შესაფერისი ქცევით გამოირჩეოდნენ.

საინტერესოა ის, რომ ამ კულტურაში ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვა მოუმწიფებლობას და ეგოიზმის გამოხატულებად ითვლება.

კროსკულტურულმა კვლევებმაც აჩვენეს, რომ კოლექტივისტურ კულტურებში კონფორმულობა ჯგუფური ნორმებისადმი მაღალია, ვიდრე ინდივიდუალურ კულტურებში. (Smith, P. B, Bond, M. H.1993) საბოლოო დასკვნა, რომელსაც

მკვლევარები მხარს უჭერენ არის შემდეგი: *„კონფორმიზმი მეტნაკლებად უნივერსალური ფენომენია, მაგრამ მისი გამოხატვის ფორმები იცვლება კულტურიდან კულტურამდე. ევროპული და ამერიკული კულტურა აქცენტებენ ინდივიდუალურობას. აზიური კულტურა და მესამე სამყაროს ქვეყნების კულტურა უფრო კოლექტივიზმისაკენ იხრებიან.“*

ამდენად, მნიშნელოვანია ამ განსხვავებებს მივაქციოთ ყურადღება მაშინ, როდესაც შევაფასებთ ნებისმიერი ადამიანის ქცევას დაწყებული ჩვეულებრივიდან დამთავრებული კონფლიქტოგენურ სოციალურ გარემოში.

2.5 კონფორმიზმის ექსპერიმენტული კვლევები

სოციალური ფსიქოლოგიის გარიჟრაჟზე, კონფორმულობის ექსპერიმენტულ კვლევებს ჩაეყარათ საფუძველი. დღემდე, კლასიკურ ექსპერიმენტულ კვლევებად ითვლება სოლომონ აშის, მუზაფერ შერიფის და სტენლი მილგრემის ექსპერიმენტები.

საკითხს ნათელი მოფინა შერიფის კვლევებმა (Sherif, 1936), რომელიც ნოვატორულ კვლევად ფასდებოდა. სახელდობრ, იგი ეხებოდა სოციალური ნორმების ჩამოყალიბების პროცესის კვლევას ლაბორატორიულ პირობებში. კვლევაში მილგრემმა გამოიყენა ავტოკინეტიკური ეფექტი, რაც გულისხმობს იმას, რომ აბსოლუტურ სიბნელეში თუ მხედველობის ფოკუსი მიმართული იქნება კონკრეტულ განათებულ წერტილზე, მოგვეჩვენება, თითქოს წერტილი ქაოტურად მოძრაობს. სინამდვილეში წერტილი არ მოძრაობს. იგი უძრავია, აღქმა კი ილუზიას წარმოადგენს. წინასწარ ექსპერიმენტში სუბიექტები შეჰყავდათ ბნელ ოთახში და სთხოვდნენ შეეფასებინათ განათებული წერტილის მოძრაობის მანძილი. ბევრი ფიქრობდა რომ წერტილის მოძრაობის მანძილი იყო 1 დან 2 ინჩამდე. ერთი ამბობდა, რომ წერტილი 800 ინჩით მოძრაობდა, რაც ალოგიკური იყო, რადგან პატარა ოთახში იმყოფებოდა.

შერიფი ექსპერიმენტს 2-3 კაციან ჯგუფებში ატარებდა. კვლევის პირველ ნაწილში მონაწილეების მოსაზრებები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, თუმცა სხვების აზრის მოსმენის და საკუთარის დაფიქსირების შემდგომ, მონაწილეთა პასუხუხები იდენტური ხდებოდა. იქედან გამომდინარე, რომ ისინი ვერ

საზღვრავდნენ რეალურ მანძილს, უფრო მეტად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. კვლევაში შერიფმა გვაჩვენა, როგორ ყალიბდება ჯგუფური ნორმები და სტანდარტები სინათლის წერტილის მოძრაობის მანძილის შეფასებისას. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდგომ ისევ მოიწვიეს იგივე სუბიექტები იმავე ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად. შერიფი, ამჯერად აცალკევებდა მონაწილეებს და განმარტოებით აფასებინებდა წერტილის მოძრაობას. პასუხი არ იცვლებოდა და იმ ნორმების ფარგლებს არ სცდებოდა, რაც ჯგუფში ადრე დამკვიდრდა.

საინტერესოა როდის იჩენს კონფორმულობას ადამიანი, როდესაც სიტუაცია ორაზროვანია და სუბიექტი არ არის დარწმუნებული საკუთარ შეფასებაში თუ პირიქით? ამ საკითხით დაინტერესდა სოლომონ აში. რომლის ექსპერიმენტი შემდეგნაირად ჩატარდა:

კოლეჯიდან ხუთი მამრობითი სქესის სტუდენტი მოიწვიეს, რომლებიც აღქმის ექსპერიმენტში მიიღებდნენ მონაწილეობას. სტუდენტები განათავსეს მაგიდის ირგვლივ. მათ დაურიგეს ფურცლები, რომლებზეც ხაზები იყო ასახული. პირველ ფურცელზე მხოლოდ ერთი „სტანდარტული“ ხაზი ეხატა. რაც შეეხება მეორე ფურცელს, აქ, გამოსახული იყო სამი სხვადასხვა სიგრძის ხაზი. სტუდენტებს მიეცათ დავალება, უნდა ესმჯელათ ხაზების სიგრძის შესახებ და მეორე ფურცლიდან ამოერჩიათ ის ხაზი, რომელიც სწორი იქნებოდა საჩვენებელი „სტანდარტული“ ხაზის.

ნახაზიდან აშკარაა, რომ საჩვენებელი ხაზი ნამდვილად ტოლია დანომრილი ხაზებიდან ერთ-ერთის. სახელდობრ, მეორის. მონაწილეებს უნდა ეპასუხათ რიგ-რიგობით. სუბიექტები ისე განათავსეს მაგიდასთან, რომ ნამდვილ სუბიექტს,

რომელზეც ხდებოდა დაკვირვება უნდა ეპასუხა სხვების მოსმენის შემდგომ. იქედან გამომდინარე, რომ არჩევანის გაკეთება მარტივი იყო, მონაწილეებს შორის არ დაფიქსირებულა აზრთა სხვადასხვაობა. როდესაც ყველა უპასუხებდა, შემდეგ ხაზების სხვა ნაკრები ჩნდებოდა და ასე გრძელდებოდა.

მესამე სესიის დროს, პირველი მონაწილე მცდარ პასუხს აფიქსირებდა. იგი ამბობდა, ნახაზის მიხედვით, რომელიც ზევით არის ნაჩვენები, რომ ეტალონური, სტანდარტული ხაზის ტოლია არა მეორე, არამედ პირველი ხაზი. რიგით მეორე მონაწილეც იგივეს იმეორებდა; მსგავსად იქცეოდნენ მესამე და მეოთხე მონაწილეც. მეხუთე მონაწილის რიგის დადგომის დროს, მისი შეწუხება შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე აშკარა იყო. მან კარგად იცოდა რეალურად რომელი ხაზი იყო სწორი, მაგრამ სხვა ოთხი მონაწილესგან ისმენდა, რომ სტანდარტული ხაზის საპირწონე იყო პირველი ხაზი. თუმცა, ასეთ დროს რიგით მეხუთე ცდისპირები არასწორად პასუხობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სხვების პასუხის სიმცდარეში დარწმუნებულები იყვნენ და იცოდნენ სწორი პასუხი, ზოგჯერ მათ მსგავსად პასუხობდნენ. ვისაც მახვილი გონება და კარგი მხედველობა ჰქონდათ მათ შემთხვევაში 35% არასწორი პასუხი იყო. ზოგიერთი კი ყოველთვის სწორ პასუხს იძლეოდა, მიუხედავად გარმეოებისა. ზოგი კი ყოველთვის არასწორს. საშუალოდ კი ყოველ სამ პასუხში ერთი იყო არასწორი.

რა თქმა უნდა, ექსპერიმენტის სიუჟეტი დადგმული იყო, სადაც მონაწილეთაგან პირველი ოთხი ცრუ ცდისპირს წარმოადგენდა. მათ წინასწარ ჰქონდათ მიღებული ინსტრუქცია და შესაბამისად იქცეოდნენ.

აში (1955) ვარაუდობდა მცირე კონფომრულობის გამოვლენას. მიღებულ შედეგებზე მისი აზრი იყო ასეთი: „ჩვენი შედეგების მიხედვით, ჩვენს საზოგადოებაში კონფორმულობის ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ საღად მოაზროვნე და გონიერი ახალგაზრდები მზად არიან შავს თეთრი დაუძახონ“.

აშის კვლევებს ბევრი სხვაც მოჰყვა, ამ კვლევებმაც დაადასტურეს კონფორმულობის მსგავსი ეფექტი ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ლოგიკური სილოგიზმი, აზრის შეფასება და ფაქტების შეფასება.

დასაფიქრებელია, რომ ადამიანებს მიუხედავად საკუთარი ცხადი შეხედულებებისა, შეუძლიათ თეთრზე თქვან შავი, ხოლო შავზე კი თეთრი. რა შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ საზოგადოებაში კონფლიტები მძვინვარებს და ადამიანები კარგავენ საღ აზრს მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით. ექცევიან გავლენის ქვეშ და დგამენ ქმედით ნაბიჯებს კონფლიქტების სასარგებლოდ. ცხადია, რომ კონფორმული ადამიანი დაყვება ჯგუფის აზრს და განახორციელებს იმას, რასაც სხვები თვლიან სწორად. საინტერესო კი ის არის, რა ხარისხით შეიძლება კონფორმულობამ იქონიოს გავლენა ადამიანის გადაწყვეტილებისას ჩაერთოს კონფლიქტში ან იყოს მისი ინიციატორი.

რიჩარდ გრათჩფილდმა (1955) მოახერხა აშის ტექნიკის გაუმჯობესება. გრათჩფილდის ექსპერიმენტში მონაწილეები ვერ ხედავდნენ ერთმანეთს. იგი მიიჩნევდა, რომ აშის ექსპერიმენტში კონფორმულობა გამოიწვია სწორედ იმ ფაქტმა, რომ რეალური ცდის პირი ხედავდა სხვა წევრებს. მის ექსპერიმენტში ი რამდენიმე რეალური ცდისპირი იღებდა მონაწილეობას, აშისგან განსხვავებით. ექსპერიმენტში ადამიანები დაყვეს ხუთ კაციან ჯგუფებად და განათავსეს ერთმანეთის გვერდიგვერდ, თუმცა მათ არ შეეძლოთ ერთმანეთის დანახვა და მეტიც, არც ერთმანეთთან საუბარი. ცდისპირებს აჩვენეს კითხვებზე პასუხის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი, რომელიც გამოსახული იყო კედელზე. პასუხის გასაცემად ცდისპირს უნდა დაეჭირა ღილაკზე თითი. ღილაკები პასუხების შესაბამისად იყო წარმოდგენილი. თუ სწორი პასუხად ცდისპირი მიიჩნევდა მეორეს, მეორე ღლაკზე თითის დაჭერით დააფიქსირებდა მის პასუხს. ექსპერიმენტში სულ 21 კითხვა იყო. შედეგად, ერთი ცდისპირი 21 შემთხვევიდან 17 შემთხვევაში კონფორმისტი აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენებს რაც შეეხება, ზოგიერთი კოფორმულობას ერთ ან ორ შემთხვევაში იჩენდა. ისეთი კიხვებში, რომლებიც სამსჯელო იყო და ფაქტობრივი 30% კონფორმულობას ავლენდა, რადგან მათ ეგონათ, რომ სხვებიც მსგავსად უპასუხებდნენ. გრატჩფილდის აღოჩენა იყო ის,

რომ სამხედროების 37% დაეთანხმა დებულებას: „მე ეჭვი მეპარებ, რომ კარგი ლიდერი ვიყო“, როდესაც ინდივიდუალური გამოკითხვისას საპირისპიროს ფიქრობდა ყველა. მეცნიერმა დაასკვნა, რომ ადამიანების კონფორმულობას იჩენენ სხვადასხვა მიზეზების გამო:

1. კონფორმისტების ინტელექტი დაბალია, რადგან ისინი მონაცემებს ლოგიკურად ვერ აანალიზებენ;
2. მათ არ სჯერათ საკუთარი თავის, მათი ეგო სუსტია და განიცდიან საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენის ნაკლებობას, ხოლო აზრის ჩამოყალიბება უჭირთ;
3. მოვლენების მიმართ ფრთხილი მიდგომა, არ შთააგოებთ მას საკუთარი პროფესიონალიზმის მიმართ და კომპეტენტურობის მიმართ რწმენას. ლიდერობის უნარები ნაკლებად აქვთ;
4. ისინი მორჩლები არიან, დაქვემდებარებისკენ გადახრილები. მუდამ სხვების შეხედულებებს უსმენენ;
5. ისინი „შებრალებულები“ არიან, ვიდრე „მოწონებულები“
6. მიდრეკილნი არიან ავტორიტარული შეხედულებებისკენ;
7. სოციალური კავშირები მწირი აქვთ.

რაც შეეხება მილგრემის ექპსერიმენტს, მონაწილეობდა სამი ადამიანი: ექსპერიმენტაროი, დამსწავლელი-ეჭვმიტანილი და მასწავლებელი-ცდისპირი. მასწავლებელმა არ იცოდა, რომ დამსწავლელი ექსპერიმენტატორთან იყო შეთანხმებული. ექსპერიმენტატორმა დანარჩენებს უთხრა, რომ ისინი მონაწილეობდნენ სხვადასხვა სიტუაციებში მეხსიერებისა და დასწავლის კვლევაში. მასწავლებელს მისცეს ელექტროშოკი და პასუხების სია, რომელიც უნდა ესწავლებინა მოსწავლისთვის. ელექტროშოკის გამოყენება უნდა მომხდარიყო მცდარი პასუხების დროს. მსწავლებელი სხვამდა შეკითხვას და 4 სავარაუდო პასუხთან ერთად. მოსწავლეს სწორი პასუხის შესაბამის ღილაკს უნდა დაეჭირა. მასწავლებელი არასწორ პასუხზე ელექტროშკს იყენებდა, თუმცა ელექტროშკი არ იყო რეალური. მასწავლებელი მცდარ პასუხებზე 15-15 ვოლტით ზრდიდა მაჩვენებელს. მოსწავლე და მასწავლებელი

ერთმანეთისგან კედლით იყვნენ გამოყოფილები. ყოველ ელექტროშკის დარტყმაზე მოსწავლეები კედელს უკაკუნებდნენ. ცოტა დროის გასვლის და შესაბამისი რეაქციების ხმამაღლა გამოხატვის შემდგომ მოსწავლეები ჩოდნენ, რომ მათ გული სტკიოდათ და ჩუმდებოდნენ. ამის შედეგად, ზოგიერთი ცდისპირი წყვეტდა ექსპერიმენტს, ზოგი კი 135 ვოლტზე ჩერდებოდა და ექსპერიმენტის რეალურ მიზანს კითხულობდა. როდესაც პასუხობდნენ, რომ პასუხისმგებელნი არ იყვნენ ამ ყველაფერზე, უმრავლესობა ცდისპირებისა აგრძელებდნენ ექსპერიმენტს, ზოგ კი ისტერიულ სიცილს იწყებდა და სტრესს გამოხატავდა. მოსწავლის ყვირილის შემდგომ თუ ცდისპირი ექსპერიმენტის შეწყვეტას ინდომებდა ექსპერიმენტატორი თხოვნით მიმართავდა, რომ გაეგრძელებინა. სხვადასხვა გაფრთხილების შემდეგ თუ ცდისპირი მაინც ითხოვდა შეწყვეტას ექსპერიმენტის, ასეც იქცეოდნენ.

მილგრემმა თავისი ექსპერიმენტის შედეგებიი ორი თეორიის პრიზმიდან ახსნა. პირველი თეორია, რომელიც აგენტის მდგომარეობის თეორიითაა ცნობილი, გულისხმობს, რომ მორჩლების არსებობა მომდინარეობს ადმაიანის შეხედულებისგან, რომ იგი საკუთარ თავს სხვების სურვილების და ნების შემსრულებელ ინსტრუმენტად განიხილავს, რის გამოც საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს. მეორე თეორია კი ეფუძნება სოლომონ აშს, რომელიც ჯგუფში ფუნდამენტურ კავშირებს აღწერს. როდესაც სუბიექტს არ აქვს არც უნარი და გამოცდილება მიიღოს გადაწყვეტილება კრიტიკულ ვითარებებში, იგი გადაწყვეტილებას ანდობს ჯგუფს, რომელიც ადმაიანის ქცევის მოდელს წარმოადგენს. [1]

[1] https://socioflaneur.wordpress.com/2011/08/15/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E2%80%93-%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91/

თავი 3. კონფლიქტების მართვა

3.1 კონფლიქტები

კონფლიქტი ადმიანის ცხოვრების რეალობას წარმოადგენს. საზოგადოება კონფლიქტის გარეშე არ არსებობს. როგორც ზევით აღვნიშნე კონფორმიზმი და კონფლიქტი ორივე ცნება მკვიდრი მოვლენებია ადმაიანის ყოფაში. კონფორმიზმის განხილვა შეძლებისდაგვარად დეტალურად დაგვჭირდა, თუმცა, კონფლიქტს რაც შეეხება, საჭიროა ძირითადი დებულებების გამოყოფა, რაც ჩვენს თემას უფრო გასაგებს და ნათელს გახდის მკითხველთათვის. ამდენად, აუცილებელია განვსაზღვროთ კონფლიქტის ძირითადი ასპექტები.

კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის შეხედულებების, ინტერესების დაპირისპირება, რაც შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული. მრავალთაგან, ეს კონფლიტის ყველაზე ზოგადი განმარტებაა.

კონფლიქტის ფუნქცია შესაძლებელია ორი სახით წარმოვიდგინოთ: დესტრუქციული, უარყოფითად აღქმული და მეორე კონსტრუქციული, პოზიტიურად აღქმული. ფუნქციური თვალსაზრისით კონფლიქტი საპირისპირო მიმართულებების ამსახველია. ადმაიანები, ჯგუფები და სხვა, როდესაც დაპრისპირებულები არიან, ისი იღწვიან საკუთარი მიზნების მიღწევისაკენ. შედეგი კი მსგავსი მისრაფებისა, შეიძ❑ება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აქედან გამომდინარეობს კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური ფუნქცია.

დესტრუქციული კონფლიქტი სოციალური სისტემების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს თავს, სადაც კონფლიქტი გამოირჩევა ძალადობრივი მეთოდებით. ასეთ დროს როგორც მატერიალური ზიანი ასევე მსხვერპლიც საკმაოდ დიდია. ასეთ დროს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და სხვა სოციალური სისტემები განიცდის სტაგნაციას, კონფლიქტი კი ამის მთავარი მექანიზმია.

კონსტრუქციული კონფლიქტის დროს შესაძლებლობა იჩენს თავს მხარეების მხრიდან გაცნობიერდეს ერთმანეთის ინტერესები, დაადგინონ ესკალაციის დონე და იწყება ფიქრი მოგვარების გზებზე.

ხშირად, კონფლიქტის ამოსავალი წერტილი ხდება რაიმე მოვლენა თუ ამბავი ან ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს ცრუ ან გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით გავრცელებული, რეალური მიზეზი კი აბსოლუტურად სხვა.

კონფლიქტის ობიექტი, კოფლიქტში მონაწილე მხარეები და გარემო კონფლიქტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

კონფლიქტის ობიექტი გულისხმობს მატერიალურ, ან სულიერ და სხვა ფასეულობებს, რის საფუძველზეც წარმოიშვა ინტერესების შეჯახება მხარეებს შორის. კონფლიქტის ობიექტი ყოველთვის შეზღუდულია, რადგან მხარეთა ინტერესებთან არის კავშირში.

კონფლიქტის მხარეები გულისხმობს მონაწილეებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

კონფლიქტს გააჩნია თავისი გარემო, სადაც იგი მიმდინარეობს, რომელიც ფიზიკური სოციალური და ფსიქოლოგიური სივრცეებისგან შედგება. გარემო შესაძლებელია იყოს როგორც ვრცელი, ასევე ლოკალური. გარემო კლასიფიცირდება როგორც „მინი“, ასევე „მაკრო“ ნიშნებით.

კონფლიქტი დიფერენცირდება ტიპებით. ვ. ლინკოლნი გამოყოფს ხუთი ტიპის კონფლიქტს. ესენია: ინფორმაციული კონფლიქტები; ინსტიტუციური კონფლიქტები; ღირებულებითი კონფლიქტები; ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი და ინტერესთა კონფლიქტი.

ინფორმაციული კონფლიქტი გულიხმობს ისეთ კონფლიქტს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის სიმცირესთან და სიჭარბესთან. ინფორმაცია თავისი ხარისხით და ოდენობით, რომელიც ერთი მხარისთვის მისაღებია, ხოლო მეორესთვის არა იწვევს კონფლიქტის გამწვავებას, ესკალაციას. გარდა ამისა ინფორმაციის სიჭარბეც

ერთ-ერთი მადეტერმიანტებელი ფაქტორია კონფლიქტის. სახელდობრ, ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეხება აქვთ და ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან. ასეთი ტიპის კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სწორედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილება და გასაჯაროებაზე მუშაობა.

ისეთი კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია წესებთან, ნორმებთან და კანონებთან წარმოადგენს **ინსტიტუციურ კონფლიქტებს**. ამ ტიპის კონფლიქტის გადაჭრა ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებების არ დარღვევა და სიტუაციის საჯაროდ განხილვა. ამ ტიპის კონფლიქტები დაკავშრებულია კანონიერ ხელისუუფლებასთან; ტრადიციებთან; მართის სისტემასთან; ტექნიკურ ნორმატივებთან; პოლიტიკურ პარტიებთან და ა.შ.

ღირებულებითან დაკავშირებული **კონფლიქტის** დროს დაპირისპირებული მხარეები აყალიბებენ ისეთი სახის მსჯელობებს, რომელიც აბსოლუტურს უტოლდება, სადაც არ დათანხმება უღირს, ცუდ ქცევად და არასამართლიანად აღიქმება.

ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი ემოციური ხასიათის მატარებელია. ამ სახის კონფლიქტების მოგვარება პირველ რიგში, ემოციების დარეგულირებას საჭიროებს. ამ სახის კონფლიქტი ფართოდ განიხილება. იგი ასევე მოიცავს იდენტიფიკაციას, რომელსაც ადამიანი ახდენს ჯგუფებთან, საზოგადოებასთან, ერთან , პარტიასთან და თემთან.

რაც შეეხება **ინტერესთა კონფლიქტს,** იგი დაკავშირებულია ქცევებთან და მოთხოვნილებებთან. თუ მოთხოვნილებების მოჩვენებითობა და რეალურობა თანხვედრაში არ მოდიან ერთმანეთთან ეს წარმოშობს კონკურენციას, რაც ნეგატიურ ფონს ქმნის და ცუდ შედეგამდე მივყავართ. საჭიროა მხარეთა შორის იყოს ინტერესთა შესატყვისობა, რაც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

კონფლიქტის დროს შესაძლებელია ხუთივე ტიპის კონფლიქტიდან რამდენიმემ ერთად იჩნოს თავი. არსებობს ისეთი ხასიათის კონფლიქტიც, სადაც ხუთივე ტიპის არსებობაა შესაძლებელი.

კონფლიქტი ხასიათდება დინამიკით, რაც გამოიხატება ესკალაცია და დეესკალაციის სახით. ესკალაცია გულისხმობს გამწვავებას, გაძლიერებას, მუქარას, აგრესიას და მტრობას. ესკალაცია რეგრესულია და ხასიათდება ინტენსივობის სხვადასხვა დონეებით. საწყისი წერტილია ინციდენტი, რომელიც ფორმირდება და გადაიზრდება კონფლიქტის უმაღლეს სტადიაში, ბრძოლაში, შეტაკებაში.

რაც შეეხება დეესკალაციას, იგი ესკალაციის საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს. ამ დროს, მხარეები აანალიზებენ, რომ შეუძლებელია რომელიმე გამოჩნდეს უპირატესი და იწყება ფიქრი როგორ მოაგვარონ კონფლიქტი.

ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტში.

კ.ტომასმა (Thomas, 1992) შეიმუშავა ხუთი ქცევის სტრატეგია კონფლიქტში: კონკურენცია, განრიდება, თანამშრომლობა, შეგუება, კომპრომისი.

კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს შეჯიბრს, ბრძოლას და სხვა. სადაც ერთი მხარე დომინირებს და ცდილობს გაანადგუროს მეორე მხარე. ამ სტრატეგიის პრინციპია „მე უნდა გავიმარჯვო, შენ დამარცხდე“

განრიდების სტრატეგია, სხვაგვარად პრობლემისგან გაქცევის სტრატეგიადაც მიიჩნევა. ამ დროს, რომელიმე ერთი მხარე ცდილობს არ ითანამშრომლოს, მას არ აინტერესებს არც მიზანი. ცდილობს გაიქცეს კონფლიქტიდან. აქტიურდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესკალაცია ძალიან მაღალია.

თანამშრომლობის სტრატეგიაში გათვალისწინებულია და ფოკუსი კეთდება მიზნებზე. აქ, მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს და თანხმდებიან. ორივე მხარე ორიენტირებულია ერთმანეთის ინტერესები დაკმაყოფილდეს.

შეგუების სტრატეგია, ასევე დათმობის სტრატეგია. აქ ურთიერთობაზე გაქეთებული აქცენტი ჩრდილავს მიზნებს, სადაც ერთი მხარე მზად არის დათმოს ინტერესები, სანაცვლოდ კი შეინარჩნოს მეორე მხარის ურთიერთობა და კეთილგანწყობა.

კომპრომისის სტრატეგია, სადაც ორიენტაცია კეთდება რესურსების თანაბარ გადანაწილებაზე, პარიტეტზე, რომელიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. მქმედებს შემდეგი პრინციპი: „რამე რომ მივიღოთ, თითოეულმა რაღაც უნდა დავთმოთ". ხშირად მხარეები კმაყოფილები არიან. (კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, 2011)

ამ სტრატეგიებს გააჩნიათ თავისი პრინციპები, რომლებიც შემდეგნაირად გამოიყურება : „მოგება-წაგება"; „წაგება-მოგება"; „წაგება-წაგება"; „მოგება-მოგება"

3.1.1 კონფლიქტის ტიპები - ოთხი კლასიფიკაცია

ზემოთ წარმოდგენილი კონფლიქტის ტიპებისგან განსხვავებით, არსებობს ასევე ოთხი ტიპის კონფლიქტი, რომლებსაც საკმაოდ ხშირად ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ესენია: ინტერპერსონალური კონფლიქტები; ინტრაპერსონალური კონფლიქტები; შიდაჯგუფური კონფლიქტები და ჯგუფთაშორისი კონფლიქტები. [1]

- **ინტერპერსონალური კონფლიქტი** გულისხმობს ორ ცალკეულ პერსონას, ინდივიდს შორის კონფლიქტს. ადმაინები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ქცევებით, ხასიათით, ატიტუდებით, ღირებულებებით, რაც მათ პიროვნებას განსხვავებულად აქცევს სხვა პიროვნებებთან მიმართებით. სწორედ ეს განსხვავებები შეიძლება იყოს ინტერპერსონალური კონფლიქტების წყარო. ადამიანებს უჭირთ საერთო ენის გამონახვა საერთო საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხშირად წარმოშობს კონფლიქტებს.
- **ინტრაპერსონალური კონფლიქტი**, რომელიც კონფლიქტის საკმაოდ საინტერესო და ჩემი აზრით რთული სახეა, წარმოადგენს პიროვნების

[1] http://www.typesofconflict.org/

შიგნით წარმოშობილ კონფლიქტს, რომელიც მიმდინარეობს მის გონებაში. საინტერესო არის იმით, რომ აქ მრავლადაა ჩართული ფსიქოლოგიური ასპექტები, ადმაიანის ღირებულებები, ატიტუდები, ემოციები და ფიქრები. ინტრაპერსონალური კონფლიქტი შეიძლება მრავალი მიზეზისგან წარმოიშვას. დაწყებული სამომავლო პროფესიის შერჩევით, დამთავრებული გარემოსთან შეჯახებით ისეთ ფენომენთან, როგორიცაა კონფორმიზმი. საკმაოდ რთულია ამ ტიპის კონფლიქტის გადაჭრა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ვერ განისაზღვრა ზუსტად წარმოშობის მიზეზი.

- **შიდაჯგუფური კონფლიქტი** გულისხმობს კონფლიქტს, რომელიც ხდება ჯგუფის წევრებს შორის. ნორმების შეუთავსებლობას, წევრებს შორის გაუგებრობას შეუძლია მიგვიყვანონ შიდა ჯგუფურ კონფლიქტებმდე. ამ გაუგებრობის წარმოშობის მიზეზი თავისუფლად შეიძლება იყოს ინტერპერსონალური უთანხმოებები. სახელდობრ, ჯგუფის წევრების განსხვავებული შეხედულებები, იდეები, ხედვები, პიროვნული მახასიათებლები, რამაც გამოიწვიოს ჯგუფში დაძაბულობა. შიდაჯგუფურ კონფლიქტს პოზიტიური მხარეც აქვს. შესაძლებელია ჯგუფი მივიდეს ახალ ხედვებამდე, იდეებამდე, რაც ჯგუფის მუშაობაზე დადებით ასახვას ჰპოვებს. ამდენად, შიდაჯგუფური კონფლიქტი შეიძლება განვითარების წინაპირობა გახდეს.
- **ჯგუფთაშორისი კონფლიქტებს** ადგილი აქვთ მაშინ, როდესაც გაუგებრობაა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომელიც ასევე შეიძლება იყოს რომელიმე დიდი ორგანიზაციის ჯგუფები, დეპარტამენტები, სამსახურები. მათ შეიძლება ერთმანეთში კონფლიქტი წარმოეშვათ. კონფლიქტი შეიძ**ლ**ება გამოიწვიოს ჯგუფებს შორის განსხვავებებმა, როგორც მიზნების ასევე კონკრეტული ამოცანისადმი მიდგომების, სტრატეგიების; აგრეთვე, შეჯიბრის მცდელობამ ან კონკურენციამ და სხვა. ჯგუფთაშორისი კონფლიქტები რთულად მოსაგვარებელია თუ მაღალია

ესკალაციის დონე ან ვითარება ხასიათდება გამწვავებისკენ მიდრეკილებით.

3.2 კონფლიქტების მართვა მოლაპარაკების გზით

უპირველესად, კონფლიქტების მართვა კონფლიქტის თავიდან არიდების, პრევენციის შესაძლებლობაშია. იმისათვის, რომ ვმართოთ კონფლიქტი, უნდა ვიცოდეთ მისი ბუნება. კონფლიქტის ძირითად მახასიათებლებს ზევით შევეხეთ. რაც შეეხება კონფლიქტების მართვას და მოგვარებას, უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენს მოლაპარაკება.

მოლაპარაკების წარმართვა ყოველთვის შესაძლებელია. მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტი აქტიურ ფაზაშია. წესისამებრ, მოლაპარაკება მიმდინარეობს წყნარ გარემოში, თანამშრომლობით და სტაბილურ ვითარებაში. რაც შეეხება მოლპარაკებას, რომელიც კონფლიქტის აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს, ლოგიკურია, რომ რთულია.

მოლაპარაკებას აქვს თავისი სტრუქტურა, ფუნქცია, სახეები, ფაზები, ტექნიკა, სტილი.

მოლაპარაკების სტრუქტურა, რომელიც ეკუთვნის ჯ.როჯოტს, გულისხმობს შემდეგ ფაზებს: დაგეგმვა, სადაც ხდება ინფორმაციის შეგროვება, შეფასება, გეგმის შემუშავება და შეხვედრისთვის მზადება. მოლაპარაკების უშუალო პროცესი, რაც მოიცავს სამ ეტაპს, დასაწყისს, საშუალოს და საბოლოო სტადიას. და მესამეა მოლაპრაკების შემდგომი პერიოდი.

მოლაპარაკების ძირითადი ფუნქციებია: **გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია**, სადაც ერთობლივი ძალისხმევა მომართულია პრობლემის გადაჭრისკენ. **ინფორმაციული ფუნქცია**, მოიცავს მხარეებს შორის შეხედულებების გაცლას გადაწყვეტილების მიღების გარეშე. **კომუნიკაციური ფუნქცია,** აქცენტი კეთდება კავშირების დამყარებაზე და მხარდაჭერაზე. **რეგულირების ფუნქცია,** როდესაც შეთანხმებები უკვე არსებობს, ხოლო მოლაპარაკება მიმდინარეობს შეთანხმებების რეალიზების თაობაზე. **კონტროლირების ფუნქცია,** მსგავსია წინა ფუნქციის, აქ

მხარეების ქმედებების კონტროლი ხორციელდება, განსაკუთრებით მაშინ თუ დაირღვა შეთანხმებით მიღწეული ხელშეკრულება. **კოორდინაციის ფუნქცია**, ამ დროს ადგილი აქვს მრავალმხრივ მოლაპრაკებას, სადაც გადამწყვეტილების მიმღებნი ახდენენ გადაწყვეტილების კოორდინაციას. **პროპაგანდსიტული ფუნქცია**, როდესაც მხარები ცდილობენ მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება საკუთარი პოზიციების და შეხედულებების დემონსტრირებით. მხარეთა მიზანია, საკუთარი პოზიციები გააცნონ მასებს და იმართლონ თავი, ხოლო პრეტენზიები წაუყენონ ოპონენტს, მეტიც, ბრალი დასდონ. **მშვიდობის მიღწევის ფუნქცია**, როდესაც მოლაპარაკება მიმართულია ორივე მხარის აქტიური ჩართულობით, რათა მშვიდობიანად გადაიჭრას პრობლემა. **დესტრუქციული ფუნქცია**, როდესაც აქცენტი კეთდება ერთი მხარის მხრიდან მხოლოდ საკუთარ ინტერესების დაკმაყოფილებაზე. მანიპულაციის გზით მეორე მხარის შევიწროებაზე და ჩიხში შეყვანაზე, რომ მოხდეს მეორე მხარის დათანხმება. შესაძლებელია მოლაპარაკებაში თავი იჩინოს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან კომბინაციურად, ორმა ან მეტმა ფუნქციამ.

მოლაპარაკების რამდენიმე სახე არსებობს, სადაც შეიძლება, როგორც ორმხრივ ასევე მრავალმხრივ ურთიერთობებს ჰქონდეს ადგილი. ტ.კოლოსი მოლაპარაკებების სახეებს ჰყოფს მოქმედების მიხედვით.

ერთ-ერთი მათგანია ჰორიზონტალური მოლაპარაკება, როდესაც მხარეების მხრიდან გამოიყენება სხვადასხვა სახის ტაქტიკები, აქტივობები, რითაც ცდილობენ გადაწყვეტილებამდე მისვლას. იგი აგრეთვე გულისხმობს პოზიციურ ვაჭრობას. ჰორიზონტალური მოლაპარაკების დროს მხარეები დიალოგის რეჟიმში გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს და აზრებს.

მაშინ, როდესაც მოლაპარაკების პროცესში ლიდერი გამოდის, როგორც მომლაპარაკებელი საკუთარი გუნდის წევრებთან, საქმე გვაქვს ვერტიკალურ მოლაპარაკებასთან. ამ დროს ხდება გუნდის წევრების მომზადება სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის დამყარებისას. წინასწარ დგინდება ვინ რა უნდა ისაუბროს და რაზე, რა საკთხებს მიექცეს ყურადღება. ვერტიკალური ტიპის მოლაპარაკება წინ უსწრებს ჰორიზონტალურს ან მიმდინარეობს მოლაპარაკებებს შორის.

არსებობს გუდნის შიგნითა, ინტერნალური მოლაპარაკება, რომელიც საკმაოდ ეფექტური მოლაპარაკების ძირითად პირობას წარმოადგენს. ამ დროს გუნდის მიერ ხდება ტაქტიკის და სტრატეგიის შერჩევა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მოქმედება. იგი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს, სადაც ყოველი წევრი საკუთარ შეხედულებებს, მოტივებს და აზრებს აფიქსირებს. შესაბამისად, საჭიროა გუნდის წევრებმა დაძლიონ შინაგანი წინააღმდეგობები და მიაღწიონ კონსენსუსს.

შინაგანი მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ხელმძღვანელობასთან პოზიციების და შეხედულებების გაცნობის შემდეგ ხდება შეთანხმება რის შემდეგაც ხელმძღვანელობა ნებას რთავს გუნდს დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედოს.

გარდა ამისა, არსებობს ე.წ. „ჩრდილოვანი მოლაპარაკებების“ სახე, იგივე არასანქცირებული მოლაპარაკებები, როდესაც ხდება პრივატული შეხვედრები გუნდის წევრებთან ან ხელმძღვანელობას შორის. ისინი არა მაგიდასთან, არამედ ცალკეულად აწარმოებენ შეხვედრებს ერთმანეთთან. ასეთ პროცესს ხშირად „მაგიდის ქვევით“ მოლაპარაკებებსაც უწოდებენ.

შეთანხმებითი მოლაპარაკება არასანქცირებული მოლაპარაკების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამ დროს შეთანხმება კი მიიღწევა მოლაპარაკების მაგიდასთან, მაგრამ ამ შეთანხმებას წინ უძღვის კონფიდენციალური შეხვედრები, სადაც წინასწარ თანხმდებიან სადავო საკითხებზე, ხოლო მაგიდასთან წარმართული მოლაპარაკების პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს.

როდესაც მხარეთა რაოდენობა არის სამი, ოთხი ან მეტი, ადგილი აქვს მრავალმხრივ მოლაპარაკებების სახეს. ამ სახის მოლაპარაკებების დროს უნდა გაკონტროლდეს წევრთა შორის კავშრების თანაბრობა, რომ არ მოხდეს მოლაპარაკების პროცესის გართულება და შეუთანხმებლობა.

რაც შეეხება სანქცირებულ მოლაპარაკებებს, ის მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე, გაფართოებული მაგიდის ირგვლივ, სადაც თავიდან მოლაპარაკებები ქვედა რგოლებში ხორციელდება, სადაც შეიმუშავებენ, დათანხმდებიან რეკომენდაციებზე.

სწორედ ამ რეკომენდაციებით ხელმძღვანელობენ ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე.

როდესაც მოლაპარაკებებში ჩართულნი არიან უმაღლესი რანგის პირები, სახელმწიფო ლიდერები, რომლებიც იღებენ უმნიშვნელოვანეს, კარდინალურ გადაწყვეტილებებს და ხელს აწერენ ხელშეკრულებებს, ასეთ დროს ადგილი აქვს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებებს.

მოლაპარაკების სტილი სხვადასხვაგვარია. ერთია, უხეში სტილი, სადაც თავს იჩენს აგრესიულობა, ძალისმიერი ღონისძებები, კონკურენცია. თბილი სტილი, რომელიც მოიცავს გაგებას, ადამიანების გათვალისწინებას და თანამშრომლობას; მიკუთვნებითი სტილი, რაც გამოირჩევა კონსერვატულობით. ბოლოს კი გამანაწილებელი სტილი, რომელიც მოქნილობით, პასუხზე აქცენტირებით და ორიენტაციულობით, კომპრომისით გამოირჩევა.

რაც შეეხება მოლაპარაკების ტექნიკას, სხვადასხვაგვარია, რომელიც პირობითი სახელების მატარებელია, რადგან სახელი მარტივად მეტყველებს თიოეული ტექნიკის არსზე. სახელდობრ, დაწყებული გამძლეობის ტაქტიკით, სიურპრიზით, მიმართულების შეცვლით, ცრუ მანევრით, შეზღუდვებით, თანამონაწილეობით, ერთობით, დროული მოქმედებით და ა.შ. ტექნიკები ძირითადად გამოიყენება პოზიციური ვაჭრობისას, როდესაც ადგილი აქვს უხეში სტილის გამოყენებას მთელი სიმკაცრის დაცვით. თუმცა, კონფლიქტიების მოგვარება და მართვა მშვიდობის დამყარებით და გზით გულისხმობს მხარეთა შორის თანამშრომლობის პრინციპის დაცვას.

მოლაპარაკებები შეიძლება განსხვავდებოდეს მასში ჩართული მხარეების რაოდენობის მიხედვით, რის შედეგადაც გამოყოფენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მოლაპარაკებებს. ყველა მოლაპარაკება შეიცავს ფაზებს. ჯგუფის მოლაპარაკება სამი ფაზისგან შედგება: პირველია მოსამზადებელი ფაზა, მეორე მოლაპარაკების, ხოლო მესამე მოლაპარაკების შემდგომი ფაზა.

კონფლიქტის მართვის და მშვიდობის დამყარების ქვაკუთხედს სწორედ მოლაპარაკება წარმოადგენს, რომელიც როგორც ვნახეთ მოიცავს უამრავ ასპექტს, რაც სრულყოფილს ქმნის მოლაპარაკების ფენომენს კონფლიქტის მართვის პროცესში. იმ შემთხვევაში თუ მოლაპარაკების გზით შედეგი ვერ მიიღწევა, მაშინ დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ მესამე, შუამავალ მხარეს. შუამავლობას ძალიან დიდი როლი აკისრია კონფლიქტის მართვისა და მოგვარების პროცეში. მესამე ნეიტრალურ, შუამავალ მხარედ შეიძლება მოგვევლინოს: მედიატორი, ფასილიტატორი, არბიტრი და ა.შ. მესამე მხარეს ფუნქციაა ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. ისინი ცდილობენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებას და გადაწყვეტილების მიღების გაადვილებას მხარეთათვის. (კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, 2011);

კონფლიქტების მართვა საკმაოდ რთული პროცესია. სამწუხაროდ, საკმარისი არ არის, მხოლოდ იმ მეთოდების ცოდნა და გაანალიზება, რაც ზევით წარმოვადგინეთ. ნებისმიერი გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან საჭიროებს სიღრმისეულ ფსიქოლოგიური ასპექტების ძიებას და იმანენტური ნიშნების იდენტიფიკაციას. მართალია ზევით წარმოდგენილი ინფორმაცია დაგვეხმარება უკეთესად ოპერირებაში წარმოშობილი კონფლიქტების დროს, თუმცა, ნებისმიერი კონფლიქტი საჭიროებს სიღრმისეულ დაკვირვებას და არა მხოლოდ მიმდინარე და პოსტფაქტუმ გაანალიზებას, არამედ იმ რეალობის, გარემოს და ვითარების შესწავლასაც, რაც წინ უძღვოდა კონფლიქტს. ამ მხრივ ძალიან მნიშნელოვანია კულტურის და კონფლიქტის მიმართების განსაზღვრაც, რადგან ნებისმიერი კონფლიქტი გარკვეულ კულტურულ გარემოში მიმდინარეობს.

3.3 კონფლიქტი და კულტურა

კულტურა მნიშნელოვანი მსაზღვრელია ადამიანების აზრის და ქცევის. სწორედ კონფლიქტში კულტურული თავისებურებებიც იჩენს თავს. სახელდობრ, კონფლიქტის მონაწილეებს შორის კულუტურული ერთობა და ამ ნიშნით მსგავსება განაპირობებს კონფლიქტის მხარეთა ქცევების მსგავსებას. იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტანტებს

შორის კულტურული სხვაობაა და ურთიერთობის წესებიც არ არსებობს, ამან შესაძლებელია ნეგატიური ასახვა ჰპოვოს კონფლიქტის მიმდინარეობაზე. თუ საერთო ქცევები არ არსებობს, რომლებსაც მხარეები იზიარებენ და ეს ხაზი მათ შორის გამქრალია, კონფლიქტი განსაკუთრებით საშიში და დამანგრეველი ხდება. (ნანა ბერეკაშვილი, რუსუდან გოცირიძე, შორენა ლორთქიფანიძე, რუსუდან მშვიდობაძე გიორგი ნიჟარაძე, მანანა როგოვსკაია-კანდელაკი, ირინა სულხანიშვილი, ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, მანანა ჯავახიშილი, 2015) ნებისმიერი ჯგუფი ცდილობს თავისი სამყარო, სუბკულტურა ჩამოაყალიბოს და შექმნას იმ წესებით და ნორმებით, რომლებსაც გაიზიარებენ თავიანთი ჯგუფის წევრები. ნორმების არარსებობა ქაოსს ქმნის და აშინებს თითოეულ ადამიანს, რომელიც ჯგუფშია ინტეგრირებული. რეგულაციები, რომლებსაც ისინი აწესებენ საკმაოდ მკაცრი და ხშირად ძალადობრივიცაა. ისინი, ვინც დაარღვევენ არსებულ ნორმებს და წესებს მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, ამ ნორმების და სუბკულტურული მიმართებების ჩამოყალიბება ხშირად ღრმად იდგამს ფესვებს ჯგუფში; რაც მთავარია მადეტერმინანტებელი საშუალება ხდება თოთოეული წევრის ქცევის და ერთგვარ კარნახს ასრულებს მათი მოქმედების სისწორის გასაკონტროლებლად, რაც განაპირობებს ჰარმონიას და არა ქაოსს. ამდენად, კულტურა ასე თუ ისე აწესრიგებს სამყაროს, მოწესრიგებულ გარემოში ცხოვრება თავისთავადია და ადამიანმა იცის რა შეიძლება მოჰყვეს ამას. ეს კი ფსიქოლოგიურ კომფორტს განაპირობებს.

მიუხედავად ამისა, სწორედ მსგავს ჰარმონიულ გარემოში და საერთო კულტურულ ნორმებში მყოფ ჯგუფებს შორის საკმაოდ მწვავე და დაუნდობელ კონფლიქტებს აქვს ადგილი. ასევე, ხშირად ადგილი აქვთ კულტურათშორის კოფნლიქტებსაც.

3.4 პიროვნებათშორისი კონფლიქტი

პიროვნება და კონფლიქტი ერთმანეთთან მუდმივ კავშირში არიან. კონფლიქტის გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ხანდახან ადამაიანი თავად არის კონფლიქტის ინიცატორი, ხოლო ხშირად კი კონფლიქტი პიროვნების სურვილის მიუხედავად ხდება. ადმიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, განსხვავებები კი

მრავლად გვხვდება. ბევრი მეცნიერი პიროვნებებს ტიპოლოგიურად ასხვავებს და გვეხმარება იმ ძირითადი ნიშნების დანახვაში, რაც იჩენს ადმიანებში თავს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტიპოლოგიაა ბრიგს-მაიერსის, რომელიც კარგად აჩენს კონფლიქტების ასპექტებს. იმ კონფლიქტების, რომლის გამომწვევ მიზეზად პიროვნული განსხვავებებია.

მაიერს-ბრიგსი[1] გამოყოფს ოთხ ძირითად ტიპს:
შეგრძნებითი ან ინტუიციური ტიპი; ინტროვერტი ან ექსტრავერტი; აზროვნებითი ან ემოციური ტიპი და აღქმითი და განსჯითი ტიპი. ამ ტიპების კომბინაციით მიიღება თექვსმეტი ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი ტიპის აღწერა მოცემული თეორიის ფარგლებში, რითაც განვსაზღვრავთ პიროვნების ტიპს, მის მახასიათებლებს, რაც დაგვეხმარება უკეთ შევაფასოთ, როგორც პიროვნება, მისი ინტერესები, ასევე კონფლიქტში მისი ოპერირების არეალი.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პიროვნებათშორისი კონფლიქტების კავშირი ჯგუფურ კონფლიქტებთან. პიროვნებათშორისი კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს პიროვნებების ჩართულობამ ჯგუფურ კონფლიქტებში. სახელდობრ, როდესაც ადგილი აქვს განსხვავებულ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას. როგორც ზემოთ კულტურული ასპექტების გარჩევისას ვთქვით, ნებისმიერ ჯგუფს საკუთარი ნორმა, წესი და კულტურა გააჩნია. ისინი ბუნებრივია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხშირად ეს განსხვავება იწვევს უთანხმოებებს და დაპირისპირებას ადამიანებისგან შემდგარ ჯგუფებს შორის. ძალიან ხშირად დაპირისპირებული ჯგუფის წევრები ერთმანეთს აღიქვამენ, როგორც მოწინააღმდეგეებს და აქ მოქმედებს აქტიურად „მტრის ხატის“ ყალიბი, რაც ხელს უწყობს ჯგუფურ მონოლითურობას და მტრული განწყობის ზრდას ერთმანეთის მიმართ. სწორედ ჯგუფთაშორისი კონფლიქტები საფუძველია პიროვნებათშორისი კონფლიქტების განვითარების. (ნანა ბერეკაშვილი, რუსუდან გოცირიძე, შორენა ლორთქიფანიძე, რუსუდან მშვიდობაძე გიორგი ნიჟარაძე, მანანა როგოვსკაია-კანდელაკი, ირინა სულხანიშვილი, ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, მანანა ჯავახიშილი, 2015)

[1] http://www.myersbriggs.org/my-mbti-personality-type/mbti-basics/home.htm?bhcp=1

ამერიკელი სოციოლოგი ლიპმანი მოგვითხრობს შემდეგ ამბავს: „1914 წელს წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე არსებობდა ევროპელების კოლონია. იქ მეგობრულად ცხოვრობდნენ და თანამშრომლობდნენ იგლისელები, ფრანგები, გერმანელები. კუნძულზე ფოსტას იღებდნენ იშვიათად მისული გემებით და ამიტომ მხოლოდ სექტემბერში გაიგეს, რომ უკვე თვენახევარია, რაც მათ ქვეყნებს შორის ომი მიმდინარეობდა. კოლონიაში მაშინვე მკვეთრად შეიცვალა ურთიერთობები. ინგლისელები და ფრანგები მჭიდროდ შეკავშირდნენ, ხოლო გერმანელები მტრობდნენ მათ. მანამდე არსებული მეგობრული კავშირები დაიშალა. მაგრამ კოლონიის ცხოვრებაში შორეულ ევროპაში მიმდინარე ომის შესახებ ინფორმაციის მიღების გარდა რეალური სხვა მიზეზი არაფერი ყოფილა. მტრობა წარმოშვა მხოლოდ იმან, რომ ადამიანებმა თავიანთ პიროვნულ ურთიერთობებში გადმოიტანეს სახელმწიფოებს შორის არსებული მტრობა.“

ეს მაგალითი ნაშრომში მოყვანილი სხვა მაგალითების მსგავსად კარგად ასახავს პიროვნების, სოციალური ცხოველის ბუნებას. აქ საინტერესოა ის, რომ ადამიანებმა დაივიწყეს კავშირები და ურთიერთობები, რაც მათ შორის მანამდე არსებობდა და ჰარმონიულ თანაცხოვრებას უწყობდა ხელს. ჩემი მოსაზრებით მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა მოვლენის, ფაქტის მიმართ კონფორმულობას. მათ პასიურად, რეალურის, მათ წინ არსებული სურათის დავიწყებით მიიღეს თავიანთ ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირება, როგორც მთავარი მოცემულობა. ქცევის ტრანსფორმაცია ცალსახად საკუთარი პოზიციის უქონლობით აიხსნება, რადგან მათი პოზიცია გარედან მომდინარე, ინფორმაციულად ნაკარნახევი იყო.

თავი 4. კონფორმიზმი და კონფლიქტები; სიმულაცია

ვნახეთ, რომ კონფორმიზმი გულისხმობს პასიურ ქცევას და უსიტყვო მორჩილებას გაბატონებული შეხედულებებისადმი, რომლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ჯგუფური კონტროლის და ჯგუფის მიერ შემოღებული ნორმებისადმი მორჩლება.

რა თქმა უნდა, არსებობს კონფორმიზმის საწინააღმდეგო მიმართება, რომელიც ნონკონფორმიზმს და ანტიკონფორმიზმს გულისხმობს. ნონკონფორმიზმი უფრო მეტად სოციოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ხასიათდება საზოგადოებაში ყველასათვის აღიარებული ნორმების მიმართ წინააღმდეგობით. კონფორმისტისგან განსხვავებით ნონკონფორმისტი უფრო მეტად უმცირესობას ერგება. იზიარებს უმცირესობის ნორმებს და ღირებულებით სისტემას. ეს ნიშნავს, რომ ნონკონოფორმიზმიც ერთგვარი კონფორმიზმია, ისიც გარკვეულ ნორმებს ერგება, თუმცა არა იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიც კონფორმიზმია მოქცეული. რაც შეეხება ანტიკონფორმულ პიროვნებას, ის კონფორმულისგან და ნონკონფორმულისგან განსხვავდება იმით, რომ მოქმედებს მხოლოდ საკუთარი განწყობის შესაბამისად. [1]

ნონკონფორმისტები აქტიურად გვხვდებიან სუბკულტურებში, ისეთი სახის ჯგუფებში, როგორებიცაა ჰიპები, პანკები, ემოები და სხვა.

დევიაციის კულტუროლოგიურ ახსნაში საუბარია შემდეგი სახის საკითხებზე, რაც ჩვენი თემის გადმოსახედიდან გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. სელინმა (1938) უტრირება გააკეთა იმ ფაქტზე, რომ დევიაცია წარმოადგენს კულტურის ნორმებს შორის კონფლიქტის შედეგს; მოსაზრება შეიძლება განვავრცოთ და ვთქვათ, რომ კონფორმიზმსა და ნონკონფორმიზმს შორის დაპირისპირების შედეგსაც. სელინი სწავლობდა ცალკეული ჯგუფების ქცევებს, რომელთა ნორმები განსხვავდებოდა დანარჩენი საზოგადოების ნორმებისგან. ამას განაპირობებდა ის, რომ კონკრეტული ჯგუფის ინტერესები არ ემთხვევა უმრავლესობის ნორმებს. სახელდობრ, ისეთ სუბკულტურებში, როგორებიცაა ქუჩის ბანდები ან პატიმართა ჯგუფები, პოლიციის

[1] http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/12772/

მიმართ დამოკიდებულება აქვთ არა როგორც წესრიგის დამცველთან, არამედ როგორც დამსჯელ და მექრთამე ორგანიზაციასთან. როდესაც ამ სუბკულტურებში ახალი წევრები ინტეგრირდებიან და ითვისებენ, იღებენ ჯგუფის ნორმებს, რომლის ინტერიორიზაციაც ხდება მათი მხრიდან, ისინი ხდებიან ნონკონფრომისტები ფართო საზოგადოების შეხედულებით. თუმცა, საზოგადოების მხრიდან აღქმული ნონკონფორმისტი კონფორმულია საკუთარი სუბკულტურის მიმართ. ინტერიორიზაციის შემდეგ ინდივიდი დამყოლია ჯგუფის დიქტატის და კონფლიქტში მოდის სხვადასხვა ინსტიტუციებთან, ორგანიზაციებთან, რომლებიც მის ქცევას დევიანტურ ქცევად აფასებენ. ჩვენ შეგვიძლია მრავალმხრივ გავაანალიზოთ წარმოდგენილი მოსაზრებები და არა მხოლოდ დევიაციაზე მოვახდინოთ ფოკუსირება, არამედ დავინახოთ კონფორმულობის ცნებაც, რაც ახდენს დევიანტის ქცევაზე გავლენას, რომელიც დაპირისპირებაში, კონფლიქტშია. რობერტ კინგ მერტონი კონფორმიზმს და დევიაციას განიხილავს, როგორც მედლის ორ მხარეს და არა როგორც ცალკეულ კატეგორიებს.[1]

4.1 კონფორმიზმი, ნონკონფორმიზმი, ანტიკონფორმიზმი - ინტრაპერსონალური კონფლიქტი; ინტერპერსონალური კონფლიქტი.

ავსტრიელი ფსიქოანალიტიკოსი ბრუნო ბეტელჰაიმი თავის ესეში სახელწოდებით ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მიმზიდველობის შესახებ[2] განიხილავს ტოტალიტარიზმს, ნაცისტური გერმანიის ყოფას და პერიპეტიებს, სადაც კარგად ხსნის პიროვნების ყოფას და ხაზს უსვამს ადამიანის ფსიქოლოგიას. სახელდობრ, ადამიანის ბუნებას, შემგუებლობას, მორჩილებას ავტორიტეტისადმი, დიქტატურისადმი და რაც მთავარია ტოტალიტარიზმისადმი. „წარსულის დესპოტი მმართველი ან არ მოითხოვდა ქვეშევრდომებისგან ნებაყოფლობით თანხმობას, ე.ი. თავისი შეხედულებებისა და მეთოდების შინაგან გაზიარებას ან ამგვარი მოთხოვნების ძალისმიერი განხორციელების საშუალება არ ჰქონდა. ითვლებოდა, რომ დესპოტს ემორჩილებოდა ყველა და ამიტომ ტირანს უკვე აღარ აინტერესებდა თუ რას ფიქრობდნენ მის შესახებ ქვეშევრდომები, ოღონდაც კი მათ ეს აზრები თავისთვის

[1] დევიაცია და სოციალური კონტროლი - Socium.ge
[2] თარგმანი ინგლისურიდან - ბასილ კობახიძე

შეენახათ. ინტერესის არ ქონა განპირობებული იყო იმითაც, რომ დესპოტს უბრალოდ არ შეეძლო თავისი ქვეშევრდომების ნამდვილი ფიქრების გაგება.“

სამაგიეროდ, თანამედროვე დროებამ და განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებულმა მასობრივმა კომუნიკაციებმა ხელში აიღეს მთავარი ბერკეტი, კერძოდ ადამიანებზე, მათ აზროვნებაზე ზემოქმედების შეუზღუდავი საშუალება გაუჩნდათ. თანამედროვე ტექნოლოგიებმა წარსულის მართველებისგან და სისტემებისგან განსხვავებით შეძლო ადამიანის ნებისმიერი ნაბიჯის გაკონტროლება. ამდენად, დიქტატურა ამ გზებით კარგად ახერხებს მასებს ჰქონდეთ ის შეხედულებები ყველაფერზე, რასაც ისინი შთააგონებენ მათ. ბეტელჰაიმი ამბობს, რომ ყველა თანამედროვე ნონკონფორმისტი დილემის წინაშე დგას: ღიად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და გახდეს ეგზეკუციის მსვერპლი ან ინდივიდუალურობა დაკარგოს, მოერგოს კონფორმულობის ყალიბს და საჯაროდ, გარეგნულად გამოხატავდეს იდეებს, რომლებიც შინაგანად სძულს. ნონკონფორმისტის თუ ანტიკონფორმისტის ეს დილემა წარმოშობს პიროვნების შიგნით მიმდინარე, ინტრაპერსონალურ კონფლიქტს. მაგალითად, ნაცისტურ გერმანიაში ნაცისტური მისალმების შემოღება ინდიკატორს წარმოადგენდა ზემდგომთათვის, მოეხდინათ იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც ნაცნობებთან შეხვედრისას, არ ანებებდა თავს მისალმების ძველ, დემოკრატიულ ფორმებს. მაშინ, როდესაც კონფორმული სუბიექტი იმეორებდა ჰიტლერის გავრცელებულ მისალმებას, ამ დროს ხდებოდა მისი ეგოს განმტკიცება. ნონკონფორმისტისთვის კი პირიქით ხდებოდა, იგი მუდმივად კონფლიქტში იყო საკუთარ თავთან, რადგან საზოგადოებრივ ადგილებში მისალმების დროს განიცდიდა პიროვნების მთლიანობის დამასუსტებელ მდგომარეობას. მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში რამდენჯერმე უწევდათ ამ მისალმების გამეორება. ინტრაპერსონალურ კონფლიქტს ჰიტლერის მისალმებასთან დაკავშირებით(არამარტო) მრავალი გერმანელი განიცდიდა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა კონფორმიზმთან, როგორც ნონ და ანტი კონფორმისტი. ძალიან მნიშვნელოვანია ავტორის მიერ მოთხრობილი იმ დროის საზოგადოების სიზმრები, რომლებიც ამ კონფლიქტის გამოხატულებას წარმოადგენდა. სახელდობრ,

მრავალი გერმანელი ხედავდა სიზმრებს, სადაც ცდილობდა გადაეჭრა ინტრაპერსონალური კონფლიქტი ინდივიდუალურობის გამარჯვებით. გარდა ამისა, ისინი ხედავდნენ საპირისპიროსაც. ერთ-ერთმა სიზმარში ნახა თუ როგორ გადაუტყდა ხერხემალი, როდესაც ებრძოდა საკუთარ თავს გაეშვირა თუ არა ხელი მისალმებისათვის.

ავტორი გვიღწერს სისტემის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ადამიანების მდგომარეობასაც, რომელთა სიზმრები სრულიად განსხვავდებოდა ზემოთ აღწერილისგან. ანტიკონფორმისტებს, რომლებმაც გადალახეს და გადაჭრეს ინტრაპერსონალური კონფლიქტი და აქტიურად დაიწყეს ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, ბუნებრივია განიცდიდნენ რეალურ შიშს და შფოთვას. მათ ესიზმრებოდათ, რომ დააპატიმრეს გესტაპოელებმა და წამების მსხვერპლები ხდებოდნენ, რაც საკმაოდ ლოგიკური და რეალური საფრთხე იყო. ზოგს კი სიზმარში გამარჯვება ესიზმრებოდა. ისინი არასდროს ხედავდნენ ინტრაპერსონალური კონფლიქტის რეპროდუქციას სიზმარში, სხვების მსგავსად, რომ უმრავლესობის ზეწოლა მიეღოთ და გამხდარიყვნენ კონფორმულები. [1]

ინტერპერსონალური კონფლიქტები არსებული რეჟიმის დროს, თავს იჩენდა ოჯახებში, სადაც ერთი წევრი კონფორმული იყო, ხოლო მეორე ნონკონფორმული. ავტორს მოჰყავს მაგალითი (**იხ.დანართი N1**) სადაც კარგად არის წარმოჩენილი პიროვნებებს შორის, სახლდობრ მათ ღირებულებებს შორის აღმოცენებული კონფლიქტი, რომელსაც მეტოქედ რეჟიმი უდგას წინ.

4.2 სიმულაცია; ზოგადი მომოხილვა

სიმულაცია ერთ-ერთი განმარტების თანახმად არის ღია პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემური სიტუაცია, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან ითხოვს გარკვეული გამოსავლის ძიებას. სიმულაციური თამაშები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მთავარი მახასიათებლებით, ესენია:

[1] hhtp://www.bu.org.ge/x439?lang=geo

- სიტუაცია - შეიძლება გამოვიგონოთ ან რეალობიდან გადმოვიღოთ;
- დონე - ლოკალური, სახელმწიფო ანს აერთაშორისო;
- ფორმატი - თავისუფალი ან განსაზღვრული.

სიმულაციური თამაშის შემუშავებისას მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტების გათვალისწინება:

- თემატიკა - მთავარი თემა, შინაარსი;
- ამოცანების განსაზღვრა - რა არის მიზანი, რა უნდა ისწავლონ მონაწილეებმა თუ ადგილი აქვს შემეცნებას;
- პრობლემური სიტუაცია;
- ჩარჩო - პირობები, რომლებითაც მოქმედებენ მონაწილეები პრობლემის გასამკლავებლად და ფოკუსირების საგანი.

სიმულაციური თამაშის განვითარების ციკლი შემდეგნაირია:



[1]

ამდენად, ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშება სიმულაციის სახით გვეხმარება გამოვცადოთ და შევძლოთ დაკვირვება სხვადასხვა საკითხებზე, რომლებსაც თუნდაც ვიკვლევთ. წარმოსახვა წარმოადგენს სიმულაციურ თამაშის ქვაკუთხედს.

როდესაც სიმულაციაში ჩართულ ადამიანებს ვაწვდით ინფორმაციას თემატიკის შესახებ, აუცილებელია ფასილიტატორმა მისცეს მათ საშუალება წარმოსახვით შეიქმნან გარემო და ყურადღებით შეისწავლონ როლები. სიმულაციის წინაღობად ითვლება მისი

[1] https://cdcgeo.wordpress.com/2014/04/08/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/

მომზადების დრო, რადგან მონაწილეებმა კარგად უნდა გაითავისონ საკუთარი როლები. გარდა ამისა, მიწოდებული ინფორმაცია სიტუაციასთან დაკავშირებით უნდა იყოს გასაგები და ამომწურავი. (მაია ხასია; ავთანდილ მიქანაძე; ელისო ამირეჯიბი, 2015)

4.2.1 ზოგადი მიმოხილვა

ნაშრომში დავსვი საკითხი კონფორმულობა და კონფლიქტები განმეხილა არა მხოლოდ როგორც ცალკეულ ცნებებად, არამედ მათი კავშირის მიხედვით, სხვადასხვა შემთხვევების თუ მოსაზრებების სახით წარმომეჩინა. თუმცა, ყველაზე მეტად ხელჩასაჭიდი და თვალსაჩინო, საუკეთესო გზა შესაბამისი სიტუაციის შექმნა და მასზე დაკვირვების შესაძლებლობაა. თემის ემპირიული შესწავლისთვის გამოვიყენე სიმულაციის მეთოდი. სიმულაციის შინაარსის შექმნისას გავითვალისწინე მთავარი ელემენტები, რაც გულისხმობს: თემატიკას, ამოცანების განსაზღვრას, პრობლემურ სიტუაციას და ჩარჩოს. სიმულაციის გზით დავაკვირდი უმრავლესობის გავლენას, კონფორმულობას უმცირესობაზე „ამაზონიკას ტომის საბჭოში, რომელსაც დაპირისპირება, კონფლიქტი ჩამოუყალიბდა მოგზაურთა ჯგუფთან“, რომლის გადაწყვეტაც უნდა მომხდარიყო სამსჯავროზე, მოლაპარაკების მცდელობით ტომის საბჭოსა და მოგზაურთა ჯგუფს შორის.

სიმულაციური თამაში ჩატარდა სამ ეტაპად. სამ სხვადასხვა დღეს. სამ სხვადასხვა კომპლექტაციის ჯგუფში. მონაწილეობა მიიღო სულ 26-მა ახალგაზრდამ, რომელთა ასაკიც მერყეობდა 19-დან 26 წლამდე. მამრ. სქესის 16 წარმომადგენელი, ხოლო მდედრ. სქესის 10. მონაწილეთაგან ყველა იყო სტუდენტი, როგორც ბაკალავრიატის საფეხურის, ასევე მაგისტრატურის. მონაწილეებთან შეთანხმებით მიმდინარეობდა პროცესის ჩაწერა ვიდეო კამერაზე. ჯგუფები გადავანაწილე შემდეგნაირად:

1. პირველი დღე - ტომის საბჭო 4 წევრი(მამრ. სქესი) მოგზაურთა ჯგუფი 4 წევრი(2 მდედრ. სქესი, 2 მამრ. სქესი)

2. მეორე დღე - ტომის საბჭო 6 წევრი(მამრ. სქესი) მოგზაურთა ჯგუფი 4 წევრი(2 მდედრ. სქესი, 2 მამრ. სქესი)
3. მესამე დღე - ტომის საბჭო 4 წევრი(მდედრ. სქესი) მოგზაურთა ჯგუფი 4 წევრი(2 მდედრ. სქესი, 2 მამრ. სქესი)

სიმულაციაში, რომლის შინაარსი თავიდან ბოლომდე გამოგონილია **(იხ.დანართი N2)** სიტუაცია განვითარდა ორ მხარეს შორის: ამაზონიკას ტომი და მოგზაურთა ჯგუფი. ჯგუფებს ფურცლების სახით შესაბამისი, მათთვის განკუთვნილი დავალებები დაურიგდათ **(იხ.დანართები N3, N4)** რომლის მიხედვითაც ინფორმაციას ფლობდნენ, როგორც სიტუაციის, ასევე ერთმანეთის შესახებ. გარდა ამისა, „ამაზონიკას ტომის საბჭოს“ თითოეულ წევრს დაურიგდა ინდივიდუალური როლი **(იხ. დანართი N5)**. სიმულაციისთვის განკუთვნილ სივრცე მოეწყო შესაბამისად. ჯგუფები სკამებზე განთავსდნენ ერთმანეთის პირისპირ, რკალისებური პრინციპით. მათ შორის დაშორება იყო ორი მეტრი. იმისათვის, რომ მონაწილეებს უკეთ შექმნოდათ სიტუაციაზე წარმოდგენა დამკვირვებელმა პრეზენტაციის სახით წარუდგინა ფოტოები, სადაც ასახული იყო მათი ლოკაცია, შეპყრობის ადგილი, წმინდა ლაგუნა, სამსჯავროს გამართვის ადგილი. მონაწილეებს როლების გასაცნობად მიეცათ 40 წუთი. როლებთან დაკავშirებით, ინდივიდუალური კითხვების დასასმელად დამკვირვებელთან 10 წუთი, ხოლო დამატებით 10 წუთი განცალკევებისთვის, სხვადასხვა ოთახებში, ერთმანეთში სათათბიროდ. სულ 1 საათი, რაც აბსოლუტურად საკმარისი აღმოჩნდა სამივე დღეზე სამივე ჯგუფისთვის. სიმულაციის დაწყებამდე დამკვირვებელმა ერთმანეთს წარუდგინა ჯგუფები. ტომის საბჭოს წევრები კი სტატუსობრივად გააცნო, როგორც ერთმანეთს, ასევე მოგზაურთა ჯგუფს. საბჭოს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ნებისმიერ დროს, როცა ჩათვლიდა საჭიროდ, სამსჯავროს მიმდინარეობისას გამოეცხადებინა შესვენება ერთმანეთში თათბირის მიზნით. ამ დროს მოგზაურთა ჯგუფი გაყავდათ სხვა ოთახში მანამ, სანამ საბჭო არ მოითათბირებდა. საბჭოს თათბირის დრო რეგლამენტირებული იყო და შეადგენდა 10 წუთს.

სიუჟეტად ავირჩიე ორ განსხვავებულ ჯგუფს შორის ჩამოყალიბებული დაპირისპირება. შევქმენი ტომი, რომელიც ცივილიზაციას მოწყვეტილი ცხოვრობს

ამაზონის ჯუნგლებში. მათ ჰყავთ ავტორიტეტი ბელადის სახით და მისადმი მორჩილებას გამოხატავს ყველა, თუმცა, ბელადი როლის მიხედვით საკმაოდ თანმიმდევრული, მკაცრი და რაციონალური პიროვნებაა. იგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველთვის ითვალისწინებდა საბჭოს წევრთა აზრს. რა თქმა უნდა, პირობაში ტომის საბჭოს წევრებს არ ეწერათ ბელადის შესახებ, რომ იგი დემოკრატიულად იღებს გადაწყვეტილებებს, ანუ უმრავლესობის აზრს ყოველთვის ითვალისწინებს. თუ მოხდებოდა ისე, რომ საბჭოს უმრავლესობის მოსაზრება გადაწყვეტილებაზე ბელადისას აცდებოდა, ბელადი საბჭოს უმრალესობის სასარგებლოდ მიიღებდა გადაწყვეტილებას. ბელადს ცალკეულად ეს მითითება დამკვირვებლის მხრიდან რამდენიმე საათით ადრე მიეცა ისე, რომ ამას სხვა წევრები ვერ ისმენდნენ.

სიმულაციის მომზადებისას გავითვალისწინე ის ფაქტორი, რომ ადამიანები გამოირჩევიან მიყვნენ გავლენას მაშინ, როდესაც სიტუაციაში გაურკვევლები არიან. სქესობრივი განსხვავებულობის ადრეულმა კვლევებმა კონფორმიზმთან მიმართებით აჩვენა, რომ ქალების კონფორმულობის ტენდენციას სწორედ სიტუაციაში გაურკვევლობა უწყობდა ხელს. ამდენად, ჩემს მიერ შექმნილი სიუჟეტი არ ყოფილა რომელიმე მონაწილის ყოველდღიურობის ნაწილი, ანუ რომელიმე წევრი, ქალი თუ კაცი ამ სიტუაციას მეტად არ იცნობდა, რაც მათთან სიმულაციის დაწყებამდე, წევრების შერჩევის დროს, გასაუბრებისას დადასტურდა. აქცენტი გავაკეთე იმაზე, რომ სიმულაციის დღეს, ადგილზე შეისწავლიდნენ მონაწილეები ვითარებას. მათ მიეწოდათ ვიზუალური მასალა, რომ უკეთ წარმოედგინათ სიტუაციის რაობა, რასაც კითხვების დასმამაც შეუწყო ხელი და თანაბრად კარგად გაითავისეს მოცემულობა; რაც დადასტურდა იმით, რომ სიმულაციის პროცესში ყველა მონაწილე მარტივად შევიდა როლში. ერთნაირად აქტიურად ჩაერთნენ პროცესში და შეძლეს მაქსიმალურად კარგად სიმულაციის წარმართვა.

ვფიქრობდი, რომ პირველყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბება ტომის სახით კარგი იქნებოდა, რადგან კვლევა-ძიების შედეგად ვნახე, რომ საუკუნეების განმავლობაში დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ტომებს უნიკალური

ცხოვრების წესი, კულტურა, კანონები და ტრადიციები გააჩნიათ; რომლის მიმართაც ბოლომდე ერთგული რჩებიან და რთულია მათი მსოფლმხედველობის შეცვლა, რაოდენ მცდარიც არ უნდა იყოს ის სხვათა შეფასებებით. საინტერესოა რა ხდება მაშინ, როდესაც ცვლილების მცდელობას ადგილი აქვს ჯგუფს შიგნით?

საბჭოს შემადგენლობა და დავალება იცვლებოდა სამივე დღეს:

1. ტომის საბჭოში იყო ოთხი წევრი, აქედან ერთი ახალი წევრი, რომელსაც ჰქონდა განსხვავებული დავალება **(იხ.დანართი N6).** უმრავლესობაში იყვნენ საბჭოს სამი წევრი: ტომის ბელადი, საბჭოს უხუცესი წევრი და საბჭოს წევრი, ხოლო უმცირესობაში საბჭოს ახლად არჩეული წევრი. უმრავლესობა - უმცირესობა გადანაწილდა სამი ერთზე პრინციპით, სადაც უმრავლესობის გავლენა, კონფორმულობა უნდა გამოვლენილიყო ახლად არჩეულ წევრზე, რომელსაც განსხვავებული როლი მიეცა, სადაც გასაგებად ჰქონდა გადმოცემული, რომ უნდა ყოფილიყო პროგრესული, ფიქრობდა განსხვავებულად და უნდა დაერწმუნებინა საბჭოს სხვა წევრები, რომ მათი შეხედულებები აღნიშნულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, იყო მცდარი. არგუმენტების გასამყარებლად მას აძლევდა ხელს ის, რომ მოგზაურთა ჯგუფი არ წარმოადგენდა რეალურ მტერს. მათი იქ ყოფნა შემთხვევითობა იყო და მისი გადმოსახედიდან უნდა შეექმნათ პრეცენდენტი და ამჯერად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღოთ.
2. ტომის საბჭოში წევრების რაოდენობა გახდა ექვსი: ტომის ბელადი, საბჭოს უხუცესი წევრი, საბჭოს წევრი, საბჭოს წევრი, საბჭოს ორი ახლად არჩეული წევრი. ორ ახლად არჩეულ წევრს ჰქონდათ ერთნაირი როლი **(იხ.დანართი N7)**. ამ შემთხვევაში, უმრავლესობა-უმცირესობა გადანაწილდა ოთხი ორზე პრინციპით, სადაც უმცირესობაში იყვნენ საბჭოს ორი ახლად არჩეული წევრი, ერთნაირი მსოფლმხედველობით წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. რაც მთავარია მათ იცოდნენ დავალებული როლის მიხედვით, რომ ისინი ერთნაირად ფიქრობდნენ.

3. მესამე დღეს ტომის საბჭოში იყვნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. პირველი დღის მსგავსად უმრავლესობაში იყო საბჭოს 3 წევრი, ხოლო უმცირესობაში საბჭოს ახლად არჩეული ერთი წევრი.

სამივე დღის განმავლობაში დაკვირვება და ანალიზი ხორციელდებოდა მთლიან პროცესზე, თუმცა, ფოკუსირება ხდებოდა ტომის საბჭოზე, სადაც უმრავლესობის გავლენას, კონფორმულობას ვაკვირდებოდით უმცირესობაზე. რაც შეეხება მოგზაურთა ჯგუფს, მათ ჰქონდათ ცხადი ერთმნიშვნელოვანი დავალება, უნდა ემართლებინათ თავი და დაერწმუნებინათ ტომის საბჭო თავისი წევრებით საკუთარ უდანაშაულობაში, რომ გადარჩენილიყვნენ და დაპირისპირება დამთავრებულიყო მათ სასარგებლოდ. სახელდობრ, თავიდან აეცილებინათ სიტუაციის ესკალაცია, სიკვდილით დასჯა და შეენარჩუნებინათ სიცოცხლე.

4.2.2 პროცესი

დღე 1. სიმულაცია გახსნა უხუცესმა წევრმა, რომელმაც გააცნო მოგზაურთა ჯგუფს სიტუაციის რაობა: „თქვენ როგორც მოგზაურთა ჯგუფმა შებღალეთ ჩვენი წმინდა ადგილი, ჩვენს ტრადიციებს არ ეცით პატივი, გემუქრებათ სასტიკი სასჯელი. გვაინტერესებს ვინ ხართ და რა გესაქმებოდათ ჩვენს წმინდა ადგილას“ ამის შემდეგ პროცესი წარიმართა საკმაოდ საინტერსოდ, სადაც მხარეები აქტიურად განიხილავდნენ არსებულ ვითარებას. მოგზაურთა ჯგუფი პროცესის ბოლომდე ყველანაირი ხერხით ცდილობდა თავის მართლებას. რაც შეეხება ჩვენი დაკვრივების სუბიექტს ახალ წევრს მისი პირველი ჩართვა პროცესში იყო შემდეგნარი: მან ღიად განაცხადა, რომ როგორც ახლად არჩეული ახალგაზრდა წევრი ხედავდა გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან. თუმცა თვლიდა, რომ სასჯელს ექნებოდა ადგილი, მაგრამ ეს არ იქნებოდა სასტიკი სახის. საუბრის დასრულებისას საბჭოს უხუცესმა წევრმა სთხოვა საბჭოს ახლად არჩეულ წევრს თუ შეიძლება მოეთმინა და გაჩუმებულიყო, რასაც მხარი აუბა ტომის ბელადმა და საბჭოს სხვა წევრმაც. ახალი წევრი დაემორჩილა მითითებას. ბელადმა რჩევაც კი მისცა ახლად არჩეულ წევრს, რომ ოდესღაც ისიც ახლად არჩეული წევრი იყო

მის მსგავსად; მსგავსი მნიშვნელოვანი საბჭოს დროს მან მიიღო მკაცრი გადაწყვეტილება, რამაც მოუტანა წარმატება და მოიყვანა ბელადობამდე, ამდენად ახლად არჩეული წევრისთვის მსგავსი ქმედება იქნებოდა იდეალური და წარმატების მომტანი. ახლად არჩეული წევრი პასუხში დაეთანხმა, მაგრამ გაუმეორა, რომ მოგზაურთა ჯგუფის სიკვდილით დასჯა არ იქნებოდა გამოსავალი და ადრე თუ გვიან ტომს ეს კარგს არაფერს მოუტანდა. მან ინიციატივით მიმართა ტომის ბელადს, რომ ახალი წესი შემოეღოთ და მსგავს ვითარებაში სხვანაირად მოქცეულიყვნენ. თუმცა საბჭოს უმრავლესობა თვლიდა, რომ სასჯელი უნდა აღსრულებულიყო, სხვაგვარად ტომი იზარალებდა და მათი ღვთაებები განრისხდებოდნენ.

ტომის საბჭოს ახლად არჩეული წევრი თანმიმდევრულად საკმაოდ რაციონალურად და აქტიურად იცავდა თავის პოზიციას და გამოსავლის სხვადასხვა გზას სთავაზობდა ტომის საბჭოს. მან ასევე საფრთხეებსაც გაუსვა ხაზი, რაც მომდინარეობდა გარედან. თუ ისინი დასჯიდნენ ამ ადამიანებს სიკვდილით, მათ აუცილებლად მოძებნიდნენ სხვა ადამიანები, რაც ტომისთვის საკმაოდ სახიფათო იქნებოდა და წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

ტომის ბელადმა მოითხოვა თათბირი. თათბირზე უხუცესმა გამოთქვა ასეთი მოსაზრება, რომ მოგზაურთა ჯგუფიდან მამაკაცი წევრები დაეტოვებინათ ტომში, ხოლო ქალები დაესაჯათ სიკვდილით. ახალი წევრი დაეთანხმა, მაგრამ უხუცესმა თავადვე უარყო შემდეგ ამ არგუმენტის ლოგიკურობა, რაც ბელადმა სისულელედ შეაფასა, რადგან ტომის ღმერთები უკვე შეურაცხყვეს და მათ პატივის მისაგებად მსხვერპლად უნდა შეეწირათ ისინი. ახლად არჩეულ წევრს წაუყენეს ულტიმატუმი, რომ თავისი ხელით უნდა მოეყვანა სისრულეში სასჯელი. რის შემდეგაც მისი პოზიცია შეიცვალა და დაეთანხმა ტომის საბჭოს და დასძინა, რომ ის უბრალოდ განიხილავდა სხვა ვარიანტებს და ისევ ტომის კეთილდღეობისთვის იბრძოდა.

საბოლოოდ, საბჭოს ახლად არჩეულმა წევრმა თავისი ხელით დასაჯა მოგზაურთა ჯგუფი სიკვდილით, იგი ვერ შეეწინააღმდაგა ტომის საბჭოს და დაემორჩილა, მოექცა მათი გავლენის ქვეშ.

ახლად არჩეულ წევრთან დაკავშირებით გამოვლინდა **ინტრაპერსონალური კონფლიქტი.** სახელდობრ, პროცესის ბოლოს, მან აღიარა, რომ ბოლო მომენტამდე უპირისპირდებოდა შინაგანად საკუთარ თავს. იგი მოქმედების სამ ვარიანტს განიხილავდა: პირველი, თვითონაც განწირულიყო მოგზაურთა ჯგუფთან ერთად; რაც შეიძლება ტომისთვის ცვლილებების მომტანი ყოფილიყო. მეორე, მაშინ, როდესაც მიეცა საშუალება თვითონ აღესრულებინა სასჯელი, დრო ეხელთა და სიკვდილით დასჯის ნაცვლად გაქცევაში დახმარებოდა მოგზაურთა ჯგუფს. მესამე, რაც თავისთავად მოხდა იყო ის, რომ აღესრულებინა ტომის საბჭოს ნება, დამორჩლებოდა მათ, რითიც მოიგებდა ტომის ბელადის გულს და ექნებოდა შანსი მომავალში ტომის ბელადობისკენ გზა გაეკაფა. ახლად არჩეული წევრი უმრავლესობის ზეგავლენის ქვეშ მოექცა და არც გაუპროტესტებია ის, რომ სასჯელი აღესრულებინა არა მას, არამედ თუნდაც სხვას, როდესაც სხვა გამოსავალი არ დარჩა.

დღე 2. სიმულაცია საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მოგზაურთა ჯგუფი აქტიურად იცავდა თავს. მეტიც, ერთ-ერთმა მოგზაურმა სენტიმენტალურობის გზით სცადა ემოციური ფონი გაეღვივებინა ტომის საბჭოს წევრებისთვის, თუმცა უშედეგოდ. ტომის საბჭოს ვერდიქტი, უმრავლესობის გადაწყვეტილებით სიკვდილით დასჯა იყო.

კონფლიქტის ოთხი ტიპიდან ტომის საბჭოს წევრებში თავი იჩინა შიდაჯგუფურმა კონფლიქტმა. ვითარება საკმაოდ უცნაურად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაში ორი ახლად არჩეული წევრი იყო და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა აქტიურად, კონსისტენტურობის გამოჩენით გადაწყვეტილებაზე მცირედი გავლენა მოეხდინათ და რაც მთავარია სხვა წევრებში შეეცვალათ შეხედულება, მოხდა სხვანაირად. ერთ-ერთი ახლად არჩეული წევრი ბოლომდე ანტიკონფორმული დარჩა, რამაც გამოიწვია შიდაჯგუფური კონფლიქტი. იგი დაუპირისპირდა ბელადს და საბჭოს დანარჩენ წევრებს. მეორე ახლად არჩეულ წევრს რაც შეეხება, მას თავიდან ჰქონდა მცდელობა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები გამოეთქვა, თუმცა, მალევე მიემხრო უმრავლესობას. მისი თქმით, ტომის ბელადს ვერ აღუდგა წინ და ავტორიტეტისადმი მორჩილება

გამოიჩინა და აქტიურად არ გამოხატავდა იმ პოზიციებს, რასაც პირველი ახლად არჩეული წევრი ბოლომდე იცავდა.

საბოლოოდ, ტომის ბელადმა, რომელიც საკმაოდ მრისხანედ მოქმედებდა, მოგზაურთა სიკვდილით დასჯის შემდგომ მოითხოვა ტომის საბჭოს ორი ახლად არჩეული წევრის სამსჯავროზე გამოყვანა, სადაც მათ მისცა საშუალება იმ მოსაზრებების უარყოფის, რასაც პირველი აქტიურად ბოლომდე იცავდა, ხოლო მეორემ დასაწყისში გააჟღერა და შემდგომ ამისა უმრავლესობის აზრს იზიარებდა. ტომის ბელადი საბჭოს დანარჩენ წევრებთან ერთად დაუპირისპირდა ორ ახლად არჩეულ წევრს. კონფლიქტის ესკალაციამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, რის გამოც: პირველი, ტომის ბელადმა ბრძანა იმ ახლად არჩეული წევრის სიკვდილით დასჯა, რომელიც იდეურად განუდგა ტომს და პატივი არ სცა ტომის ტრადიციებს, დარჩა ერთგული საკუთარი ანტიკონფორმული შეხედულებების. შემდგომ ამისა მეორე წევრს განუცხადა, რომ იგი შეეცდებოდა ტომის სხვა წევრებში გაეღვივებინა განსხვავებული შეხედულებები, რის გამოც განაჩენად მასაც სიკვდილით დასჯა გამოუტანა.

დღე 3. ტომის საბჭო დაკომპლექტდა მდედრ. სქესის 4 წარმომადგენლით. უმცირეობას წარმოადგენდა საბჭოს ახლად არჩეული წევრი, ხოლო უმრავლესობას ტომის ბელადი, უხუცესი წევრი და საბჭოს წევრი. სიმულაციის პროცესის მიმდინარეობისას ტომის ბელადი საკმაოდ მკაცრი გამოდგა, რაც გამოიხატა მისი მხრიდან მოგზაურთა ჯგუფზე სიტყვის შეწყვეტის მცდელობებით და მოითხოვდა, რომ სანამ იგი არ მისცემდა მათ სიტყვის უფლებას, მანამდე არ ესაუბრათ. ტომის ბელადმა მკაცრად რეგლამენტირებულად დაყო სამსჯავროს მიმდინარეობა. იგი მიმართავდა საბჭოს წევრებს რიგრიგობით და მოითხოვდა მათგან საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებას. როდესაც ახლად არჩეულ წევრს მიმართა, ახლად არჩეულმა წევრმა განაცხადა, რომ მოესმინათ მოგზაურთა ჯგუფისთვის და შემდგომ მიეღოთ გადაწყვეტილება, ფიქროდა რომ შეიძლებოდა გამოსავლის პოვნა, რაზეც ბელადმა უპასუხა რომ გაჩუმებულიყო და კიდევ მიიღებდა სიტყვის უფლებას.

ტომის ბელადმა მოითხოვა საბჭოს თათბირი, სადაც აქტიურად გამოდიოდა პოზიციით, რომ უნდა დაესაჯათ მოგზაურთა ჯგუფი, მათი შებრალება და ტომის

წევრებად მიღება არევდა ტომის წესიერ ყოფას და ქაოსს შემოიტანდა მათ ცხოვრებაში. ამ პოზიციას ემხრობოდა უხუცესი წევრიც, საბჭოს წევრიც და ახლად არჩეული წევრიც, რის შემდეგაც განსხვავებული პოზიცია არ დაფიქსირებულა ახლად არჩეული წევრისგან. ტომის ბელადმა თათბირზე კენჭი უყარა მოგზაურთა ჯგუფში სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილებას, რაზეც ყველა წევრმა თანხმობა განაცხადა. მოგზაურთა ჯგუფი ტომის საბჭოს სთავაზობდა გამოსავალს. მათ განუცხადეს, რომ დარგობრივად მეცნიერულ დონეზე განსწავლულები იყვნენ და შეეძლოთ მათთვის დახმარება გაეწიათ, რაც ტომს გააძლიერებდა, თუმცა, უშედეგოდ.

ახლად არჩეულმა წევრმა განაცხადა, რომ იგი წინ ვერ აღუდგა ტომის ბელადს, რომელიც საკმაოდ მკაცრი იყო და თავი შეიკავა მისი განრისხებისგან, რადგან სხვაგვარად თვლიდა, რომ ისიც დაისჯებოდა. იგი დაემორჩილა უმრავლესობის ნებას, გამოავლინა ავტორიტეტისადმი მორჩილება და კონფორმულობა.

4.2.3 შედეგები, შეჯამება

უმრავლესობის გავლენა, კონფორმულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გულისხმობდა წამოჭრილი დაპირისპირების, კონფლიქტის გადაწყვეტას ტომსა და მოგზაურთა ჯგუფს შორის სამივე სიმულაციის დროს გამოვლინდა. მეტიც, პირველ დღეს უმრავლესობის ზეწოლამ ახლად არჩეულ წევრში წარმოშვა ინტრაპერსონალური კონფლიქტი. სუბიექტი დადგა არჩევანის წინაშე შეენარჩუნებინა საკუთარი როლით გათვალისწინებული ინდივიდუალურობა, ბოლომდე დარჩენილიყო იმ პოზიციის ერთგული, რასაც იგი ემხრობოდა თუ დამორჩლებოდა ჯგუფს გამოევლინა კონფორმულობა. მან სამი შესაძლო ვარიანტიდან, რომელიც თვითონ დასახა, არჩევანი კონფორმულობის, უმრავლესობის გავლენის სასარგებლოდ გააკეთა.

მეორე სიმულაციისას, როდესაც ჯგუფის რაოდენობა გაზრდილი იყო, ხოლო ახლად არჩეული წევრები ორნი იყვნენ, შიდაჯგუფურ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, სადაც უმრავლესობის ზეგავლენის მიუხედავად ორი ახლად არჩეული წევრიდან

ერთმა სიმულაციის ბოლომდე ანტიკონფორმულობა გამოიჩნა, ხოლო მეორემ კონფორმულობა. ჯგუფში წარმოიშვა კონფლიქტი, სადაც ორივე ახლად არჩეული წევრი დაისაჯა უმრავლესობის მხრიდან. კონფლიქტის ესკალაციის მიზეზი კი საბჭოს ახლად არჩეული ანტიკონფორმული წევრის პოზიციამ გამოიწვია, რამაც უმრავლესობა განარისხა.

რაც შეეხება მესამე სიმულაციას, სადაც საბჭოს შემადგენლობა ჰომოგენური იყო, სახელდობრ, მდედრ. სქესით დაკომპლექტებული, ახლად არჩეული წევრი სხვა (დღე1, დღე2) საბჭოს ახლად არჩეული წევრებისგან განსხვავებით ნაკლებად აქტიურად იცავდა საკუთარ პოზიციას, იგი თავიდანვე დაჰყვა უმრავლესობის ზეწოლას და გაიზიარა მათი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამაც ჩვენში გააჩინა მოსაზრება იმისა, რომ ტომის ბელადის მკაცრმა ავტორიტატულმა ქმედებებმა პროცესის მიმდინარეობისას გამოიწვია ავტორიტეტისადმი მორჩილების ფენომენის გამოვლინება, რამაც ორმაგად შეუწყო ხელი ახლად არჩეული წევრის კონფორმულობას.

საბოლოოდ უმრავლესობის გავლენამ, კონფორმულობამ ჰპოვა ყველა ჯგუფში გამოვლინება, ხოლო უმცირესობის გავლენამ, ინოვაციამ არა.

დასკვნა

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა კონფორმიზმის და კონფლიქტის ცნებების წარმოჩენა და მათ შორის არსებული კავშირის დანახვა, თუ რამდენად აქვს ადგილი კონფორმულობას როცა პიროვნების დღის წესრიგში დგას კონფლიქტი.

ნაშრომში შევეხე სოციალურ გავლენებს, კონფორმიზმის ცნებას, სადაც ხაზი გავუსვი იმ დეტალებს, რაც ახდენს კონფორმიზმე გავლენას და რა ფაქტორები უწყობს ხელს მის ჩამოყალიბებას. სხვადასხვა რეალური მაგალითების მოყვანით წარმოვაჩინე კონფორმული ადმიანის ქცევა. განვსაზღვრე კულტურა და კონფორმიზმი. რა განსხვავებაა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორაა პიროვნება ამ ორ კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურაში მოწყობილი, რაც გარკვეულწილად ინდივიდის კონფორმულობას თუ ანტიკონფორმულობას განაპირობებს. აგრეთვე ვისაუბრე პიროვნების როლზე, როგორც კონფორმულობის ასევე კონფლიქტის ასპექტში. შევეხეთ კონფლიქტის ცნებას, მის ტიპებს, მოლაპარაკებას, მართვას. გამოვყავი, როგორც სახეები, ასევე 4 ტიპის კონფლიქტი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო.

ასევე განვიხილე ბრუნო ბეტელჰაიმის სტატია სახელწოდებით ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მიმზიდველობა. კონფლიქტის ტიპების მიხედვით, კონფორმიზმის და ნონკოფორმიზმის გაანალიზებით წარმოვაჩინე ნონკონფორმისტი ინდივიდის კონფორმიზმთან დაპირისპირებით აღმოცენებული ინტრაპერსონალური კონფლიქტი, აგრეთვე ინტერპერსონალური კონფლიქტიც, რომლის მაგალითიც მოვიყვანე. შევეხე ნონკონფორმისტების, ჯგუფების, სუბკულტურების ქცევის ასპექტებს, რომლებიც კონფლიქტში არიან კონფორმულ გარემოსთან თუ ჯგუფებთან.

სიმულაციური თამაშის დახმარებით, რომელიც თავადვე შევიმუშავე, სადაც უმრავლესობა უმცირესობის გავლენების დაპირისპირებით შევქმენი კონფორმული სიტუაცია, დავაკვირდი გადაწყვეტილების მიღების პროცესს და სამიზნე სუბიექტის ქცევას კონფლიქტურ, დაპირისპირებულ სიტუაციაში.

საბოლოოდ ვნახეთ, რომ ნებისმიერი პიროვნება თვისი ცხოვრების განმავლობაში, ხშირად თუ იშვიათად ჭიდილშია შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა ან მოექცეს სოციალური ზეგავლენის ქვეშ. პირველადად აქ თავს იჩენს კონფლიქტი, რომელიც ინტრაპერსონალური, პიროვნების შიგნით მიმდინარე კონფლიქტად არის ცნობილი. გარდა ამისა, სიმულაციური თამაშის შედეგად ვნახეთ, რომ უმრავლესობის გავლენის გამოვლინებამ უმცირესობაზე, სადაც ადამიანები როლის მიხედვით იყვნენ ნონკონფორმულები ხელი შეუწყო უკიდურესი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელზეც გავლენის მოხდენას და ცვლილებას ცდილობდა უმცირესობა, მაგრამ ისიც კონფორმიზმის მსხვერპლი გახდა და მის ყალიბს მოერგო. სიმულაციურ თამაშში უმრავლესობის გავლენამ, კონფორმიზმა შვა ინტრაპერსონალური და ჯგუფშიდა კონფლიქტები.

ბიბლიოგრაფია

Elliot Aronson with Joshua Aronson . (2011). *The Social Animal.* New York: Worth Publishers.

John W. Berry, Ype H. Poortinga, Marshall H. Segall, Pierre R. Dasen. (2011). *Cross-Cultural Psychology.* New York: Cambridge.

Kristina Whitney, Lynda M. Sagrestano CHristina Maslach. (1994). Establishing the Social Impact of Individuation. *Journal of Personality and Social Psychology* , 1140-1153.

Michener, J. A. (1971). *Kent State: What Happend and Why.* New York: Random House.

Robert B. Cialdini and Noah J. Goldstein. (2004). Annual Reviews Psychology. В *Social Influence: Compliance and Conformity* (стр. 606).

Rotter, J. (1966). Generalized expectancies for internal versus external control. *Psychological Monographs: General and Applied*, 1-28.

S. Moskovici, E. Lage and M. Naffrechoux. (1969). Influence of a Consistent Minority on the Responses of a Majority in a Color perception Task. *Sociometry*, 365-380.

Serge, M. (1976). *Social Influence and Social Change.* London: Academic Press European Monographs in Social Psychology .

Shelley E. Taylor, Letitia Anne Peplou, David O. Sears. (1994). Social Influence. B L. A. Shelley E. Taylor, *Social Psychology* (pp. 205-206). New Jersey: Pearson Education.

Shelley E. Taylor, Letitia Anne Peplou, David O. Sears. (1994). Social Influence. B L. A. Shelley E. Taylor, *Social Psychology* (pp. 204-231). New Jersey : Pearson Education.

Thomas, k. W. (1992). Conflict an Conflict Management: Reflections and Update. *Journal of Organizational Behavior, Vol. 13*, 265-274.

Thurber, J. (1933). "The day the dam broke" . *The New Yorker*.

ბელქანია, ნ. (2015). ადამიანი აღოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანობაში . *ფილოსოფიურ_თეოლოგიური მიმომხილველი*, 1-14.

გიორგი ხუციშვილი თინათინ ასათიანი დალი ბერიკაშვილი რუსუდან მშვიდობაძე გიორგი ნიჟარაძე მაია რაზმაძე ლია სანიკიძე თამარ ციხისთავი . (2015). *საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები წიგნი I.* თბილისი: ICCN.

კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა. (2011). თბილისი.

მაია ხასია; ავთანდილ მიქანაძე; ელისო ამირეჯიბი. (2015). სიმულაცია. *სამაგიდო წიგნი ტრენერებისთვის* (pp. 112). თბილისი.

მაღრაძე, გ. (2007). *სოციალური გავლენების ფსიქოლოგია.* თბილისი: უნივერსალი .

ნანა ბერეკაშვილი, რუსუდან გოცირიძე, შორენა ლორთქიფანიძე, რუსუდან მშვიდობაძე გიორგი ნიჟარაძე, მანანა როგოვსკაია-კანდელაკი, ირინა სულხანიშვილი, ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, მანანა ჯავახიშილი. (2015). *საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები წიგნი II.* თბილისი: ICCN.

ორბელიანი, ს.-ს. (XVII). *სიბრძნე სიცრუისა .*

ქვარცხავა, რ. (ნ.დ.). სოციალური გავლენები. В რ. ქვარცხავა, *სოციალური ფსიქოლოგია* (pp. 168-207). თბილისი.

ხეჩუაშვილი, ლ. (2013). ნაწილი 2: სოციალური დასწავლა და კულტურა. В ლ. ხეჩუაშვილი, *შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I* (pp. 93). თბილისი.

Tanford S, Penrod S (1984) Social influence model: A formal integration of research on majority and minority influence processes. Psychological Bulletin 95: 189–225.

(Smith, P. B., & Bond, M. H. (1993). *Social Psychology Across Cultures: Analysis and Perspectives*. Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf.)

http://www.psychologywizard.net/social-impact-theory-ao1-ao2-ao3.html

http://www.intermedia.ge/სტატია/82866-რა-არის-კონფორმიზმი/86/

https://iwaminda.wordpress.com/%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9

D/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/

https://socioflaneur.wordpress.com/2011/08/15/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E2%80%93-%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91/

http://www.typesofconflict.org/

http://www.myersbriggs.org/my-mbti-personality-type/mbti-basics/home.htm?bhcp=1

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/12772/

http://socium.ge/downloads/socshesavali/deviacia-da-socialuri-kontroli.pdf

hhtp://www.bu.org.ge/x439?lang=geo

https://en.wikipedia.org/wiki/Asch_conformity_experiments

http://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/40295/thomas_conflict_T_OCR.pdf?sequence=1

https://cdcgeo.wordpress.com/2014/04/08/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.11&d=HASHc37156e61d02bc72647538.5.7&x=1

დანართები

დანართი N1

„ცხადია ოჯახში არავის უნდოდა, რომ ოჯახის თავს სამსახური დაეკარგა და ამით ახლობლები უკიდურეს სიღარიბეში ჩაეგდო. სახელმწიფო რომ მიმხვდარიყო, რას ფიქრობდა სინამდვილეში მაღალჩინოსანი მოხელე მთელი ამ წლების განმავლობაში, ოჯახი საჯარო ოსტრაკიზმის წინაშე აღმოჩნდებოდა, ხოლო მისი ზოგიერთი წევრის მიმართ კი ღია დევნა განხორციელდებოდა. ცოლი სრულად იყენებდა იმ პრივილეგიებს, რომელთაც მას და ოჯახის სხვა წევრებს აძლევდა ქმრის ნაცისტებთან გარეგნული თანამშრომლობა (მათ შორის იმ შესაძლებლობასაც, რომ გარეთ არ გამოსულიყო, ნაცისტური მისალმება არ აღესრულებინა და არ შესულიყო კონფლიქტში საკუთარ ღირებულებებთან). მაგრამ ამასთან ერთად ცოლი მძაფრად აკრიტიკებდა ქმარს საკუთარი შეხედულებების ღალატისათვის. კონფლიქტს ამწვავებდა ძველი უთანხმოება მეუღლეებს შორის, რომელთაც უკვე კარგა ხნის მანძილზე თითქმის არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდათ.

წყენა ცოლის მიმართ, რომელიც ყოველთვის აკრიტიკებდა და მის შერცხვენას ცდილობდა, ოჯახის თავს ნელ-ნელა მეუღლის ანტიფაშისტური შეხედულებების მიმართაც აუცხოვებდა. შიში, რომ ეს შეხედულებები ცნობილი გახდებოდა და საფრთხეს შეუქმნიდა ყველას, კიდევ მეტ სტიმულს აძლევდა ცოლის მიმართ გაღიზიანებას, რომლის მსოფლმხედველობა და ქცევა იზოლაციაში აქცევდა ოჯახს და ართულებდა ქმრის ურთიერთობას თანამშრომლებთან. სოციალური სტატუსის შესანარჩუნებლად ქმარი გარეგნულად ემხრობოდა ოფიციალურ პოლიტიკას, ამისათვის მას ოჯახში პატივს არ სცემდნენ, სამაგიეროდ, მის მხარდაჭერას სისტემისადმი მხურვალედ ესალმებოდნენ თანამშრომლები და საზოგადოების წევრები; ამიტომ, ჩვენს გმირს ნელ-ნელა უქრებოდა რეჟიმის მიმართ კრიტიკული შეხედულებები, რომლებიც ძალიან ართულებდნენ მის სამსახურებრივ და ოჯახურ ცხოვრებას. შედეგად, მართალია ძნელად, მაგრამ ჩვენი გმირი მაინც შეურიგდა რეჟიმს. ამით, ბოლოს და ბოლოს, მან გამოავლინა ერთგულება საკუთარი

ღირებულებებისადმი, ისევე, როგორც ცოლი ავლენდა ამას თავისი ღირებულებებისადმი. ქმარმა ფაქტიურად გააკეთა ის, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში მისგან ითხოვდა ცოლი. ახლა, უკვე აღარ გრძნობდა თავს უღირსად საკუთარი ცოლის წინაშე, რომელიც მთელი ეს პერიოდი თავისი შეხედულებების მიხედვით ცხოვრობდა; უფრო მეტიც, ქმარს შეეძლო გარკვეული მორალური უპირატესობაც ეგრძნო, როგორც წინათ ამ უპირატესობას გრძნობდა ცოლი მის მიმართ, რადგან უარყოფდა რა, ქმრის პოლიტიკურ შეხედულებებს, ცოლი მაინც სარგებლობდა იმ პრივილეგიებით, რომლებსაც ეს შეხედულებები იძლეოდნენ.

კონფლიქტმა გაყოფა ბავშვებშიც შეიტანა. ვაჟებმა უკვე დიდი ხანია გაიზიარეს ნაციზმი, ამიტომაც მამა, რომელიც რეჟიმისადმი თავისი მხარდაჭერის გამო ცოლს და ქალიშვილს ეზიზღებოდათ, ოჯახის მამაკაცების სრული მხარდაჭერით სარგებლობდა, ის უკვე მარტო აღარ იყო. ვაჟები მხარს არ უჭერდნენ დედის შეხედულებებს, მაგრამ არც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მათ, რადგან დედას ჩამორჩენილ, გაუნათლებელ და ძველმოდურ პიროვნებად თვლიდნენ. ქალიშვილი მთლიანდ დედის მხარეს დადგა და როგორც მოგვიანებით თვითონვე გააცნობიერა, არა იმდენად მამასთან უთანხმოების გამო, რამდენადაც ძმებთან ქიშპობის მიზეზით. გარდა ამისა, დედის ღირებულებები მას მიმზიდველად ეჩვენებოდნენ, ხოლო დედის მტკიცე დგომას საკუთარ პოზიციებზე არ შეიძლება გოგონაზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა.

ასაკის მომატებასთან ერთად ქალიშვილი მიხვდა, რომ მშობლების პოლიტიკური ქიშპობის ნამდვილი მიზეზი მათი ძველი ოჯახური უთანხმოება იყო. ახლობელ ადამიანთა შორის კონფლიქტს ქალიშვილი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა, მას ოჯახში მშვიდობა სურდა. გოგონაში იზრდებოდა გაბოროტება პოლიტიკის მიმართ, ხოლო პოლიტიკური შეხედულებები მას წარმოუდგებოდა როგორც უბრალო იარაღი ერთი ადამიანისა მეორეს წინააღმდეგ. პოლიტიკამ წაართვა მას ოჯახური ცხოვრება, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა. პოლიტიკაში გოგონას ყველაფერი ერთნაირად საზიზღრად ეჩვენებოდა, ამიტომაც აგრეთვე კარგავდა თავის ანტიფაშისტურ

პროდემოკრატიულ შეხედულებებს.

ქალიშვილს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: რომ ოჯახი ისევ შეკრული ყოფილიყო და მშობლებს მეგობრულად ეცხოვრათ. ბავშვობაში ის მიხვდა, რომ დედის შეხედულებებს არ შეეძლოთ ოჯახის გაერთიანება, მათ გამო მამა იძულებული გახდებოდა სამსახური დაეკარგა, ხოლო თვითონ და ძმები კი უნივერსიტეტში ვერ ისწავლიდნენ. გოგონა ჯერ კიდევ აღტაცებული იყო დედის მტკიცე პოზიციებით, მაგრამ ამასთან ერთად მას სძულდა საკუთარი მშობელი, რომელმაც გაანადგურა ოჯახის ერთიანობა. ეს გარემოება ქალიშვილში მწვავე შინაგან კონფლიქტს იწვევდა, რომლის საწყისსაც წარმოადგენდა უთანხმოება მშობლებს შორის.

გოგონა იზრდებოდა და აგრეთვე იზრდებოდა სიტუაციის საღად შეფასებისა მისი უნარი. მან დაინახა, რომ დედამ, საკუთარი შეხედულებებისადმი ერთგულების გამო, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა სამყაროსთან და საკუთარ ოჯახშიც კი სრულიად მარტო დარჩა. გოგონა გრძნობდა, რომ მისთვის სულ უფრო რთული ხდებოდა თანატოლებთან იდეოლოგიური განსხვავება და ბოლოს და ბოლოს ნაციზმი აღიარა. დედის შეხედულებების სრული უარყოფით ქალიშვილი განთავისუფლდა შინაგანი კონფლიქტისაგან, რომელიც მდგომარეობდა ერთის მხრივ დედის მამაცობით აღტაცებასა და მეორეს მხრივ მის მიმართ წყენაში ოჯახში განხეთქილების შეტანის გამო. ამ გარდატეხამ იგი აგრეთვე გაანთავისუფლა საკუთარ ღირებულებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის კონფლიქტისაგან. გოგონამ პირველად იგრძნო ღრმა სულიერი სიმშვიდე, თუმცა ცხოვრებით ტკბობის თავის ახალ უნარს მიაწერდა არა ძველი შინაგანი კონფლიქტის გადაჭრას, არამედ იმ პოზიტიურ მსოფლაღქმას, რომელიც მას ნაციზმმა მისცა. ეს კი გოგონასათვის ნაციზმის ჭეშმარიტების დამადასტურებელ კიდევ ერთ არგუმენტს წარმოადგენდა.“

დანართი N2

სიმულაციური თამაში ზოგადი მიმოხილვა: სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებული ახალგაზრდა მოგზაურთა ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა ემოგზაურა კონტინენტის გარშემო ერთ-ერთი მარშუტის გავლის შემდეგ ბრაზილია-პერუს საზღვართან ამაზონს

მიუახლოვდნენ, სადაც ფეხით განაგრძეს გზა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ, მათ შემთხვევით ამაზონის ტროპიკულ ტყეში აღმოაჩინეს უჩვეულოდ ლამაზი ადგილი, ლურჯი ლაგუნა. გადაწყვიტეს, რომ კარვები გაეშალათ და რამდენიმე დღე ამ ულამაზეს ადგილას დაესვენათ. მოგზაურთა ჯგუფი მშვენივრად ატარებდა დროს, ღრეობდნენ, სვამდნენ, ცურავდნენ ლურჯ ტბაში და ამ ზღაპრულ სამოთხეს დაატყვეს "ადამიანის ხელი", ყველანაირი გაგებით.

მოგზაურებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა კვირა დილამდე მანამ, სანამ კარვებში მწოლიარე ღრმა ძილში მყოფი ჯგუფი არ შეიპყრო ადგილობრივმა ამაზონიკას ტომმა. შეპყრობილი მოგზაურები გამოამწყვდიეს სპეციალურ დილეგში ისე, რომ მათთვის არაფერი აუხსნიათ.

ამაზონიკას ტომი, რომელსაც აქამდე შეხება არ ჰქონია ცივილიზაციასთან შედგება 500 კაცისაგან. ცხოვრობენ ჩალით გადახურულ ქოხებში, იკვებებიან მარცვლეულით, ბანანით, მიწის თხილით. მათ კულტურას გარშემო ყველაფერი უქმნის საფრთხეს. სახელდობრ, სამთო მრეწველობისა და ფერმერთა მიერ ტყეების გაჩეხვა და მსგავსი ქმედებები. შესაბამისად, გარე სამყაროსადმი საკმაოდ მტრულად არიან განწყობილი და მსგავს ქმედებების მიმართ შეუწყნარებლები არიან. ტომი გაოირჩევა მონოლითურობით. რაც შეეხება მათ სარწმუნოებას, ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო რიტუალებით გამოირჩევიან. ლურჯი ლაგუნა, სადაც მოგზაურები შეიპყრეს, მათ სალოცავ, წმინდა ადგილს წარმოადგენს, სადაც ყოველ კვირა დღეს სალოცავად და გასხივოსნებისათვის მიდიან და წმინდა ტბაში განიბანებიან მთელი კვირის განმავლობაში დაგროვებუილ ცოდვებსაგან და დაძაბულობას იხსნიან.

აღსანიშნავია, რომ ამაზონის **22%** მსგავს ტომებს უკავიათ. აღნიშნული წმინდა ადგილის დაპყრობის და ჩამორთმევის მიზნით უამრავი სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართულა ტომებს შორის. ყველას, ვინც ცდილობდა ტერიტორიის შელახვას და მითვისებას, ტომის ბელადის და უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სიკვდილით სჯიდნენ. სწორედ ამ გზით საუკუნეებია წმინდა ლაგუნას ინარჩუნებს **ამაზონიკას** ტომი.

ამაზონიკას ტომს ტრადიციისამებრ ჰყავს ბელადი, უმაღლესი რანგის ადამიანი, რომელიც მართავს ტომს მანამ, სანამ ძალა შესწევს. მომდევნო ბელადი ირჩევა სათათბირო საბჭოდან. სათათბირო საბჭოს წევრებს კი ტომის ბელადი ირჩევს ტომის წევრებზე დაკვირვებით, საიდანაც საუკეთესოებს განიხილავს და ანიჭებს ამხელა პასუხისმგებლობას და პრივილეგიას. ბელადი ტომის დღის წესრიგს განაგებს ტომის სათათბირო საბჭოსთან ერთად, რომელიც შედგება წევრებისგან. ამდენად, ყველანაირ მნიშნელოვან გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული საბჭო, სადაც იერარქია და სუბორდინაცია მკაცრად არის დაცული. ტომის ბელადი კი ყველაზე გავლენიანი ადამიანია, რომლის სიტყვა კანონიკურ რანგშია აყვანილი.

ბელადმა მოიწვია წინასწარი საბჭო, სადაც დასვა შეპყრობილების საკითხი, რომელიც სამსჯავროზე უნდა გაიტანონ. საბჭოს პირველად ესწრება ახლად არჩეული წევრი. საბჭომ მიიღო სამსჯავროს დანიშვნის გადაწყვეტილება, სადაც უნდა გაასამართლონ შეპყრობილები.

მაშ ასე, მოგზაურებს აუხსნიან ვითარებას,თუ რაში მდგომარეობს მათი დანაშაული და რა ბედი ელით მათ.

ორივე მხარე საკმაოდ კარგად აცნობიერებს პრობლემის რაობას. მოგზაურებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი სიტყვა თქვან. უნდა ეცადონ მოლაპარაკებას, იმართლონ თავი, რადგან სასწორზე მათი სიცოცხლე დევს. მაქსიმალურად უნდა ეცადონ აირიდონ სიკვდილით დასჯა და თავი გადაირჩნონ.

პროცესში უშუალო მხარეებს წარმოადგენენ:

საბჭო, ტომის ბელადის მეთაურობით VS მოგზაურთა ჯგუფი

დანართი N3

ტომი

თქვენი ტომი, რომელიც საუკუნეებია ამაზონის ტერიტორიაზე სახლობს გამოირჩევა უნიკალური ცხოვრების წესით, კულტურით და ტრადიციებით. ტომში

ყველა ბედნიერად ცხოვრობს. ტომის ბელადები, რომლებმაც თავიანთი ბრწყინვალე მმართველობით შეუნარჩნეს და შესძინეს ამაზონიკას ტომს ისტორია, ტრადიციები, კულტურა და დღეგრძელობა, წმინდანები არიან. თქვენს ტომს არსებობის მანძილზე უამრავი კონფლიქტი და სისხლიანი ბრძოლა გადახდა. სასტიკ მტერს ყოველთვის სურდა თქვენი წმინდა ლაგუნის მიტაცება და დასაკუთრება, ასევე თქვენი განდევნა აღნიშნული ადგილიდან, თუმცა, ერთსულოვნებით და მონოლითურობით ყოველთვის გამარჯვების გზაზე იდექით და სჯობნიდით მტერს. სწორედ ტომის მთავარი სიძლიერეა მონოლითურობა და ერთსულოვნება, რაც ყველაფრის ფასად უნდა შეინარჩუნოთ, რადგან ტომის დღეგრძელობა და მომავალი ამაზეა დამოკიდებული. სხვაგვარად გავა დრო და საფრთხე დაემუქრება თქვენს არსებობას.

თქვენი წმინდა ადგილი, რომელიც მთავარ რელიქვიას წარმოადგენს შელახეს გარეშე პირებმა, სადაც შეურაცხყოფა მიაყენეს ყველა კუთხე კუნჭულს. წმინდა ტბაში განიბანეს და მათი ცოდვებით დაამძიმეს თქვენი სიწმინდე, რაც უპატიებელ ცოდვას წარმოადგენს და თქვენი კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯას ექვემდებარება. თქვენს წმინდა ადგილს კი საშიშროება ემუქრება იმ შემთხვევაში თუ სხვებიც შეიტყობენ მის შესახებ, რაც მათ ინტერესს უფრო გააღვივებს და შესაძლებელია ეს სიწმინდე დაკარგოთ, რასაც თითოეული თქვენგანი კარგად აცნობიერებს.

ტომი სერიოზული გამოწვევის, საფრთხის და გამოცდის წინაშეა. მაქსიმალურად უნდა დაიცვათ საკუთარი სიწმინდე და კულტურა.

!შენიშვნა! იმოქმედეთ მოცემული როლის მიხედვით

დანართი N4

მოგზაურთა ჯგუფი

საკმაოდ რთულ ვითარებაში ხართ. თქვენი ამოცანა ცალსახაა, უნდა იმართლოთ თავი. სამსჯავროზე მაქსიმალურად არგუმენტირებულად გადმოსცეთ და

დაამტკიცეთ თქვენი უდანაშაულობა. რეალურად მოგზაურები ხართ და მსოფლიოს უმარავ წერტილში ყოფილხართ, სადაც ჩვეულებისამებრ ასე იქცევით. მიუხედავად ამისა, პრობლემა არასდროს შეგქმნიათ. თქვენი სიცოცხლე სასწორზე დევს. გამოუვალ მდგომარეობაში ხართ, თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ამდენად, გჯერათ, რომ გადარჩებით და იქონიებთ გავლენას საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

რა თქმა უნდა, აცნობიერებთ შექმნილ ვითარებას და მზად ხართ მოლაპარაკება წარმართოთ, რათა თავი გადაირჩინოთ. **საბჭო კი სიტყვის უფლებას არ გართმევთ.**

დანართი N5

ტომის საბჭოს წევრთა როლები

ტომის ბელადი

თქვენ ხართ ტომის ბელადი, რაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას და ძალაუფლებას განიჭებთ. როგორც ბელადი ყოველდღიურად რთული ამოცანების წინაშე დგახართ, თუმცა, ძალაუფლება და პოზიცია საკმაოდ დიდ სიამოვნებას განიჭებთ. გაქვთ უამრავი საფიქრალი და არ ივიწყებთ იმ მემკვიდრეობას, რაც ამ პოზიციას მოჰყვა. ურთულესი გამოწვევის წინაშე დგახართ. თქვენი გამჭრიახობით და სიბრძნით აცნობიერებთ, რომ მოგზაურთა ჯგუფის პრობლემა არ ჰგავს ყველა აქამდე არსებულს. რეალურად ხვდებით, რომ ჯგუფი, რომელიც შეიპყარით მოგზაურები არიან და არ იცოდნენ თქვენი წმინდა ადგილის შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინც გაქვთ ეჭვი, რომ განზრახვა მტრულია და რა თქმა უდნა ტომი საშიშროების წინაშე დგას. გარდა ამისა, ტომი თქვენ და საბჭოს შემოგყურებთ, განდობთ მათ სიცოცხლეს და ტომის არსებობის გარანტად აღგიქვამთ. თქვენი ვალია, მოიქცეთ ტრადიციისამებრ სწორად, იყოთ დაუნდობელი, მიუხედავად ამ შემთხვევისა და მაგალითი მისცეთ ახალ წევრებს, რომლებიც პრეტენდენტები არიან გახდნენ თქვენს შემდეგ ტომის ბელადები. აუცილებელია იყოთ დაჟინებული და არგუმენტირებულად დაასაბუთოთ დამნაშავეების ბრალეულობა, რომ იქონიოთ ზეგავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. დასმული საკითხი მრავალმხრივ საპასუხისმგებლო და საბედისწეროა. თქვენს წინაშე

ყველა მორჩილია. სწორად უნდა გადადგათ თითოეული ნაბიჯი და იყოთ მკაცრი გადაწყვეტილებისას. თქვენი ავტორიტეტი ყველაფერზე მაღლა დგას და აცნობიერებთ, რომ თქვენი სიტყვა კანონიკურ დონეზეა აყვანილი. ამდენად საბჭო თავისი ახალი არჩეული წევრებით თქვენ შემოგყურებთ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი საბჭო ერთხმად იღებს.

!შენიშვნა! იმოქმედეთ მოცემული როლის მიხედვით

ახლად არჩეული წევრი

გილოცავთ, თქვენ საბჭოს ახლად არჩეული წევრი ხართ. აცნობიერებთ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც ტომმა მოგანიჭათ და ნდობას, რომელიც ბელადმა გამოგიცხადათ. ამავდროულად, წესისამებრ, ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ხართ ტომის ბელადობის. თქვენი მოღვაწეობით და ღვაწლით ეს პოზიცია და ძალაუფლება დაიმსახურეთ. თქვენთვის, როგორც საბჭოს წევრისთვის და ტომის მმართველი რგოლის წარმომადგენლისათვის აღნიშნული პრობლემის წინაშე ამ რანგში დგომა პირველი შემთხვევაა, რაც ორმაგად საპასუხისმგებლოა. აუცილებლად უნდა გაუმართლოთ ტომს და მის ბელადს ის ნდობა, რაც გამოგიცხადათ. უნდა გაითვალისწინოთ ის ტრადიციები, კულტურა და ღირებულებები, რითაც გამოირჩევა თქვენი ტომი. რაც მთავარია არავის მისცეთ თქვენი სიწმინდის შელახვის უფლება, რისთვისაც ყოველთვის სასტიკად ისჯებოდნენ ისინი, ვისაც ამის მცდელობა ჰქონდათ. მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ გამოირჩევით როგორც პროგრესულად მოაზროვნე და ყოველთვის თქვენი შეხედულებები და აზრები გაგაჩნიათ ყველაფრისადმი, რაც დასაფასებელია და თქვენ, როგორც პიროვნებას და ცალკეულ ინდივიდს ფასს გმატებთ. გარდა ამისა, თქვენი წვლილი უნდა შეიტანოთ მმართველობაში და ის ხედვები, რაც გაგაჩნიათ და გაქვთ ტომისათვის მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოთ. პირველ სამსჯავროზე შემოგყურებთ ხალხი, რასაც კარგად აცნობიერებთ და გაკვირდებათ ყველა.

მთავარი, რაც მოსვენებას არ გაძლევთ არის ის, რომ სულაც არ ფიქრობთ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს ამ შემთხვევაში სასტიკი და აუცილებლად სიკვდილით

დასჯადი აღნიშნული ქმედება აღნიშნულ ჯგუფზე. გგონიათ, რომ ეს გამონაკლისია და დამოკიდებული ხართ სამსჯავროს მიმდინარეობასა და მოლაპარაკებებზე. ასევე აცნობიერებთ და კარგად გაქვთ გაგებული შემდეგი აქსიომა: ტომს რაც სწადია მას იზამს თავის ტომობის წესითა.

შეგიძლიათ განუდგეთ ტომს და მიიღოთ გადაწყვეტილება მოგზაურთა ჯგუფის სასარგებლოდ.

!შენიშვნა! იმოქმედეთ მოცემული როლის მიხედვით

საბჭოს უხუცესი წევრი

თქვენ ხართ ბელადის შემდეგ საბჭოს უხუცესი წევრი, რაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას და ძალაუფლებას განიჭებთ. ყოველდღიურად რთული ამოცანების წინაშე დგახართ. გაქვთ უამრავი საფიქრალი და არ ივიწყებთ იმ მემკვიდრეობას, რაც ამ თანამდებობას მოჰყვა. ურთულესი გამოწვევის წინაშე დგახართ. თქვენი გამჭრიახობით და სიბრძნით აცნობიერებთ, რომ წამოჭრილი პრობლემა არ ჰგავს ყველა აქამდე არსებულს. რეალურად ხვდებით, რომ ჯგუფია და არა სხვა ადგილობრივი ტომი, მიუხედავად ამისა, მაინც გაქვთ ეჭვი, რომ განზრახვა მტრულია და რა თქმა უდნა ტომი საშიშროების წინაშე დგას. გარდა ამისა, ტომი თქვენ, როგორც საბჭოს უხუცეს წევრს შემოგყურებთ, განდობთ მათ სიცოცხლეს და ტომის არსებობის გარანტად აღგიქვამთ. თქვენი ვალია, მოიქცეთ ტრადიციისამებრ სწორად, იყოთ სასტიკი, მიუხედავად ამ შემთხვევისა და მაგალითი მისცეთ ახალ წევრებს, რომლებიც თქვენთან ერთად მომავალი პრეტენდენტები არიან გახდნენ ტომის ბელადები. დასმული საკითხი მრავალმხრივ საპასუხისმგებლო და საბედისწეროა. სწორად უნდა გადადგათ თითოეული ნაბიჯი და იყოთ მკაცრი გადაწყვეტილებისას. საბჭოს ავტორიტეტი ყველაფერზე მაღლა დგას და აცნობიერებთ, რომ საბჭოს გადაწყვეტილება კანონია.

!შენიშვნა! იმოქმედეთ მოცემული როლის მიხედვით

საბჭოს წევრი

თქვენ ხართ საბჭოს წევრი, რაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას და ძალაუფლებას განიჭებთ. ყოველდღიურად რთული ამოცანების წინაშე დგახართ. გაქვთ უამრავი საფიქრალი და არ ივიწყებთ იმ მემკვიდრეობას, რაც ამ თანამდებობას მოჰყვა. ურთულესი გამოწვევის წინაშე დგახართ. თქვენი გამჭრიახობით და სიბრძნით აცნობიერებთ, რომ წამოჭრილი პრობლემა არ ჰგავს ყველა აქამდე არსებულს. რეალურად ხვდებით, რომ შეპყრობილები შეიძლება მოგზაურთა ჯგუფია და არა სხვა ადგილობრივი ტომი. მიუხედავად ამისა, მაინც გაქვთ ეჭვი, რომ განზრახვა მტრულია და რა თქმა უდნა ტომი საშიშროების წინაშე დგას. გარდა ამისა, ტომი თქვენ, როგორც საბჭოს წევრს შემოგყურებთ, განდობთ მათ სიცოცხლეს და ტომის არსებობის გარანტად აღგიქვამთ. აქამდე ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს იღებდით, რასაც შემდგომი ვითარებები უფრო და უფრო მეტად გარწმუნებდათ. თქვენი ვალია, მოიქცეთ ტრადიციისამებრ სწორად, იყოთ სასტიკი, მიუხედავად ამ შემთხვევისა და მაგალითი მისცეთ ახალ წევრებს, რომლებიც თქვენთან ერთად მომავალი პრეტენდენტები არიან გახდნენ ტომის ბელადები. დასმული საკითხი მრავალმხრივ საპასუხისმგებლო და საბედისწეროა. სწორად უნდა გადადგათ თითოეული ნაბიჯი და იყოთ მკაცრი გადაწყვეტილებისას. საბჭოს ავტორიტეტი ყველაფერზე მაღლა დგას და აცნობიერებთ, რომ საბჭოს გადაწყვეტილება კანონია ამდენად საბოლოო გადაწყვეტილებას კი ერთხმად იღებთ.

დანართი N7

ახლად არჩეული წევრი

გილოცავთ, თქვენ საბჭოს ახლად არჩეული წევრი ხართ. აცნობიერებთ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც ტომმა მოგანიჭათ და ნდობას, რომელიც ბელადმა გამოგიცხადათ. ამავდროულად, წესისამებრ, ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ხართ ტომის ბელადობის. თქვენი მოღვაწეობით და ღვაწლით ეს პოზიცია და ძალაუფლება

დაიმსახურეთ. თქვენთვის, როგორც საბჭოს წევრისთვის და ტომის მმართველი რგოლის წარმომადგენლისათვის აღნიშნული პრობლემის წინაშე ამ რანგში დგომა პირველი შემთხვევაა, რაც ორმაგად საპასუხისმგებლოა. აუცილებლად უნდა გაუმართლოთ ტომს და მის ბელადს ის ნდობა, რაც გამოგიცხადათ. უნდა გაითვალისწინოთ ის ტრადიციები, კულტურა და ღირებულებები, რითაც გამოირჩევა თქვენი ტომი. რაც მთავარია არავის მისცეთ თქვენი სიწმინდის შელახვის უფლება, რისთვისაც ყოველთვის სასტიკად ისჯებოდნენ ისინი, ვისაც ამის მცდელობა ჰქონდათ. მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ გამოირჩევით როგორც პროგრესულად მოაზროვნე და ყოველთვის თქვენი შეხედულებები და აზრები გაგაჩნიათ ყველაფრისადმი, რაც დასაფასებელია და თქვენ, როგორც პიროვნებას და ცალკეულ ინდივიდს ფასს გმატებთ. გარდა ამისა, თქვენი წვლილი უნდა შეიტანოთ მმართველობაში და ის ხედვები, რაც გაგაჩნიათ და გაქვთ ტომისათვის მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოთ. პირველ სამსჯავროზე შემოგყურებთ ხალხი, რასაც კარგად აცნობიერებთ და გაკვირდებათ ყველა.

მთავარი, რაც მოსვენებას არ გაძლევთ არის ის, რომ სულაც არ ფიქრობთ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს ამ შემთხვევაში სასტიკი და აუცილებლად სიკვდილით დასჯადი აღნიშნული ქმედება აღნიშნულ ჯგუფზე. გგონიათ, რომ ეს გამონაკლისია და დამოკიდებული ხართ სამსჯავროს მიმდინარეობასა და მოლაპარაკებებზე. ასევე აცნობიერებთ და კარგად გაქვთ გაგებული შემდეგი აქსიომა: ტომს რაც სწადია მას იზამს თავის ტომობის წესითა.

შეგიძლიათ განუდგეთ ტომს და მიიღოთ გადაწყვეტილება მოგზაურთა ჯგუფის სასარგებლოდ.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენსავით ფიქრობს საბჭოს ახლად არჩეული წევრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Beka Dadeshkeliani

Conformism and Conflicts Management

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Professor: Revaz Jorbenadze

Tbilisi

2017

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თოლორდავა თამარი

ჩინეთის სამხედრო სტრატეგია და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტები - სამხრეთ ჩინეთის ზღვის უსაფრთხოების დილემის ფორმატში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ჩინეთის სამხედრო სტრატეგიას და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტებს - სამხრეთ ჩინეთის ზღვის უსაფრთხოების დილემის ფორმატში.

ნაშრომში განხილული იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სწრაფვები და გზა, რომელსაც ის ამ კომპონენტების შეჯერებით გადის რეგიონული ლიდერობიდან მსოფლიო ლიდერობისკენ. ჩინეთის სამხედრო სტრატეგია და ხელოვნური კუნძულების მშენებლობა სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში იქნება თემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ნაშრომში წარმოდგენილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გამოყენებული სტრატეგიის რეალიზაციის ინსტრუმენტები ეკონომიკურ, პოლიტიკურ-იდეოლოგირ თუ სამხედრო ჭრილში, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ აღებული გეზი.

Chine's military strategy and its implementation tools – of the South Chine Sea security dilemma format.

The paper will focus on the political, economic and military aspirations of the People's Republic of China and the way in which it compares these components from regional leadership to world leadership. China's military strategy and construction of artificial islands in the South China Sea region will be the most important part of the Paper. The paper describes the tools of realization of the strategy used by the People's Republic of China in economic, political, ideological or military context, which will allow us to see the path taken by the People's Republic of China.

Keywords: South China Sea; China; Artificial islands; People's Republic of China;

სარჩევი

1. შინაარსი ---------- 5გვ
2. შესავალი ---------- 7 გვ
   2.1 საკითხის აქტუალობა/კვლევის მოტივაცია ---------- 7 გვ
   2.2 გამოკვლევის პროგრამა/მეთოდოლოგია ---------- 8 გვ
   2.3 კვლევის მიზანი ---------- 8 გვ
   2.4 კვლევის ამოცანები ---------- 8 გვ
3. თავი 1. ჩინეთი - გზა რეგიონული ლიდერობიდან მსოფლიო ლიდერობისკენ ---------- 10 გვ
   3.1 ჩინეთი - პოლიტიკურ ასპარეზზე ---------- 10 გვ
   3.2 ჩინეთი - ეკონომიკურ რბოლაში ---------- 12 გვ
   3.3 ჩინეთის სამხედრო პოტენციალი ---------- 17 გვ
   3.4 ძალთა ბალანსი რეგიონში ---------- 24 გვ
4. თავი 2. სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისი/დილემა ---------- 30 გვ
   4.1 რეალური ვითარება ---------- 30 გვ
   4.2 კონფლიქტის რუკა ---------- 48 გვ
5. დასკვნა ---------- 49 გვ
   5.1 კვლევის შედეგები ---------- 49 გვ
6. გამოყენებული ლიტერატურა ---------- 56 გვ
7. დანართი ---------- 59 გვ

1.შინაარსი

აღმოსავლეთ აზიის ოკეანის წყლების სტრატეგიული მნიშვნელობა ბოლო წლებში იზრდებოდა. ამ საზღვაო სივრცის სტრატეგიული ღირებულების გაზრდის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: (1) ოკეანის ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა, (2) სამხრეთ ჩინეთის ზღვის ტერიტორიულ კონფლიქტები და (3) საზღვაო სამხედრო ძალაუფლების გაზრდა ქვეყნების მიერ რეგიონი. რეგიონის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ჩინეთმა, საზღვაო ძალაუფლების განმტკიცებისკენ მიმართა ძალისხმევა.

სამხრეთ ჩინეთის ზღვის პრობლემა რთულია როგორც სამართლებრივად ისე პოლიტიკურად, განსაკუთრებით რთული კი მისი მოგება-მოგების სტრატეგიის, ანუ თანამშრომლობით მოგვარებაა. აზიაში აშშ-ის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური კონფლიქტის გააქტიურება წარმოქმნის კომპლექსურ და რთულ პრობლემებს, რომლებიც მეცნიერთა აზრით არის ძალიან სასარგებლო ლიანდაგი, რომელიც ზომავს ამერიკის ძალაუფლების ლიმიტს და პოტენციალს აზიური პრობლემების მოგვარებისას. (გვ.108. Jihyun Kim, Territorial Disputes in the South China Sea, Implications for Security in Asia and Beyond, summer 2015)

ნაშრომში საუბარია ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ ახალ იდეოლოგიაზე, რითაც ის პირდაპირ უპირისპირდება დასავლეთს და აშშ-ს, კერძოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავს მესამე სამყაროს წარმომადგენლად გვაცნობს და ხაზს უსვამს ყველა სახელმწიფოს უფლებას, იქნება ის დიდი თუ პატარა, დასავლური თუ აღმოსავლური, მდიდარი თუ ღარიბი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული, თანაბარი, უპრეცედენტო სუვერენიტეტის ქონის შესახებ. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დანერგოს საკუთარი მართვის სისტემა, მიუხედავად იმისა შეესაბამება თუ არა ის დასავლურ სტანდარტებს.

თემაში მოცულობითი ადგილია დათმობილი ჩინეთის ეკონომიკურ როლს გლობალურ სივრცეში. ჩინეთის „ერთი გზა -ერთი სარტყლის“ ინიციატივა, რომელიც აზიის საინვესტიციო ბანკთან ერთად ნახევარ მსოფლიოს აერთიანებს დიდ საფრთხეს წარმოადგენს როგორც აშშ-სთვის, ასევე სრულიად მსოფლიოსთვის, ვინაიდან ერთ-ერთი გზა, რომელიც გადის სამხრეთ ჩინეთის რეგიონზე თავისთავში

მოიცავს ფლოტებისთვის მომსახურების სერვისის მიწოდებას ხელოვნური კუნძულების დახმარებით, ავტომატურად აიძულებს ნახევარ მსოფლიოს ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტი სპრატლის კუნძულსა და U-line-ის (nine dash line) ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო საზღვა ტვირთბრუნვა დამოკიდებული იქნება ერთ სახელმწიფოზე და სმიტის უხილავი ხელი, რომელიც მართავს საბაზრო ეკონომიკას, მარტივად გახდება ყველასთვის ხილული.

ნაშრომში საუბარი იქნება ჩინეთის სამხედრო პოტენციალზე და მზარდ საშიშროებაზე, რაც ხელოვნური კუნძულების მშენებლობით გამოიხატება. ნაშრომში ფართოდაა განხილული სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისის საკითხი და ჩინური მხარის არგუმენტები სუვერენიტეტთან დაკავშრებით. ნაშრომში წარმოდგენილია საუკუნეს საქმედ წოდებული ფილიპინები-ჩინეთის ქეისი.

სამაგისტრო ნაშრომი გვთავაზობს არსებული კონფლიქტის რუკას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საკითხში გარკვევისთვის, ხოლო თემის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები.

2. შესავალი

2.1 საკითხის აქტუალობა/კვლევის მოტივაცია

სამხრეთ ჩინეთის ზღვა და ჩინეთის საკითხი არასდროს ყოფილა ისეთი აქტუალური როგორიც დღეს არის. ეკონომიკური ზრდის ტემპი, გაეროს რიგი დარღვეული კონვენციები და ტიტანურად მზარდი შეიარაღება ჩინეთის მხრიდან უამრავი მკვლევარის ყურადღებას იქცევს. საზოგადოება ყოველთვის ინტერესდება ისეთი მოვლენებით, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო სისტემების ცვლილებას და გარკვეული სახელმწიფოების წინ წამოწევას. ჩვენ თვალს ვადევნებთ 21-ე საუკუნეში როგორ იცვლება საერთაშორისო სისტემა უნიპოლარულიდან მულტიპოლარულისკენ და ამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზის სახელწოდება არის ჩინეთი.

სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონი დღეს არის საერთაშორისო გავლენების ტურბულენტური ზონა, სადაც ძალიან დიდი ძალები ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ. ეს არის რეგიონი სადაც ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს, ჩინეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, რუსეთის, გაეროს და სხვა დიდი მოთამაშეების ინტერესებს, რომლებიც დაპირისპირებაში მოდიან ერთმანეთთან.

კონფლიქტოლოგისთვის უმნიშვნელოვანესია იკვლიოს აღნიშნული გრავიტაციული გარემო და დაადგინოს კონფლიქტის მიზეზები, მხარეთა პოზიციები, მიზნები და გზა საითაც მიემართება ეს დავა, ვინაიდან ეს არის კონფლიქტი, რომლის გლობალურობა საგანგაშოდ სახიფათოა მთელი მსოფლიოსთვის.

საქართველოში ძალიან ცოტა არის დაინტერესებული აღნიშნული საკითხით, რაც ასევე არის ძალიან ცუდი, ვინაიდან აღსანიშნია ის ფაქტი, რომ საქართველო არის „ერთი გზა - ერთი მარშუტის“ პროექტის წევრი, ასევე აშშ სტრატეგიული პარტნიორი და რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანა, რომელიც ავტომატურად იქნება ჩათრეული კონფლიქტში მისი უფრო მეტად ესკალაციის შემთხვევაში. ეს არის ის გარემოებები, რაც გახდა მოტივატორი შექმნილიყო ეს ნაშრომი.

2.2გამოკვლევის პროგრამა/მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ დისკურსის ანალიზი, რომლის დროსაც მოხდა სხვადასხვა მკვლევარის წიგნების, კვლევითი და გონითი ცენტრების ანგარიშებისა და კვლევების დაშვებების გამოყოფა და შედეგების ანალიზი. კვლევაში გამოყენებულია ასევე ქეის სთადი (კონკრეტული შემთხვევებით კვლევა), როგორიცაა „ერთი გზა -ერთი სარტყლის“ ეკონომიკური პროექტის და სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისი.

2.3კვლევის მიზანი

კვლევის დასაწყისში არსებობს მოსაზრება, ერთგვარი ჰიპოთეზა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთი რეგიონული ლიდერობიდან გზას იკაფავს მსოფლიო ლიდერობისკენ. კვლევის მიზანიც არის შემდეგი, რომ დადგინდეს ჩინეთის ამბიციების სიმაღლე, რათა ზოგადი სურათი დავინახოთ იცვლება თუ არა საერთაშორისო სისტემა თუ ჩინეთი რჩება ისევ რეგიონულ მოთამაშედ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთის მიერ გაცხადებულ მის ინტერესის სფეროებში შედის ევრაზია, აფრიკა და ლათინური ამერიკა, სავარაუდოა, რომ ჩინეთი, განვიტარების მსგავსი ტემპებით აღარ დასჯერდება რეგიონული ლიდერის სტატუსს. კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ეს ყოველივე რეალობას.

2.4კვლევის ამოცანები

იმისთვის, რომ კვლევის მიზანი მიღწეული იქნეს და დადგინდეს ჩინეთის მისწრაფებები საჭიროა რამოდენიმე ამოცანის შესრულება. კვლევის ამოცანაა დაადგინოს რამდენად არის ჩინეთი სამხედრო კუთხით მზად შეეჭიდოს მსოფლიო ლიდერის სტატუსს, მეორე ამოცანას წარმოადგენს დადგინდეს რა მასშტაბებით და ტემპით იზრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა და რა გავლენები აქვს ამ ყოველივეს საერთაშორისო საზოგადოებაზე და მესამე ამოცანაა დანახვადი გახდეს

ჩინეთის პოლიტიკური ამბიციები და რამდენად არის მზაობა მსოფლიო სუპერ-ძალებთან დაპირისპირების.

ეს სამი ამოცანა დაგვანახებს მთლიან სურათს მიდის თუ არა ჩინეთი დასახული მიზნისკენ.

3. თავი 1. ჩინეთი - გზა რეგიონული ლიდერობიდან მსოფლიო ლიდერობისკენ

3.1 ჩინეთი - პოლიტიკურ ასპარეზზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საკუთარ თავს წარმოდგენს როგორც მესამე სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საგარეო/საერთაშორისო სამშვიდობო პოლიტიკა. მესამე სამყარო - ამ ტერმინის უკან ჩინეთის სწავლულები გულისხმობენ იმ ფაქტს, რომ ქვეყანა არის ღარიბი და განვითარებადი, ასევე ის არ წარმოადგენს არცერთი „სუპერ ძალის“ ბლოკს, როგორიც იქმნება ხოლმე ამერიკის შეერთებული შტატების ირგვლივ, ან როგორიც იყო სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მსგავსად. „დამოუკიდებლობა“ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ აყენებს თავს რომელიმე დიდი ძალის გვერდით, იგი ცდილოვს დამოუკიდებლად განვითარდეს და აშენოს მშვიდობა (გვ.1. Principles of China’s Foreign Policy. ASIA FOR EDUCATORS. Colombia University. 2009).

ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება ხუთ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა
- ორმხრივი თავდაუსხმელობის პატივისცემა
- ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა
- თანასწორობა და ორმხრივი სარგებელი
- მშვიდობიანი თანაცხოვრება

5 ძირითადი პრინციპი, რითაც დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმართავს საკუთარ საგარეო ურთიერთობებს, მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1954 წელს, როდესაც ჩინეთი, კომუნისტური მთავრობით სათავეში, ცდილობდა აზიის არაკომუნისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის დალაგებას (გვ.1. Andrew J. Nathan, Chinese politics. Columbia University. 2009).

დღეს, ეს ხუთი პრინციპი კვლავ ემსახურება სასარგებლო მიზანს, რითაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამერიკული კონცეფციის ალტერნატივას, ახალი ტიპის მსოფლიო წესრიგს სთავაზობენ მსოფლიოს. ამერიკული სტანდარტი - სადაც საერთაშორისო წყობა და რეჟიმები ხშირად ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების ღირებულებებს და ინტერესებს, ზღუდავენ სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს შექმნან, განავითარონ ან გაყიდონ მასობრივი განადგურების იარაღი, დაიცვას ადამიანის უფლებები, განახორციელოს მერკანტილისტური და მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას და ზიანს აყენებს გარემოს. ჩინეთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ხედვა ხაზს უსვამს ყველა სახელმწიფოს უფლებას, იქნება ის დიდი თუ პატარა, დასავლური თუ აღმოსავლური, მდიდარი თუ ღარიბი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული, თანაბარი, უპრეცედენტო სუვერენიტეტის ქონის შესახებ. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დანერგოს საკუთარი მართვის სისტემა, მიუხედავად იმისა შეესაბამება თუ არა ის დასავლურ სტანდარტებს. კიდევ ერთი შეთავაზება ასეთი სისტემისთვის არის „მრავალფეროვნება“, რომელიც პასუხობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველობის ხუთ ძირითად პრინციპს, და რომლითაც აიხსნება ის, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სუსტ ქვეყნებში თავისი ღირებულებების დაწესება. ამდენად, ძირითადი პრინციპი, რომლითაც ჩინეთი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობებს ქვეყნებთან, არის სუვერენიტეტი, რომ არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში (Robert S. Ross, The Great Wall and Empty Fortress: China's Search for Security).

ჩინეთის პოზიციიდან გამომდინარე ის არ ცდილობს ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას, ჰეგემონია 1960-იანებში საბჭოთა კავშირის და მისი ექსპანსიონიზმის მთავარი კოდი იყო. დღეს ჩინეთი იგივე ტერმინს იყენებს იმის აღსაწერად რასაც აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკული ნების აღსრულების სახით სხვა ქვეყნებზე, იქნება ეს ვაჭრობის პრაქტიკა, იარაღის გავრცელება თუ ადამიანის უფლებები. ჩინეთი ამშვიდებს მის შედარებით პატარა მეზობელ ქვეყნებს, რომ მისი მზარდი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი არასდროს იქცევა რეგიონული დაშინების იარაღად მის

ხელში (W. W. Norton, The Great Wall and the Empty Fortress. New York. 1997), თუმცა მისი სამეზობლო კონფლიქტები სხვა რამეზე მეტყველებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველ კონფლიქტზე გამოდიოდა ერთი წინადადებით, რომ დავა უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებით. ეს იყო მათი პოზიცია ერაყისა და ირანის ომის დროს, იგივე პოზიცია გააჩნდათ ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირების დროს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის და ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის დროს. U.N.- ის (გაერო) სხდომებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხშირად თავს იკავებს ან საერთოდ არ აძლევს ხმას ინტერვენციებს და მსგავსი უხეში გზების გამოყენებას, იქნება ეს სამოქალაქო ომის დასრულება, ტერორიზმის შეჩერება თუ რაიმე სხვა მსგავსი დონის საკითხი. ჩინეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის უარყოფითი ხმა წარმოადგენს ვეტოს, რითაც იგი ხშირად ანაწყენებს რეზოლუციის მომხრე ქვეყნებს.

რა თქმა უნდა, ეს კარგად გამოხატული მორალური პრინციპები არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის საგარეო ურთიერთობები არ არის რეალისტური ან სტრატეგიული. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პრინციპები რეალურად შეესაბამება ჩინეთის სტრატეგიას, განსაკუთრებით იმ აქტორებთან მიმართებაში, რომლებიც შორს იმყოფებიან ჩინეთიდან, როგორიცაა აფრიკა, ლათინური ამერიკა და ა.შ, თუმცა როდესაც საქმე მათ რეგიონს ეხება, ჩინეთის პოლიტიკა და რიტორიკა ხდება მეტად მოქნილი და მორგებადი.

3.2 ჩინეთი - ეკონომიკურ რბოლაში

ჩინეთი 1970-იან წლებში ცენტრალურ და დაგეგმილ დახურულ ეკონომიკურ მოდელზე გადავიდა. მას შემდეგ, რაც 1978 წელს ბაზრის რეფორმების ინიცირება დაიწყო, აზიის გიგანტმა ეკონომიკური ზრდის ყოველწლიური 10%-იანი მაჩვენებელი მიიღო, რის შედეგადაც ნომერი 2 ეკონომიკა გახდა მსოფლიოში.

2015 წელს ჩინეთმა სააშკარაოზე გამოიტანა „ერთი სარტყელი-ერთი გზის“ ოფიციალური სამოქმედო გეგმა. ინიციატივაში საუბარი იყო 65 ქვეყანაზე (იხ.ცხრილი. 1.), რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო აღნიშნულ პროექტში.

(ცხრილი 1.)



Region	Country
East Asia	China, Mongolia
Southeast Asia	Brunei, Cambodia, Indonesia, Laos, Malaysia, Myanmar, Philippines, Singapore, Thailand, Timor-Leste, Vietnam
Central Asia	Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan, Uzbekistan
Middle East and North Africa	Bahrain, Egypt, Iran, Iraq, Israel, Jordan, Kuwait, Lebanon, Oman, Qatar, Saudi Arabia, Palestine, Syria, United Arab Emirates, Yemen
South Asia	Afghanistan, Bangladesh, Bhutan, India, Maldives, Nepal, Pakistan, Sri Lanka
Europe	Albania, Armenia, Azerbaijan, Belarus, Bosnia and Herzegovina, Bulgaria, Croatia, Czech Republic, Estonia, Georgia, Hungary, Latvia, Lithuania, Macedonia, Moldova, Montenegro, Poland, Romania, Russia, Serbia, Slovakia, Slovenia, Turkey, Ukraine

ეს 65 ქვეყანა, რომელიც რომელიც მდებარეობენ „ერთი სარტყელი- ერთი გზის“ არეალში შექმნიან „ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროს“, რომელიც გადაჭიმულია დასავლეთ წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე (გვ.1. The Belt and Road Initiative: 65 Countries and Beyond, FUNG BUSINESS INTELLIGENCE CENTRE, May 2016). გამოთვლების მიხედვით, ეს 65 ქვეყანა ერთობლივად ქმნის (იხ.ცხრილი. 2.) 62.3%, 30.0% და 24.0% მსოფლიო მოსახლეობას, მშპ-ს და სხვა.

(ცხრილი. 2.)



ჩინეთის აღნიშნული ეკონომიკური ინიციატივა არის უდიდესი პლატფორმა ყველა აქტორისთვის, ვისაც სურს წვლილი შეიტანოს გლობალური კავშირის განვითარებაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის, ქსი ჯიმპინის განცხადებით -„ ინიციატივა ღიაა თანამშრომლობისთვის, იგი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, უძველეს აბრეშუმის გზას. ერთი სარტყელი- ერთი გზაა ღიაა ყველა ქვეყნის, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციებისთვის“. პრეზიდენტმა ქსი ჯიმპინმა მის არაერთ გამოსვლაში დააფიქსირა მისი პოზიცია, რომ აღნიშნული ინიციატივა არის მოგება-მოგების სტრატეგიაზე დამყარებული მომგებიანი პროექტი, რომელიც ემსახურება ჩინეთისა და სხვა ქვეყნების განვითარებას.

65 ქვეყნის გარდა, რომლებიც მონაწილეობენ ინიციატივაში, კიდევ 48 ქვეყანამ გამოთქვა სურვილი და დაინტერესება აღნიშნული პროექტის მიმართ, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) გაწევრიანების გზით, რომელიც გულისხმობს ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და სხვა მრავალი ფორმის თანამშრომლობას ჩინეთთან. (იხ.დანართი)

The Asian Infrastructure Investment Bank (AIIB) - აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი დაარსების იდეა შემოთავაზებულ იქნა 2013 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ, რომლის განხორციელებაც 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც 22 ქვეყანამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს - Memorandum of Understanding (MOU). 2015 წლის 31 მარტამდე წევრობის მსურველ ქვეყნებს უნდა წარედგინათ აპლიკაცია, რის შედეგადაც 57 ქვეყანა გახდა (AIIB)

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის წევრი. (იხ.დანართი)
57 ქვეყნიდან 37 არის აზიური ქვეყანა, ხოლო დანარჩენი 20 ევროპული, აფრიკული და ლათინო ამერიკული (იხ. ცხრილი. 3.). აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი ოფიციალურად ღიად 2016 წლის 16 იანვარს გამოცხადდა. (იხ.დანართი)(გვ.7. The Belt and Road Initiative: 65 Countries and Beyond, FUNG BUSINESS INTELLIGENCE CENTRE, May 2016)

AIIB-ის ხელისმომწერი 57 ქვეყანა.

(ცხრილი. 3.)

ავსტრალია	დანია	ინდონეზია	ლაოსი	ნიდერლანდები	კატარი
ავსტრია	ეგვიპტე	ირანი	ლუქსემბურგი	ახ.ზელანდია	რუსეთი
აზერბაიჯანი	ფინეთი	ისრაელი	მალაიზია	ნორვეგია	საუდ.არაბეთი
ბანგლადეში	საფრანგეთი	იტალია	მალდივები	ომანი	სინგაპური
ბრაზილია	საქართველო	იორდანია	მალტა	პაკისტანი	სამხ.აფრიკა
ბრუნეი	გერმანია	ყაზახსტანი	მონღოლია	ფილიპინები	სამხ.კორეა
კამბოჯა	ისლანდია	ქუვეითი	მეანმა	პოლონეთი	ესპანეთი
ჩინეთი	ინდოეთი	ყირგიზეთი	ნეპალი	პორტუგალია	შრი-ლანკა
შვედეთი	შვეიცარია	ტაჯიკეთი	ტაილანდი	თურქეთი	გ.ა.ე.
გაერთ.სამეფო	უზბეკეთი	ვიეტნამი			

2015 წლის 28 მარტს, ბოაოს ფორუმზე ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების კომისიამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან და ფინანსთა მინისტრთან ერთად წარადგინეს „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ სამოქმედო გეგმა. ფორუმზე გაჟღერებული იქნა, რომ - „ ერთი სარტყელი - ერთი გზის პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკური ფაქტორების თანმიმდევრულ და თავისუფალ დინებას, რესურსების მაღალეფექტურ განაწილებას და ბაზრების „ღრმა“ ინტეგრაციას. პროექტი ემსახურება ერთი სარტყელი - ერთი გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი სტანდარტების უფრო ფართო და ღრმა რეგიონალურ თანამშრომლობას.“ (გვ.8. The Belt and Road Initiative: 65 Countries and Beyond, FUNG BUSINESS INTELLIGENCE CENTRE, May 2016)

ეს ყოველივე კიდევ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებით ერთობლივად შექმნის ღია, ინკლუზიურ და დაბალანსებულ რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის არქიტექტურას, რომელიც სარგებელს მოუტანს ყველას.

პროექტ „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ გეოგრაფიულად საკმაოდ დიდი მანძილის დაფარვა აქვს (იხ.სურ.1.). სამოქმედო გეგმის თანახმად, სარტყელს ექნება სამი მარშრუტი, ხოლო გზას ორი.

(სურათი 1.)

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი

4 ჩინეთი - ცენტრალური აზია - რუსეთი - ევროპა

5 ჩინეთი - ცენტრალური აზიის დასავლეთ აზია - სპარსეთის ყურე - ხმელთაშუა ზღვა

6 ჩინეთი - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია - სამხრეთ აზია - ინდოეთის ოკეანე

21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა

- ჩინეთის სანაპირო - სამხრეთ ჩინეთის ზღვა - ინდოეთის ოკეანე - ევროპა
- ჩინეთის სანაპირო - სამხრეთ ჩინეთის ზღვა - სამხრეთ წყნარი ოკეანე

ერთი სარტყელი - ერთი გზის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციის შემდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქსი-მ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კიდევ

60-მდე ქვეყანა გამოთქვამს ინტერესს პროექტში მონაწილეობასთან დაკავშრებით. (გვ.9. The Belt and Road Initiative: 65 Countries and Beyond, FUNG BUSINESS INTELLIGENCE CENTRE, May 2016). ჩინეთის ამ ეკონომიკურ ინიციატივას გააჩნია ასევე საკუთარი ხედვა პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის, ვაჭრობის, ფინანსებისა და ხალხის მიმართ, რაც 5 ძირითად ამოცანად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- პოლიტიკის კოორდინაცია
- შესაძლებლობების განვითარება
- ვაჭრობისა და ინვესტირების ლიბერალიზაცია და ხელშეწყობა
- ფინანსური თანამშრომლობა

როგორც პროექტიდან ჩანს, სამხრეთ ჩინეთის ზღვა იქნება ერთ-ერთი მარშუტის გამტარი, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს სიტუაციას, ვინაიდან ათობით მონაწილე და კიდევ უფრო მეტი დაინტერესებული ქვეყანა იძულებული იქნება დაემორჩილოს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ თამაშის პირობებს. გარდა იმისა, რომ ჩინეთმა წამოიწყო ძალიან დიდი ეკონომიკური ბრძოლა ყველა დანარჩენი აქტორის წინააღმდეგ, პროექტში გაერთიანდა 100-ზე მეტი ქვეყანა და რეალურად საქმე ეხება გლობალურ ეკონომიკურ რბოლას, რომელიც მიმართულია ჩინეთის პოზიციების გამყარებისკენ.

3.3 ჩინეთის სამხედრო პოტენციალი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალები მოიცავს სახმელეთო, საზღვაო,საჰაერო და სამხედრო პოლიციის ძალებს.

(ცხრილი. 4.)

Figure 1. Chinese Military and Security Personnel

Figures are approximate



Source: *The Military Balance 2016*, International Institute for Strategic Studies (London: Routledge, 2016).

1,3 მილიარდიანი მოსახლეობით, აშშ-ის მოსახლეობაზე 4-ჯერ მეტი, ჩინეთს ჰყავს 2,3 მილიონიანი აქტიური სამხედრო მოხელე, დამატებით კი 1,1 მილიონი რეზერვისტი და პლიუს სამხედრო პოლიცია. ასევე სახალხო განმათავისუფლებელი არმია (PLA), რომელიც დღესდღეობით შემცირდა, თუმცა დაარსების მომენტში 1992 წელს შეადგენდა 3 მილიონზე მეტ აქტიურ სამხედრო მოხელეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ ჩინეთის ბოლო ორი ომი გამოირჩეოდა ხანმოკლეობით, 1979 წელს ვიეტნამთან და 1953 წელს კორეის ომი, რაც საფუძველს გვაძლევს იმის თქმის, რომ ჩინეთი არ ყოფილა ჩართულ ხანგრძლივ კონფლიქტში ბოლო პერიოდში.

(ცხრილი. 5.)

Figure 3. PLA Modernization by Type of Forces, 2000-2010



Source: *2011 DOD CMSD*, p. 43.

Notes: The DOD report notes, "For surface combatants 'modern' is defined as multi-mission platforms with significant capabilities in at least two warfare areas. 'Modern' for submarines is defined as those platforms capable of firing an anti-ship cruise missile. For air forces, 'modern' is defined as 4th generation platforms (Su-27, Su-30,

უცხოური შეძენისა და საშინაო ინოვაციების კომბინაცია ხელს უწყობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალის მოდერნიზაციის პროცესს.

(ცხრილი. 6.)

Figure 5. Percentage of GDP Spent on the Military

Comparison Among Major Asia-Pacific Countries



Source: Stockholm International Peace Research Institute (SIPRI) Military Expenditure Database.

Notes: SIPRI uses its estimate of China's actual military spending, not the PLA's official budget.

ეს სქემა გვიჩვენებს, რომ ჩინეთი მუდმივად ხარჟავს მისი მშპ-ს 2%-ს თავდაცვაზე.

2017 წლის მონაცემებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბიუჯეტის 7% თავდაცვაზე მოდის. რათქმაუნდა ჩინური სამხედრო პოტენციალი ჯერ კიდევ ბევრად დაბალია

ვიდრე ამერიკული, თუმცა ბევრი ჩინელი მკვლევარი საპირისპიროს ამტკიცებს, რომ ფაქტი და განცხადება ერთია, თუმცა რეალური მაჩვენებელი ბევრად მაღალია. ამ ფაქტის საპასუხოდ დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ 2018 წლისთვის დაგეგმილ ბიუჯეტში 10% გაზრდის თავდაცვის ხარჯებს. რათქმაუნდა აღნიშნულმა განცხადებამ შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ეს ყოველივე ძალიან ემსგავსება გამალებულ შეიარაღებულ რბოლას

(სურათი. 2.)



(სურათი. 3.)



ცხრილები კარგად აღწერს მსოფლიოში ნომერი 3 სამხედრო ძალის მოცულობას ციფრებში, თუმცა უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიტანოთ სხვა პარამეტრებიც, კერძოდ ჩინეთი არის სწრაფად მზარდი სამხედრო ძალა რომელსაც აქვს მთელი რიგი ხელისშემწყობი ფაქტორი ამისთვის, რაც მდგომარეობს შემდეგში:

მოსახლეობა - 1,373,541,278

სამუშაო ძალა - 750,000,000

ბრძოლისუნარიანი მოქალაქე - 619,000,000

სამხედრო სავალდებულო ასაკს მიღწეული - 19,550,000

მთლიანი სამხედრო ადამიანური ძალა - 3,712,500

აქტიური სამხედრო ძალა - 2.260.000

რეზერვისტები - 1,452,500

ჩინურ სამხედრო ტექნიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საჰაერო ძალას, რომელიც თანამედროვე სამხედრო ძალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

მთლიანი საავიაციო ძალა -2,955

გამანადგურებელი ავიაცია - 1,271

შემტევი ავიაცია - 1,385

გადამზიდი ავიაცია - 782

წრთვნისთვის განკუთვნილი ავიაცია - 352

მთლიანად თვითმფრინავების რაოდენობა - 912

შემტევი თვითმფრინავები - 206

ჩინეთის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს სახმელეთო ტექნიკა, როგორიცაა ძირითადი და მსუბუქი ტიპის ტანკები.

საბრძოლო ტანკები - 6,457

ჯავშნიანი შემტევი-სატრანსპორტო ტექნიკა - 4,788

თვითმავალი არტილერია - 1,710

საბუქსირო არტილერია - 6,246

რაკეტმტყორცნები/დამგეგმავები - 1,770

ჩინეთი აქტიურად ცდილობს სახმელეთო და საფაერო თავდაცვის პარალელურად განავითაროს საზღვაო თავდაცვა, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სრულად საზღვაო აქტივები - 714

ავიაციის გადამზიდი - 1

ფრეგატები - 51

გამანადგურებლები - 35

კორვეტები - 35

წყალქვეშა ნავები - 68

საპატრული გემები - 220

ჩინეთის სამხედრო ძალას, და არამხოლოდ, არსებობისთვის სჭირდება დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით კი ნავთობი.

აწარმოებს ერთ დღეში (ბარელებშ) – 4,189,000

მოიხმარს ერთ დღეში (ბარელში) – 10,120.000

რეზერვაციაში აქვს (ბარელში) – 25,000,000,000

ომში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ლოჯისტიკა, კერძოდ საჭირო ადგილას საჭირო დროში გადაიყვანო ადამიანური თუ ტექნიკური რესურსი, სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

სამუშაო ძალა - 805,900,000

კომერციული საზღვაო ძალა - 2,030

ძირითადი პორტები/ტერმინალები - 15

საგზაო დაფარვა (კმ) – 3,860,800

სარკინიგზო დაფარვა (კმ) – 86,000

აეროპორტები - 507

ომი წარმოებს ერთი დიდი პრინციპით „ძალა ციფრებშია“, რაც უფრთხობს ძილს ნახევარ მსოფლიოს ჩინეთის მზარდი ეკონომიკის შემყურეს. ფინანსები არის საძირკველი ომის წარმოების. ყველა მონაცემი მოცემულია აშშ $-ში.

თავდაცვის ბიუჯეტი - 161,700,000,000

საგარეო ვალი - 983,500,000,000

უცხოური გაცვლა (ოქრო) – 3,092,000,000,000

ომში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მდებარეობა და სტრატეგიული განლაგება, შესაბამისად შემდეგი ფაქტორი არის -გეოგრაფია.

სახმელეთო ფართობი (კვ.კმ) - 9,596,961

სანაპირო ზოლი (კმ) – 14,500

საერთო საზღვრები (კმ) – 22,457

ფარვატერები (კმ) – 110,000

(http://www.globalfirepower.com/country-military-strength-detail.asp?country_id=china)

ბირთვული სახელმწიფო, რომელიც ფლობს ძალიან დიდი რაოდენობის შეიარაღებას და სამხედრო ძალას, აქვს პრეტენზიები რიგ ტერიტორიებზე და ამას არგუმენტირებულად ასაბუთებს, არის მსოფლიოს ნომერი 2 ეკონომიკა და აქვს დედამიწაზე ყველაზე მზარდი ეკონომიკა, დიდ სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის, ასევე მსოფლიო წესრიგისთვის, ვინაიდან მსგავსი მზარდი ძალა ყოველთვის მოითხოს საკადრისს გავლენებს, რაც გამოიწვევს

გავლენების სფეროების ხელახალ გადანაწილებას, რაც ისტორიამ გვიჩვენა, რომ არასდროს ყოფილა უმტკივნეულო მსოფლიო მშვიდობისთვის.

3.4 ძალთა ბალანსი რეგიონში.

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ინტენსიური კონკურენციის პერიოდში საზღვაო დაძაბულობა იზრდება, თუმცა ურთიერთობები სავარაუდოდ კვლავ რჩება სამხედრო კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობა არის ყველა მხარის ოფიციალური პოზიცია, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ ტაქტიკურ მანევრებს სამიტის შეხვედრებსა და სტრატეგიულ დიალოგებს რეგიონულ კონფერენციებზე.

(სურათი. 4.)

პირველად XVIII საუკუნის შემდეგ, აზია ხდება მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო პოლიტიკის ლოკუსი. მთელს მსოფლიოში გლობალური ენერგიის თვალსაზრისით იქნება ეს მთლიანი შიდა პროდუქტის, მოსახლეობის დონე, თავდაცვის ხარჯები თუ ინვესტიციები ტექნოლოგიებში, აზია ჩამოართმევს პირველობას ევროპასა და ჩრ.ამერიკას 2030 წლისთვის. თავისმხრივ აზიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩინეთს, რომელიც არის ყველაზე დიდი მამოძრავებელი გენერატორი, რომელიც ელვისებური სისწრაფით იზრდება და შეინარჩუნებს ამ ზრდის რიტმს.

Price water house Coopers-ის, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური/საბუღალტრო ფირმის განცხადებით ჩინეთი ინდოეთი და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზია წარმართავენ მომავალში მსოფლიო ეკონომიკას. ინდონეზია გახდება 9-დან რიგით 4-ე ეკონომიკა მსოფლიოში, ხოლო ფილიპინები გადაინაცვლებს 20-ე ადგილას. რამდენადაც სამხედრო ძალის მნიშვნელობა დამოკიდებულია ეკონომიკურ დაწინაურებაზე, იმდენად იზრდება სახმრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონის მნიშვნელობაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საზომი რეგიონში ძალთა ბალანსის არის დემოგრაფია. დღეს მსოფლიო არის 7 მილიარდი ადამიანის სახლი, თუმცა 2025 წლისთვის ეს რიცხვი მიაღწევს 8 მილიარდს და 2050 წლისთვის 9 მილიარდს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის გამოკლებით მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ ეტაპზე ვხვდებით 633 მილიონ ადამიანს, ხოლო 2020 წლისთვის მათი ნახევარზე მეტი იქნება 30 წლამდე ასაკის, რაც ცალსახად მიუთითებს იმას რომ ეს რეგიონი გარდა იმისა რომ დემოგრაფიული გადასვლის 3-ე ფაზაში იმყოფება, გახდება მეტად მნიშვნელოვანი მსოფლიოსთვის, ვინაიდან მისი მზარდი ურბანული ბაზრები სავარაუდოდ სავსეა უფრო კარგად განათლებული და შუა კლასის წარმომადგენლებით.

ეს არ არის მხოლოდ ფული და ხალხი, ან უბრალო სტატისტიკური მონაცემები, ეს არის ის ძალა და გავლენა რასაც ფლობს სამხრეთ ჩინეთის ზღვა. მსოფლიო სავაჭრო გადაზიდვების ნახევარზე მეტი (5,3 ტრილიონი დოლარის ღირებულების) გადის სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე.

რობერტ კაპლანის მსგავსად ბევრი საუბრობს იმ ფაქტზე, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვა ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ უნდა იყოს, ისევე როგორც კარიბის კუნძულები ამერიკის, თუმცა სამხრეთ ჩინეთის ზღვის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე კარიბის, თუნდა სამი მიზეზის გამო.

1) ოცდამეერთე საუკუნე უნდა ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობას და არა გავლენების სფეროებს, როგორც ეს იყო მეცხრამეტე საუკუნეში.
2) ASEAN- ის ეკონომიკა გაცილებით დიდია კარიბის ზღვისაზე.

3) სამხრეთ ჩინეთის ზღვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა გლობალური ეკონომიკისთვის, განსხვავებით კარიბის ზღვისგან (თუმცა ესპანურ-ამერიკული ომის შემდეგ და პანამის არხის გაჭრის შემდეგ ამ უკანასკნელმა საკმაოდ დიდი დატვირთვა შეიძინა).

სამხრეთ ჩინეთის ზღვა არ არის კარიბის ზღვის ანალოგია, ის გაცილებით მეტია, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის 2015 წლის აზიის საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად აზია-წყნარი ოკანის გზების მნიშვნელობა არ არის გადაჭარბებული, ამის დასამტკიცებლად იმის ჩვენებაც კმარა, რომ ყოველწლიურად მსოფლიო საზღვაო ტვირთბრუნვის 30% ხორციელდება სულ მცირე და 15 მილიონზე მეტი ბარელმა ნავთობი გადის დღეში.

ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაცია რეგიორში სტაბილურობას არღვევს.

ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორი ხაზს უსვამს აზიის და აღნიშნული რეგიონის მზარდ სამხედრო მნიშვნელობას. აზიელები ახლა უფრო მეტს ხარჯავენ თავდაცვაზე, ვიდრე ევროპელები, ხოლო აზიის თავდაცვის ხარჯები იზრდება იმ დროს, როცა გლობალური სამხედრო ხარჯები მცირდება. The Stock-holm International Peace Research Institute-ის მონაცემებით ზოგადად გლობალური სამხედრო დანახარჯები ერთი წლის განმავლობაში ოდნავ შემცირდა, აზია-წყნარი ოკეანის თავდაცვის ხარჯები კი 2014 წელს 5%-ით გაიზარდა. რეგიონული სამხედრო ხარჯებმა მთლიანობაში მიაღწია 439 მილიარდ დოლარს, ეს კი დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ ჩინეთი ინარჩუნებს 9,7%-იან ზრდის ტემპს. ეს დისბალანსი აწუხებს სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონის ქვეყნებს, კერძოდ, 2005 წლიდან ვიეტნამის თავდაცვის ხარჯები 128%-ით გაიზარდა. ეს ტენდეცია სავარაუდოდ გაგრძელდება ინდოეთთანაც, რომელმაც განაცხადა, რომ წლევანდელი წლისთვის თავდაცვის ხარჯების 11%-იანი ზრდა დაფიქსირდა და იგივე კურს ატარებს ინდონეზიაც.

ცხადია ამ გამალებულ სამხედრო რბოლაში მთავარი არბიტრი ჩინეთია, სწორედ ამიტომ 2009 წელს დაიწყო მუშაობა ამერიკულმა უსაფრთხოების ცენტრმა The Center for a New American Security (CNAS). რას ნიშნავს მსგავსი მილიტარიზაცია ჩინეთის მსოფლიოსთვის ამაზე Peter Navarro, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი, სხვადასხვა ნაშრომები და ანგარიშები ხსნის.

- სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (PLA) რეალური ბიუჯეტი დღეს არის 200 მილიარდი დოლარი, რასაც ემატება ჩინეთის წლიური ზრდის 2% თავდაცვით ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის თავდაცვის ხარჯები ბიუჯეტის 4%-ს შეადგენს, ის შეილება უკან მოიტოვოს ჩინეთმა რამდენიმე წელიწადში. ჩინეთს აქვს სტრატეგიული სიღრმე და მიწის ბაზები, საიდანაც გამომდინარეობს მისი სწრაფვა გახდეს მოწინავე საზღვა ძალაც.
- ჩინეთი აშენებს ბევრად უფრო ეფექტურ შესაძლებლობებს, რათა საბოლოოდ გააკონტროლოს საზღვაო და საჰაერო სივრცე, ასევე კიბერ და გარე სივრცე, სამხრეთ და მის გარშემო.
- nine-dash line-ის გასწვრივ ხელოვნური კუნძულების მშენებლობა არ არის მხოლოდ ამ ხაზის შემოფარგვლა, არამედ ის ემსახურება მეზობლების წინააღმდეგ ბერკეტების მოპოვებას და საერთაშორისო სამართალწარმოების დარღვევას.
- ჩინეთის ქმედებები შეიცავს სამ მხარეს, ეს არის ინფორმაციული, იურიდიული და ფსიქოლოგიური.

ეს არის ის ფაქტები, რასაც ხედავს გარე სამყარო.

ხელოვნური კუნძულები

ჩინეთის გააქტიურება რეგიონში ცალსახაა, ამას ადასტურებს ხელოვნური კუნძულების მშენებლობაც. 2014 წლის იანვრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გააააქტიურა სპრატლის ათვისების გეგმა და დაიკავა მისი კუნძლები, კერძოდ: Fiery Cross Reef, Mischief Reef, Subi Reef, South Johnson Reef, Gaven Reef, Cuarteron Reef, and Hughes Reef, სადაც ჩინეთი აგრძელებს ხელოვნური კუნძულების მშენებლობას, მათ მილიტარიზაციას, შეჰყავს ჯარები, აგებს ნავსადგურებს და ამაგრებს საჰაერო ხომალდებს, სარადარო და სათვალთვალო სისტემებს. ეს ყოველივე აღაშფოთებს რეგიონის და სხვა სუპერ სახელმწიფოებს, ვინაიდან ცხადი ხდება რომ ჩინეთის მსგავსი მზადება ემსახურება nine-dash line-ის ტერიტორიულ და იურისდიქციულ მოთხოვნებს, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ზღვის 60-80% ფარავს.

2015 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველად ახსნა სამხრეთ ჩინეთის ზღვის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი

კუნძულების მშენებლობის მიზეზი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა Hua Chunying-მა განაცხადა, რომ ჩინეთის „მოვლა-პატრონობითი სამუშაოების“ მიზანი იყო, პირველ რიგში, მათი ფუნქციების ოპტიმიზაცია, იქ არსებული პერსონალის საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უკეთესი ტერიტორიული სუვერენიტეტისა და საზღვაო უფლებების დაცვა, საზღვაო მეცნიერება და კვლევა, მეტეოროლოგიური დაკვირვება, გარემოს დაცვა, ნავიგაციის უსაფრთხოება, თევზჭერის განვითარება და სხვა. ასევე მის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კუნძულები დაცული იქნება საჭირო სამხედრო თავდაცვითი აღჭურვილობით. იმავე წლის მაისის ბოლოს სინგაპურში შანგრი-ლას დიალოგის დროს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ადმირალმა Sun Jianguo-მ გაიმეორა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება კუნძულების ფუნქციასთან დაკავშირებით და დაამატა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის ოკეანეთის კვლევითი სადგური Yongshu Jiao-ზე (Fiery Cross Reef) აშენდება საერთაშორისო საზოგადოების კეთილდღეობის მიზნით.

ადმირალ Sun-ის ეს განცხადება „საჭირო თავდაცვით აღჭურვასთან“ დაკავშირებით არ განმარტავს იმ ფაქტს, თუ რა შეილება ჩაითვალოს „საჭიროებად“, ჩინეთი არ საუბრობს ბევრს სპრატლის მილიტარიზაციაზე და მის რამდენიმე მიზეზი შეილება იყოს:

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ურჩევნია ინფორმაცია არ გაასაჯაროოს, ვინაიდან მოქმედებს სიტუაციურად.
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჯერ არ აქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული.
- ან ორივე ერთად.

თევზჭერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ხელოვნური კუნძულების მშენებლობის პროცესში. ჩინეთის ხელისუფლება აცხადებს რომ კუნძლები ემსახურება თევზმჭერი ხომალდების მომსახურებას, რაც კიდევ უფრო მყარად უდგამს ფესვებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, თუმცა თუ ამას დაემატება ის ფაქტიც, რომ უცხოური თევზმჭერ ფლოტებსაც მოუნდებათ ახლადშექმნილი კუნძულებისგან მომსახურების მიღება, ეს კიდევ უფრო

გააძლიერებს ჩინეთის სუვერენიტეტის მოთხოვნას აღნიშნულ რეგიონზე. აქვე დგას საშიშროება, რომ „ერთი გზა ერთი სარტყელის“ ერთ-ერთი მარშუტის სამოქმედო გეგმაშ ჩაიდოს საზღვაო ხომალდების ხელოვნურ კუნძულებზე მომსახურება და რიგი სერვისების მიწოდება, რაც პირდაპირ იქნება 100-ზე მეტი ქვეყნის მხრიდან ჩინეთის სუვერენიტეტის აღიარება სამხრეთ ჩინეთის ზღვის რიგ კუნძულებზე, მათ შორის ხელოვნური კუნძულების მშენებლობის და მილიტარიზაციის პროცესის მხარდაჭერა.

4. თავი 2. სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისი/დილემა.

4.1 რეალური ვითარება

ისტორია ყოველთვის თამაშობს მნიშვნელოვან როლს დავების გადაწყვეტის პროცესში, შესაბამისად საინტერესოა განვიხილოთ ყველა ის კრიტიკული თარიღი, რომელიც უკავშირდება სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისს სხვადასხვა ხელშეკრულებების, ბრძანებებისა თუ ქმედებების სახით. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძულია - სპრატლი და პარასელი, რომლის გამოც კონფლიქტს და დაპირისპირებას ხშირად ჰქონია ადგილი. საუკუნეების განმავლობაში ამ წყლებზე ბატონობის დამყარებას ბევრი სახელმწიფო ცდილობდა, XVII საუკუნეში აღნიშნული დავის განხილვა დაიწყო ევროპულმა სამართლის მკვლევარებმა, ხოლო მოგვიანებით მისი განხილვა და დამტკიცება დაიწყეს ქვეყნებმაც, რაც 1930 წელს, ჰააგის კონფერენციის დროს საერთაშორისო სამართლის მიერ მოხდა კოდიფიცირება. 1945 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჰ.ტრუმენის მიერ იქნა შემოთავაზებული სანაპირო ზონების ფართო კონტინენტური შელფის მინიჭების პრინციპი, რასაც მოჰყვა 1971 წელს 200 საზღვაოსნო მილის პრინციპის ექსკლუზიური სავაჭრო-ეკონომიკური ზონის იდეის შემოთავაზება (გვ.3-4, An international history of the dispute in the south chine sea, Stein Tonnesson, 16 march 2001), რამაც გარკვეულწილად თითქოს შეაჩერა პროცესი.

(სურათი. 5.)



სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ორი სადაო საკითხი იკვეთება, პირველი ეს არის პარასელის კუნძულები, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს ჩინეთი, ტაივანი და ვიეტნამი, ხოლო მეორე საკითხი ეხება სპრატლის კუნძულებს, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს ჩინეთი და ASEAN-ის წევრი ქვეყნები ბრუნეი, მალაიზია, ფილიპინები და ვიეტნამი. სანამ ჩინეთს სჯერა, რომ ამერიკა გამომდინარე იქიდან რომ არ არის ამ რეგიონის წარმომადგენელი, ვერ ჩაერევა დავაში, მანამ შეერთებული შტატები ცდილობს საკუთარი კომერციული თუ სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში მარშუტებზე გავლენის შენარჩუნებას.

სამხრეთ ჩინეთის ზღვა არის ერთ-ერთი ოკეანის იმ ტერიტორიებიდან, რომელიც გამოირჩევა თავისი ბუნებრივი და არაბუნებრივი სიმდიდრით, რომელიც შეიძლება ითქვას ჩინეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნებში, მნიშვნელოვან და ობიექტურ საფუძველს აყალიბებს მათი ეკონომიკური თუ ეროვნული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. როგორც აღინიშნა, ზღვას გააჩნია როგორც ბუნებრივი, ასევე არაბუნებრივი სიმდიდრე, რაც გადის რბილი ძალის კატეგორიაში - ეს არის მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა (გვ.2. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013). თავად ზღვა მდიდარია რესურსებით, რომელიც შეილება კლასიფიცირდეს ორ სახეობად: ბუნებრივი რესურსები და სოციალური რესურსები. ნიშანდობლივია, რომ საზღვაო რესურსებს გააჩნია ორი მხარე, ნაციონალიზაცია - გარკვეული ქვეყნის ექსკლუზივი იგივე და ინტერნაციონალიზაცია - საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაზიარებული(TAN Bo-Ping, *A Study on China's Laws and Rules concerning Marine Resource Protection*, People's University of China, Ph. D. Dissertation, 2007) . კონკრეტულად საზღვაო რესურსები შეილება დაიყოს შემდეგ სამ სახეობად. (გვ.3. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013).

- პირველი - რომელიც შეილება სუვერენულ რესურსებად მოვიხსენიოთ. შეიძლება იყოს კუნძულები, ქვეყნის ტერიტორიული წყლები, ქვეყნის ტერიტორიული წყლის ფსკერი. ასეთი რესურსები მხოლოდ გარკვეულ ქვეყანას უკავშირდება და ვერ იქნება გაზიარებული სხვების მიერ, ვინაიდან ის წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის ნაწილს.

- მეორე - რესურსი, რომელსაც ქვეყანა ფლობს გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის მიხედვით(UNCLOS) 200 საზღვაო მილზე ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში. ეს რესურსი შეილება შეიცავდეს მყარ რესურსებსაც, როგორიცაა მინერალური ბუნებრივი რესურსები, წყლისა და ბიოლოგიური რესურსები(მაგალითად თევზაობა), ეს ყოველივე ექსკლუზიურ რესურსთა კატეგორიაშია, თუმცა შეიძლება გაზიარებულ იქნეს სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს შორის კომერციული ოპერაციების მიზნით. (WANG Shi-Cheng, *Dragon will Rise from the Sea*, Ocean University of Qingdao Publishing House, 1997)
- მესამე - UNCLOS-ის თანახმად, „ღია ზღვის თავისუფლების“(“freedom of the open sea”) თეორიის მიხედვით პირველი ორი სახეობის გარეთ დარჩენილი საზღვაო რესურსი არის საერთაშორისო წყლები და არ ეკუთვნის არც ერთ ქვეყანას. ის კაცობრიობის საერთო რესურსია და მთელი საზოგადოება იზიარებს მისგან მიღებულ სიკეთეს.

მსოფლიო იცნობს წყლების მართვის სამ ძირითად ტიპს (გვ.4. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013). არსებობს წყლებზე სუვერენიტეტის მოპოვების სამი სახე, პირველი ყველაზე ლეგიტიმური სახე არის ნაციონალიზაცია, როდესაც ის ქვეყნის ტერიტორიად ითვლება. მეორე ეს არის ძალის გამოყენებით, როდესაც ერთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ცდილობს მეორეს წაართვას საზღვაო ტერიტორიები, რაც ყოვლად უკანონო ქმედებად ითვლება საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, და მესამე, მოლაპარაკება და არბიტრაჟი, რის მიხედვითაც კონფლიქტის მხარეები ურთიერთგაგებისა და ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე მოლაპარაკების გზით მოაგვარებენ ტერიტორიულ დავას, ან მხარეები ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმართავენ საერთაშორისო არბიტრაჟს თავიანთი ტერიტორიების და შესაბამისად სუვერენული უფლებების განსაზღვრისათვის.

საერთაშორისო საზღვაო სამართლებრივი სისტემა ორ ნაწილად იყოფა, პირველი ჩვეულებრივი კანონები (ქვეყნის კანონები, კონსტიტუცია), რომელიც თავისმხრივ თანხვედრაშია საერთაშორისო სამართალთან, ემყარება ქვეყნის ქცევასა და

სამართლებრივ რწმენას (Brian D. Lepard, *Customary International Law: A New Theory with Practical Applications,* Cambridge University Press, December 2009; ZHENG Bing, LI Pei-Nan, "The Origin of International Laws: International Customs and Treaties", *Global Law Review*, Issue 1, 1986), და მეორე, საერთაშორისო ხელშეკრულებები და გაეროს კონვენცია UNCLOS, რომელიც საზღვაო დავების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო საშუალებაა.

სამხრეთ ჩინეთის ზღვა, როგორც ნახევრად დახურული ზღვა დასავლეთ წყნარი ოკეანიის, გამოირჩევა რესურსების სიუხვით მთელს მსოფლიოში, რისი შედეგიცაა აღნიშნულ რეგიონში არსებული კონფლიქტების სიმწვავე და სიმძლავრე. ეს განპირობებულია რეგიონში მოსარჩელე ქვეყნებისა და მეორესმხრივ დიდი სახელმწიფოების ინტერესით აღნიშნული სტრატეგიული ადგილისადმი. საზღვაო რესურსების კლასიფიკაციის მიხედვით, სამხრეთ ჩინეთის ზღვის რესურსები იყოფა სამი კატეგორიის მიხედვით,

- პირველი - სამხრეთ ჩინეთის ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნების საკუთრებაში არსებული რესურსები, მათ შორის სანაპირო მიწა, ტერიტორიული წყლები, ზღვის ფსკერი და კუნძულები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხის მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ტერიტორიული გაურკვევლობები/დავები რიგ კუნძულებზე: პრატას (Pratas) კუნძულები, პარასელის (Paracels) კუნძულები, მაკილსფილდის (Macelesfield) კუნძულები და სპრატლის (Spratly) კუნძულები. ამათგან მხოლოდ პრატას (Pratas) კუნძულები არის ჩინეთის ტაივანის დაქვემდებარებაში, შესაბამისად ეს დავა დროებით(დროებით - გამომდინარე ტაივანი-ჩინეთის ურთიერთობიდან) მოგვარებულად შეილება ჩაითვალოს. მაკილსფილდის (Macelesfield) კუნძულებზე ერთ კუნძულზე აქვთ დავა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ფილიპინებს, კერძოდ ჰუანგიანზე(Huangyan), მეორენაირად მას სკარბორო შოლსაც უწოდებენ(Scarborough Shoal). პარასელის (Paracels) კუნძულები არის ჩინური იურისდიქციის ქვეშ, თუმცა ვიეტნამი აცხადებს პრეტენზიას მის რამოდენიმე კუნძულზე. სპრატლის (Spratly) კუნძულების დავაში კი რეგიონის 5 ქვეყანა და 6 მხარეა ჩართული (გვ.5. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing.

2013). ტერიტორიული სუვერენიტეტი, რესურსების მონოპოლია, სტრატეგიული პოზიციები არის ის მცირე ჩამონათვალი რის გამოც მოსარჩელე ქვეყნებს ერთმანეთისთვის დათმობა უჭირთ, შესაბამისად აღნიშნულ დავაში ამ სტრატეგიის გამოყენება ყველაზე ნაკლებადაა შესაძლებელი.

- მეორე - სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ექსკლუზიური საზღვაო რესურსები იგივე საფრთხის წინაშე დგას, რაც ემუქებოდა ზემოთ მოყვანილ პირველი ტიპის რესურსს. სამხრეთ ჩინეთის ზღვის აუზი გადაჭიმულია 22გრძედზე და დაშორებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროდან 900 საზღვაო მილით, და 26 განედზე, დაახლოებით 1600 საზღვაო მილით დაშორებული ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებიდან. საერთო ფართობია 3,6 მილიონი კვ.კმ., და საშუალო სიღრმე არის 1212 მეტრი, ხოლო მაქსიმალური სიღრმე - 5559 მ. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ექსკლუზიურ რესურსებში გადის თევზჭერის რესურსი, გაზი და ნავთობი. იგი ასევე ძალიან მდიდარია ბიოლოგიური რესურსებით, როგორიცაა თევზები, ზღვის ფსკერები, მოლუსკები და მცენარეები კუნძულებზე. უფრო მეტიც, სამხრეთ ჩინეთის ზღვა თავისი ნედლი ნავთობის მარაგით ცნობილია როგორც „მეორე სპარსეთის ყურე“. სამხრეთ ჩინეთის ზღვის შესახებ კვლევების თანახმად, ნავთობისა და გაზის რესურსების ძირითადი ნაწილი კონტინენტურ შელფზეა განლაგებული. ცნობილია აღნიშნულ რეგიონში 10-ზე მეტი ნავთობისა და გაზის აუზი, რომელთა საერთო ფართობი არის 852,400 კვ.მ, რაც ზღვის აუზის 48,8%-ს შეადგენს (VALENCIA (Mark J.), “Oil and Gas Potential, Overlapping Claims, and Political Relations” in George Kent and mark J. Valencia (eds.), Marine Policy in Southeast Asia, University of California Press, Berkeley, 1985, გვ.159.), რაც ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვის ნახევარი დაფარულია შავი ოქროთი. გარდა ჩინეთისა, სამხრეთ ჩინეთის ზღვას ესაზღვრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყანა, როგორიცაა ვიეტნამი, ფილიპინები, მალაიზია, ბრუნეი და ინდონეზია, შესაბამისად საზღვაო პრინციპის მიხედვით, ეს ქვეყნები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ექსკლუზიური რესურსების სხვადასხვა დონით სარგებლობენ, თუმცა რეალური მოცემულობა არ

პასუხობს სამართლებრივი გადანაწილების პრინციპებს.

- მესამე - სამხრეთ ჩინეთის ზღვა ასევე მდიდარია საერთო რესურსებიც, როგორიცაა საზღვაო დერეფნები, იგივე ოქროს დერეფანი “the 3rd golden waterway in the world”. იგი აკავშირებს წყნარ და ინდოეთის ოკეანეებს და მოიცავს ორ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ საზღვაო მარშუტს მსოფლიოში: ერთი იწყება აღმოსავლეთიდან მალაკის(Malacca) სრუტეში, გრძელდება ჩრდილოეთით ინდოჩინეთში ღია ზღვებში და ჩამოდის ჰონგ-კონგში, ჩინეთში. მეორე იწყება ლამბოკის (Lombok) სრუტის ჩრდილოეთით, კვეთს მაკასარის (Makassar) სრუტეს, მიემართება ფილიპინების აღმოსავლეთ სანაპიროსკენ და ბრუნდება იაპონიაში. აშკარაა, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვის თავისუფალი და უსაფრთხო ნავიგაცია არ არის მხოლოდ სანაპირო ქვეყნების საგარეო ვაჭრობისთვის მნიშვნელოვანი მარშრუტი, არამედ ეს არის გლობალური საკითხი, ვინაიდან იგი მდებარეობს წყნარი და ინდოეთის ოკეანეებს შორის, წარსულიდან დღემდე ის არის დერეფანი აღმოსავლეთ აზიის, აფრიკის და ევროპის დამაკავშირებელი, კომერციული გადაზიდვის, ენერგო ტრანსპორტირებისა და საზღვაო ფლოტებისთვის, შესაბამისად სახეზეა მისი გლობალური კონტექსტი. ცივი ომის შემდეგ, აზიის წყნარი ოკეანის რეგიონში საზღვაო ვაჭრობის ზრდასთან ერთად, სამხრეთ ჩინეთის ზღვა უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საერთაშორისო სავაჭრო არხი, დღეს კი ის გვევლინება ეკონომიკურ სიცოცხლის სარტყლად ორივე ტიპის ქვეყნებისთვის, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური გიგანტებისთვის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. დღესდღეობით სამხრეთ ჩინეთის ზღვის მარშუტი არის მსოფლიოშ ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული გზა. სატვირთო მასის მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოს ნახევარზე მეტი სავაჭრო ფლოტების კვეთს სამხრეთ ჩინეთის ზღვას, აქ საზღვაო გადაზიდვები 3-ჯერ უფრო მეტია ვიდრე სუეცის არხში და 15-ჯერ უფრო მეტი ვიდრე პანამის არხში. სტატისტიკა აჩვენებს, რომ სამხრეთ ჩინეთის საზღვაო ვაჭრობის საერთაშორისო გადაზიდვებში, ნედლეულისა და სურსათის მოცულობამ საერთო ტვირთბრუნვის 90% შეადგინა, საიდანაც 55%-ს შეადგენს ნავთობი და

ნავთობპროდუქტები, ხოლო დანარჩენი 10%-ს შეადგენს რკინა მსგავსი რანგის მეტალები (გვ.7. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013). ყოველწლიურად 40 000-ზე მეტი ხომალდი კვეთს სამხრეთ ჩინეთის ზღვას ("Treasures in South China Sea", *China Economic Weekly*, Issue 12, 2012.). ამავდროულად, სამხრეთ ჩინეთის ზღვა დიდი სამხედრო მნიშვნელობისაა მიმდებარე ქვეყნებისა და სხვა სამხედრო ზესახელმწიფოებისთვის, როგორიცაა აშშ და რუსეთი. ეს ზღვა არის ბუნებრივი ბარიერი ჩინეთის სამხრეთ საზღვართან, მაშინ როდესაც იგი ასევე წარმოადგენს ძირითად დამაკავშირებელ გზას ამერიკის შეერთებული შტატების ინდოეთისა და წყნარი ოკეანის სამხედრო ბაზებს შორის, მაშინ როდესაც აღნიშნული ზღვა ასევე წარმოადგენს რუსეთისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ საზღვაო მარშრუტს, საკუთარი საზღვაო ძალების აზიასთან და ევროპასთან დასაკავშირებლად, შესაბამისად რთული არაა დავინახოთ, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვა არის საუკეთესო და უმნიშვნელოვანისე საზღვაო დერეფანი ზესახელმწიფოების საზღვაო ძალებისთვის. ზოგიერთი ქვეყანა „თავისუფალი საზღვაო მიმოსვლის" დაცვის ნიღაბს ამოფარებული, მტრული ქმედებებით სასაზღვრო ქვეყნების წინააღმდეგ მიდის, რაც არღვევს UNCLOS-ის "innocent passage" მშვიდობიანი გადაადგილების უფლებას და ზიანს აყენებს სანაპირო ზოლის ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას (გვ.8. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013).

- **ჩინეთის სამართლებრივი ბერკეტები**

სამხრეთ ჩინეთის ზღვის ზემოთაღნიშნულ რესურსების დაყოფის ჩამონათვალში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთისთვის ექსკლუზიურ და საერთო რესურსებს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინეთის განვითარებასა და მშვიდობაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გააჩნია თავისი არგუმენტები, რის საფუძველზეც აცხადებს პრეტენზიას აღნიშნული რეგიონის რესურსებზე.

ჩინეთის ისტორიული უფლებები სამხრეთ ჩინეთის საზღვაო რესურსებზე დიდი ხნით ადრე არსებობდა, ვიდრე საერთაშორისო სამართალი ჩამოყალიბდებოდა. თანამედროვე დროის საერთაშორისო სამართალი სრულად ვერ ხსნის ჩინეთის

უფლებებს და ინტერესებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე, როგორი მნიშვნელობითაც ამას ხედავდნენ ანტიკური ცივილიზაციის(ჩინეთი) მიმდევარნი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემა ეფუძნება ისტორიულ ფაქტებსაც, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ მეცნიერთა მეორე ნაწილის მოსაზრება და დავამტკიცოთ ჩინეთის პრეტენზია სამხრეთ ჩინეთის ზღვასთან მიმართებაში, საერთაშორისო სამართლის ფართოდ მიღებული ტერიტორიული სუვერენიტეტის პრინციპების გამოყენებით.

პირველ რიგში, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ტერიტორიული სუვერენიტეტის მოთხოვნა ეფუძნება „აღმოჩენის დოქტრინას“ “the doctrine of discovery”. შესაბამისად, ქვეყანა რომელიც აღმოაჩენს “terra nullius”-ს საკუთარ სუვერენიტეტს ავრცელებს მასზე, საერთაშორისო ენაზე რომ ვთქვათ, “terra nullius”-ს აღმოჩენა ხდება მხოლოდ ერთხელ და აღარასოდეს მეორდება. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც პირველი აღმოაჩენს მიწას, პრეტენზია აქვს მასზე. ისტორიული ფაქტები სრულად აჩვენებს, რომ ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღმოაჩინა სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულები, რომელიც ამ კუნძულებზე სუვერენიტეტის ძირითად მტკიცებულებად ითვლება. ასევე საუკეთესო არგუმენტად სახელდება ასევე ის ფაქტიც, რომ ჩინეთი იყო პირველი, რომელმაც ამ კუნძულებს სახელები მისცა, კერძოს სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულები.

მეორე რიგში, “uti possidetis”-ის დოქტრინა საერთაშორისო სამართალში ასევე მხარს უჭერს ჩინეთის პრეტენზიას სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულებზე. უძველესი დროიდან ჩინეთი აღნიშნული კუნძულების არა მხოლოდ აღმომჩენი იყო, არამედ მანვე მოახდინა პირველად კუნძულების გამოკვლევა/შემოწმება და გამოყენება/მართვა. ჩინეთის ფლოტი ამ ტერიტორიების პატრულირებას ახდენს, როგორც ჩინეთის ნაციონალური ადმინისტრაციული დომინირების გამოხატულება და ეროვნული უსაფრთხოების ნაწილის. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულების სახელწოდებები და სადემარკაციო ხაზი გაავლო “U-line”-ს მიმართულებით, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებას ხმა არ აუმაღლებია ამ საკითხის წინააღმდეგ.

მესამე, ტერიტორიის ეფექტური ადმინისტრირება მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის აღიარების მისაღწევად. ძველი ჩინეთის მთავრობები, დაწყებული

სონგის დინასტიით (the Song Dynasty), სამხრეთ ჩინეთის ზღვას თვლიდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესის არედ, სადაც პატრულირებდნენ ჩინური ფლოტები, ასევე მინგისა და ქინგის (the Ming and Qing governments) მთავრობების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური რუკები ჩინეთის ტერიტორიის ქვეშ აღნიშნავდნენ სამხრეთ ჩინეთის ზღვას და მიმდებარე ახლოსმდებარე კუნძულებს. ქინგის მთავრობამ გააპროტესტა გერმანელებისა და ფრანგების შემოჭრა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ადმინისტრაციული აქტი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. 1946 წელს ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობამ სამხრეთ ჩინეთის ზღვის პატრონაჟით გაგზავნა ხომალდები, ზოგიერთ კუნძულზე მათ ქვის ფიცრებიც კი ააშენეს სუვერენიტეტის გამოხატულების ნიშნად. 1947 წელს ჩინეთმა საჯაროდ და ოფიციალურად გამოაქვეყნა სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულების სახელები და “U-line”. ერთი სიტყვით რომ ითქვას, ჩინეთი ადმინისტრირებდა აღნიშნულ რეგიონს ყოველთვის და განუწყვეტლივ.

მეოთხე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეფექტური ადმინისტრაცია ხაზს უნდა უსვამდეს მოთხოვნილი ტერიტორიის ეფექტურ გამოკვლევასა და დამუშავებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთი დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდა ამ რეგიონს თევზჭერის გამოყენებით, იყენებდა კუნძულებს, მოიპოვებდა ზღვის ფსკერზე რესურსებს, იყენებდა საზღვაო მარშუტებს და ა.შ. ასევე, ძალიან ბევრი კუნძული არ გამოიყენება საცხოვრებლად, სადაც უძველეს ჩინელ ხალხს დატოვებული აქვს საკუთარი სიწმინდეები და რელიქვიები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩინეთი იყენებდა და იყენებს აღნიშნულ კუნძულებს უძველესი დროიდან.

მეხუთე, სახელმწიფო მემკვიდრეობა არის საერთაშორისო სამართლით დაცული საერთაშორისო წესრიგის ძირითადი პრინციპი. სახელმწიფო წესრიგის ან რეჟიმის შეცვლა ქვეყნის შიდა საქმეა, მაგრამ ქვეყნის ტერიტორია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების საგანი, სტაბილური რჩება და არ უნდა შეიცვალოს რეჟიმის ცვლილების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი რეჟიმი მემკვიდრეობით იღებს და სარგებლობს ყველა იმ უფლებით ტერიტორიებზე, რაც გააჩნდა მის წინამორბედს. 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ, ჩინეთის მთავრობას უნდა მიეღო ყველა ის უფლება ჩინეთის რესპუბლიკისგან, რაც

მას გააჩნდა სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონზე და საზღვაო ადმინისტრაციული უფლებები, ისტორიულ ფაქტებსა და საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით.

მეექვსე, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საფუძველია, რომ „უკანონო ქმედებები არ ქმნის უფლებებს "illegal acts do not generate rights", სტაბილური საერთაშორისო წესრიგი განისაზღვრება სტაბილური ეროვნული ინტერესებით, შესაბამისად ის რაც დარღვეულ იქნა ცივი ომის დროს, იქიდან გამომდინარე რომ ჩინეთი შესუსტებული იყო, არ აძლევდა არც ერთ ქვეყანას უფლებას უკანონოდ დაეკავებინა კუნძულები ან გასჩენოდათ მასზე პრეტენზია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განცხადებით ჩინეთის ტერიტორიის და საზღვაო უფლებების ეს დარღვევა უკანონოა და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიების სამართლებრივი საფუძველი.

მეშვიდე, საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარება ქვეყნის სუვერენიტეტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა. ჩინეთის უფლებები სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე ბევრმა ქვეყანამ აღიარა. ამის დასტურად მოჰყავთ დეკლარაციები, როგორიცაა მაგალითად კაიროს დეკლარაცია, პოტსდამის პროკლამაცია და იაპონიის კაპიტულაცია მეორე მსოფლიო ომის დროს, რომლის თანახმადაც იაპონიას უნდა გაეყვანა თავისი ძალები ჩინური ტერიტორიებიდან, მათ შორისო კიშას და ნანშას კუნძულებიდან. ასევე ბევრ პუბლიკაციასა თუ წიგნში გვხვდება აღნიშნული ტერიტორიები ჩინეთის საკუთრების სახელით (ცხრილი. 7.).

Time	Conference	Facts
1951	San Francisco Treaty of Peace with Japan	Japan renounces all right, title and claim to the Spratly Islands and to the Paracel Islands. USSR Head of Delegation Andrei Gromyko pointed at the conference: Xisha and Nansha Islands are indispensable parts of China.
1952	Japanese Foreign Minister Katsuo Okazaki recommended World Atlas with his own signature, and page 15 of the Atlas is Map of	The Atlas plotted Xisha, Nansha, Dongsha and Zhongsha Islands as China's territory.

	Southeast Asia.	
Oct. 27, 1955	The first Aviation Conference of Pacific region of International Civil Aviation Organization (ICAO) was held in Manila, capital of the Philippines. Altogether 16 countries and regions attended the meeting, including Australia, Canada, Chili, Dominica, Japan, Laos, South Korea, the Philippines, Thailand, Great Britain, the US, New Zealand, France, and also delegates from the then South Vietnam, and Taiwan.	Delegates at the conference held that Dongsha, Xisha and Nansha Islands in South China Sea are the key passage in the Pacific Ocean, and weather reports of these areas are vital to the international civil aviation. Therefore, the conference passed No. 24 Resolution, requiring the Taiwan government reinforce meteorological observation (four times a day). When the Resolution was signed, no country, including the Philippines and South Vietnam, raised any objection or reserved opinions.

მერვე, ტრადიციულ საერთაშორისო სამართალს აქვს ესტოპელის პრინციპი "Principle of Estoppel", რომელიც მიიჩნევა ქვეყნის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს საფუძვლად. ხელისუფლების ლიდერები წარმოადგენენ თავიანთ ქვეყანას, ფორმალურ შემთხვევებში მათი ქცევაა სახელმწიფო მოქმედება, შესაბამისად მათი ნებისმიერი განცხადება არის ქვეყნის პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიეტნამის მთავრობამ აღიარა კიშასა და ნანშას კუნძულებზე ჩინეთის სუვერენიტეტი. ამჟამად ვიეტნამის მთავრობა პრეტენზიას აცხადებს აღნიშნულ ტერიტორიებზე და უარყოფს მისი წინამორბედის სიტყვებს. ვიეტნამის ქმედება ეწინააღმდეგება მის განცხადებებს, შესაბამისად "Principle of Estoppel"-ის საფუძველზე ვიტნამმა უნდა დაიცვას საკუთარი ვალდებულებები და მისი არაკანონიერი მოთხოვნები უგულებელყოფილი უნდა იყოს.

(ცხრილი. 8.)

Time	Official	View
June 15, 1956	Vietnamese Vice Foreign Minister Yong Wen-qian met Li Zhi-ming, the charge d'affaires of Chinese Embassy to Vietnam	According to records in Vietnam, historically speaking, Xisha and Nansha Islands are China's territory.
June 15, 1956	Li Lu, Deputy Director of Asia Division of Vietnamese Foreign Ministry	Historically speaking, Xisha and Nansha Islands have been China's territory since Song Dynasty.
Sep. 4, 1958		On Sep. 6, People's Daily (Vietnam) reiterated this declaration.
Sep. 14, 1958	Vietnamese Prime Minister Pham Van Dong	When talking with Prenier Zhou En-lai, he recognized and supported this declaration.
1974	The Vietnamese Geography Textbook, published by the Vietnamese Education Press	In the Chapter of The People's Republic of China, it says: Nansha, Xisha Islands to Hainan, Taiwan Islands… constitute the Great Wall guarding the security of Chinese mainland.

ჩინური მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინური უფლებები და სუვერენიტეტი აღნიშნულ ტერიტორიებზე ჯერ კიდევ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებამდე იყო გარკვეული, შესაბამისად ეს უკანასკნელი არ უნდა წყვეტდეს ამ უფლებების კანონიერებას თუ უკანონობას. ჩინეთის ინტერესების იგნორირებით და უარყოფით, ბევრი რეგიონის ქვეყანა და დასავლური სუპერ-ძალები უარყოფენ ჩინეთის უფლებებს რიგ კუნძულებზე, ყოველი ამ ფაქტორის გათვალისწინებით რთულია იფიქრო ამ დაძაბულობის განმუხტვაზე. თუმცა არსებობს გზები, რითაც შეიძლება რეგიონის ქვეყნებმა გამონახონ საერთო ენა, და სამივე ტიპის საზღვაო რესურსი თანამშრომლობის გზით მართონ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების და იაპონიის დამარცხების შემდეგ ჩინეთის რესპუბლიკამ (ტაივანმა) დაიბრუნა გავლენები პარასელის, პრატასა და სპრატლის კუნძულებზე კაიროსა და პოტსდამის დეკლარაციებზე დაყრდნობით (Florian, Dupuy;

Pierre, Marie (January 2013). "A Legal Analysis of China's Historic Rights Claim in the South China Sea": 124.). მიუხედავად ყოველივესი, 1943 წლის კაიროს დეკლარაცია და 1945 წლის პოტსდამის პროკლამაცია არ აძლევდა ჩინეთს სუვერენიტეტს სამხრეთ ჩინეთის ზღვის აღნიშნულ არქიპელაგებზე (გვ 43. Chen, King C. (1979). *China's War with Vietnam, 1979: Issues, Decisions, and Implications*. Hoover Press. ISBN 0817985719.). 1946 წლის ნოემბერში კონფლიქტის ესკალაციამ პიკს მიაღწია, ჩინეთის რესპუბლიკამ საზღვაო ხომალდები გაგზავნა ზღვაში, თუმცა კონფლიქტის დეესკალაცია სამშვიდობო მოლაპარაკების გზით იქნა შესაძლებელი და 1951 წლის 7 სექტემბერს, ჩინეთმა და ვიეტნამმა კუნძულებზე თავიანთი უფლებები დაამტკიცეს, მოგვიანებით კი ფილიპინებმა გამოაქვეყნა სადაო კუნძულები, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა (გვ 43. Chen, King C. (1979). *China's War with Vietnam, 1979: Issues, Decisions, and Implications*. Hoover Press. ISBN 0817985719.). „Nine-Dash Line“, რომელიც თავდაპირველად „eleven-dash line“-ის სახელწოდებით იქნა გამოქვეყნებული ჩინეთის რესპუბლიკის(1912-1949) მიერ 1947 წლის დეკემბერში, წარმოადგენდა რუკას, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მისი პრეტენზიების გაჟღერებას ემსახურებოდა. 1949 წელს, როდესაც ჩინეთის კომუნისტური პარტია გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეიცვალა „eleven-dash line“-ის სახელწოდება და მიიღეს „Nine-Dash Line“ (Brown, Peter J. (8 December 2009). "Calculated ambiguity in the South China Sea". *Asia Times*. Retrieved 5 February 2014). ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლი თენგ-ჰუიმ (Lee Teng-hui) განაცხადა, რომ „კანონიერად, ისტორიულად, გეოგრაფიულად, ან რეალობაში“ სამხრეთ ჩინეთისა და სპრატლის კუნძულები იყო ჩინეთის ტერიტორია და შესაბამისად ვრცელდებოდა მხოლოდ ჩინეთის სუვერენიტეტი, ასევე დაგმობილ იქნა მალაიზიისა და ფილიპინების ქმედებები 1999 წლის 13 ივლისს ტაივანის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (STRATFOR's Global Intelligence Update (14 July 1999). "Taiwan sticks to its guns, to U.S. chagrin". *Asia Times*. Retrieved 10 March 2014.), მის შემდეგ განცხადებაში კი საგარეო საქმეთა მინისტრმა დაამატა: „ეჭვგარეშეა, რომ ჩინეთის რესპუბლიკას აქვს სუვერენიტეტი არქიპელაგებსა და წყლებზე“ (გვ 3. "Taiwan reiterates Paracel Islands sovereignty claim". *Taipei Times*. 11 May 2014).

(სურათი. 6.)



Dash 4 location in Chinese 2009 (solid red).

ფილიპინები, მალაიზია, ვიეტნამი, ბრუნეი და ინდონეზია ოფიციალურად აპროტესტებდნენ ამგვარი ხაზის გამოყენებას (Brown, Peter J. (8 December 2009). "Calculated ambiguity in the South China Sea". *Asia Times*. Retrieved 5 February 2014.). მას შემდეგ რაც 2009 წლის 7 მაისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გაეროს წარუდგინა სამხრეთ ჩინეთის ზღვის რუკა, რომელიც მოიცავდა „Nine-Dash Line"-ს, ფილიპინებმა დაუყოვნებლივ დაიწყო დიპლომატიური პროტესტი. რუკის წარდგენის მეორე დღეს მალაიზია და ვიეტნამმაც გამოთქვეს პროტესტი, მათ ასევე შეუერთდა ინდონეზიაც (Jamandre, Tessa (14 April 2011). "PH protests China's '9-dash line' Spratlys claim". *Malaya*. Archived from the original on 19 April 2011. Retrieved 2 June 2011.). ფილიპინების ყოფილი პრეზიდენტის ბენიჯო აკვინო III- ის (Benigno Aquino III) განცხადებით „ჩინეთის „Nine-Dash Line"-ის ტერიტორიული პრეტენზია მთელ სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე საერთაშორისო სამართალს, კერძოდ კი გაეროს კონვენციას (UNCLOS) ეწინააღმდეგება. იგივე განცხადება გააკეთა ვიეტნამის წარმომადგენელმაც (Bengco, Regina (2 June 2011). "Aquino mulls UN protest on Spratlys". Maritime Security Asia.). ამას დაემატა 2010 წლის ჰანოის რეგიონულ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანის ჰილარი კლინტონის განცხადება, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს რეგიონის და რეგიონში არსებული სტრატეგიული პარტნიორების დაცვა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემა და შესრულება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ("Beijing hits out at US comments on South China Sea". Agence-France Presse. 25 July 2010.).

ჩინეთის „Nine-Dash Line“-მა ინდონეზიის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა გადაფარა. საპასუხოდ 2015 წლის ნოემბერში ინდონეზიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ლუჰუტ ფანტაიტანმა (Luhut Panjaitan) განაცხადა, რომ თუ ჩინეთი საკუთარ პრეტენზიებს არ შეამცირებს და არ დაიწყებს დიალოგის რეჟიმში საკითხის განხილვას, საერთაშორისო სასამართლოს წინაშე დააყენებს (Indonesia says could also take China to court over South China Sea". Reuters. 11 November 2015.). აქვე ყურადღება მისაქცევი ფაქტია, რომ 1958 წლის დასაწყისში ჩინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი ტერიტორიული ლიმიტის სოკუმენტი, ("Annex 2/5: Declaration of the Government of the People's Republic of China on China's Territorial Sea". *fmprc.gov.cn*. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China (FMPRC). 4 September 1958. Retrieved 8 July 2015.) რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩინეთის ტერიტორიული წყლები 12 საზღვაო მილის დაფარვას ითვალისწინებს და აცხადებს, რომ ეს დებულება ეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ტერიტორიას, ჩინეთის ჩათვლით ტაივანი და მისი მიმდებარე კუნძულები, პინგუჰუი (Penghu), დონგასა (Dongsha), კიშაში (Xisha), ჟონგში (Zhongsha), ნაწშას (Nansha) და სხვა კუნძულები (The Operation of the HYSY 981 Drilling Rig: Vietnam's Provocation and China's Position". 16 July 2014.) (1958 'The People's Republic of China government's statement on the Territorial Sea' study". 24 January 2003.).

ჩინეთის ეს სტრატეგია სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, რომ მას არასდროს არ გამოუყენებია nine-dash line როგორც საზღვარი საკუთარი სუვერენიტეტის, დამატებული იმ ფაქტს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა არასდროს განმარტავს ოფიციალურად ხაზის მნიშვნელობას, საფუძველს აძლევს ძალიან ბევრ მკვლევარს იკვლიოს აღნიშნული საკითხი, რომელთაგან ნაწილი თვლის, რომ არ შეიძლება ეს ხაზი ჩაითვალოს საზღვრად, ვინაიდან ის წინააღმდეგობაში მოდის საზღვაო და საერთაშორისო სამართალთან, სადაც ნათქვამია, რომ „ეროვნული საზღვრის ხაზი უნდა იყოს სტაბილური და განსაზღვრული (a national boundary line must be a stable and defined one.). ეს ხაზი-საზღვარი კი არ არის არც სტაბილური და არც განსაზღვრული, მკვლევარების ნაწილს საკმაოდ კარგი არგუმენტები გააჩნიათ ამის გასამყარებლად. Nine-Dash Line არ არის სტაბილური ვინაიდან ის იქნა შეცვლილი 1949 წელს eleven-dash line-დან Nine-Dash Line-ად ჟუო ენლიას (Zhou

Enlai) მიერ ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე, ასევე ეს ხაზი არ არის განსაზღვრული, ვინაიდან მას არ გააჩნია კონკრეტული გეოგრაფიული კორდინატები და არ გვიჩვენებს კავშირს ხაზებს(Line) შორის (Foreign Press Center of Vietnam (25 July 2010). "The "9-dashed line" – an irrational claim").

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად ცდილობს ყველა აქტორის გამოყენებას მიზნის მისაღწევად, კერძოდ მან რბილი ძალის და განათლების საშუალებით დაიწყო საკითხის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება. 2012 წელს ჩინეთის მერვე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში შედის ჩინეთის რუკა „Nine-Dash Line"-თან და ტექსტთან ერთად „ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სამხრეთი წერტილი არის ნანშას კუნძულები". 2013 წელს ჩინეთის ნაციონალური გეოგრაფიის ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა შან ზიჰიგანმა (Shan Zhiqiang) გამოაქვეყნა: „„Nine-Dash Line"...ახლა ჩინელ ხალხთა გულებში და გონებაში ღრმად არის ამოტვიფრული" (Zheng Wang. "The Nine-Dashed Line: 'Engraved in Our Hearts'". *The Diplomat*.). 2010 წლის ივლისსში, ჩინეთის მმართველი პარტიის მიერ კონტროლირებადი გაზეთი Global Times წერდა, რომ ჩინეთი არასოდეს იტყვის უარს დაიცვას საკუთარი ძირითადი ინტერესები, თუნდაც სამხედრო საშუალებებით (*"American shadow over South China Sea", Global Times, 26 July 2010, archived from the original on 29 July 2010*). ამას დაემატა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის განცხადება „ჩინეთს აქვს სუვერენიტეტი სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე და მას საკმარისი ისტორიული და სამართლებრივი საფუძველი და მხარდაჭერა გააჩნია" (*China Says Its South Sea Claims Are 'Indisputable'*, Bloomberg, 29 July 2010). 2011 წლის ივნისში, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე პეკინის საგარეო საქმეთა უნივერსიტეტის სუ ჰოუ სიტყვით გამოვიდა სადაც ჩინეთის სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე სუვერენიტეტის მთავარ არგუმენტად ისტორიული ფაქტები მოიყვანა. მოყვანილ არგუმენტებს გამოესარჩლა ASEAN-თან ურთიერთობებისა და კოორდინაციის პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი და განაცხადა, რომ „მე არ ვფიქრობ რომ 1982 წლის გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია (UNCLOS) აღიარებს ისტორიას, როგორც ძირითად არგუმენტს". მასვე დაეთანხმა Peter Dutton, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო კოლეჯის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ „წყლებზე იურისდიქცია ისტორიას არ უკავშირდება" ("International

scholars discuss maritime security in the East Sea". vietnamne. 22 June 2011. Archivedfrom the original on 13 October 2014.). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს UNCLOS 1996 წელს ("Declarations or Statements upon UNCLOS Ratification". Division for Ocean Affairs and the Law of the Sea, United Nations Office of Legal Affairs. Retrieved 22 February 2013.).

აღსანიშნავია სამხრეთ უელსის, პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორის ჩარლი ზეიერის (Carlyle Thayer) შეხედულება, რომ ჩინური მკლევარების მიერ ისტორიული სარჩულის მიკერება საქმისადმი სუვერენიტეტის გასამყარებლად მიუთითებს იმა ფაქტზე, რომ აღნიშნულ მოთხოვნებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია (Thayer, Carlyle A. (14 July 2011). "South China Sea disputes: ASEAN and China". Retrieved 22 February 2013.).

- **საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება: ჩინეთი - ფილიპინების დავა**

2013 წლის იანვარში ფილიპინებმა ოფიციალურად დაიწყეს საარბიტრაჟო პროცედურა ჩინეთის nine-dash line-ის წინააღმდეგ, თუმცა ჩინეთმა არბიტრაჟში მონაწილეობაზე უარი განაცხადა (Timeline: South China Sea dispute". *Financial Times*. 12 July 2016.). საარბიტრაჟო ტრიბუნალი მაინც შეიქმნა UNCLOS- ის დანართი VII- ს ფარგლებში (Beech, Hannah (11 July 2016). "China's Global Reputation Hinges on Upcoming South China Sea Court Decision". *Time*.) და 2013 წელს გადაწყდა, რომ საარბიტრაჟო სასამართლო Permanent Court of Arbitration (PCA) დარეგისტრირებულიყო როგორც სასამართლო პროცესი (*"Press Release: Arbitration between the Republic of the Philippines and the People's Republic of China: Arbitral Tribunal Establishes Rules of Procedure and Initial Timetable". PCA. 27 August 2013. Retrieved 13 July 2016.*).

2016 წლის 12 ივლისს ტრიბუნალის ხუთმა არბიტმა ფილიპინებს ერთხმად დაუჭირეს მხარი. მათ დაადასტურეს, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ჩინეთი ისტორიულად იყენებდა წყლებისა და რესურსების ექსკლუზიურ კონტროლს, შესაბამისად არანაირი სამართლებრივი საფუძველი ჩინეთსთვის ისტორიული უფლებების შესახებ nine-dash line-ზე არ იქნა დამტკიცებული ("Press Release: The South China Sea Arbitration (*The Republic of the Philippines v. The People's Republic of China*)" PCA. 12 July 2016. Retrieved 13 July 2016.). ("A UN-appointed tribunal

dismisses China's claims in the South China Sea". *The Economist*. 12 July 2016.) ტრიბუნალმა ასევე დაასაბუთა, რომ ჩინეთმა ფილიპინების სუვერენული უფლებები დაარღვია და დიდი ზიანი მიაყენა CORAL Reef-ს (Perez, Jane (12 July 2016). "Beijing's South China Sea Claims Rejected by Hague Tribunal". *The New York Times*.). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უარყო მიღებული გადაწყვეტილება, პრეზიდენტმა ქსი ჯიმპინმა განაცხადა, რომ „ჩინეთის ტერიტორიული სუვერენიტეტი და საზღვაო უფლებები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არანაირად არ შეეხება ე.წ. ფილიპინების გადაწყვეტილებას“, ვინაიდან ჩინეთი კვლავ თავის პოზიციაზე დგას, რომ დავა მეზობლებთან უნდა მოგვარდეს მოლაპარაკების გზით (Tom Phillips, Oliver Holmes, Owen Bowcott (12 July 2016). "Beijing rejects tribunal's ruling in South China Sea case". *The Guardian*.). ჩინეთის განაცხადს დაეთანხმა და უარყო ფილიპინების გადაწყვეტილება ტაივანმაც, რომელიც სპრატლის უდიდეს კუნძულს განაგებს (Jun Mai, Shi Jiangtao (12 July 2016). "Taiwan-controlled Taiping Island is a rock, says international court in South China Sea ruling". *South China Morning Post*.).

უკვე თვალსაჩინო ხდება საერთაშორისო საზოგადოების, საარბიტრაჟო ტრიბუნალის და გაეროს საზღვაო სამართლის ძალა, ვინაიდან ფილიპინების შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულია და მისი განხორციელება თუ აღსრულება არ ხდება. ჩინეთი კვლავ თავისუფლად აგრძელებს აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის, ფილიპინების შევიწროვებას და მას ამ ქმედებებზე პასუხს არავინ სთხოვს.

4.2 კონფლიქტის რუკა



5. დასკვნა

5.1 კვლევის შედეგები

თემის დასაწყისში არსებული ინფორმაცია და განვითარებული მოვლენები იძლეოდა იმის საშუალებას კვლევისთვის დასახულიყო შემდეგი ჰიპოთეზა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გზას იკაფავს რეგიონული ლიდერობიდან, მსოფლიო ლიდერობისკენ. ნებისმიერ ქვეყანას, იმისთვის რომ გახდეს მსოფლიო ლიდერი, სჭირდება სწორი საგარეო პოლიტიკა ძლიერი ეკონომიკური ბერკეტებით, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს სამხედრო ძალა. ეს სამი კომპონენტია უმნიშვნელოვანესი მსოფლიო დონის სახელმწიფოსთვის, ამიტომაც ნაშრომში განხილულია ჩინეთის ქმედებები ამ სამ კონტექსტში.

იმისთვის რომ იყო გამორჩეული და გხედავდნენ როგორც ლიდერს, საჭიროა მსოფლიოს შესთავაზო ახალი პოლიტიკური ხედვა, ახალი იდეოლოგია. კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რამდენიმე ათწლეულია ამისთვის ემზადება და განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში ხმამაღლა აცხადებს მის შეხედულებებს, რითაც პირდაპირ უპირისპირდება მსოფლიო ჰეგემონს, ამერიკის შეერთებულ შტატებს. ისტორიიდან საკმაოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ ფაქტის დასადასტურებლად, თუ რას ნიშნავს მსოფლიო ჰეგემონთან დაპირისპირება და რაზე მიუთითებს ჩინეთის მსგავსი თამამი განცხადებები. დემოკრატიის ექსპორტიორად წოდებული, ამერიკის შეერთებული შტატების ღირებულებები უკვე პირდაპირ დაპირისპირებაში მოდის, ჩინეთის ახალ პოლიტიკურ ხედვასთან, რომ სუვერენიტეტი არის უმთავრესი ღირებულება და რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, განურჩევლად სიდიდისა, სიმდიდრისა თუ სხვა, ჰქონდეს ისეთი მოწყობა და მართველობა, როგორიც თვითონ სურს, და არც ერთ ქვეყანას აქვს უფლება ჩაერიოს მის შიდა საქმეებში.

არსებობს ძველი ჩინური გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც ჩინეთი მაშინ გამოდის სანადიროდ, როდესაც დიდი კატები იძინებენ, რეალპოლიტიკის ეს დოქტრინა ძალიან ახლოს დგას რეალობასთან, ვინაიდან მესამე სამყაროს წარმომადგენლად გამოსული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თვლის, რომ საბჭოთა კავშირი დიდი ხანია დაიშალა და მისი კანონიერი მემკვიდრე ვეღარ შეძლებს ამ ძლიერების აღდგენას, და რომ შეერთებული შტატების მზეც ესვენება. სწორედ ამას

შეილება მივაწეროთ ჩინეთის მსგავსი სითამამე და დაპირისპირება აშშ-თან. პოლიტიკური გავლენები მაშინაა ძლიერი როდასაც ის გამყარებულია ეკონომიკური ბერკეტებით, შესაბამისად ნაშრომის შემდეგი ამოცანა იყო ჩინეთის ეკონომიკური მისწრაფებების ანალიზი და სტრატეგიული დონის დადგენა, რამაც აჩვენა, რომ ჩინეთი, მსოფლიოში ნომერი 1 მზარდი ეკონომიკით, სულ რამდენიმე წელიწადში გახდა მსოფლიოს ნომერი 2 ეკონომიკა და მიუხედევად იმისა, რომ მისი ეს ტემპი ოდნავ შემცირებულია, არსებობს ძალიან საფუძვლიანი საშიშროება, რომ ამ ტემპითაც კი ის რამდენიმე წელიწადში აიღებს რევანშს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკა შიშის ზარს სცემს აშშ-ს, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი - დონალდ ტრამპს გაეტარებინა ეკონომიკური რეფორმა, რისი მიხედვითაც ქვეყნის გარეთ გასულ კომპანიებს ეზრდებოდა საბაჟო გადასახადი, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულ კომპანიებს უნახევრდებოდათ და 30%-ით უმცირდებოდათ. თუმცა ჩინეთის ეკონომიკურ მოქნილობას დასასრული არ უჩანს და ამ ქმედებაშიც ძალიან კარგად გამოჩნდა ამ ორი გიგანტის ეკონომიკური დაპირისპირება, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ იენის გაუფასურებაზე გააკეთა განცხადება და ამით საკმაოდ დიდი ეკონომიკური მოგება მიიღო. კვლევამ აჩვენა, რომ რეალურად ამ ქმედებით ჩინეთმა არამხოლოდ მოუგო ეკონომიკური ბრძოლა აშშ-ს, არამედ კიდევ უფრო დიდ დუელში გამოიწვია ის, რასაც სამხრეთ ჩინეთის ზღვის ეკონომიკური ტალღა ჰქვია. ჩინეთი არ კმაყოფილდება მიღწეულით და აგრძელებს რიგი ეკონომიკური და ფინანსური დარტყმების განხორციელებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი არის „ერთი გზა- ერთი სარტყლის“ იდეა, რომელსაც წინ აზიის საინვესტიციო ბანკის შექმნა უძღვოდა, რომელმაც სული ჩაბერა უძველეს და მივიწყებულ აბრეშუმის გზას. პრეზიდენტ სი ძიმპინის განცხადებით - ეს პროექტი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ მარშრუტით, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ შემოთავაზებული 5 გზა არ არის დასასრული, რომ პროექტი ექვემდებარება გაფართოებას. პროექტში ჩართულია 70-მდე ქვეყანა, ამას ემატება აზიის საინვესტიციო ბანკის წევრი ქვეყნები და პლიუს ათეულობით ქვეყანა, რომელმაც ინტერესი გამოთქვეს პროექტში მონაწილეობისადმი, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ნახევარ მსოფლიოზე მეტი ჩაერთვება პროექტში და გახდება ჩინეთის ეკონომიკური, და არამხოლოდ, პარტნიორი. ვინაიდან ერთ-ერთი გზა,

რომელიც გადის სამხრეთ ჩინეთის რეგიონზე, თავისთავში მოიცავს ფლოტებისთვის მომსახურების სერვისის მიწოდებას ხელოვნური კუნძულების დახმარებით, ავტომატურად აიძულებს ნახევარ მსოფლიოს ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტი სპრატლის კუნძულსა და U-line-ის (nine dash line) ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო საზღვა ტვირთბრუნვა დამოკიდებული იქნება ერთ სახელმწიფოზე და სმიტის უხილავი ხელი, რომელიც მართავს საბაზრო ეკონომიკას, მარტივად გახდება ყველასთვის ხილული. მსგავსი ეკონომიკური ბლოკების შემოთავაზებაზე, როგორც წესი ამბიცია აქვს მხოლოდ ლიდერ სახელმწიფოებს, არსებობს უმარავი რეგიონული ეკონომიკური გაერთიანება, მაგრამ ჩინეთის მიერ შემოთავაზებული აღნიშნული პროექტი არის გლობალური და ფარავს 5 კონტინენტს. მსგავსი ამბიციები და მსგავსი მიზნები მყარ ბერკეტს ქმნის იმისთვის, რომ კარგად დაინახო ჩინეთის მიერ არჩეული გზა მსოფლიო ლიდერობისკენ.

მასლოუს პირამიდას რომ შევხედოთ, ვნახავთ რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შემდეგ ადამიანისთვის უმთავრესი უსაფრთხოებაა, ასეა გლობალურ დონეზეც - საერთაშორისო ასპარეზზე. სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დაიცვან საკუთარი სუვერენიტეტი და რიგი ფასეულობები. უსაფრთხოება, სამხედრო ძლიერება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პოლიტიკური გავლენების თუ ეკონომიკური მისწრაფებების გასამაგრებლად, შესაბამისად ნაშრომის შემდეგი ამოცანა იყო განხილულიყო ჩინეთის მდგომარეობა ამ კუთხით. ბირთვული სახელმწიფო, რომელიც წელიწადში იმაზე მეტს ხარჯავს შეიარაღებაზე, ვიდრე საჭიროა მსოფლიოში შიმშილის აღმოფხვრისთვის, ნამდვილად საგანგაშო მაჩვენებელია. 2017 წლის მონაცემებით 161,7 მილიარდია (ბიუჯეტის 7%) გამოყოფილი, ასევე დაანონსდა ჩინური ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყვანა (სამხედრო წარმოებით მოგების მიღება), რამაც რეგიონში და არა მხოლოდ, შეშფოთება გამოიწვია.

ნაშრომის უმთავრესი ამოცანა იყო განეხილა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მიმდინარე მოვლენები, როგორ აღიქმება ის მსოფლიოს მიერ, როგორ წესრიგდება საერთაშორისო სამართლის მიერ და როგორ იმართება რეგიონის ქვეყნების მიერ. რეალურად კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთი ცდილობს ამ რეგიონზე გავლენის

მოპოვებას, რამდენიმე მიზეზის გამო, ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური. ეკონომიკური მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში მოყვანილი ციფრების მიხედვით ის გახდება აღნიშნული ზღვის სოციალური რესურსის, მსოფლიო საზღვაო გადაზიდვების მაკონტროლებელი, და ასევე ბიოლოგიური რესურსის, რომლითაც სამხრეთ ჩინეთის ზღვა ცნობილია „მეორე სპარსეთის ყურის“ სახელწოდებით, ასევე თევზები, რიფები და ა.შ. ეკონომიკური დაწინაურება ძალიან დიდია ამ ზღვის რესურსებზე კონტროლის მოპოვების შემთხვევაში.

რაც მთავარია ეს რესურსები არ შემოიფარგლება ეკონომიკური დაწინაურებით, ძალიან დიდია გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური წონა ამ ზღვის, ვინაიდან როგორც ჰილარი კლინტონმა განაცხადა, ეს რეგიონი არის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესის სფერო. ამას ემატება ჩინეთის მთავარი მოსარჩელის, ფილიპინების დამოკიდებულება აშშ-თან, ვინაიდან ამ უკანასკნელს სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტი აქვთ ხელმოწერილი და ამას ემატება ის ფაქტიც რომ ფილიპინების ტერიტორიაზე მდებარეობს აშშ-ის სამხედრო ბაზა, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული წერტილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკისთვის. ეს ყოველივე ქმნის იმ საერთო სურათს, რაც საჭიროა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული ვიათარების დასანახავად. მეტი სიცხადისთვის იმ ფაქტის განხილვაც საინტერესო გამოდგა, რაც 2016 წელს მოხდა ვიეტნამსა და აშშ-ს შორის, როდესაც ბარაკ ობამამ 50 წლიანი მოქმედი სამხედრო ემბარგო სრულად მოუხსნა ამ უკანასკნელს, რაც პირდაპირ უკავშირდება და ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც დავა სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში კუნძულებზე ვიეტნამმსა და ჩინეთს შორის დაძაბულ სტადიაში იყო შესული. ეს იყო ერთგვარი სიგნალი ჩინეთისთვის, რომ აშშ არ აპირებს რეგიონში პოზიციების დათმობას. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ მიმდინარეობს ჩინეთის მხრიდან კუნძულების გამალებული მილიტარიზაცია, მათ შორის ანტი-საჰაერო და ზენიტური სისტემების განლაგება, რაც არანაკლები სიგნალია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან.

ძალიან საინტერესო იყო ფილიპინების ქეისის განხილვა. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა ჩინეთის ქმედებებს, თუმცა ჩინეთმა მისი

უფლებები არაერთხელ დაარღვია მისი 200 ეკონომიკური საზღვაო მილის გადაკვეთით და შესაბამისად ამან გამოიწვია ფილიპინების გააქტიურებაც. თავდაპირველად ფილიპინები შეეცადა დიპლომატიის მეშვეობით მოეგვარებინა დავა და დასვა საკითხი, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვა გამოცხადდეს მეგობრობისა და თანამშრომლობის სიმბოლოდ, რაც გულისხმობდა იმას რომ უნდა მომხდარიყო რეგიონის სრული დემილიტარიზაცია, თუმცა ამ წინადადებას მხოლოდ ვიეტნამმა დაუჭირა მხარი, ხოლო აშშ-ის სიჩუმე საკითხზე ხაზს უსვამს მხოლოდდამხოლოდ იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვის დემილიტარიზაცია არ შედის ამერიკის ინტერესებში და ის აგრძელებს რეგიონში კონტიგენტის ზრდას. ხელოვნური კუნძულების მშენებლობა, მისი მილიტარიზაცია და მის დემონტაჟზე უარის თქმა გახდა მიზეზი, რის გამოც ფილიპინებმა საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა ჩინეთის წინააღმდეგ, სადაც საქმე მოიგო, თუმცა რეალური აღსრულება სამართლის არ ჩანს, არც რაიმე შეზღუდვები დაწესებულა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, არც რაიმე ბლოკადას ჰქონია ადგილი, რაც იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ არც არავინაა ისეთი ვინც ამას შეძლებს, ჩინეთი დაუფარავად აგრძელებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენებით საკუთარი სტრატეგიის გატარებას და სვლას მსოფლიო ლიდერობისკენ.



(სურათი 7.)

კონფლიქტოლოგიაში არსებობს ორმაგი დაინტერესების სტრატეგია/მოდელი, ის სადღაც კონკურენციასა და თანამშრომლობას შორის დგას, ამ დროს მხარეს აქვს ორი

სახის ინტერესი, **პირველი** დავის დროს მისთვის მხოლოდ საკუთარი ინტერესებია მნიშვნელოვანი, **მეორე** დავის დროს მეორე მხარის ინტერესები და გრძნობები მნიშვნელოვანია, ხანდახან ეს ყოველივე **გულწრფელია**, მეტწილად კი **ინსტრუმენტულია**(ანუ სტრატეგიული), გამიზნული იმისთვის, რომ მეორე მხარისთვის გაწეულმა დახმარებამ ხელი შეუწყოს პირველის ინტერესებს. ნაშრომში გამოკვეთილი არგუმენტებით კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთი ამ სტრატეგიას იყენებს, როდესაც საქმე სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონს ეხება. რატომ ორმაგი დაინტერესების სტრატეგია და არა კონკურენცია, იმიტომ რომ ჩინეთის მიერ წამოყენებულ არგუმენტებში, ის აფიქსირებს მის პოზიციას, რომ იგი ამ კუნძულების შენებას აგრძელებს მხოლოდ იმისთვის რომ გამოიკვლიოს წყალქვეშა სამყარო, განავითაროს მეცნიერება, მეტეოროლოგიური დაკვირვებები აწარმოოს და ა.შ, ანუ პასუხისმგებლობის გავრცობას ახორციელებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის მხოლოდ მის სასიკეთოდ კი არა, მთელი მსოფლიოსთვის მუშაობს. ამას ემატება გაეროსთვის საზღვაო კვლევითი ცენტრის აშენება ამ კუნძულებზე, რაც ხაზს უსვამს ამ სტრატეგიას. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ეს სტრატეგია სახელდება ჩინეთის მიერ გამოყენებულად, არის ის, რომ ჩინეთი რეგიონის ყველა ქვეყანას მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს, ასე მოხდა ფილიპინების ქეისის შემთხვევაშიც და ასე ხდება ყოველ ჯერზე, როდესაც ვითარება იძაბება, რაც საფუძველს იძლევა იმის, რომ ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი ღია კონფრონტაციაში არ შედის, ანუ წმინდა წყლის კონკურენციის გამოვლინება არ არის სახეზე, და არც თანამშრომლობით შემოიფარგლება, ვინაიდან აგრძელებს ხელოვნური კუნძულების მშენებლობას.



(სურათი 8.)

კონფლიქტის ესკალაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის ქარბორბალას, რომელიც 6 სტადიისგან შედგება. თუ კონფლიქტი გადაცდება 4 სტადიას, მისი დეესკალაცია თითქმის შეუძლებელია და დიდი ალბათობით მსგავსი კონფლიქტები სრულდება შეიარაღებული კონფრონტაციით. სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისი თამამად შეილება ითქვას მესამე სტადიაზეა და ძალიან ახლოსაა მეოთხე სტადიასთან. გამომდინარე ჩინეთის მიერ არჩეული სტრატეგიიდან, შეიარაღებულ დაპირისპირებას ჯერ არ უნდა ველოდოთ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური და ინტერნეტ სივრცე აჭრელებულია სტატიებით სათაურით „მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი“, „ამერიკა ჩინეთთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადება“ და სხვა. თუმცა შეუსრულებელი საერთაშორისო საარბიტრაჟოს სასამართლოს განაჩენები, დარღვეული გაეროს კონვენციები, გამალებული შეიარაღება და ხელოვნური კუნძულების მილიტარიზაცია შეშფოთების საბაბს იძლევა.

6. გამოყენებული ლიტერატურა

1. Jihyun Kim, Territorial Disputes in the South China Sea, Implications for Security in Asia and Beyond, summer 2015
2. Principles of China's Foreign Policy. ASIA FOR EDUCATORS. Colombia University. 2009
3. Andrew J. Nathan, Chinese politics. Columbia University. 2009
4. Robert S. Ross, The Great Wall and Empty Fortress: China's Search for Security
5. W. W. Norton, The Great Wall and the Empty Fortress. New York. 1997
6. The Belt and Road Initiative: 65 Countries and Beyond, FUNG BUSINESS INTELLIGENCE CENTRE, May 2016
7. http://www.globalfirepower.com/country-military-strength-detail.asp?country_id=china
8. An international history of the dispute in the south chine sea, Stein Tonnesson, 16 march 2001
9. *Resources (Energy, Fishing) and Maritime Law*. Dr. Su Hao. China Foreign Affairs University. Beijing. 2013
10. TAN Bo-Ping, *A Study on China's Laws and Rules concerning Marine Resource Protection*, People's University of China, Ph. D. Dissertation, 2007
11. WANG Shi-Cheng, *Dragon will Rise from the Sea*, Ocean University of Qingdao Publishing House, 1997
12. Brian D. Lepard, *Customary International Law: A New Theory with Practical Applications,* Cambridge University Press, December 2009; ZHENG Bing, LI Pei-Nan, "The Origin of International Laws: International Customs and Treaties", *Global Law Review*, Issue 1, 1986
13. VALENCIA (Mark J.), "Oil and Gas Potential, Overlapping Claims, and Political Relations" in George Kent and mark J. Valencia (eds.), Marine Policy in Southeast Asia, University of California Press, Berkeley, 1985
14. Florian, Dupuy; Pierre, Marie (January 2013). "A Legal Analysis of China's Historic Rights Claim in the South China Sea"
15. Chen, King C. (1979). *China's War with Vietnam, 1979: Issues, Decisions, and*

Implications. Hoover Press. ISBN 0817985719.

16. Brown, Peter J. (8 December 2009). "Calculated ambiguity in the South China Sea". *Asia Times*. Retrieved 5 February 2014
17. STRATFOR's Global Intelligence Update (14 July 1999). "Taiwan sticks to its guns, to U.S. chagrin". *Asia Times*. Retrieved 10 March 2014
18. "Taiwan reiterates Paracel Islands sovereignty claim". *Taipei Times*. 11 May 2014
19. Jamandre, Tessa (14 April 2011). "PH protests China's '9-dash line' Spratlys claim". *Malaya*. Archived from the original on 19 April 2011. Retrieved 2 June 2011.
20. Bengco, Regina (2 June 2011). "Aquino mulls UN protest on Spratlys". Maritime Security Asia.
21. "Beijing hits out at US comments on South China Sea". Agence-France Presse. 25 July 2010.
22. Indonesia says could also take China to court over South China Sea". Reuters. 11 November 2015.
23. "Annex 2/5: Declaration of the Government of the People's Republic of China on China's Territorial Sea". *fmprc.gov.cn*. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China (FMPRC). 4 September 1958. Retrieved 8 July 2015.
24. The Operation of the HYSY 981 Drilling Rig: Vietnam's Provocation and China's Position". 16 July 2014
25. 1958 'The People's Republic of China government's statement on the Territorial Sea' study". 24 January 2003.
26. Foreign Press Center of Vietnam (25 July 2010). "The "9-dashed line" – an irrational claim"
27. Zheng Wang. "The Nine-Dashed Line: 'Engraved in Our Hearts'". *The Diplomat*.
28. *"American shadow over South China Sea", Global Times, 26 July 2010, archived from the original on 29 July 2010*
29. *China Says Its South Sea Claims Are 'Indisputable'*, Bloomberg, 29 July 2010
30. "International scholars discuss maritime security in the East Sea". vietnamne. 22 June 2011. Archivedfrom the original on 13 October 2014
31. "Declarations or Statements upon UNCLOS Ratification". Division for Ocean Affairs

and the Law of the Sea, United Nations Office of Legal Affairs. Retrieved 22 February 2013

32. Thayer, Carlyle A. (14 July 2011). "South China Sea disputes: ASEAN and China". Retrieved 22 February 2013
33. Timeline: South China Sea dispute". *Financial Times*. 12 July 2016.
34. Beech, Hannah (11 July 2016). "China's Global Reputation Hinges on Upcoming South China Sea Court Decision".
35. *"Press Release: Arbitration between the Republic of the Philippines and the People's Republic of China: Arbitral Tribunal Establishes Rules of Procedure and Initial Timetable". PCA. 27 August 2013. Retrieved 13 July 2016.*
36. "A UN-appointed tribunal dismisses China's claims in the South China Sea". *The Economist*. 12 July 2016
37. Perez, Jane (12 July 2016). "Beijing's South China Sea Claims Rejected by Hague Tribunal". *The New York Times*
38. Tom Phillips, Oliver Holmes, Owen Bowcott (12 July 2016). "Beijing rejects tribunal's ruling in South China Sea case". *The Guardian*.
39. Jun Mai, Shi Jiangtao (12 July 2016). "Taiwan-controlled Taiping Island is a rock, says international court in South China Sea ruling". *South China Morning Post*.

7. დანართი

1. გროსტრატეგიულ დონეზე სამხედრო ბალანსი
2. აშშ-ჩინეთის სამხედრო ბალანსი
3. აშშ-ჩინეთის შედარება გაყიდვების სფეროში
4. ხელოვნური კუნძულები და მილიტარიზაცია
5. თავდაცვის ბიუჯეტი
6. სამხედრო ბალანსი რეგიონულ დონეზე
7. ჩინეთის მიერ UNCLOS დარღვეული საზღვრები
8. ნაშრომის თავფურცელი ინგლისურ ენაზე



დანართი .1.

South China Sea battle

Military assets comparison between US and China

	CHINA	US
Submarines	66	72
Aircraft carriers	1	10
Nuclear arsenal (no. of warheads)	250	1797*
Active military aircraft	2,239	5,433
Total active military forces	2,333,000	1,400,000

*US maintains 1,597 actively deployed strategic warheads and about 200 short-range nuclear warheads in Europe (heritage.org)

SOURCE: US DEPARTMENT OF DEFENCE REPORT TO CONGRESS 2015, HERITAGE FOUNDATION, THE INTERNATIONAL INSTITUTE FOR STRATEGIC STUDIES

დანართი. 2.



დანართი. 3.

დანართი. 4.



დანართი. 5.



დანართი. 6.



დანართი. 7.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamari Tolordava

Chine's military strategy and its implementation tools – of the South Chine Sea security dilemma format

Master Program in Conflict Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciencee

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Professor: Vakhtang Maisaia

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მირანდა მუსელიანი

საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენი 21-ე საუკუნეში- კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები(ამერიკა - საქართველო)

ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2017

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Miranda Museliani

Information Security phenomenon of the 21-st century-Cyber Security and it's determinants(Georgia/Usa).

Master Programme in Conflict Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Head: Vakhtang Maisaia

Doctor of Political Sciences

Tbilisi

2017

ანოტაცია

ნაშრომის თემაა საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენი 21-ე საუკუნეში- კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები(ამერიკა -საქართველო).

კვლევის მიზანია:

- ✓ რა ფაქტორები განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოებას საქართველოსა და ამერიკაში.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ კიბერუსაფრთხოების ფენომენის განსაზღვრა.
- ✓ რამდენად არის კიბერუსაფრთხოება განხილული,როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი.
- ✓ კიბერ ომის ფაქტორი გეოსტრატეგიული დაპირისპირების ფარგლებში.
- ✓ თანამშრომლობის ფორმების გამოკვეთა(როგორ ხდება კიბერუსაფრთხოების ფარგლებში თანამშრომლობა ამერიკა/ საქართველოსთვის).

21-ე საუკუნეში მთელი სამყარო დამოკიდებულია ინტერნეტზე,ინტერნეტ ქსელებზე და მათი საშუალებით კომუნიკაციაზე.ერთი მხრივ ეს ყველაფერი ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას,თუმცა მეორე მხრივ გამოიწვია დამოკიდებულება მათზე. იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი ერთმანეთთანაა კავშირში,გამოიწვია კიბერუსაფრთხოების საკითხის გააქტიურება. ცნობილია,რომ ამერიკა არის უპირველესი სახელმწიფო კიბერუსაფრთხოებაში,ხოლო საქართველო თანდათან იდგამს ფეხს და ვითარდება.ამ ორი სახელმწიფოს განხილვით შევძლებთ დავინახოთ თუ რა არის სუპერ სახელმწიფოს და განვითარებადი სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.რისი გაკეთება უწევთ სუპერ და განვითარებად სახელმწიფოს მაქსიმალური დაცული კიბერუსაფრთხოების მისაღწევად,რა პრობლემებს აწყდებიან ისინი და ა.შ. განვიხილავთ ამერიკასა და საქართველოზე განხორციელებულ უდიდეს კიბერ შეტევებს და თითოეული სახელმწიფოს ნაბიჯებს მათ მოსაგვარებლად და გადასაჭრელად.

Annotation

The thesis of the work is „ Information Security phenomenon of the 21-st century-Cyber Security and it's determinants(Georgia/Usa).

The goal of the research is:

- ✓ What factors determine cyber security in Georgia and America.

The objectives of the research are:

- ✓ Determining the phenomenon of cyber security.
- ✓ How much security is considered as a component of international security.
- ✓ The factor of cyber warfare in the geostrategic controversy.
- ✓ Outcome of cooperation (how to cooperate within the cyber security for America / Georgia).

In The 21st century The whole world depends on the Internet, and communication through them. On the one hand it all contributes to the development of society, but on the other the attitude towards them.

It is known that America is the foremost state in cyber security, and Georgia is gradually standing up and develops. By considering these two states we will be able to see what is the super-state and the emerging state cyber security is and its determining factors. What do they have to do to achieve the highest cyber security in a super and developing state, what problems they face, etc. We consider the biggest cyber attacks in America and Georgia and the steps of each state to solve them.

სარჩევი

1.შესავალი.....6

1.1გამოკვლევის მეთოდოლოგია.....7

2. საინფორმაციო უსაფრთხოების ზოგადი მიმოხილვა.....9

2.1 რა არის კიბერუსაფრთხოება - არსი, ისტორიული მიმოხილვა და მიმართულებები...11

2.2. კიბერდანაშაული და მისი ტიპოლოგია.....13

2.3. კიბერთავდაცვა და მისი ინსტრუმენტები.....18

3. საქართველოს კიბერ უსაფრთხოების გარემო და მისი ანალიზი.....20

4. ამერიკის შეერთებული შტატების კიბერ უსაფრთხოების რაობა და არსი - მოკლე მიმოხილვა.....25

5. კიბერ საფრთხეების გეოპოლიტიკური ასპექტები: კიბერშეტევები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე.....28

5.1. 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოზე კიბერშეტევა.....28

5.2. აშშ-ს კიბერმოწყვლადობის შემთხვევა.....31

5.3. რუსი ჰაკერების მიერ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის დაჰაკვა.....33

5.4. Petya-გლობალური კიბერ ვირუსი- საქართველოს ჭრილში.....36

6. კვლევის ანალიზი.....39

7.დასკვნა.....46

8. უცხო ტერმინთა განმარტება.....47

9.რეკომენდაციები.....49

10.ბიბლიოგრაფია.....50

1. შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის თემაა- საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენი 21-ე საუკუნეში- კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.თემა განხილული იქნება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე,რომლის საშუალებითაც ნათლად დავინახავთ განვითარებადი და სუპერ სახელმწიფოს შორის კიბერ უსაფრთხოების საკითხს.

21-ე საუკუნის კონფლიქტების ანალიზი გვიჩვენებს,რომ კიბერუსაფრთხოება არის ყველა ომისა თუ კონფლიქტის განუყოფელი ნაწილი.იგი თავის მხრივს დაკავშირებულია ინფორმაციული ტიპის კონფლიქტთან,რომელიც სწორედ კიბერ შეტევის მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული,რამაც შეიძლება ახალი კონფლიქტის კერა წარმოშვას ან არსებულის ესკალაცია გამოიწვიოს.

ნაშრომი განიხილავს კიბერუსაფრთხოების არსს,მის განმსაზღვრელ ფაქტორებს.საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენს და ამერიკისა და საქართველოს მაგალითზე რეალური კიბერშეტევებს.ასევე, საშუალებას მოგვცემს დავინახოთ კიბერუსაფრთხოების დადებითი ან უარყოფითი მხარეები,რამდენად გახდა იგი საერთაშორისო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი და შეცვალა, თუ არა მან ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო.

საუბარია იმაზე თუ რა როლი უჭირავს კიბერუსაფრთხოებას დღევანდელ გეოპოლიტიკურ სივრცეში,რამდენად გადამწყვეტ ფიგურას წარმოადგენს ის სახელმწიფოებისთვის.

განვიხილავ 21-ე საუკუნის მსოფლიოს უდიდეს კიბერ შეტევებს, ვინაიდან რეალური ფაქტების საშუალების განვსაზღვროთ საკითხის არსი.

1.1.გამოკვლევის პროგრამა/მეთოდოლოგია

კვლევის ჩასატარებლად შევარჩიე თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი.გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან და შემთხვევის შესწავლა, მსოფლიოს ყველაზე დიდი კიბერ შეტევების შესასწავლად.შემთხვევის შესწავლა არის თვისებრივი კვლევის მეთოდი და ასევე,ზოგადად,კვლევითი სტრატეგია,რომლის მიზანია ცალკეული ფენომენის ემპირიული შესწავლა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში სხვადასხვა წყაროების გამოყენებით.გენერალური ერთობლიობას წარმოადგენენ - ექსპერტები. შერჩევის სახე - არაალბათური.ხოლო შერჩევის ტიპი-მიზნობრივი ანუ შეფასებითი,რომლის დროსაც შესასწავლი შემთხვევების შერჩევა ან გარკვეული მიზნით ხდება ანდა ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე. შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს ის დეპარტამენტები,რომლებიც კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუშაობენ. ექსპერტებთან გამოყენებული სიღრმისეული ინტერვიუ იყო შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით,რომელიც უფრო მოქნილი და მოხერხებულია.

მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე შევარჩიე 6 ექსპერტი,რომლებიც მოღვაწეობენ ამ სფეროში, 3-ამერიკელი და 3-ქართველი, იქედან გამომდინარე,რომ ამ ორ ქვეყანას შევეხებით, სწორედ ამიტომაც, მათი აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია,ისინი მუშაობენ ძირითადად ამ ორ ქვეყანაზე, ფლობენ ყველაზე მეტ ინფორმაციას მათ შორის ურთიერთობებზე კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით,იციან თუ რა გეგმები აქვთ სამომავლოდ ამ სფეროში და ა.შ.

ასევე, განვიხილავ სამ უდიდეს შეტევას ამერიკასა და საქართველოზე,რომელიც მსოფლიო ექსპერტების მიერ იქნა აღიარებული.ასევე ერთ კიბერ შეტევას, რომელიც 2017 წლის 27 ივლისს განხორციელდა მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით. ეს არის კიბერ შეტევების მაგალითები,რომლებიც მსოფლიოში არ განმეორებულა და უდიდესი ზარალი მოუტანა ორივე ქვეყანას,როგორც ფინანსურად,ასევე რეპუტაციის მხრივ,ნდობის მხრივ და ა.შ. ამისთვის გამოვიყენე შემთხვევის შესწავლა,რომელიც სიღრმისეულად მოგვცემს საკითხის შესწავლის საშუალებას რეალურ მაგალითებზე და ფაქტებზე დაყრდნობით.ჩემს შემთხვევაში ვიხელმძღვანელე, მოვლენების, როლების და ურთიერთობების შესწავლა - როდესაც შემთხვევის შესწავლა გულისხმობს მოვლენათა დეტალური აღწერას, იგი აგრეთვე მოიცავს მის ახსნას და ინტერპრეტაციას გარკვეულ თეორიებთან მიმართების დადგენის საფუძველზე, თუმცა აუცილებელია ფაქტების და მის შედეგად გაკეთებული დასკვნების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოცალკევება, სხვა სიტყვებით, ნათლად უნდა ჩანდეს სად არის ფაქტი და სად ავტორისეული ვარაუდი.(განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 2: განათლების სპეციალისტებისათვის

/ [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. - 56გვ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 54-56. - ISBN: 978-9941-0-0541-1 (ყველა ნაწ.), ISBN: 978-9941-0-0542-8 (ნაწ. 2) : [ფ.ა.][MFN: 95118]

კვლევის განხორციელების ეტაპები განაწილდება შემდეგნაირად:

- ✓ პირველ ეტაპზე დამუშავდა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა.
- ✓ მეორე ეტაპზე შემუშავდა გეგმა კვლევის განხორციელებისთვის.
- ✓ ექსპერტების მოძება.
- ✓ კითხვარის შემუშავება-რომელიც იყო ნახევრად სტრუქტურირებული.
- ✓ შემდეგი ეტაპია ყველაზე გახმაურებული სამი კიბერ შეტევის შესწავლა შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენება.
- ✓ კვლევის ანალიზი.
- ✓ დასკვნა.
- ✓ რეკომენდაციები.

კვლევის მიზანია:

- ✓ რა ფაქტორები განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოებას საქართველოსა და ამერიკაში.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ კიბერუსაფრთხოების ფენომენის განსაზღვრა.
- ✓ რამდენად არის კიბერუსაფრთხოება განხილული,როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი.
- ✓ კიბერ ომის ფაქტორი გეოსტრატეგიული დაპირისპირების ფარგლებში.
- ✓ თანამშრომლობის ფორმების გამოკვეთა(როგორ ხდება კიბერუსაფრთხოების ფარგლებში თანამშრომლობა ამერიკა/ საქართველოსთვის).

2. საინფორმაციო უსაფრთხოების ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სტანდარტები, ინფორმაციულ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, როგორც ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას,მთლიანობას და ხელმისაწვდომობას (ISO/IEC 27002, 2005,p.1).

ინფორმაციული უსაფრთხოების მიზანია ამა თუ იმ საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა,უსაფრთხოების შემაფერხებელი ინციდენტების მინიმუმამდე დაყვანა(Von Solms, 1998).

ასევე ინფორმაციული უსაფრთხოება,შემოკლებით Infosec,არის მოახდინოს არაავტორიზებული დაშვების,ინფორმაციის გამოყენების,გამჟღავნების,შეფერხების,მოდიფიცირების,ჩაწერის ან განადგურების პრევენცია.

Whitman and Mattord (2009) საინფორმაციო უსაფრთხოებას განსაზღვრავენ, როგორც: „ინფორმაციისა და მისი კრიტიკული ელემენტების დაცვას,მათ შორის შედის სისტემები და აპარატურა,რომლებსაც იყენებენ და რომლებიც გადასცემენ ინფორმაციას“(Whitman and Mattord, 2009, p. 8).

სხვადასხვა წყაროები ხაზს უსვამენ ინფორმაციის სამ თვისებას, რომლებიცაა :

- ✓ კონფიდენციალობა - ინფორმაცია რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი მხარეებისთვის.
- ✓ მთლიანობა-მონაცემთა არასანქცირებული მოდიფიკაციის თავიდან აცილება.
- ✓ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა-უფლებამოსილი მხარეების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაციის მიღების აუცილებლობა.

მაგრამ, Whitman and Mattord არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ამ სამი მახასიათებლით. ისინი მიუთითებენ, რომ უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციულ უსაფრთხოებაში ცნობილია,როგორც CIA-ს სამკუთხედი (Central Intelligence Agency, CIA-ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო), იგი ტრადიციულად წარმოადგენდა ინდუსტრიის სტანდარტს.ამ სამი მახასიათებლის დაცვა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო,თუმცა დღესდღეობის CIA-ს სამკუთხედის მოდელი კომპიუტერული ინდუსტრიის მუდმივ ცვალებად გარემოს ვეღარ შეესაბამება (Whitman and Mattord, 2009, p. 8).აქედან გამომდინარე ისინი ამატებენ ინფორმაციის სიზუსტეს,ნამდვილობას,სარგებლიანობას და ამ მახასიათებლების შემცველი ინფორმაცია უნდა იყოს დაცული.

ზემოაღნიშნულ განმარტებებში რამდენიმე კონცეფცია საჭიროებს უფრო ზუსტ გამოკვლევას.პირველ რიგში უნდა იყოს ნათელი,რომ ინფორმაციული უსაფრთხოება არ არის პროდუქტი ან ტექნოლოგია,იგი არის პროცესი(Mitnick and Simon,2002,p.4). ასევე,Wood-ის მიხედვით ინფორმაციული უსაფრთხოება მკაცრად ტექნიკური საკითხია.თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ კომპიუტერული ტექნიკა და ქსელები მუდმივად ცვალებადია,ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კომპიუტერებსა და ქსელებში მასთან ერთად უნდა გაფართოვდეს და განვითარდეს.ამ პროცესმა შეიძლება მოითხოვოს გარკვეული პროდუქტების გამოყენება,თუმცა ის პროდუქტები რომელთა ყიდვაც შეუძლებელია, ისინი თითქმის მიუწვდომელია. ორგანიზაციები ქმნიან სპეციალურ ჯგუფებს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის,ისინი პასუხისმგებლები არიან რისკების მართვაზე, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციული აქტივობების საფრთხეების შემცველობის შეფასება. ორგანიზაციის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ინფორმაცია დაცულია ბიზნეს ოპერაციებში, ეს უზრუნველყოფს როგორც სანდოობის შენარჩუნებას, ასევე კლიენტების ნდობის მოპოვება.

აშშ-ში საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგიის გლობალური მიზნებია:

- ✓ ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურების წინააღმდეგ კიბერნეტიკული შეტევების თავიდან აცილება.
- ✓ კიბერნეტიკული შეტევების წინააღმდეგ ქვეყნის დაცვის დონის ამაღლება.
- ✓ განხორციელებული კიბერნეტიკული შეტევების შემთხვევაში ზარალისა და შედეგების გამოსწორების დროის მინიმიზება.

საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ძალაში შევიდა 2012 წელს. კანონმა შემოიტანა „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის“ ცნება, რომელიც განისაზღვრა როგორც ორგანიზაცია, რომლის ინფორმაციული სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. კანონშივე აღნიშნულია, რომ ის შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის.საქართველოს კანონში ინფორმაციული უსაფრთხოება განმარტებულია როგორც: „ინფორმაციული უსაფრთხოება – საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას“.

საქართველოში საინფრმაციო უსაფრთხოების სტრატეგიის მიზნებია:

- ✓ ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას
- ✓ დააწესოს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში
- ✓ განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები.

თუ შევადარებთ საქართველოსა და აშშ-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სტტარეგიის მიზნებს გამოიკვეთება ის საერთო მიზნები,რომელიც ამ ორ ქვეყანას გააჩნია მიუხედავად იმისა რომ ერთი უდიდესი და სუპერ განვითარებული სახელმწიფოა ხოლო მეორე პატარა და განვითარებადი.მიზნების არსი ორივე ქვეყნისათვის ერთი და იგივეა,უზრუნველყონ ზარალის შემცირება,კონტროლი და ა.შ. თუმცა, განსხვვებები უფრო მეტია ვიდრე საერთო,მაგრამ საბოლოოდ ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნებს, ერთი მთავარი მიზნისკენ მივყავართ და ეს არის ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2.1.რა არის კიბერუსაფრთხოება - არსი, ისტორიული მიმოხილვა და მიმართულებები

ასევე სანამ სიღრმისეულად გადავალთ კიბერუსაფრთხოების საკითხის შესწავლაზე უნდა მიმოვიხილოთ, თუ რა არის კიბერ სივრცე.

„კიბერ“- ბერძნული წარმოშობის ზმნაა -“kybereo” ნიშნავს -მართვას, გაძღოლას, გაკონტროლებას. 1940 წლიდან ამერიკელმა მათემატიკოსმა Norbert Wiener-მა(1894-1964) დაიწყო ამ სიტყვის გამოყენება, რათა დაეხასიათებინა კომპიუტერული სისტემა.

უნდა აღინიშნოს რომ კიბერ სივრცეს ერთი კონკრეტული განმარტება არ აქვს.სიტყვა "კიბერ სივრცე" მიანიჭა უილიამ გიბსონმა, რომელმაც გამოიყენა თავის წიგნში „Neuromancer“,1984 წელს.

კიბერ სივრცე არის გარემო სადაც ხდება კომპიუტერული ქსელების კომუნიკაცია,ეს სიტყვა პოპულარული გახდა 1990 წლიდან.იგი ასოცირდება კომპიუტერთან და ინტერნეტის სხვადასხვა კულტურებთან.

Chip Morningstar and F. Randall Farmer-ის თანახმად, კიბერსივრცეში ძირითადად განსაზღვრულია სოციალური ურთიერთქმედება,ვიდრე მისი ტექნიკური

განხორციელება.კიბერსივრცის ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ ის სთავაზობს გარემოს, რომელიც შედგება მრავალი მონაწილეებისგან, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ასევე ექცევიან გავლენის ქვეშ.

ზოგჯერ ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერ უსაფრთხოებას აიგივებენ და თვლიან რომ ეს ორი ცნება ანალოგიურია,თუმცა თავიდანვე უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად იმისა რომ ეს ორი ცნება რაღაც მხრივ ფარავს ერთმანეთს,კიბერ უსაფრთხოება სცდება თავად ინფორმაციული უსაფრთხოების საზღვრებს,იგი მოიცავს არა მხოლოდ საინფორმაციო რესურსების დაცვას არამედ სხვა აქტივობებსაც,როგორც ზემოთ აღინიშნა,რიგ შემთხვევებში ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერ უსაფრთხოებას ურთიერთ ჩანაცვლებად ტერმინებად იყენებენ.თუ ამ ორ ტერმინს ჩავთვლით სინონიმებად,მაშინ კიბერ უსაფრთხოების დასახასიათებლად დასაშვები იქნება თუ გამოვიყენებთ ინფორმაციული უსაფრთხოებისათვის განსაზღვრულ მახასიათებლებს.ამდენად,კიბერ შემთხვევის მაგალითი შეიძლება იყოს ინფორმაციის კონფიდენციალობის,მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის დარღვევა. კიბერ უსაფრთხოების უმრავლესობა დაკავშირებული შეიძლება იყოს მომხმარებელის ან / და ორგანიზაციის საფრთხეებთან.

რაც შეეხება, კონკრეტულად კიბერ უსაფრთხოების განმარტებებს, Merriam Webster-ის ლექსიკონში კიბერუსაფრთხოება განსაზღვრულია, როგორც „ღონისძიებები,რომელიც იცავს კომპიუტერს ან კომპიუტერულ სისტემას არასანქცირებული წვდომისა და თავდასხმისაგან“.

International telecommunications union(ITU) - განსაზღვრავს კიბერ უსაფრთხოებას, შემდეგნაირად: „კიბერუსაფრთხოება არის ერთობლიობა ინსტრუმენტების, პოლიტიკის, უსაფრთხოების კონცეფციის ,რისკის მართვის,ტექნოლოგები და გარანტიები,რომლებიც გამოყენებული იქნება დაიცვა კიბერ გარემო და ორგანიზაციები და ასევე მომხმარებლის აქტივობები. ორგანიზაცია და მომხმარებლის აქტივობები მოიცავს კომპიუტერულ მოწყობილობებს, პირადი, მომსახურება, სატელეკომუნიკაციო სისტემები და ყოველივე ეს ინახება კიბერ გარემოში“.

კიბერუსაფრთხოება მიზნად ისახავს ორგანიზაციის უსაფრთხოების მიღწევას და მისი შენარჩუნების უზრუნველყოფას,ასევე მომხმარებლების აქტივობების შესაბამის დაცვას რისკებისგან.

საჯარო სამსახურები დღითი დღე სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებული ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციისა და კომუნიკაციის გამოყენებაზე(ICT-Information and communications technology). რაც უფრო დამოკიდებულნი ვხდებით ICT-

ზე,მით ღრმაა კავშირი კიბერ უსაფრთხოებასთან. ამ მიზეზებიდან გამომდინარე კიბერ უსაფრთხობა წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს ნამდვილ გამოწვევას, რომელთან გამკლავებაც, მხოლოდ სამართალმცოდნეების, უსაფრთხოების ექსპერტებისა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი.

კიბერუსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელ კომპონენტად და ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა,ვინაიდან და რადგანაც 50-ზე მეტმა ქვეყანამ ოფიციალურად გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც გარკვეული ფორმით ასახავს მათ ოფიციალურ პოზიციას კიბერივრცეზე, კიბერ დანაშაულზე და/ან კიბერუსაფრთხოებაზე(Klimburg,2012). კიბერუსაფრთხოების უზრუნველოფა რთული ამოცანაა, რომელიც ეყრდნობა დომენურ ცოდნას და მოითხოვს შემეცნებით შესაძლებლობებს,რათა დადგინდეს შესაძლო საფრთხეები დიდი რაოდენობის ქსელური მონაცემებისგან.

2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად დასახელდა:"ჩვენ ვთანხმდებით,რომ კიბერშეტევებმა შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენონ ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოება,სტაბილურობა და განვითარება.მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ თანამედროვე საზოგადოებას.ამგვარად,ვაცხადებთ,რომ კიბერ თავდაცვა ნატოს ერთიანი თავდაცვის განუყოფელი ნაწილია"-აცხადება ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი, ანდერს ფოგრასმუსენი ნატოს უელსის სამიტზე. (International Business Times, The Three Cyber-Security Challenges Facing Nato, Jarno Limnell, August 13, 2014, Brussels).

2.2.კიბერ დანაშაული და მისი ტიპოლოგია

1969 წელს, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტმა შექმნა ქსელი ARPANET (Advanced Research Projects Agency Network). თუ თავიდან მხოლოდ 40 კომპიუტერი იყო გამოყენებული ამ ქსელისათვის, 1981 წლისთვის, 200-ზე მეტი კომპიუტერი იყო დაკავშირებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო თუ 2000 წელს ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენიმა 300 მილიონი იყო 2011 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ეს რაოდენობა 3 მილიარდს აღწევს.მსოფლიოში ინტერნეტის და კომპიუტერული სისტემების განვითარებასთან ერთად განვითარდა და გამრავალფეროვანდა კომპიუტერული დანაშაული, რომელსაც კიბერ დანაშაული ეწოდება, მას ხშირად 21-ე საუკუნის კრიმინალურ ფორმასაც კი უწოდებენ. იგი ყურადღების ცენტრში თავდაპირველად XX საუკუნის 70-იან წლებში მოექცა.

არ არსებობს კიბერ დანაშაულის ერთი კონკრეტული განმარტება, თუმცა კიბერდანაშაული გულისხმობს ყველა იმ ქმედებას, რომელიც ხორციელდება კიბერსივრცეში

დანაშაულებრივი განზრახვით. ისინი შეიძლება განხორციელდეს, როგორც კონვენციური ისე ახალი საშუალებებით. ინტერნეტის ანონიმური ბუნების საშუალებით, შესაძლებელი მრავალი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება ყოველგვარი სასჯელის გარეშე, ხოლო შესაბამისი ცოდნის მქონე მხარეები, არაკეთილსინდისიერად იყენებენ მას კიბერსივრცეში დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ეს ქმედებები კი ყოველდღიურად იცვლება და ვითარდება.

კიბერ დამნაშავეები შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად. ესენი არიან:

- ✓ ჰობისტები- ანუ ჰაქტივისტები, როგორებიც არიან დაჯგუფება Anonymous და LulzSec. ისინი არ ცდილობენ თანხის მოპარვას, ისინი ცდილობენ პოლიტიკური მესიჯის მიწოდებას.
- ✓ ორგანიზებული კრიმინალური დამნაშავეები - რომლებიც ყველა საზიანო ქმედებას გარკვეული თანხის მიღების გამო აკეთებენ.
- ✓ კიბერ ჯაშუშები - ადამიანები, რომლებიც ცდილობენ კიბერ საბოტაჟის მოწყობას, როგორც ეს მოხდა 2010 წელს ირანის და 2007 წელს კი ესტონეთის შემთხვევაში ან კიბერ ომის წამოწყებას, რომელიც განხორციელდა 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ.

კიბერ დანაშაული ძირითადად დაყოფილია სამ ჯგუფად:

- ✓ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კიბერ დანაშაული

პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი კიბერ დანაშაული მოიცავს სხვადასხვა დანაშაულებს, როგორიცაა ბავშვთა პორნოგრაფიის გამოქვეყნება, კიბერ პორნოგრაფია,ფიზიკური პირის შევიწროვება კომპიუტერის გამოყენებით, ტრეფიკინგი, უცენზურო მასალი განაწილება, გამოქვეყნება და გავრცელება, მათ შორის პორნოგრაფიისა და უხამსი ექსპოზიციის შესახებ, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კიბერ დანაშაულებს.კიბერ-შევიწროება არის განსხვავებული კიბერ დანაშაული. სხვადასხვა სახის შევიწროვება შეიძლება მოხდეს კიბერსივრცეში, ან კიბერსივრცის გამოყენების საშუალებით,იგი შეიძლება იყოს სექსუალური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კიბერ დანაშაულებებია:შეურაცხყოფა ელექტრონული ფოსტით,ცილისწამება,ჰაკინგი,ქსელის გატეხვა,თაღლითობა,ბავშვთა პორნოგრაფია,საფრთხის შემცველი მოქმედებები.

- ✓ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული კიბერ დანაშაული

კიბერ დანაშაულის მეორე კატეგორია არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს,რომელიც მოიცავს სხვისი ქონების განადგურება(კომპიუტერის ვანდალიზმი),მავნე ვირუსების ან პროგრამების გამოყენება ვინმეს ქონების გასანადგურებლად,ინტელექტუალური საკუთრების დანაშაული, კომპიუტერული სისტემის ჰაკინგი, ვირუსების გავრცელება,კიბერ გადაკვეთა ანუ საკუთრების ხელყოფა,ინტერნეტ ქურდობა.

- ✓ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კიბერ დანაშაული

კიბერ-დანაშაულის მესამე კატეგორია მთავრობასთან დაკავშირებით კიბერ დანაშაულებსაც ეხება.კიბერ ტერორიზმი სწორედ ამ კატეგორიაში შედის,ვინაიდან იგი მიმართულია მთავრობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ.კიბერ სივცრის ზრდამ გვიჩვენა რომ პიროვნებები თუ დაჯგუფებების საშუალო რაოდენობა საფრთხეს უქმნის მთავრობებს,სახელმწიფოებს თუ ქვეყნის მოქალაქეებს.

 როდესაც კიბერ დანაშაულზე ვსაუბრობთ,შეუძლებელია არ შევეხოთ ისეთ აქტუალურ თემას, როგორიც ტერორიზმია. ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია გლობალიზაცია, რომელიც ხელს უწყობს კრიმინალური აქტივობების ზრდას. „უმართავი სივრცეები“ ,რომლებიც ცივი ომის შემდეგ წარმოიშვა, ათვისებულ იქნა ტერორისტებისა და კრიმინალების მიერ, როგორც მათი თავშესაფარი.ტერორიზმის საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია 2001წლის 11 სექტემბრამდე არ არსებობდა,თუმცა საბოლოო სახით იგი დღესაც არ არსებობს.დღევანდელი განმარტებით ტერორიზმი არის- „ძალადობის გამოყენება შიშისა და ტერორის კლიმატის შექმნის მიზნით და დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“(Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი).მიუხედავად ტერორისტული აქტის ჩადენის ტრადიციული მეთოდებისა, კიბერსივრცის განვითარებასთან ერთად ტერორისტების ყურადღება აქტიურად გადმოერთვება კიბერსივრცეში რაც მას ნამდვილ ბრძოლის ველად აქცევს. აღნიშნული კი გლობალურ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა მილსადენები, ელექტრო სადგურები, ტრანსპორტი, საკომუნიკაციო სისტემები, საფრთხის წინაშე ჩააგდებს. ამის ნათელი მაგალითი იყო 2010 წელს აღმოჩენილი კომპიუტერული ჭია Stuxnet. ინფორმაციული უსართხოების ექსპერტების განცხადებით, StuxneT იყო პირველი კომპიუტერული ჭია რომელიც აკვირდებოდა ირანის ატომურ ინფრასტრუქტურას, თავისით სწავლობდა მისი გაკონტროლების ხერხებს და კონფიგურაციის შემთხვევაში შეეძლო სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურების მართვაც. ეს კომპიუტერული ჭია მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყო გავრცელებული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა შავ ბაზარზე, რა დროსაც მოხდა კიბერსივრცეში მისი სხვადასხვა ვარიანტების გავრცელება. აღნიშნულის გამო მისი შემქმნელების დადგენა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა. საინტერესო ის ფაქტი, რომ მისი

აქტივობის ძირითად ზონებს წარმოადგენდნენ ირანი, ინდონეზია, ინდოეთი და პაკისტანი.

„ისლამური სახალიფო - დაეში(ISIS)“, ისევე, როგორც „ალ-კაიდა“ წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ერთიანი ისლამური სახალიფოს შექმნის იდეებით არიან შთაგონებულნი. ძველებურ, ტრადიციულ ხერხებს ტერორიზმისთვის უკვე დიდი ხანია აღარ იყენებენ, 2010 წლიდან ისინი აქტიურად ჩაერთვნენ სოციალურ ქსელებში. ტერორისტები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს,როგორიცაა Facebook,Twiter,თუმცა ყველაზე გამოყენებადი არის Youtube,სადაც ტერორისტები საკუთარ გვერდს ქმნიან და ამ გვერდს შემდეგ ტერორისტული მიმართვებისათვის იყენებენ და ავრცელებენ ვიდეოებს მხარდემჭერების მოსაპოვებლად. ამის ერთ-ერთი მაგალითია ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობის ვიდეო,რომელიც გავრცელდა მას შემდეგ რაც ბარაკ ობამამ ისლამსტურ სახელმწიფოს ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

*https://www.slideshare.net/vikashnsingh/isis-50885565

2015-წლის სტატისტიკაში მოცემულია ISIS-ის სოციალური მედიის ანალიზი,სადაც კარგად ჩანს,თუ რომელ ქსელში არიან ისინი ყველაზე მეტად აქტიურები. ეს არის სოციალური მედიის მონიტორინგისა და ანალიზის ანგარიში და არა სადაზვერვო ანგარიში.ანალიზის ანგარიშის შესაქმნელად გამოყენებულია Twitter-ი, ახალი ამბები, News, ფორუმები და ვიდეო საუბრების ბოლო ერთი წლის ისტორიული მონაცემები.

დღევანდელი მდგომარეობით „ისლამურ სახელმწიფოში“ დაახლოებით 12-150000-მდე უცხოური ბოევიკი მოქმედებს, ხოლო ამ რიცხვიდან 100-ზე მეტი არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე და ეს რიცხვი დღეთი დღე იზრდება.

კიბერ დანაშაულს უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, გავლენას ახდენს ყველა პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, დაჯგუფებაზე, ოჯახზე, სახელმწიფოზე თუ სხვა. კიბერ დანაშაული ზემოქმედებს დაწყებული იმ უმცირესიდან როგორიცაა-პიროვნება და დამთავრებული იმ უდიდესით, როგორიცაა -მსოფლიო.

Hackmageddon.com-ის მიერ მოწოდებული სამ წლიანი(2014-დან 2016-ის ჩათვლით) ყოველთვიური თავდასხმის გრაფიკი გვიჩვენებს, რომ პირველი დონე 5 თვის განმავლობაში სამივე წელს მსგავსი იყო. 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყეს უფრო თანმიმდევრული აქტივობა, სულ ცოტა დეკემბრამდე, ხოლო 2016 წლიდან ცენტრალურ თვეში კიბერ შეტევების მწვერვალი იყო.



კომპანია „Pierre Audoin Consultants-ის“ 2016წლის კვლევების თანახმად, დანაშაულის 30% კი პერსონალურ ინფორმაციასთან უკანონო წვდომის მოსაპოვებლად არის ჩადენილი . მონაცემების მიხედვით, კიბერდანაშაულის რიცხვის ზრდით ყველაზე მეტად ბიზნესმენები არიან შეშფოთებული და მათი 57% უსაფრთხოების სერვისებს მაქსიმალურად იყენებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1977 წელს შეიმუშავეს ” ფედერალური კომპიუტერული სისტემების დაცვის შესახებ” კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კიბერდანაშაულის წინააღმდეგ. კომპიუტერული დანაშაულისაგან მიყენებული ყოველწლიური ზარალი ევროპაში და ამერიკაში შეადგენს რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს.

რაც შეეხება საქართველოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით: "2011 წლის მარტიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ეგიდით მიმდინარე პროექტში „თანამშრომლობა კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ“.აღნიშნული პროექტის მიზანია ქართული სამართალდამცავი უწყებების შესაძლებლობების განვითარება კიბერდანაშაულთან ბრძოლის პროცესში“.

2012 წლიდან ესტონეთის ხელისუფლების მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების ამაღლებას კიბერდანაშაულის გამოძიებისა და ციფრული მტკიცებულებების ამოღების მიმართულებით.

2.3. კიბერ თავდაცვა და მისი ელემენტები

21-ე საუკუნე ვირტუალური სამყაროს ეპოქაა, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია,იგი თავის მხრივ კი ქმნის კიბერ სივრცეს. სახელმწიფოებისთვის უმნიშვნელოვანესია ძლიერი კიბერ სივრცის არსებობა ვინაიდან, მის გარეშე ისინი გარე სამყაროსგან დაუცველები იქნებოდნენ. კიბერ შეტევის განხორციელება მსგავს სახელმწიფოზე მარტივია და მისი განადგურება.კიბერსივრცე და მასთან დაკავშირებული საკითხები არც ისე ახალია თანამედროვეობისთვის.

თანდათან სულ უფრო მტკიცდება, რომ სივრცეზე დაფუძნებული სისტემები არის ძირითადი ხელსაწყოები საერთაშორისო და ეროვნული ურთიერთობებისთვის. შესაბამისად გარე სამყარო სულ უფრო ზრდის კონკურენტობას, კამათსა და დავებს ერთმანეთში. სივრცეზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს გლობალური პოზიციონირების, ნავიგაციისა და დროების მონაცემებს. ასევე უზრუნველყოფს გლობალურ საფინანსო ოპერაციებისა და ვაჭრობის სიზუსტეს და ეფექტურობას.

რადგან სივრცეზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება იზრდება ტექნოლოგიის წინსვლა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდის სივრცის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. შედეგად აქტორების ზრდა სივრცეში ცვლის გეოსტრატეგიის ორბიტის სამ პრინციპს.მათი უწყვეტი ნაკადი შეიძლება ითქვას, რომ ამ ორბიტის გადავსებას და დაბინძურებას იწვევს. ახალი აქტორები ცვლიან გეორტრატეგიულ სივრცეს და ყალიბდება ახალი პოლიტიკა 21-ე საუკუნეში.

აქამდე არაერთხელ აღვნიშნეთ,რომ ამერიკა არის მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა სივრცეში, მას თან მისდევს რუსეთის, რომელიც ცდილობს, რომ არაფრით ჩამორჩეს. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ფაქტიურად საკმაოდ წარმატებით მიიწევს წინ ჩინეთი, რომელმაც შეიმუშავა მრავალმხრივი სივცრის პროგრამები და მუშაობს შესაძლებლობების გაძლიერებაზე (Robison,2014).

სივრცის აქტივების დაცვა და უსაფრთხოება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა EU-სთვის. მრავალმხრივ დონეზე, EU ცდილობს დაიცვას სივრცეში უსაფრთხოება, საერთაშორისო მოლაპარაკებების გზით(Robinson,2014). 2016 წლის გლობალური სტრატეგია ადასტურებს EU-ს ვალდებულებას, გააძლიეროს მისი სივრცეზე დაფუძნებული სერვისების უსაფრთხოება და ყურადღება გაამახვილოს საპასუხისმგებლო ქცევის პრინციპების

ჩამოყალიბებაზე. უფრო მეტიც, ახლახან ევროპულმა კომისიამ მიიღო ყოველმხრივი სივრცის სტრატეგია ევროპისთვის.

კიბერ თავდაცვაა, როდესაც სახელმწიფოები უზრუნველყოფენ კიბერ უსაფრთხოებას, ხდება კიბერ შეტევების კონტროლი, მისი აღმოჩენა და აღმოფხვრა. თითოეული ქვეყანა ცდილობს, რომ შექმნას მაქსიმალურად ძლიერი კიბერ თავდაცვა, ვინაიდან სწორედ ამაზეა დამოკიდებული მათი მომავალი ურთიერთობები, მათი რეპუტაცია, სამომავლო კავშირები, ეკონომიკა და ქვეყნის ბედი.

კიბერ თავდასხმები გახდა სულ უფრო კომპლექსური და რთული, ორგანიზაციისა და მოწინააღმდეგის მოტივაციის გამო. თანამედროვე თავდასხმები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეკონომიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას.კიბერ დანაშაულისგან თავდაცვა ყველა სახელმწიფოს ესაჭიროება, განურჩევლად იმისა სუპერ სახელმწიფოა თუ განვითარებადი. აქედან გამომდინარე ყოველი ქვეყანა ცდილობს, რომ ჰქონდეს მაქსიმალურად განვითარებული და უმაღლესი დონის კიბერ თავდაცვა. ობიექტური რეალობაა, რომ კიბერსივრცეში საიმედო დაცვის შექმნა უკიდურესად რთული ამოცანაა, მასშტაბური კიბერშეტევის თავიდან აცილება და ადექვატური პასუხი კი თითქმის შეუძლებელი; სახელმწიფოები ცდილობენ აქცენტი შემტევ ოპერაციებზე გააკეთონ, რათა ეფექტურად გამოიყენონ კიბერსივრცე მიზნების მისაღწევად.

კიბერ თავდაცვა შეიძება იყოს ორი სახის, ესენია:

- ✓ პასიური თავდაცვა არის აუცილებელი კომპონენტი კარგად დამუშავებული კიბერ თავდაცვის სტრატეგიაში, მაგრამ უკვე აღარ არის საკმარისი დღესდღეობის არსებული რთული და დახვეწილი საფრთხეების გადაწყვეტისთვის.
- ✓ აქტიური კიბერთავდაცვა აღწერს პროაქტიული რეაქციების სპექტრს თავდასხმის დაწყებამდე ან მის დროს,რომელიც მკვეთრად გაუმჯობესებს პრევენციას,გამოვლენას, და რეაგირება ამ რთულ თავდასხმებზე. შედეგად, აქტიური კიბერ-თავდაცვა იზრდება.

ეფექტური და დაბალანსებული კიბერ თავდაცვა უნდა იყოს: უსაფრთხო, ყოველთვის მზადყოფნაში და ელასტიური.

- ✓ უსაფრთხო-ფოკუსირება უნდა მოხდეს ისეთი საკითხების და ქმედებების დაცვაზე,რომლებით უმნიშვნელოვანესი და ძირითადია და ასევე იგი ღირებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარისთვისაც და მისი ოპონენტისთვის.

- ✓ ყოველთვის მზადყოფნაში-ნიშნავს იმას რომ ყოველთვის მზად უნდა იყოს ნებისმიერი კიბერ შეტევის მოგერიებისთვის, ასევე მისი მოგვარებისთვის და ჰქონდეს მუდივი პრაქტიკა კრიტიკული აქტივების, კიბერ შეტევების აღმოჩენისა და წინასწარი პროგნოზისთვის.

- ✓ ელასტიური-შესაძლებელი უნდა იყოს სწრაფად რეაგირება და მოგვარება კიბერ შეტევების, ასევე ნებისმიერი სახის ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, როგორიცაა ეკონომიკური, ასევე რეპუტაცია და სხვა.

მიუხედავად იმისა,რომ ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად მაღალი დონის კიბერთავდაცვის შექმნას ჯერ ჯერობით ეს ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა, მათ შორის ამერიკამაც კიმისი ჩამოყალიბება, ამის ნათელი მაგალითია არჩევნების დროს დემოკრატიული პარტიის დაჰაკვის მცდელობა, რომელსაც დეტალურად შემდეგ თავში განვიხილავთ. ამას ადასტურებს CIA- ს ამჟამინდელი დირექტორი მაიკ პომპე, რომელიც ოფიციალურად აცხადებს, რომ აშშ-ს მთავრობას არ გააჩნია კიბერ დაცვის პოლიტიკა. ასე რომ, პირველი ნაბიჯი იქნებოდა ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნებოდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დახვეწილ რისკებზე და მისი ოპონენტების კიბერ შესაძლებლობების კვლევას. უფრო მეტიც, კიბერ-თავდაცვითი შესაძლებლობებისა და კლასიკური კონტრდაზვერვის ოპერაციებთან ერთად კიბერუსაფრთხოების გაერთიანება, ვიდრე ცალკე დომენზე. კიბერთავდაცვა საერთო პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა თავდაცვის სამინისტროსთვის და კიბერუსაფრთხოების ბიუროსთვის მეტად საინტერესო და საჭირო საკითხია. სამწუხაროდ, ამ სფეროში არ არის ფართო სპექტრი. აქ აუცილებლად უნდა იყოს ჩართული როგორც სახელმწიფო სექტორი, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორი. მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის, აკადემიური სფეროს წარმომადგენლების და ამ სფეროს ექსპერტების ჩართულობაც.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საქართველოს კიბერ თავდაცვა. საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ ახლა იწყებს განვითარებას კიბერ უსაფრთხოების სფეროში, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო კიბერ უსაფრთხოებაზე და კიბერ თავდაცვაზე ზრუნვა, რაც უდიდესი შეტევა საკუთარ თავზე გამოსცადა(2008წლის კიბერ შეტევა,დეტალურად განვიხილავთ სხვა ქვეთავში), სამწუხაროდ მას არ გააჩნია განვითარებული და კარგად აღჭურვილი კიბერ თავდაცვა,რამაც დაგვარწმუნა ვირუს „პეტია-ს“ შემოტევამ (განვიხილავთ ცალკე ქვეთავში).

იმის გათვალისწინებით, რომ ნატოსთვის კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად, განსაკუთრებულ აქცენტირებას ახდენს კიბერშესაძლებლობების განვითარებაზე, ალიანსის წევრობის მსურველი ყველა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, უნდა აცნობიერებდეს, რომ ერთობლივი საიმედო კიბერუსაფრთხოების საწყისი, სწორედ საკუთარი ქვეყნის კიბერთავდაცვაა.

3.საქართველოს კიბერუსაფრთხოების გარემო და მისი ანალიზი

დღესდღეობით საქართველოში, სულ მცირე, 1 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს ინტერნეტით, თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემა ინტერნეტის წვდომასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლებში. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო (NSC) წარმოადგენს საქართველოს მთავარ საკონსულტაციო ორგანოს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაა, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება. ის არის ავტორი საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის და ასევე მუშაობს ქვეყნის კიბერ უსაფრთხოების კონცეფციაზე.

დღესდღეობით, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების გარემო განვითარების სტადიაზეა. მიმდინარეობს სხვადასხვა კანონების შემუშავება ევროკავშირის რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისად.

2010 წელს დაიწყო კიბერუსაფრთხოების სფეროს ეტაპობრივი განვითარება.ჩამოყალიბდა საქართველოს იუსტიციის მმართველობაში შემავალი სსიპ.-მონაცემთა გაცვლის სააგენტო,ხოლო შენდეგ უკანასკნელის დაქვემდებარებაში-კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი.

2012 წელს შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური სამმართველო,ხოლო 2014 წელს კიბერუსაფრთხოების ბიურო.

1. • საქართველოს იუსტიციის მმართველობა
2. • მონაცემთა გაცვლის სააგენტო
3. • კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი

2013-2016წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა.

„კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა-განმარტავს საქართველოს თავდაცვის სფეროს მიდგომებსა და პრიორიტეტებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და განსაზღვრავს

ყველა იმ სტრატეგიულ მიზანს, რომელთა აღსრულებაც განაპირობებს თავდაცვის სფეროს საიმედო, ეფექტურ, სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, რაც თავისთავად ქმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ საფუძვლებს"-თავდაცვის სამინისტრო.

“ საქართველოს ხელისუფლება პირველად აქვეყნებს საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება ვერ შედგება კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ეროვნულ უშიშროების საბჭოსთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებული მუდმივმოქმედი საუწყებათშორისი კომისიის მიერ შემუშავდა”, – ნათქვამია დოკუმენტში.

ამ დოკუმენტის მიხედვით,კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის პირველი პრიორიტეტული ამოცანებია:

- ✓ განსაზღვროს კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სტრატეგია.
- ✓ საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფორმაციული სისტემების დაცვა პოტენციური კიბერშეტევებისგან, დაზვერვის და რადიო-ელექტრონული ბრძოლის ხერხების და საშუალებების, ფსიქოლოგიური ოპერაციების აქტიური წინააღმდეგობის საშუალებებისა და მეთოდების განვითარება.
- ✓ უსაფრთხო და ადეკვატური ინფორმაციული გარემოს შექმნა, რაც სტაბილური ფუნქციონირებისა და მოქმედების საწინდარია.

2017-2018წლებში საქართველომ მეორედ გამოაქვეყნა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია.

ამ დოკუმენტით საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს: „სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს,ძირითად პრინციპებს,აყალიბებს ამოცანებს და მათ შესასრულებლად განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს“.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ✓ შეიქმნას უსაფრთხო კიბერსისტემა თავდაცვის სფეროში, მოხდეს ნდობის გენერირება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, შესაბამისად, გაძლიერდეს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები თავდაცვის სფეროსა და მასში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისათვის.

- ✓ შექმნას და განავითაროს კიბერუსაფრთხოების ისეთი სისტემა,რომელიც ხელს შეუწყობს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცულობას კიბერსაფრთხეების წინაშე და იქნება დამატებითი ფაქტორი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.
- ✓ დაინერგოს და განვითარდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების 24/7 მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვას, მოახდენენ საფრთხეებისა და რისკების სწრაფ იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებას, პრევენციული ზომების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, კრიზისების მართვას პროგნოზირებადი, პრევენციული, დაცვითი, აღდგენითი მექანიზმების საშუალებით.
- ✓ გაძლიერდეს თავდაცვის სფეროსა და მასში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა 24/7 მოქმედი მექანიზმების მიერ ინფორმაციული რესურსების შექმნის, დაუფლების, განვითარების, ოპერირების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.
- ✓ რეგულარულად განხორციელდეს კიბერსივრცეში არსებული და პოტენციური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების კვლევა და ანალიზი. საფრთხეების გაცნობიერება და მათი პოტენციური ზემოქმედების შეფასება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას. საფრთხეების ანალიზისა და რისკების კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდეს პრევენციული ზომების შემუშავება და გატარება თანამედროვე გამოწვევების დაძლევის მიზნით.
- ✓ კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მდგრადობის ამაღლება კიბერშეტევებისადმი და კიბერინციდენტებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა
- ✓ ეფექტიანი ღონისძიებების გატარება პოტენციური კიბერ ინციდენტების პრევენციის უზრუნველსაყოფად.
- ✓ ხელი შეეწყოს თანამშრომლებს, მონაწილეობა მიიღონ კიბერუსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებსა და პროგრამებში.
- ✓ 2014-2016 წლების პოლიტიკის განხორციელებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ეფექტურად დანერგვასა და განვითარებას.

- ✓ შეიქმნას და დამკვიდრდეს კიბერუსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის კულტურა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, იმოქმედოს ეფექტურად წინასწარ განსაზღვრული წესებით.

ამ მიზნების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობა სარგებლობს შემდეგი პრინციპებით:

- ✓ კიბერუსაფრთხოება როგორც ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი-რომელზეც დამოკიდებულია სახელმწიფოს ეფექტური განვითარება და იგი არის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელი მიმართულება.
- ✓ ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და პატივისცემა-საქართველოს ხელისუფლება ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს,რომელიც მიესადაგება კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესს.
- ✓ საქართველოს მთავრობის ერთიანი მიდგომა-კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებს შორის მაქსიმალური თანამშრომლობა და ისეთი მექანიზმის განვითარება,რომელიც ხელს შეუწყობს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ერთიან მიდგომას და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გამართულ კოორდინირებულ მუშაობას.
- ✓ თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის-კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია თანამშრომლობა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის.აუცილებელია თანამშრომლობა როგორც ბიზნეს,ასევე არასამთავრობო და აკადემიურ წრეებთან,ვინაიდან კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია კერძო სექტორში.
- ✓ აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა-საქართველოსათვის შეუძლებელია მხოლოდ საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს კიბერუსაფრთხოების სფეროშ არსებულ გამოწვევებთან და საფრთხეებთან გამკლავება,სწორედ ამიტომაც მისთვის აუცილებელია თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან,პარტნიორებთან კიბერუსაფრთხოების სფეროში.
- ✓ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა-თითოეული მოქალაქე,საჯარო დაწესებულება თუ საწარმო ვალდებულია საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოება ინდივიდუალურად უზრუნველყოს.
- ✓ ადეკვატური ზომები-პროპორციული ზომების მიღება რისკების ანალიზისა და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად,რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალი და შეუზღუდავი წვდომის საშუალებას,ასევე ადამიანის უფლებებისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების დაცვას.

4.ამერიკის შეერთებული შტატების კიბერუსაფრთხოების რაობა და არსი - მოკლე მიმოხილვა

კიბერ უსაფრთხოება ამჟამად და მომავლისთვისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ყველა ორგანიზებულ საზოგადოებაში. ვინაიდან, 2009 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიბერ უსაფრთხოება დაასახელა „ყველაზე სერიოზულ გამოწვევად ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებს შორის, 21-ე საუკუნეში ამერიკის ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება კიბერ უსაფრთხოებაზე“.

აშშ-ს კიბერუსაფრთხოების სისტემა არის სამ საფეხურიანი.

პირველ დონეში შედიან ფედერალური უწყებები:

- ✓ Department of Defense-თავდაცვის სამინისტრო.
- ✓ Department of Homeland Security, DHS-შიდა უსაფრთხოების სამინისტრო.
- ✓ Office of Cyber Security and Communications-კიბერუსაფრთხოების და კომუნიკაციების ოფისი
- ✓ United States Department of Justice, DOJ-იუსტიციის დეპარტამენტი

მეორე დონეს მოიცავს პირველ დონის სტრუქტურებში შემავალი ჯგუფები/ცენტრები:

- ✓ Cyber Crimes Center-კიბერდანაშაულთან ბრძოლის ცენტრი.
- ✓ National Cyber Security Division, NCSD-კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრი.
- ✓ NSA/CSS Threat Operations Center, NTOC -კიბერსაფრთხეების საოპერაციო ცენტრი.

მესამე დონე არის რეგიონალური და ლოკალური სტრუქტურული ქვედანაყოფები,მათზე კონტროლს ახორციელებენ ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები.

თეთრი სახლი 2011 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გადაერთო კიბერ უსაფრთხოების თემაზე მუშაობაზე და გამოკვეთა კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია,რომელიც გამოქვეყნდა ამავე წლის მაისში.იგი განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე ამ სფეროში სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებზე.

თავდაცვის დეპარტამენტის მიზანია უხელმძღვანელოს კიბერ სტრატეგიას,რომელიც მოიცავს კიბერ ძალების განვითარებას და კიბერ თავდაცვის გაძლიერებას.იგი ფოკუსირებულია სამ ძირითად ამოცანაზე:

- ✓ დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ინტერესები კიბერ შეტევებისგან
- ✓ უზრუნველყოს ინტერგირებული კიბერ შესაძლებლობები,რათა მხარი დაუჭიროს სამხედრო ოპერაციებს და გაუთვალისწინებელ გეგმებს დამატებითი გარემოებების შემთხვევაში.
- ✓ დაიცვას თავდაცვის დეპარტამენტის ქსელები,სისტემები და ინფორმაცია.

სტრატეგია ფოკუსირებულია 5ძირითად მიზანზე:

- ✓ კომპიუტერული სისტემის,ქსელების და იმ გუნდის განვითარება და გაუმჯობესება,რომლებიც მუშაობენ და პასუხისმგებელნი არიან კიბერ სივცრის ოპერაციებზე.
  2013წლიდან თავდაცვის დეპარტამენტმა დაიწყო კიბერ პერსონალისა და ტექნოლოგიების ინვესტიცია,ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოს გუნდის სწავლება და გადამზადება, მისცეს შესაძლებლობების განვითარების საშუალება.ამ მიზნის ძირითადი ამოცანებია:ოპერაციების ტექნიკური შესაძლებლობების და ერთიანი და ინტეგრირებული ოპერატიული პლატფორმის შექმნა,კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.
- ✓ საინფორმაციო ქსელის,მასში არსებული ინფორმაციის დაცვა და არსებული რისკების/ზარალის შემცირება,შემსუბუქება.
  თავდაცვის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქსელების და მონაცემების განსაზღვრა, პრიორიტიზირება,ისე ,რომ მისი ოპერაციები ეფექტურად განახორციელოს.ასევე წინასწარი დაგეგმვა და პრაქტიკა ყოველივე ამის შესასრულებლად.ამ მიზნის ძირითადი ამოცანებია:ერთობლივი საინფორმაციო გარემოს, ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა, რომელიც მიმართულია მომსახურების სპეციფიკური ქსელების და სისტემების დაცვაზე,თავდაცვის გარშემო ფენის დამცავი სისტემის, ანგარიშვალდებულების და საიმედოობის სტანდარტების გაუმჯობესება, კონტრდაზვერვის და IP ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი ძალისხმევით.
- ✓ მუდმივი მზად ყოფნა აშშ-ის და მისი ინტერესების მავნე,გამანადგურებელი და დესქტრუქციული კიბერ შეტევებისგან დაცვისთვის.თავდაცვის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშავოს თავისი დაზვერვა, გაფრთხილება და ოპერატიული შესაძლებლობები, რათა შეამსუბუქოს დახვეწილი, ბოროტი კიბერშეტევები.ამ

მიზნის ძირითადი ამოცანებია:დაზვერვისა და გაფრთხილების შესაძლებლობების განვითარება მოსალოდნელი საფრთხეებისგან დასაცავად,იმუშავოს DHS(Departament of Homenland Security)-სთან,რათა განავითაროს უწყვეტი და ავტომატური მექანიზმები ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

- ✓ შექმნას და განავითაროს კიბერ პარამეტრები და გეგმა,რომ შემდგომში შეძლოს მათი გამოყენება კონფლიქტის ესკალაციის გასაკონტროლებლად,ასევე განისაზღვროს კონფლიქტის ბუნების ყველა ეტაპები.მომატებული დაძაბულობის ან მტრობის დროს, პრეზიდენტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარამეტრების ფართო სპექტრით კონფლიქტის ესკალაციისთვის კონტროლისთვის. შეერთებულ შტატებში არსებული ხელსაწყოების ნაწილის, შემუშავებული უნდა იყოს ეფექტური კიბერ პარამეტრები და განავითაროს ეს ვარიანტები დეპარტამენტულ გეგმებში. თავდაცვის დეპარტამენტი ხელს შეუწყობს კიბერ შესაძლებლობებს, რათა მიაღწიოს ძირითად უსაფრთხოების მიზნებს მასიმალური სიზუსტით,რათა შეამციროს სიცოცხლის დაკარგვა და ქონების განადგურება.
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობების დაგეგმვა და განხორციელება,რათა გაიზიარონ მოსალოდნელი საფრთხეები და გაზარდონ საერთაშორისო უსაფრთხოება და სტაბილურობა.ყველა დონის კიბერ უსაფრთხოება მოითხოვს მჭირდო კავშირს და თანამშრომლობას უცხოელ მოკავშირეებთან და პარტნიორებთან.საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩართულობის მიზნით კიბერ სტრატეგიის თავდაცვის დეპარტამენტი ცდილობს დაეხმაროს მათ კიბერ შესაძლებლობებსა თუ კიბერ თავდაცვაში.შესაძლებლო პარტნიორობის განვითარება პრიორიტეტულ რეგიონებზე იქნება ორიენტირებული, მათ შორისაა ახლო აღმოსავლეთი, აზია და ევროპა. DOD(კიბერ უსაფრთხოების თავდაცვის დეპარტამენტი) დარჩება ადაპტაციური და მოქნილი, ვინაიდან საჭიროა ახალი ალიანსებისა და პარტნიორების შეძენა.

5. კიბერსაფრთხეების გეოპოლიტიკური ასპექტები: კიბერშეტევები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე

5.1.2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოზე კიბერშეტევა

2008 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი შეიარაღებულმა ომმა გასტანა 5 დღეს,თუმცა ასევე ადგილი ჰქონდა რუსეთის მხრიდან არა მხოლოდ შეიარაღებულ, არამედ კიბერ შეტევასაც.შეიქმნა საფრთხე, რომ ქვეყანა აღმოჩნდებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში.კიბერშეტევები თანმიმდევრობით მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე.თავდასხმა მოხდა საგარეო თავდაცვის სამინისტროს ვებ გვერდზე,ასევე დაზიანდა სხვა ელექტრო წყაროები,როგორიცაა საქართველოს ბანკისა და პრეზიდენტის ვებ პორტალები.თავდასხმისთვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა ტექნიკები,როგორიცაა DDOS-გამანაწილებელის გაუქმება და ვებ გვერდების წაშლა/გაუქმება/დამახინჯება.გამოყენებული მეთოდთაგან არცერთი არის ინოვაციური და ახალი თუმცა თავად პროცესი იყო კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული.რუსულენოვანი საიტები როგორიცაა stopgeorgia.ru და სხვები DDOS-ს შეტევებისთვის პროგრამულ ინსტრუციებს სთავაზობდნენ.უნდა აღინიშნოს ისიც რომ, 2008 წელს ინტერნეტ მომხმარებელთა დონე ძალიან დაბალი იყო, 100 ადამიანზე 10 ინტერნეტ მომხმარებელი,რასაც ვერ ვიტყვით რა თქმა უნდა დღესდღეობით.

მკვლევარის Jart Armin-ის განცხადებით, 2008 წლის 7 აგვისტოს შემდეგ მრავალი ქართული ინტერნეტ სერვერი გარე კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ინტერნეტ კავშირის ძირითადი მონაკვეთები გადაიტვირთა და გავრცელდა ინფორმაცია რუსეთსა და თურქეთში დაფუძნებული სერვერების მეშვეობით.

10 აგვისტოს Jart Armin-მა განაცხადა, რომ ქართული საიტები, შესაძლოა, გაყალბებული ყოფილიყო: "გამოიყენეთ სიფრთხილით ნებისმიერი ვებ-გვერდი, რომელიც საქართველოს ოფიციალური წყაროდან გამოჩნდება,რომელზეც უახლესი ამბები არ არის, [როგორიცაა შაბათის, 9 აგვისტოს, ან კვირა, აგვისტო 10], შეიძლება იყოს თაღლითური", - თქვა მან.

2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდი გაუქმდა და პრეზიდენტ სააკაშვილის ადოლფ ჰიტლერთან ერთად გამოსახული სურათები გამოჩნდა.

რუსმა ჰაკერებმა შეტევები განხორციელეს სამთავრობო, კერძო, საერთაშორისო გვერდებზე, საიდანაც შეიძლებოდა ინფორმაცია გავრცელებულიყო, ასევე მათ თვალთახდვიდან არ გამორჩენიათ არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური საიტებიც. აქედან გამომდინარე ქვეყნის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი პარალიზებული აღმოჩნდა.

2008წლის კიბერშეტევამ გვაჩვენა, რომ საქართველოს მთავრობას არ შესწევდა უნარი დაეცვა ინფორმაციული ფუნდამენტი. პირველი კონსტრუქცია რომელიც იყო შემუშავებული, იყო ინფორმაციის გამფილტრავი საშუალება, მას შეეძლო მიეღო და გაეფილტრა რუსული IP-ის ინფორმაცია, თუმცა არც ისე ეფექტური იყო, რადგან ჰაკერები უკვე მზად იყვნენ, რომ მსგავსი თავდაცვა შეიძლება დახვედროდათ,ამიტომ მათ ქვეყნის გარედან დაიწყეს შეტევების განხორციელება. სწორედ ამიტომ, საქართველომ ესტონეთის მთავრობას მიმართა დასახმარებლად და საქართველოში გამოგზავნილ იქნა ექსპრტთა ჯგუფი,რათა შეენარჩუნებინათ თავდაცვა, მათი დახმარებით საქართველოს პრეზიდენტის ვებ გვერდი გადამისამართდა Google-ს ბლოგერების სერვერებზე კალიფორნიაში, თავდაცვის სამინისტროს ვებ გვერდი გადავიდა კერძო კომპანიის სერვერებზე აშშ-ში, საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ესტონეთის სერვერებში.

Korns და Kastenberg აღნიშნავს, რომ საქართველო იყო კიბერ-ჩაკეტილი ,საქართველოს მთავრობამ და მოსახლეობამ ვერ შეძლეს კომუნიკაცია ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან[Tikk, et al., 2008; Grey Goose, 2008; Hollis, 2011; Downing, 2011]. საქართველოს კიბერსივრცე გაყინული იყო, სამოქალაქო საზოგადოებას და კერძო სექტორს არ ჰქონდა გონივრული პასუხი კიბერშეტევებზე, აქ არ იგულისხმება პირდაპირი კონტრშეტევები ან ჩართულობა კიბერ შეტევების შესაჩერებლად, არამედ იმ გზების მოძიება რომლითაც ამ შეტევების დროებითი შეჩერება მაინც მომხდარიყო. ამ შეტევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ სამთავრობო რესურსები არ არის საკმარისი კიბერ სივრცის დასაცავად და კიბერ შეტევებთან გასამკლავებლად, მასში უნდა ჩაერთოს კერძო სექტორიც, რათა მაქსიმალურად იყოს კიბერუსაფრთხოება უსზრუნველყოფილი. მთავრობა შეიძლება იყოს ლიდერი ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაში, მაგრამ კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობისა და ინიციატივების გარეშე კიბერ შესაძლებლობების განვითარება სავსეა დაბრკოლებებით.გასაკვირი არ არის რომ 2008 წლის კიბერ შეტევამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს კიბერ უსაფრთხოების გარემოს შემდგომ ჩამოყალიბებაში.

რუსეთის მიერ საქართველოზე კიბერ შეტევა ბევრი ექსპერტის მიერ აღიარებულია როგორც "ინფორმაციული კიბერ ომი". კიბერ ომი არის "ერი-სახელმწიფოების ქმედებები

სხვა ქვეყნის კომპიუტერების ან ქსელებში შეღწევა ზიანის ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების გამო“-Richard A.Clarck, Cyber War(May 2010).

ამ ქეისსში რუსეთის მხრიდან იყო საერთაშორისო სამართლებრივი დარღვევა და მათ გამოიყენეს ძალა კიბერსივრცეში საქართველოს წინააღმდეგ,თუმცა საბოლოოს რუსეთმა რა თქმა უნდა უარყო საქართველოს მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები.

11 აგვისტოს საქართველომ დაადანაშაულა რუსეთი საქართველოს მთავრობის ვებ-საიტებზე კიბერ ომის დაწყებაში სამხედრო თავდასხმის პარალელურად.საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ "რუსეთის მიერ განხორციელებული კიბერ თავდასხმები სერიოზულად უშლის ხელს ბევრ ქართულ ვებსაიტს, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტსაც“.

კრემლის სპიკერმა ბრალდება უარყო და განაცხადა: "პირიქით, რუსული მედიის და ოფიციალური ორგანიზაციების კუთვნილი ინტერნეტ-საიტები დაზარალდნენ ჰაკერული თავდასხმებით“.

ისრაელის კომპიუტერის საგანგებო სიტუაციების რეაგირების ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი გადი ევრონი მიიჩნევდა, რომ ქართული ინტერნეტ ინფრასტრუქტურის თავდასხმები კიბერ-ბუნტი უფრო იყო, ვიდრე კიბერ-ომი. ევრონმა აღიარა, რომ თავდასხმები შეიძლება ყოფილიყო "არაპირდაპირი რუსული (სამხედრო) ქმედება",დამიზნებული თავდამსხმელების მიერ.“"შეეძლოთ შეერჩიათ უფრო სტრატეგიული სამიზნეები ან აღმოეფხვრათ ინფრასტრუქტურა (ქართული ინტერნეტი)".

2009 წლის მარტში უსაფრთხოების მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ რუსეთის GRU და FSB სავარაუდოდ შეასრულეს როლი თავდასხმების კოორდინაციისა და ორგანიზების საქმეში. Stopgeorgia.ru ფორუმი იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თავდასხმების წინაპირობა.

ამერიკის შეერთებული შტატების კიბერ შეტევების შედეგების ანალიზის განყოფილების წევრმა (US-CCU) John Bumgarner-მა ჩაატარა კვლევა რუსულ-ქართული ომის დროს კიბერშეტებზე.ანგარიშში ნათქვამია, რომ კიბერ-თავდასხმების ორგანიზატორებმა იცოდნენ რუსეთის სამხედრო გეგმები, მაგრამ თავად თავდამსხმელები სამოქალაქო პირები იყვნენ. Bumgarner-ის კვლევამ დაადგინა, რომ ქართული მედიის წინააღმდეგ დაწყებული კიბერ თავდასხმების პირველი ტალღა შეესაბამებოდა სამხედრო ოპერაციებში გამოყენებულ ტაქტიკას. კამპანიაში გამოყენებული კიბერ-თავდასხმის იარაღის უმრავლესობა, როგორც ჩანს, დაწერილი ან მორგებულია გარკვეულწილად კონკრეტულად საქართველოს წინააღმდეგ კამპანიისთვის", - ნათქვამია კვლევაში

ამ შემთხვევის შესწავლით, ნათლად ვხედავთ იმას,რომ საქართველო არ იყო მზად ამ შეტევისთვის და იგი სრულიად უძლური აღმოჩნდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ტექნიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. საქართველოს არ გააჩნდა შესამაბისად აღჭურვილი უწყებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო თუ კერძო პირები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამ კიბერ შეტევასთან გამკლავებას,არ იყვნენ შესაბამისად გადამზადებული კადრები,რომლებსაც ეცოდინებოდათ თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ კონკრეტულ შემთხვევაში.

თავდაპირველად, როდესაც გააანალიზეს, რომ საქართველოზე შეტევა განხორიელდა იყო დაბნეულობა,გაურკვევლობა და უიმედობა, რა თქმა უნდა კიბერ შეტევამ გამოიწვია ინფორმაციული ვაკუუმი,რამაც საერთოდ ხელ-ფეხი შეუკრა ჩვენს სახელმწიფოს მოქმედებისგან. თუმცა საბოლოოდ როდესაც ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ შეტევისთვის წინააღმდეგობა გაეწია,გამოვიყენეთ ის ელემენტარული რაც გაგვაჩნდა, თუმცა უშედეგო და უსარგებლო აღმოჩნდა შეტევის წინააღმდეგ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ ჰაკერები ამისთვის მზად იყვნენ და ჩვენს მიერ გაწეულ წინააღმდეგობას მათთვის პრობლემა არ შეუქმნია, რომ კვლავ გაეგრძელებინათ ქვეყანაზე შეტევა. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საქართველო დამოუკიდებლად უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის მიერ განხოერიელებული კიბერ შეტევისთვის, მან მიმართა დახმარება სხვა უფრო გამოცდილ ქვეყანას, რომლის საშუალებითაც შევძელით კიბერ შეტევის შეჩერება მომხდარიყო.

ვფიქრობ,რომ ამ შეტევის მაგალითზე, საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა, რომ როდესაც ომია ყველაფრისთვის უნდა იყო მზად, არა მარტო შეიარაღებლი დაპირისპირებისთვის,არამედ ყველანაირი შეტევისთვის, ეს დამტკიცდა კიდეც შემოთ განხილულ ქეისში. ამან დადებითი შედეგი მოიტანა იმ მხრივ, რომ თუ მანამდე ყურადღებას არ ვაქცევდით, ან კიდევ, ნაკლებად ვითვალისწინებდით კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას და კიბერ სივრცის დაცვას, 2008 წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მხოლოდ შეიარაღება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სრულ უსაფრთხოებას და მუშაობა დავიწყეთ იმაზე, რომ გვქონდეს ძლიერი კიბერუსაფრთხოება, კიბერ თავდაცვა, შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ კადრების გადამზადება შესაბამის სფეროში სამუშაოდ და სხვა.

5.2. აშშ-ს კიბერმოწყვლადობის შემთხვევა

2014 წელს შეტევა აშშ-ს უმსხვილეს ფინანსურ კონგლომერატზე განხორციელდა. ამ კიბერშეტევის შედეგად, 80 მილიონზე მეტი კლიენტის ანგარიში იყო

კომპრომეტირებული. 2014 წელს JP Morgan Chase-ის ბანკის მონაცემთა გაჟონვის შედეგად, მისი ავტორიტეტი კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა.

10 საფინანსო ინსტიტუტის, საინფორმაციო ორგანიზაციების და სხვა კომპანიების, მათ შორის JPMorgan Chase, Fidelity Investments და Wall Street Journal- ის წინააღმდეგ კიბერ შეტევა განხორციელდა.სამმა ადამიანმა მოიპარა ბანკში არსებული პირადი მონაცემები.ამ შეტევების შედეგად, ეჭვმიტანილები ცდილობდნენ ბაზრების გაყიდვას, რომლებიც თითქოსდა კომპანიების მომხმარებლებისთვის მანიპულირებდნენ. მათ ასევე დაიწყეს კიბერ თავდასხმები, რათა გადაიხადონ უკანონო ნარკოტიკების მომწოდებლების, ყალბი პროგრამული უზრუნველყოფის, მავნე დისტრიბუტორების, უკანონო ონლაინ კაზინოებისა და სხვა არაკანონიერი საქმიანობის თანხები.ასევე,დამნაშავეები დაინტერესებულები იყვნენ ინფორმაციით, რომელიც ბანკის მარკეტინგულ მომსახურებასთან იყო კავშირში. შეტევა განხორციელდა 90 სერვერზე, სადაც კლიენტების შესახებ ინფორმაცია ინახებოდა. თითოეული გატეხვის დრო ძალიან მცირე – საათზე ნაკლები იყო. გამოძიების თანახმად(FBI), პირველი შეტევა ბანკის ერთ-ერთი თანამშრომლის პერსონალური კომპიუტერიდან განხორციელდა. მოგვიანებით, აშშ-ს სპეცსამსახურებმა სამი ეჭვმიტანილი – ისრაელის მოქალაქეები დააკავეს. მათ ბრალი ათობით პუნქტში წაუყენეს, მათ შორის – თაღლითობა, უკანონო გზით თანხის მოპოვების მიზნით ფულის გათეთრება, კომპიუტერული სისტემების გატეხვა. ჰაკერებმა მოპოვებული მონაცემები პირადი მიზნებისთვის – ბირჟაზე სათამაშოდ გამოიყენეს. ამის შედეგად, ჰაკერები მილიონობით დოლარით გამდიდრდნენ.

პროკურორების აზრით, ეს იყო მასიური კომპიუტერული შეტევის წრე, რომელიც მიზნად ისახავდა მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანის მონაცემების მოპარვას.

"იმ საუკუნეში, როდესაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის დიდი ნაწილი ინახება ციფრულ ფორმატში, პოტენციურად სოციალურად დაუცველი ინტერნეტით ჩართულ მოწყობილობებზე, საზოგადოებრივ-კერძო პრაქტიკა და ინფორმაციის გაზიარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე"-Graham Cluley.

მიუხედავად იმისა,რომ ამერიკის შეერთებული შტატები არის სუპერ სახელმწიფო და მიუხედავად იმისა,რომ იგი დაწინაურებულია ყველა სახელმწიფოსთან შედარებით ბევრ სფეროში, მით უმეტეს უსაფრთხოებაში, ჰაკერებმა მაინც მოახერხეს და შეძლეს ის რომ გაეტეხათ აშშ-ს უმსხვილესი ფინანსური კონგლომერატი. აქედან კარგად ჩანს ერთი რამ, რომ უძლიერესებსაც კი აქვთ თავიანთი სუსტი წერტილი და მათ შეძლეს ამ სისურტის პოვნა აშშ-ს ფინანსურ კონგლომერატთან დაკავშირებით.

ქვეყანამ და განსაკუთრებით ხალხმა,რომელმაც იზარალა ამ კიბერ შეტევით უდიდესი ზარალი ნახეს, მათ დაკარგეს უზარმაზარი თანხა, თუმცა აქვე გაჩნდა უკვე ნდობის პრობლემა ფიანსურ კონგლომერატზე,ავტორიტეტის განადგურება და ნულამდე დაყვანა, რომელიც თუნდაც არ მიეყენებინა ამ შეტევას ფინანსური ზარალი,საბოლოოდ მაინც გამოიწვევდა ფინანსურ კრიზისს.

ეს შემთხვევა არის მაგალითი იმისა,რომ არცერთი ქვეყანა არ უნდა მოდუნდეს და გვერდზე არ გადადოს თავისი უსაფრთხოების საკითხი,როცა საქმე ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას,რომელიც პარალელურია ეკონომიკური წინსვლის,საზოგადოებრივი განვითარების,პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების.

5.3.რუსი ჰაკერების მიერ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის დაჰაკვა

აშშ-ს პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს Hilary Clinton-ს სახელმწიფო მდივნობის პოსტზე ყოფნისას პირადი ელექტრონული ფოსტის გამოყენებაში ედავებოდნენ. კლინტონს არაერთხელ მოუწია ამ საკითხზე განმარტების გაკეთება. კლინტონის შეცდომა მისმა კონკურენტმა დონალდ ტრამპა სათანადოდ გამოიყენა. მართალია, კლინტონისთვის ოფიციალურად ბრალი არ წაუყენებიათ და სავარაუდოდ, საქმეც მხოლოდ ფეისბუქზე ბოდიშის მოხდით დასრულდებოდა, თუმცა, არჩევნებამდე სულ რაღაც 1 კვირით ადრე FBI-მ განაცხადა, რომ Email-ების საქმეში ახალი დეტალები გამოჩნდა. სკანდალი წინასაარჩევნოდ ხელახლა აგორდა. ბევრი ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ამ ფაქტმა შედეგებზე გავლენა იქონია.

თუ ამ ისტორიის მოვლენების ქრონოლოგიას გადახედავთ, ის დაიწყო Hilary Clinton-სა და John Podesta-ს ელექტრონული სკანდალით. მაშინ საიდუმლო ჩანაწერები გავრცელდა „Wikileaks“- ის მეშვეობით და მოიცვა საინფორმაციო ომი იმ დონეზე, რომელიც ამერიკას არასდროს უნახავს. მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა ყველა უსაფრთხოების ზომების იგნორირებით და დაუდევრად მოქმედებით,რითაც საბოლოოდ მათ ჰქონდათ ტონა საიდუმლო მონაცემები. არჩევნებში მონაწილეობისას, აშშ-ს დემოკრატიულმა ეროვნულმა კომიტეტმა (DNC) მიიღო უამრავი ფიშინგ ელფოსტა. ერთ-ერთი მათგანი Hilary Clinton-ის კამპანიის თავმჯდომარეს, John Podesta-ც გაეგზავნა. თანაშემწემ, Charles Delavan-მა John Podesta-ს პირადი ანგარიშისთვის გაგზავნილი შეტყობინება შენიშნა. მან Podesta-ს სთხოვა პაროლის შეცვლა. Delavan-ი მიხვდა რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ელფოსტის ფიშინგი,ამიტომაც გაგზავნა კომპიუტერის ტექნიკოსი მის გამოსასწორებლად.კრემლის ჰაკერები ფლობდნენ Podesta-ს 60000-მდე პირადულ Email-ს. აშშ-ს სადაზვერვო

სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, მოსკოვმა მიაწოდა ელ-ფოსტა, რომელიც WikiLeaks- ს ეკუთვნოდა. ელექტრონული სკანდალი ოქტომბერში დაიწყო და დომინირებდა საინფორმაციო სივრცეში. FBI-ის დოკუმენტის საფუძველზე,მათთვის გარკვეული დროის განმავლობაში ცნობილი იყო,რომ რუსეთი ფართო მასშტაბით მოქმედებდა და მათ ჰქონდათ სისტემური მცდელობა აშშ-ს პოლიტიკური ორგანიზაციების დაჰაკვის,მათ შორის თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის. მაგრამ მაღალი დონის დელეგაციის გაგზავნისა და სიგნალის გაზრდის ნაცვლად, FBI-მ მხოლოდ ერთი სპეციალური აგენტი მიიღო. FBI- ის გამოძიების თანახმად, რუსმა ჰაკერებმა DNC- ის კომპიუტერულ სისტემებში თითქმის შვიდი თვის განმავლობაში შეძლეს ყოფნა, სანამ დემოკრატიული ჩინოვნიკები მიხვდებოდნენ თავდასხმის სიმძიმეს და დასახმარებლად მიმართავდნენ გარე კიბერ ექსპერტებს. ბიურომ ბოლო რამდენიმე წელი გაატარა “DUKE”-ს აღმოსაფხვრელად თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, და მთავრობის ერთ-ერთი საუკეთესო დაცული ქსელის დაუცველი ელექტრონული სისტემებისგან.აგენტმა Adrian Hawkins-მა DNS-ში დანერგა IT helpdesk,მან ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის კონტრაქტორ Tamene-ს განუცხადა, რომ DNS-დაჰაკული იყო ჯგუფისგან სახელად “DUKES”. Tamene-მ სცადა მოეძებნა ამ ჯგუფის შესახებ რაიმე ინფორმაცია,თუმცა ვერაფერი იპოვა. მას არ შეეძლო ნამდვილი/რეალური ზარის განსხვავება ცრუ ზარისგან.ამიტომაც იგი ფიქრობდა,რომ Hawkins-ის ზარი იყო ერთ-ერთი ეშმაკობა და ყურადღება აღარ მიაქცია ამ ზარს.ეს იყო კიბერ-ჯაშუშური და საინფორმაციო-საბრძოლო კამპანია,რომლის მიზანიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნების ჩაშლა,უცხოური ძალაუფლების მიერ პირველი ასეთი მცდელობა იყო ამერიკის ისტორიაში.სადაზვერვო სამსახურმა განაცხადა, რომ ის რაც დაიწყო ინფორმაციის შეგროვებით და გასაჯაროვებით,საბოლოო ჯამში შეიცვალა შესაძლებლობით,რომ ელიც საშუალებას იძლეოდა ზიანი მიაყენოს ერთ-ერთ კანდიდატს, ჰილარი კლინტონს.

ეს შესაძლებელია მომხდარიყო წინასწარი განზრახვით,როგორც ფედერალური ბიუროს გამოძიებამ ოფიციალურად დაადასტურა, მათ გაფრთხილებული ყავდათ DNS - მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ოფიციალური გამოძიება ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ ჩატარდა.როგორც ჩანს, აშშ ყოველთვის ჰქონდა უზარმაზარი სივრცე/ხარვეზი კიბერ უსაფრთხოებაში,ამასობაში რუსეთი ფართოდ ვითარდება კიბერ შეტევით შესაძლებლობებში და კიბერ უსაფრთხოება გახდა # 1 თემა, მას შემდეგ, რაც დემოკრატებისთვის არჩევნების დაკარგვის მიზეზი გახდა და რუსეთს და ჰაკერებს ადანაშაულებენ იმისათვის, რომ ისინი აგრძელებენ საინფორმაციო ომს.

მონაცემების დარღვევის შემდეგ DNS-მა დაიქირავა CrowdStrike,კიბერ კომპანია.მალევე დადგინდა რომ კიბერ შეტევა განხორციელებული იყო რუსეთიდან და გამოვლენილ იქნა ორი ჯგუფი: „Cozy Bear“ და „Fancy Bear“.

Cozy Bear-მიბმული იყო რუსეთის FSB-ს ჯაშუშურ სააგენტოსთან,რომელმაც თავისი ოპერაცის დაიწყო 2015წელს.

Fancy Bear შეუერთდა თავდასხმებს 2016 წლის მარტში. ჰაკინგის ჯგუფი უკავშირდება GRU- ს, რუსეთის სამხედრო დაზვერვას.ეს იყო Fancy Bear რომელმაც დაჰაკა Podesta-ს ელექტრონული ფოსტის ანგარიში-მოცემულია FBI-ის დოკუმენტში.

Dmitri Alperovitch-მა, CrowdStrike-ის თანადამფუძნებელმა და მთავარმა ტექნოლოგიურმა ოფიცერმა განაცხადა, რომ ეჭვი არ იყო, რომ რუსეთი პასუხისმგებელი იყო: „არ არსებობს იმაზე მეტი დამაჯერებელი რამ,როგორიც ის რომ რუსეთი ამაში ყველაზე მთავარი აქტორია“.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) შეფასებით, რუსეთი აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერია, რათა დონალდ ტრამპს გამარჯვებაში დახმარებოდა.CIA-ს ამ დასკვნის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურმა პირებმა წამყვან გამოცემებს, მათ შორის The Washington Post-სა და The New York Times -ს მიაწოდეს.

The New York Times-ის წყაროს ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდში რუსებმა დემოკრატების ეროვნული კომიტეტის გარდა, რესპუბლიკელების კომპიუტერული სისტემებიც დაჰაკეს, მაგრამ მოპოვებული ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ. სადაზვერვო სამსახურების დასკვნით, რუსებმა WikiLeaks-ს მხოლოდ დემოკრატების დოკუმენტები მისცეს. არჩევნების წინა თვეებში მასობრივად სწორედ დემოკრატების დოკუმენტებმა გაჟონა. თუმცა, მთელი ამ ხნის მანძილზე, რესპუბლიკელები მომხდარს განსხვავებულად ხსნიდნენ და ამბობდნენ, რომ კიბერშეტევის მსხვერპლი პარტიის ინდივიდუალური წევრები ხდებოდნენ და არა მთლიანად ქსელი.

დედამიწაზე ყველა ქვეყანა ვითარდება თავისი კიბერ შესაძლებლობებით და განსაკუთრებით რუსეთი.თუმცა არსებობს კიბერ სივრცეში მოთამაშეები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სარადაროზე და შეიძლება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ჩვენ ოდესმე გვინახავს.

ერთ-ერთი მაგალითი იმისა,თუ როგორ არ უნდა იყო უყურადღებო,როცა ეს ეხება რეპუტაციას,ქვეყანასთან დაკავშირებულ საქმეს და უნდა აანალიზებდე თუ რამხელა პასუხისმგებლობა აქვს ადამიანს და ჯგუფს დაკისრებული ქვეყნის წინაშე,როდესაც პრეზიდებდობაზე აქვს პრეტენზია.თუმცა შეტევასთან დაკავშირებულმა მცირე

უყურადღებობამაც კი კარგად დაგვანახა,როგორი შედეგი მოიტანა დაზარალებულ პარტიას.

ვფიქრობ,რომ შესაბამისი ყურადღება და შესაბამის დროს რომ გამოეჩინათ ამ საქმესთან დაკავშირებით,შესაძლებელი იქნებოდა მათი დაცვა ამ შეტევისგან.როდესაც შეიმჩნევა ან ხდება კიბერ შეტევა პირველ რიგში უნდა იყოს შესაბამისი ზომები მიღებული:

- ✓ მისი აღმოჩენა
- ✓ დაზუზტება, თუ რა სახის კიბერ შეტევაა
- ✓ შესაბამისი ორგანოების მობილიზება მასთან გასამკლავებლად
- ✓ შესაბამისი საწინააღმდეგო შეტევის შემუშავება
- ✓ დროული მოქმედება კიბერ შეტევის წინააღმდეგ
- ✓ შეძლებისდაგვარად კიბერ შეტევასთან გამკლავება და მისი აღმოფხვრა

ჩემი აზრით, თუ არ იქნება შესრულებული ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები და თუნდაც ერთ ერთი პუნქტი შეუსრულებელი დარჩება,ალბათ რთული ან შეუძლებელი იქნება კიბერ შეტევასთან გამკლავება.

თუნდაც დემოკრატიული პარტიის დაჰაკვა,რომ განვიხილოთ მაგალითად ამ პუნქტებთან მიმართებაში,ჩემი აზრით მოხდა დაგვიანებული მოქმედება,დაგვიანებით დაზუსტდა ნამდვილად იყო თუ არა შეტევა განხორციელებული ან ვინ იყო რეალური მსხვერპლი,დაგვიანებით ჩაერთვნენ შესაბამისი ორგანოები კიბერ შეტევის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომაც მოხდა ის რაც მოხდა,დემოკრატიული პარტია გახდა ჰაკერების მსხვერპლი,ამ ყველაფერმა კი მათი არჩევნებში წაგება გამოიწვია და ეს ყველაფერი მოხდა ტრამპის სასარგებლოდ.

5.4. Petya-გლობალური კიბერ ვირუსი საქართველოს ჭრილში

უმსხვილესი კომპანიები ასევე რამდენიმე ქვეყნის საჯარო და კერძო კომპანიები გახდნენ კიბერ შეტევის მსხვერპლნი.ვირუსმა სახელად Petya ასობით კომპანიის, ათასობით კომპიუტერში შეაღწია,დაბლოკა ინფორმაცია და უკან დასაბრუნებლად მოითხოვა გამოსასყიდი.ამ შეტევის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა უკრაინა, თუმცა მიუხედავად იმისა,რომ საქართველოში ვირუსს ჯერ არ მოუღწევია საკანონმდებლო ორგანოში შექმნილ შეფერხებას შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარი ინიციატივით სწავლობს.მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ფოთის პორტის მფლობელ კომპანიაზე Maersk-ზე კიბერ თავდახსმის ფაქტს ადასტურებს.

Petya- არის ვირუსი,რომელიც კორპორაციაში ყველაზე სუსტ კომპიუტერს აზიანებს და შემდეგ ქსელით ვრცელდება. სპეციალური მავნე პროგრამების მეშვეობით ხდება კომპიუტერში არსებული ინფორმაციის და მონაცემების შიფრაცია და ამ ფაილების დეშიფრაციისთვის გამოსასყიდი თანხის მოთხოვნა.ამ თანხის გადახდის შემდეგ ფაილები ხელმისაწვდომია და უბრუნდება მესაკუთრეს.თუმცა არის შემთხვევები როდესაც მომხმარებელმა გადაიხადა თანხა,თუმცა შესაძლოა მათ მაინც არ დაუბრუნდეს თავისი ინფორმაცია. „Petya Ransomware”-ის უნიკალურობა ისაა, რომ იგი ფაილებს სათითაოდ არ შიფრავს (როგორც ეს აქამდე არსებული „რანსომვეარების“ სახეობებში გვხვდებოდა). ეს უკანასკნელი ტვირთავს კომპიუტერს და შიფრავს მყარი დისკის Master File Table-ს (MFT), რომელიც შეიცავს ჩანაწერებს მყარ დისკზე განთავსებული ყველა ფაილის/დოკუმენტის შესახებ. მათ შორის სახელს, დროს, უფლებების ჩანაწერებს და სხვა. იგი ასევე მყარ დისკზე განთავსებულ “MBR -ს ანაცვლებს საკუთარი მავნე კოდით, რომელსაც უშუალოდ გამოაქვს ეკრანზე გამოსასყიდის ტექსტი და კომპიუტერის მართვის ბერკეტებს არ აძლევს მომხმარებელს.თუმცა,როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის, CERT-GOV-GE-ს მენეჯერი, დავით ქვათაძემ განაცხადა, Petya ე.წ. Wipper malware-ია.“Petya არ გახლავთ Ransomware. ის Wipper malware-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ის თქვენს კომპიუტერში მოხვდა, ყველაფერს წაშლის. შესაბამისად, გადააგზავნით თუ არა, გამოსასყიდის სახით, 300 დოლარს, მის აღდგენას მაინც ვერ მოახერხებთ. თანაც, ის ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც ვირუსისგან დაზარალებულს თანხა უნდა გადაერიცხა, აღარ არსებობს და პროვაიდერმა გათიშა”-განმარტავს დავით ქვათაძე.

ზიანი რომელიც ამ ვირუსის საშუალებით შეიძლება მიადგეს ორგანიზაციებს არის ძალიან დიდი,დაზარალდნენ ისეთი დიდი კომპანიები როგორიცაა Maersk, Fedex, ბანკები, ჯანდაცვის სექტორი, ინფიცირების კერა გამოვლინდა უკრაინასა და რუსეთში და გავრცელდა ევროპაში - კერძოდ, ესპანეთში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში. ვირუსის გავრცელების არეალში ასევე ხვდება ინდოეთიც. დაინფიცირდა უამრავი კომპიუტერი სახელმწიფო სტრუქტურებში, ბანკებში და კორპორაციებში. რუსეთში ასევე დაინფიცირდა 2 უმსხვილესი ნავთობკომპანიის („Роснефть“ და „Башнефть“) სისტემები, უკრაინაში კი კიევის მეტროპოლიტენისა და ელექტრო მიმწოდებლები კომპანიების („Ukrenergo“ და „Kyivenergo“) IT ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ვისურის გამო სრულყოფილად ვერ მუშაობენ სარეკლამო გიგანტი ვიპიპი და ფრანგული სამშენებლო მასალების კომპანიები,რუსული ნავთობ კომპანიები ევრაზი და როზნეფტი.

იმის მიუხედავად რომ ეს ვირუსი საქართველოს კონკრეტულად არ შეხებია,და მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფომ არ იცის, რა ტიპის ვირუსია, შესაბამისმა ორგანიზაციებმა მაინც მიიღეს ზომები და Cert-ის მიერ დაიგზავნა შეტყობინებები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში,რათა მომზადებულები დახვდნენ აღნიშნულ ვირუსს.პარლამენტის უსაფრთხოების ადმინისტრაციის მიერ მოხდა როგორც ადმინისტრაციის ასევე პარლამენტის თანამშრომლების ინფორმირება,რომ მათ შეეზღუდებოდათ დროებით გარე წყაროებიდან Email-ების მიღების შესაძლებლობა.ასევე ერთ ერთი პრევენციული ზომა რაც იყო მიღებული არის ის,რომ მათ განაახლეს პროგრამული უზრუნველყოფები,თუმცა ეს ზომები მიიღო ზოგიერმა ორგანიზაციამ და არა ყველამ.

სიტუაციური მართვის მენეჯერმა დიმიტრი გუგუნავამ განაცხადა,რომ „როგორც სახელმწიფო,ასევე კერძო სტრუქტურები მოქმედებენ რეაქტიულ რეჟიმში, ვიდრე სტრატეგიულად,რომელიც გულისხმობს რაღაც პრევენციული მექანიზმების შექმნასაც.ეს ირუსი მოსალოდნელია საქართველოშიც გავრცელდეს,რადგან ჩვენ არ ვიცით რა არხებით შეიძლება გავრცელდეს.ჩვენ მივაწოდეთ საზოგადოებას რჩევები რომლის საშუალებითაც შეძლებთ თავი დაიცვათ აღნიშნული ვირუსისგან.“

იუსტიციის სამინისტროს სპეციალისტებმა გასცეს რეკომენდაციები,რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა აქვთ ორგანიზაციებს თავი დაიცვან აღნიშნული ვირუსისგან.ეს რეკომენდაციებია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ “მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE აღნიშნული შეტევის თავიდან ასაცილებლად გიწევთ რეკომენდაციას:

- ✓ აუცილებელია „ვინდოუსის“ (Windows) სისტემაზე განახლებების დაყენება (ეს არის კრიტიკული ფაქტორი, რომლის უგულებლყოფის შედეგად უამრავი მომხმარებელი ზარალდება);
- ✓ გათიშეთ SMBv1 პროტოკოლი „ვინდოუსის“ თქვენს სისტემაზე და სერვერებზე;
- ✓ რადგან აღნიშნული ვირუსი სხვა სისტემებზე გასავრცელებლად იყენებს WMIC და PSEXEC ხელსაწყოებს, რეკომენდებულია გამორთოთ WMIC-ი (Windows Mnagement Instrumentation Command-Line);
- ✓ ყურადღება გამოიჩინეთ ელ.ფოსტაზე მოსული წერილების მიმართ. დააკვირდით გამომგზავნს, ტექსტს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიბმულ დოკუმენტს. ასევე ნუ გადახვალ საეჭვო ბმულებზე;
- ✓ თქვენი ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობისთვის აუცილებელია გადაიტანოთ ეს ინფორმაცია გარე მოწყობილობაზე, რომელიც არ არის თქვენს კომპიუტერთან და ინტერნეტთან შეერთებული;

- ✓ სისტემაზე იქონიეთ ანტი-ვირუსული პროგრამული უზრუნველყოფა (უკანასკნელი განახლებებით).

ჰაკერული თავდასხმების შედეგებზე და პრევენციებზე ნატოს გენერელურმა მდივანმა განაცხადა: „ჰაკერული შეტევის მსხვერპლნი ჯერ მაისში,შემდეგ კი ახლა გავხდით(ივნისი),რაც ჩვენი კიბერ თავდაცვის გაძიერების აუცილებლობას მოწმობს.ჩვენ არა მარტო ალიანსის კიბერ უსაფრთხოების გაძლიერებაზე ვმუშაობთ,არამედ ვეხმარებით მოკავშირეებსაც.უკვე დავიწყეთ კიბერ უსაფრთხოების სამხედრო დომენად ჩამოყალიბებაზე მუშაობა“.

როგორც ცნობილია,ზემოთ აღნიშნულმა ვირუსმა დააზარალა მსოფლიოს უდიდესი კომპანიები,რომელთაც თავიანთი კიბერ თავდაცვა ჰქონდათ,რათა კომპანიები მსგავსი კიბერ შეტევებისგან აერიდებინათ,თუმცა უშედეგოდ.მაგრამ,ახლა გადავხედოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დაგვიცავს კი აღნიშნული რეკომენდაციები ამ უდიდესი ვირუსისგან? ჩემი პასუხია-არა,რადგან ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები გამოყენებადია ჩვეულებრივი მარტივი კომპიუტერული ვირუსისგან თავის დასაცავად და არა ისეთი მასშტაბური ვირუსისგან, როგორიც Petya გახლავთ.როგორ ფიქრობთ იმ უდიდეს კომპანიებს რომლებზეც შეტევა განხორციელდა არ ექნებოდათ მსგავსი პრევენციის ზომები გათვალისწინებული და მიღებული?რა თქმა უნდა-კი. ამიტომაც ვფიქრობ,რომ ეს შეიძლება ჩაითვალოს იმ ფაქტორად,რომ სახელმწიფომ მიუხედავად იმისა,რომ არ იცის რასთან აქვს საქმე,მოვალეობის მოხდის მიზნით გასცა რეკომენდაციები,რომელიც შესაძლოა სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს.

6.კვლევის ანალიზი

2017-2018 წლების საქართველოს ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, მთავარი საფრთხე რუსეთის ფედერაცია და რუსული, ორგანიზებული კიბერშეტევები თუ სხვა სახის კიბერ კრიმინალური ქმედებებია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში რუსეთი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ არის მიჩნეული და ნათქვამია, რომ საფრთხის დონე, გასულ წლებთან შედარებით, მომატებულია.საქართველომ ორჯერ შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,პირველი 2014-2016 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ,ხოლო მეორედ 2017-2018.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კიბერ უსაფრთხოება ორიენტირებული იყო მხოლოდ რუსეთისგან თავდაცვაზე,რომელიც ჩემი აზრით სტრატეგიის დიდი მინუსია, ვინაიდან მხოლოდ ერთი ქვეყნისგან თავდაცვა ვერ შეუქმნის ქვეყანას უსაფრთხოების გარანტიას. თუმცა,ეს შიში გამოწვეულია 2008 წელს მიღებული კიბერ შეტევით,რომელმაც ქვეყნის ინფორმაციული ვაკუუმი გამოიწვია,რომელიც იყო

საერთაშორისო სამართლის დარღვევა რუსეთის მხრიდან,თუმცა ის ფაქტი, რომ საბოლოო დასკვნა და დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმისა რომ ეს რუსეთის მიერ იქნა ჩადენილი და არსებობს მხოლოდ ვარაუდები და ექსპერტების მოსაზრებები,ამიტომაც რუსეთს არანაირი სასჯელი არ მიუღია.

განვითარებადი ქვეყანა,რომელსაც სურს კიბერუსაფრთხოების სფეროში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს და განვითარდეს,ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საქართველოს,თუმცა პოლიტიკის შემუშავების დროს მხოლოდ ერთ ქვეყანაზე აკეთებს აქცენტს,იგი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში უსუსური იქნება.ჩემი აზრით პოლიტიკა და სტრატეგია ისე უნდა იყოს გათვლილი და შედგენილი,რომ არ იყოს მხოლოდ ერთი ქვეყნისგან თავდაცვაზე ორიენტირებული,არამედ საფრთხე მოსალოდნელია ყველა მხრიდან და საბოლოო ჯამში საიდან მიიღებს ქვეყანა დარტყმას ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

საინტერესოა ის ფაქტი,რომ ისევე როგორც აშშ-ს,ასევე საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას საერთო აქვს ამდენიმე მიზანი,ესენია:

- ✓ ორივე ქვეყანას სურს დაიცვას საკუთარი სახელმწიფო კიბერ შეტევებისგან და თავდახსმებისგან
- ✓ მუდმივად მზადყოფნა და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება პოტენციური კიბერინციდენტების პრევენციის უზრუნველსაყოფად.
- ✓ თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო უწყებებს შორის,ვინაიდან ამ ორი უწყების თანამშრომლობის გარეშე,თითოეული ცალ ცალკე ვერ გაუმკლავდება კიბერუსაფრთხოების სისტემას.

თუმცა საქართველოს კიბერუსაფრთხოების პირველად შემუშავებულ სტრატეგიაში არაფერი იყო ნათქვამი მისი კომპიუტერული სისტემის,კომპიუტერული ქსელების და იმ გუნდის განვითარება და გაუმჯობესებაზე,რომლებიც მუშაობენ და პასუხისმგებელნი არიან კიბერ სივცრის ოპერაციებზე,კიბერუსაფრთხოებაზე,რომელზე ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას ამახვილებს და უკვე როცა საქართველომ მეორედ შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია უკვე ჩართული იყო ზემოთ აღნიშნული მიზანი. ვფიქრობ,რომ საქართველომაც უნდა მიაქციოს ამ საკითხს დიდი ყურადღება,ვინაიდან თუ არ იქნება შესაბამისად გადამზადებული კადრები და ორგანოები,მხოლოდ დეპარტამენტების არსებობას აზრი ეკარგება,თუ მისი გამოყენება არ მოხდა საქმისამებრ შესაბამისად.

დღეისათვის,რუსეთის მიერ საქათველოსთან მიმართებით კიბერუსაფრთხოებაში არსებული გარემოებებიდან ირკვევა, რომ:

- ✓ რუსეთის ფედერაციას არ შეუცვლია საკუთარი აგრესიული პოლიტიკა კიბერდომეინში;
- ✓ რუსეთმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად აამაღლა საკუთარი კიბერშეტევითი შესაძლებლობები;
- ✓ კრემლმა მნიშვნელოვნად დახვეწა კიბერსაშუალებების გამოყენების სპეციფიკა მის მიერვე წარმოებულ ფსიქოლოგიური გავლენის ოპერაციებში;
- ✓ 2008 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოს დამოკიდებულება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც, პოტენციური კიბერთავდასხმების შემთხვევაში, მოსალოდნელი ზიანის მასშტაბებს ზრდის.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში, კიბერუსაფრთხოების სფეროში შესაძლებლობების ამაღლების მიზნით, მუშაობა მიმდინარეობს კიბერ რეზერვის შექმნაზე, კიბერკვლევების ლაბორატორიის დაფუძნებასა და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე,რაც ჩემი აზრით წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოსთვის.

ექსპერტთა გამოკითხვით გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ✓ განსხვავება კიბერუსაფრთხოებასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას შორის

ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტების აზრი ცალსახა იყო,ვინაიდან მათი აზრით ეს ორი გამიჯნულია ერთმანეთისგან,თუმცა ზოგ შემთხვევაში მათ შეიძლება მოიცვან კიდეც ერთმანეთი ან გადაკვეთონ ერთმანეთის გზები.ერთ ერთი ექსპერტის მოსაზრებით:

„ინფორმაციული უსაფრთხოება არის,სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საზრუნავი სექტორი, რომლის ორგანიზების მნიშვნელოვან სტრუქტურებს ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები წარმოადგენენ“.

მართლაც,რომ ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება ალბათ 21-ე საუკუნის უდიდესი საზრუნავია სახელმწიფოებისათვის,ვინაიდან ბოლო დროინდელ კონფლიქტში ყველგან აღმოვაჩენთ კიბერუსაფრთხოების ფენომენის არსებობას და ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობას.

- ✓ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპონენტები

ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო იყო ის,რომ ექსპერტების მხრიდან გამოიკვეთა კიბერუსაფრთხოების სხვადასხვა კომპონენტები,თუმცა ასევე საინტერესო იყო ის, რომ ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპონენტები არ არსებობს 21-ე საუკუნეში.აქვე განვიხილოთ ის კომპონენტები რომლებიც ჩამოთვალეს ესქპერტებმა:

- კიბერსივრცის დაბალანსებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ინფორმაციული აღჭურვისა და სათანადო კონტროლის პროცესი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კიბერსივრცის დაცვა, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა დაზვერვის ობიექტი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეების, მოსახლეობის, კერძო სექტორის სათანადო სასწავლო პროგრამებით აღჭურვის პროცესი.
- ერთის მხარივ, კომპიუტერი, გაშიფვრა და დაცული პირები ან მთავრობა. მეორეს მხრივ, ასევე კომპიუტერი, (ბევრჯერ VPN-ს დამახინჯება, სადაც ცდილობენ ჰაკინგს) და ჰაკერები,რომლებიც ცდილობენ მიიღონ დაცული ინფორმაცია.
- ეროვნული საიდუმლოების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, ანტი-ჰაკერული ღონისძიებების / ტექნოლოგიების დაცვა.

ფაქტია,რომ მათ მიერ დასახელებული ყველა კომპონენტი არის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება,თუმცა ისიც აღსანიშნავია,რომ 21-ე საუკუნეში, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით, საკმაოდ რთულია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- ✓ გეოპოლიტიკის როლი კიბერუსაფრთხოებაში

შეუძლებელია არ შეეხო გეოპოლიტიკა,როდესაც კიბერუსაფრთხოებაზე საუბრობ.ყველაპერი იწყება ქვეყნების მიერ შემუშავებული გეოპოლიტიკით და შესაბამისად ის კავშირშია კიბერუსაფრთხოებასთან.ფაქტია,რომ ექსპერტების აზრით გეოპოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბერუსაფრთხოებაში ნებისმიერი ქვეყნისთვის,იგი შეიძლება იცვლებოდეს გეოსტრატეგიული რეგიონების მიხედვით და ასვევე მას შეუძლია გავლენა მოახდინოს უცხო ქვეყნების პოლიტიკაზე ან თუნდაც ბიზნესზე.მთავრობები ქმნიან მონაცემებს,რომელიც არის გეოპოლიტიკური სტრატეგიის არსებითი ელემენტი.

„გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, დაზიანების ობიექტ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა გაერთიანების წინააღმდეგ დაინტერესებული სადაზვერვო სამსახურები წინასწარ თვლიან კიბერსივრცეში ზემოქმედების მოხდენის მიზნით ძალებისა და საშუალებების, მეთოდებისა და მასშტაბების განსაზღვრას, რომელსაც წინ უსწრებს სათანადო გრიფირების ქვეშსამეცნიერო კვლევები“.

- ✓ კიბერ ომის როლი გეოსტრატეგიული დაპირისპირების ფარგლებში

კიბერუსაფრთხოების როლი გეოსტრატეგიულ კონფროტაციაში ორმაგია,პირველ რიგში არსებობს ცნობილი კიბერ ომი,რასაც მთავრობები აკეთებენ თავიანთი ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების დაცვისათვის.აქვე არის საქმიანობა,რომლეცის მთავრობებმა არ იციან.გარდა ამისა კიბერ ომების განხილვისას,რომლებიც ფარულ ხასიათს ატარებენ,ეს ართულებს გეოსტრატეგიულ ურთიერთობებს,რომელიც ნდობაზეა დამყარებული.თუ ვერ იქნებით ნდობით განწყობილი თქვენი გეოსტრატეგიული მეზობლების მიმართ, ძალიან რთულია, რომ ზოგადად კარგი ურთიერთობები ჰქონდეთ ერთმანეთთან, რაც უფრო დიდ გართულებას შეუწყობს ხელს.

„კიბერ ომი ფსიქოლოგიური ომის შემადგენელია და მის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული გეოსტრატეგიული დაპირისპირების შედეგი, მათ შორის ფიზიკური ომების მასშტაბების განსაზღვრა და ზოგადად მიზანშეწონილობა“

- ✓ კიბერუსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში/ამერიკაში

საბოლოო ჯამში,საქართველოში და შეერთებულ შტატებში კიბერუსაფრთხოების ფაქტორები საერთო თემას იზიარებენ და ორივე ქვეყანა ცდილობს საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას.აშშ-სთვის ეს შეიძლება იყოს ჩინელი ან ჩრდილოეთ კორეელი ჰაკერები,რომლებიც ცდილობენ მოიპარონ ფული და გავლენა მოახდინონ კომპანიებზე და მცხოვრებ მოქალაქეებზე.ან თუნდაც რუსი ჰაკერები,რომლებიც ცდილობდნენ კიბერ შეტევა განეხორციელებინათ საპრეზიდენტო არჩევნებზე.საქართველოში ინტერნეტის და ქვეყნის საინფორმაციო სივრცის დიდი ნაწილის დაჰაკვა, ან ახალი ამბების დახურვა.ეს არის ორი განსხვავებული მიზეზი, ისევე როგორც მაგალითები,მაგრამ მაგრამ საბოლოო მიზანი იმ ხალხისაგან, ვინც დაემუქრა აშშ-სა და საქართველოს კიბერ უსაფრთხოებას, ცდილობდნენ ძირი გამოუთხარონ და გაანადგურონ ეს ორი ქვეყანა,დაასუსტონ მათი უსაფრთხოება,გავლენა იქონიონ საერთაშორისო ურთიერთობებზე და ა.შ.

თუმცა, ერთ ერთი ექსპერტი თვლის, რომ საქართველოში კიბერუსაფრთხოების განმსაზრვრელი ფაქტორები არ არსებობს:

„ამერიკაში - სამეცნიერო კვლევებით გამყარებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ოპერატიული კონტროლი და დაგეგმარების პროცესები, საქართველოში.....“

- ✓ საქართველო-აშშ-ს მომავალი ურთიერთობების პერსპექტივები და თანამშრომლობა

გულწრფელად,რომ ვთქვათ ,ეს მთლიანად დამოკიდებულია თუ როგორ განვითარდება სამომავლოდ აშშ-სა და საქართველოს მომავალ ურთიერთობები,თუმცა ძალიან რთულია ამ ყველაფრის ახლა პროგნოზირება.ვაღმოჩნდა,რომ საქართველოს ამ მხრივ მცირე გავლენის მოხდენა თუ შეუძლია,ეს იქნება დამოკიდებული იმაზე,თუ როგორ შეხედავს რუსეთს ტრამპის ადმინისტრაცია.თუ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები გაიზრდება,ამის გამო შესაძლოა შენარჩუნდეს იგივე მდგომარეობა საქართველოს ურთიერთობეასთან მიმართებაში,ან კიდევ შანსია,რომ ურთიერთობები გაუარესდეს.ხოლო თუ ის ურთიერთობა რომელიც ახლა აქვს საქართველოსა და ამერიკას შენარჩუნება ან კიდევ მომავალში გაიზრდება,კიბერუსაფრთხოებას განვითარების დიდი შანსი აქვს საქართველოში.თუმცა ექსპერტთა აზრით :“ ამ მიმართულებით სასურველია საქართველომ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობებით შექმნას სათანადო ტექნოლოგიები, ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით“.

- ✓ გახდა თუ არა კიბერუსაფრთხოება საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარ განმსაზღვრელ მიმართულებად

ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას აზრი ერთსულოვანია,ანუ კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, მონაცემების დაგროვება (მონაცემთა გადამალული ნაციონალური საიდუმლოებები) და სამთავრობო უწყებები, რომლებიც უფრო და უფრო მეტ მონაცემებს იყენებენ მონაცემთა ორიენტირებული ტექნოლოგიით.ბევრი ის ქვეყანა,რომელიც ბევრად წინაა ტექნოლოგიებით,ასევე განვითარებად ქვეყნებში,მთავრობებს აქვთ უამრავი დაცული ინფორმაცია,რომელთა გატეხვასაც ყოველთვის ცდილობენ.ორგანიზაციები,რომლებიც ეძებენ ინფორმაციის თავისუფლებას ყველასათვის,მაგალითად როგორიცაა Wikileaks,ან ანონიმური დაჯგუფებები,რომლებიც იყენებენ ნებისმიერ შესაძლებლობას, რომ გამოამჟღავნონ კერძო ინფორმაცია მსოფლიოსთვის.სამთავრობო და ინდივიდუალურ დონეზე კიბერუსაფრთხოება აუცილებელია, რადგან მას შეუძლია შეინარჩუნოს ჩვენი მთავრობა პირადი ინფორმაციის დაცვაზე, ისევე როგორც ჩვენი პირადი ინფორმაციის დაცვა ოპორტუნისტული ჰაკერებისგან, ქვეყნის შიგნით და გარეთ.

„დიახ, რადგან მაღალტექნოლოგიურ სახელმწიფოებს გააჩნია საშუალებები, სადაზვერვო გადაფარვით სპეცღონისძიებებათა (მათ შორის ფიზიკური ომის) პირობებში საწყის, მიმდინარე და დასკვნით ფაზაში კიბერსივრცის გამოყენების თვალსაზრისით”.

- ✓ შეცვალა თუ არა კიბერუსაფრთხოებამ მსოფლიო ბოლო ათწლეულის განავლობაში

ალბათ,არც ისე რთულია ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახა პასუხის მოძებნა,ვინაიდან ის რაც 5-10 წლის წინ ზღაპრად ან არარეალობად გვეჩვენებოდა,დღესდღეობით ჩვეულებრივი მოვლენაა კიბერუსაფრთხოების სფეროში.ამიტომაც,კიბერუსაფრთხოებამ მსოფლიო შეცვალა როგორც დადებითად ასევე უარყოფითად. კომპიუტერული სიმძლავრის გაუმჯობესების, ინტერნეტის სიჩქარეების, IP მისამართებით და ინტერნეტის შესახებ უფრო მეტის გაგება, ჩვენი ყოველდღიური დაცვით ინტერნეტში,ამ ყველაფერზე დაყრდნობით, ჩვენი ცხოვრების სტილი იცვლება. ასევე, ჰაკერები, შეიძლება იმყოფებოდნენ რუსეთში, თუმცა მათი IP მისამართი იყოს იოჰანესბურგში, რეიკიავიკთან, სტამბულში, ლონდონში, მადრიდში და შემდეგ ცდილობენ გატეხონ ამერიკული კომპანია.ეს კი უფრო ართულებს ყველაფერს იმ ადამიანებისთვის ვინც კიბერუსაფრთხოების სფეროში მუშაობს და ასევე ეს ნიშნავს იმას რომ ამ ყველაფერმა შეცვალა მსოფლიო.

უარყოფითად შეცვალა იმ მხრივ,რომ იმატა კიბერ შეტევებმა და კიბერ საფრთხეებმა,ქვეყნებს უწევთ მაქსიმალურად გააძლიერონ თავდაცვა უსაფრთხოების შესანარჩუნებლად,თუ ადრე მსგავს რამეზე არც კი იფიქრებდნენ,ახლა ამ საკითხზე გვერდის ავლა ქვეყნის უკუსვლას გამოიწვევს.

დადებითის მხრივ შეცვლა კი არის ის,რომ განვითარდა საზოგადოება ამ სფეროში შემლებისდაგვარად.რა თქმა უნდა ყველა ქვეყნის კიბერუსაფრთხოება სხვადასხვაგვარია და ათი განვითარების დონეც,თუმცა უნდა აღინიშნოს,რომ კიბერუსაფრთხოება უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნების განვითარებაში იმ მხრივ,რომ იგი გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე,პოლიტიკაზე,ეკონომიკაზე და სხვა.

7.დასკვნა

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განხილვამ გვაჩვენა,რომ ამერიკა მიისწრაფვის იყოს იდეალური და ჰქონდეს იდეალური კიბერუსაფრთხოება,პოლიტიკა,თავდაცვა და ა.შ, ხოლო საქართველო თანდათან სწავლობს, როგორი უნდა იყოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, როგორ უნდა დაიცვას კიბერუსაფრთხოება, ნელ-ნელა ამუშავებს მიდგომებს, აყალიბებს შესაბამის სტრუქტურებს, თუმცა უნდა ვაღიაროთ,რომ კიდევ ბევრის გაკეთება მოგვიწევს რომ ამერიკის შეერთებული შტატების დონემდე მივიდეთ, არამარტო ჩვენ, არამედ სხვა ნებისმიერი ქვეყანას.

კიბერუსაფრთხოება გეპოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი აქტორია, ვინაიდან სახელმწიფოები სწორედ წინასწარ შემუშავებული გეოპოლიტიკით მუშაობენ, რომელიც დაფუძნებულია კიბერუსაფრთხოებაზე.

კიბერუსაფრთხოება ითვლება 21-ე საუკუნის კონფლიქტების მთავარ მოქმედ აქტორად,რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კიბერ ომი და თუ მოხდა ამ კიბერ ომის ესკალაცია მაშინ, ის შეიძლება გახდეს მესამე მსოფლიო ომის საფუძველი,ოღონდ ამჯერად არა იარაღის გამოყენებით, არამედ კიბერ დომეინში.

განხილული შემთხვევების შესწავლით და ექსპერტების გამოკითხვით დადასტურდა,რომ კიბერუსაფრთხოება გახდა საერთაშორისო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი და ყველა სახელმწიფო მასზეა დამოკიდებული.

ასევე გამოიკვეთა ის ფაქტი,რომ კიბერუსაფრთხოებამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიო 21-ე საუკუნეში. თითქმის ყველა განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფო გადართული ქსელურ სისტემებზე,კომპიუტერულ მომსახურებაზე და კომპიუტერულ სისტემებზე,როცა ადრე ამაზე ფიქრიც კი წარმოუდგენლად ეჩვენებოდა სამყაროს.

საბოლოო ჯამში,მიუხედავად იმისა,რომ ყველა სახელმწიფო ცდილობს ჰქონდეს საუკეთესო და დაცული კიბერუსაფრთხოება, ამ ყველაფრის უზრუნველყოფა შეუძლებელია, ვინაიდან, ისე იცვლება კომპიუტერული სისტემები და ქსელები, ისე ვითარდება ინტერნეტი, რომ ეს ყველაფერი ერთად კიბერუსაფრთხოების სტაბილუობის შესაძლებლობას არ იძლევა.

8.უცხო ტერმინთა განმარტება

- ✓ ინფორმაციული უსაფრთხოება-საერთაშორისო სტანდარტები, ინფორმაციულ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, როგორც ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას,მთლიანობას და ხელმისაწვდომობა.
- ✓ კონფიდენციალური ინფორმაცია – ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას, სავარაუდოდ, მოჰყვება კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ფუნქციებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი და რომლის კონფიდენციალურ ინფორმაციად კლასიფიცირების მიზანია ინფორმაციული აქტივების მართვის წესების უზრუნველყოფა, გარდა იმ წესებისა, რომლებითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
- ✓ კიბერსივრცე-კიბერსივცრე არის გარემო სადაც ხდება კომპიუტერული ქსელების კომუნიკაცია,ეს სიტყვა პოპულარული გახდა 1990 წლიდან.იგი ასოცირდება კომპიუტერთან და ინტერნეტის სხვადასხვა კულტურებთან.
- ✓ კიბერუსაფრთხოება-„კიბერ“ -ბერძნული წარმოშობის ზმნაა -“kybereo” ნიშნავს-მართვას,გაძღოლას,გაკონტროლებას.1940 წლიდან ამერიკელმა მათემატიკოსმა Norbert Wiener-მა(1894-1964) დაიწყო ამ სიტყვის გამოყენება,რათა დაეხასიათებინა კომპიუტერული სისტემა.კიბერუსაფრთხოება არის ერთობლიობა ინსტრუმენტების,პოლიტიკის,უსაფრთხოების კონცეფციის ,რისკის მართვის,ტექნოლოგები და გარანტიები,რომლებიც გამოყენებული იქნება დაიცვა კიბერ გარემო და ორგანიზაციები და ასევე მომხმარებლის აქტივობები.
- ✓ International telecommunications union(ITU)- არის გაეროს სპეციალიზებული სააგენტო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ.
- ✓ (ICT-Information and communications technology)-საინფორმაციო და საკომუნიკაიო ტექნოლოგიები.
- ✓ კიბერ დანაშაული-კიბერდანაშაული გულისხმობს ყველა იმ ქმედებას, რომელიც ხორციელდება კიბერსივრცეში დანაშაულებრივი განზრახვით.
- ✓ კიბერ თავდაცვა-კიბერ თავდაცვაა, როდესაც სახელმწიფოები უზრუნველყოფენ კიბერ უსაფრთხოებას,ხდება კიბერ შეტევების კონტროლი,მისი აღმოჩენა და აღმოფხვრა.
- ✓ კომპიუტერული ინციდენტი – ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის რეალური ან პოტენციური დარღვევა, რომელიც ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით და იწვევს ინფორმაციის უნებართვო წვდომას, გამჟღავნებას, დაზიანებას ან შეფერხებას ან ინფორმაციული რესურსის მიტაცებას.

- ✓ კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა-განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სფეროს მიდგომებსა და პრიორიტეტებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და განსაზღვრავს ყველა იმ სტრატეგიულ მიზანს, რომელთა აღსრულებაც განაპირობებს თავდაცვის სფეროს საიმედო, ეფექტურ, სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, რაც თავისთავად ქმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ საფუძვლებს
- ✓ კიბერ შეტევა-ჰაკერების მცდელობა დააზიანონ ან გაანადგურონ კომპიუტერული ქსელი ან სისტემა.
- ✓ CIA-Central Intelligence Agency- ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო,წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის სამოქალაქო სადაზვერვო სამსახურს, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს უსაფრთხოების ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს.
- ✓ (NSC)-National Security Council of Georgia-საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო,წარმოადგენს საქართველოს მთავარ საკონსულტაციო ორგანოს.
- ✓ ფიშინგი-ფიშინგი არის კიბერთაღლითობის გავრცელებული ფორმა, რომლის მიზანია მსხვერპლს მოტყუების გზით მოპაროს სენსიტიური ინფორმაცია ან მოახდინოს კომპიუტერის კომპრომეტაცია. შეტევის დროს გამოიყენება მეილი, რომელიც იგზავნება კიბერ-კრიმინალების მიერ.
- ✓ კიბერ ომი- ერი-სახელმწიფოების ქმედებები სხვა ქვეყნის კომპიუტერების ან ქსელებში შეღწევის, ზიანის ან დაზიანების გამომწვევი მიზეზების გამო.
- ✓ ჰაკინგი-კიბერ სამყაროში პერსონა რომელსაც შეუძლია გამოიკვლიოს სისტემის სისუსტეები და გამოიყოს მისი მიზნის შესასრულებლად (ცუდი თუ კარგი) არის ცნობილი როგორც ჰაკერი. და ის რითიც არის დაკავებული ამას ჰქვია ჰაკინგი.
- ✓ კიბერუსაფრთხოების ბიურო – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომ – კიბერუსაფრთხოების ბიურო).
- ✓ DNC- Democratic National Committee- დემოკრატიული ეროვნული კომიტეტი.
- ✓ DNS-ჩვენს ინტერნეტ პროვაიდერს გააჩნია თავისი DNS-ი,უფრო ზუსტად რომ ვთვათ ჩანაწერების წიგნი.

9.რეკომენდაციები

ჩემი აზრით, კიბერუსაფრთხოების მაქსიმალურად განვითარებისთვის და იმისათვის,რომ მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყანამ კიბერუსაფრთხოებაში აუცილებელია შემდეგი:

- ✓ აუცილებელია მაქსიმალურად მოქნილი, თვალსაჩინო და გამჭირვალე კიბერუსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც მაქსიმალურად წარმოაჩენს საქართველოს ინტერესებს კიბერუსაფრთხოების მხრივ, ასევე კიბერუსაფრთხოებას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

- ✓ აუცილებელია ორგანიზებული, განვითარებული და მაქსიმალურად უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ჯგუფი,რომელიც დაიცავს ქვეყანას კიბერ შეტევებისგან, განავითარებს მას კიბერ უსაფრთხოების მხრივ და ხელს შეუწყობს რომ მსოფლიო მასშტაბით მნიშნელოვანი ფიგურა.

- ✓ ისეთი ორგანიზაციების განვითარება, რომელიც მუდმივად იმუშავებს კიბერუსაფრთხოების კონცეფციის დამუშავებაზე და მუდმივ განვითარებაზე.

- ✓ ორგანიზაციების არსებობა,რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებს კიბერ შეტევების საფრთხეების არსებობას,მის კონტროლს და უზრუნველყოფს მის შესწავლას.

- ✓ დღევანდელი საუკუნე ყველასთვის ცნობილია ინფორმაციულ და კომპიუტერულ საუკუნედ.სწორედ ამიტომაც კიბერუსაფრთხოებაზე მომუშავე ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა.

- ✓ კიბერუსაფრთხოებასთან მომუშავე ჯგუფს აუცილებლად უნდა შეეძლოთ სწრაფად რეაგირება,მუდმივად განვითარების შესაძლებლობა და მოქნილობა.

- ✓ აიტი აუდიტისა და შემოწმებების კულტურა ორგანიზაციებში.

- ✓ კომპიუტერული განახლებებისა და განახლებული პროგრამების აუცილებლობის დამკვიდრება.

10.ბიბლიოგრაფია

1.https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2017/05/270754.htm

2.http://searchsecurity.techtarget.com/definition/information-security-infosec

3.http://www.hackmageddon.com/2017/01/19/2016-cyber-attacks-statistics/

4. CYBERSECURITY -National Strategy,Roles, andResponsibilities Needto Be Better Defined and More Effectively Implemented- Report to Congressional Addressees- United States Government Accountability Office.(GAO-13-187).

5. The Russian Military and the Georgian War: Lessons and Implications- Ariel Cohen and Robert E. Hamilton(Current Politics and Economics of Russia … ISSN: 1057-2295 Volume 28, Number 1 © Nova Science Publishers, Inc.

6. Cyber War-The Next Threat to National Security and What to Do About It Richard A. Clarke and Robert K. Knake.

7. Protecting Critical Infrastructure-Robert M. Clark *Series Editors:* Simon Hakim · Erwin A. Blackstone · Robert M. Clark

8. 2016 Cybersecurity Report-www.cybersecurityobservatory.com
9. The National Strategy to Secure Syber Space-The White House,Washington.
10. The Department of Defense(DOD) Cyber Strategy-April,2015 .
11. www.elsevier.com/locate/comphumbeh(Computers in Human Behavior 48 (2015) 51–61)
12. FISMA Blog Post Federal Cybersecurity: Administration Releases Annual Report on Agency Cyber Performance By: Grant Schneider
13. Future Crimes: Everything Is Connected, Everyone Is Vulnerable, and What We Can Do About It Marc Goodman (Doubleday, 2015), 392 pp., index Reviewed by Jay R. Watkins.
14. Federal Information Security Modernization Act of 2014
Annual Report to Congress-Fiscal Year 2016
15. Georgia 2008:legal evaluation according to Georgian and international law -Gvantsa Grigolia
16. Cyber Security Evaluation Tool- National Cybersecurity and
Communications Integration Center
17. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ- ვებგვერდი, 19/06/2012 სარეგისტრაციო კოდი 140000000.05.001.016807
18. PUBLIC LAW 113–283—DEC. 18, 2014 128 STAT. 3073
19.ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ფონდი-
კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა-პოლიტიკის დოკუმენტი,22აგვისტო,2016.

20. https://www.slideshare.net/vikashnsingh/isis-50885565
21. http://geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=18
22. http://csbd.gov.ge/news.php?news_number=1&news_type=publications&lang=ge
23. http://csbd.gov.ge/news.php?news_number=2&news_type=publications&lang=ge
24. http://netgazeti.ge/technology/22132/
25. http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=11&id_artc=29953
26. https://www.welivesecurity.com/2016/12/30/biggest-security-incidents-2016/
27. https://www.trendmicro.com/vinfo/us/security/news/cyber-attacks/a-rundown-of-the-biggest-cybersecurity-incidents-of-2016
28. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_cyberattacks
29. https://www.checkmarx.com/2016/09/11/august-2016-hacks-8-largest-hacks-breaches-cyber-incidents/
30. https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda
31. http://cyber.kvira.ge/9981/
32. https://en.wikipedia.org/wiki/Cyberattacks_during_the_Russo-Georgian_War#Attacks
33. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424
34. https://www.nytimes.com/2016/12/13/us/politics/russia-hack-election-dnc.html?hp&action=click&pgtype=Homepage&clickSource=story-heading&module=a-lede-package-region&region=top-news&WT.nav=top-news&_r=0
35. http://time.com/4600177/election-hack-russia-hillary-clinton-donald-trump/
36. https://www.webpagefx.com/data/cost-of-hackers-in-the-us/
37. http://experti.ge/statiebi1993_sainformacio_omi_pirevli11.htm
38. http://cyber.kvira.ge/17088/
39. http://cyber.kvira.ge/9635/
40. http://geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=18